საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის კომისია

საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში

(საქართველოს ისტორიული ტოპონიმების კორპუსი)

ტომი პირველი

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2010

UDC(უაკ)91.014(479.22)+94(479.22)
ს-323

„საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ წარმოადგენს XIX და XX საუკუნეებში ქართველ მეცნიერთა მიერ გამოცემულ ისტორიულ დოკუმენტთა კრებულებიდან ამონაწერ ისტორიულ ტოპონიმთა სრულ კორპუსს: ტოპონიმები ამოწერილია შესაბამისი კონტექსტით და დალაგებულია ქრონოლოგიურად, რაც იძლევა ცალკეული გეოგრაფიული პუნქტის (სოფლის, მონასტრის, ციხე-სიმაგრის და ა.შ.) ისტორიული ევოლუციის სურათს. ნაშრომი განკუთვნილია მეცნიერების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

შემდგენლები: **†დ. ბერძენიშვილი, მ. კანდელაკი, დ. მუსხელიშვილი, მ. სურგულაძე, ნ. შიოლაშვილი, გ. ჭეიშვილი**

რედაქტორი: **დავით მუსხელიშვილი**

რეცენზენტები: **ზ. ალექსიძე, ნ. ხაზარაძე**

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი
რუსთაველის ფონდი
Rustaveli Foundation
for Georgian Studies, Humanities and Social Sciences

აღნიშნული პროექტი განხორციელდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდში (რუსთაველის ფონდი) მოპოვებული გრანტის მეშვეობით (NC-07-1340-1-100). წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Foundation for Georgian Studies, Humanities and Social Sciences (Rustaveli Foundation) (Grant NC-07-1340-1-100). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ანა რუაძე, მარიამ ბუტიკაშვილი**

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2010

თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-035-5
ISBN 978-9941-17-044-7

რედაქტორისაგან

ადგილის სახელების ანუ ტოპონიმიის უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიის შესწავლისათვის საყოველთაოდ არის ცნობილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის, როგორც მეცნიერული დარგის ფუძემდებელი, აკად. ნ. ბერძენიშვილი ჯერ კიდევ ამ ორმოცდაათიოდე წლის წინ აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნის „მრავალ კუთხეში ეს სახელები გამქრალა მოსახლეობის ამოწყვეტის გამო, ტოპონიმიკური ტრადიციაც გაწყვეტილა, და ქვეყანა დამუნჯებულა, სხვაგან კიდევ ახალი და უცხო სახელები გაჩენილა, მაგრამ ისიც კი, რასაც ჩვენამდე ძველი დროიდან მოუღწევია, ამოურწყველი მასალაა, - მეტყველი და უტყუარი. სატომო სახელები, ტომთა განსახლება, დასახლების სახეობა, მოსახლეობის შრომა-მეურნეობა, მისი რელიგიური ცხოვრება, ომი თუ გართობა და სხვა მრავალი სახე წარსული ცხოვრებისა ცხოველადაა არეკლილი ამ თავისებურ წიგნში და ელის წამკითხველს“.

მართლაც, ტოპონიმიის და კერძოდ ისტორიული ტოპონიმიის შეკრებას, გამოქვეყნებასა და ანალიზს სრულიად ახლებურად შეეძლება საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის წარმოჩენა.

პირველ რიგში, ისტორიული დოკუმენტებიდან ამოკრებილი ეს ზღვა მასალა, სისტემატიზებული ქრონოლოგიურად და რეგიონების მიხედვით, შესაძლებლობას მოგვცემს შედგენილი იქნას საქართველოს დეტალური ისტორიული რუკები სხვადასხვა ეპოქის მიხედვით, რომლებზედაც დოკუმენტურად იქნება დასაბუთებული ქვეყნის დასახლებული პუნქტების (ქალაქების და სოფლების) წარმოქმნის, არსებობის და რიგ შემთხვევაში გაქრობის ქრონოლუგიური მიჯნები.

გარდა ამისა, შესაძლებელი გახდება საქართველოს და კერძოდ ქართლის ტერიტორიაზე უძველეს ისტორიულ ეპოქებში მცხოვრები ქართული თუ არაქართული ტომების ადგილსამყოფელის ლოკალიზაცია, იმ ძველად არსებული ტომებისა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ქართველი ხალხის ეთნოგენეზში, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ტოპონიმიკური რელიქტების სახით არიან შემორჩენილი. მართლაც, უკვე დღესვე შეიძლება მათი არსებობის დასაბუთება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისეთი ხორონიმების საშუალებით, როგორიცაა: ბაზალეთი, ჭართალი, თრიალეთი, არგვეთი, წობენი, გოგარანი და სხვა. ცხადია, ასეთი ონომასტიკა ოდესღაც არსებულ ბაზალთა, ჭართალთა, თრიალთა თუ თრერთა, მარგველთა, გოგართა, და სხვათა შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, რომელთაც სწორედ ეთნოგენეზის ათასწლოვან პროცესში განიცადეს ასიმილაცია.

ტოპონიმთა გარკვეული ფორმები, კერძოდ, მათი ჯგუფების გარკვეული სუფიქსაცია (მაგალითად, -აე-ი და -ევ-ი, ან -თა და -ნი ან -ის-ი და

ა.შ. სუფიქსიანი) მოგვცემს რუკაზე დატანის შედეგად ცალკეულ ტომთა განსახლების სურათს, ხოლო მთელი რიგი ოიკონიმებისა, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, კერძოდ ქართლის მთისა და ბარის ზონაში გვხვდება (მაგალითად ოკამი და რეხი ჯავახეთში; ოკამი და რეხი შიდა ქართლში და სხვა) ანდა წარმომავლობის -ელ სუფიქსით წარმოებული ოიკონიმები (მაგალითად ახატანი მდ. არაგვის ხეობაში და ახატ-ელ-ი კახეთში) უტყუარ სურათს მოგვცემენ მოსახლეობის მიგრაციისა ერთი რეგიონიდან მეორეში, კერძოდ მთიდან ბარში.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ფეოდალური გვარების წარმომავლობა: ფავლენიშვილების ფავნისიდან, ტბელებისა ტბეთიდან, კორინთლებისა კორინთიდან, მაჩაბლებისა აჩაბეთიდან, მგდეურებისა გდუდან, წირქვალელებისა წირქვალიდან, მახატლისძეებისა ახატანიდან. ეს უკანასკნელნი თუმცა კი ქართველი აზნაურები არიან წარმოშობით, მაგრამ XI-XII საუკუნეებში კახელი ერისთავები არიან და, შესაძლებელია, შიდამიგრაციული პროცესების მოწმეებად გამოგვადგნენ უკვე ადრეული შუა საუკუნეებისათვის.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ისტორიული ტოპონიმიკის ანალიზი შესაძლებლობას იძლევა არა მხოლოდ ახლებურად დაისვას ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემა, არამედ კონკრეტულად წარმოვიდგინოთ ის ისტორიულ-დემოგრაფიული პირობები, რომელშიც ხორციელდებოდა ეს დიდი პროცესი.

კიდევ მეტი, ისტორიული ტოპონიმიის შესწავლა და ანალიზი, კერძოდ, ისეთი ოიკონიმების გამოვლენა, როგორიცაა, მაგალითად, მისაქციელი, ყელქცეული, კლდეკარი, ნახიდური, ტინისხიდი, ხიდისთავი და სხვა, ახალ რეალიებს იძლევა ტომთა და რეგიონთა შორის გზებისა და საკომუნიკაციო არხების დადგენის თვალსაზრისით, ხოლო რიგი ტოპონიმებისა მაგალითად, სარკინე, გომი და სხვა, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და მეტალურგიის ინტენსიურ განვითარებაზე მიუთითებს, ცხადად გვიჩვენებს იმ ეკონომიკურ საფუძველს, რაც განაპირობებდა ტომთა და რეგიონთა შორის, კერძოდ, მთისა და ბარის მოსახლეობის მჭიდრო ურთიერთობას.

ზემოთქმული, რა თქმა უნდა, ნაწილია იმისა, რაც ისტორიული ტოპონიმიის ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია გაშუქდეს ქართველი ხალხის ეთნიკურ-დემოგრაფიული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ისტორიის აღდგენის თვალსაზრისით. ყველაფერი ეს სრულიად ახლებურად გააშუქებს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესს.

გეოგრაფიული სახელწოდებანი შემთხვევით არ წარმოიქმნება, მათ ქმნის საზოგადოება და ამდენად მათი ერთობლიობა ანუ გარკვეული ტერიტორიის ტოპონიმია ყოველთვის უტყუარად აირეკლავს მისი შემქმნელი საზოგადოების არა მხოლოდ ეთნიკურ სახეს, არამედ სო-

ციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს და კულტურულ-პოლიტიკური ვითარების სურათსაც. ამდენად, ტოპონიმიკა, თუმცა კი ლინგვისტიკის დარგია, მაგრამ ამავე დროს ისტორიული მეცნიერების უაღრესად მნიშვნელოვანი დამხმარე დისციპლინაც გახლავთ, რომლის მეცნიერულად კორექტული გამოყენება ფრიად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარების პროცესის რიგი ფუნდამენტური პრობლემების გაშუქებისა და გადაწყვეტისათვის.

ტოპონიმიკა, როგორც მეცნიერება, ფაქტობრივად, ახალი ფენომენია და ჩვენს სინამდვილეში დაახლოებით ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტს მოითვლის. ამ არც თუ დიდი ხნის განმავლობაში საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა, კერძოდ საქართველოს ტოპონიმიის აღნუსხვის თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ შეკრებილია ქვეყნის ცალკეული რეგიონების, მაგალითად, აჭარის, გურიის, ჭანეთის, სამცხის, შავშეთ-იმერხევის, ერწო-თიანეთის, ქსნის, ლიახვის, არაგვის ხეობების, ლეჩხუმის და რაჭის გეოგრაფიული ნომენკლატურა, 1969 წელს თბილისის უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან შეიქმნა საქართველოს ტოპონიმიკური კვლევის ლაბორატორია, რომელმაც უზარმაზარი სამუშაო ჩაატარა ამ მიმართულებით, გამოსცა ტოპონიმიკურ გამოკვლევათა ორი ტომი; გამოცემულია „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (გ. ბედოშვილი, 2002) და სხვა და სხვა.

ამგვარად, თუმცა კი დიდძალი მასალაა დაგროვებული საქართველოს თანამედროვე ტოპონიმიის, ასე ვთქვათ, გლობალური შეკრების თვალსაზრისით, მაგრამ ჩვენთვის, როგორც ისტორიკოსებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ტოპონიმიას, შემორჩენილს ისტორიულ წყაროებში, მატიანეებში თუ ისტორიულ საბუთებში. სწორედ ამან განაპირობა ჩვენს მიერ შერჩეული პროექტი - „საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში“ – რომელიც დაფინანსდა ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის (რუსთაველის ფონდი) გრანტით.

აქაც ჩვენ ცარიელ ადგილზე არ მოგვიხდა მუშაობის დაწყება. ცალკეული გამოკვლევების გარდა ამ მიმართულებით, რომლებიც ქვეყნდებოდა გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდანვე ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ახლად ჩამოყალიბებული ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების სპეციალურ კრებულებში, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის პუბლიკაცია – „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის“, წიგნი I, თბ. 1964, რომელიც გამომცემლების, აკად. ზ. ალექსიძისა და პროფ. შ. ბურჯანაძის სიტყვით, მიზნად ისახავდა ზემოხსენებული ინსტიტუტის ფონდებში დაცული ისტორიული დოკუმენტებიდან პირთა და გეოგრაფიული სახელების შესახებ მასა-

ლის ამოწერას, მეცნიერულ დამუშავებასა და გამოსაქვეყნებლად მომზადებას, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც.

ჩვენი პროექტი გულისხმობს დღემდე სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მეცნიერთა მიერ გამოქვეყნებული ისტორიული საბუთებიდან ამოკრებილი შუა საუკუნეების საქართველოს ტოპონიმიის სრულ კორპუსს, რომლის ქრონოლოგიური მიჯნები მოიცავს IX–XVIII საუკუნეებს, XIX-ს–ის დასაწყისის ზოგიერთი დოკუმენტის ჩათვლით. პროექტის სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული ტოპონიმი ამოწერილია საბუთებიდან უცვლელად, იმ კონტექსტით, როგორც იგი წარმოდგენილია ორიგინალში, ტოპონიმის (სოფლის, ქალაქის, მიწის ნაკვეთის და ა.შ.) შესახებ შემცველი ინფორმაციით: ვის ეკუთვნის ესა თუ ის ობიექტი (სამეფოა, საეკლესიოა, სათავადოა, სააზნაუროა, ყმა-გლეხისაა თუ მოქალაქის კუთვნილია და ა.შ.); როგორია მისი სოციალური სტატუსი (მკვიდრია, ნასყიდია, შეწირულია და ა.შ.). ან ვინ ხდება მისი მესაკუთრე (იყიდება, შეიწირება, წყალობად გაიცემა და ა.შ.). ასე რომ მკითხველისათვის, ფაქტობრივად, საჭირო აღარ იქნება იმ ძველი გამოცემისადმი მიბრუნება, სადაც ესა თუ ის საბუთი პირველად იყო გამოქვეყნებული.

ჩვენ მიერ დამუშავდა XIX-XX საუკუნეებში გამოქვეყნებული საისტორიო საბუთების ყველა კრებული (დ. ფურცელაძის, ალ. ხახანაშვილის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის, ს. კაკაბაძის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ი. დოლიძის, შ. ბურჯანაძის, მ. ბერძენიშვილის, ე. სილოგავას, ნ. შოშიაშვილის და სხვათა პუბლიკაციები), აგრეთვე, პერიოდულ გამოცემებში („ძველი საქართველო", „საისტორიო მოამბე", „საისტორიო კრებული" და სხვ.) და ცალკე დაბეჭდილი დოკუმენტები. დაწვრილებითი სია შემოკლებათა განმარტებებშია წარმოდგენილი.

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ საბუთებში საქართველოს ტოპონიმიის ამსახველი ზღვა მასალაა შემონახული, რომლის აღრიცხვა, ფიქსაცია და ქრონოლოგიურად დალაგება უაღრესად შრომატევადი და რთული საქმეა.

ისტორიული ტოპონიმიის წინამდებარე კორპუსის შექმნაზე მუშაობა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილებაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო მალევე შეწყდა. მუშაობა განახლდა მიმდინარე საუკუნის პირველივე წლებიდან, თუმცა განათლებისა და მეცნიერების დარგში გატარებული ე. წ. „რეფორმის" შედეგად, რამაც ზემოხსენებული ინსტიტუტის სრული „რეორგანიზაცია" განაპირობა, 2006 წელს კვლავ შეჩერდა. მიუხედავად ამისა, ამ დროისათვის შეგროვებული იქნა დიდძალი მასალა, რომელიც სათანადო ბარათებზე ამოწერილი, კარტოთეკის სახით ინახებოდა განყოფილების არქივში.

2007 წელს ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის („რუსთაველის ფონდის“) მიერ გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებული გრანტის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საქართველოს ისტორიული ტოპონიმიის კორპუსზე მუშაობის კვლავ განახლება და მისი დასრულება. უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვან შეფერხებებს ამ დროსაც ჰქონდა ადგილი. ჯერ ერთი, გაირკვა, რომ ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის „რეორგანიზაციის“ დროს დაკარგულია კარტოთეკის ნაწილი, რის გამოც საჭირო გახდა დანაკლისი მასალის ხელახალი მოძიება, რაც ფრიად რთული საქმე იყო. გარდა ამისა, 2008 წელს უდროოდ გარდაიცვალა საგრანტო პროექტის ერთერთი ძირითადი შემსრულებელი, პროფ. დ. ბერძენიშვილი, რომელიც შემდგომში შეცვალა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მ. სურგულაძემ.

მიუხედავად ამ სირთულეებისა პროექტზე მუშაობა დასრულებულ იქნა.

მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ისტორიული ტოპონიმიის კორპუსის შემდგენლებს გარდა, მასალის მოძიებასა და დამუშავებაში წინა წლებში ინტენსიურად მონაწილეობდნენ ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების აწ გარდაცვლილი თანამშრომლები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯ. გვასალია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ცინცაძე და თ. ტატიშვილი.

მადლობა უნდა გადავუხადოთ პროექტის შესრულებაში მონაწილე ლაბორანტებს - ლ. ეძგვერაძეს და ც. კიღურაძეს - რომელთაც ძირითად შემსრულებლებთან ერთად, დიდი სამუშაო გასწიეს ინსტიტუტში დატოვებული კარტოთეკის დაკარგული ასოების ტოპონიმთა ხელახლა მოძიების პროცესში და კომპიუტერში აწყობილი ტექსტების კორექტირების დროს; ოპერატორებს ა. რუაძეს და მ. ბუტიკაშვილს - ფრიად რთული ტექსტების კომპიუტერში გადატანის მძიმე საქმის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის კომისიის სწავლულ მდივანს ლ. ყაზახიშვილს პროექტის კომპიუტერული ვერსიის კორექტირებისათვის.

რამოდენიმე სიტყვით წინამდებარე გამოცემის შესახებ.

საქართველოს ისტორიული ტოპონიმიის კორპუსის შედგენისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით შემდეგი წესით:

1. ტოპონიმები დალაგებულია ანბანის მიხედვით ქრონოლოგიურ რიგზე. ტოპონიმს გვერდზე მიეწერება საბუთის თარიღი.

2. თუკი უეჭველია ტოპონიმის გეოგრაფიული ლოკალიზაცია, მას გვერდზე მიეწერება ის მხარე თუ კუთხე (ქართლი, იმერეთი, არაგვის ხეობა...), რომელშიც იგი იგულისხმება.

3. თუ ტოპონიმის ლოკალიზაცია ვერ ხერხდება ან მისი ლოკალიზაცია პირობითია მას ვარსკვლავი უზის.

4. თუკი ტექსტებში ერთი და იგივე ტოპონიმი სხვადასხვა ვარიანტული ფორმით გვხვდება (მაგ.: აგუდანეთი და აგვდანეთი), ძირითად ფორმად გამოგვაქვს ის, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება ტექსტში. ძირითად ფორმას გვერდზე მიეწერება შტრიხებით გამოყოფილი ვარიანტული ფორმები თვით ტექსტში დედნისეული ფორმებია შენარჩუნებული.

5. თუ ტექსტში ორი ან მეტი ტოპონიმია, როგორც წესი, ტექსტი გამოგვაქვს პირველ ტოპონიმზე, დანარჩენი ტოპონიმები თავის რიგზეა განლაგებული მითითებით (იხ.=„იხილე“) პირველ ტოპონიმზე.

6. საბუთის ტექსტის პუბლიკაცია, როგორც წესი, ხდება უკანასკნელი (უახლესი) გამოცემის მიხედვით.

7. რიგ შემთხვევაში (თუკი კონტექსტიდან ეს ნათლად არ იკვეთება) ტექსტის თავში სწორკუთხა ფრჩხილებში მითითებულია საბუთის სუბიექტი ან სუბიექტები (გამცემი და მიმღები...) ან საბუთის რაობა (მაგ.: [სამთავნელის ეპარქიის სოფელთა ნუსხა]...).

8. ქარაგმები, როგორც წესი, ტექსტში გახსნილია.

9. თუ სხვა გამოცემებში განსხვავებულია საბუთის თარიღი ან ტოპონიმის წაკითხვა, როგორც წესი, განსხვავება ნაჩვენებია შენიშვნებში.

10. აშკარად შეცდომით დაწერილი ტოპონიმი ტექსტში აღდგენილია.

11. ისეთი, ასე ვთქვათ, ზოგადი ხასიათის გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა: საქართველო, ქართლი, კახეთი, სამეგრელო და სხვა, ან ტფილისი (იგივე „ქალაქი“), გორი, თელავი და სხვა მისთანანი, იმ შემთხვევაში გამოგვაქვს ტექსტის თავში, თუ რაიმე მნიშვნელოვან ისტორიულ კონტექსტს უკავშირდება.

აბაზურას მიწა. ქართლი

აბაზურას მიწა 1736 – ... ავიღე მე, თურქაძემა და თამაზამ ... ჯომარდისა და ივანესაგან, რვა მარჩილი ახალი თეთრი. ამის გირაოდ მოგეცით ჩვენი აბაზურას მიწა და აღდგომელას ნავენახობი, ერთის წლით (მსეი, II გვ. 26).

აბალია – იხ. აბელია

აბანევი – იხ. ავნევი

აბანო. კახეთი

აბანო 1795 – იხ. ვანთა

აბანო 1797 – იხ. ვანთა

აბანო. ქვემო ქართლი

აბანო 1651 – სახლისუხუცესი ბარათაშვილი ყაფლან და მათი განაყოფი იოთამის შვილები ... აბანოსა და ტანძიას ზედათ მიწებზედ იცილებოდეს... ის მიწები ჩვენცა [როსტომ მეფემ] სამკვიდროდ და საბოლოოდ იოთამის შვილებისათვის გვიბოძებია (ქსძ, IV, გვ. 91).

აბანო 1670 – [განჩინება შაჰნავაზ მეფისა]: ...საუპატიოთ გაუჩინეთ ბატონს ყაფლანს [ბარათაშვილს] და მის შვილებს ვირშელიშვილის პაპუნასა და შანშეს მამულისაგან: სოფელი აბანო თავისის მსახლობელის გლეხითა, მიწა-წყალითა... სოფელი სენების თოფრაყალა, გოშპარიშვილის კერძს გარდაისად, მისის გლეხითა მიწა-წყლითა... და ნასოფლარი ბაღჩალარი ყოვლის მისის მიწა-წყლითა... (ქსძ, IV, გვ. 125-126).

აბანო 1729 – იხ. ცხნარი

აბანო 1774 – იხ. ჩარგამაშენი

აბანო. შიდა ქართლი

აბანო 1401-1415 – იხ. ულუმბა

აბანო 1579 – იხ. მცხეთა

აბანო XVII ს. დამდ. – იხ. ნული

აბანო 1615 – [წყალობის წიგნი ლუარსაბ მეფისა დავით ბაგრატიონ-დავითაშვილისადმი]: რისაცა მამულის და ყმისა მქონებელი იყავითა ანუ ვაჭრისა და ანუ აზნაურის შვილისა ... ყველა უკლებლად შენთუის და შვილთა თქუენთუის გუიბოძებია... და აბანო, რა რიგაცა უწინ ჰქონებოდეს, ისრევე თქვენთათუის გუიბოძებია... (სს, II, გვ. 228).

აბანო 1615-1619 – იხ. ტკოცა

აბანო 1634 – იხ. ბროწლეთი

აბანო 1636 – იხ. ხოელე

აბანო XVII ს. II ნახ. – იხ. სატივე.

აბანო 1716-1724 – [განჩინება ელისბარ და კოსტანტილე დავითიშვილების გაყრის საქმეზე]: ... აბანოს სასახლე როგორც ბატონის განაჩენში ეწერა,

ისე კოსტანტილესთვინ დაგვინებებია. და იმისი ზომა სასახლის ადგილათ ელისბარ ზოგი იქივ აბანოს ნაკოშკარი და ცოტა რამ ადგილი მოიზომა; და სხვა თიხრევს ზარდიაშვილის ნასახლარი და ნაფუზარი მოიზომა. და ნულის სასახლე ბატონის განაჩენში გასაყოფლად ეწერათ: კოშკი ორისავ ძმის საწილოთ დავდევით... ზერები შევაფარდეთ და აბანოს ზვარი და ქინძთის ზვარი ელისბარს დარჩა და ნულის ზვარი – კოსტანტილესა. და ღვერთული ზვარი შუა გავყავით... (ქსძ, IV, გვ. 306-307).

აბანო 1717 – ...ფიცი და პირი მოგეცით ჩვენს განაყოფს ფარემუზიშვილს როინს ... ჩვენ, ჯავახიშვილმა გოშპარ... მამულს გედავებოდი და [მეფის ბრძანებით ედიშერ ციციშვილმა] ... ყველა ჩვენი საქმე რიგიანათ გასინჯა... და შენც დამანებე აბანოს: გაგელაშვილი აბრამა ... და ... კიდევ იმისი განაყოფები... (ქსძ, IV, გვ. 274).

აბანო 1718 – [ვენახის გაცვლის წიგნი მანგლელი ეპისკოპოსის იოანეს და ფარემუზ ჯავახიშვილისა]: ძველითაგან სვიმონ მეფისა ... და მეორედ ჴელახლა შაჰნავაზ მეფისაგან მანგლისისა ღმრთისმშობლისათვინ სააღაპოთ შეწირული ზვარი აბანოს გაგიცვალეთ ქვენადრის ხახიაშვილის მახარას ვენაჴზედა და მოგეცით ჩვენის მონასტრის ზვარი თავის წყლითა, აბანურის წყლით უნდა ირწყვოდეს, ისე შესწირვია... ვინცა და რამანცა მანგლისისა მეპატრონემ ამისად შლად ჴელყოს, რისხვამცა თვით ღმერთი დაუსაბამო... ამისნი მოწამენი... სრულ ერთობილნი ჩვენის მონასტრის მანგლისისა ღმრთისმშობლის ყმანი... (სს, II, გვ. 306).

აბანო 1721 – [ნასყიდობის წიგნი ნიკოლოზ ჯავახიშვილისა ოთარ რატიშვილისადმი]: ... აბანოს კოკოსასშვილი გიორგი, ხოვლეს ბითაძე ბეჟანა, კიდევ ხოვლეს ფაზიაშვილი ბასილა, იქავ ხოვლეს კაკანაშვილი შერმაზანა ... ესენი რისაც მამულის მჭონებელნი არიან თქვენთვის ნასყიდათ მომიცია... (სს, II, გვ. 314).

აბანო 1723 – იხ. ხანდაკი

აბანო 1734 – იხ. ნაბახტევი

აბანო 1737 – იხ. ხოვლე

აბანო 1728-1750 – ... მე, ბედიაშვილმა პაპუნამა ... შენ, ზუბიაშვილს სეხნიასა ... მოგყიდე შვილი ჩემი პატარკაცი... ამისი მოწამე ბერი ოქრუაძე, გივი ბასილიძე, ბეჟია სებისკვერაძე, სულ ერთპირათ აბანოელნი... (დსსი, I, გვ. 227).

აბანო 1744-1760 – ... მე, ამირეჯიბმა ... სვიმონ, გიგოლაშვილმა ...იმა ... თქვენ აბანოულებს: კოკაოლაშვილს ძაღლუას ... სებისკვერაძეს პავლეს ... დავით წერეთელი დაგასხით და სოფლეურათ აგყარეთ ცოლშვილით და გაგყიდეთ... (სს, II, გვ. 485).

აბანო 1750 – [პირობის წიგნის ბაგრატიონ-დავითაშვილებისა]: ... გაყრა მოგვიხდა, მამული სულ გავყავით ბარათით... მოგეცით ჩვენი ბარათში ნარგები გოგია ტატიშვილი... კიდევ აბანოს კვესაძე ივანე... და კიდევ ნულს დემეტრაშვილის მამულის, რისაც მჭონებელია ისიციც მოგვიცემია... (სს, II, გვ. 483).

აბანო 1750 – იხ. თორმანეული

აბანო 1798 – ... ჩვენ, მდივანბეგებმა მოვისმინეთ საჩივარი დავითისშვილის ზაალისა და რამაზიშვილის შანშე მილახვრისა... შანშემ პირველის მეფის ერეკლეს წიგნი მოიტანა ... რომ ... ლევანს [რამაზიშვილს] მიეცით რიკაძე დათუნა თავის მამულითაო, აბანოს ქვათავრაშვილი ბერუკა... ჩვენ ეს წიგნი რომ გავშინჯეთ ... ასე განესაჯეთ: ... სამი წილი სადავითისშვილოს მამულისა თვალ-დამწვარის [დავითის] შვილებს ... უნდა ჰქონდესთ და მეოთხედი ამ სადავითისშვილოს მამულისა – რამაზიშვილებს... (სს, III, გვ. 180-181).

აბანო XVIII ს. – იხ. ახალციხე

აბანო XVIII ს. – იხ. ნული.

აბანოები. თბილისი

აბანოები 1645 – იხ. ქართლი

აბანოეთი. რაჭა

აბანოეთი 1757 – ... ჩვენ, ბატონმან აბაშიძის ქალმან დარიჯან ... შემოგწირეთ [ნათლისმცემელს] აბანოეთს გლეხი პატარიძე ძიძის შვილი მისის ყოფიანად... (მსკი, 31, გვ. 178).

აბანოეთი 1794 – იხ. ბოგოული

აბანოს ველა. კახეთი

აბანოს ველა 1746-1749 – იხ. გრემი

აბანოს ველის გორი. კახეთი

აბანოს ველის გორი 1746-1749 – იხ. გრემი

აბანოს კარი. თბილისი

აბანოს კარი 1784-1790 – იხ. ქალაქი

აბანოს ხიდი. თბილისი

აბანოს ხიდი 1795 – [მოხსენება იოსებ ყორღანაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ...დოშამის ხეებისა რომ გიბძანებიათ ჯავახიშვილებისათვის, არ მოვიდა... დღეს-ხვალობით მოველით. აბანოს ხიდსაც ვმუშაობთ... ჩემის ძმის-წულის... ძალიან ავათმყოფობა მამივიდა და იქ გორს წავიდა... (სს, III, გვ. 361).

აბანოური. შიდა ქართლი

აბანოური 1702 – იხ. ზაკვი

აბანურის წყალი. შიდა ქართლი

აბანურის წყალი 1718 – იხ. აბანო

აბარაში კალო. შიდა ქართლი

აბარაში კალო 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

აბრამიშვილის ნაზურევი. ქვემო ქართლი

აბრამიშვილის ნაზურევი 1654 – იხ. ნაჭიდური

აბაშიძისოული მამული. იმერეთი

აბაშიძისოული მამული 1770 – იხ. ჭალა

აბეთი. შიდა ქართლი

აბეთი 1433 – იხ. კოდისწყარო

აბელია // აბალია. ქვემო ქართლი

აბელია 1580 – იხ. სამღერეთი

აბელია 1612-1659 – იხ. ხოფისი

აბელია 1653 – ესე... წიგნი მოგართვით ... ჩუენ, გოგიბაშვილი ყაფიჩიბაშმა დონმაზ ... თქვენ, ბარათაშვილს ... ოთარს... მას ჟამსა, ოდეს ჴელმწიფეთაგან ნაწყალობევი და ნაჯილდოები, ამოვარდნილის სააკაძის ზურაბისა და თამაზის სამკვიდრო ... სოფელი აბელია ჩვენ გვქონდა, და თქვენზედ სამხროდ და მარჯჳედ იყო, და ვანქს თქვენი სამკვიდრო ... მამული მიწა და წყალი სომხითს ჩვენზე ახლო იყო, და ერთმანერთის ნება-მყოფლობით ... აბელია ... თქვენ დაგიდევით და გაგიცვალეთ ვანქს რისაც მქონებელი იყუნით... (სს, I, 1899, გვ. 381-382).

აბელია 1714 – იესე გერმანოზისშვილი და მისი ძმის წულები დათუნა და პაატა აბელიას [ცილობდნენ]... (სს, I, 1899, გვ. 349).

აბელია 1731 – ... ჩვენ, გერმანოზიშვლის დათუნას შვილმა პაპუამ ... თქვენ, ორბელისშვილს ... ქაიხოსროს ... მოგყიდეთ აბელიას კახიშვილი ზურაბა თავის მამულ-დედულითა... (დსსი, I, გვ. 233).

აბელია 1732 – ... ჩვენ, გერმანოზიშვილმა ლუარსაბ ... თქვენ, ყაფლანიშვილის რევაზის ქალს, მარიამს ... მოგყიდე აბელიას შამაშვილის მამული ბუზიარით... (სს, I, 1920, გვ. 87).

აბელია 1733 – ... ჩვენ, გერმანოზიშვილმა ლუარსაბ ... თქვენ, გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს ... მოგყიდეთ აბელიას ძაბანაშვილი ძაბა და დათუა თავისის მამულითა... (სს, I, 1899, გვ. 453).

აბელია 1735 ... ჩვენ, გერმანოზიშვილმან გერმანოზ ... თქვენ, ყაფლანიშვილის რევაზის ქალს მარიამს ... მოგყიდეთ აბელიას ჩემი ბარათში გამოყოლილი ზაზაშვილი გრიქოლა თავისის მამულით... (სს, I, 1899, გვ. 454).

აბელია 1738 – ... მე, გერმანოზისშვილმა ოთარ ... თქვენ, გოსტაშაბისშვილს ქაიხოსროს ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო ბარათის ყმა აბელიას დარბაისელი ერაპეტას-შვილი, იქიე ჭიხუასშვილის მამული (დსსი, I, გვ. 274).

აბელია 1756 – იხ. პირმიწეთი

აბელია 1756 – იხ. ცხეკევი

აბელის სოფელი. ქვემო ქართლი

აბელის სოფელი 1612-1659 – იხ. გუდარეხის მონასტერი

აბისი. შიდა ქართლი

აბისი 1633 – [სიგელი თეიმურაზ I-სა ზაქარია ავალიშვილისადმი]: ... მას ჟამსა ოდეს ქართლს ყეენი მოგუიჴდა და ვეღარ დაუდეგით და გარდავედით ლიხთ-იმერით [თქვენც თან გვახლდით]... თქუენისა ერთგულობისა ... სანაცულოდ, გიბოძეთ ისივ თქუენი სამკუიდროდ მეფეთაგან მოცემული

სოფელი სომანეთი და აბისი ... და შენის მამიდაშვილის ფავნელიშვილის იოთამის კერძი მამული ... მისის სამართლიანითა და გაღმა ჰერედვითა. და რაცა ვის რამ მისის მოხდომილის მამულისაგან ჰქონოდეს ... ყოველითურთ თქუენთჳს გუიბოძებია... (სს, III, გვ. 542).

აბისი 1768 – იხ. ზემო ქართლი

აბისი 1778 – ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი მოსცეს ... საყვარელიძე შოშიას... მე თქვენის ბძანებით თორმეტი დღე აბისს გახლდი. მისულა გოგია ნამორაძე ტბეთს და ჩემის მიწების ღალა აუღია... წყალობას ვითხოვთ, სამართალში გვალაპარაკოთ... (ქსძ, VII, გვ. 420).

აბისი 1779 – იხ. ზემო ქართლი

აბისი 1779 – იხ. სურამი

აბისი 1783 – იხ. ზემო ქართლი

აბისი 1789 – [არზა იესე მურვანიშვილისა ერეკლე II-სადმი]: ... ჩემი საჩივარი აბისსაც მოგახსენე, მაჭავარიანისა და ჩემი საჩივარი... მაჭავარიანი სუფრიდამ ადგა და წავიდა. გამობრუნდა და სურამს მოგვეხდა... (ქსძ, VIII, გვ. 32).

აბისი 1793 – [არზა იუსტინე მროველისა ვახტანგს ბატონიშვილისადმი]: ხარებაშვილს გიორგი მღვდელს აბისი სოფელი მივაბარე სანახევროთ_ და თორმეტი მინალთუნი თეთრი უშოვია და ოცდაოთხი კოდი პური. ახლა არას იძლევება. და რადგან თქვენი ყმა იყო, ჩვენგან ძალა არ დაიტანებოდა_ მე იმერეთს გახლდი და ცოლ-შვილით აყრილიყო და შინდისს გხლებოდა და ეს თეთრი და პურიც მაშინ წაელო (ქსძ, VIII, გვ. 196-197).

აბისი XVIII ს. – იხ. ახალციხე

აბისი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

აბისის ჭალა. შიდა ქართლი

აბისის ჭალა 1789 – [იოანე მუხრანბატონი იოსებ მიშკარბაშს]: ...თქვენი წიგნი მომივიდა, რაც მოგეწერა ვიუწყეთ... აქაურს ამბავს იკითხავ: აქაე, აბისის ჭალაში ვდგევართ და დავით ნამეფარს მოველით, და ღვთით ერთს კვირაზე ჩვენც დავბრუნდებით (სს, III, გვ. 53).

აბლევი – იხ. ამლევი

აბოწმინდა. შიდა ქართლი

აბოწმინდა 1712 – იხ. ურბნისი

აბოწმინდა 1724-1744 – იხ. ძარწემი

აბრამეთი. ქვემო ქართლი

აბრამეთი 1633 – იხ. ზემო ოძისი

აბრამეთი 1736 – ... მე, უსუბეგისშვილმა ქაიხოსრომ თქვენ, გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს ... ჩემი სამკვიდრო მამული მოგყიდე აბრამეთს... (სს, I, 1920, გვ. 89).

აბრამეთი 1738 – ... მე, გერმანოზისაშვილმა ლუარსაბ თქვენ, გოსტაშაბისშვილსა ამილღამბარსა ... მოგყიდეთ ჩემის ყმის გელიტაშვილისა ნასყიდი მიწა, აბრამეთის ბოლოს ალგეთის პირს, გზას ქვეით დიდი მიწა, გზის

ზევით გრძელი მიწა თავისის სამძღვრით, საწყლისპიროთი, საწისქვილოთი... ერთი საკომლო მარაბდას მოგცე, თუ ეს დამიჩხუბდეს... (სს, I, 1899, გვ. 454-455).

აბუთკარი. შიდა ქართლი

აბუთკარი 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

აბუთკარი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

აბულაშენი. ქვემო ქართლი

აბულაშენი 1628 – [დედოფალ ჯაჰანბანუს წყალობის წიგნი ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი]: ... აბულაშენის ნაოხრს ნასოფლარს წყალობას დაგვეაჯენით... გიბოძეთ ნასოფლარი აბულაშენი მისისა ... სამართლიანის სამძღურითა... (სს, II, გვ. 122).

აბულახტარის მამული // აბულახტარისძეთა მამული. შიდა ქართლი

აბულახტარის მამული 1427/1428 – ... ჩუმნ ... მეფისა ალექსანდრესაგან... კათალიკოზი თეოდორე გუეაჯა და დავანებე ... ამას აქათ აბულახტარის მამული სრულიად ეკლესიითა, სასაფლაოთაჲ... წირს გორგელისძე დათუა... მკუიდრად სამამულოდ... (ქრონ, II, გვ. 230).

აბულახტარის მამული 1433 – ... მე ... (მოლარეთ-უხუცესმან) ზევდგინიძემა თაყამა ... შევწირე ... (მცხეთას) და კათალიკოზს თეოდორეს მეფეთაგან წყალობად მკუდრად ბოძებული ქუეში ნასოფლარი, პირველ აბულახტარისძეთა მამული ყოფილა მკუდრი... აგარის ნათესავთა ჴელით ... ოჴერ ქმნილი [ყოფილა]... მეფეთა სამკუდროდ მე მიბოძეს და თქუენ ... მოგაჴსენე... ცოლისა სიძულვილი შემოვიდა ჩემსა ბუნებასა და დავაგდე და სხუაჲ ცოლი შევირთე და კარბს ორნი გლეხნი მოგაჴსენენ და კანონი თქუენ და მცხეთამან მიიგდეთ და მას უკანით ასი კარბულნი, ორნი გლეხნი დამიხსენით და აბულახტარისძეთა მამული ქუეში მთხოეთ და ... მომიჴსენებია... (ქრონ, II, გვ. 240).

აბულმუქი. ქვემო ქართლი

აბულმუქი 1727 – იხ. ახალშენი

აბხაზეთი – იხ. აფხაზეთი

აბჯარეული ზუარი. ჯავახეთი

აბჯარეული ზუარი XIII ს. – იხ. ვანისქვაბები

აგარა. იმერეთი

აგარა 1492 – იხ. სახადი

აგარა. კლარჯეთი

აგარა 1392 – იხ. ტფილისი

აგარა. რაჭა

1071-1080 – იხ. ზნაკვა

აგარა. ტაო

აგარა 1392 – იხ. ტფილისი

აგარა. შიდა ქართლი

აგარა 1170 – იხ. სხალტბა

აგარა 1211-1212 – [ლაშა-გიორგის სიგელი შიომღვიმისადმი]: ... მოგუაჴსენა ქრისტეს გამორჩეულმან სასომან ... წმიდამან მამამთავარმან იოვანე ქართლისა მთავარებისკოპოსმან, უდაბნოისა მღუიმისა სოფლისა აგარისა საქმე... ჩუენ ვისმინეთ მოჴსენებაი და ჰაჯაი მისი იოვანე ქართლისა მთავარებისკოპოსისაი და გაგუიშუია ზროხისა შებმაი, რომელი ზედა ედვა უდაბნოისა მღუიმისა სოფელსა აგარასა, რაიცა მღუიმისაი არს საკუირაოისა გლეხითურთ... აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი საგამგეოისა ჩუენისა მოურავთა მუხნარისა ციხისთავთა, მეზროხეთა და ყოველთა საქმის-მოქმედთა... დაამტკიცეთ... (ქისკ, I გვ. 110).

აგარა 1230-1235 – [დაწერილი დემეტრე წირკნელისა საბასადმი]: ... აწ თქუენდა მოგუიცემია მკუიდრად მამულად სახლი და პური უკუდავი და აგარას ორი ვენაკი მიწიანი, სხალტბას ვენაკი და მიწანი და წყლისპირს ვაზნი, კითხვითა და ნება-დართვითა სრულად მღუიმისა კრებულთაითა ... ბორცვის ჯურის ... თუ ... ალგეთი გაკაცრიელდეს, ამაეე საქმითა შენ გქონდეს, ვენაკი და მიწანი, რომელიცა სხალტბას არიან, ყუელანი; აგარას: გოგთური – გუთანი ერთი, ბულახური – გუთანი ერთი ... მესხურისა მიწისაგან – გუთანი ორი, ამას რანიცა მიწისა მეტნი იყოს აგარას, თუ ჩემისა გუარისა კაცი არ იყოს მღუიმეს ... და რაიცა რუეთს ნასყიდნი არიან, იგინიცა გამზრდელისა ჩემისა და ჩემგან მოგებული ყუელაი საბოლოოდ ამა ეკლესიისათუის მიგუიცია. აწ გიბედნიეროს ღმერთმან ერთგულობასა შინა ჩუენსა ... [და] არა შეგეცვალოს ჩემ დემეტრე წირკნელისაგან... (ქისკ, I, გვ. 112-113).

აგარა 1392 – იხ. ტფილისი

აგარა 1447 – იხ. მცხეთა

აგარა 1529-1530 – იხ. ვეძისი

აგარა 1559 – იხ. სხალდიდი

აგარა 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

აგარა 1747-1749 – იხ. ძამის ციხე

აგარა. ჯავახეთი

აგარა XV ს. – იხ. ვანისქვაბები

აგუდანეთი // აგვდანეთი. ქვემო ქართლი

აგუდანეტი 1626 – ... [მეფემან] სუიმონ ... თქუენ ... ბარათაშვილს ამილღაბარის შვილს ყაფარ-ბეგს ... გიბოძეთ თქუენივ ნაქონი აგუიდანეთი[1] მისის სამართლიანის სამზღვრითა... (ქსის, გვ. 55-56).

აგუდანეთი 1634 – იხ. დიდგორი

[1] სპარსულ ვარიანტში დაკონკრეტებულია: „საბარათიანოს სოფელი აგუდანეთი“.

აგუდანეთი 1641 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშუილს გოსტაშაბიშვილს პაპუნას... მჭედელი მგელია დიდს შიმშილობაში აგუდანეთს ყმად დაგსახლებოდა, შეგენახა ... თექუსმეტი წელიწადი... ჩუენცა ... საბოლოოთ თქუენთვის გვიბოძებია (დსსი, I, გვ. 26).

აგუდანეთი 1713 – [გოსტაშაბისშვილი თამაზ სოსიტაშვილს ასლანს]: ...მოგეცით ჩვენის ბარათში გამოყოლილის მამულებიდან აგვდანეთს სოლომას ნაქონი სახლკარი, შენ რომ სასახლე გიდგს, ისი უმამულოდ, იქიე ერთი კომლი გელიტაშვილი გიორგი თავის მამულით და წინა ნაფუზრის ნახევრით... (სს, I, 1920, გვ. 130).

აგუდანეთი 1713 – იხ. ღოლოვნა

აგუდანეთი 1732 – იხ. პატიმანი

აგუდანეთი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ადლითი – იხ. იდლეთი

ადმაში. შიდა ქართლი (?)

ადმაში 1786 – ყარა-ისაულბაში ლუარსაბ გწერ, იასაულო გურგენი პოპიაშვილო! მერმე ფარსადან ოსიტაშვილს ოქმი აქვს ჩემზედ, მისი ყმა ლოლაძე ადმაშელი პეტრე რომ არის მარტყოფსა, ახლავ მიდი, თავისი კაცი მიაბარე, თავდები გამოართვი... (სს, I, 1920, გვ. 102).

ადო. ხევი

ადო 1439 – იხ. ხევი

ავაზანი. იმერეთი

ავაზანი 1515-1535 – იხ. კაცხი

ავაზანი. ქვემო ქართლი

ავაზანი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ავაზანი 1633 – იხ. ზემო ოძისი

ავაზანი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ავაზანი. შიდა ქართლი

ავაზანი 1754 – იხ. დიღომი

ავაზანი 1756 – იხ. ორჭოშანი

ავაზანი 1759 – იხ. ძევერა

ავაზნის გზა. შიდა ქართლი

ავაზნის გზა 1716 – ... მე, პარკაძემ პეტრემა ... შენ, დათუნას მღდელსა ... ავაზნის გზის მიწა მოგეცით ზევით გორამდინ, ქვემოთ კიდევ გორაკამდინ, ზეითი გვერდი სუხიტაშვილის მიწის მიდგმამდე, ქვემოთი გვერდი ძამუკაშვილის მიწის მიდგმამდი... არის ამისი მოწამე ... ჰელიერთპირ შაშვებელნი (დსსი, I, გვ. 173).

ავაზნის წყარო. ქვემო ქართლი

ავაზნის წყარო 1662 – იხ. აკაურთა.

ავანათი.[2] ქვემო ქართლი (?)

ავანათი XVIII ს. შუა წწ. – იხ. გარეჯვარი

ავანხევი. ქვემო ქართლი

ავანხევი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ავანჯუკი. ქვემო ქართლი.

ავანჯუკი – იხ. წრაუთი XVII ს. II ნახ

ავანჯუკი 1707 – იხ. წრაუთი

ავგაროზული მამული. შიდა ქართლი

ავგაროზული მამული 1669 – ... ესე წიგნი გკადრეთ ... რკონისა ღმრთისმშობელსა ჩუენ, ჯავახისშვილმან პატრონმან ქაიხოსრო... სვიმონ მღუდელის რაც ავგაროზული მამული ჰქონდა, ის მამული, მასზედ მსახლობელის კაცით, ჩუენთა მამა-პაპათაგან შემოწირული იყო... აგრეეე ჩუენცა შემოგვიწირავს მღვდელი დავით, მისის ავგაროზულის მამულითა... (ქისკ, I, გე. 159).

ავდარა. ქვემო ქართლი

ავდარა 1657 – იხ. ტაშირი

ავენისი. ხევი

ავენისი 1781 – იხ. პავლეური

ავენისი 1800 – იხ. ბრაჭულთკარი

ავკეთი. შიდა ქართლი

ავკეთი 1463 – ... ჩუენ, მეფეთა მეფემან გიორგი ... მიუბოძეთ [ჯავახიშვილებს] მათივე მკუიდრი სოფელი ავკეთი და იის-ციხე მათითა მზღურითა... არა ეთხოებოდეს ... არასთანა შემოსაწირი და სათხოვარი ... არა გორული და ატენური... (ქსძ, II, გე. 133-134).

ავკეთი 1643 – იხ. არაგვი

ავკეთი 1664-1673 – იხ. წყნეთი

ავკეთი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ავკეთი XVIII ს. – ზეჭაბუკ! მირაზალის მუმეზის კეთილათ სახსენებელო ბატონო... ციცისშვილისაგან რომ ავკეთი გიყიდია, მანდ ყადიმი ურბნელის მამული არის, ეგ მამული ამაზე არაბაბიჯიმი გვიქნია, შენ ხელი არა გაქვს, გივისშვილის და შოშიაშვილის მამული არის და ან სხვა სულ ურბნელზე არის არბაბიჯიმი, რაც მანდ ურბნელს ქონია ბატონო (სს, I, 1899, გე. 333).

ავკეთი 1780 – იხ. დოესი

ავლაბარი // ჰავლაბარი // ალვაბარი. თბილისი

ავლაბარი 1392 – იხ. ტფილისი

ავლაბარი 1654 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... გიბოძეთ თქუენ ... სასახლის თავილდარს ყაიბულასა ... ალვაბარში ... ზალიკაშვილი ამოანა ... ყოველითურ რისაც მამულის მქონებელი იყოს... (ქსის, გე. 246).

---

[2] ვანათი?

ავლაბარი 1654 – [წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ხოჯა ბეჰბუთასადმი]: ... ქალაქის სასაფლაო რომ არის ალვაბრისაკენ მახათას ქვეშეთ, იქ თქუენის მამა-პაპათა და ჩამომავალთ ნაქონს მკუიდრს სასაფლაოზედ საყდრის აშენების დასტურის დაცემას დაგვიაჯენით. ჩვენცა ... ნება დაგრთეით და [თქვენც] საყდარი ააშენეთ ... და ხევიდამე წყალი გამოიტანეთ... [გარდა ამისა] გიბოძეთ წყალი მისის სათავითა. იმას გარეთად მეორე წყალი მახათას ძირიდამე გამოიტანეთ. იმ ბაღის სამძღვარი თქუენის სასაფლაოს მიდგომამდის, ზედათი მხარი ორისავე წყლისა სათავემდისინ: ერთის მხარით ხევამდისინ და ქალაქის შარის მიდგმამდის და ხატის მღრთების სალოცავამდი. ესები უკლებრად ... თქუენთუის ... გვიბოძებია... (ქსის, გვ. 244).

ავლაბარი 1673-1682 – იხ. წოდორეთი

ავლაბარი 1681 – იხ. წოდორეთი

ავლაბარი 1683 – ... ჩვენ, ტოტოათ ბაინდურას შვილმა ბეროამ ... თქვენ, ქალაქის მოვრავსა ... ავლაბარში ... მოგყიდეთ ერთი თავა სახლი ... [და] ერთი სათონე... არის ამისი სამზღვარი: ერთი გუერდი ხატიას სახლებს მოკიდებით, ერთი გუერდი დარჩიას ნაოხარს სახლებს მოკიდებითა და ორი გუერდი ორღობე და შარა არის (დთი, I, გვ. 40-41).

ავლაბარი 1683 – იხ. წოდორეთი

ავლაბარი 1693 – ... ჩვენ, ჭიჭაშვილა ბერმა და ჩემმა შვილმა შერმაზან, თქვენ მდივანს გივს... მოგყიდეთ ჩვენი თავი... და თქვენ ავლაბარში თქვენი ნასყიდით სახლ-კარი გვიბოძეთ... არის ამისი... მოწამე: ავლაბრის სარდარი... (დთი, I, გვ. 51).

ავლაბარი 1701 – იხ. ქალაქი

ავლაბარი 1706 – ... [რამაზა ტფილელ მიტროპოლიტს] შემოგეხვეწე ... და თქუენ ... [ვალისგან] დამიხსენით ცოლშვილითა და ავლაბარში დამასახლეთ... უწინაც ერეკლეს მეფის დროს აღისტევიდამ მოველ და თქვენს საყდარს ვეყმე და ახლაც ... არას კაცს ჩემთან ჴელი არა აქვს... (ის, V, გვ. 8).

ავლაბარი 1707 – იხ. მელვრევი

ავლაბარი 1710 – ... მე, სოღროანთ მარქარაშვილმა ოჰანამ შენ, ჩემს ძმისწულს ფარსადანს და შვილსა შენსა ოსეფას ... მოგყიდე ავლაბარში რაც ჩემი კერძი სახლის ალაგი არის, თუ დუქნის ალაგი არის, მისის სამძღურით... (დთი, I, გვ. 83).

ავლაბარი 1712 – იხ. ურბნისი

ავლაბარი 1713 ახლო – ... ჩვენ, ჭიჭაშვილა ბერმა და ჩემა შვილმა შერმაზან, თქვენ მდივანს გივს... მოგყიდეთ ჩვენი თავი... და თქვენც ავლაბარში თქვენი ნასყიდით სახლ-კარი გვიბოძეთ... არის ამისი... მოწამე... ავლაბრის სასადარი მათიაშვილი ოტია... (დსსი, გვ. 156).

ავლაბარი 1722 – ... ჩვენ, ავლაბრელი მახარას შვილმან დემეტრემან ... თქვენ, წინამძღვარს ონოფრეს ... ჩვენი თავი მოგყიდეთ... (ის, V, გვ. 35).

ავლაბარი 1723 – [ვახტანგ VI-ის მიერ ყმების წყალობის წიგნი მეითრიშვილებისადმი]: ... თქვენი მამის ნაქონი სამკვიდრო თქვენთვისვე გვიბოძებია

ქალაქს ჩერქეზის-შვილი ოქრომჭედელი ზურაბა თავის სახლ-კარითა და ქონებითა, ავლაბარში ასლამაზა კანკურაშვილი და მისი ძმა ბეჟუა... (დსსი, I, გვ. 200).

ავლაბარი 1732 – [ოქმი ისაყ ფაშისა ქალაქის მელიქ აშხარბეგისადმი]: ... მერმე რაც ნუსხა მიგვეცეს ამ ზაზა გარაყანიძისათვის ასაყრელ გლეხებისა და ქალაქსა და ავლაბარში და გარეთუბანს იყვნენ, სულ ყველანი ... აყარეთ და ამ ზაზას მიაბარეთ, რომ ავჭალის ციხეში მიასხან და იქ დაასახლონ (დთი, I, 158-159).

ავლაბარი 1737 – იხ. უჯარმა

ავლაბარი 1768 – ღმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მისცეს ავლაბრელ ნასრანიშვილს მახარეს შვილს დათუნას. ქალაქს რომ ყიზილბაში შემოადგა, ურუმებმა კარები დაკლიტეს. მამაჩემიც მაშინ აქ, კახეთში წამოვიდა... (ქსძ, VII, გვ. 141).

ავლაბარი 1769 – ... ჩვენ, ჩითახანთ ჩითახას შვილებმა ... თქვენ, ჰავლაბრის მამასახლისის შვილს მეტეხის დეკანოზს იესეს ... მოგყიდეთ ჩვენი მამა-პაპათ ჰალალი თეთრით ნასყიდი ორი დუქანი და ნახევარი, რომ არის ეს დუქნები: ერთი დუქანი დიდ ხარაზხანაჩი ასას ასლანანთ საფარას შვილი პაპასაგან ნასყიდი და ერთი დუქანიც სიონის ქუჩის პირში გორელი კაჭკაჭანთ ერანასშვილი ალიხანასაგან ნასყიდი... (დთი, I, გვ. 329)

ავლაბარი XVIII ს. II ნახ. – ავლაბრელმა იასემ უჩივლა წედელს ზალიასშვილს გაბრიელას... (სამდ, გვ. 53).

ავლაბარი 1777 – ... ესე თავის შემოწირულობის წიგნი მოგართვი შენ ... ტფილისის სიონთა ღვთის მშობელსა და ... ტფილელ მიტროპოლიტს მიხაილეს მე, ავლაბრელმა კენჩხაძის შვილმა გურგენამ... ასე რომ მე დავიკარგე ლეკში ... და შენმან მადლმან იმ ტყეობიდამ განმათავისუფლა. მოველ ქალაქს ... და შენს დიდებულს ტაძარს ჩემი თავი მოვართვი... (ის, V, გვ. 91).

ავლაბარი 1779 – იხ. წყნეთი

ავლაბარი 1781 – ... ბატონისშვილმან გიორგიმ ... ქსნისა, თიანეთისა, აღჯაყალისა და ლორე-ფამბაკის მპყრობელ-მქონებელმან ... გიბოძეთ შენ ... მაყაშვილს სვიმონს ... ჰავლაბარში ვინცა-ვინ ლორელები ჩვენი ყმანი სახლობენ ... იმათი მოურაობა... და ამას გარდა, იქავ ქალაქში კიდევ ვინცა-ვინ ლორელი აზნაურშვილები არიან და რამდენიც კომლნი ჩვენი საბატონიშვილო თათრები სახლობენ, ამათი მოურაობაც შენთვის ... გვიბოძებია... [დამტკიცება]: ჩვენ ... ირაკლი მეორე, მეფე ყოვლისა ზემოისა საქართველოსა, ამ ... სიგელს ვამტკიცებთ... (სს, II, გვ. 550-551).

ავლაბარი 1781-1782 – იხ. ქალაქი

ავლაბარი 1782 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი გორელს დათუნაშვილს გიორგის მოსცეს... გევედრებით: რადგან თქვენნი ყმანი გახლავართ, ავლაბარში ერთი სადუქნე და ერთი სახლის ადგილი გვებოძოს... (ქსძ, VII, გვ. 542).

ავლაბარი 1784-1795 – იხ. ახმეტა

ავლაბარი 1786 – იხ. ნათლული

ავლაბარი 1788 – იხ. კუკია

ავლაბარი 1791 – იხ. დიღომი

ავლაბარი 1796 – [დარეჯან დედოფალი პოლკოვნიკ სირხნევს]: რომელნიც ავლაბარში ჩვენი ყმანი სახლობენ ... აღა-მაჰმად-ხანისაგან წამხდარნი არიან... სანამ ჩვენ მოვიდოდეთ ... ეგ ჩვენი ყმანი თქვენთვის მოგვიბარებია... (სს, III, გვ. 250).

ავლაბარი 1796 – იხ. ახპატი

ავლაბარი 1798 – იხ. წინწყარო

ავლაბარი 1800 – იხ. ბრეთი

ავლაბრის ბაღი. თბილისი

ავლაბრის ბაღი 1749 – იხ. ციხის მეიდანი

ავლაბრის სასახლე. თბილისი

ავლაბრის სასახლე 1791 – იხ. ტფილისი

ავლაბრის საყდარი. თბილისი

ავლაბრის საყდარი 1749 – იხ. ციხის მეიდანი

ავლაბრის ციხე. თბილისი

ავლაბრის ციხე 1781-1782 – იხ. ქალაქი

ავლაბრის ჭალა. თბილისი

ავლაბრის ჭალა 1392 – იხ. ტფილისი

ავლევი. შიდა ქართლი

ავლევი 1787 – იხ. ავნევი

ავლევი 1792 – [განჩინება ერეკლე II-ისა]: ამირეჯიბები გაყრაზე ლაპარაკობდნენ.. ავლევის სასახლის ზვარიც სამად უნდა გაიყონ... (ქსძ, V, გვ. 578).

ავლევი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ავნევი // ავნები // აბანევი. შიდა ქართლი

ავნევი 1750 – ...ჩვენ, ფალევანდისშვილმა ზაალ ... თქვენ ... ამილახორისშვილს იესეს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ბარათის კაცი და მამული ავნევს... (დსსი, I, გვ. 345).

ავნევი 1754 – ფალავანდისშვილი ვახტანგ და თეიმურაზ სახლისკაცობაში გაიყარნენ... ავნევის ზვარი შიოშის შვილის კერძი ნასყიდი დარჩა თეიმურაზს. თერეგვენს რომე ზვარი არის ნასყიდი, ის ვახტანგს დარჩა... სასახლისათვინ ბადალათა ორბელაძის მიწა და ბიძინას სასახლის ადგილი ჩვენი წილი ორბელაძის სამოსახლო და კალათის მინდერის ხოდაბუნი – ესენი ვახტანგს დანებდა (ქსძ, IV, გვ. 426-427).

ავნევი 1754 – იხ. დიღომი

ავნევი 1771 – იხ. ტინის ხიდი

ავნევი 1776 – იხ. ავლაბარი.

ავნევი 1780 – იხ. სამაჩაბლო

ავნევი 1782 – მის სიმაღლის ბრძანებით გიორგი მინბაში თარხანი და საამის შვილი ეშიკხში ავნევს მივედით. ამილახვარ იესე მდივანბეგს სიქთურაშვილი უჩიოდა: ვარდანს სასახლე ნასყიდი აქვს, ამილახვარი არ მანებებსო... ამილახვარმა ერთი სიგელი წამოაყენა, ესრეთ ეწერა: მოგყიდე ჩემი სასახლე ავნევს წინ მეიდნითა და ჭალითა წილიმდის წყლითა და წისქვილითა, მეიდნის პირი დიდს ნერგებამდის და ნერგებს გასწვრივ ქვემო სასახლის პირი, უკან მიწა და ჭალა ფონემდინ ეწერა (ქსძ, V, გვ. 189).

ავნევი 1787 – ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს დავითისშვილს ელისბარს! მერე ტატისშვილი იოთამ რომ მოგახსენებთ ... ჩემი ბიძასშვილი გალახა და მოკვდაო, ეგ იოთამ ჩემთან გახლდა, მაგან მოიყვანა ჩემთან, მაგანვე წამოიყვანა... აბანევს გამოიარა... დავანს გამოიარა... მძმივალეთს თავის სახლში მოიყვანა... იმ ღამეს დირბს გახლდათ... რომელმა მომაკვდავმა მოიარა ხუთი სოფელი? იქიდამ მეორე დღეს მეჯვრისხევს გავიდა... (სს, II, გვ. 497-498).

ავნევი 1787 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... ზაალ მხვილაძის ქვრივს ჯავარას მოსცეს... [ჩემი] ერთი მუახლის შვილები – კვირია და იმისი ძმები ამილახვართან მივიდნენ და ავნევს დადგნენ; მეორე მოახლე თავისის ქმრითა და შვილებითა – ხარაზიშვილი ბერი ავლევს დადგა... [გთხოვთ, ის ყმები ამიყაროთ] (ქსძ, VII, გვ. 736-737).

ავნევი 1792 – [არზა ამილახვრის ქალის მაიასი ერეკლე II-ისადმი]: თქვენგან სამართლით განსჯილის განაჩენით ბოძებული ავნევი ჩემმა დედამ მე მომცა აღსასრულის ჟამს; და მანამ ცოცხალი ვარ, ვალი დამდევ: მიცვალებულთ მოხსენების დღეებში წირვას ნუ დამაკლებო... (ქსძ, VIII, გვ. 152).

ავნევი 1792 – [არზა ერეკლე ფალავანდიშვილისა]: ავნევს მამულები მაქვს სამკვიდრო და ნასყიდობა ჩემი სახლისკაცისაგან, ნასყიდ მამულში მკვლენ, არ მანებებენ. ნასყიდობის წიგნებიც ხელში მიჭირავს, თქვენი ოქმებიც მაქვს, მაინც არა მეშველა რა (ქსძ, VIII, გვ. 177).

ავნევი 1792 – ... ფალავანდიშვილი ერეკლე ასე ჩიოდა: ავნებს ჩემი ნასყიდი და უსყიდი მამულები ამ შანშეს [ერისთვისშვილს] უჭირავს და არ მანებებს, სამართალი მაღირსეთო... წმინდი გიორგის გერს თვის კარზე მივასხი [მოწმეები და ვაფიცე]... ჩვენ არბოს დეკანოზი და მღვდელი ამისი დამსწრენი ვართ (ქსძ, V, გვ. 583-585).

ავნევი 1793 – [არზა ამილახვრის ქალის მაიასი ერეკლე II-სთან]: ავნევს ჩემის დედის ნასყიდნი რომ მებოძა, ერეკლე ფალავანდიშვილმა უსამართლოთ მედავა და მოსავალი მოიტაცა... (ქსძ, VIII, გვ. 214).

ავნევი 1794 – იხ. დირბი

ავნევი 1797 – ... ერისთავის შვილის შანშესი და იაკობ ფალავანდიშვილის საქმისა და მამულების მორიგება ... [იულონ ბატონიშვილმა] მე, დიმიტრი დიასამიძე მიმბაშს, მიბძანა. მოვედი ამათთან ავნევს... სანშეს იაკობ ედავებოდა სავენახე მიწებსა (ქსძ, VII, გვ. 41).

ავნევი 1799 – იხ. ბერშოეთი

ავნევი 1799 – იხ. სადავითისშვილო

ავნევი XVIII ს. მიწ.– იხ. სურამი

ავნჯუკი – იხ. ავანჯუკი

ავჭალა // ჰაევჭალა // ავჯალა. კახეთი

ავჭალა 1392 – იხ. ტფილისი

ავჭალა 1579 – იხ. მცხეთა

ავჭალა 1580-იანი – ჯანდიერისშვილებმა ... წიგნი მოგახსენეთ თქუენ – [გურამიშვილებს], ასრე და ამა პირსა ზედა, რომე ჩუენსა და თუქენ შუა ბევრი რამ სარჩელი იყო გლდნისა და ავჭალის წყლის საქმეზედა... მოგეცით ლომსაურთ რუ და დაგანებეთ. ასრე რომე, წყალცოტაობა იყოს – ცოტაობით არ დააკლდეს ავჭალას წყალი და დიდი იყოს – დიდობით (ქსძ, VI, გვ. 606).

ავჭალა 1682 – იხ. დიდუბე

ავჭალა 1722 – იხ. მარტყოფი

ავჭალა 1732 – იხ. ავლაბარი

ავჭალა 1753 – იხ. ერთაწმინდა

ავჭალა 1756 – ავჭალელმან სომეხმან მიტიჩამ ძეველს კაცს ხუთი კოდი პური უჩივლა (სამდ, გვ. 33).

ავჭალა 1769 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ავჭალელს მათ ყმას ტერ-ყაზარას შვილს გიორგის. თიანეთს ხიზნად გახლდით, თქვენის ბრძანებით გეახელით ავჭალას. გივი სუფრაჯის ქვრივი მეუბნება: თუ ჩემს კედლათ არ დასდგები, აქ არა დაგაყენებო... [ერეკლე II-ის ოქმი]: როგორც ყოფილხარ ... ისე იყავ ამ გურამისშვილს ზაალთან (ქსძ, VII, გვ. 149).

ავჭალა XVIII ს. შუახ. – იხ. გარეჯვარი

ავჭალა 1772 – იხ. თუშეთი

ავჭალა 1777-იანი – იხ. არაგვი

ავჭალა 1779 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს გურამიშვილს ზაალს. ყიზილბაშობას თრიალეთიდამ ტერ-ყაზარა ჰავჭალას მამაჩემს მოსელია, ყოფილა ჰავჭალას; არბაბობას ჰავჭალელები რომ აყრილან, ის ტერტერაც ჰავჭალელთ თან მიჰყოლია; მასუკან არბაბობა რომ გარდავარდა და ჰავჭალელები თავიანთ ალაგს მოსულან, ის ტერტერაც თან მოჰყოლია. ბოკოწინის გალავანს რომ აკეთებდნენ, იმ ხანათ ჰავჭალელნი საგურამოს მივიდნენ. ის ტერტერაც ჰავჭალელებთან საგურამოს მისულა. იქიდამ რომ ჩამოსულან ჰავჭალას, ისევ თან ჩამოჰყოლია. რომ კიდევ წახდა ავჭალა, ის ტერტერაც ავჭალელებთან თიანეთს მივიდა, რომ იმ ტერტერას შვილი მამაჩემს მსახურათ ხლებია. ტერტერა თიანეთს მოკვდა. ამას წინათ ავჭალა რომ კიდევ აშენდა, იმ ტერტერას შვილმა თქუენ არზა მოგართოთ: გურამისშვილი ყმად მეჭიდებაო.. თუ გამომართმევთ, ნება თქუენია (ქსძ, VII, გვ. 430).

ავჭალა 1779 – იხ. დიღომი

ავჭალა 1780 – იხ. გულგულა

ავჭალა 1781 – ... ავიღე მე, ავჭალელმა ვარდანანთ ზურაბას შვილმა იოანემ თქვენ, გორჯასპი მდივნის შვილი მდივნის მანუჩარისაგან რვა თუმანი ქალაქის თეთრი... მე, ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ... ტერ არაქელამ ... მოწამეც ვარ ამისი (მსეი, II გვ. 55).

ავჭალა 1781 – იხ. ჭივჭურის მიწა

ავჭალა 1783 – ... ჩვენ, მდივანბეგი თეიმურაზ, ყორიასაულბაში ზაალ და ბოქაულთხუცესი პაპუა ამოვედით ავჭალას გურამიანთ სადაოზედ... ასე გავაშველეთ: ... მტკვრის პირისაკენ რომ ფარეხები არის, ზაალს თავისი წილი უნდა დაანებონ და თავეთ წილში გააკეთონ ფარეხი (ქსძ, V, გვ. 220).

ავჭალა 1784 – იხ. კურწიკამი

ავჭალა 1797 – ღმერთმან საქართველოს პატრიარქის ანტონის ჭირი მოსცეს ზაალ გურამიშვილს, ავჭალას რომ გიახელით, მაშინ ჩემს განაყოფებს საბა დეკანოზი ჰყვანდათ მღუდელთ და ჩემს მღვდელს ჩემი წილი კაცი ეჭირა სამწყსოდ და ზემო ავჭალა. [კათოლიკოს ანტონ II-ის ოქმი]: გიორგი მღუდელმან ამ ზაალის სახლობას და ამის საყმოს უმღუდელოს და ტატიშვილმა იოანე მღუდელმან სხუათ ქუემო ავჭალას მყოფთ უმღუდელოს (ქსძ, VIII, გვ. 411-412).

ავჭალა 1798 ახლო – იხ. მარაბდა

ავჭალა 1800 – [მსაჯულთა განჩინება]: ... ავჭალას სოფელს გარდა ამ მდგომარეს ჟამში გურამიანთ სხვას თავეთს სოფლებში შენობა არსადა ჰქონდათ ... და ეს სამართალი მივეცით: რადგანც ზაალ [გურამიშვილი] უფროსის კაცის შვილია და გურამიანთ მამულის მონახევრე და ახლა ავჭალის სოფელს იყოფენ, უფროსს საუფროსო საქართველოს სამართლის ძალით არ დაეჭირვის. ავჭალის მამული უნდა გაიზომოს და რამდენის დღის მიწაც დადგეს, ათზედ ერთი საუფროსოდ ზაალს უნდა მიეცეს... (ქსძ, VI, გვ. 173).

ავჭალა 1800 Заал Гурамишвили жаловлся нам, что рыбопромишленники ему за ловлю рыбы в Куре не платят... Заал еще прежде говорил жителям **Авчал** ... чтобы заплатил галлу, а потом устроил-бы забойку. Заал – прибережный владелец... с забоев ... в Куре, Заал должен получать половину дохода... (ГКГ, გვ. 77).

ავჭალა 1800 – იხ. ნული

ავჭალის ციხე. კახეთი

ავჭალის ციხე 1732 – იხ. ავლაბარი

აზალდური მამული. შიდა ქართლი

აზალდური მამული 1780 – იხ. არაგვის საერისთაო

აზამბური. კახეთი

აზამბური 1553 – ჩუენ ... მეფემან პატრონმან ლეონ ... ესე ... სიგელი გკადრეთ ... თქუენ ... არქიმანდრიტ ნინოწმინდელსა ზაქარიას... აზამბურის ღალა შემოგუიწირავს წმიდისა ნინო მოციქულის საყდრისათუის ასრე და

ამა წესითა, რომე რასაც საყდრის ყმა აზამბურშიგა მოჴნევდეს, მისი ღალა ... საჩუენოდ არა ვსთხოვოთ... (ის, III, გვ. 63-64).

აზვი. კახეთი

აზვი 1579 – იხ. მცხეთა

აზვი 1751 – იხ. ჯაჭვი

აზიკი // აზიკვი // აზიკუნი. ქვემო ქართლი

აზიკი 1523 – იხ. მძოვრეთი

აზიკი 1591 – იხ. ამლივი

აზიკი 1654 – იხ. თრიალეთის პირი

აზიკი 1713 – იხ. გუნანეთი

აზიკი 1713 – იხ. ღოლოვნა

აზიკი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

აზმა სოფელი. ქვემო ქართლი

აზმა XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ათენაგუენის მონასტერი. ქვემო ქართლი

ათენაგუენის მონასტერი 1338 – იხ. კოჟორი

ათორმეტნი უდაბნონი – იხ. უდაბნო

აიბაში. ქვემო ქართლი

აიბაში 1792 – იხ. ბალიჭი

აიდარბეგი. ქვემო ქართლი

აიდარბეგი 1703 – იხ. ტაშირი

აიდარბეგი 1703-1711 – იხ. ტაშირი

აივაზალუ // ეივაზლუ // ეივაზლო // ეივაზალო. ქვემო ქართლი

აივაზალუ 1774 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს აივაზალუში მსახლობელებსა... მოგეხსენებათ, იქიურს რუზე რა ჭირნახული გავწივეთ. შულავრელთ წყალი მოიტანეს და ჩვენს რუში ჩაუშვეს, ღვარისა ქვიშითა და მიწით აავსეს. ორი ხიდი იდვა, რომ იმით საქონელი ზედა გადიოდა, ისიც დააქციეს... მოსავალი მოურწყავი დაგვრჩა. ამ წყალობას ვითხოვთ: ... წამხდარი რუ .. და ხიდები ... იმათვე გააკეთონ (ქსძ, VII, გვ. 247-247).

აივაზალუ 1780 – იხ. ბორჩალო

აითარნე. აფხაზეთი

აითარნე 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

აკანათერი // აკანათერა // აკანათელი. ქვემო ქართლი

აკანათერი 1641 – ჩუენ, მეფეთა-მეფემან ... როსტომ ... თქუენ ... ზურაბის ძმისწულთა ყაფარასა ... გიბოძეთ აკანათერა, თქვენი სამართლიანი სამკუიდრო მამული, ვასაკას სოფელი თქუენი კერძი სამართლიანი მამული; ყუზანას ნასოფლარი... ხორის სოფელში თქუენი საკერძო მისი მამულითა; ვანქს რისაც მამულის მოწყალე იყო გლახითა და ყოვლის ფერითა, ზემო

ბოლნის ჩუენი წყალობა და მელიქისაგან მოსყიდული გლეხით ასლამაზა, ვენახი, მიწა, წყალი და კიდევ ნასყიდი წისქუილი, ახალშენი; ქუემო ბოლნისს სურათაშვილი ველია და შუაბოლნისს დურია მისის სამართლიანის მამულითა... თქუენი კერძი ნაოხარი აკრავაშენიც თქუენთვის გუიბოძებია... სომხითისა ტარულანო და მელიქნო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (ქსის, გვ. 158).

აკანათელი 1702 – იხ. ხანძორკერტი

აკარიანის მთა – იხ. აკრიანის მთა

აკაურთა // აკურთა. ქვემო ქართლი

აკაურთა 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

აკაურთა 1662 – [განჩინება ბარათაშვილთა მამულის საქმეზე]: ... აკურთიდამე რომ საქალაქე შარა გამოვა, ავაზნის წყაროს ძირს გამოიელის და დისუელის პირს მოადგების, გზას ქუეითი იოთამიშვილებისა არის და გზას ზედათი აბაშიანთი (ქსძ, IV, გვ. 121).

აკაურთა 1778 – ღმერთმან მართლმსაჯულთ მდივანბეგთ ჭირი მოსცეს დოლენჯისშვილს იოანეს... როსტომ მეფის წიგნი ასე აცხადებს: დოლენჯიშვილებს გიბოძეთ ამოწყეტილის ბარათაშვილის მელქისედეკისა და ჩუენის მოღალატის რეეაზის კერძო აკაურთაო. და იმ დღით აქამდე მეფეებს არ შეუცელიათ... აკაურთა თაეთი წილი დოლენჯიშვილის დარჩა (ქსძ, V, გვ. 61-63).

აკეთი. გურია

აკეთი 1657-1660 – ... ჩუენ, ჴელმწიფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ ... შემოგწირეთ ... ბიჭვინტისა ღმრთის-მშობელსა გურიას საწინამძღურო მაცხოვარი აკეთისა. მას ჟამსა, ოდეს დიმიტრი ბერად იყო და მერმე გურიელად დავსეით; და ბერობის დაგდების საკანონოდ შემოგწირეთ... (ქსძ, III, გვ. 535).

აკეთი 1657-1660 – ... ესე წიგნი და სიგელი მოგართუით თქუენ ... ბიჭვინტისა ღმრთისმშობელისა ზედამჯდომარესა აფხაზეთისა კათალიკოზსა პატრონს ზაქარიას, ჩუენ პატრონმან გურიელმან სვიმონ და პატრონმან დიმიტრი გურიელმან ასრე და ამა პირსა ზედან, რომე: ... ალექსანდრე მეფემან შეგვიწყალა და გურიელობა გვიბოძა და ბერად აღთქმული ვიყავით და შენდობა გთხოვეთ და გუიბოძეთ და მისდა საკანონოთ მოგართვით აკეთის საწინამძღრო მისის მამულითა, შესაელითა და გასაელითა... (ქსძ, III, გვ. 536).

აკეთი 1657-1660 – იხ. ღეჯის ტყე

აკეთი 1713 – ... ჩუენ, ჴელმწიფემან გურიელმან პატრონმან გიორგი ... ვიგულისმოდგინეთ შეწირვად შესაწირავისა ამის ... ბიჭვინტისა ღთისმშობელო... აკეთს ართმელაძეს მამუკას ... მამული რაც არის კუამლი კაცებით ... შენთვის შემოგუიწირავს... აკეთს სასახლე და მისი მოჯალაბე.. ასკანას მარანი ერთი კარგი... ამას გარეთ აკეთს ორი განაყოფები კუამლები ჯოჯიკა გიორგი და იოვანე მათის ცოლშვილით ... ლანჩხუთს დავითაი ცინცაძე

მისი ყოვლისფერით ... შეიწირე დედოფალო ღთისმშობელო ბიჭვინტისაო, ნაცვლად მოგვაგე მადლი და მეოხება შენი ... ამის მოწამენი არიან ... აკეთს უხუცესი მამუკა და ტატუა, ღოღაბერიძე დათუნა, ნაკაშიძე ბეჟან... (დსსს, II, გვ. 108-109).

აკეთი 1780 – [შეწირულების განახლების წიგნი გიორგი გურიელისა]: ...ძველთაგან ჩვენი სახლისკაცს აკეთის საყდრის საწინამძღვრო ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვინ შეეწირა. მერმეთ ბატონი კათალიკოზი მაქსიმე მობრძანდა ჩვენთან და აკეთის შეწირულობის სიგელი გვიჩვენა... და ჩვენც სიგელი დაგვიმტკიცებია, როგორითაც პირველ ყოფილა ისე (ქსძ, VI, გვ. 724).

აკნვალი. არაგვის ხეობა

აკნვალი 1774 – [მორიგე ლაშქრის ნუსხა]: ... აკნვალიდამ ბოგანო ლაუშელი პაპვიაური ხახიაშვილი... ბოგანო ჩინთელი ავთანდილ კობიაშვილის ყმა მანგიაური... ხიზანი სულხან ხიმშიაშვილის ყმა ძაგნაკორელი ბიბიაშვილი... ხიზანი სამცხეთო კარსნელი ბერიკას-შვილი... არანისიდამ ზანდუკელი ზურაბის-შვილი მამუკას ყმა მოძმერაძე... ხიზანი გერმანოზის-შვილი პაპუას ყმა გუდარეხელი რამნაძე... აზნაურშვილის გიორგის ყმა თეთრაული... სახასო მაღაროელი სინჯის-შვილი ედიშერ... ზურაბ სუფრაჯის ყმა ლიყურული ქიტუას-შვილი ღარიბა... ხანდოელი ზურაბის-შვილის მამუკას ყმა ზარიძე... (სეიძ, II, გვ. 118-120).

აკოფას სოფელი. ქვემო ქართლი

აკოფას სოფელი 1657 – იხ. ტაშირი

აკრავაშენი. ქვემო ქართლი.

ახალკალო 1517 – ... თქუენ, (მცხეთას) და ... კათალიკოზს ბასილის ჩუენ, ჭავჭავასძეთა როშნიას შვილთა ... შემოგწირეთ ... ახალკალოს ჩუენნი მკუდრნი ყმანი ლურსას ძენი ... და ახმეტას ვენაჴი... (ქრონ, II, გვ. 334).

ახლაკალო XVIII ს. I ნახ. – იხ. თვალი

ახმაჯი. შიდა ქართლი

ახმაჯი 1766 – იხ. გორი

ახმეტა. კახეთი

ახმეტა 1517 – იხ. ახალკალო

ახმეტა 1584 – იხ. ენისელი

ახმეტა 1710 – იხ. კაწარეთი

ახმეტა 1721 – იხ. თვალივი

ახმეტა 1722 – იხ. მარტყოფი

ახმეტა 1759 – იხ. ზემო ხოდაშენი

ახმეტა 1765 – იხ. თიანეთი

ახმეტა 1771 – იხ. არაგვის საერისთაო

ახმეტა 1771 – იხ. დუშეთი

ახმეტა 1772 – [არზა ბერი გოდერძაშვილისა მეფისადმი]: ჩოლაყაშვილი გარსევან მოურავის ... ყმანი გახლდით. გარსევანმა ... აზატი მიყო. და ახლა ახმეტაში თქვენს ყმად გახლავარ (ქსძ, VII, გვ. 206).

ახმეტა 1775 – იხ. კვეტერა

ახმეტა 1777 – ღმერთმან ... მეფის ძის ჭირი ქაიხოსრო მოურავს და ბაზიერთხუცესს დიმიტრის მოსცეს. მერმე ბატონის მამითქვენის წყალობა და თქვენი წყალობა მამული გვქონია ახმეტას: გილდაშვილის დავით საჩინო შვილის ნაქონი ბეითალმანი მამული დიმიტრის ბოძებია და მოურავს დაკარგულის გილდაშვილის ნაქონი ბეითალმანი ბოძებია. ახლა ეს თქვენი წყალობა მამული ... გილდაშვილს უჭირავს... გიორგი გილდაშვილმა ... ბეითალმანის მამულის საქმე ასე გაარჩია: ... [გილდასშვილების გაუყრელ] რვა

კომლს ნაქონი მიწა თუ ნასახლები და ნავენახევები ყველა ზაალ ეშიკაღაბაშისათვის მიჩვენებია და დამიწერინებია. და საღალღოში იმათს ნაქონს ხოდაბუნსაც გაჩვენებ და საღალღოც გასაყოფია (ქსძ, VII, გვ. 378-379).[30]

ახმეტა 1781 – [ერეკლე II-ის ოქმი]: მდივანო დავით! ამ არზის პატრონი მაღალაშვილი ივანე, ჩვენი ყმა, რადგან უმამულო არის და ახმეტას სახლობს, თქვენთვის მოგვიბარებია (ქსძ, VII, გვ. 520).

ახმეტა 1782 – იხ. თელავი

ახმეტა 1784 – იხ. ნაფარეული

ახმეტა 1784-1795 – [გოდერძის მოხსენება]: მეფის ძე გიორგი რომ ბატონმა ახმეტიდამ ქალაქს გაისტუმრა და ჩაბძანდა, იმ ჟამებში მისკარბაში იოსებ და ბასტამას'შვილი სტეფანე გამოვიდნენ ქალაქიდამ თავისის ამხანაკებით ჰაელაბარში... დასხდნენ ... და ბასტამას'შვილმა თქვა: ... მეფე თეიმურაზმა კახ-ბატონობა თავისავე სიცოცხლეში მეფეს ერეკლეს მისცაო, მაგრამ ამან ... რუსეთს გაისტუმრა და იქ მოკლაო. ამ სიხარბით ჰქმნა ეს საქმე, რომ ქართლისა და კახეთის მეფობა ორივ თითონ უნდოდაო... (სს, III, გვ. 106-107).

ახმეტა 1787 – იხ. უტო

ახმეტა 1788 – ... მისის უწმინდესობის დიკასტერია მიგიწერთ ჩალოყაშვილო ბატონო ნოდარ! მერმე, გავიგონეთ, რომ მაგ ახმეტას თქვენს ეკლესიაში ალავერდელს არ იხსენიებთ და არც ალავერდელის მღვდელს ამოქმედებთ და ... ამბობთ სადმე, რომ ალავერდელის ეკლესია არ არის, კათალიკოზისა არისო და კათალიკოზს იხსენიებთ... არასდროს კათალიკოზს ახმეტაში საყდარი არა ჰქონია, არც სამწყსო ჰყოლია მანდ მსახლობელთ ერწოელებს გარდა... ეგ ეკლესია რომ აშენდა, იმ დროს ზენონ ალავერდელი ცოცხალი აღარ იყო და ალავერდელის სამწყსოს კათალიკოზი მარუგდა და ... კათალიკოზის ბრძანებით ნეკრესელმან აკურთხა ეკლესია... ახლა რადგან ... მეფემ და იმისმა უწმიდესობამ მეფის ძეს ანტონის უბოძეს ალავერდელის ეპარხია და ... საალავერდოს ეკლესიასა და სამწყსო'ში ყველგან ის იხსენება და მანდაც იმას უნდა იხსენებდეთ... (ქკმეის, გვ. 235-236).

ახმეტა 1794 – იხ. შუაფხო

ახმეტა 1797 – [არზა ოტია ზანდუკელისა გიორგი ბატონიშვილისადმი]: ჩემი ერთი კომლი კაცი ახმეტას გახლამთ... გევედრებით ერთი ოქმი და იასაულის წყალობა მიყოთ, რომ ჩემი კაცი ამიყაროს და მამცეს (ქსძ, VIII, გვ. 446-447).

ახმეტა 1797 ახლო – იხ. მარტყოფი

ახმეტა 1798 – იხ. შილდა

ახმეტა 1799 – იხ. კალაური

ახმეჯო. კახეთი

ახმეჯო 1775 – იხ. კვეტერა

---

[30] დიმიტრი ბაზიერთუხუცესის სხვა არზა ახმეტის სადავო ყმა-მამულზე – იხ. ქსძ, VII, გვ. 373.

ახოთა. ქვემო ქართლი

ახოთა 1630 – ... ოდეს მეფემან, პატრონმან სუიმონ თქუენ დონმაზას ახოთა გიბოძა და იმისი სამჭმო მიწები ჩუენ [პატრონს ზაქუს] გუქონდა, რადგან იმ სოფლისა იყო და თქუენცა გუთხოეთ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ბეშკენას ხანდაკს ქუეშეთ თამალარა (სს, II, გვ. 410).

ახოტა // ახოტი. ქვემო ქართლი

ახოტა 1447 – იხ. მცხეთა

ახოტა 1552 – თქუენ, საშინელსა და ცათა მობაძავსა სუეტსა ცხოველსა ... მეფემან ლუარსაბ ... შემოგწირეთ სოფელი ახოტი, ჩუენი სასახლე ალგეთს გაღმა, დოლანი, მეძლეთი, გოგას გუერდი, სახეევნი და შეხეეტელა და ღანიბანი მისითა სამართლიანითა მზღერითა ასრე თარხნად და უცილებლად, რაგვარცა სხვა მცხეთის მამულნი არიან თარხანნი, ისრე არა ეთხოებოდეს რა წელიწადში ხუთს ლიტრას ზეთს და სამს ლიტრას სანთელს ჩუენად მოსახსენებლად სვეტის ცხოელის წინა დახარჯვიდენ... (ის, III, გვ. 63).

ახოტა 1559 – იხ. სხალდიდი

ახოტა 1657 – [განჩინება აბაში ბარათაშვილისა და ზურაბ ელიოზიშვილის მამულის საქმეზე]: ... ამას წინათ დიდს ბატონს ლუარსაბს თავად სუეტის ცხოველისათუის შეეწირა ახოტი და მისი გარეშემოს ნასოფლარები და მერმე კიდეე ელიოზის შუილთათუის საჯილდაოდ ებოძებინა... ბარათაშუილი აბაში ნასოფლარებს ... უსამართლოდ ეჭიდებოდა და – დოლანი, მეძლეთი, გოგას-გუერდი, სახუევანი, შეხუეტილა და ღანიბანი – ესეები ყუელა ახოტისა იყო... (ქსძ, IV, გვ. 103).

ახოტა 1705 – ... ელიოზისშვილს ბახუტას და დათუნას შვილს და პაპუას რაც იმათი წილი იყო ან ახოტს და ან ნასოფლარებში ყველა სახლთხუცისა და იმისის ძმებისათვინ მიეყიდნა... დავსხედით ჩვენ, მაღალაშვილი ზურაბ და ელიოზიშვილები და ... ზერტის მამასახლისი ირემა და სულ ჭელერთობილნი ახოტელნი. ასე გავარიგეთ, რომე: ბახუტას წილი მიპარიშვილი თავისის მამულითა, ნასოფლარებისაგან დოლაანი... სახვევი... შეხვეტილა... – ესეები სულ ყველა მაღალაშვილს სახლთხუცეს ... დარჩა... ახოტის მთიდამე რაც სამთო გვერგოს, ის სამთო ასე გაიყონ: ... რაც რაჟამაშვილებმა მამული მიჰყიდეს მაღალაშვილსა ან ახოტსა ან იმას გარეშემო ... ელიოზიშვილებს ჭელი არა აქვს... კიდევ ლერწამაში კეზეთიდამ რომ გზა ამოვა ... ერთი თეთრი ლოდი ძეს, იმ თეთრის ლოდიდამ ერთი სამძღვარი მოსდევს თრიალეთის შარამდის, შარა რომ ჩაიელის ... ალგეთამდი რაც ტყე არის, ან სათიბი ან სახნავი – ესეები ყველა დარჩა მაღალაშვილს... რაც საახოტო მთა არის, რაც გამოსავალი არის, როგორც მამული ეჭიროს, სარგოსაც ისრე გაიყოფდენ... ჭინჭნარიანი ელიოზიშვილებს დარჩა... (ქსძ, IV, გვ. 217-218).

ახოტა 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

ახოტის მთა. ქვემო ქართლი

ახოტის მთა 1657 – იხ. ახოტა

ახპატი // ჰახპატი. ქვემო ქართლი

ახპატი 1691 – იხ. ლორე

ახოტა 1693 – იხ. ვარაპეტის სოფელი

ახპატი 1752 – ... მეფეთ-მეფემან პატრონმა თეიმურაზ ... გიბოძეთ თქვენ ... ზურაბისშვილს ... ზურაბს ... პაპის თქვენის ზურაბ სარდლის ნაშოვნის ... სოფელი ახპატი... (სს, I, 1899, გვ. 435).

ახპატი 1752 – იხ. ტინისხიდი

ახპატი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

ახპატი 1778 – ... ჩვენ, ზურაბიშვილმა სვიმონ ... თქვენ ... ახპატელს ყაბუზანთ კირაკოზასშვილს სიმონას გიბოძეთ ზემო-სოლაღაანთ ნაფუზარი... (სს, I, 1899, გვ. 102).

ახპატი 1779 – როდესაც ... ერეკლე მეორემან, მეფემან ქართლისა და კახეთისამან ... ტფილისის ციხე თათართა წაართვა და თვისად იპყრა, მაშინ ციხეს შიგნით ეს ძველი ნორაშნის საყდარი გამოიძია და რადგანაც ძველად ახპატის ეკლესიისა ყოფილიყო, მასვე ეკლესიას შესწირა. მერმე [ერეკლე II-მ] ... ყაითმაზა შვილს ტერ-ფილიპეს ... იმ საყდრის გალავანს გარეთ სახლის ადგილი ებოძებინათ... სალაპარაკო ... შეექნათ ახპატის ეკლესიის სამწყსოთა და ტერ-ფილიპეს... [მსაჯულებმა განაჩინეს]: დღეს რომ დუქნები არის, რომელთაც პირი აღმოსავლისა და მოედნისაკენ აქვს და ზურგი საყდრისაკენ – ესენი ახპატსა და ამ ეკლესიას დარჩა... [მეფის ოქმი]: ვინაიდან ეს ეკლესია თუმანიანთი ყოფილიყო, როსცა ღმრთის შეწევნით ტფილისის ციხე დავიპყარით, ეს ეკლესია გორჯასპი მდივანს დაუმტკიცეთ და საახპატოთ დავსდევით (ქსძ, V, გვ. 72-74).

ახპატი 1781-1782 – იხ. ქალაქი

ახპატი 1788 – [მიცვალებულზე გაწეული ხარჯის ნუსხა უცნობი პირისა]: ... სრულიად სომხის ქალაქის კრებულთ ხუცესთ ორორი ვაწირვინე... თუთხმეტზე ახპატის წინამძღვარს ვაწირვინე... საფლავზე გორელს ტერ-ყაზარას ... [და] კახეთის გორძაკალს ვაწირვინე... ათს მღვდელს ზემო ქართლს საწირავები დაურიგე... მკათათვის დამდექს ზემო ქართლს წაველ... [ორი თვე] ზეით ვიყავ... (მსეი, I, გვ. 92-94).

ახპატი 1788 – იხ. გორი

ახპატი 1792 – იხ. ბალიჭი

ახპატი 1792 – იხ. ზემო ქართლი

ახპატი 1796 – ავიღე მე, ახპატელმა სვიმონამ შენ, ლორის მელიქიანთ ავთანდილაშვილი სტეფანასგან ექვსი თუმანი... არის ამის მოწამე ... ჰაველაბარს ტერ-გრიქოლა... [სხვა ხელით]: საგარეჯოს არის დუქანი და სიმონა ყასაბაში სტეფანას მამა... (მსეი, II, გვ. 119).

ახპატი 1798 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი ... ახპატის წმინდის მონასტრის ... პეტროზ ვართაპეტს მოსცეს... ახპატს ორი ვართაპეტები გახლავართ, სამი დიაკვანი, ორი მიღდისი, კიდევ მეძროხენი და წამსველელ-მამსველელნი. ჩვენის ცოდვით ქვეყანა შეწუხდა, ქალაქი გაიფანტა, არსაით

მოწყალე არაინა გვყავს... აქეთ ყაზახის სომხები არას გვეპუვებიან და ჩვენს განწესებას არას გუაძლევენ... ერთი მაგარი ოქმი გვიბოძეთ ყაზახის სამღვდელოთზე და მამასახლისებზე, რომ ჩვენი ეკლესიის განწესება მოგვცენ (ქსძ, VIII, გვ. 485).

ახპატი 1798-1800 — იხ. საბარათაშვილი

ახპატი 1800 — [ბრძანება გიორგი XII-ისა]: ... ახპატის ეკლესიის წინამძღვარს არხიეფისკოპოზს ... სარქისს ... მოხსენდეს... თუ [კახეთში] ... მეფის ერეკლეს დროსა ყოფილან და ან სანაჰინისათვის სულის კერძი მოკრეფილა ... ამ ათსა და თხუთმეტს წელიწადში, ახლაც სიტყვა არავის ექნება. და თუ სანაჰინს აქამდისინ მანდ კახეთში სამწყსო არა ჰყოლია და არც სულის კერძი მოკრეფილა, ვერც ახლა აიღებენ (დსსი, II, გვ. 207).

ახპატის ბაღები. ქვემო ქართლი

ახპატის ბაღები 1693 — იხ. ვარაპეტის სოფელი

ახრისი. შიდა ქართლი

ახრისი 1741 — ჩვენ, ამილახორმა ბატონმა გიემა ... ნათლისმცემელს საუდაბნოს შევსწირეთ ახრისელი სუხიტაშვილი მამულა თავისის ცოლშვილით... ამასთან მყრელებს ხელი არ აქვს (ის, V, გვ. 60).

ახრისი 1754 — იხ. დიღომი

ახრისი 1766 ყანჩიელი — ზაზასი და ვაჩის ობლებს ზაალ და ქაიხოსროს ჴელმწიფისათვის თავისის მამულის ბარობაზე არზა მიერთმევინა და ... მეფეს ირაკლის ... სამართალი ებძანებინა... ახრისის ნახევარი და საძაგანო ამირინდო ამილახორისათვის და იასესთვის საუფლისწულოთ მიეცათ თავს სახლის კაცებს. ჩვენ რომ მოკითხული ექნით და შევიტყევით საძაგანო მამული... ამათ გარდა ახრისი თავისის გოხითა ნახევარი ამ ობლებისა არის და სხვა საყანჩიელო მთა და ბარი ზაზას შვილისა და ვაჩას შვილის არის, ამ ობლებ ზაალისა და ქაიხოსროსია; რომ ციხე გაუკეთებიათ, მესამედი ხარჯიც ამ ობლებს მიუციათ და მესამედი ციხეც ამათი არის... (ქსძ, IV, გვ. 517).

ახრისი 1795 ახლო — იხ. გორი

ახრისი XVIII ს. მიწ. — იხ. სურამი

ახტალა // ახთალა // ჰახთალა. ქვემო ქართლი

ახტალა 1392 — იხ. ტფილისი

ახტალა 1761 — რევაზ ეშიკაღასი ... დავით მოურავისშვილს ახთალაზედ უჩიოდენ ასე, რომ: რამაზა სუფრაჯს პაატა მოურავისათვის შირვანს დასჭირებოდა და რვა თუმანი თეთრი გამოერთმევინა, ახთალის წიგნი მიეცა თავისის წილის ნახევრისა, რომ აქედამ მშვიდობით კახეთს მიბრუნდეთო ... ის ფასი შემისრულეო... ეს მოურავი პაატა და რამაზ სუფრაჯი ორნივ ჭიაურს ერთს დღეს დახოცილან. რამაზ სუფრაჯის მიცემული წიგნი მოურავიანთ დარჩომოდათ (ქსძ, IV, გვ. 479-480).

ახტალა 1772 — იხ. ხოდაშენი

ახტალა 1785 – იხ. ბელაქანი

ახტალა 1790 – [ახტალის ოქროს გამოსაელის და ხარჯის წიგნი]: ... კალატოზი ჰახთალას გაგზავნილა... არშოს დეკანოზს მღდელს ასურელს ანდრიას ბოძებია არზა-ბარათით, მკათათვის ივ... თიანელს ტუშურას ბათოშვილის ქვრივსა და ობოლს ბოძებია, ნოემბერს ე... ალექსანდრე მჭედელს ყაზახის გულდაღის მადნის იარაღების გასაკეთებლად ხელფა(ს)ში მისცემია აგვისტოს დ... ჯიზიყში ჯავარის საძებნელად იქაური მადანჩები გაგზავნილან... ვერცხლის რახტები რომ კეთებულა, ამის თეთრი ალავერდლის ეკლესიის თეთრიდამ სესხებულა. ამისი მაგიერი დურგარ ბაღდასარას მისცემია, რომ ამავ ეკლესიის კანკელზედ უმუშავნია... ამავ თვის იდ ვაქირელს დავითიანთ დედაკაცს ბოძებია ტყვის სახსრათ იმ ერთის ანგარიშიდამ... ამათვის ე ახალს მოსულთ ყარახელთ მისცემიათ ქალაქის ლეინი... აპრილის კგ დავით ბატონიშვილისათვის ლამისყანას გაგზავნილა ოქრომჭედლის-შვილი დავითის ხელით... (მსეი, III, გვ. 93-99).

ახტალა 1795 – [არზა ილია ბერძნისა ერეკლე II-ისადმი] და ამას მოვეღით ... [რომ] მოგვცეს ჯამაგირი, რომე მეც დავსახლდე და საუკუნოდ დავრჩე თქვენს საფარველს ქვეშე... და ახტალას თქვენი ოქმი მეწყალობა... (ქსძ, VIII, გვ. 316).

ახტალა 1799 – იხ. მადანი

ახტალის სამიტროპოლიტო. ქვემო ქართლი

ახტალის სამიტროპოლიტო 1770 – იხ. ქიზიყი

ახტალის ჴევი. ქვემო ქართლი

ახტალის ჴევი 1392 – იხ. ტფილისი

ახურა – იხ. აკურა

ახურის ბოლო – იხ. აკურის ბოლო

აჴალდაბა – იხ. ახალდაბა

ახშანი – იხ. ახალშენი

ახშადა. შიდა ქართლი

ახშადა 1783 – ... მე, ფიცხელაურმა ბერმა ... შენ, ჩემს ბიძაშვილს არჯევანსა ... მოგყიდე ჩემს ბარათში ნარგები ახშადას დემეტერს ნაქონი მამული, შენის მამულის ნაჭერი... (სს, II, გვ. 470).

აჯაგეი. კახეთი

აჯაგეი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

აჯამეთი. იმერეთი

აჯამეთი 1187 – იხ. არგვეთი

აჯამეთი 1650 ახლო – იხ. მანდიკორი

აჯირი. ქვემო ქართლი

აჯირი 1792 – იხ. ბალიჭი

აჰნიჩმბი – იხ. ნიჩბისი

ბაბანთა ქედი. შიდა ქართლი

ბაბანთა ქედი 1413-1442 — იხ. ძალისა

ბანგუას ვენახი. შიდა ქართლი

ბანგუას ვენახი 1754 — იხ. დიღომი

ბოგაში. სვანეთი

ბოგაში XV ს. — იხ. ლახამლა

ბაბი. იმერეთი

ბაბი 1659 — იხ. რველი

ბაბი 1712-1744 — იხ. ზვარე

ბაბია. ქვემო ქართლი

ბაბია 1543 — იხ. სხალნარი

ბაბილაშენი. ქვემო ქართლი

ბაბილაშენი 1792 — იხ. ბალიჭი

ბაბუშერი, ტბა

ბაბუშერი 1656 ახლო — იხ. ოყურეში

ბაგა. არაგვის ხეობა

ბაგა 1392 — იხ. ტფილისი

ბაგა 1448 — ... მეფეთა მეფემან გიორგი ... შემოგწირე თქუენ, კათოლიკე დედაქალაქსა მცხეთასა საყდარსა ... ბაგა სრულად, სავჭდომითა, დარბაზისა კარის ეკლესითა, გლეხებითა... და მოგაკსენე კისაური ბაგურითა და ჭართალულითა მამულითა ... და შემოგუიწირავს ჩუენთუის საღაპედ... სომეხთა უბანი წილკნისა ღმრთისმშობლისა არის მკუიდრი და უცილებელი, მას ვერავინ დაეცილების... აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი ... ერისთავთა ერისთავთა და კარის ჩუენისა ვაზირთა, ქალაქისა ამირათ ამირათა და ... გორისა მოურავთა და ჴელოსანთა ... დაუმტკიცეთ... (ის, III, გვ. 27-29).

ბაგა 1579 — იხ. მცხეთა

ბაგების წყალი. შიდა ქართლი

ბაგების წყალი 1732 — იხ. ვერე

ბაგინეთ-გუჯარეთი. ხეობა

ბაგინეთ-გუჯარეთი 1739 — იხ. ხეობა

ბაგინეთ-გუჯარეთი 1740-1741 — იხ. სადგრის ხეობა

ბაგრანეთი. ქვემო ქართლი

ბაგრანეთი 1751 — იხ. ახალშენი

ბაგური მამული. კახეთი

ბაგური მამული 1448 — იხ. ბაგა

ბადაანი // ბადანი. შიდა ქართლი

ბადაანი 1678 – იხ. ვირშის წყალი

ბადაანი 1687 – იხ. მცხეთა

ბადაანი 1781 – ...საქართველოჲსა კათალიკოზ-პატრიარხმან პატრონმან ანტონი ... გიბოძეთ შენ, გედეონისშვილს გიორგის ... ჩვენის ეკლესიის ყმების ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა... (ქსძ, III, გვ. 940).

ბადაბეთი. შიდა ქართლი

ბადაბეთი 1443-1466 – იხ. წყალს-იქითი

ბადაბეთი 1652 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან და ... ქართლისა და კახეთისა მპყრობელმან პატრონმან როსტომ ... ესე ... წყალობისა ... წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... სალაროს მუშრიბს ფირალის... ბადაბეთს დასახლება მოინდომეთ, გორაკას გარეშემოს თქუენგან გატეხილს მიწასა და ჭალას დაგუიაჯენით... პირველითგან მეფის სუიმონის ნასადგომეი ყოფილიყო და თქუენ ძუელითგან ირჩოდით და კიდეც თქუენვე გეხელყოდა, თქუენ გეჭირა, ჰქნევდით და სთესევდით. ცოტას ხანს ჩუენ გამოგართვით და სახასოდ დავიჭირეთ. რადგან წისქუილები, ვენაჯი, გარეშემო მიწები თქუენი იყო, ისიც დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ გორაკა მისის მიწითა კვერნაკის მხრით ფშნამდისინ... ლიახუის ჭალა რასაც რომ გორაკის მიწის ბოლო გაიტანს და ამ პირამდის თავთ გატანებით პირდაპირ, ამას წინათ რომ ლიახუს უდენია, იმის პირამდი, რაც დღეს აქნობამდის ამირაღასაგან... მიწა არის, იმის გარდაისად ჭალა და საჴნავი, ყუელა თქუენთუის გუიბოძებია... და გორის პირდაპირ კვერნაკზედ თქვენს ყმათაგან ურწყავი მიწა მოიჴუნოდეს, დღიურზე კოდი ერთი ეთხოებოდეს... (ქსის, გვ. 233).

ბადაბეთის რუ. შიდა ქართლი

ბადაბეთის რუ 1711 – იხ. ოქუანთეული მიწა

ბადანი. კახეთი

ბადანი 1786 – იხ. ახალდაბა

ბაზალეთი. შიდა ქართლი

ბაზალეთი 1669 – იხ. წილკანი

ბაზალეთი 1776 – იხ. ყვავილი

ბაზალი. შიდა ქართლი

ბაზალი 1780 – იხ. არაგვის საერისთაო

ბაზალი 1781 – იხ. პავლეური

ბაზალი XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

ბაზარი. კახეთი

ბაზარი 1392 – იხ. ტფილისი

ბაზარი 1579 – იხ. მცხეთა

ბაზარი 1662 – იხ. სუხნანი

ბაზაური. ქვემო ქართლი

ბაზაური 1746 — იხ. ქვემო ვარდისუბანი

ბაზრის თავი. თბილისი

ბაზრის თავი XVIII ს. I ნახ. — იხ. ქვემო უბანი

ბაზრის შარა. თბილისი

ბაზრის შარა 1785 — იხ. ნორაშნის უბანი

ბაზრის შარა. შიდა ქართლი

ბაზრის შარა 1790 — იხ. გორი

ბათუმი. აჭარა

ბათუმი 1789 — იხ. ახალციხე

ბათქა. კახეთი

ბათქა 1722 — იხ. მარტყოფი

ბაიდარი. ქვემო ქართლი

ბაიდარი 1755 — იხ. ბოლნისი

ბაიდარი 1778 — [ოქმი ერეკლე II-ისა]: ... ბაიდრის სულთანო და ბაიდრის სულთნისშვილებო! ეს ოთხი კომლი კაცი ამ სულთნისშვილის ბაბაშისათვის გვიბოძებია (ქსძ, VII, გვ. 419).

ბაიდარი 1779 — იხ. სოღანლუხი

ბაიდარი 1784–1790 — იხ. ქალაქი

ბაიდარი 1785 — იხ. ბელაქანი

ბაიდარი 1792 — იხ. ქალაქი

ბაიდარი 1798 — ბაიდარის სულთნის შვილები მირზა აბრამს საწისქვილოზედ უჩიოდნენ... მირზა აბრამს რომ ბატონისაგან ნაწყალობევი ჰალავარი უჭირავს, იმის საზღვარს გარეთ ბაიდრის მამულში წისქვილი ააშენა და იმ მამულს ჰალავრის მამულს ეძახის და უსამართლობით გვართმევსო. მირზა აბრამ ამას უპასუხებდა: ოცდაათი წელიწადი მეტი იქნება ჰალავარი ბატონისაგან წყალობად ჩვენ გვბოძებია... (ქსძ, VI, გვ. 82).

ბაიდარი 1788 — [წერილი გიორგი ბატონიშვილისა მიშკარბაშ იოსებისადმი] ... დღეს რომ სამშაბათია, ეშიკ-აღა-ბაშის ელში და ბაიდარს ამებში ვიქნებით... მანდაური ამბები ყველა სწვირილად გვაცოდვინეთ... შამშადინლოს ამბავიც შეგვატყობინეთ (სს, III, გვ. 41).

ბაიდარი 1799 — [წერილი იულონ ბატონიშვილისა მიშკარბაშ იოსებისადმი] ... ამ ბაიდრელებს ვის ამწყრალებ, რომ ერთხელ იქ არ გაივლი და იქაურობაზედ თვალ-ყური არ გიჭირამს?... ახლა შენ ბაიდარში უნდა ჩახვიდე და არხი ამუშავებინო. ჩვენც ... მეფისათვის წიგნი მოგვიწერია და მაგ არხის სამუშაოთ გატეხილ ხიდს ზევით მუშა ვთხოვეთ... და ჩვენის ძმის ალექსანდრესათვისაც წიგნი მოგვიწერია, რომ შულავრიდამ მუშას მოგვახმარებს (სს, III, გვ. 81).

ბაიდარი 1800 – ... მიშკარბაშს ბაიდრის მოურავს მელიქიშვილს იოსებს ასე ეუწყოს [მეფისგან]: მერე შენს სამოურაოთ ბაიდრელთ რუსების მოსასყიდი პური შესწერდათ კოდი ორას-ორმოცი... (სს, III, გვ. 84).

ბაიდარ-შამშადილი. ქვემო ქართლი

ბაიდარ-შამშადილი 1791 – იხ. ტფილისი

ბაიდრისუბანი. ქვემო ქართლი

ბაიდრისუბანი 1690 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმა გიორგიმ თქუენ, ... ფინეზასშვილსა ფეშანგის ... გიბოძეთ ... შვა-ბოლნისს ბაიდრის-უბანს თქუენის განაყოფის ამოვარდნილის ადიბეგაშვილის მამული და გლეხი... (დსსი, I, გვ. 87).

ბაილეთი. გურია

ბაილეთი 1601-1627 – იხ. ჩეხედენა

ბაილეთი 1616-1621 – იხ. საგენათლო

ბაილეთი 1647-1658 – იხ. ჩეხედენა

ბაილეთი 1739 – იხ. მამათი

ბაილეთი XVIII ს. I ნახ. – იხ. მამათი

ბაილეთი 1780 – [შეწირულობის წიგნი გიორგი გურიელისა]: ... შენ არს ტაძარი ესე ... ბაილეთისა ძველთა ჩუენთა მამა-პაპათაგან... მაგრამ დროს ცვალებით ... ძველი გუჯარი დაკარგულიყო და შიგნით და გარეთ შეწირულობა უწიგნობით სატაცათ და მიმოდასაბნევათ შექმნილიოყო... ამისთუის ვინებეთ ... ჩუენ ... გურიელმა გიორგი ... განახლებად გუჯრისა და შეწირულობისა ბაილეთის საყდრისა... ჩოჩხათს: გვარამია და მისისეული პარტახი... კიდევ მებეგრე ძირი იმ საყდრის კაცის რუსიძისეული და იმაზე ვინც დაესახლება... ამას გარეთ მიწა, ადგილი, ტყე და წყალი და საყანე ალაგი, ძირათ შეწირული ოთაროს ტყე, მისი ზეით და ქვეით საყანით, რუხმელას წლითგან, ღელის თვალი შეერთვის, იქამდის; და ქვემოთ კედაროს ღელემდის მზღვარი უწევს. სხვა ადგილი საყანე, საპურე და საღომე მამულეიშვილის საზღვრითგან დაწყებული ტომონის ღელემდის. კიდევ მერე გოგრიკული ოთხმოცი გოდრის მოსავალი; და ზოგი ბრინკნელაშიდაც არის ამ საყდრის ადგილი. სხვა სირეულს და ბოგილას ამოღმა რაც ნადირი მოიკლევის, თავი საყდრის დეკანოზს უნდა მიართვას... (ქსძ, VI, გვ. 726-727).

ბაიხო. კახეთი

ბაიხო XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ბაიხო 1800 – ჴელმწიფის ძის ბაგრატის წინაშე მოსახსენებელი ... ჭავჭავაძე იოვანესაგან. ერთი კომლი კაცი გამეპარა და ბაიხოში გავიდა... გეეედრები ... იასაული მიბოძოთ, რომ ის კაცი აჰყაროს და მომცეს (ქსძ, VIII, გვ. 635).

ბაკანი. კახეთი

ბაკანი 1786 – იხ. ახალდაბა

ბაკთმიწა. შიდა ქართლი.

ბაკთმიწა 1738 – [ხანის ოქმი]: ჩვენი ბრძანება არის ურბნელო ეფისკოპოზო ნიკოლოზ! მერმე შენის საყდრის ახლო რომ სადედოფლო სახასო ხოდაბუნი ყოფილა ბაკთ მიწა და შენთვის მოგვიცემია; სხვას კაცს ხელი არა აქვს (ქსძ, VII, გვ. 14).

ბაკისუბანი // ბაკიბანი

ბაკისუბანი 1621 – იხ. ბარი

ბაკისუბანი XVII ს. – იხ. ჯიმაშთარო

ბაკისუბანი 1669 – [შეწირულობის წიგნი სეხნია ჩხეიძისა (?) ქუთაისის ტაძრისადმი]: ... მეფისა ბატონის ბაგრატის ბრძანებითა ... ეს გლეხები ქუთათისისა ღთისმშობელსა შევსწირე: ბაკისუბანს კვამლი ერთი ყვიცარიძე... ქუტირს კვამლი ერთი ფეტვისნელიძე (დსსს, I, გვ. 72).

ბაკისუბანი 1673-1696 – იხ. გელათი

ბაკისუბანი 1776-1795 – ესე [პირობის] წიგნი [მკითხავის საქმეზედ] მოგართვით თქუენ, ... კათალიკოსს მაქსიმეს, ჩვენ – ბაკისუბნის მღვდლებმა... (ქსძ, III, გვ. 1025).

ბაკისუბანი 1782 – იხ. დიდი ჯიხაიში

ბაკისუბანი 1790-1803 – იხ. ხონი

ბაკურისუბანი. შიდა ქართლი

ბაკურისუბანი 1348 – იხ. ქართლი

ბაკურციხე. კახეთი

ბაკურციხე 1455 – იხ. ვეჯინი

ბაკურციხე 1714 – [ბრძანების წიგნი იმამყულიხანისა]: ... როშაქიშვილის ზურაბისათვინ მანდ დედოფალს დედა ჩვენსაც წყალობა ექნა და ჩვენც წყალობა გვიქნია და ბაკურციხეს ჯადუკიშვილები და წინ-უბანი ესები გვიბოძებია დღეს რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ... ძუელათ პატონის პაპის ჩვენის წიგნებიც აქუსთ სადმე... (დსსი, I, გვ. 386).

ბაკურციხე 1716 – იხ. კარდანეჯი

ბაკურციხე 1739 – [წყალობის წიგნი თეიმურაზ II-ისა ომან ჩოლოყაშვილისადმი]: ... მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისათა, ბაკურციხეს თქვენს სამკვიდროს ყმას ჯადუგიშვილებს გვეაჯენით... გიბოძეთ თქვენ ... ჩოლოყაშვილს ჭიაურთ მოურავს ომანს ... ასე რომე ჟამთა ვითარებისაგან ცოტას ხანს გამოგრთმეოდათ და ონანაშვილს მისცემოდა... ახლა ჩვენც თქვენ დაგიმტკიცეთ... (სს, III, გვ. 453).

ბაკურციხე 1773 – იხ. სავაჩნაძო

ბაკურციხე 1775 – [არზა ვაჩნაძიანთა ერეკლე II-ისადმი]: ნეტარჴსენებულს ... მამა თქვენთან ილაპარაკეს კოლაგელთ; დავით ზურაბის შვილს ფიცი დაედვა, რომ კოლაგელთათვის შეეფიცნა, არც შემოგვფიცეს; ბაკურციხის ბოლოს სამი გუთანი გვქონდა... ოტიას და დავითს სამი სოფელი შეეყარა, ... დაგვესხნენ ... და მას დღეს აქეთ მამულებსაც ისინი სჭამენ. არზა

მოგართვით და ... გვიბძანეთ: კახეთს გამოვალთ და ამის სამართალს იქ გიზამთო. ჯანანის საყდართან რომ მშრალი ოლე ჩავარდება, ის არის ჩვენი მიჯნა. ამას გარდა ... ჩვენს მთაში ღორები ჰყუანდათ ვეჯინელთ, საბალახე ... არ მოგვცეს. [ჩვენი ბრძანებით] ბაკურციხელთ ... ღორი მოუკლეს... ღორები იმათაც დახოცეს ... [და] ბაკურციხული ცხვარი ... წაიყუანეს... მე, ლუარსაბ, ... ჩემის კაცის ვენახში გახლდი... იმ ვენახს ახლო ვეჯინური ცხვარი მოვიდა... ვეჯინი შეყრილი ყოფილიყო. ჩვენს ცხვარს სადმე იყოფდნენ, დაიძახეს და მომიხდნენ სოფელში... (ქსძ, VII, გვ. 288-289).

ბაკურციხე 1781 – იხ. ნასომხარი

ბაკურციხე 1783 – [განჩინება ერეკლე II-ისა]: აგათოშვილები იოსებ და ამისი ძმა ზაზა აიდემურსა და იოანეს ბაკურციხეში თავის განასყიდს მამულზედ უჩიოდნენ. თამაზა ბებურიშვილს ამ აგათოშვილების დედის სახსრად რომ თავისი ხმალი მიუცია და ამ აგათოშვილის ვარისებსაც ბაკურციხეში ... ორი საკომლო ... ნასყიდობით მიუციათ... (ქსძ, V, გვ. 206).

ბაკურციხე 1788 – იხ. ქიზიყი

ბაკურციხე 1797-1800 – ... ჩვენ ... მეფემან ... გიორგიმ ... ესე წყალობის სიგელი გიბოძეთ შენ ... ვაჩნაძეს ყორიასაულბაშს ლუარსაბს... ასე, რომ ბაკურციხეს თქვენი სამკვიდრო ყმების ჯადუგიშვილების წიგნები დროს შემოგდებით როშაქიშვილის ოჯახს ... მამის ჩვენისაგან სიგლით ეშოვნა... ჩვენც მოვიხსენეთ ... თქვენი... ოჯახის თავდადებით ნამსახურობა ... და აგრევე შენის ... მრავალ ომებში სახელოვანი გარჯა... აგრევე ასპინძას დიდათ... ამას გარდა, აღა მამადხან სპარსეთის ჯარით თბილისს რომ მოუხდა, შებმაში მამა ჩვენს გვერთ ახლდი ... და როდესაც დამარცხდა ... მთიულეთსაც გაუყრელად ... ემსახურე... სანუფქოდ გიბოძეთ ბაკურციხეს შენი სამკვიდრო ყმანი ჯადუგის შვილები ... თავიანთის მამულებითა... (ქრონ, III, გვ. 319-320).

ბაკუტაძენი. კახეთი

ბაკუტაძენი 1722 – იხ. მარტყოფი

ბალახაური // ბალახური. ქვემო ქართლი

ბალახაური 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ბალახაური 1619 – იხ. ნახიდური

ბალახაური 1671 – იხ. წრაუთი

ბალახაური XVII ს. მეორე ნახ. – იხ. წრაუთი

ბალახაური 1707 – იხ. წრაუთი

ბალახვანი. იმერეთი

ბალახვანი 1519 – [მეფეთ-მეფემ ბაგრატმა მეორედ აღვაშენე] მონასტერი გენათი... ვინებეთ სოფლისა აღშენება, რომელი არს ბალახუანი და მოვიღეთ პური საბრძანებელისა ჩუენიდაღმა, კახეთით, სამცხით და ოდიშით და აღვაშენეთ დიდსა შიმშილობაშიგან, ამითუს უწოდეთ ნების-სოფელი და შევსწირეთ მონასტერსა გენათისასა... წყალ-წითელათა ავაშენეთ სოფელი, ვიყიდეთ ამავე გენათისა ყმისაგან ნიშნიაძისაგან ... და შევსწირეთ ...

დიდსა მონასტერსა გენათისასა... სადამდის წყალ-წითელათა სოფელი მოძალიანდებოდეს და გლეხნი დამაგრდებოდენ, ექუსსა ლიტრასა ცვილსა გულითა გამოიღებდენ... კუალად ... მოვაჴსენეთ ... გენათსა ჩუენად საალაპოდ კულაშს მეზუთხენი კახაჯორაშვილი ოთხითა ზუთხითა... ჭალას ჭორტიკლისეული ... გელათსა შევსწირეთ... კუალად მოგაჴსენე ხიბლასა მეზუთხე... ნიჟარაძე დემეტრე უშვილოდ გარდაჴდა და ესე მეზუთხენი მისეული დაგურჩა და ... გაენათს შევსწირეთ... (ქრონ, II, გვ. 341-342).

ბალახური — იხ. ბალახაური

ბალბიანი. კახეთი

ბალბიანი 1705-1741 — [წიგნი დომენტი კათალიკოზისა სახლთუხუცეს მაღალაძისადმი]: ... ბალბიანის და საგარეჯოს საქმეზე ბესარიონ და იმათი კრებული შევაჩვენეთ. და დედოფალსა და კახთ, დიაღ თავს შეუდვიათ და ხუთი-ექვსი ეფისკოპოსი და დარბაისელნი მოციქულად გამოუგზავნიან (ქსძ, III, გვ. 758).

ბალბიანი 1710 — ... ჩვენ, ... მეფეთ მეფემ დავით პატრონმან იმამყულიხან ... ესე წიგნი ... მოგართვით უდაბნოს მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტერს ამა პირსა ზედა, რამეთუ: თქუენი უდაბნო მოჴრებულიყო ჯამთა ვითარებისაგან და ... აღარაფერი შენობა აღარა ყოფილიყო რა საყდრის მეტი, და ისიც მოშლილი და დაქცეული. წმინდანი მღდელ-მოლოზონნი დამდგარიყუნენ ... და ... გაეახლათ მონასტერი და შენობა ჩაეგდოთ. ბატონს მამა ჩვენს, მეფეს ერეკლეს ქართლი და კახეთი რომ ეპყრა, თანა შემწე ჱქმნოდათ... [რადგან მონასტრის სამამულო მფლობელობის გუჯარი დაკარგულიყო] მოვიდა წინამძღვარი მამა ხარიტონ ... და ნაოჴარი ჩვენი საღალო იორს გაღმა ბალბიანი შემოგწირეთ ... უდაბნოს მოქალაქეო, წმინდაო იოვანე ნათლისმცემელო... შემოგვიწირავს მწარე წყლის ღელე რომ ჩამოვარდების და იორს შეერთვის, მის პირდაპირ წითელი კლდე რომ არის, მის გარდმოსწვრივ დაბლა ორ ღელეს შუა რომ გორა არის, ავლით რომ გორებია და მის ძირს რუი გარდმოიელის, რუს ატანებით გორა რომ დასწყდება და საქალაქუე შარა ჩამოიელის, მის გასწვრივ იერამდე, ბოლოსაც იერამდი თავის სარწყავის რუის წყლის მოუშლელათ წმინდის იოვანე ნათლისმცემლის შეგვიწირავს... თუ ვინმე მაცილებელი აღგიდგებოდესთ ... თქუენს მაკურთხეველს სამებელ ეპისკოპოზს აცნობდეთ და ჩვენ მოგვახსენებდეს... და საჴნავი მიწა ვერვისგან დაგეჭიროს იორს გაღმა... (ის, V, გვ. 21-22).

ბალბიანი 1714 — ... ჩვენ, ... მეფეთ-მეფემ დავით-იმულიხან ... [შემოგწირეთ] უდაბნოსა დავით გარესჯის ნათლისმცემლის მონასტერს ... ჩვენი საღალო იორს გაღმა ბალბიანი... შეუწირეთ უდაბნოსა ტაძარსა თქუენსა მრავალმთასა... ესეც გაგვისამზღვრავს: პატარძეულიდამ რომ სამინდრე შარა გამოვა და წყაროს ქვეით ჩალიანს თავში გამოიელის და მინდორში გავა, იმას ქვეით ბერებს დავაკელით და პატარძეულთ დავანებეთ... (ქკმეის, გვ. 71-73).

ბალბიანი 1778 — [განჩინება ნათლისმცემლის მონასტრისა და გივის ყმის საქმეზე]: ... ნათლისმცემლის წინამძღვარი და კრებულნი ... ამას ამბობდენ:

სანატრელიჲ მეფის ვახტანგის მეფობაში ამ შაერდის მამა და დედა ბალბიანში ჩამოვიდენო ოთხის შვილით და უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტრის შეეწირნენო, იქ დამკვიდრდენო... [მსაჯულებმაც გაარკვიეს, რომ] ოსძალობის ჟამს ბალბიანი რომ დაიცალა, ისევ მონასტრის მამულში მიიყვანეს წინამძღვარმა და კრებულმა, ხაშმზედ დააყენეს მამულზედ მემკვიდრეთ... იქიდამ შაერდა ქალაქს ჩამოვიდა, ცოლი შეირთო და ცოლ-შვილით ისევ ხაშმზედ წამოვიდაო. მერმე ხაშმის წაჴდენას ცოტად უწინ ლეკის შიშისაგან წინამძღვრისაე დასტურით ქალაქს ჩამოვიდა, ჴელმწიფის მამულში დადგა... მასუკან ვეღარ მოიკითხეს და ამ კაცმაც თაჳისი თავი დაიმალაო... დავითგარეჯის ყმა გიორგი მოწმობდა ამ ზემო სიტყვებსა და ბალბიანში სახლობასა. და კიდეთ ოქროა გლეხი მოწმობდა უდაბნოს ყმობასა და ხარჯის ძლევასა. გივს ფარეშთხუცესსაც მოსდევდენ მრავალნი მოწამენი [შაერდას] წაკისზე ხარჯის ძლევასა და წაკელობასა... (ქსძ, V, გვ. 55-56).

ბალი. სვანეთი

ბალი XV ს. – იხ. გულიდა

ბალიანი. ქვემო ქართლი

ბალიანი 1657 – იხ. აკურისი

ბალიჭი. ქვემო ქართლი

ბალიჭი 1741 – იხ. ქვეში

ბალიჭი 1792 – ... მეფის ძეს გიორგის ზურაბისშვილი სვიმონ მოვახსენებ ღმრთის წინაშე, რომელიც ჩვენი მამული მისა ეს არის სრულად: სოფელი ბალიჭი; სოფელი კაზრეთი; სოფელი მონასტრი; სოფელი ისპიანი ერთი საკომლო ჩემი სამკვიდრო არის და სხვა სრულიად ჩვენი ნასყიდი; სოფელი ბაბილაშენი; სოფელი კვირაცხოველი და ჩვენი სასაფლაო, სოფელი შამიანი; სოფელი ვარდისწყარო; სოფელი თავდიდიანი; სოფელი ქარგარიანი; სოფელი ვანეთი; სოფელი ბერთა-ქარი, ერთი საკომლო მზეჭაბუკი მდივანბეგისა არის; სოფელი გვიანა; სოფელი კამარეთი ერთი საკომლო ჩიჩიბაშვილისაა და სხვა ჩვენი საკუთარი; სოფელი რაფაქეთი; სოფელი ლიყურეთი ორ საკომლო იარალაშვილისა და სხუა ჩვენი; სოფელი ირაგა, ერთი საკომლო თურაბაშვილი იარალიშვილისა არის და სხუა ჩვენი; ნობისა ერთი საკომლო ჩვენი; ახპატი სრულად ჩვენი, ორი საკომლო ვართაპეტისა და თეით ვართაპეტისაც ჩვენ გვემსახურებოდნენ; ახპატის მაზრა სოფელი ბერდიკი; სოფელი კარპეტის-ხევი; სოფელი ნილოცი; სოფელი კახმახუთი, სოფელი აჯირი. ახპატის სამძღვარი მთაში მირზა-ტაში, დაბლა აიბაში, ჭალაში ჯუარი, კლდეზე გამოსული სალახ-ხაჩი... [დოკუმენტის დასასრულს მოყვანილია ახპატის მეპატრონეთა ნუსხა]: ზურაბ სარდალს რომ უშოვნია ახპატი... (სს, I, 1899, გვ. 437-438).

ბალიჭის წყალი. ქვემო ქართლი

ბალიჭის წყალი 1738 – იხ. გორუნჯუკი

ბალონი. იმერეთი

ბალონი 1550-1570 — იხ. რომანაული პარტახტი

ბალსადგომი. კახეთი

ბალსადგომი 1772 — იხ. ხოდაშენი

ბალსადგომი 1798 — იხ. შილდა

ბალსადგომი 1798 — იხ. წინანდალი

ბალყაეჩერი. სვანეთი

ბალყაეჩერი XIV ს. I ნახ.[31] — ... მოგახსენე დაწერილი ესე ... მე, ჯაფარიძემან პირნათელ ... თქვენ, სეტისა სოფელსა, მას ჟამსა, ოდეს ბალყაეჩერასა დავიცილენით, მერმე მოუყარეთ მართალნი ფიცებულნი მოურაუნი და ბალყაეჩერისა ჭალაი თქვენ დაგრჩა-ყე... დღეის იქით არას გეცილებოდე ბალყაეჩერს... მომეცით ფასი და დავჯერდი (სწძ, I, გვ. 200).

ბალყაეჩერის ჭალა. სვანეთი

ბალყაეჩერის ჭალა XIV ს. I ნახ. — იხ. ბალყაეჩერი

ბალხაური — იხ. ბალახაური

ბამბჯაანი. კახეთი

ბამბჯაანი 1571 — იხ. ბედიყარი

ბანა // ფანეკი. ტაო

ბანა XVI ს. დას. — იხ. ყვიბისი

ბანა 1638 — იხ. მცხეთა

ბანელის სამწყსო XVI ს. დას. — იხ. ყვიბისი

ბანბაკი // ფანბაკი // ფამბაკი. ქვემო ქართლი

ბანბაკი 1774 — იხ. ქალაქი

ბანბაკი 1783 — იხ. ქართლი

ბანბაკი 1784 — [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი] ერევნის მახლობელის ადგილის ფანბაკიდამ წერილით ამბავი მოგვივიდა: ერევნის ყულამ-ალი-ხანის და ... სხვათა კაცთა დახოცისა... (МПТСВГ, I, გვ. 190).

ბანბაკი 1784 — [ერეკლე II-ის წერილი პ. პოტიომკინისადმი] წიგნი ... მივიღეთ ამ თვის ათშვიდმეტს ფამბაკს... ჩვენის ქვეყნის ამბავი: ერთის მჭრისაკენ განჯის საქმე, მეორეს მჭარეს ჭარელნი და მესამეს მჭარეს ახალციხის ლეკები, თათრებიც შიგ არეულნი... (МПТСВГ, I, გვ. 211).

ბანბაკი 1785 — იხ. ბელაქანი

ბანბაკი 1787 — [წერილი გიორგი ბატონიშვილისა იოსებ მიშკარბაშისადმი]: ფანბაკიდან მომავალნი და იქ მსახლობელნი ოთხი კაცი რომ დაგეჭირა და იარაღებიც წაგერთმევინა, ეს სამი კაცი ... ჩვენ აუშვით... ეს სამნი შამშადილელნი არიან და კარგა ხანია, აქ არიან და ის, რომელიც ყაზახის სალალელი არის და ის იქავე ჯინჯილში არის და იმის შენ იცი და ამათ თავეთი იარაღები მოეც (სს, III, გვ. 33).

---

[31] XV ს-ის დასაწყისი (ინგ., II, გვ. 25).

ბანბაკი 1792 – იხ. აჭარა

ბანბაკი 1798 – ... წიგნი მოგართვი დავითაშვილმა ზაალ, ბატონს ბანბაკისა და ლორის მოურავს... ერთს ალაგს ათის თუმნის თავდებათ დაგაყენეთ ... [და] ამის გირაოთ გორს შანფურაშვილი თამაზა, რუისს რაზმაშვილი ბერუა ... მომირთმევია... (დსეი, გვ. 117-118).

ბანბაკი XVIII ს. II ნახ. – ერევნელმან კაცმან ბანბაკელს კაცს უჩიელა... (სამდ, გვ. 55).

ბანბაკის ხეობა. ქვემო ქართლი

ბანბაკის ხეობა 1770 – იხ. ტფილისი

ბანგა. იმერეთი

ბანგა 1790-1803 – იხ. ხონი

ბანოჯა // ბანოჟა. იმერეთი

ბანოჯა 1504 – ... ჩუმნ, ... მეფეთ-მეფემან ალექსანდრე ... შემოგწირეთ [გელათს] ბანოჟას ხუთი კუამლი კაცი ... მათის ... სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, მიწა-ადგილითა... (ქრონ, II, გვ. 323).

ბანოჯა 1578 – იხ. ქუთაისი

ბანძა. სამეგრელო

ბანძა 1647 – იხ. გუშტიბი

ბანძა 1680 – ... მარტვილისა ღმრთისმშობელო და ... წმინდაო გიორგი სუჯუნისაო! ჩვენ ... ჭყონდიდელ-ცაგერელ-ბედიელმან ჩიქვანმან გაბრიელ ... შემოგწირეთ ... ოდიშარია ხუხუ თუთარია... პირველად ეს ოდიშარია პეპუნა ჭილაძეს შემოეწირა თქუენთვის... მერმეთ ეს ხუხუა ოდიშარია ბანძის ომზედ დაკარგულიყო და კაცია ჭილაძეს დაეხსნა. კაცია ჭილაძე მოკუდა და მე ... [ოდიშარი] ნიშანში გამოვართვი, ეს გლეხი ისრევე გაგისრულე (ქსძ, III, გვ. 580).

ბანჯა. იმერეთი (?)

ბანჯა 1207-1208 – [სიგელი გიორგი მეფის გელათისადმი]: ... ვინცა ... ჯერ იყო... წინამძღუარისაგან და ბანჯას[32] ნასყიდი არს ... მწირველისა ჩუენისაგან, იგიც ამის სამწირველოისა ჩვენისადა დაგუიმტკიცებია. ჰქონდეს სოფელი დერჩი სამწირველოსა ჩუენსა რაიც მონასტერს ილად არს მისითა ზღერითა და მიმდგომითა მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქუილითა, საღუინითა, სათიბითა... (ქისკ, I, გვ. 106).

ბაქეული. რაჭა

ბაქეული 1620-1640 – იხ. სვერი

ბაჟი – იხ. ბაში

ბარაგაულის ციხე – იხ. ხარაგაულის ციხე

ბარათიანი მთა. შიდა ქართლი

---

[32] შესაძლოა, სოფელი ბანოჯა ან ბანძა.

ბარათიანი მთა 1524 — იხ. მოხისი

ბარალეთი. ქვემო ქართლი

ბარალეთი 1686 — იხ. მცხეთა

ბარალეთი. ჯავახეთი

ბარალეთი 1774 — [არზა ბარალეთელი გლეხებისა მეფისადმი]: თქვენ რომ ასპინძას გაიმარჯვეთ, ჩვენ ბარალეთიდამ ექვსი კომლი ავიყარენით და აქ გიახელით. თქვენი ბძანება იყო, რომ ხიდისთავს უნდა ვყოფილიყავით. ხიდისთავი ხომ მტრისაგან წახდა, ახლა სამი კომლი სასირეთს გახლავართ, ორი კომლი მეტეხს, ერთი კომლი ხანდაგს გახლავართ... ერთს ადგილში, ქართლში იყოს თუ კახეთში, დაგვაყენეთ, რომ ან თქვენი სამსახური შევიძლოთ ან ჩვენი თავი შევინახოთ. ჩვენ ჩვენის ნებით ზემო ხოდაშენს გვინდა დგომა და რომელიც თქვენი ნება არის, ის უნდა აღსრულდეს (ქსძ, VII, გვ. 243-244).

ბარალეთი 1781 — ... ნათლისმცემლის უდაბნოს მონასტრისა... არხიმანდრიტს ეთიმის ესე წიგნი და სიგელი მოგართეით ჩვენ, ... ფარსუაშვილთა ხეჩუამ და ბერუამ... ჩვენ ჯავახეთით, ჩვენის სამკვიდროს მამულისა და ადგილით ბარალეთიდამ გადმოვედით... ჩვენის ნებით ... გაყმევით ჩვენი თავი ჩვენის შვილებით... არის ამისად მოწამედ... სიონის დეკანოზი ნიკოლაოს... (ის, V, გვ. 99-100).

ბარანა. ქვემო ქართლი

ბარანა XVIII ს. შუაწლ. — იხ. გარეჯვარი

ბარაუნი // ბარაუნთა // ბარვუნთა. კახეთი

ბარაუნი 1392 — იხ. ტფილისი

ბარაუნი 1537 — იხ. ხანდაკი

ბარაუნი 1566 — იხ. ჟინვანისპირული მამული

ბარაუნი 1574-1605 — ჩვენ, მეფემან პატრონმან ალექსანდრე ... ბარაუნთ, წმიდისა გიორგის უბანს საყდარსა და ცხრას კომლს კაცს დაგეცილათ ყარაშვილი და ტყუილად ირჩოდა. და თქუენ მაღალაძეს ქადაგს გედავანს ... თქუენვე გიბოძეთ... (ის, II, გვ. 36).

ბარაუნი 1575 — ჩვენ, მეფემან პატრონმან ალექსანდრემ ... შევსწირეთ სუეტსა ღმრთივ აღმართებულსა ... ბარვუნთათ კუამლი კაცი ორმოცი, ასრე და ამა წესითა, რომე რაცა საბატონო გამოსაღები იყოს და ანუ სამურავო, ყოველითურთ უნაკლულოდ საყდარს მიებარებოდეს მეფობისა... (ის, II, გვ. 49).

ბარაუნი 1579 — ... მე, ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე ... დედა-ქალაქისა მცხეთისა ... საპატრიარქოსა ეკლესიისა ... შევსწირეთ ... ბარაუნთათ ორმოცდა ორი კუამლი კაცი... შემოგუიწირავს სუეტისა ცხოველისათუის მკუიდრად, თარხნად და შეუვალად... მცხეთისა საყდარსა ესე ბარაუნთათ მონასტერი ხატისკარი მისით შესავლითა და ორმოცდაორი კუამლი, რაც ბატონს ჩუენს ძმას გიორგის შემოეწირა, ისიცა ჩუიდმეტი კუამლი .... ალაზანზედ საწისქუილე, საკონე და საფიცხულე — ასრე რომე ბუეთანს ზედათ და ინაბოტის წყალს ქუეშეთ წინ ვერავინ ჰკადროს და გარ-

დაუდგას და რაცა პატრონს კათალიკოზს ნეკრესლისათუის ... კაცნი ებოძნეს ... რანიც ამაშიგან სწერიან... (დსსი, I, გვ. 9-10).

ბარაუნი 1579 – იხ. მცხეთა

ბარაუნი 1584 – იხ. ენისელი

ბარაუნი 1584 – იხ. ფიფინეთი

ბარაუნი 1588 – ჩუენ, ... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან ... ნიკოლაოზ ... გიბოძეთ შენ ... დედა-ქალაქისა მცხეთის შვილსა ელიოზისშვილსა გედეონს ... ბარაუანში ოთხი კომლი კაცი ... მისით მამულითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა, წყლითა, წისქვილითა, ჭალითა, სათიბითა... (ქსძ, III, გვ. 346-347).

ბარახლუ. ქვემო ქართლი

ბარახლუ 1800 – იხ. ბოლნისი

ბარგვისხევი. ქვემო ქართლი

ბარგვისხევი 1543 – იხ. სხალნარი

ბარდაძური. ქვემო ქართლი

ბარდაძური 1784 – იხ. სანაინი

ბარდისი. ქვემო ქართლი

ბარდისი 1620 – იხ. დმანისის ხევი

ბარდნალიანი. იმერეთი

ბარდნალიანი 1684 – იხ. კაცხი

ბარდულის მიწა. შიდა ქართლი

ბარდულის მიწა 1724 – იხ. ყარაღაჯი

ბარევანი. კლარჯეთი

ბარევანი 1054-1072 – იხ. ქუთაისი

ბარეთი. ქვემო ქართლი

ბარეთი 1392 – იხ. ტფილისი

ბარეთი 1697 – იხ. თრიალეთი

ბარეთი 1720 – იხ. თრიალეთი

ბარეთი 1723 – [წყალობის წიგნი დომენტი კათალიკოზისა პაპუა მაღალაძისადმი]: ... თრიალეთზე ყავრიშვილის ნაქონის ბარეთის მოურაობის წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენცა ... გიბოძეთ ბარეთის მოურაობა ... რაგვარათაც სხვას იქიურს მოურავს ესახურებინოს და სარგო ქონოდეს... (ქსძ, III, გვ. 705).

ბარი. რაჭა

ბარი 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

ბარი 1621 – არის საკათალიკოზო გამოსავალი მოსაკრებლობაჲ ბარს რაჭას... არის ჩხარს სასახლე ნებიეროული მისითა ეკლესიითა და გამოსავალი მოსაკრებლობაჲ... ათი მენახევრე პური და ღომი ... მართებს ჩხარელ-

თა. მართებს ობეჩელებს კვამლის თავს თითო საკლავი, ორ-ორი კოდი ღომი... არის ნავენახევს სასახლე და გამოსავალი მოსაკრებლობაჲ... მართებს სულა ყველას ნავენახევს ტკურთი... არის საგენათლოს გამოსავალი მოსაკრებლობაჲ ბუეთს. მართებს ბუეთს... არის საჩხეურის გამოსავალი მოსაკრებლობაჲ... არის ჯიმაშტაროს გამოსავალი მოსაკრებლობაჲ... არის სოფიაჲ წმიდის სასახლე და სამოქალაქოს ბაკისუბანს... არის ფარცმანაყანევს გამოსავალი... მართებს მესხეც... არის მანთხოჯს სასახლე და გამოსავალი... არის ხონის გამოსავალი... არის კუხელოური პარტახტი, არის ვაჭაროული პარტახტი, არის იანვარეი კაკაბაძისეული პარტახტი, არის ძამიოური პარტახტი, არის სარიდოული პარტახტი, არის წიმწივური პარტახტი; რაც ამ კაცებს მართებს, ისე ამ კაცების პარტახტსა მართებია, მაგრა კაცი არ არის... არის ჯიქთუბანს სასახლე და მართებული გამოსავალი... არის ჭანგას... არის ქოცნათს: საღობი კოპალეისშვილის ალაგი ნაქრთამევი პარტახტი... არის თლიას: რაზმაძისეული პარტახტი, მეორე ხუტუაი გოგინაძისეული პარტახტი... არის ნაგუაზაუს სასახლე და გამოსავალი... ბატონმან ლიპარტიანმან და ბატონმან კათალიკოზმან დავსდევდით ნაგვაზაურებსა, რაც კაცი სახლობს, კუამლის თავსა თითოს კაცსა ათ-ათი კოდი ღომი... არის სენაკს შაფათაჲ, მართებს... არის საქუჩულორიოს სასახლე კათალიკოზის გურიელის შვილის მალაქიას შეწირული. მართებს საქუჩულორიოს კაცებსა თავი ბეგარა... არის ხიბულას სასახლე და გამოსავალი... არის ზუგდიდს ივანაი, მართებს... არის ხიბულას კუამლი გლეხი ჯუმლად ორმოცდათურამეტი... არის ნაჟანეულს სასახლე და მართებული გამოსავალი... არის ხოირს სასახლე და მართებული გამოსავალი... არის სუბვის სასახლე და მისი მიმდგომი სოფელი მუხურის გამოსავალი... არის თილითს სასახლე და მარანი, იმის თანა არას ალაგს არ არის და გამოსავალი მართებული მოსაკრებლობაჲ... არის ხაუჟელს სასახლე და მართებული გამოსავალი... არის ტყავრუს მეთევზე და მენავტე... არის ხაუჟელს მოინალე ოთხი.[33] არის ჭალას საყდარი და ნიჯაინო სასახლე და კაცები და მართებული გამოსავალი... არის ოცხანას სასახლე და მართებული გამოსავალი... (ქსძ, III, გვ. 397-435).

ბარი 1660-1670 – იხ. მუხლი

ბარი 1712-1731 – ... ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო, შემოგწირე მე, ... ყიფიანის ქალმან მახუ ... ბარს სასახლე ჭბოში მისის მოჯალაბითა... (ქრონ, III, გვ. 132-133).

ბარი 1750-იანი – ... ესე ... წყალობის წიგნი დაგიწერეთ ჩვენ, ბატონმა რაჭის ერისთავმან როსტომ ... შენ, გლოველს გლახუჩს... ჩვენის ნება-მყოფლობით რობუა იაშვილისაგან ბარს ვენახი იყიდე, მეტრეველის კარზედ... და მოგცეს და გიბედნიეროს ღმერთმან... (იდ, I, გვ. 103).

ბარი 1673-1696 – იხ. გელათი

---

[33] ხუცურადვე სხვა ხელით: „დაგვსახლებია I მოსახლე – გიორგაძე – სახასო მარანზედ..." (ქსძ, III, გვ. 434).

ბარი 1776 – ... სახასო მამულები ძველითგან შეწირულნი, რომელიც ბერი წულუკიძისაგან მოგვებარა საკათოლიკოსო: რაჭას სოფელი ბარი და სასახლე; მუხს[34] ყიფიანი და ხიმშს ყიფიანისეული გლეხები; კრიხს გლეხები და ზუარი; გაბაშვილი იოსებ თავისი მამულით კვაცხუტით; ოკრიბას სოფლები წმიდის გიორგის ეკლესიისა; კუალად ოკრიბას სორმონი; ჩხარს ლაღიძეები და სომხები სოფელი; გაღმართში სოფელი ოფჩა; ქუთაის, სოფია წმიდის ეკლესია და სასახლე ერთის მოჯალაბით; ქალაქში სვანიძეები მამუკელა; კვაცხუტელი სომეხი სამი; ვაკისუბანს გლეხები გიორგაძენი; მესხეთს მოსახლე გლეხნი; გეგუთს ლაზარეშვილი; ფარცხანაყანევს ერთი პატარა სოფელი; მათხოჯი სოფელი და სასახლე, რატიანით აზნაურშვილით; ივანდითს ათი კუამლი კაცი; ჯიგუთუბანის სოფელი; სანავარდოს გელაზონიები; ტყვირის საყდარი და ზედ მოსახლე გლეხნი; საჩინოს ავალიანი ლაზარე და გლეხები; გუაზაურს ხამაშურიძე და ბოლქვაძე გლეხებით (დსსს, II, გვ. 56).

ბარი 1791 – იხ. სოღითი

ბარი 1792 ... მეფეს სოლომონს ... [მღვდელი ფორჩხიძე] ცოლშვილით თათრისაგან დაეხსენი და ბარს საკათალიკოზო მიწაზედ ესახლე... უამთა მომოკვეთებისაგან აზნაურისშვილს თავის საყმოთ განესაკუთრე. ოდეს ... [სოლომონ II-მ] მეფობა მივიღე, ... გამოვიძიე და ვსცან, მიწა ეკლესის ყოფილიყო ... და მეც კათალიკოსის წერილით დამიმტკიცებია შენშიდ... (დსსს, II, გვ. 101).

ბარი (ბარის ქვეყანა). ქვემო ქართლი

ბარი 1620 – იხ. დმანისის ხევი

ბარისთავი. რაჭა

ბარისთავი 1696-1742 – [კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის წიგნი ბიჭვინტისადმი] ... რაჭას ბარის თავს ვარდის გორა ჭბო – სასახლე მისი შესავალი და გამოსავალი ... კიდევ რაჭას ამრალაული გაღმა თებზაძე შოშიტა და გოკია... ოკრიბას, საწირეს: კუპლაშვილები გაძვერიასშვილები ჟოჟუა და დათუა... ხრესილზედ: ობოლაძენი... მამუკა ობოლაძე ამოწყდა და მისი პარტახი გელათის წინამძღვარს მიეცი... მათხოჯს: სხვას ბეგარას გარდა თეთრის ბეგარა მართებს ყველას... მარჩილის თავს შამახური ყოველს წელიწადს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს მიერთმეოდეს ბიჭვინტას. ქ. ოდიშს თავს მეჯეთს ... ექვსი მოსახლე კაცი მათის ... სახლკარითა ... და ქუნიერი სასახლე მისის ტყითა და წყლითა და საყანითა ბატონის დადიანის ბეჟანისაგან გეიქრთამებია და ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისდა შეგეიწირავს. ქ. სენაკს: გიორგი გურიული ცოლშვილითა ... ქ. წყალიძგას ლუხავა... ეს წყალიძგა უმალ კურთხეულს ნებსაძე კათალიკოზს ციხისთვის შვილის ცაიშლის მაქსიმესათვის მიეცა. მერმე ის ძირი კაცები ამოწყვეტილიყვენ, ცაიშელს თავისი სამკვიდრო ყმები დაესახლებინა. მერმეთ ჩემს კათალიკოზობაში ... ყველა ბიჭვინტისა ღმრთისმშობელს

[34] იგულისხმება მუხლი.

შესწირეს ... ქ. ამას გარეთ თეკლათს: ერთი მოსახლე კაცი ღვაკალაი გრიგოლა ზაალ მხეიძეს ნიშანში ამოვიღეთ... სახარაბედოს: კაჯიბია ივანელა ... ქ. ბიას: კოჩიორე სიჭინავა... ხობს: ხუტუ კოდუა... (ქსძ, III, გვ. 765-768).

ბარისთავი 1712-1731 – ... იაშვილი მამუკა და მისი შვილი დაიცნენ და მამული მათი უმკვიდროდ დარჩა... კათალიკოზი ბატონი გრიგოლ ... აქ რაჭას მობრძანდათ და ... [შოშიტა ერისთავმა] შემოგწირეთ ბარისთავს სასახლე ჭიბო მისის მოჯალაბიანად... (დსსი, I, 128).

ბარისთავი 1732 ახლო – [აფხაზეთის კათალიკოსმა გრიგოლ ლორთქიფანიძემ ბიჭვინთის ღვთისმშობელს შესწირა] რაჭას ბარის თავს სასახლე ვარდისგორა ჭბოში გაწყობილი ერთის მოჯალაბით, ტყით, წყლით, მთით, ბარით... აგრევე მოჯალაბეს თავისი სარჩო ფუტიეთსა აქვს ტყით, წყლით, სავენახით, საყანით... ტყვირის მონასტერი თორმეტის მოსახლე კაცით მეფემ ალექსანდრემ თავის მეუღლის დადიანის ქალის ნიშანშიდ შესწირა მისის სამწყსოიანათ და ნიშნიანათ, ტყით, წყლით, აგარაკით, სავენახით, ... ასე რომე საჭილაო აზნაურისშვილებს ყველას მისი ნიშანი მართებს. კრიხს სასახლე კვიტასშვილის დარისპანისაგან შეწირული... ახალსოფელს წულუკიძის შეწირული კაცი... ამბროლაურს გამყრელიძისეული პარტახი შოშიტა ერისთავმა გვიბოძა, იმაზედ კაცი დავასახლე და ისიც ხატს შევსწირეთ... (ქსძ, III, გვ. 715-716).

ბარისთავი 1733 – [კათალიკოზ გრიგოლ ლორთქიფანიძის შეწირულობის სიგელი ბიჭვინტისადმი]: ... ზოგი თავით ჩემით ნაშოები და ზოგი რომელნიმე საყდრისა მამული სხუათაგან დაჭერილი მრავლის გარჯით ამომიხსნია და ესრეთ მომიხსენებია... რაჭას ბარისთავს სასახლე ვარდისგორა ჭბოში გაწყობილი ერთის მოჯალაბითა... აგრევე მოჯალაბეს თავისი სარჩო ფუტიეთს აქუს ტყით, წყლით, სავენახით, საყანით... ახალსოფელს წულუკიძის შეწირული კაცი ერთი მოსახლე ნამგალაძე... კრიხს სასახლე კვიტაშვილის ჯარისპანისაგან შეწირული... გელათს სასახლე სამხრეთის კერძო მისის გაწყობილობით... ერთი მოსახლე კაცი სორმონს თათრისაგან ვიყიდე ... და ... ხატს შევსწირე, ... მეორე მოსახლე კაცი კიდევ სორმონს ქორქიას საპარტახო ვიყიდე და იმაზედ დავასახლე, ხატს შევსწირე... ოკრიბას ობოლაძენი და კუპრაშვილები დავით კათალიკოზს ეშოვნა... არგვეთს იოანე ჟანარია და მისი ძმაჲ... ოფჩას ჩხიკვაძე ზაქარია და მისი ძმაჲ... გეგუთს მეცხოვრისშვილის პარტახი მისის მოჯალაბიანათ... მესხეთს მახარობელი შალამბერიძე... ფარცხანაყანევს ფხაკაძე დათუა და ... აბაშიძის შეწირული მარდალეიშვილი ხუცესი... ბაჟს[35] ერთი მოსახლე კაცი... საჩინოს ხავთასი წინამძღვარი მაკარიოზ... სამიქელაოს სასახლე გვაზაური ნიჟარაძისეული მისის გაწყობილებით... ტყვირს მონასტერი თორმეტი მოსახლე კაცით მეფემან ალექსანდრემ დადიანის ქალის ... ნიშანშიდ შესწირა სამწყსოიან-ნიშნიანად... საჭილაო აზნაურისშვილებს ყველას მისი ნიშანი მართებს; ქორენისუბანს[36] ორი მოსახლე კაცი... ოდიშს ქუეყა-

[35] აბაშას (დსსს, I, გვ. 141).

[36] ქორეისუბანს (დსსს, I, გვ. 142)

ნას მეჯეთს დოდელიას სეული ადგილი ბეჟან დადიანისაგან ვიქრთამეთ... დათუნა გულავა სენაკის კანდელაკის სისხლშიდ ამოვიყვანე... ეკის მონასტერი იმანიერი, ამ მონასტერზედ ბერი დავაყენეთ... შულაძე ნასხიდა ... აფხაზეთიდამ ამოვიყვანეთ და დავაყენეთ... შხეფს ამ საყდართან ბერდია დოხოდი შეწირული, მეორე მოსახლე მხეიძის ნიშანად ავიღე... უშაბათს ლააკა ხუტა ... დადიანის ქალის ნიშნათ ავიღე... საწულეისქიროს ერთი მოსახლე კაცი ჩალაჩავა... სახარბედიოს ეჯიბია ზაალ მხეიძის საწირავათ ავიყვანე და დავასახლე... ტყვირს ობიშხუა ჯოჯუ... თეკლათს ერთი მოსახლე გარუჩავა ერისთვის ქალმა დედოფალმა შესწირა... წყალისგზას ციხისთავის ცაიშლის ნაქონი სოფელი...[37] სახობოში[38] ბიას კოჩივარე სიჭინავა ჩიჯავაძის ნიშანში ბეჟან დადიანმა მოგვცა... თვითონ ხობს[39] საცხომარიოს გიორგი პააჭკორია... ხორგას საკუტალიოს გოჯი აშილავა მისის ... მამულით მერაბ ჯაიანმა შესწირა... ნაპარკეულსა[40] სასახლე ერთის მოჯალაბით, ტყით, კარგის სათევზაოს წყლით... გურიას ასათიანი ხუცესი ენუქის შვილი იესე: მამუკა ნაკაშიძის, მისი ცოლისა და მისი შვილის ნიშანშიდ მოგვცა გურიელმა გიორგი... ერთი მოსახლე ჟღენტი ბეჟან ნაკაშიძემ მისი მეუღლის – ნიჟარაძის ქალის ნიშნად მომცა ლანჩხუთს... ამ ჩუენს შეწირულს კაცს ყველას ბეგრათ სანთელი დავადეეით: ცხენის წყალს გამოღმა იმერეთის ქუეყანას თითო შამახური და გაღმა ოდიშის ქვეყანას ხუთ-ხუთი ლაღარიკონი... ასე ... შემოგვიწირავს შენ, ... ბიჭვინტისა ღუთისმშობელო[41]... ესე იესე ყენია ამაღლებას დავასახლე...[42] (ქსძ, III, გვ. 728-735).

ბარმეთუბანი. შიდა ქართლი

ბარმეთუბანი 1664-1673 – იხ. წყნეთი

ბარქდარა. ქვემო ქართლი

ბარქდარა 1657 – იხ. ტაშირი

ბარქდარა 1703-1709 – ჩვენი [ვახტანგ VI-ის] ბძანება არის: ტაშირზედ ბარქდარას ნასოფლარის მოურაობა მდივნის გივისთვის გვიბოძებია... ვინც მოვა და დასახლდება, ძალასა და უსამართლოს არავინ უზამს (სს, III, გვ. 416).

ბარცხილას ღელე. სამეგრელო

ბარცხილას ღელე – იხ. ცაიში 1616-1621

ბასილის უბანი. კახეთი

ბასილის უბანი 1514-1578 – [განჩინება ლეონ მეფისა ჩოლოყაშვილთა ყმამამულის საქმეზე]: ... თუ ყანდურალი და მისთა ძმათა ... იფიცონ, ბასილის უბანი გაიტანონ უწილოდ... და თუ ვერ დაიფიცონ, ზაალ ერთი ნასყიდი

---

[37] ეს მოსახლე კაცები მათის ტყით, წყლით... ყოველისფერიანათ თეკლათს და სირიაჩქანოს (დსსს, I, გვ. 143).

[38] სახოფოთ (დსსს, I, გვ. 143).

[39] ხოფს (დსსს, I, გვ. 143).

[40] ნურკელის (დსსს, I, გვ. 144).

[41] ... და ხოფისა ღუთისმშობელო... (დსსს, I, გვ. 145).

[42] ეს იესე ზეიმა ამაღლებას დავასახლე... (დსსს, I, გვ. 147).

კაცი და ერთი ნასყიდი ვენახი არბუხს გარეთ საცა უნდოდეს ... იქი გამოირჩიოს... აგრეევე ბასილის უბნითა საუფროსო ზაალ ... ასრე აიღოს, რომე გრემს ქვემოთ არბუხი აბჟეტზედ მიადვას და გრემს ზემოთ მატანზედა მიადვას... ახალუბნური სასახლე თხრილს შიგნით ... და მიხოვრა იშხნასეულით მამაულითა აბჟიტურის სასახლის გულისთვის ზაალს მიეცით... ვენახი, ნასყიდი და სახასო სახნავები, ბახჩა საცა იყოს, წისქვილები გრემს ზედათ და გრემს ქვემოთ, ყველა ოთხ ძმაზედ გაიყოს... პირუტყვი ვისაც სათავისოდ ჰყვანდეს, ისრეევე იყოლიონ. სხვა ალავერდლისეული და შაქური ცხვარი და თეზური ძროხა და ღორი ... ოთხად ძმაზედ გაიყონ (ქსძ, IV, გვ. 44-46).

ბატატიანთკარი. მთიულეთი

ბატატიანთკარი 1781 – იხ. წკერე

ბატაური ვენაჯი. კახეთი

ბატაური ვენაჯი 1475 – იხ. ახატანი

ბატონის ბაღი. თბილისი

ბატონის ბაღი 1709 – ესე წიგნი მოგეცი მე, დავითაშვილმა ჭონმა თქვენ, მდივანს გივს [თუმანიშვილს]... თათარს მელიქას ბატონის ბაღისკენ რომ გალავნის კარი გავა, იქ რომ ქარვასლა არის, ამ ქარვასლაში ორი უჯრა და ერთი კარი და ნახევარი ეზო გირაოდ თქვენთვის დაედვა და სიგელიც მოეცა, ... თქვენ ის უჯრები, ნახევარი კარი და ეზო და სიგელი მე მომყიდეთ (სს, III, გვ. 407).

ბატონის მეიდანი. თბილისი

ბატონის მეიდანი 1766 – ჩვენ, მირზა აბუთურაბის შვილებმა ... თქვენ, ორბელიანს ... რევაზს ... მოგყიდეთ ჩვენი ... ძველად დარჩომილი სახლი და კიდევ მამის ჩვენისაგან ახალი ნასყიდი სახლი... არის ამის საზღვარი: ბატონის მეიდანზე ქაზუმას სახლსა და თქვენს სახლს შუა რომ პატარა ქუჩა შეიელის... ყორჩიანთ ქუჩა რომ მისდევს... ამ სახლების სანაცვლოდ – გეიბოძეთ ქვემო მეიდანზე უსტა იასეანთ ფარსადანისშვილის გიორგისაგან ... მოსყიდული სარიმაჯისუბანში ორი ჭელი სახლ-კარი... (დთი, I, გვ. 297-298).

ბატონის ქარვასლა. თბილისი

ბატონის ქარვასლა 1785 – იხ. ნორაშენი

ბაუ. იმერეთი

ბაუ 1492 – იხ. სახადი

ბაქთა. კახეთი

ბაქთა 1722 – იხ. მარტყოფი

ბაღასკარი. იმერეთი

ბაღასკარი 1549 – ჩვენ ჭილაძემან ჯაჯახმან შემოგწირეთ ... (მცხეთას) ბაღასკარს ერთი მეზუთხე კაცი ივანე უღურელისძე; მეორე მეზუთხე ქვემო სანავარდოს მახარე სანასძე, მესამე მეზუთხე მოსახლე კაცი ქორისუბანს ბუბასკირი თემნა... ჯიქთ უბანს ერთი მოსახლე კაცი... (ქრონ, II, გვ. 389).

ბაღდათი // ბაღდადი. იმერეთი

ბაღდადი 1578 – იხ. ქუთაისი

ბაღდადი 1636 – იხ. ხონი

ბაღდათი 1770 – იხ. ქუთაისი

ბაღდაური მამული. კახეთი

ბაღდაური მამული 1429 – იხ. ძაგნაკორა

ბაღდაური მამული 1438 – იხ. ძაგნაკორა

ბაღთკარნი. კახეთი

ბაღთკარნი 1579 – იხ. მცხეთა

ბაღჩა. ქვემო ქართლი

ბაღჩა 1751 – იხ. ახალშენი

ბაღჩალარი. ქვემო ქართლი

ბაღჩალარი 1670 – იხ. აბანო

ბაყუირული მამული. კახეთი

ბაყუირული მამული 1460 – იხ. ძაგნაკორა

ბაში // ბაჟი. იმერეთი

ბაში 1578 – იხ. ქუთაისი

ბაში 1733 – იხ. ბარისთავი

ბაში 1773 – იხ. ქუთაისი

ბაში 1797 – [შეწირულობის წიგნი გულქან დედოფლისა ქუთაისის ტაძრისადმი]: ... საფასითა ჩემითა დავიხსენ ... ერთი გლეხი ივანიაძე ... და შენს სახასო ადგილზედ დავასახლე ბაჟს... (დსსს, II, გვ. 112).

ბაშინჯაღი. ქვემო ქართლი

ბაშინჯაღი XVIII ს-ის II ნახ – ბაშინჯაღელმან შულავრელს უჩივლა ქერი კოდი დ. (სამდ, გვ. 51).

ბაწაწიანი. კახეთი

ბაწაწიანი 1513 – იხ. ხოდაშენი

ბახარი. კახეთი

ბახარი 1699 – იხ. ყორნავი

ბახვი. გურია

ბახვი 1578 – იხ. ქუთაისი

ბახვი 1773 – იხ. ქუთაისი

ბახრი-ჩაი ბულახი. კახეთი

ბახრი-ჩაი ბულახი 1708 – იხ. ყორნევი

ბახტრიანის ნაზვრევი. კახეთი

ბახტრიანის ნაზვრევი 1701 – იხ. ნაპანკისევი

ბახტრიონი. კახეთი

ბახტრიონი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ბახტრიონი 1748 – ჩვენ ... მეფემ ერეკლემ ამ განაჩენის წყალობა გიყავით თქვენ, ჩოლაყასშვილს თუშთ მოურავს ჯიმშერს, ძმასა შენსა ჭიაურთ მოურავს ომანს... ბახტრიონზედ თქვენ და ჩვენი სახასო ყმანი ... ცილობდით... ეს პანკელები ამას ... ლაპარაკობდენ: მართალი არის, მოგცემიათო და ისევ ბატონებისაგან წაგრთმევიაო [ყმა-მამული], თავის სახასოდ დაედვათ. თქვენ ... წახვედით, ბახტრიონისათვის შემოგევლოთ ილტოს შესაყრამდის, გალავნის კარზედ რომ სომხის საყდარი დგას იქიმდის, და ბოლოს ჯანჯანათ თავს რომ საყდარი დგას, ალაზნის პირამდის ისე ჩაელით შემოგეელოთ და დაგეფიცნათ... ამ რიგათ თქვენ რომ დაიფიცეთ, ის ბახტრიონი თქვენ დაგრჩათ ყოელის კაცის უცილებლად ... (ქსძ, IV, გვ. 374-375).

ბახტრიონი 1756 – იხ. ალვანი

ბახტრიონი 1775 – იხ. უტო

ბახტრიონი 1785 – [არზა გიორგის ურუმბეხაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ჯავახიშვილის ზაალის ყმა გახლდი... თავი დავიხსენ. ბახტრიონს თქვენს ყმათ დავსახლდი... ოქმი მიბოძეთ კობიაშვილს ნაცვალზედ, რომ სახნავი მამული უნდა მოეცა. არაფერი არა მამცა რა... კაეთისხევს რომ გაიმარჯვეთ, ცალი ფეხი მაშინ მომტეხეს... (ქსძ, VII, გვ. 644).

ბახტრიონი 1785 – იხ. მარილისი

ბახტრიონი 1787 – [არზა შაბურიშვილებისა ერეკლე მეფისადმი]: ბახტრიონს რომ ჯანიბეგაშვილი სახლობს, ჩემი ყმა, იმას მოუხსენებია .... თავდახსნილი ვარო... მაგ ბიჭის დედამ თავის სამშობლოში სალოცავად წასვლა მოინდომა, იქავ ბახტრიონს, და ძმების ნახვა. როგორ დაუშლიდათ, არაგეზედ ჩვენის ცხენებით გავიყვანეთ... თხუთმეტს წელიწადს წინ არზი მოგართვით, თელავს ბძანდებოდით, ოქმი მიბოძეთ გარსევანზედ... მერმე თქვენი შვილი ბძანდებოდა თელავს, ჩემს შვილს თქვენი ოქმები ეჩვენებინა ბატონისშვილის ვახტანგისათვის და ვყრიდით (ქსძ, VII, გვ. 727).

ბახჩალო. ქვემო ქართლი (?)

ბახჩალო 1799 – იხ. მადანი

ბაჯი // ბაჯა. რაჭა

ბაჯი 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

ბაჯი 1637 – იხ. ჭელიშის საყდარი

ბაჯი 1660 – [შეწირულების წიგნი ბაგრატ მეფისა ნიკორწმინდისადმი]: ... ბატონს მამაჩემს ბაჯას გლეხი შეწირა წმინდის ნიკოლოზისათვის და სვიმინ ნიკორწმინდელს ჰქონოდა. და ახლა თქუენც ... გიბოძეთ ბაჯას ისივ გლეხი ... მისის ... ცოლშვილითა, სახლ-კარითა... (დსსს, I, გვ. 64).

ბაჯითი. იმერეთი

ბაჯითი 1071-1080 – იხ. ზნაკვა

ბაჯითი 1760-იანი – იხ. სარეკი

ბებნისი. შიდა ქართლი

ბებნისი 1609 – ... ჩუენ, ათაბაგმან ბატრონმან მანუჩარ ... თქუენ, რუის საყდარსა ღმრთებისასა და ხატსა ფერისცუალებისასა შემოგწირეთ სრულად ხუირანიელნი ბებნის მსახლობელნი... ვინცა ... კაცმან ჭელ ყოს ... მესხურთა და ჯავახურთა მამულთა ზედა ... რისხავსმცა ღმერთი დაუსაბამო (ის, IV, გვ. 5-6).

ბებნისი 1773 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს, პატრიარქის ყმას, ხუდადაშვილს ზურაბას. ბებნისს ნასყიდი მამულები მაქვს... მროველი და მამაცაშვილი არ მანებებენ. აგერ ათი წელიწადია ჩემს ნასყიდს მამულს ისინი სჭამენ (ქსძ, VII, გვ. 240).

ბეგთათავი. შიდა ქართლი

ბეგთათავი XVII ს. იხ. ციხისძირი

ბეგიასოული პარტახტი. იმერეთი

ბეგიასოული პარტახტი 1660-1681 – იხ. გორისა

ბეგიაური. იმერეთი

ბეგიაური 1766 – ... მე, წერეთელმა გიორგიმ, შენ აბდუშერისშვილს ზალიკასა ... მოგყიდეთ ჩვენი ალალი სამკვიდრო – ბეგიაური და საწვერელა; უწინდელს წყალობას ჩამოდაღმე ნახევარი ტყე და მიწა მთლათ მოგვიცემია... (იდ, I, გვ. 109).

ბეგოთკარი. მთიულეთი

ბეგოთკარი 1781 – იხ. წკერე

ბედენი // ბედემი. ქვემო ქართლი

ბედენი 1600 – იხ. გუდარეხი

ბედენი 1652 – იხ. ვაძა

ბედენი 1653 – [განჩინების წიგნი]: გუდარეჯელნი და ღორისთველნი ბედენზედ სამძღვარს შესცილებულიყვნენ. ახლა გერმანოზიშვილს ოთარსა ... ფიცი დაედვათ თავეთით ყმით. გუდარეჯელთა ასრე შეფიცონ: ამ გზასა, რასაც ღორისთვის გზა რომ შეიელის, ნათლისმცემლის ქვეით, ღორისთველს კაცს ჭელი არა ჰქონდეს, ქვეშეთ დიდი შარა რომ გაივლის ბედნისა, იმას ქვეით ტყემლარური[43] და გორას სათიბი არის, – ცორველთ დარჩა. იმას ზედათ[44] რასაც წყალი გორას სათიბისაკენ[45] დაიქცევს, დიდის კლდის გამოტანებით, სერ-სერი რომ შემოსდევს, ნათლისმცემლის ძირში, აქეთ ყვირალას[46] ნასახლებამდისინ, მინგულს[47] სათიბი და შუა დიდი კლდე რასაც შეიტანს წყარომდისინ, იმის გასწორათა სამი გორა რომ არის, დაბალი გორა იმას ქვეშეთ ჭიკჭიკის წყალი[48] რომ არის, რასაც

---

[43] ტცემლარერი (სს, I, 1899, გვ. 383).
[44] გორის სათიბარს ცორველთ და რარაიმას ზედათ... (სს, I, 1899, გვ. 383).
[45] გორს სათიბისაკენ (სს, I, 1899, გვ. 383).
[46] ცვირალს (სს, I, 1899, გვ. 383).
[47] მანგლის (სს, I, 1899, გვ. 383).
[48] ჭივჭივის წყალი (სს, I, 1899, გვ. 383).

წყალი ტყემლარსაკენ[49] და გორას სათიბისაკენ დაიქცევს, ღორისთეელს კაცს ჭელი არა აქვს, გუდარეჭელთა არის. რაც წყალი ნათლის-მცემლის ქვეშეთ[50] წირა მთისაკენ დაიქცევს, ღორისთველთა არის. და წირამთულა მაღალი გორები, ისიც წირამთულა, ნათლისმცემლის გასწორათ უკან რომ წყარო არის, ჭიკჭიკის[51] სათავე, იმას გაღმით ჭელი არავის აქვს, კაძის არის (ქსძ, IV, გვ. 94).

ბედენი 1694 – ... ჩვენ, ხუციშვილმა მახარებელმა ... თქუენ, წინამძღურიშვილს გიორგის ... მოგყიდეთ მიწა ბანკანაშვილის მიდგმამდი ბედენზედა და გურასპაშვილის მიწის მიდგმამდი... (სს, II, გვ. 166).

ბედენი 1701 – ... ჩვენ, ცერცვაძემ შალუტამა ... შენ, წინამძღურიშვილს ზაალს ... მოგყიდე ჩემგანც ნასყიდი მიწა ბედემზედ ერთის დღისა და ათი მჭარი... (სს, II, გვ. 183-184).

ბედენი 1701 – ესე წიგნი ... მოგეც მე, ბერუკამ აბრამიშვილმა შენ, ბიძა ჩემს ზაალს, ასრე რომე შენი მიწა ბედემზედ მინდოდა, ჩემს სამჭროთ იყო და ბერიათჭეეში ჩემი მიწა შენს ხოდაბუნის გვერდზედ იყო ... და ჩვენის ნებით ... გავსცვალეთ... (სს, II, გვ. 187).

ბედენი 1788 – იხ. მადანი

ბედენის მთა. ქვემო ქართლი

ბედენის მთა 1768 – იხ. ღორისთავი

ბედია. აფხაზეთი

ბედია 1446 – იხ. ქართლი

ბედია 1601 – იხ. ჭყონდიდი

ბედიანაური ვენახი. შიდა ქართლი

ბედიანაური ვენახი 1523 – იხ. კასპი

ბედიანაური ვენახი 1665 – იხ. კასპი

ბედიყარი. კახეთი

ბედიყარი 1571 – ... მე, ... პატრონმან ალექსანდრე ... შემოგწირე – თქუენ, გარეჯას წმიდისა დავითის საფლავსა ბედიყარს კუამლი კაცი ოთხი: მრუდაანელნი ჯაგასშვილი ილა, მისი განაყოფი სოსიმას შვილი ბოსტოღანა, ბამბჯაანელი ვახუშტას ნაშვილები ნატრო და ხანას შვილი გიორგი მათითა სამართლიანითა სამძღუარითა, მამულითა და დედულითა... დღეის იქით საურისა და ლაშქრობისაგან კიდე არცარა გამოელებოდეს... (ის, III, გვ. 68).

ბედნიერისკარი. შიდა ქართლი

ბედნიერისკარი 1441 – იხ. კავთისხევი

ბედნის დიდი შარა. ქვემო ქართლი

ბედნის დიდი შარა 1653 – იხ. ბედენი

---

[49] ტემლარსაკე (სს, I, 1899, გვ. 383).

[50] გუდარეხელთ რაც წყალი ნათლიმცემლის ქვეშეთ (სს, I, 1899, გვ. 383).

[51] ჭივჭივის (სს, I, 1899, გვ. 383).

ბედნის ნათლისმცემელი // ნათლისმცემელი. ქვემო ქართლი
ბედნის ნათლისმცემელი 1652 – იხ. ვაძა
ბედნის ნათლისმცემელი 1653 – იხ. ბედენი
ბევრეთი. შიდა ქართლი
ბევრეთი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე
ბეზდალუანთ მარანი. შიდა ქართლი
ბეზდალუანთ მარანი 1547 – იხ. ჴევთაშუა
ბეთაბრელი. რაჭა
1071-1080 – იხ. ზნაკვა
ბეთანია // ბეთენია. შიდა ქართლი
ბეთანია 1432 – იხ. ლორე
ბეთანია 1523 – იხ. მძოვრეთი
ბეთანია 1543 – იხ. სხალნარი
ბეთანია 1688 – იხ. ერწო
ბეთანია 1713 – იხ. გუნანეთი
ბეთანია 1713 – იხ. ღოლოვნა
ბეთანია 1720 – იხ. ნიაწარი
ბეთანია 1724 – იხ. ანდრია
ბეთანია XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი
ბეთანია 1742 – ... ნასყიდობის წიგნი ... მოგართვით ჩვენ, ... ერთობილთ ბეთენიელთ თქვენ, ტფილელ მიტრაპოლიტს ბატონს ათანასის ... და მოგვართვით ბატონის ჩვენის ნებადართვით ჩვენი მეზობელი სვიმონაშვილი ქიტუა... არის ამისი მოწამე წვერის დეკანოზი ოქროპირი, ბლორძელი ხოსია... (ის, V, გვ. 61).
ბეთანია XVIII ს. I ნახ. – ამილიღაბარისა [გოსტაშაბიშვილის ყმები] ბეთანიას... დიდებას... ენაგეთს... ახალშენს... კვესეთს... ტბისს... ელფიას... წინ ვენახს... თაკვს... აკურის... დვალთას... აგუდანეთს... მოლავს... ხორბუკს... ვაკეს... ამლივს... ფუტრევს... ერწოს... გენანეთს... ერდოს... აზიკვს... ცხნარს... ვარხუნას... მძოურეთს... მარიამს... თაფანს... ანდრიას... ერტის... წინანურს... ქოთიშს... ღოლოვნას... [საბუთის ზურგზე სხვა ხელით]: ნუსხა კაცების აგვდანეთისა, ჩხიკვთისა და ცეცხლაძის წიგნია. თაკვის წიგნი, დვალთისა, ერწოს წიგნი, პატივნის ორი წიგნი აქ აწყვია (დსსი, II, გვ. 30-33).
ბეთანია 1756 – იხ. ცხეკვი
ბეთანია 1757 – იხ. დიღომი
ბეთანიის სასაფლაო. შიდა ქართლი
ბეთანიის სასაფლაო 1713 – იხ. ღოლოვნა
ბეთიაშვილის პარტახი. იმერეთი
ბეთიაშვილის პარტახი 1720-1738 – იხ. ჭორვილა

ბეთლემი. შიდა ქართლი

ბეთლემი 1472 – იხ. მცხეთა

ბეთლემი. ქვემო ქართლი

ბეთლემი 1692 – იხ. ყაიყული

ბეთლემის ქუა. შიდა ქართლი

ბეთლემის ქუა 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

ბეკამი. შიდა ქართლი

ბეკამი 1719 – იხ. შინდარა

ბეკამი 1750 – [ოქმი თეიმურაზ II-ისა]: ჩვენი ბძანება არის ბეკმის მამასახლისო, ეს ბადრიასშვილი ბერი ჩვენი სახასო ყოფილა ... და სახასოთ იყოს... ვისაც გაუყიდნია, ავალისშვილმა თავისი თეთრი იმას სთხოვოს (დსსი, I, გვ. 349).

ბეკამი – იხ. სურამი 1756

ბეკამი 1782 – [არზა დათუა ბადრიშვილისა] ქართველ ბატონს ჩვენი თავი ხიდირბეგიშვილისათვის მიუცია მამულითა... ჩვენი მამული ხიდირბეგს ისაკ ბეგისათვის დაუგირაებია. ისაკბეგ ნაიბს ზაალ ავალიშვილისათვის მიუცემია. ავალიშვილი ქაიხოსრო და ედია რომ იყრებოდა, ... ჩემის თეთრით ის ჩემი მამული დავახსნევინე და საბატონისშვილოდ დავსდევ... მე დავიკარგე ... ათი წელიწადი... აუღია ჩემი მამული ქაიხოსრო ავალიშვილს და ქაიხოსრო აბაშიძისათვის მიუყიდნია... [მეფის ოქმი]: მამაცაშვილო იოსებ, ... შენ ბეკამს მიდი, ამის მამულზე ხელი ამართე და ამას მოაბარე (ქსძ, VII, გვ. 552-553).

ბეკამი 1794 – იხ. წიქარაული

ბეკამი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ბეკამი 1800 – იხ. ბრეთი

ბეკმისწყალი. შიდა ქართლი

ბეკმისწყალი 1711 – იხ. ქვიშხეთი

ბელა. სვანეთი

ბელა XV ს. – იხ. ლატალი

ბელაქანი // ბალაქანი. ჭარ-ბელაქანი (აღმოსავლეთი კახეთი)

ბელაქანი 1738 – იხ. ლოჭინი

ბელაქანი 1769 – იხ. ახალციხის ქვეყანა

ბელაქანი 1773 – იხ. გორის ციხე

ბელაქანი 1774 – იხ. წაკისი

ბელაქანი 1783 – [ერეკლე II-ის წერილი ბურნაშოვისადმი]: ჭარელნი არიან გვარობით ლეკნი, რომელიც მეფეს ლეონს ოცდაათი კომლი დაუსახლებია მწყესელად პირიტყვთა და შემდგომად შაჰაბაზისაგან ქართლის მოოხრებისა უფრო მრავალნი ჩამოსულან მთიდამ და განმრავლებულან. მაგრამ ნიადაგ ჩვენი ყმანი ყოფილან და ხარკი გვიღია. და როდესაც მე მეფობა მი-

ვიღე ნადირ-შაის დროს, ოთხს წეილიწადს მეც ვართმევდი ჭარკსა, რომელნიც ძველნი ჩვენნი ყმანი იყვნენ, გარდა ახლათ შემოსულთა ლეკთა და მუნ დასახლებულთა. ნადირშას სიკვდილის უკან, როდესაც თავისუფლება იშოვეს და ძალი დაღისტნელთაგან, მაშინ გავიდნენ ჩვენის მონებისაგან... ბელაქნიდამ მოკიდებული ჯინიხამდინ, რაც ლეკნი არიან გვარათ, იმათი გამოვა ორი ათასი კაცი და რომელნიც იქაურნი მემკვიდრენი ქართველნი და თათარნი და მისულნი სხვანი არიან, იმათშიც გამოვა ორი ათასი კაცი. გავაზიდამ ყარაღაჯამდინ და იმას ქვეითაც, რომელიც იქნება თექვსმეტი აღაჯი, ყველგნიდამ კარგათ და ადვილათ მიისვლება, რომელიც ეს სულ ჩვენი მხარი არის, სახლობენ ვაკეზედ, რომელიც სამ კუთხეზედ კარგად მიისვლება და ერთი მხარე აღმოსავლეთისა ჩრდილოეთის მთა აქვს დაღისტნისა (МПТСВГ, I, გვ. 100-101).

ბელაქანი 1783 – იხ. ქიზიყი

ბელაქანი 1784 – იხ. ჭიკა

ბელაქანი 1785 – [ერეკლე II-ის წერილი გ. ჭავჭავაძისადმი]: Омар-хан, Ашоский кад и Чжотай Али-Султан дагистанския войска до 20-ти тысяч собрали и по прибытии их в **Белакан** против **кизигцов, кварельцов и шилдов** ... слух был пропущен... Для чего мы выведя из селениев вообще **карталинския** народы расположили оных по крепостям, также к **Тифлису** подлежащия деревень народы расположили в **Тифлисе**. Мы же отправились в **Телав**, а российския войска под предводительством Давида сардала ... отправили в **Кизих** против Омар-хана... А как он перешел **Алазан**, то мы вошли в **Сигнаг** и повелели в скорости собрать войска... От **Алазана** пехота их пустилась в поход по берегу онаго, конницуж отправили против **Никорцих** или **Никорской крепости**. ...оне соединясь конница с пехотою ... достигли до источника **Дедоплисцкаро** именуемаго. ...они ту ночь пробыв на том месте, а на разсвете пустились в поход к **Иври**... И они спеша походом день и ночь 18 сентября в вечеру по ту сторону **Болука** перешли, вошли в **Байдары и Борчалы**; а 19-го учинили блакаду на **Ахталу** (где существуют их серебреныя и медныя заводы). Хотя 20-го прибыли мы с войском в **Марнеул**, однакож тогож 20 сентября взяли они **Ахталу**... 21-го и мы прибыли в **Садахл**, однакож они с той стороны к войне не решились и удалились оттуда в **Узунгар**; а оттуда в **Ахалкалан** и в **Жевахетию**... лекетское войско расположено около **Ахалциха**... **Панбакския** народы некоторыя вошли в укркпление **Карское**, а другия в **Ереван** (МПТСВГ, II, გვ. 51-53).

ბელაქანი 1786 – იხ. კახეთი

ბელაქანი 1787 – იხ. ყაზახი

ბელაქნის ხეობა. ჭარ-ბელაქანი (აღმოსავლეთი კახეთი)

ბელაქნის ხეობა 1769 – იხ. ახალციხის ქვეყანა

ბელაშნეური მიწა. იმერეთი

ბელაშნეური მიწა 1751 – იხ. გოლათუბანი

ბელეშიასსეული ადგილი. ოდიში

ბელეშიასსეული ადგილი 1640 – იხ. ქიაჩი

ბელოთი. შიდა ქართლი

ბელოთი 1769 – [არზა მაისურაძე დათუნიკასი ერეკლე II-ისადმი]: შარშან დიდ მარხოში ქართლში გიახელ, ერთი იმერელი გარღმომყვა, იმან მიღალატა და ოსებში მივყვანდი გასასყიდლად... ის ჩემი დამჭერი და წამყვანი ჭელში ჩავიგდე. თქვენ რომ შარშან ბელოთს მობრძანდით, მაშინ ის კაცი იქ დაჭერილი იყო... (ქსძ, IV, გვ. 694)

ბელოთი 1772 – იხ. მუხრანი

ბელოთი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ბელტის ციხე. შიდა ქართლი

1392 – იხ. ტფილისი

ბელტის ციხე 1629 – ჩუენ ... კათალიკოზმან პატრონმან ზაქარია ... თქუენ, ეგაძესა მღდელსა შიოს ... გიბოძეთ ბელტის ციხეს ოცი დღის მიწა სახნავი: იქით ზუმბულიძის მახარებლის მიწის სამძღურამდი აღმოსავლეთისაკენ ბელტის ციხის რუამდი და დასავლეთისაკენ საფურცლულს რუამდი... (ქსძ, III, გვ. 489).

ბელტის ციხის რუ. შიდა ქართლი

ბელტის ციხის რუ 1629 – იხ. ბელტის ციხე

ბენდიანურის სახლი. შიდა ქართლი

ბენდიანურის სახლი 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

ბენიათკარი. მთიულეთი

ბენიათკარი 1781 – იხ. წკერე

ბეჟანაური ვენახი. კახეთი

ბეჟანაური ვენახი 1798 – იხ. კალაური

ბეჟანბაღი. კახეთი

ბეჟანბაღი 1693 – იხ. შიბლიანი

ბეჟანბაღი XVIII ს. I მეოთ. – იხ. თვალი

ბეჟანბაღი 1784 – იხ. კაჭრეთი

ბეჟანბაღი 1791 – [განჩინება ერეკლე II-ისა]: ენდრონიკაანთა და ჯიმითელთ რომ მამულზე ცილობა ჰქონდათ, ჯიმითელთ მოჰქონდათ გუჯარნი ... მეფის ალექსანდრე პირველისაგან შეწირულნი და კიდევ მეფის ალექსანდრე მეორისაგან გაახლებული და აგრეთვე მეფის იმანყულიხანის გუჯარი, რომელშიც სწერს მეფე იმანყულიხანი: ჯიმითელთ მამული გამორთმეოდათ, რაც გუჯარში ეწერა, ის ხომ ვერ მიეცათ და რომელნიც მოდავენი ყავნდნენ, მოუჭერით სამნები და სინორები ჩაუსხით და ჯიმითელთ დავანებოთო. ამ მეფის იმანყულისხანისაგან გამიჯნულობას ენდრონიკაანი სხვაგან ნიშნევდნენ და ჯიმითელნი სხვაგან... ჩვენ რომ ის სადაო მამული ვნახეთ და ... მაყვლიდამ მოკიდებული ... ღელეში რომ ნაკურჩხალის ხე დგას, იქამდის სწორედ გამიჯნონ და იმ ხიდამ მოკიდებული გორაზე რომ მეფის იმანყულისაგან მიჯნად ჩაყრილი ქვები არის იქამდის და იქიდან წავიდნენ, ბეჟან ბაღს თავს გარდაუარონ და ბეჟან ბაღის წყალს რომ ჩახ-

დენ, იქიდამ შეუბრუნდენ და ახალსოფელს შემოუარონ შიმლიანის მიჯნამდის, შედგნენ მიჯნაზე და საგველლეს ქვასთან ჩავიდნენ და ჩამიჯნონ. და საგველლეს ქვიდამ მოკიდებული წნორამდის რაც ადგილია, სწორედ უნდა გაიზომოს საქიზიყოს შარამდის და სწორედ შუა გაიმიჯნოს. ნახევარი აღმოსავლეთის მჯარეს – ენდრონიკაანთ და ნაკვევარი დასავლეთის მჯარეს – ჯიმითელთ (ქსძ, V, გვ. 550-551).

ბეჟანბაღი 1798 – იხ. კალაური

ბეჟანბაღის წყალი. კახეთი

ბეჟანბაღის წყალი 1791 – იხ. ბეჟანბაღი

ბერაკანთ კარი. კახეთი

ბერაკანთ კარი 1722 – იხ. მარტყოფი

ბერანაცხვრევი. კახეთი

ბერანაცხვრევი 1747 – იხ. დოდოს მონასტერი

ბერბუკი. შიდა ქართლი

ბერბუკი 1744 – ... მე, თუმანიანთ ... პაპუამ ... თქვენ, ჩარჩიანთ ... ქრისტესიასა ... მოგყიდე ... ჩვენი ... ნასყიდი ყმის ... ბერბუკელი მარქარას ცოლი ხოშია და ამისი შვილი ესტატე... არიან ამის დამხდური ... გორის მელიქი თაყინაანთ ... ფარსადან... (დსსი, I, გვ. 318-319).

ბერბუკი 1745 – იხ. ქართლი

ბერბუკი 1749 – ... ბერბუკის გალავნის და რუების კეთებას ხელი მიეყავით[52] მაისის ათს გასულს, ხარჯი ამის ქვეით სწერია... [სხვა ხელით]: ჩვენ, მთავარეპისკოპოზმა ტიმოთემ გავშინჯეთ ეს ბერბუკის გალავნის ხარჯი. თუ ამის პასუხი გაგეცით, ციხე ჩვენი არის. თუ არა და როგორც სამოურაოთ წიგნი გაქვს, ისე სოფლებს მოუარო და მთავარეპისკოპოზს მოურაობით მსახურო... [სხვა ხელით]: თუ ან ჩვენ,[53] და ან ჩვენს უკან მყოფთა, ეს შენი ჩვენს მამულში დანახარჯი თეთრი მოგეცით, ჭელი არ გაქვს ციხეზე ... და თუ თეთრი არ მოგეცეს, თქვენ როგორც გიწერია... (სეიძ, II, გვ. 93-94).

ბერბუკი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

ბერბუკი 1791 ახლო – ... ღვინობისთვის თ ბერბუკის წისქვილის მუშაობას .. ხელი მიჰყო ... გიორგის შვილმა ზურაბამა... (მსეი, I, გვ. 120-121).

ბერბუკი 1795 – იხ. აღაიანი

ბერბუკი 1799 – ... მეფის ძის იოანეს ჭირი მომცეს ... მთავარეპისკოპოს პაისიოს... ბერბუკსა და სხვაგან მრავალი მამული გაუყიდნიათ გლეხკაცებს. და წყალობას ვითხოვთ, რომ ეკლესიას თავისი ღალა არ დაეკარგოს... და თუ უნდათ, რომ ღალა არ ედვასთ, ... რაც მიუციათ იმ ჩვენს მამულში ის გამოგვართვან და ჩვენი მამული დაგვახსნევინონ (ქსძ, VIII, გვ. 514-515).

---

[52] გორის მოურაემა?

[53] ბერბუკის მკვიდრნი?

ბერბუკი XVIII ს. მიწ. — იხ. სურამი

ბერდაძორი. ჯავახეთი (?)

ბერდაძორი 1031-1033 — იხ. მცხეთა

ბერდიანი. კახეთი

ბერდიანი XVIII ს. I ნახ. — იხ. თვალი

ბერდიას წისქვილები. შიდა ქართლი

ბერდიას წისქვილები 1651 — იხ. ბიბლიანთუბანი

ბერდიკი. ქვემო ქართლი

ბერდიკი 1630 — იხ. სომხითი

ბერდიკი 1658 — იხ. ბოლნისის ხევი

ბერდიკი 1697 — იხ. სომხითი

ბერდიკი 1703 — იხ. სამწევრისი

ბერდიკი 1721 — იხ. ბოლნისის ხევი

ბერდიკი XVIII ს-ის შუახ. — იხ. გარეჯვარი

ბერდიკი 1774-1783 — იხ. ვარიანი

ბერდიკი 1785 — ღმერთმან ... ბატონის დედოფლის ჭირი მათს მონას ლაშქარნივისს მანუჩარს მოსცეს... ჩვენ თქვენი წყალობა ბოლნისს ზეით ერთი სოფელი გვაქვს რომ ბერდიკი ჰქვიან. და ის სოფელი ზამთრით საქონლის დასაყენებლათ გარდაწყვეტით მელიქ მიხითარ ელს სომხებს მივე, რომ წელიწადში საბალახეთ სამი თუმანი უნდა მოეცათ. მასუკან მელიქ მიხეილა თავისის ელით სანატრელს თქვენს შვილს რომ ებოძა და ბოლნისს დააყენა, იმ ჟამად მელიქ მიხეილამ იმ ბერდიკს სოფლისა თხოვნა დამიწყო... (ქსძ, VII, გვ. 643).

ბერდიკი 1792 — იხ. ბალიჭი

ბერდიკი 1797 — იხ. სომხითი

ბერდოს ჭევი. კახეთი

ბერდოს ჭევი 1788 — იხ. სახარჭაშნელო მთა

ბერეთისა. იმერეთი

ბერეთისა 1773 — იხ. ქუთაისი

ბერთაული ყანა. იმერეთი

ბერთაული ყანა 1724-1735 — ... მე, თუთა ჩხეიძის ქალმა ... შენ, ჭიღლაძე ბეჟიას ... მოგყიდე ბერთაული ყანა ჩვენი კერძი დონოურის ძირს აქეთ... (დსსი, I, გვ. 457-458).

ბერთაქარი. ქვემო ქართლი

ბერთაქარი 1709 — ... ჩვენ, საჩინოშვილებმან ფარემუზ ... თქვენ, ორბელიშვილს ... ერასტის ... მოგყიდეთ ბერთაქარს ჩვენი წილი რაც არის მიწა-წყლითა, სასაფლაოთა, ორმოთა, ჩემ სასახლეს გარდაისად... ამას გარდა

ჯავშანიანში ჩემი წილის სახნავითა, უხნავითა, ტყითა, ველითა, სავენახითა (სს, II, გვ. 224).

ბერთაქარი 1792 – იხ. ბალიჭი

ბერთუბანი. კახეთი

ბერთუბანი 1392 – იხ. ტფილისი

ბერთუბანი 1428 – იხ. საგარეჯო

ბერთუბანი 1638 – იხ. საგარეჯო

ბერთუბანი 1690-1694 – იხ. გარეჯა

ბერთუბანი 1697 – [ერეკლე I-ის შეწირულობის წიგნი დავით გარეჯისადმი]: ბერთუბანს აქათ ერთი იათაღი რომ არის, იმას აქეთ რამაზანას იათაღი რომ არის. იმის ბოლოს რომ შარა გაიელის, თეთრის მინდვრის გორა გაიელის, იმ დიდის გორის შემოსწერივ ზემო დიდი შარა რომ გარდავა, ნათლისმცემლისა და ჩიჩხიტურის კოშკს შუა გაიელის, იქიდამ ჩიჩხიტურის კოშკსა წინა და წამებულს მიღმა რომ დიდი ხევი ჩავარდების, ის ხევი წავა და იქივ ბერთუბნის იათაღს შეეყრების, ამ სამძღვრებს შიგნით იათაღები; ლაქი ტაშმარ ოღლის იათაღი – ერთი; რამაზანას იათაღი – ერთი, იექ ოღლის იათაღი – ერთი, ჩიჩიტას იათაღი – ერთი, იროზას იათაღი – ერთი, სულეიმანას იათაღი – ერთი, ჰაჯი ოღლის იათაღი – ერთი; ჩიჩხიტურს წინ ისრაელას იათაღი – ერთი; – ესე ყოველი ამაში წერებული თქვენდა შემოგვიწირავს ამ წესითა, რომე რომელიც ამ იათაღებში ელი და თათარი დადგეს, მათი გამოსაღები ... თქვენთვის შემოგვიწირავს, თქვენი წინამძღვარი აიღებდეს და თქვენსა ტაძარს მოახმარდეს (დწკსსშ, გვ. 99-100).

ბერთუბანი 1708 – იხ. მცხეთა

ბერთუბანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ბერთუბანი 1746 – იხ. მარტყოფი

ბერთუბანი 1771 – ჩვენ, საგარეჯოს მოურავმა რამაზ და დავითგარეჯის არხიმანდრიტმა გერმანემ, საგარეჯოს ნაცვალმა იესემ, პატრიაქის ნაცვალმა შერმაზან და დავითგარეჯის მოჭელემ ზაზამ ... და სულ ერთობით გარეჯელთა ყოველთავე ეს განაჩენი დავსწერეთ... მობძანდა ბატონი ნინოწმიდელი საბა და ... თავისის ეკლესიის ყმას კუდაშვილის იოანეს შვილებს უჩიელა... მოვიღევით ბატონი ნინოწმიდლისა ორი გუჯარი: ... ერთი ... მეფის კოსტანტინესი, რომ ებოძებინა ... გაბრიელ მოძღვრისათვის, რომელიც ბძანებდა: ერთი საკვამლო ბერთუბანს გვიბოძებიაო; და კიდევ იმავ საკვამლოსი ცოტა რამ ნასყიდი ვენაჯი ნიგოზწყალზე ნინოწმიდლის ზვარზე მობმით ყოფილიყო, ისიც იმისთვისვე ებოძებინა... [გაბრიელ მოძღვარს] ნიგოზწყალზე მამულები და მიწები წმიდის ნინოსათვის შეეწირა... და ნინოწმიდის გალავანთან რომ გაბრიელ სახლებულიყო, ის ნასახლარი ... იმისთვის ებოძებინა... ახლა ... კუდაშვილს იოანეს ... ზაკვით ეს ... მამული ეკლესიისაგან მიეპარა... [მსაჯულებმა მიწები ნინოწმინდელს დაუბრუნეს] (ქსძ, IV, გვ. 616-619)

ბერთუბანი 1774 – იხ. სასირეთი

ბერთუბანი 1775 – იხ. გულგულა

ბერთუბნის იათაღი. კახეთი

ბერთუბნის იათაღი 1697 – იხ. ბერთუბანი

ბერიათჭევი. ქვემო ქართლი

ბერიათჭევი 1701 – იხ. ბედენი.

ბერიას კალო. შიდა ქართლი

ბერიას კალო 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

ბერნელა. შიდა ქართლი

ბერნელა 1764 – ... მე, ფიცხელაურმა ბეჟანმა ... შენ, ფიცხელაურს არჯევანს, მოურავს ... [მოგყოდე] ჩემი ალალი მიწა ნაფუზარი, წმინდა მარნის წინა, აქეთ ხევამდინ, იქით ბერნელამდინ, ზემოთ ნაკალოვრებთა გზა რომ გამოვა იოსების, იქამდინ ბერნელიდამა, თავისი შესავალ-გასავლითა... არის ამისი მოწამე ... ახალგორის მამასახლისი გიორგი, და იკოთს ბეჟუას შვილი ბასილა... (სს, II, გვ. 469).

ბერუკაშვილის მამული // ბერუკაშვილისეული. იმერეთი.

ბერუკაშვილის მამული XVIII ს. I ნახ. – ... ესე ... საფიცარი მოგეცით ჩვენ, ... ციხისთავ აბაშიძემ ზურაბ ... თქვენ, პაპუნა წერეთელს... ბერუკაშვილის მამული გვთხოვეთ. და რომელიც მეფეს ეჭირა ბერუკაშვილისეული ან სასახლე, ან გლეხები, ყველა მოგვირთმევია (იდ, I, გვ. 85).

ბერყანა. შიდა ქართლი

ბერყანა 1413-1442 – იხ. ძალისა

ბერშოეთი // ბერშუეთი // ბეშოეთი // ბერშეთი // ბეშუთი. შიდა ქართლი

ბერშოეთი 1559 – იხ. მცხეთა

ბერშოეთი 1658 – იხ. შიომღვიმე

ბერშოეთი 1723 – იხ. სამილახორო

ბერშოეთი 1754 – იხ. დიღომი

ბერშოეთი 1766 – იხ. გორი

ბერშოეთი 1772 – იხ. მუხრანი

ბერშოეთი 1795 ახლო – იხ. აღაიანი

ბერშოეთი 1799 – ... ბატონიშვილს იულონთან იჩიქლა უთნელიშვილმა დავით: ერთი იმერელი მოსვლია მამაჩემს ყმათა – კაპანაძე გოგია... სამოცი წელიწადი მეტი არისო, რომ ჩვენი ყმანი ყოფილანო, ახლა ამეყარა, ბერშოეთს გადავიდა და იქა დგასო... ესენი [კაპანაძეები] აქ დაბადებულნი არიანო. რამდენიმე ხანი ქსუისს მესახლენო. იქიდამ აიყარნენო და ისევ იმერეთს გადავიდნენო. და ისევ ჩვენ გადმოვიყვანეთო და ხარშილაურში დავასახლეთო. მასუკან ჩვენ რომ ოსების მიზეზით ხიფათები მოგვადგა, კიდევ აიყარნენ ეს კაპანაძეები, ავნევს გადავიდნენ და იესე ამილახვარს ეყმნენო... კაპანაძე დათუამ უპასუხა: ... [თქვენი სისასტიკისა და სქონლის

წართმევის გამო] ცოლშვილი წავიყვანე, მერეთს აველ და ჩერქეზიშვილის კაცისას დავდექო... იქიდამ ისევ ავიყარე და ხარშილაურში ჩაველ... ავიყარე ხარშილაურიდამ, დღისით ფლავზე შენს კარზე გამოვიარე და ... შენ რომ არა მოთხარ რა, მეც ... წაველო. და ეს თექვსმეტი წელიწადი არის, რომ ბერშოეთსა ვდგავარო... ამათი ლაპარაკები ... კარგად გაეშინჯეთ. საქართველოს რიგი არის: იმერეთიდამ მოსული კაცი და ჯავახეთიდამ მოსული კაცი ვისთანაც მიეა და ეყმობა, მასუკან ვეღარ წაუა... (ქსძ, VI, გვ. 92-94).

ბეშოეთი 1799 – ... მეფის ძის დავითის წინაშე მოსახსენებელი ამილახვარისშვილი ბეჟანისაგან... პაპაჩემს ბეშოეთიდამ ერთი კომლი კაცი წმინდის შიოსთვის შეუწირავს. ბეგარა წმინდის შიოსი სძეს და ჩვენს სასაფლაოს კი უნდა ემსახუროს (ქსძ, VIII, გვ. 538).

ბერშოეთი 1800 – იხ. ბრეთი

ბერშოეთი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ბერძენაული. შიდა ქართლი

ბერძენაული 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

ბერძენაული 1736-1744 – იხ. მოხისი

ბერძენაული მინდორი. შიდა ქართლი

ბერძენაული მინდორი 1660 – იხ. ქალაქი

ბერძენთკარი. შიდა ქართლი

ბერძენთკარი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

ბერძნიშვილების ნასახლარი. შიდა ქართლი

იხ. ჩოჩეთი 1562

ბერხევი. კახეთი

ბერხევი 1790 – იხ. ხოდაშენი

ბესთავნი. შიდა ქართლი

ბესთავნი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

ბექუას ჭალა. კახეთი

ბექუას ჭალა 1712 – იხ. ჭანდრისხევი

ბეღელაშვილი. შიდა ქართლი

ბეღელაშვილი 1772 – იხ. ხეობა

ბეღელეთი. შიდა ქართლი

ბეღელეთი XV ს. I ნახ – იხ. სამთავისი

ბეყეურეთი // ბეყეურეთი მიწაი. შიდა ქართლი

ბეყეურეთი 1260 – იხ. ხოვლე

ბეშახევი. ქვემო ქართლი

ბეშახევი 1789 – იხ. გუდარეხი

ბეშქენაშენი // ბეშკენაშენი. ქვემო ქართლი

ბეშქენაშენი 1392 – იხ. ტფილისი

ბეშქენაშენი 1654 – მეფე როსტომს სოფელი ბეშქენაშენი თრიალეთს მცხეთისთჳს შეუწირავს: „ჩუჱნის ბრძანებით ქათალიკოზი (ქრისტეფორე) აშენებს (ბეშქენაშენს)... ანუ ჯავახეთიდამ აყრილი კაცი ზემობეშქენს მოვიდეს, ნურა-კაცი ნუ შეეცილებით...“ (ქრონ, II, გე. 468).

ბეშქენაშენი 1697 – იხ. თრიალეთი

ბეშქენას ხანდაკი. ქვემო ქართლი

ბეშქენას ხანდაკი 1630 – იხ. ახოთა

ბეჩი. სვანეთი

ბეჩი XVII-XVIII სს. – იხ. იენაში

ბეჩუ. სვანეთი

ბეჩუ XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

ბეცლელაური მიწა. შიდა ქართლი

ბეცლელაური მიწა 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

ბეჯრუანის ყიშლაღი. კახეთი

ბეჯრუანის ყიშლაღი 1708 – იხ. ყორნევი

ბია. სამეგრელო

ბია 1696-1742 – იხ. ბარისთავი

ბია 1696-1742 – იხ. ხობი

ბია XVII ს. – იხ. სენაკი

ბია 1706 – იხ. ხორგა

ბია 1708 – იხ. ცაიში

ბია 1712 – იხ. ხორგა

ბიბიანი. კახეთი

ბიბიანი 1788 – იხ. ბულაჩაური

ბიბილაური პარტახტი. იმერეთი

ბიბილაური პარტახტი 1573 – იხ. ციხია

ბიბლიანთ უბანი. შიდა ქართლი

ბიბლიანთ უბანი 1651 – [ყმა-მამულის ნუსხა]:[54] ეჯუბაშვილი ნასყიდასი ... სახლკარი და ვენახი ხუთის დღისა... სამნების მიწა ოთხი დღის გარდიგარდმო... სოლთანაშვილი ზაქარა... მათი სახლკარი და ვენახი იქნების ოთხის დღისა; ბიბლიანთ უბანს, რუს პირს, ბერდიას წისქვილებთან ოთხის დღისა... რეხის გზაზედ რუს პირს ორის დღისა; რუს პირზედა გორის გზა რომ ჩაიელის შვიდის დღისა; საყდართან ხუთის დღისა; დიდისა რუს პირს ექვსის დღისა; ოთხისა დღისა ბოსტნების რუზედა; გარდიგარდმო შალგვეთზედა რვა დღისა; ძეძნარიანი ექვსის დღისა; სამის დღისა მოკლე მიწაში; ჩვენს რუზედან ცხრა დღისა... იქვე სოფელში ნაფუზარი ოთხის დღისა; სახატო ვენახი ორის დღისა... თანდილა შელვაშვილი ... ამათი ვე-

[54] მამულის პატრონი საბუთიდან არ ჩანს.

ნახი და სახლკარი ... ცხრა დღისა, ჩალაში ოთხის დღისა; ფშანის პირს რვა დღისა; გარეჯვრის გზაზე ექვსის დღისა, შალგეეთის მიწა ხუთის დღისა... კარალეთს ნასყიდი ვენახი ორის დღისა... თევდორას სახლკარი და ნავენახობი სამი დღისა... გზა ზეით რუს პირზედა სამის დღისა... ქვაჯრილთან ოთხის დღისა... ძულიაშვილისა მიწის გვერდზედ სამის დღისა (დსსი, II, გვ. 6).

ბიბლიანთ უბანი 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

ბიეთი. შიდა ქართლი

ბიეთი 1717-1724 – ... თუმანიშვილს მანუჩარს ბიეთელნი ბაილურები მოხტომიან და კაცები დაურბევიათ, ღვინო ამოუსხამთ, ცხვრები დაუხოციათ და ზოგი თან წაუსხამთ. (სს, III, გვ. 416).

ბიენი. შიდა ქართლი

ბიენი XVII ს. – იხ. ციხისძირი

ბითაანი. კახეთი

ბითაანი 1787 – იხ. უტო

ბირბიჩანი – იხ. ფირფიჯანი

ბირთვისი. ქვემო ქართლი

ბირთვისი 1713 – იხ. ღოლოვნა

ბისი. შიდა ქართლი

ბისი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ბისი. ქვემო ქართლი

ბისი 1725-1735 – იხ. ვარხუნალა

ბიქივლი. კახეთი

ბიქივლი 1597 – იხ. ორკოშინი

ბიწკინტელის ღელე. კახეთი

ბიწკინტელის ღელე 1579 – იხ. მცხეთა

ბიწმენი. კახეთი

ბიწმენი 1420 – ... ძმამან ლიპარიტ [ტოხაძემ] უხუმდრად ცოლი შეირთო... თქუმნ [კათალიკოსი] გაგჳწყერით და ... ჩუმნ ჩუმნითა ნებითა ვარდოვანს ექვსის დღის მიწა და ორის დღის მიწა ბიწმენს შერაკაშვილის ნაქონი მოგაჴსენეთ და თქუმნ შენდობა გჳბძანეთ.... (ქრონ, II, გვ. 225).

ბიწმენი 1438 – იხ. მცხეთა

ბიწმენი 1532 – იხ. მცხეთა

ბიწმენი 1579 – იხ. მცხეთა

ბიწმენი 1610 – ჩუენ, ... ქართლისა კათალიკოზმან პატრონმა დომენტი ... თქუენ, მცხეთის შვილსა ზიარადს ... მოგიბოძეთ ბიწმენს: ცხუირმრუდი გიორგი... ჩეკურაშვილი ნადირა მათის მამულითა... ჭიაურჩი ბასილა... (ქსძ, III, გვ. 387, 388).

ბიწმენი 1711 – [განჩინება დომეტი IV-ისა]: მიწობლიძე პაატა ... და ბიწმელაანი მამულზედ ცილობდენ... წადგა მიწობლიძე ... და ... ასე გაიფიცეს, რომ: რა ჩვენ ბიწმენი გამოგვრთმევია, მას აქეთ რასაც ფოხოლაძის ღელე ჩაიტანს ყორემდი ჭათხევის ჩატანებით საქალაქო შარამდი, ჩვენი ყოფილიყოს და არც ბიწმენელს კაცს ჭელი ჰქონდეს და არჯაველის მამული და გასადევარიც იყოს... ესე გამოფიცული მამული ისრევ ... მიწობლიძეს დავანებეთ... (ქსძ, IV, გვ. 237-238)

ბიწმენი 1722 – იხ. მარტყოფი

ბიწმენი 1722 – იხ. სარუსთველო

ბიჭვინტა // ბიჭუნტა // ბიჭვიტა. აფხაზეთი

ბიჭვინტა 1525-1550 – ... ჩუენ, მეფემან მეფეთამან ... დიდმან ბაგრატ თქუენ, საშინელსა საყდარსა ბიჭუინტისა ღმრთისმშობლისასა, გკადრეთ და შემოგწირეთ... გელათს საყდარი სადედოფლო წმიდის გიორგისი, ასის კუამლის კაცითა; რაჭას სოფელი ბარი, სასახლე და მონასტერი, ერთის აზნაურის-შვილითა ... და ოცდაათით კუამლის კაცითა... აგრეთვე მონასტერი ციხისა, ლეჩხუმს საჩხეური, წუგნა, კუებლევი ოცდახუთის კუამლის კაცითა; ოფჩას ბურჯანაძენი რვა კუამლი კაცი; ნავენაკევის სასახლე ოცდაათით კუამლის კაცითა; ხრუდო სათევზეთ, ჭიშურას გამოღმა ჭალასთავი სოფელი, ქუთათის სოფია წმიდის საყდარი ექუსის კუამლის კაცითა; ჯიმისტაროს სასახლე თორმეტის კუამლის კაცითა ევდემონ კათალიკოზისა ნასყიდი და ბიჭუნტისა ღმრთისმშობლის შეწირული... ჩუენ, მეფეთ-მეფემან გიორგი შენ, საშინელსა ბიჭუნტისა ღმრთისმშობელსა, შემოგწირეთ ჩუენი ნასისხარი ხოშტიბელა სასახლე თორმეტის კუამლის კაცითა, ჩუნეშს ათი კუამლი კაცი და მიეცით ლაღიძეს გიორგის და შეექენით საყდრის-შვილად და შემოგწირეთ ... ბიჭუნტისა ღმრთისმშობელსა... ჩუენ, მეფეთ-მეფისა ძემან თაიმურაზ შემოგწირეთ ხონს და კუხს ოცი კუამლი კაცი... გკადრეთ ... ჩუენ, დადიანმან პატრონმან მამიამან ... თქუენ, ... ბიჭუნტისა ღმრთისმშობელსა: მანთხოჯის სასახლე და მონასტერი, ორმოცის კუამლის კაცითა და ერთის აზნაურის-შვილითა... ჯიქთუბანი მთავარანგელოზის მონასტერი, თორმეტის კუამლის კაცითა; ეგურისპირს ნაჟანეო, სამოცის კუამლის კაცითა; ხოირს წმიდის გიორგის ეკლესია, ოცდახუთის კუამლის კაცითა; წამხარს გამკერვალია; სასახლე სუბეში; სოფელი მუხური, აზნაურის-შვილებითა, ოცდაათის კუამლის კაცითა; ტყაურუს მეთევზე და მენავტე შამიგია... მარმარისკარს ეგუბტია და ჩხუნბურია; აგრეთვე აფხაზეთს ბიჭუნტას გარემო სოფელი აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარხნეს მთა ზეთის ხილოვანი... გკადრეთ ... ჩუენ, გურიელმან ბატონმან როსტომ ... ბიჭუნტისა ღმრთისმშობელსა ხიბულა მონასტერი მთავარანგელოზისა, სასახლე ორმოცი კუამლის კაცითა, ტყითა, წყლითა, ველითა ... და გურიას ოცის კუამლის კაცითა ოცხანა და ხეჩს ერთი კუამლი კაცი... ამას გარეთ სამეფოსა და სადადიანოსა და საგურიოსა შინა, ვინცა ვინ თავადი კაცი მოკუდებოდეს, თავი ნიშანი კათალიკოზს მიეცემოდეს. და ბატონების ეკლესია კათალიკოზის საკურთხი არის, სამწყსო – ლიხსა და კაფას შუა

და რუსეთის სამზღუარსა და ჭანეთს შუა... და ვინცა ბიჭვნტისა გარეშამო სოფელი და გლეხნი ... დაარბიოს, ... ექუსასი ათასი ძველი კირმანეული თეთრი საყდარსა დაეურვოს... ვითარცა სხუათა საყდართა უწარჩინებულესი არის ბიჭვნტისა საყდარი, ეგრევე უმეტესი იადგარი დაედევით... (ქსძ, II, გვ. 176-182).

ბიჭვინტა 1685 – იმერთა მეფე ალექსანდრე აფხაზთ კათალიკოზს დაევით ნემსაძეს და ბიჭვინტას სწირავს ორს მოსახლე გლეხს... (ქრონ, II, გვ. 503).

ბიჭვინტა 1696-1742 – იხ. ბარისთავი

ბიჭვინტა 1696-1742 – იხ. იმერეთი

ბიჭვინტა 1700 ახლო – იხ. ოკრიბა

ბიჭვინტა 1705 – იხ. ჯიქთუბანი

ბიჭვინტა 1731 – იხ. აფხაზეთი

ბიჭვინტა 1758-1765 – იხ. წელენჯიხა

ბიჭვინტა 1760 – იხ. აფხაზეთი

ბიჭვინტა 1762 – იხ. სვანეთი

ბიჭვინთა 1770 – [დასავლეთ საქართველოს სამწყსოთა ნუსხა]: იმერელი მეფის საბატონოში პირველად აფხაზეთისა და სრულიად იმერეთის კათალიკოზი ანდრია მოციქულის მოსაყდრე ბიჭვიტის საყდარზე მჯდომი, ის საყდარი აფხაზეთის ზღვის პირზეა აშენებული. ქუთაისის მიტროპოლიტი ქუთათელი. ჭყონდიდელი მიტროპოლიტი. გენათელ მიტროპოლიტი. ნიკორ წმინდელი ეპისკოპოზი, რაჭას. ლეჩხუმში ცაგერის ეპისკოპოზი. ხონის ეპისკოპოზი. გურიას ეპისკოპოზი შემოქმედელი და ჯუმათელი. ესენი და ის რომ საყდარზე სხედან. რომელზედაც არა ზის და საყდრებია: ბედიელ მიტროპოლიტი, მოქველი ეპისკოპოზი, დრანდელი ეპისკოპოზი, ანაკოფიას ეპისკოპოზი, ესენი აფხაზეთის; არ კიდევ ზღვის პირზე ფოთის ეპისკოპოზი. გურიას ზღვისპირზე ხინოწმინდელი. ამას გარდა საათაბაგოში ბევრია მოშლილი (მრსუი, III/1, გვ. 553).

ბიჭვინტა 1776 – [შეჩვენების გუჯარი მაქსიმე კათალიკოსისა]: ... ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინტისა ეკკლესის კაცის შვილები მძლავრებითა და უსჯულოებით დაგვიყიდა და უსჯულოთა ... ათმანონთა მისცა... (ქრონ, III, გვ. 340).

ბიჭვინტა 1776 – [პირობის წიგნი სოლომონ I-ისა მაქსიმე კათალიკოსისადმი]: ... ბიჭვინტისა ღთისმშობელის ეკლესიის მამულები სამოურაოდ ჩვენს კაცებს ჰქონდა... ვიძიეთ და ძველთა გუჯრებითა შინა ბიჭვინტისა ეკლესიისათა ესრედ განცხადებულად ვიპოვეთ, რომ ეკლესიის მამულშიდ სხვის მოხელე და მოურავი არ შევიდეს... და ჩვენცა ესრეთვე დაგვიმტკიცებია, რომ ... ბიჭვინტისა ღთისმშობლის ეკკლესიის მამულზედ მოხელე და მოურავი და განმგებელი არ დაიდგინოს ... არცა იმერეთს და არც რაჭაშიდ და არცა სხვასა ადგილსა, სადაცა ბრძანება ჩვენი განიელინების... (დსსს, II, გვ. 51).

ბიჭვინტა 1792 – იხ. აფხაზეთი

ბიჯნისი. შიდა ქართლი

ბიჯნისი 1645 – იხ. ჩუმათელეთი

ბიჯნისი 1699 – [წყალობის წიგნი ერეკლე I-ისა იესე რუსიაშვილისადმი]: ... თქვენს ნაქონს მამულებს დაგვეაჯენით. ბიჯნის გიგაშვილი პაპია [და] ... შენის საყდრის ნახევარი სასაფლაოთი ... და სხვა რაც მიწები ჩვენს განაჩენში ეწეროს ... თქვენთვის ... გვიბოძებია... (სს, I, 1899, გვ. 495).

ბიჯნისი 1730 ... მე ... მამუკამა ... შენ ... მურვანსა ... მოგეც ... გირაოთ ბიჯნის ორი საკობლო ჩემი წილი და ჩემის ძმებისა. ამას გარდა სურამს თუ რამ ჩვენი წილი იყო გაუსყიდველი, ესენი სულ შენ და შენს ძმებს მოგეც გირაოთ (დსსი, I, გვ. 231).

ბლორძა. ქვემო ქართლი

ბლორძა 1619-1626 – იხ. ნიგოზათი

ბლორძა 1675-1688 – იხ. ჭანდარი

ბლორძა 1705 – იხ. დურნუკი

ბლორძა 1736 – იხ. სატრედო

ბლორძა 1742 – იხ. ბეთანია

ბნავისი. შიდა ქართლი

ბნავისი XIII ს. II ნახ. – ... [55]სურამელსა თანა წაყვა ლიხთიმერეთს და რაიცა ყმისა ჩუენდა სამსახური არს გამუშაებდი... მოვიდა ჩუენდა სამსახურად, მერმე შინვე წამოვიდა, შეიპყრა ჭელთა და მიგუარა საჭრეთელსა... მაჩაბელსა ეჴსნა... დასა წააღებინა საჭრეთელსა რვაი ჭური. ორი ჭური დარჩა და იგი ბნავისსა წააღებინა... მერმე მდიქისაძემ და დედამა ჩუენმა ქე დაიზავნეს და მოსცა ამისი ჩაქი მამა ჩუენსა ... მდიქისაძესა პირითა... შეიყარნეს ქაშუეთისა მთავარმოწამესა წინ და ... ნუკავა მამასა ჩუენსა თუ: ბნავისი მე მამეც და შენ ნურასა მეცილები... შეეყარა ზუიადსა და – დაიფიცნეს წმიდას კუირიკეს-ზედა მამისა ჩუენისა საკლავად და სამტეროდ. ჩადგა ბნავისს და ... დაგუიწყო მტერობაი ბიძამა ჩუენმა... ატენითაცა ყმები წამოგუისხა. დედამა ჩუენმა, მისდითა ძმათასა წაგუასხნა... წამოგუიდგეს უკან, გუდივა ხოლემდის... დადგეს ხოლეს და შემოქცეულთა ყმათა უმზირა [და ატყევებდა]... ზაქარია წამოვიდა კიდე და დაუწყო წყენაი სურამელსა და მამასა ჩუენსა საუბარი... შეიყარნეს ციხის მთავარმოწამესა წინაშე და დაიფიცნეს. მოგუასხნეს ჩუენც ბნავისს. მიეენდუე გულმართლად. მოვიდა ზუიადიცა ულოს...[56] მოვიდეს და დაგუესხნეს (ქისკ, I გვ. 186-188).

ბნელა. ჯავახეთი

ბნელა 1392 – იხ. ტფილისი

ბობნავი. შიდა ქართლი

ბობნავი 1721 – ... ჩვენ, სააკაძემ ზურაბ ... თქვენ, ბახუტას სააკაძეს ... მოგყიდეთ ბობნავს მოკელიძის პაპუნას წილი ვენაკი თქვენის სასახლის გვერდით, ზეით თავის განაყოფი ბერუას სამძღვრამდი... (სს, II, გვ. 310).

---

[55] მომჩიენის და მისი მტრის ვინაობა უცნობია.

[56] ულო, შეიძლება, გეოგრაფიული სახელიც იყოს (ქისკ, I, გვ. 213).

ბობნავი 1726 – ... მე, სააკაძემ ... ოტიამ, თქვენ, ჩვენს განაყოფს ბახუტას ... მოგყიდეთ ბობნავს ჩვენი საგლეხო მამული, სამგულური ვენაჯს გარდა, რისაც მქონებელი იყო, თავის მთითა, ბარითა... სიქალეთს გარდა, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყო, ... იმითი თქვენთვისა ... მოგვიყიდნია... (სს, II, გვ. 337-338).

ბობნავი 1783 – [შიოშ ბარათაშვილი იულონ ბატონიშვილს უანდერძებს]: ბობნავს კოშკი თავისის სასახლითა და გარეშემოთი. აქვე ბობნავს თოთხმეტი საკომბლო. ციცისშვილისაგან მოსყიდული სოფელი ნიგოზეთი მთლათა. ამათგანვე მოსყიდული სოფელი გარმუდეთი მთლათა. სამკვიდრო სოფელი ასიქალეთის ნახევარი საუფროსოთი. თრიალეთზე სამკვიდრო სოფელი ფარეხას ნახევარი საუფროსოთი. აქავ თრიალეთზე სამკვიდრო სოფელი მეორე კარუშეთის ნახევარი საუფროსოთი. რუისს ნასყიდაშვილები ოთხი კომლი კაცი და კიდევ მამული. კიდევ ბობნავს ზვარი ორი საწნახლითა (ქსძ, VIII, გვ. 913).

ბობოთი. იმერეთი (?)

ბობოთი 1071-1080 – იხ. ზნაკვა

ბობოკინი. შიდა ქართლი

ბობოკინი 1401-1415 – იხ. ულუმბა

ბოგვი. ქვემო ქართლი

ბოგვი 1721 – ... მე ... თამარმან ... შენ, ჩემსა მაზლსა ბეჟანისშვილსა თამაზსა ... მოგყიდეთ ჩვენის ყმის მასახუდასაშვილის დათუნას და ნინუას სახლი... მე, ბოგვის მამასახლისს დამიწერია... (სს, I, 1920, გვ. 133).

ბოგვი 1742 ... ჩვენ ... საგინაშვილმა დათუნამა ... შენ დურმიშხან ეშიკაღაბაშის შვილს გიორგისა ... მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე გლეხი ბოგვს ნავროზაშვილი ბეჟუა თავიანთის დედულითა, მამულითა... (დსსი, I, გვ. 309).

ბოგვი 1750 ესე [მორიგების] წიგნი მოგეცით ჩვენ, ბაიამთლი ემირა-ყულიმ ... შენ, ბოგველი თევდორეს... (დსსი, I, გვ. 350).

ბოგვი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

ბოგვი 1788 – იხ. კახეთი

ბოგვი 1792 – იხ. ირაგა

ბოგითის რუ. შიდა ქართლი

ბოგითის რუ 1716-1724 – იხ. ხევთუბანი

ბოგილა. გურია

ბოგილა 1780 – იხ. ბაილეთი

ბოგოული – იხ. ბუგოული

ბოდავი. კახეთი

ბოდავი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი

ბოდავი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ბოდავი 1784 – იხ. ნაფარეული

ბოდბე. კახეთი

ბოდბე 1657 – იხ. ნინოწმინდა

ბოდბე 1751 – ... მე, ნაკლულაშვილმა პეტრემ თქვენ, ბატონს ბოდბელ მიტროპოლიტს და წმინდის დავითის მონასტრის მამას იოანეს ... ჩემი მამული თქვენ მოგყიდე... აღიწერა წიგნი ესე ბოდბის წმინდის ნინოს მონასტერში... (ქკმეის, გვ. 103-104).

ბოდბე 1757 – ესე [ყმობის] წიგნი მოგეც მე, ტერ-ოსეფაშვილმა ... შენ, ბარნაბის-შვილს ივანე მღდელს... არის ამისი მოწამე ... ბოდბის ქევხა ჯიმშერ... (მსეი, II გვ. 42).

ბოდბე 1777 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს კახეთის იჯარადარს კურდღელაშვილს დავითას. ბოდბეში სამღებრო ხომ შეწირულია და იმასთან ჴელი არა მაქვს. და რომელიც სომეხი საბოდბლოში ვაჭრობენ, ბოდბელი იმათ ბაჟს არ მაძლევს. ჩემო ჴელმწიფევ, ... ბოდბელიც აქ გახლავსთ და მთელი ქიზიყიცა მოიკითხეთ და ეს ჩუენი საქმე გაარიგეთ (ქსძ, VII, გვ. 376).

ბოდბე 1789 – ყოვლად უსამღუდელოესი ბოდბელი დავით და ერთობივ ბარნაბიანები ბოდბეს ნასომხარს უძახიან, იმაზე დავა შეჰქონდათ... ბოდბელი ამას მიუგებდა: ეს ადგილი პირველთაგანვე ეკლესიისათვის სახასოდ ყოფილა დადებული, ამად, რომ აქ ეკლესიას სომხები სახლებია. ეკლესიისათვის უმსახურიათ და დღესაც ჩანს ნასახლარი და მილები და რუი რომ ჯანიანთ ჴევის წყალი შიგ მისდენიათ. და როდესაც შაჰაბაზს კახეთი წაუხდენია, ესენიც მაშინ წამხდარა, და იმ დღით დაწყებით ამაზედ ჴელი ვერავის დაუდვიათ ეკლესიის სახასო მამულობით. ჩვენ, ქიზიყის მოურავი ზაქარია, მიევედით იმ ადგილზე და ... მოუწოდეთ ეკლესიის მოჴელეთა – ბოდბის ნაცვალს დიმიტრის, ბოდბის ქევხას გიორგის და სხვანი ბოდბიდამ და ბოდბის ჴევიდამ უფროსი ... კაცნი... (ქსძ, V, გვ. 449-450).[57]

ბოდბისხევი. კახეთი

ბოდბისხევი 1783 – იხ. ჯავახეთი

ბოდბისხევი 1789 – იხ. ბოდბე

ბოდორნა // ბოდორმა. შიდა ქართლი

ბოდორნა 1629 – ... ჩვენ, ერისთავმან პატრონმა ზურაბ... ძველთაგან ამ საყდრის[58] შემოწირული ყოფილა ბოდორნა და კოჭლაძე... ჩუენცა აგრე დაგიმტკიცეთ (ქრონ, II, გვ. 448).

ბოდორნა 1669 – იხ. წილკანი

ბოდორნა 1764 – [ოქმი ერეკლე II-ისა გრიგოლ მღვდლის არზაზე]: მერმე თუ არაგვზე სხვას სურსათი არ გამოვართვით, ხომ არც ამის ყმებს გამოერთმევა. და თუ არაგვზე სურსათი გამოვართვით, რაც ბოდორნის წმიდის ღმრთისმშობლის ყმას შეხედეს, .. გრიგოლ მღვდელმა აიღოს (ქსძ, VII, გვ. 78).

---

[57] ეს დოკუმენტი ციტირებულია 1789 წლის კიდევ ერთ არზაში (ქსძ, VII, 804).
[58] ანანურის? (ქრონ, II, გვ. 448).

ბოდორნა 1771 – იხ. ჯიდის-თავი

ბოდორნა 1781 – იხ. პავლეური

ბოდორნა 1793 – იხ. ბულაჩაური

ბოვაძორი // ბოვაძური. ქვემო ქართლი

ბოვაძორი 1677 – იხ. ზემო ბოლნისი

ბოვაძორი 1679 – ჩვენ, ტერტერასშვილებმა არაზამ ... თქვენ, შანშიაშვილს დოლმაზას ... ყუზანას შვილის მიწა – ბოვაძორულის ვენახების ბოლოს დაღმა მიწებში ... მოგყიდეთ... არიან ამისნი მოწამენი ... ერთობილი ზემო ბოვნელნი (დსსი, I, გვ. 61).

ბოვისპირი. შიდა ქართლი (?)

ბოვისპირი 1703 – იხ. საჭე

ბოვნისი იხ. ბოლნისი

ბოკოწინი. კახეთი

ბოკოწინი 1568 – ... ჩუენ, პატრონმა ლეონის ძემან პატრონმან თეიმურაზ ... შემოგწირეთ [სვეტიცხოველს] ბოკოწინი ბასნაშვილი მისითა შესავლითა... (ქრონ, II, გვ. 411).

ბოკოწინი 1579 – იხ. მცხეთა

ბოკოწინი 1630 – ჩუენ ... ქართლისა კათალიკოზმან ... ზაქარია ... შენ, გარაყანიძეს ... გურგენს ... გიბოძეთ სოფელი სამკვიდრო ბოკოწინი მისისა მთითა და ბარითა... (ქსძ, III, გვ. 490-491).

ბოკოწინი 1751 – იხ. ჯაჭვი

ბოკოწინი 1779 – იხ. ავჭალა

ბოლი. შიდა ქართლი

ბოლი 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

ბოლი 1717-1719 – [განჩინება ბაქარ მეფისა]: ... ამილახორის სოფელი ბოლელნი და ქსანზედ ახალგორელნი ერთმანერთში ნასყიდობაზე ლაპარაკებულან და ცილებულან და ნიადაგ ამილახვარი და ქსნის ერისთავი ამაზედ მდურებულან და ჩხუბი და მტერობა ჰქონებიათ... ჩვენ ... ასრე გავარიგეთ... რაც ქსანს გაღმა ახალგორელთ ბოლური მამულები ეყიდოსთ ძველი თუ ახალი, ისრეე ბოლელთ დაანებონ; და რაც ბოლელთ ახალგორული მამულები ეყიდოსთ, ისრეე ახალგორელთ დაანებონ, ფასები მსყიდველებს შეუბრუნონ იქითაცა და აქეთაცა (ქსძ, IV, გვ. 280)[59]

ბოლი 1785 – იხ. ქარელი

ბოლი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ბოლნელის ხოდაბუნი. ქვემო ქართლი

ბოლნელის ხოდაბუნი 1726 – იხ. კოჩის მიწა

---

[59] განჩინებას ახალგორელთა და ბოლელთა საქმეზე ბაქარი ამცნობს ვახუშტი ბატონიშვილსაც (დსსი, I, გვ. 177).

ბოლნისები. ქვემო ქართლი

ბოლნისები 1780 — იხ. ბოლნისი

ბოლნისი // ბოვნისი. ქვემო ქართლი

ბოლნისი 1191-1212 — [უცნობი მონასტრის წესი და განგება]: ... ბოლნისს საღუნე დაედევით. ესე ... ქარცებით ხუარბალი მოვიდოდეს და ბოლნისსა ღუნოდ მოიღების (ქსძ, III, გვ. 132).

ბოლნისი 1558 — [განჩინება ლუარსაბ I-ისა]: თორელმა იჩივლა: ბოლნისთა სახასდრო და მემალობის სარგო საერთო არისო. ამაზე მიქაძემ ძველთა მეფეთა სიგელნი წარმოადგინა, რომელ საკუთარი მისი იყო... ამისთვის ჩვენც ესრეთ დაუმტკიცეთ: ყოველი საჯვარისმტვირთველო სარგო საერთოდ ედვასთ. და ბოლნისთა ათეული საკუთრად მიქაძე ამბროსი დეკანოზისათვის დაგვიც (ქსძ, IV, გვ. 41-42).

ბოლნისი 1611 — ... თქუენ, ... [ბოლნისის] სიონთა ღმრთისმშობელსა ... ჩუენ, ... დედოფალთა დედოფალმან პატრონმან თამარ ... შემოგწირეთ ბოლნისს კუამლი კაცი ერთი ვართანა ... ბოლნისს რისაც მამულისა მქონებელი იყოს... (ის, IV, გვ. 7).

ბოლნისი 1619 — [ორბელიანთა შემოსავლის ნუსხა]: ბოლნისზე თუ თრიალეთზე ან ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაიელის, ბაჟი სულ ჩვენია... (ქრონ, II, გვ. 443).

ბოლნისი 1620 — იხ. შუა ბოლნისი

ბოლნისი 1640 — ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... შენ ... ლარაძეს ზურაბს ... გიბოძეთ ბოლნისს იარაზიზაშვილი ყარაგოზა მისის სამართლიანის საქმითა, მთითა, ბარითა... გიბძანებთ ... სომხითის ტარუღანო და მელიქნო, ბოლნისის მოჯელენო ... თქუენცა ... ნურას მოუშლით... (ქსის, გვ. 153-155).

ბოლნისი 1665 — იხ. შუა ბოლნისი

ბოლნისი 1683 — ... ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, იარალიმ ... თქვენ, მელიქსეთაშვილს სალმახანასა... ზაზაშვილი მატია ... როსტომ მეფემ ჩვენ გვიბოძა და, რადგან ბოლნისს ნასახლები იყო, სხვაგან აღარ დადგებოდა [და] ... მოგყიდეთ რისაც მქონებელი იყო... არის ამისი მოწამე ... ქვემო ბოლნელი შაჰყულა ბერუა... (დსსი, I, გვ. 74).

ბოლნისი 1685 — იხ. ყოჩის მიწა

ბოლნისი 1690-1716 — იხ. ქვემო ბოლნისი

ბოლნისი 1703 — იხ. თელისწყარო

ბოლნისი 1708 — [წყალობის წიგნი ვახტანგ VI-ისა ოქონის ხატის დეკანოზის გარსევანიშვილ იესესადმი] ... ოდეს ... მეფე სვიმონ ოფისკეჯს შებმულ იყო და მარცხდებოდა მეფის ალექსანდრეს მიერ, ... ოქონის ხატი იქ დარჩომოდათ... შაჰნავაზს იმერეთ, ოდიში და გურია დაეპყრა და ... ოქონის ხატი კვალად ... გარდმოესვენებინა... რადგანც ძველს მეფეთაგანაც შეწირული ოქონის ხატისა თჳს და თქვენთჳს წყალობად მოცემული ყმა და მამული ჟამთა ვითარებისა მიერ ... დაგკარგოდათ ... გიბოძეთ ... ჩვენს სახასო-

ებში ბოლნის ჯონა შვილები... რუის ნონია შვილები ... და ურბნისის გზის პირს ჩვენი სახასო მიწა; ესენი მათი მამულით ... გვიბოძებია... (ქრონ, III, გვ. 26-27).

ბოლნისი 1708 – იხ. რუისი

ბოლნისი 1712 – იხ. ქვემო ბოლნისი

ბოლნისი 1715 – ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან იესემ თქვენ ... დოლმაზაშვილს დავითასა... ბოლნის ხუთის დღის მიწის თელის მიწებების დარგში და ხუთი დღისას თურმანიძის მიწებების დარგში გლეხისაგან ნასყიდისა ღალის ამოკვეთას დაგეეაჯენით... [ჩვენც] წყალობა გიყავით... ბოლნისის მოჯელებო, ეს ბძანება თქვენც ესრეთ დაუმტკიცეთ (დსსი, I, გვ. 167-168).

ბოლნისი 1718 – იხ. მაშაერის პირი

ბოლნისი 1729 – იხ. ებყას ვენახი

ბოლნისი 1736 – იხ. სატრედო

ბოლნისი 1737 – [დამოწმების წიგნი ელიზბარ ყაფლანიშვილისა]: ... ებუას ბოლნისის ერთის დღის მიწა, და მაზმანისშვილის ვენაჯი. ესეები ადრევე დოლენჯიშვილებს ... იობისათვის მიეცათ. მერე სხვა რაც მამული ჰქონდათ, მე ელისბარს მომყიდეს... (სს, II, გვ. 395).

ბოლნისი 1749[60] – საქართველოს კათოლიკოზ პატრიარქის ... ანტონის იმედო: ვინცა ვინ ბატონის მიხელები იყვნ და ან ბოლნი საყდრის ყმანი იყვნეთ: მღვდელნი, ქართველნი ... მკვიდრნი და ან მოსულნი იყვნეთ, როგორათაც მეფის ვახტანგის დროსა და ან ჯუმათლის ბოვნელის დროს ბოვნელის ხელში ყოფილიყოს და ან საყდარს სჭეროდეს, ისინი არც ერთი არ მოიშლება... (გუჯრ, გვ. 36).

ბოლნისი 1749 – ... შეწევნითა ბოლნისის სიონთა ღმრთისმშობლისათა ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ქართლის მთავარეფისკოპოზ ბოვნელმან ბატონმა ... ტიმოთე, თქვენ, დოლმაზიშვილს გაბრიელსა... ასე რომე, ძველთაგან სიონთა ღმრთისმშობლის ყმისაგან ასლამაშვილისაგან მამული გქონდათ ნასყიდათა და კიდეც გაგვეცვალათ, სამუქმოთ სხვა მამულიც მიგეცათ... არამ ბოვნელმა თქვენ ამ მამულის კულუხსა არც გედეოს და არცა გთხოოს... (სს, I, 1899, გვ. 307).

ბოლნისი 1755 – ბოლნელმან სამებისამ უჩივლა შულავრელს ბეჟანას პური კოდი ზ (7), ბაიდარს ხარი ა (1), ფეტვი თოღარი ბ (2) (სამდ, გვ. 25).

ბოლნისი 1765 – ესე წიგნი მოგართვი მე, ბოვნისელმა ყარანგოზაშვილმა ნასყიდამ ... თქვენ, ეშიკაღასბაშს ასლანისშვილებს გივსა და იოვანეს, ასე რომ ... მადამდინ ჩვენი სოფელი ისევ აშენდებოდეს და კაცი დასახლდებოდეს, ისევ შენს მამულში ვიდგე და ... გემსახურო... არის ამისი მოწამე:

---

[60] გამომცემელი ათარიღებს 1779 წლით, მაშინ როცა საბუთს თარიღად უზის ჩღმთ.

ჩუმლაყის ნაცვალი ზაალი ბურდიაშვილი... მე, სიონის დეკანოზის შვილს დაეითს დამიწერია... (სს, III, გვ. 466).

ბოლნისი 1768 – იხ. დელცნუტი

ბოლნისი 1777 – იხ. მუხრანი

ბოლნისი 1778 – [მორიგეში დაკლებულთა სია]: ქოსანთ ისაია ნუხას არის... შაღუბათანთ აღას სიძე ბოლნელი თამაზა აკლია... ნორაშენის ტერ-ოსეფა აკლია... წინწყაროელი გოგინას შვილი სარქისა აკლია; ჯიგრაშნის ტერ-მიკირტიჩა აკლია... ხადაგუანთ მოსესა ანდრიას არის... სურბნიშნის ტერ-გრიქორა აკლია; საკაშენის ტერ-ხაჩატურა იერუსალიმს არის... (სეიძ, II, გვ. 139-141).

ბოლნისი 1780 – [წიგნი ლეევან ბატონიშვილისა მანუჩარ მდივნისადმი]: ... **сегодня, в среду, мы отправляемся в Болниси**... К тому-же времени вышли к нам всех **Болнисских** жителей ... которые остались у вас (ГКГ, გვ. 35).

ბოლნისი 1780 – [არზა მანგლელისა ერეკლე II-ისადმი]: ... თქვენის შრომითა საქართველოში მრავალს ადგილსა ცეცხლი აენთო. ბოლნისებშიაც შენობა შეიქნა. ბოლნისს რაც ბოლნისისა ღმრთისმშობლის მამულები არის, ვენახებს სადმე ხუნენ, ეკლესიის მამულებსაც სადმე იტაცებენ და თავისთვის იჭერენ... (ქსძ, VII, გვ. 473).

ბოლნისი 1782 – [არზა ნიკოლაოს მანგლელისა მეფისადმი]: ... ბოლნისის ღმრთისმშობლის მამული ზოგი აზნაურშვილს უყიდია და ზოგი გლეხსა და ღალას არ აძლევენ... [ერეკლე II-ის ოქმი]: დორათაშვილო ბიძინავ! მერმე შენ უნდა მიხვიდე ბოლნისს და ... იმ ეკლესიის ნასყიდის მამულის ღალა სრულებით აიღო და მანგლელს ნიკოლოზს მოაბარო... მელიქ მისაელსაც ყადაღა უნდა დაადო, რომ იმ ეკლესიის მამულს ნურას მოხნავს (ქსძ, VII, გვ. 557-558).

ბოლნისი 1782 – იხ. ხელთუბანი

ბოლნისი 1785 – იხ. ბერდიკი

ბოლნისი 1798 – იხ. ქოლაგირის ციხე

ბოლნისი 1799 – იხ. ყამარლო

ბოლნისი 1800 – [განჩინება იოანე მუხრანბატონისა და თამაზ ორბელიანის სარწყავი არხის თაობაზე]: ბოლნისის ფოლადაურის წყლიდამ ამოღებული არხი გამოივლის სახასოს მამულსა და შემოვა ჭაპალის მამულში და ირწყვის ჭაპალის მამულები; გამოივლის ეს არხი და შემოვა მუხრანის ბატონის მამულშია. აქა-იქა დანაკლულდება და რწყამს მიწებსა; მოადგება ეს არხი მანხუტისა და სარკინეთის ხევი რომ ჩამოვარდება, ამ ხევზედ გაღმა-გამოღმა ქვიტკირით გაკეთებული არის, ზედ ნავით წყალი ყოფილა გატანილი და ურწყამს მუხრანის ბატონის მამულები; მოვა ეს არხი არამ თაფასთან, სადაც მუხრანის ბატონისა და ამილახვარიანთ ყოჩაქილისის მიჯნები სხედს; აქ გაწყდება ეს არხი. თამაზ ეშიკაღადბაშმა იასე მეფისა ერთი ოქმი მოიტანა: ჭაპალელნო, ბარახლულთ თქუნის წყლიდამ ორი თავი წყალი ათხოვეთ თქვენს მამულს გარეთა და როდესაც მაშავრიდამ

წყალს ამოიღებენ, თქვენს წყალთან საქმე აღარ ექნებათო. ჩვენ ეს ოქმი მუხრანის ბატონის საწინააღმდეგოდ ვერ დავინახეთ. ბარახლუ ბორჩალოში არის; და თუ მაშინ რომლისამე მიზეზით ჭაპალის ახლო მდგარან, ჩანს, რომ მუხრანის ბატონის მამული დიდი მინდორი არის და ამას თავისი წილი წყალი არ ეთხოება. და ჭაპალის წილის წყლიდამ ორი თავი წყალი უთხოებიათ. თამაზ ეშიკაღადბაში ამბობდა: ბარახლუ მუხრანის ბატონის მამულისა ჰქვიანო. ჩვენ ეს მოვიკითხეთ და სარწმუნო შევიქენით, რომ ბარახლუ ბორჩალოს გარდა ამ ძირობაზედ არსად რქმევია. მუხრანის ბატონმა ... სარწმუნო კაცნი მოწმად წარმოადგინა, რომ ეს არხი მუხრანის ბატონს ძველადგანაც ჰქონია... რადგან ეს არხი მუხრანის ბატონის მამულის ბოლოს დასწყდება და ვერც ეს არხი ბარახლუში ჩავიდოდა და არც მაშავრიდამ ამოღებული არხი მუხრანის ბატონის მამულს სრულად სარგებელ ეყოფოდა და არცავინ მებატონე ამ მინდორს უწყლობით მოაცდენდა და არცავინ ნათხოვრის ორის თავის წყლისათვის ამ სიდიდეს არხს გასჭრიდა და არცავინ ქვიტკირით წყალს გაიტანდა. რადგანაც სათაე სახასოს მამულში ამოღებული არის და მუხრანის ბატონის მამულს გაივლის და ყოჩაქილისის სამძღვართან დასწყდება, ჩანს რომ მუხრანის ბატონის ძველთაგან სამკვიდრო არხი არის. [განაჩენი]: მუხრანის ბატონმა და თამაზ ეშიკაღადბაშმა რაც წყალი მოვიდეს ... შუა გაიყონ (ქსძ, VI, გვ. 155-156).

ბოლნისის კენჭიყარია. ქვემო ქართლი

ბოლნისის კენჭიყარია 1741 – იხ. ისპიანი

ბოლნისის საეპისკოპოსო. ქვემო ქართლი

ბოლნისის საეპისკოპოსო 1770 – იხ. ქიზიყი

ბოლნისისწყალი. ქვემო ქართლი

ბოლნისისწყალი 1800 – იხ. ჭაპალა

ბოლნის ჭული. ქვემო ქართლი

ბოლნის ჭული 1785 – იხ. დარბაზი

ბოლნისის ხევი // ბოლნისის ხეობა. ქვემო ქართლი

ბოლნისის ხევი 1658 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... პატრონმან როსტომ ... გიბოძეთ თქუენ, თუმანიშვილთა თაყას ... ბოლნისის ხევს სოფელი ბერდიკი ყოველის მისის სამართლიანის საქმითა და სამზღურითა., წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენახითა, შენითა და ოჯრითა, ვიდრე მთით ბარამდის, უნაკლულოთ (ქსის, გვ. 281).

ბოლნისის ხევი 1701 – იხ. სომხითი

ბოლნისის ხევი 1721 – ჩვენ თავადთ თუმანოვთ რაც ბოლნისის ხეობაზედ საკომლოები გვაქვს და ანუ სოფლები: ბერდიკს პაპალაშვილი სამანა... დარბაზს გოდერძაშვილი... სოფელსა ვანქსა ელაღა კომლი. აქავ ქვემო ბოლნისს ... აკოფაშვილი თამაზა... (დსსი, I, გვ. 123-124).

ბოლოკაძის მიწა. იმერეთი

ბოლოკაძის მიწა 1751 – იხ. ჭალა

ბოლოთი // ბოლოთარიეთი. შიდა ქართლი

ბოლოთი 1487 – იხ. შოროს ციხე

ბოლოთი 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

ბოლუკი. ქვემო ქართლი (?)

ბოლუკი 1785 – იხ. ბელაქანი

ბონბოთი. სამეგრელო

ბონბოთი 1615-1630 – ... ბიჭვინტისა ღტისმშობელო ... ჩუენ, ბატონისშვილმან ლიპარტიანმან პატრონმან გიორგი ... შემოგწირე ერთი კვამლი კაცი ბონბოთს ნაჭყეპია მახარებელი მისის სახლკარითა და მამულითა და სანახევრო იყო და დაგისაკუთრებია... (დსსს, II, გვ. 172).

ბორბალა // ბორბალო. ქვემო ქართლი

ბორბალა 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

ბორბალა 1791 – იხ. შინდისი

ბორბალა 1797 – კათალიკოზ-პატრიარქის მოლარეთუხუცესს სოლაღაშვილს ზაზას ... იესე მსაჯულის შვილებისათვის ეჩივლა: ბორბალას ... ჩემს კაცსა ... რომ ... თიბეა დაეწყო, იესე მსაჯულის შვილების კაცნი შეყრილიყვნენ ... და ჩემი კაცი გამოეგდოთ... ეს კაცნი თურმე ქალაქს ჩამოვიდნენ, იესე მსაჯულის შვილებს შეატყობინეს, მაშინვე სამნივ ძმანი დაიარაღებულიყვნენ... შუაღამისას ციხის კარის გასაღებათ ერთი აბაზი მიეცათ ... და ჩემს მოსახდომად ... წამოსულიყვნენ... იესე მსაჯულის შვილი ზაზა და მისი ძმები ... ასე ჩიოდნენ: თათრის მოედანზე ზაზა სოლაღაშვილს და ჩვენ ლაპარაკი მოგვიხდა და დაგვექადა: თუ კაცნი ხართ ბორბალას ამოხვალთ; ჩვენ უთხარით: ჩვენს ყმასა და მამულში რად ვერ ამოვალ... წირვის დროს ბორბალას მივედით. ჩვენ რომ დაგვინახა, ზაზა სოლაღაშვილი ... სახლიდამ გამოვიდა და ... შემოგვაგინა... [განჩინება]: სათიბი მიწა, რომელიც ახლა მიზეზ ქმნილა ჩხუბისა, ის მიწა ზაზა სოლაღაშვილის მამას იორამს იესე მსაჯულის შვილების ყმის ვარსიმაშვილებისათვის დაუნებებია... ზაზას ვარსიმაშვილები მოუყვანინებია და უთქვამს: ბატონს თქვენთან მიდით, ამოვიდეს, მამულები გავიყოთ, თქვენი წილი თქვენ და ჩვენი – ჩვენ; მუდამ ნუ შფოთავთო... იესე მსაჯულის შვილი ზაზა და მისი ძმები ამ ამბავზედ ბორბალას მისულან... (ქსძ, VI, გვ. 32-36).

ბორი. ქვემო ქართლი

ბორი 1641 – იხ. სომხითი

ბორისყური. შიდა ქართლი

ბორისყური 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ბოროტაძე // ბოროტაძები. კახეთი

ბოროტაძე 1722 – იხ. მარტყოფი

ბოროტაძე 1722 – იხ. სარუსთველო

ბოროტაძე XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ბორტა. შიდა ქართლი

ბორტა 1783 – ... მე, მაღალაშვილმა, არაშენდის მოურავმა, ზაზამ ... შენ, მაღალაძეს სალთხუცესს ამილბარს ... მოგყიდე ჩემის მემკვიდრეს ყმის ბეითალმანი გოჩიასშვილისა მიწა ბორტაში, რომელისაც სამძღურები ესენი არის: თავს სახეთქელსა ხოდაბუნამდის, ბოლოს ჩემს ხოდაბუნამდის, საზენაქროდ მოურავის ხოდაბუნის სამძღურამდის, საქვენაქროდ სარალიძის მიწის საზღურამდის; კიდევ ბორტის ხოდაბუნის ბოლოს ორის დღის მიწა თავს ჩემს ხოდაბუნამდის, ბოლო ბორტის ხევამდის... კიდევ მოგყიდე [მიწა] ჯანუასშვილის ღელის ბოლოს... არის ამისი მოწამე ... ნიაბელი თათარაშვილი გოგია, აბახტეველი[61] ბერუა... (დსეი, გვ. 90-91).

ბორტის ხევი. შიდა ქართლი

ბორტის ხევი 1783 – იხ. ბორტა

ბორჩალო // ბორჩალუ. ქვემო ქართლი

ბორჩალო 1693 – იხ. ვარაპეტის სოფელი

ბორჩალო 1744 – იხ. ჯილოეხანი

ბორჩალო 1755 – განჯელმან სომეხმა ... სამი ძროხა უჩიელა ბორჩალუელს სულეომანს (სამდ, გვ. 23)

ბორჩალო 1768 – ... ჩვენ, საქართველოს უფლისწულმან, ბორჩალოს ბატონმან, ბატონისშვილმან გიორგიმ ... ეშიგაღასბაშს მაყასშვილს სვიმონს ... გიბოძეთ ლორის არდუელი მელიქის ნაყმევი მარქარაშვილი ავაქა... (სს, III, გვ. 6).

ბორჩალო 1770 – იხ. ტფილისი

ბორჩალო 1771 – იხ. გორი

ბორჩალო 1774 – იხ. ქალაქი

ბორჩალო 1780 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის ჭირი მოსცეს ... ყაითმაზსა და ერთობლივ იოვანე მდივანბეგის ყმათ ეივაზალულელებთ. ბედნიერმა მეფემ ბორჩალოსა და ეივაზლუსა სნორი გაჭრა, ჩახმახ ორ სნურათ დადვა. ეივაზალო და ბორჩალოც თქვენია. ასე ბძანა: აქეთ ეივაზლომ მოხნას, იქით – ბორჩალომა. ახლა ბორჩალულელები გადმოსულან და აქეთ ხვნენ... ამ წყალობას ვითხოვთ: ერთი ოქმი გვიბოძოთ: ვინც აქეთ მოხნას, რაც რიგი იყოს, მოსცენ, იმით იცხოვროს. თუ ის ჩვენი ადგილი იმითვინ გიბოძებიათ, ჩვენცა გვიბძანეთ, რომე იქ აღარ დაგვედგომება, ვერცა გაეძლებთ... ბატონისშვილი გიორგი გიბძანებთ ბორჩალოელნო! მერე რომელიც ბორჩალოს მიწისა და მდივანბეგის მიწის სამძღვარს აქეთ მოხნავთ მდივანბეგის მიწაშია, რაც მართებული ღალა არის თქვენში განწესებული, უნდა უკლებლივ მისცემდეთ... (ქსძ, VII, გვ. 491-492).

ბორჩალო 1783 – იხ. ქართლი

ბორჩალო 1784-1790 – იხ. ქალაქი

ბორჩალო 1785 – იხ. ბელაქანი

---

[61] ნაბახტევი?

გარეჯვარი XVIII ს. შუაწლ. – [ლიახურის ხეობის მცხოვრებთა აღწერის დავთრის ნაწყვეტი]: გარეჯვარს თუმნია... გორჯასპი მდივნის ყმა... ედიშერ მდივნის ყმა... ოთარ მდივნის ყმა... პატარკაცის ყმა... გიორგის ყმა... იასეს შვილის პაპუას ყმა... აქავ გარეჯვარს მთავარეპისკოპოზის ყმა... თუმანიშვილის გიორგის ყმა ბერდიკელი დავითაშვილი... მისკარბაშის ყმა წყნეთელი ... მამუკა ხიზანი... სარდლის რევაზის ყმა ღოუბნელი მამულა ხიზანი... მანგლელის ყმა ქვენადრისელი ჭყოპიაშვილი ... ხიზანი... ციცის შვილის გივის ყმა ქვენაფლაველი მურადას შვილი ... ხიზანი... იქით გარეჯვარს: ედიშერ მდივნის ყმა... ამისივ ყმა ჩრდილის უბნელი სათას შვილი კაცია უმამულო; ოთარ მდივნის ყმის მამულზე დგას წყნეთელი ასიტას შვილი... ბეღელას შვილი დავითის ყმა... აქავ გარეჯვარს გიორგის შვილი გიორგი ამილახვრის აზნაური... ამათი ყმა ჯავახი ბერი... ქარუმიძე ავთანდილ ამილახვრის აზნაური... ამისივე ყმა წაქარელი მარქარა... რევაზ სარდლის ყმა

... ილაგდაგელი ოანეზ ხიზანი; მდივანბეგის იოვანეს ყმა ტაშირელი არუთინას შვილი ისაია ხიზანი; ტეტია ყაფლანის შვილის ყმა წნუნელი თამაზა ხიზანი... სამცხეთო ატენელი დვალია შვილი პაპა ხიზანი... გორელი ჯაშნამვილის ყმა გოგებას შვილი დავითა ხიზანი... გარაყანიძის ყმა ავჭალელი აბეწაშვილი გელია ხიზანი... გურამიშვილის გივის ყმა ავჭალელი ჯიქელი შვილი დიაკვანი ხიზანი; ყაზახელი ბადალა ხიზანი; შანშიაშვილის გივეს ყმა სახუნდრელი არუთინა ხიზანი... გორის ახალდაბას: ედიშერ მდივნის ყმა... ოთარ მდივნის ყმა... გოჯასპი მდივნის ყმა... პატარკაცის ყმა... იესეს შვილის პაპუას ყმა... ბეჟან თუმანიშვილის ყმა... მისკარბაშის ყმა წყნეთელი პაპა, ხიზანი ... არაშენდელი სამცხეთო კოპაძე იესე მეკომლე... ხელთუბანს თუმნიანთი: გორჯასპი მდივნის ყმა ... ბერდიკელი ელიზბარა... ედიშერ მდივნის ყმა ... ჩდილისუბნელი ბერუა... ოთარ მდივნის ყმა ... რუისელი სვანაძე... პატარკაცის ყმა ... ატენელი გიორგას შვილი... ამისივ ყმა ... ლეკვია რეხელი... გიორგი თუმანიშვილის ყმა... იესეს შვილი პაპუას ყმა ... ვანქელი ელიკას შვილი... ამისვე ციციშვილი გლახასაგან გირაოთ უჭირამს ჭაბუაშვილი... თუმანიშვილის ელისბარის შვილის პაპუას ყმა ... ბერბუკელი გიგაური... მარტიროზის შვილი ფარსადან ხელთუბანს დგას... სვერნელი ქვათახევის წინამძღვრის ყმა ბერუაშვილი ბერუა... შატბერაშვილის გარსევანის ყმა... აქავ ხელთუბანს ამილახვრის შვილის ნიკოლოზას ყმას ... მამული უყიდნია... ამილახორის შვილის დათუას საუფლისწულო ზეღდულელი თათრიშვილი ზურაბა ხიზანი ... ლორელი ათუა სახასო ხიზანი... ყაზახელი დავითაშვილი ... ხიზანი; დისელი საკაშვილი ათაბეგა სულეიმანის თაბუნია ხიზანი; სადედოფლო წინწყაროელი გიქუა ხიზანი; ატენელი ხეჩიკაშვილი ნაზარა ხიზანი; კარის წინამძღვრის ყმა ხუცისსოფლელი მჭედლის შვილი მამაჯანა ხიზანი; საბატონიშვილო თრიალელი ბაბულაშვილი გელია ხიზანი... სამღერელი ასრათა ხიზანი; საქათალიკოზო კვინტობელი დემეტრე ხიზანი... სამცხეთო დარბაზელი ამირაშვილი ამირჯანა ხიზანი; ქარსიძის ყმა უფლისციხელი გაბინაშვილი ელიზბარა ხიზანი; საქვათახეო ბასიაშვილი ბერუა ხიზანი... ორბელიანის სარდლის რევაზის ყმა ღოუბნელი ჯანგელაშვილი თამაზა ხიზანი; ამისივ ყმა ვარბაგარელი ჯილავდარაშვილი პეტროზა ხიზანი; ამისივ ყმა საკარელი ზებერუას შვილი თამაზა ხიზანი; მდივანბეგის იოანეს ყმა ურუტელი ავაქაშვილი ხაზარა ხიზანი... ამისივე ყმა დელცნუტელი აჯია არუთინა ხიზანი; კიდევ დელცნუდელი ელიზბარაშვილი ალიხანა ხიზანი; ამისივ ყმა შუშალელი ფანაოსაშვილი არაქელა ხიზანი... ჩაჩიკაშვილი კაციას ყმა ვანელი ძამუკაშვილი დემეტრე; ზურაბიძის შვილის ყმა ... ახპატელი ბაღდასარაშვილი ოჰანეზა ხიზანი... ამისივ ყმა ირაგელი ზურაბას შვილი ნაზარა ხიზანი... იარალიშვილის ყმა საკანელი მღებრიშვილი თამაზა ხიზანი; უფლისციხელი ერისთვის ყმა გოგია ხიზანი... ამილახვრის ყმა წრიალელი თევდორა ხიზანი; სათბილელო ღოლოენელი მახარა ხიზანი; კიდევ სათბილელო ლილოელი კბილაშვილი რამაზა ხიზანი; მროველის ყმა რუისელი ლომკაცა ... ხიზანი... იოთამის შვილის ყმა გულეური პეტროზაშვილი მელქუა ხიზანი... გივი ციციშვილის ყმა ქეენაფლაველი წიკლანიშვილი ღთისია ხი-

ზანი... ყორყანაშვილი გაბრიელის ყმა ენაგელი მამულაშვილი ზურაბა ხიზანი... თუშმალისშვილის იოსების ყმა ... კარსავარელი მურადაშვილი ვართანა ხიზანი... ამისივ ყმა ნაღდვალათელი ხუდაევერდას შვილი სარქისა ხიზანი... იაგულაშვილი ზალის ყმა ხოხმელელი ხეჩიკაშვილის ღარიბას ობლები... იაგულაშვილის გივის ყმა ავანათელი ვართანას შვილი ... ხიზანი... იაგულაშვილის შიოშის ყმა ხორისოფლელი სარქისაშვილი არუთინა ხიზანი; ბოქაულის ყმა ტლაელერი სარუხანა ხიზანი; გილაქიშვილის ყმა ნახიდურელი მირიანაშვილის ლამაზა ხიზანი; შანშიაშვილის კაცურას ყმა ბარანელი კირაკოზაშვილი სარქისა ხიზანი; მუსხალას შვილის დათუნას ყმა საბატელი ტერმინასა ხიზანი; რატიშვილის ბეჟანის ყმა ხანდაგელი ფარსელაშვილი პატარკაცი ხიზანი; შანშიაშვილი გივის ყმა სახუნდრელი თამაზაშვილი სულია ხიზანი; გორელი თუთუნაშვილის ყმა ჭრელა თამაზა ხიზანი... მოქალაქე ამირას შვილის სტეფანეს ყმა ღოუბნელი გელიას შვილი გელი ხიზანი... კირბალს მთავარეპისკოპოზის ყმა ანანიაშვილი ზურაბ აზნაური... ქვენატკოცელი დათაშვილი გიორგი ხიზანი... (სეიძ, I, გვ. 248-255).

გარეჯვარი 1784 — მისის უმაღლესობისათვის არზა მიერთმიათ გიოგაშვილებს: გარეჯვარს რაც მამული გვქონდა, თქვენის ბძანებით ... უსტა იასეს შვილს ბეჟანას მიაბარესო... უსტა იასეს შვილმა ასე უჩივლა წერილით: ... მეფე ბაქარს ამილახორიანთათვის ორი კომლი მოქალაქე თავეთის მამულით უბოძებია, და ის პაპაჩემი თავის მამულით, რომელიც ან ამილახორიანთაგან მიცემული ჰქონია და ან გარეჯვარს თავისი ნასყიდობა ჰქონია, გამოუცვლიაო. პაპაჩემი რომ იქიდამ აყრილა და ქალაქს დაუსახლებიათ, პაპაჩემს იმ თავის მამულსა და ნასყიდობაზედ მაჩაბლის შემომწყრალი მეტრეველი ყმად მოსვლია... მერმე ოსმალო მოვიდა და ... მამულის ჴელის მოკიდება ვეღარ შევიძელითო, მიიყვანეს ამილახორიანთ და გიოგაშვილები დაასახლესო... მერმე ყიზილბაში მოვიდა და ზემო ქართლში მუდამ ჯარი იდგა და არეულობა იყო. როსცა ღმერთმან მეფენი მოსცა საქართველოსა, — ვედავენითო... ამასაც ჩიოდა უსტა იასეს შვილი: ჩვენ რომ მაგათ ვყმობივართ, უწინვე გარეჯვარს ნასყიდობა გვქონებია და მაგათ ... გარეჯვარს თუხარელის მამული უბოძებიაო და მისთვის ვყმობივართო. (ქსძ, V, გვ. 251-252).

გარეჯვარი 1784 — ... იასაულო ივანე და მურავ! თქვენ უნდა მიხვიდეთ გარეჯვარს და ... თუ ბეჟანამ ... სარწმუნო მოწამე იშოოს და ... იმოწმონ, რომ ესა და ეს მამული და ვენახი ბეჟანასიაო, ან ნასყიდი და ან ამილახერის მიცემული თუხარლის მამული, ... ჴელი აუმართე და ბეჟანის მოაბარე. (ქსძ, V, გვ. 257).

გარეჯვარი 1787 — ავიღე მე, თუმანისშვილმა ნიკოლოზმა, შენ, თუთუნაშვილის დავითისაგან, ექვსი თუმანი ქალაქის ზარაფხანის აბაზი... ამის გირაოთ მამიცია ... გარეჯვარს ლელუაშვილისაგან მოყიდული ნავენაჯობი, ტერმოსესანთ რომ ვენაჯი გამოვართვი რუისს, ის ვენაჯი და სიგელიც ... გირაოთ მამიცია... (მსეი, II, გვ. 74).

გარეჯვარი 1797 — ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი ... სპაფაქს იესეს მოსცეს... ამას წინათ წლებში თავი გაწყინეთ ჩვენგან წართმეული გარეჯვრის

მამულებზე... თქვენის სიმაღლისაგან ოქმი გვებოძა ამილახვარს იესეზე ... და ამათს სახლისკაცებზე. ესენი ... სამართალში მელაპარაკნენ ... და ... [სადავო მიწები] სამართლით მე მომეცა (ქსძ, VIII, გვ. 436).

გარეჯვარი XVIII ს. მიწ. – იხ. ფრანგის ქუჩა

გარეჯვარი 1800 – [არზა ივანე მუნჯისშვილისა თეიმურაზ ბატონიშვილისადმი]: ... გარეჯვარს მამა-პაპის ნასყიდობა მამული გვაქვს კალო-სახლკარის ადგილი. ქარუმიძე გლახა და ბეციამ აღამამათხანს უკან კალოები გაცვალეთ სოფლის პირითა (ქსძ, VIII, გვ. 649).

გარეჯვერის გზა. შიდა ქართლი

გარეჯვერის გზა 1651 – იხ. ბიბლიანთ უბანი

გარეჯის ნათლისმცემელი – იხ. ნათლისმცემლის მონასტერი

გარეჯუარი – იხ. გარეჯვარი

გარისი. ქვემო ქართლი

გარისი 1699 – იხ. მანგლისი

გარისი 1656 – ... ბარათას აზნაურისშვილის ბლორძელის მამუკასა და მათ ძმათ სასამართლოდ და გარის პარუნ სარქისაშვილების საქმეზედ დავსხედით... სარქისაშვილები და გარისელნი მიწაზედ ესარჩლებოდეს... ეს მიწები საგარისო ყოფილაო და ორთაშუისა არ არისო... მოვიჴმეთ [მოწმენი] ... და ... ფიცი თქუეს: კამყოლოს სააკაძეს ... ჰქონდა ორთაშუა და ცილობა არ გაგუიგონია გარისელთგანო... პარუნ სარქისა შვილებსა და გარისელთა ... მოფიცრად ... გარეშემოს მეზობელი ეშოვნა და ზემო გარისელი მემკვიდრე შეგდებული კაცი... მაგრამ ... ვეღარ დაიფიცეს... დარჩა ბარათას აზნაურიშვილთა, და ორთაშუელთა... ალაგიც და მიწაც ორთაშუის არის და გლეხიც თავისი დაუსახლებია. დარჩა მამუკა ბლორძელსა... (ქსძ, IV, გვ. 100-101).

გარისი 1668 – ... ჩვენ, აბაშისშვილმა ლუარსაბ ... თქუენ, ტუსიშვილს ნინოწმინდელს საბას ... ჩემი მემკვიდრე ყმა ... გარისელი ასრათასშვილები ... მანდ შენს ეკლესიაში მოსულნი ნინოწმინდას ... აღარ გამოვსწირე და მოგყიდე... დაიწერა ჴელითა ანჩიხატის დეკანოზის გიორგისათა... (ის, V, გვ. 78).

გარისი 1671 – იხ. ორთაშუა

გარიყულა. ქართლი

გარიყულა 1740 – ... მე, გრიგოლ ჯვარაშვილმა შენ, პეტრეს შეშაბერიძეს ... მოგყიდე გარიყულასთან ლარის მიწა ორღობეს აქეთ საქვენაქროთ... მე, რამაზ თარხნისშვილი ვამტკიცებ სიგელს ამას. ამისი კულუხი ... წმინდის ... ევსტატის ეკლესიისათვის შემიწირავს... (დსსი, I, გვ. 291).

გარმუდეთი. შიდა ქართლი

გარმუდეთი 1783 – იხ. ბობნავი

გარული მამული. შიდა ქართლი

გარული მამული XVI ს. – იხ. ახალგორი

გარყლოა.[66] ქვემო ქართლი

გარყლოა 1740 – იხ. მამისდაბა

გარძელი – იხ. გრძელა

გარწემი. შიდა ქართლი

გარწემი 1795 – იხ. სვერი

გატეხილი საყდარი. ქვემო ქართლი

გატეხილი საყდარი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

გატეხილი საყდარი 1707 – იხ. წრაუთი

გატეხილი საყდარი 1746 – იხ. ქვემო ვარდისუბანი

გატეხილი ხიდი. ქვემო ქართლი

გატეხილი ხიდი 1787 – [წერილი ერეკლე II-ისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... დღეს რომ შაბათი იყო, ჩვენ აქ, გატეხილ ხიდთან, მოვედით. ხვალ აქედამ ავიყრებით, ... ზეგ უთუოდ ... მანდ მოვალთ. მაგრამ საკლავი არა გვყავს და კარგა ჯარი გვახლავს... უნდა ... საკლავის თადარიკი გვინახოთ. ზეგ რომ ორშაბათია, საკლავი არც ჩვენის ქარხნისათვინა გეყავს და არც ჯარისათვის... (სს, Ш, გვ. 43-44).

გატეხილი ხიდი 1797 – [წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა სადიჯ-ბეგ იედიგარაშვილისადმი]: Предки наши пожаловали вам ... **Гатехили-хиди**... У вас были ... грамоты ... Назаралихана, ... Имамкулихана ... и ... царя Теймураза. Когда Ага-Магомед-хан сжег **Тифлис** ... ты был с нами, ... а сыновья твои ... сопровождали нас в **Арагви**... Во внимание ... преданной службы твоей ... жалуем тебе **гатехили-хидских** жителей в крестьянство (ГКГ, გვ. 66-67).

გატეხილი ხიდი 1799 – იხ. ბაიდარი

გაუგონარი. კახეთი

გაუგონარი 1747 – იხ. დოდოს მონასტერი

გაუგონარი 1782 – იხ. დავითგარეჯა

გაუგონარი 1788-1800 – იხ. დოდოს მონასტერი

გაურახი. კახეთი

გაურახი 1764 – [ოქმი ერეკლე II-ისა]: ... ჩვენი ბრძანება არის, ნაცვლიშვილო ზაალ! სანატრელის მამისჩემისაგან მაქვს ნაბრძანები: ჩვენის ქალისათვის მზითევში არც ზაალ მიგვიცია და არც გაურახიო. რადგან ჩვენმა დამ გვთხოვა, გაურახს ნუ ჩამომართმევთო, ამისთვის ... მანამ ჩვენი და ცოცხალი ბძანდება, უნდა ემსახურო. გაურახისა და ვაშლოვანის მოურაობაც შენთვის გვიბოძებია საშვილისშვილოთ, არ მოგეშალოს; და ჩვენს დას უკან გაურახიც სახასო არის... (ქსძ, VII, გვ. 76-77).

გაურარხი. ქვემო ქართლი

---

[66] უნდა იყოს გარყლოპი, იგივე გარყლუპი // ღარღლუპი (ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბაგრატიონი).

გაურარხი 1791 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... საამისშვილს ზაალს მოსცეს. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სამკვიდრო მამული გაურარხი რას ძალითა და უსამართლობით გვერთმევა... თქვენგან განაჩენი გვებოძა, ასე რომ ეშიკაღასბაშ დემეტრეს ... უნდა ... ფიცს უკან ... გაურარხი დარჩომოდა. მაგრამ ერთი თავი წყალი რასაც მიწას ეყოფა, ის მიწა და წყალი იალაღებითა ჩემთვის უნდა მოეცა... ვერც შემოგვფიცა და არც მამულს გვანებებსო... ოთხიოთ კომლი თათარი მყავს, თავის სამკვიდრო მამულზედ იდგნენ; ახლა იქ მისულა თამაზ და იმ მამულს მართმევს... სამასი წელიწადია, ის მამული ჩემი თათრებისაა... (ქსძ, VIII, გვ. 102).

გაღმა დიეში. ჯავახეთი

გაღმა დიეში 1392 – იხ. ტფილისი

გაღმა კლდე. იმერეთი

გაღმა კლდე 1756 – იხ. გოლათუბანი

გაღმა მხარი // გაღმა-მჯარი // გაღმა მხარე // გაღმა

გაღმა მხარი. კახეთი

გაღმა მხარი 1721 – იხ. გავაზი

გაღმა მხარი 1723 – იხ. კახეთი

გაღმა მხარი 1735 – ... ნასყიდობის წიგნი ... მოგართვით ჩვენ, გივიშვილმა ბერმა ... თქვენ, ბატონს ამილახორს გივსა... ლეკებისაგან დავტყვევდი, წამიყვანეს, გაღმა მჯარში ტყეთ ვიყავი და თქვენ ... დამიხსენით... კიდევ ჩემი ძმა იყო დატყვეებული. მამაჩემმა ის დაიხსნა და კახეთს სეფაშვილის ბერისაგან ვალი აეღო... (დსსი, I, გვ. 243).

გაღმა მხარი 1744-1762 – იხ. კახეთი

გაღმა მხარი 1757 – საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის იოსების ... სახლთხუცესო გიორგი! მერე მიდი კახეთს, სადაც სვეტისცხოველისა და ჩვენი ყმანი იყვნენ გაღმა მჯარსა თუ გამოღმა, პირიქით და პირაქეთ სოფლებში ... რაც ... ბეგარა ედვასთ: პური, ღვინო ... თუ აბრეშუმი ... კარგად მოკითხე ჩვენს მოჭელეებს და მოურავებს, ... ყვალა კარგად აიღე და მცხეთას მოიტანე...(ქსძ, III, გვ. 840).

გაღმა მხარი 1769 – [ერეკლე II-ის ბრძანება]: ... ბატონს ნეკრესელს ... ენისელთ მოურავს იასეს, ნოდარისშვილებს, რუსიშვილებს, ჭავჭავაძეს, მელქისადეგს და სულერთობილთ გაღმა მხრის მოხელეთ ... ეუწყოსთ: [მოსდევს ბრძანების ტექსტი].... ბატონო ნეკრესელო და მოურაო იასე, გრემიდამ მოკიდებული, ჩაელით გავაზამდის სოფლის მოხელეთ, დიდსა და პატარას სულ აცოდინეთ ეს აზრები... (ქსძ, II, გვ. 417-418).

გაღმა მხარი 1769 – [განჩინება გრიგოლ ბახუტაშვილისა და მამუჩიანთ მამულის საქმეზე]: მდივანბეგი ბეჟან გაღმა მხარში იყო ნაკლების კაცის სარბევლად. ჩვენ, მდივანბეგი ოტია და მდივანი დავით, ჩაველით წინანდალს, მამუჩიანთას ჩამოვხდით; წინანდლელი სოფლის კაცნი ... ამას ეპასუხებოდნენ [მღვდელ ბახუტაშვილს]: წინანდლის თავს ხოდაშნის მხარეს რომ ქედია, იქამდის ჩვენია, ამის მეტი ჩვენ მთა არ გუაქვსო; იმ ქედსა და

კლდის ქვეით შაფერდებით რომ ჭალა არის, რიყემდის შენიაო, საბალახე იმაში აგიღიაო, მამულიც ის არის შენიო, ჩვენ უბრალოთ გვეშფოთებიო... გარდასწყდა ამათი დავა: ქედს ქვეით მცირე ვაკე წინანდლისაკენ მამუჩიანთ დარჩა და კლდეს ქვეით შეფერდებული ჭალა ვაკე ამ ბახუტანთ დარჩა (ქსძ, V, გვ. 438-439).

გაღმა მხარი 1785 – ჩვენ, სრულიად საქართველოს მეფემან ირაკლი მეორემან ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ შენ, ... ენისელთ მოურავის შვილს გრიგოლსა... გაღმა მხარში შენ ასე უნდა გარიგებდე რომელიც სახელდობ დაგვიწერია. გაღმა მხარს როდესაც ჯარს დაუძახებდეთ, შენ უნდა დაუძახებდე... გაღმა მხარის კაცთ სამართალს [მდივანბეგთან] ერთად უნდა მისცემდეთ. გაღმა მხრის მთის ყარაულებს, რომლისაც სოფლებიდამ გამოსაყვანი იქნებოდეს, შენ გამოიყვანდე და თავ-თავის საყარაულოზედ დააყენებდე... ყვარელიდამ მოკიდებული გრემამდის ამ ყარაულებს შენ უნდა გარიგებდე... თუშებსა და გაღმა მხრის კაცთა თუ რომ ერთმანეთში დავა და სასამართლო ექნებოდეს, თუშთ მოურაეი და შენ ერთად შეიყრებოდეთ და ორნივე სამართალს ერთად მისცემდეთ... დიდოებისა ასე გვიბრძანებია არა თუ მოხელობით შეცილო ეისმე დიდოებს, მაგრამ გაღმა მხარში რომელიც სადაო და სალაპარაკო საქმე ექნებოდეს და სასამართლო გაღმა მხრის სოფლის კაცთან ... ყოველივე შენ უნდა არიგო სასამართლოზედ... აგრევე კაპუჭელთ როდესაც შერიგებულნი ვიყვნეთ რაც იმათი საქმე იქნებოდეს და გაღმა მხარში გავაზიდამ მოკიდებული გრემამდის ამ სოფლებში ვიზედაც დავა ჰქონდესთ ... ამათ სამართალს მისცემდე... რომელიც რომ ანწუხელთ გავაზელს კაცთან სადაო საქმე ექნებოდეს, თავეთი მოურავი გაურიგებდეს და თუ გავაზის მოურაეი შეგატყობინებდეს, ორნივე ერთად შეიყრებოდეთ და ისე გაურიგებდეთ და თუ გავაზს გარდა ანწუხელს კაცს სხვას გაღმა მხრის სოფლის კაცთან დავა რომ ექნებოდესთ, ამას შენ გაურიგებდე... ყოელად სამღვდელო ნეკრესელი დოსითეოზ როდესაც გაღმა მხარში იმყოფებოდეს, იმასთან მიხვიდოდე და იმისის შეკითხვით ამ საქმეებს ისე გაარიგებდე... ამ საქმეების გასარიგებლად ... მოგვიცია ... სამი კაცი: ერთი ყვარელიდამ, ერთი შილდიდამ და ერთი საბუიდამ... თუშნი და ხევსურნი რომ შეიყრებიან ხოლმე და მანდეთ სამეკობროთ წამოჯლენ, ჩვენ შემორიგებულთ ანწუხელთ და დიდოებს თუ სხვას თემის კაცთ დახოცენ ხოლმე. ამათი შეყრილობა რომ შეიტყო, ... შენ მანდ გაღმა მხრის კაცთ შემოიყრიდე ამ გვარად, მეკობრეს კაცთ ავად მოეპყრობოდე, იარაღებს აყრიდე და ასე უიარაღოთ გაყრიდე (МПТСВГ, II, გვ. 46-48).

გაღმა მხარი 1788-1811 – იხ. საქართველო

გაღმა მხარი 1793 – იხ. ახალქალაქი

გაღმა მხარი. ქართლი

გაღმა მხარი 1719 – იხ. საციციანო

გაღმა მხარი 1735-1747 – გოგიას აღებული თეთრი დადგა ამილახვარიანთ და გაღმა მხრის გარდა... კიდო გოგიაზე არის ოსიაურის პურისა და თეთ-

რისა... [ზურგზე:] ბროწლეთის წიგნები და ბარათები მალუჯათისა... (სეიძ, II, გვ. 89).

გაღმა მხარი 1772 – იხ. მუხრანი

გაღმა მხარი 1788-1811 – იხ. საქართველო

გაღმა მხარი 1791 – იხ. გორი

გაღმა მხარი 1791 – იხ. იმერეთი

გაღმა მხარი 1800 – [მღვდელი დიმიტრი ჯომარდიძე სთხოვს დავით ბატონიშვილს, დაუბრუნონ ყმის შვილი, რომელიც ციციშვილის კაცმა წაიყვანა და გაასომხა]: ... ის კაცი წმინდის გიორგის მნათეც გახლავთ, არც ხატი აყენებს და მთელმა გაღმა მხარმა იცის, რომ ჩემი ყმა გახლავთ... (ქსძ, VIII, გვ. 630-631).

გაღმართი. იმერეთი

გაღმართი 1776 – იხ. ბარი

გაღმა ოსიაური. შიდა ქართლი

გაღმა ოსიაური 1793 – იხ. ოსიაური

გაღმა სანადირო. კახეთი

გაღმა სანადირო 1796 – იხ. ვარდისუბანი

გაღმა ტამალანი. სამცხე (?)

გაღმა ტამალანი. XIV ს. – ... გაღმა ტამალანი მოგეცით ჩუენ, [ალის] მონასტერმა სრულობით ... შენ, გაბადის ძესა ყალიასა და შენთა შვილთა... (სსიმ, II, გვ. 34).

გაღმა ქართლი.

გაღმა ქართლი 1778 – [არზა გიორგი ციციშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ეს ... ჩუენი მემკვიდრე ყმა ... კემხუტაშვილი მამაჩემს უკან მოსდევდა, ციხის კართან რომ მივიდა, უკანიდამ თოფი ჰკრა და მოკლა მამაჩემი. მასუკან გავარდა, ხან ოსებში იყო, ხან გაღმა ქართლში, ჩვენს მამულში ვერ გაიელიდა... (ქსძ, VII, გვ. 392).

გაღმა ქართლი 1784 – იხ. სატივე

გაღმა ხორგა. ოდიში

გაღმა ხორგა 1696-1742 – იხ. ხობი

გაღმა ხოჩი.[67] ლეჩხუმი

გაღმა ხოჩი 1610 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... გიორგი ... თქუენ, ცაგერელს ... სერაპიონს ... გიბოძეთ გაღმა ხოჩს არჩუაძისეული მამული... (სგდ, გვ. 9).

გაღმა ჰერედეი. შიდა ქართლი

გაღმა ჰერედეი 1633 – იხ. აბისი

გაძბულთკარი. შიდა ქართლი

---

[67] გაღმა ლიჩი (პალ, I, გვ. 252).

გაძბულთკარი XVII ს. – ... მოგაყიდე მე, პაპუნიმ მარკოზიშვილმა ჩემი ალალი ნასყიდი მამული – ჭალისა ვენაკი გაძბულთა კრას[68] მიწა შენა, მახარებლის შვილისა დემეტრეს... (ყს, გვ. 65).

გაწყვეტილა // გაწყუეტილა // გაწყუეტელა. კახეთი

გაწყვეტილა 1492-1499 – იხ. ჯიმითი

გაწყვეტილა 1579 – იხ. მცხეთა

გაწყვეტილის გზა. კახეთი

გაწყვეტილის გზა 1787 – იხ. უტო

გაწყვეტილის ჩიხი. კახეთი

გაწყვეტილის ჩიხი 1789 – იხ. მარიამჯვარი

გაჭრილი კლდე. ქვემო ქართლი

გაჭრილი კლდე 1756 – იხ. კრწანისი

გაჭრილი კლდე. იმერეთი

გაჭრილი კლდე 1776-1784 – იხ. საბანელა

გაჯნიკევი // გიჯნიკევი // გოჯანკევი. კახეთი

გაჯნიკევი 1712 – იხ. ჭანდრისხევი

გაჯნიკევი 1746-1749 – იხ. გრემი

გდეისი. იმერეთი

გდეისი 1711 – იხ. ქვიშხეთი

გდუვი. შიდა ქართლი

გდუვი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

გეგუთი. იმერეთი

გეგუთი 1503 – იხ. რაჭა

გეგუთი 1578 – იხ. ქუთაისი

გეგუთი 1616-1621 – იხ. საგენათლო

გეგუთი 1616-1639 – იხ. ხაუჟელი

გეგუთი 1644 – იხ. ქუთაისი

გეგუთი 1639-1657 – ... მე, იაშვილმან ქაიხოსრო ... კათალიკოზს პატრონს მაქსიმეს ... მოგართვით ერთი მოსახლე გლეხი გეგუთს – მამუკაი ფხაკაძე მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ალაგითა... (დსსს, I, გვ. 59).

გეგუთი 1650 წ. ახლო – იხ. მანდიკორი

გეგუთი 1680 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემ ბატონმა ბაგრატ ... თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს ... გიბოძეთ ... ერთი გლეხი გეგუთს – მამუკა თვალიაშვილი მისის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა, ალაგითა... (დსსი, I, გვ. 435).

---

[68] ე.ი. კარსა (ყს, I, გვ. 65).

გეგუთი 1696-1706 – ... ჩვენ ... იაშვილმან ქაიხოსრო ... შეგვიწირავს... ახლისა იერუსალიმისა ბიჭვინტისა ღმთისმშობელისათვის გეგუთს ... დედისაძე ლუკა ... მისის ცოლშვილითა, სახლკარითა, ჭურმარნითა... (დსსს, I, გვ. 96).

გეგუთი 1706 – იხ. ხორგა

გეგუთი 1712 – იხ. ხორგა

გეგუთი 1733 – იხ. ბარისთავი

გეგუთი 1773 – იხ. ქუთაისი

გეგუთი 1776 – იხ. ბარი

გეგუთი 1787 – იხ. სვერი

გეგუთი 1789-1811 – ... იაშვილი როსტომ და მესხი იოვანე გავაბჭვეთ. იოვანემ უჩივლა: დავით მეფემ გეგუთს მამის ჩემის ნაქონი სასახლე და ექვსი კვამლი კაცი მიბოძა... შენ წიგნი ... გიბოძა, მოურავი ხარ და თავისი მამისსეული მამული და გლეხები მიეციო... შენ ... არ დამანებე ... ვენახი და პური წამიხდინე... იაშვილმა უჩივლა: ბოქაული მომგვარე, შაქარა ლაღაძე პატრიქეთს ჩემი კაცი დამიკავე... იოვანემ უპასუხა: ფარცანაყანევს ბატონმა მეფემ ლაღაძეები მამაჩემს უბოძა და შაქარა ლაღაძე იმათი სახლისკაცი იყო, პატრიქეთს ესახლა და ისეც მეფემ მიბოძა... (ქსძ, VI, გვ. 442-444).

გეზერეთი. შიდა ქართლი

გეზერეთი 1774 – იხ. ქსანი

გეთსიმანია // გესიმანია // გეთსამანია // გესამანია // გენასმანი // სგენასმანი

გეთსიმანია. იმერეთი

გეთსიმანია 1744 – იხ. ვერტყვილა

გეთსიმანია. შიდა ქართლი

გეთსიმანია XV-XVI – იხ. კაბენი

გეთსიმანია XVI[69] – ... ჩუენ, რატისშვილმან იოანე ... ერისთავის ერასტისაგან მამული და სასახლე ვიყიდე, სახლ-კარი და ჭურ-მარანი იშხანასშვილის დავითისეული და ვენაჭი ენდრონიკასეული და... ორი საქულბაქე... შევწირე და მოვაჭსენე გესამანისა ღმრთისმშობელსა... (ყს, გვ. 66-67).

გეთსიმანია XVI – იხ. კაბენი

გეთსიმანია 1617 – იხ. გერი

გეთსიმანია 1669 – იხ. წილკანი

გეთსიმანია 1705 – ... მე, რატიშვილმა ზურაბ შემოგწირე გესამანისა ღმრთისმშობელს ჩემი მკვიდრი ყმანი კაბენს მოსახლენი... (ყს, გვ. 71).

გეთსიმანია 1726 – ჩვენ, ... მუხრანის ბატონის ... ძემან ბატონიშვილმა მამუკამ, რაგვარადაც კურთხეულის მამა ჩვენს ეს გლეხი თავისის გამოსაღებითა შეჰწირა, ჩვენც ისე ჩვენის ყმის რატიშვილების სასაფლაოს გესმანის მღთისმშობელისათვის შეგვიწირავს... (ყს, გვ. 71).

---

[69] XVI ს. I ნახ. (პალ, II, გვ. 467-468).

გეთსიმანია XVII-XVIII[70] – ... ესე წიგნი მოგაჴსენეთ ჩუენ, რატისშვილმან სეფედაძლე ... ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელსა გესამანისასა, ასე რომე: შემოგწირეთ მიწაჲ ასათურის ნაცვალი ასანას ჴევს გამოღმათ [გზას] ქუშეთი... (ყს, გვ. 67).

გელა სოფელი. ქვემო ქართლი

გელა სოფელი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

გელათი // გენათი // გაენათი // გეენათი. იმერეთი

გელათი 1187 – იხ. არგვეთი

გელათი 1251 – [სასისხლო სიგელი ვახტანგ დავით ნარინის ძისა]: მოვიდეს ჩუენსა წინაშე ... ნიქაბაძენი გელათისა წინამდეგნი და ყმანი და გუჯაჯნეს ... რათამცა სასისხლოთა წიგნითა შეგუეწყალნეს... გაუჩინეთ ოთხმოცი ათასი თეთრი ძუელი ცხუმური... (სმ, II, 1924, გვ. 5).

გელათი 1260-1267 – იხ. კვახჭირი

გელათი 1281-1282 – იხ. შეუბანი

გელათი 1408 – იხ. კურსები

გელათი 1433 – იხ. სამწე

გელათი 1452 – იხ. სკანდა

გელათი 1464 – იხ. მღვიმე

გელათი 1486-1488 – იხ. ქართლი

გელათი 1495 – ... ჩუენ, ... მეფეთა მეფემან ალექსანდრე ... შევსწირეთ ... მეორესა იერუსალიმსა, მონასტერს გელათს ... ჟორჟოლაძის დავითის ნაქონები მამული გლეხები... ამას გარეთ ... აქავე ჴულს ჟორჟოლაძის დავითის ნაქონები კიდევ შემოგვიწირავს... (ქრონ, II, გვ. 311).

გელათი XV ს. – იხ. კვაშხიეთი

გელათი 1505-1519 – იხ. მთხლარა

გელათი 1509 – იხ. ნობარევი

გელათი 1519 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ბაგრატ ... გიბოძეთ თქვენ, .. ფანჩულიძესა იობს ... გელათს სენაკი, ტრაპეზისა გუერც, საბოსტნე ტრაპეზისა ქვეშე, სათიბი და საევნაჴე... (ქრონ, II, გვ. 344).

გელათი 1519 – ... ჩუენ... მეფემან ბაგრატ ... ვიგულსმოდგინეთ და გელათის არესა შორის აღმართებულსა საყდარსა ... შევწირეთ ... ვურევს[71] ჭალაგანიძე კუამლი ხუთი... მანდიკორს გაბადაძე... პოლევის ტყის ქათამაძე კუამლი ერთი... სასვიმონეთის შარას აქეთ საჭმელად მივეცით ჭიშურას საგოდოგნო შარა რომ წაყევება, მრავალწყარო ზეითი სვიმონეთის მზიურასას

[70] XVI ს. (პალ, IV, გვ. 58).
[71] ჭურევი?

მიადგამს... ჯიშურას გაღმა სათევზე ღრუდო შეგვიწირავს, ჭალასთავი სოფელი ... (ქრონ, II, გვ. 336-340).[72]

გელათი 1519 – იხ. ბალახვანი

გელათი 1519 – იხ. რავახმელა

გელათი 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

გელათი 1529 – ... ჩუენ ... აფხაზეთისა კათალიკოს პატრიარქმან მალაქიონ, ესე გუჯარი ... მოგაჴსენეთ თქუენ, წმიდა საყდარსა გელათისა და ... გენათელ ეპისკოპოსს ... მელქისზედეკს. მას ჟამსა, ოდეს ... მეფეთ-მეფემან ბაგრატ მოგუახსენა და დაგუაჯერა, რაითამცაჲ გენათი საყდრად და საეპისკოპოსოდ შეგუეწქმნა ... [ჩუენც] დავსვით გეენათს კაცი უაღრესი ანგელოზთა და გაუჩინეთ ... სამწყსონი და საკურთხი რიონსა და ქუთათის ქალაქსა ზედათ, ყვირილას გამოღმა და ვიდრე კაცხის ზღუარამდის და ხრეითს აქეთ, რაჭის მთამდის; ოკრიბა, სრულად ქუთათის ქალაქსა შიგან, გაღმა და გამოღმა, და ანუ დაბანი და სოფელნი იყუნენ ... ყოველნივე შეუცვალებელდ აქუნდეს მღვდლთმთავარ-ეპისკოპოსსა გენათისასა, პირელადცა სხუათა ეპისკოპოსთაგან უმეტესი იყო და, აწცა, ისივე პირველი საწირაჲ გაუჩინეთ, ასი თეთრი მიერთმოდეს... (დსსს, I, გვ. 10-11).

გელათი 1545 – [შეწირულების წიგნი ბაგრატ მეფისა]: ... გაენათისა ღმრთისმშობელო ... შეიწირე ... ესე ძღვენი... ვიგულსმოდგინეთ და ჴელვყავით საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად. პირველ ... სადედოფლო ყოფილიყო, აღარავინ ესაფლავებოდა და მოშლილიყო, და აწ ჩვენდა სამარხოდ და საძვალედ შევქმენით... შევამკევით ... მამულითა... რაცა ნიჟარაძისეულნი გლეხნი არის და ან მჴეციძისეულნი გლეხნი სამოქალაქოს, რაცა სამეფო ჴელი შევა, არა მოგვიშლია რა... აგრევე ... ციხისთვისეული გლეხნი ჴელშეუვალად; და აგრევე ნავენახევი შეგვიწირავს ჴელშეუვალად... აგრევე ვქენით მოკითხული და წმიდის გიორგის საყდარსა ძველად შეწირული მამული ჟამთა ვითარებისაგან მოშლილიყო და დაკარგულიყო, და რასაცა ოდენ მოვესწრენით, და შევიტყევნითა, ისივ შემოუკრიბეთ... არის გლეხი ზღუდეს გარეთ... ოხომირას გლეხნი ვირისალაძენი ოთხნი... ჯონიას მემნაძე[73] კვამლი ათი. არის ნაბოსლევს კოზოლაძე კვამლი ორი, კურსებს... შემოგწირეთ ჩვენგან ნასყიდი იმავე ნიჟარაძისეული მაღლაკს გლეხნი ოთხი კვამლი [და] ... ნამაშევს ჭოლაძე მამუაი... ესე ნიჟარაძისეული ნასყიდი გლეხნი: ფარსმანაყანევს, ქუტირს და ნამაშევს ვიყიდეთ მათითა მამულითა... შემოგწირეთ ფარსმანაყანევს მარდალაშვილები... ესე გლეხნი მარდალაშვილები ჭილაძესა ზითვად მართებს მხეციძის ცოლისათჳს და ჩვენ მისგან ვიყიდეთ... ამას გარეთ იმავ მხეციძისაგან ვიყიდე მე სამკვიდრო მამული: მესხეთს გლეხნი კვამლი სა-

[72] ეს დოკუმენტი წარმოადგენს ბაგრატ მეფის 1545 წლის შეწირულების წიგნის (– იხ. გელათი 1545) ვარიანტს. მოგვყავს ის ფრაგმენტი, რომელიც არ გვხვდება ქსძ, II.

[73] ჯონია მემნაძე (ქრონ, II, გვ. 337).

მი... ფარსმანაყანევს ... კვამლი რვა... ჭოლევს[74] ... კვამლი ერთი. რიონს მამრიკისშვილი ნაცვალი და მისი განაყოფნი ... და ზემო ქუტირს ... კვამლი ორი. ეს გლეხნი ღოღაბერიძის ციხისთვის მკვიდრი მამული იყო და ... ჩვენ ნაშვილობით მოგვეცა... ნაველახევი პირველადცა საყდრისა ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან ... ღოღაბერიძესა დაეჭირა, და სააზნაურიშვილოდ შექმნილიყო. და ამას უკანის ჟამთა აშლილობისაგან მხეციძესა ეშოვნა; და მერმე მხეციძესა ... საუპატიოდ გამოვართვით, და ... შემოვსწირეთ... ნაველახევი[75] ძველად ორი ფუზე ყოფილიყო და ცოტა ადგილი ჰქონდა, და სასვიმანეთოს შარას[76] აქად ვერ გარდმოვიდოდეს... აწ, ესე ჩვენგან ბრძანებული ... დაჯერებით დაუმტკიცეთ, ... ყოველნო ერისთავნო, ქუთათისისა ციხისთავთ-ციხისთავნო, და ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერისა ციხისთავნო... დამამტკიცებელნი ამისნი ღმერთმან აკურთხნეს და წმიდამან და დიდმან საყდარმან და მონასტერმან გენათისამან (ქსძ, II, გვ. 183-190).

გელათი 1545 – იხ. გოდოგანი

გელათი 1548 – იხ. ონჭონა

გელათი 1569 – იხ. ჩუნეში

გელათი 1573 – [სიგლის ფრაგმენტი]: ... მონაზონმა გერმანემ, მისმა მწირველმან ხარჯოს, როგორც უნდოდეს, ისრე... აგრეთვე გელათის სახლი საყუარელიძე, ის ადგილი და იმის ქვეშეთ გალავანსა და იმას შუა ბოსტანი ... შეგუწირავს... (ქრონ, II, გვ. 414).

გელათი 1573 – იხ. ციხია

გელათი 1586 – ... [ესე წიგნი] გკადრეთ და მოგაჴსენეთ ... ლორთქიფანიძე ქექაოზ, და ქრთამიც მოგუართუი და უბოძეთ გელათის დასაველეთის კარსა სასაფლაო და ცოლი ჩუენი ულუხან, იქ დავმარხეთ... (ქრონ, II, გვ. 425).

გელათი 1586 – იხ. ჩხარი

გელათი XVI – იხ. კვაშხიეთი

გელათი 1637-1657 – [შეწირულების წიგნი ყიფიანისა ზაქარია გენათელისადმი]: მე ერთი უშვილო კაცი ვიყავ, ... ჩემი კერძი ცხრა თავი თქვენ მოგართვი და გელათს შეუსწირე, ასრე რომე ჩვენ ნასაყდრს აქით მოგართვით, მაგრა თუ სხვა ყიფიანი ვინმე შამოგეცილოს, გაჰყავით სამართლიანის საქმით და ჩვენი კერძი ... გელათს ქონდეს. თავად ეპისკობოზი იყაუ ჩვენი და მერმე სადამდის ეს ადგილი არ შეგავაწირვინეთ, მადამდის ... შენდობის წიგნი არ მოგვეცით... (დსსს, I, გვ. 57).

გელათი 1644 – იხ. ქუთაისი

გელათი 1650 ახლო – იხ. მანდიკორი

გელათი 1660 ახლო – იხ. ნოღა

გელათი 1664 – იხ. მაჭუტოური

---

[74] ჯოლევს (ქრონ, II, გვ. 340).
[75] ვენაჯები (ქრონ, II, გვ. 338).
[76] სასვიმონეთის შარას (ქრონ, II, გვ. 338).

გელათი 1673-1696 – [აფხაზეთის საკათალიკოსო სამწყსოს მეკომურთა აღწერის დავთარი]: არს გელათს თავს სადედოფლო საყდარი წმიდის გიორგის მეტოქად მისით შემავლითა რვა კვამლი კაცი, სორმონს ორი, რიონს ორი, ჭოლევს ... ერთი, ნაბოსლევს რვა, ბუეთს ექვსი. საწირეთს მეფის ჯელი შევა. არის ბარს სასახლე გამართული მისის ეკლესიითა ოცდარვა კუამლი კაცი ბაკასეული სასახლე. არის ჩხარს თორმეტი კუამლი ... და სასახლე... არის ოფჩას ცხრა კუამლი... სამეფო მისი არის და სხვა ბატონის კათალიკოზის არის. არის ნავენახევს სასახლე და თექვსმეტი კვამლი... არის ქუთათის სოფიაწმიდა სასახლე აზნაურისშვილიანათ ექვსი კუამლი... არის ჯიმაშტაროს სასახლე და თერთმეტი კუამლი... ბაკისუბანს არის ექვსი კუამლი... არის მესხეთს ექვსი კუამლი ... ხელშეუალად... არის ქვემო მესხეთს ხუთი კუამლი... მეფის ხელი შეუა. არის ფარცანაყანევს თხუთმეტი კუამლი... არის მანთხოჯს სასახლე კარის ეკლესიითა, ორმოცდაათი კუამლი... არის ხონს თერთმეტი კუამლი კაცი... არის ჯიქთუბანს და ჭანგას ათი კუამლი კაცი ... და სასახლე; ექვსი კუამლი კაცი ნიჟარაძეს აქვს. არის ქოცნაც საღობი და ორი პარტახტი. არის ნემსაძისეული ხოშტიბელა სასახლე თორმეტი კუამლის კაცით. ხუთი კუამლი ... ოხომირას, თორმეტი კუამლი ... საჩხეურს, ორი კუამლი ... მანდიკორს. არის ჩუნეშს ათი პარტახტი. (ქსძ, III, გვ. 613-614).

გელათი 1678 – იხ. ყიფიანისოული მიწა

გელათი 1700 ახლო – იხ. ოკრიბა

გელათი 1712 – იხ. ხორგა

გელათი 1730 – ... წყალობითა ღვთისათა მეფეთ-მეფემან ... ალექსანდრე ... დავიპყარ ლიხთ იმერეთისა სამეფო უნაკლულოდ... წარვიღე ცხედარი სასურველისა ჩემისა [მარაიმ დედოფლისა] მეფეთა სასაფლაოსა გელათს... შევწირეთ შინაგან საყდარსა და ადგილი და ყმანი... ქუტირს კცია თევდორაძეს ოცი მენახევრე ღვინო... (დსსს, I, გვ. 119-123).

გელათი 1731 – ... კათალიკოზის ბატონის გრიგოლის წინამძღარმა, გელათის წმინდის გიორგის ზედამდგომელმა გაბრიელ, თათრითგან დავიხსენი მოსახლე კაცი გიორგი ხანთაძე და შენთვის შემომიწირავს ... ბიჭვინტისა ღთისმშობელო, და შენი მონასტრის გელათის წმიდის გიორგისათვს შემომიწირავს გიორგი ხანთაძე ცოლშვილითა, სახლ-კარითა, ჭურმამულითა... (დსსს, I, გვ. 126).

გელათი 1733 – იხ. ბარისთავი

გელათი 1740-1750 – ... მე ალექსანდრე ... დავიპყარ ლიხთ იმერეთისა სამეფო უნაკლულოდ... მეუღლე ჩემი ... დედოფალი მარიამ [გარდაიცვალა]... წარვიღე ცხედარი ... მეფეთა სასაფლაოსა გელათს... შევწირეთ ... ადგილნი და ყმანი ... ვძელთაგანვე შეწირულნი: ართგვეთს სოფელსა მძორეთისასა ვარდოსანიძე ლეკვია... პატრიკეთს სოფელსა პდ ჩვენი სასახლე და ამას თანა გლეხნი... ამას გარდა შეგვიწირავს ჩხარს გამრეკელაშვილი... კვალად ქუტირს შეგვიწირავს კაცია თეუდორაძე... ამას გარდა შეწირული არის, როგორც ძველი დავთარი აცხადებს, გოდოგნს გაბრიჭიძე ხახუტა

მხიარული... ამას გარდა ქუთათისს ორი ხულის ქირა არის შეწირული... (დსსს, I, გე. 158-161).

გელათი 1750 – იხ. არგვეთი

გელათი 1755 – [სიგელი სოლომონ I-ისა გელათის ტაძრისადმი]: მეფესა დავითს... აღმაშენებელ წოდებულსა ... დაღეშენა ტაძარი ესე გენეთლისა... [აქ] მოესვენებიათ ... ჴატსახე ჴახულისა და ვარძიის მღთისმშობელისა ფრიად ფრიადითა სამკაულითა მოსილი... და შემდგომად ამისა, ოდეს ვისმე ღმრთის მოძულესა ... ქუთათისის ციხე ჴელთ ეგდო ... მას ჟამსა საჯდრისა ამის შემავალნი ქალაქნი და დაბანი მოკლებულ იყნენ დიდის ოხრობით... და თვით სამეუფო ტაძარი სამკაულთაგან დაკლებულ ქმნილიყო... ჩვენ ... პატრომან ლიჴთ-იმერეთისამან ... მეფეთ-მეფემან სოლომონ ... ვიგულსმოდგინეთ ტაძრისა ამის განთავისუფლება... ასე დავამტკიცეთ რომ არც ჩემგან და არც შემდგომთა ჩემთა მეპატრონეთაგან ამ გელათის შემავალს არც აზნაურის შვილის ყმასა და არც გლეჴს მისის საკუთარი სახასო ყმა [არშიაზე ჩამატებულია სხვა ხელით: ოკრიბაშიდდა] სადაც იყოს არსად ჩვენგან ... არასოდეს საურის გარდასახადი ჴარაჯა არ ეთხოვებოდეს... კაცთაგან ამისი მოწამე... აფხაზეთისა კათალიკოზი ბესარიონ... პირველ გენათელ წოდებული, ყოვლად სამღვდელო ჭყონდიდის მიტროპოლიტი გაბრიელ... ცაგერელ მიტროპოლიტი... გრიგოლ, ქუთათლად წოდებული მაქსიმე, მთავარ ეპისკოპოსი ხოპის ტარ[77] წოდებული ნიკოლოზ... მე... წმინდის მოწამენის სამარხოს ყოვლად წმიდის ტაძრის იმღვიმენოსმან ... ღოღაბერიძემ ... აღვწერე სიგელი ესე... (დსსს, II, გე. 4-6).

გელათი 1758 – ... გელათი რომ ლეკმა დასწვა ... მოვიდენ ჟორჟოლაძის კაცები და გელათი გატეხეს და ტყვია მოიპარეს... გაიბჭვენ კათალიკოზი იოსებ და ბერუკა ჟორჟოლაძე... (ქრონ, III, გე. 261).

გელათი 1767 – იხ. იმერეთი

გელათი 1774 – იხ. ლაფეთი

გელათი 1776 – რათგან გელათს დიაკვნად ვეკურთხე, მღდლად ვეკურთხე და მღვდელთ-მთავარათ, რაც რამე მიღწია, ყოველივე გელათისათვის მინდოდა და კიდეც შემიწირავს ... ალისუბანი, თხილთაწყარო, ღიბრაძეები დავიხსენი ... და შემიწირავს ჭუმბურიძენი ... ყველა მუხურას; კიდევ ოკრიბას გვენეტაძენი; რაჭას კვაშხითი და საწულიკიძო, დიაღ, მრავლით ჟამიდამ დაკარგული ამოვიყვანე; რომელიც ჩვენს დავთარში ეწერა ჯვარისას და კვაშხიეთის გლეხები და მამულ-ადგილები ყველა ამოვიღე; ჩუნეში და უძლური ორივე საფიცრით გაცემული იყო და ამოვიყვანე სრულებით ჩემი სარჯელით. რიონს სულაქველისძენი ... ამოვიყვანე; კორიშს გლეხები ამოვიყვანე. ... გაღმა საერისთოში ორი გლეხი ჯანელიძეები ამოვიყვანე; ქუტირს საკანდელაკო კაცები ... საგელათოთ გავხადე ისევე. ამას გარდა ვაჭრები ორი ურია ... ქუთაისიდამ გამოვიყვანე... და გელათს შევწირე...

---

[77] ხოპის ტარ ალბათ ხობის ტაძარ-ს გულისხმობს.

ონს ხახამი ქონას შვილი ... საგელათო ამოვიყვანე და გელათს შევწირე. ქუთაისიდამ გამოყვანილი დავითელა სომეხი ელისბარაშვილი ... მესხისა და ავალიანისაგან დავიხსენი. ...პეტრია გორდეზას ძმა სიმონგულაშვილი ჩხარის ნამოსახლი და კიდევ სიმონგულაშვილი ბერუას შვილები – ესენი საყდრის იყვნენ და ახალციხიდამ მოვიყვანე... (ქსძ, III, გვ. 906-908).

გელათი 1776-1784 – იხ. საბანელას ხიდი

გელათი 1778 – საკათოლიკოსო წიგნები გელათს წმიდის გიორგის ეკლესიისა ესენი არიან: ... ერთი კოლოფით ძველი დავთრები არის რიცხვით ოცდათორმეტი მეფეების და სხუათა იმერეთის თავადთა და აზნაურთაგან შეწირულობის. ორმოცდაერთი – დადიანის და სხუათა ოდიშის თავადთა და აზნაურთაგან. თოთხმეტი – გურიელის და გურიის თავადთა და აზნაურთაგან... (დსსს, II, გვ. 68-69).

გელათი 1778 – იხ. ოხომირა

გელათი 1781 – იხ. მანდიკორი

გელათი 1782 – ... გენათისა ღმრთისმშობელო ... მე, ... მეფემან სოლომონ ... შემოქწირე ... ძევრსა სოფელსა მოსახლე გლეხი ბინივოკა ლაღაძე... კუალად ერთი მოსახლე კუტალაძე კითოჯს სახლობს... სიმონეთს სულამანიძე... საჭიჭინაძეო ძევრის და სხეა რომელიც ხატის მიწა ადგილი შეწირული ყოფილიყო. და ან ხატის გლეხი მათგანი რომელიმე საჭიჭინაძეო იყო და ჭიჭინაძეს უბოძეთ, და რომელიცა გენათისა ღმრთისმშობლისა შეწირული იყო, კუალად მასვე შევსწირე... კუალად მაჭუტაძესი გენათის ღმრთისმშობლის შეწირული ყოფილიყო პირველ და უსამართლოდ დაეპყრათ საკანდენელებს და ესე ყოველნი ამოვიყვანეთ და ... ეკლესიასა შენსა ... შევსწირე... შემოგვიწირავს ... ჩხარს სოფელს ფანჩურიძე ხუცესი... (ქრონ, III, გვ. 377-378).

გელათი 1783 – იხ. სოხასტერი

გელათი 1784 – იხ. ნაბოსლევი

გელათი 1787 – იხ. ოკრიბა

გელათი 1787 – იხ. ონი

გელათი 1787 – იხ. სვანეთი

გელათი 1789 – ... მე ... იმერთა მეფეთ-მეფე სოლომონ ... შევსწირე წმიდასა შენსა ეკლესიას გელათს მთავარს საყდარს სამი მოსახლე ურია კოკიასშვილები და ერთი მოსახლე სომეხი ანდრია მიქელასშვილი. ამ ვაჭრებს დავადევით ბეგარათ... ღვაწლი მრავალი აქვს დადებული ქვეყანასა ამასა ჩვენსა სახელოვანსა მას მეფესა [სოლომონ I-ს] და მრავალი ქვეყანა და ვაჭარნი ხრმლითა თვისითა შეუკრებია... (იდსეშ, გვ. 195-197).

გელათი 1791 – იხ. სიმონეთი

გელათი 1793 – გიორგიტა ნუცუბიძე ბატონის მეფის სოლომონის ბრძანებით გელათს წმინდის მოციქულის ანდრიას ეგვტერს შეეწირა და ჩვენ, მისმა წინამძღვარმა ნიკოლაოზ, ბატონის მეფის სოლომონის ბრძანებით,

პატიქეთი[78] უშვილო კაცის სეულობაზედ დავასახლეთ და იმ ადგილს სრული ბეგარა ემართა... (დსსს, I, გვ. 123-124).

გელათი 1795 – იხ. სამიქაო

გელათი 1800 – იხ. თხილთა წყარო

გელათი XVIII-XIX სს. მიჯნა – კათოლიკოსი მაქსიმე და გენათელი ეფთვიმი გელათის გალავანშიდ მიწას დეობდენ, მაცხოერის კარისა და კათალიკოსის პალატს შუა რომ ადგილი არის. კათალიკოსმა ბძანა: წმინდის გიორგის საყდრის არისო და საკათალიკოზოო. გენათელმა თქვა: ჩემის საყდრის მიწა არისო... რაც საგენათლო არ იყოს, ის მიწა საკათალიკოსო არ ყოფილიყოს (ქსძ, VI, გვ. 269).

გელასოფელი. ქვემო ქართლი

გელასოფელი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

გელდიგილანი. ქვემო ქართლი

გელდიგილანი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

გელდიგილანი 1707 – იხ. წრაუთი

გელდიგილანი 1718 – იხ. საორბელისშვილო

გელიას ციხე. კახეთი

გელიას ციხე 1784 – ღმერთმან ... ჴემწიფის ჭირი მოსცეს მარტყოფელ ბეჟანისშვილის ჯალაბს... სინჯიკაშვილი ბასილა მამულს მართმევს... თქვენი ყმა მისირს გახლავს და მე დედაკაცობით მბრიყობს... თქვენი ნაბოძები ლაზარე ნაცვლის მამული რა დასაქცევი იყო, რომ ქვევრები ამოყარა და გელიას ციხესთან ჩამოიტანა... (ქსძ, VII, გვ. 621-622).

გენანეთი. ქვემო ქართლი

გენანეთი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

გენასმანი – იხ. გეთსიმანია

გენაფერი. შიდა ქართლი

გენაფერი 1669 – იხ. წილკანი

გენდუში. ლეჩხუმი

გენდუში 1758-1765 – იხ. საირმე

გენდუში 1766 – იხ. საირმე

გერასიმიძისეული მამული. შიდა ქართლი

გერასიმიძისეული მამული 1459 – იხ. ვირშისთავი

გერგეტაული ციხე. ხევი

გერგეტაული ციხე 1392 – იხ. ტფილისი

გერგეტი. ხევი

გერგეტი 1392 – იხ. ტფილისი

---

[78] უნდა იყოს პატრიქეთი (დსსს, I, გვ. 124).

გერგეტი 1439 – იხ. ხევი

გერგეტი 1466-1478 – ჩუენ, ... მეფეთა-მეფემან ბაგრატ ესე ... სიგელი ... გიბოძეთ თქუენ, გერგეტელთა საყდრიშვილთა, წმიდისა სამებისა მოსამსახურეთ... თუ ვისმე თქუენიგანი კაცი შეაკუდეს, სამ სისხლად აზღუევინეთ (სმ, II, 1924, გვ. 48).

გერგეტი XVI ს. – ჩუენ ... კათალიკოზმან ... ესე რჯული და მცნებაჲ დაგიგდე თქუენ, გერგეტელ საყდრისშვილთა (ქსძ, III, გვ. 351).

გერგეტი 1723 – ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩუენ, ერისთავმან თეიმურაზ ... თქუენ, გერგეტეველთ, ასე რომე წმიდის სამების ყმანი იყუენით და ხართ და ... რეა ნაბადი გედვათ ჩუენი ბეგარა და იმითაც ჩუენგნით თარხანი შეიქენით ... (ქრონ, III, გვ. 91).

გერგეტი 1733 – იხ. ხევი

გერგეტი 1765 – იხ. ქვაბი

გერგეტი 1779 – იხ. სტეფანწმინდა

გერგეტი 1781 – იხ. წკერე

გერგეტი 1789 – იხ. ხევი

გერეთი. შიდა ქართლი

გერეთი XVII – იხ. ციხისძირი

გერი. შიდა ქართლი

გერი 1617 – ესე წიგნი მონახსენე სუეტსა ცხოველსა მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ... ასრე რომ ჩუენი სამკვიდრო გერი და გერისთავი სუეტისცხოელისათვის შეეწირა მეფეთა, კიდევე არბო, სგენასმანი სუეტის ცხოელისა იყო და ეს ჩუენ დავიჭირეთ და ამისად სამუქმოდ ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკუიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემა... (ქრონ, II, გვ. 441-442).

გერისთავი. შიდა ქართლი

გერისთავი 1617 – იხ. გერი

გერისთავი 1766 – იხ. გორი

გერისთავი 1792 – იხ. ავნევი

გესამანია – იხ. გეთსიმანია

გეტის წყალი. ქვემო ქართლი

გეტის წყალი 1741 – იხ. კენჭიყარას სერი

გვაზაური. იმერეთი

გვაზაური XVII ს. – იხ. სენაკი

გვაზაური 1733 – იხ. ბარისთავი

გვაზაური 1766 – იხ. ბარი

გვარეთი. ქვემო ქართლი

გვარეთი 1523 – იხ. მძოვრეთი

გვარეთი 1689 – იხ. კრეფა

გვედისი. შიდა ქართლი

გვედისი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

გველდესი // გუელდესი // გველდეზი. შიდა ქართლი

გველდესი IX ს. II. ნახ. – იხ. ცხავერი

გველდესი 1073 – იხ. თრიალეთი

გველდესი XVII ს. – იხ. ცხავერი

გველდესი XVII ს. – იხ. ცხირეთი

გველდესი XVII-XVIII სს. იხ. – ციხედიდი

გველეთი // გუელეთი. ხევი

გველეთი 1439 – იხ. ხევი

გველეთი 1781 – ერეკლე II-ის წერილი ფაბრიციანისადმი] ... и непременно определить в **Чимах** команду и заделать какое-нибудь к защищению их укрепление. Выше же **Чими** по реке **Тереку**, на нашей границе при **Хвелетии** могли бы мы, по согласию вашему, зделать укрепление. Сверх того, ... не худо бы было от **Чими** до Моздока в трех местах поставить заставы... Может иногда понадобитца дорога к **Грузии** россиянам, то может служить в пользу России сие установление... Уще же доношу, ... сего юзбаша отправить поскорея обратно к нам, да и мы приедем **Хкеве** или **Казибеку** (МПТСВГ, I, გვ. 54).

გველეშაპის ჭევი. კახეთი

გველეშაპის ჭევი 1791 – იხ. დავითგარეჯა

გველფარეხა. ქვემო ქართლი

გველფარეხა 1457 – იხ. არწევანი

გვერდა. შიდა ქართლი

გვერდა 1704-1709 – იხ. ჭალა

გვერდის უბანი. შიდა ქართლი (?)

გვერდის უბანი 1737 – იხ. იტრია

გვერდისძირი//გვერდიძირი // გვერდისძირნი. კახეთი

გვერდისძირი 1579 – იხ. მცხეთა

გვერდისძირი 1722 – იხ. მარტყოფი

გვერდისძირი 1722 – იხ. სარუსთველო (სადროშო)

გვერდისძირი 1746-1749 – იხ. გრემი

გვერდისძირი 1794 – [არზა ნოდარიშვილებისა ერეკლე II-ისადმი]: მერე ენისელთ მოურავიანთ მძლავრებით ერთი კომლი კაცი პატიაშვილი გვერდისძირს უჭირავთ თავისის მამულით. და კიდემ უჭირავთ ინწობის ჭევში ჩვენგან გამოფიცული ცოტა რამ მიწები. ამას გარდა გურჯაანში უჭირავთ ერთი საკომლო ვენახი... (ქსძ, VIII, გვ. 268).

გვერდისძირი 1798 – იხ. გრემი

გვერდისძირი//გვერდიძირი. შიდა ქართლი
გვერდისძირი 1759 – იხ. თაეხელიძის კალო
გვერდისძირი 1771 – იხ. მეჯვრისხევი
გვერდისძირი 1778 – იხ. ჭურთა
გვეძინეთი. შიდა ქართლი
გვეძინეთი 1664-1673 – იხ. წყნეთი
გვეძინეთი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი
გვეძინეთი 1712 – იხ. ურბნისი
გვეძინეთი 1747-1749 – იხ. ძამის ციხე
გვიანა. ქვემო ქართლი
გვიანა 1792 – იხ. ბალიჭი
გვიდისი. შიდა ქართლი
გვიდისი 1771 – იხ. ახალგორი
გვიდისი 1779 – იხ. პატარა ლიახვი
გვიმბრალი. იმერეთი
გვიმბრალი 1659 – იხ. რველი
გვირგვინეთი. ქვემო ქართლი
გვირგვინეთი 1543 – იხ. სხალნარი
გვირგვინი. შიდა ქართლი
გვირგვინი 1718 – იხ. ზენა დრისი
გიგაანთ საყდარი. კახეთი
გიგაანთ საყდარი 1790 – იხ. ხოდაშენი
გიგნიანთ ვენახი. შიდა ქართლი
გიგნიანთ ვენახი 1789 – იხ. ღანბარაული ვენახი
გივიანის ყორე. კახეთი
გივიანის ყორე 1718 – იხ. ართანა
გილდაშვილის ნაზრევი. კახეთი
გილდაშვილის ნაზრევი 1735 – იხ. მარილისი
გილოინა. სვანეთი
გილოინა 1503 – იხ. რაჭა
გიორგანი. კახეთი
გიორგანი 1552 – იხ. ვეძისხევი
გიორგანი 1552 – იხ. მცხეთა
გიორგიწმინდა // გიორგიწმიდა // გიორგიწმინდელთა. კახეთი
გიორგიწმინდა 1392 – იხ. ტფილისი
გიორგიწმინდა 1428 – იხ. საგარეჯო

გიორგიწმინდა 1504 – იხ. ვეძისხევი

გიორგიწმინდა 1579 – იხ. მცხეთა

გიორგიწმინდა 1638 – იხ. მცხეთა

გიორგიწმინდა 1690-1694 – იხ. გარეჯა

გიორგიწმინდა 1720 – იხ. კალაური

გიორგიწმინდა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

გიორგიწმინდა 1751 – ... ჩვენ, საგარეჯოს მოურავმა იორამმან ... შენ, გიორგიწმინდას მემკვიდრეს ... ბეჟიაშვილს ოქრომჭედელს გიორგის ... დაგიმტკიცეთ ბატონის წყალობა სოფელში გიორგიწმინდას – ვენაკი კოკონაური და ქალაქს სახლი და დუქანი... (ქსძ, IV, გვ. 397).

გიორგიწმინდა 1770 – იხ. თვალი

გიორგიწმინდა 1789 – იხ. მარიამჯვარი

გიორგიწმინდა 1791 – მაყაანთა და გიორგიწმინდელთ იორს გამოღმა მამულზე ცილობა ჰქონდათ... მეფის ალექსანდრეს წიგნი გავსინჯეთ, რომელშიაც სწერს: „ჩვენი ბრძანება საგარეჯოს მოურავს ჩერქეზს ხაზფოლადს ასე მოახსენეთ: მერე მაყაშვილებმა მაყამ და გოშფარ მოგვახსენეს, რომ გიორგიწმინდელნი ყარაღაჯში ჩვენს საკნავ ალაგებს გვეცილებიანო... ყარაღაჯის ოლეს გარეთ ხომ მაყაანთ ჭელი არა აქვსთ, თქვენს სამძღვარს ზემოთ და ოლეს შიგნით – გიორგიწმინდელთ“... და კიდეე როსტომის განაჩენი ... ქორონიკონს ტმდ ... ჩერქეზიანთ მესამზღვრედ გიორგიწმინდელთ ახსენებს და სწერს: „ჩერქეზელთ და გარეჯელთ მამულზე ცილობა ჰქონდათ... ამ სამართალში მარიამჯვარელნი და ანთოკელნიც თან დავისწარითო“... მეფის როსტომის განაჩენი აცხადებს, რომ მეფის ალექსანდრედამ მოკიდებული როსტომ მეფამდის ოლეს გარეთ ჩერქეზიანთ სამძღვრამდის გიორგიწმინდელთ ჰქონებიათ... მდებარეობა ამ სადაოს მიწისა ... მარიამჯვარის სისწორ ... გამოვა; ოლეს, ანთოკსა და გიორგიწმინდელთ ახსენებს და არა მაყაანთ... ამ ... ჟამში და წინას დროებშიაც ... გიორგიწმინდელნი ოთხად და ხუთად რიცხეით მარიამჯვარელთაგან მეტნი ყოფილან... ეს სადაო მამული მაყაანთ ჭელთ ეჭირათ, ... მაგრამ ... სამართალმა ფიცი გიორგიწმინდელთ მიუგდო (ქსძ, V, გვ. 521-522).

გიორგობულა მიწა. შიდა ქართლი (?)

გიორგობულა მიწა 1725 – იხ. დიღომი

გიშის საეპისკოპოსო. ჰერეთი

გიშის საეპისკოპოსო 1770 – იხ. ქიზიყი

გიჯნიხევი – იხ. გაჯნიჭევი

გლდანი//გრდანი. კახეთი

გლდანი XVI ს. 80-იანი წლები – იხ. აეჭალა

გლდანი 1579 – იხ. მცხეთა

გლდანი 1722 – იხ. მარტყოფი

გლდანი 1774 – იხ. ქსანი

გლდანი 1788 – [წიგნი დარეჯან დედოფლისა მიშკარბაშ იოსებისადმი]: ... მერე მანდ მელიქებთან სამი ქუმჩი რომ არის გრდანელნი, ამას წინათ მელიქებსაც ჩვენ წიგნი მოჰწერეთ და ეგ ქუმჩები ჩვენის ქუმებისათვის ეჰთხოვეთ... სხვა რომელიც ქუმჩები გვყავს ყაფანლოდამ და განჯიდამ მოვაყვანინეთ. თუ იქიდამ კი შევძელით ქუმჩების მოყვანა, ჩვენის ქვეყნიდამ უფრო არ უნდა გამოვიყვანოთ? ... [ქუმჩები] ოდიშს გვინდა გავგზავნოთ (სს, III, გვ. 37).

გლდანი 1789 – [არზა ეფიფანესი და ფარსადანისა დარეჯან დედოფლისადმი] ჩვენო ხემწიფევ, გრდანში თქვენი წყალობა მამულები გვაქ, ჩვენ იქიდამ ვერასა ვრჩებით სიშორით და ხან მოუცლელობით... (ქსძ, VIII, გვ. 16-17).

გლდანი 1799 – იხ. კალაური

გლოლა // გლოვლა

გლოლა 1503 – იხ. რაჭა

გლოლა 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

გლოლა 1784 – იხ. ნარა

გლოლა XVIII-XIX სს. მიჯნა – ხიტიბამ [ურიამ გოგია კოკონაშვილს] უჩიელა: გლოვლას ორი ცხენი მყავდა გაბარებული, შენ გამოტყუე და წამართვი... (ქსძ, VI, გვ. 268).

გოგათგვერდი იხ. გოგასგვერდი

გოგანი. კახეთი

გოგანი 1579 – იხ. მცხეთა

გოგანი 1722 – იხ. მარტყოფი

გოგასგვერდი // გოგათგვერდი. ქვემო ქართლი

გოგასგვერდი 1552 – იხ. ახოტა

გოგასგვერდი 1657 – იხ. ახოტა

გოგასგვერდი 1697 – იხ. თრიალეთი

გოგასგვერდი 1699 – იხ. მანგლისი

გოგასგვერდი 1720 – იხ. თრიალეთი

გოგას წყარო. კახეთი

გოგას წყარო 1579 – იხ. მცხეთა

გოგასწყარო 1654 – იხ. საგარეჯო

გოგას წყარო 1654 – იხ. წინსაგარეჯო

გოგატაური სასახლე. იმერეთი

გოგატაური სასახლე 1570 – იხ. ხონი

გოგაღჩელი. ქვემო ქართლი

გოგაღჩელი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

გოგთური მიწა. შიდა ქართლი

გოგთური მიწა 1230-1235 – იხ. აგარა

გოგა. იმერეთი

გოგა 1475 – იხ. სკანდა

გოგია.[79] ჯავახეთი

გოგია 1392 – იხ. ტფილისი

გოგიასხევი // გოგიასჴევი. კახეთი

გოგიასხევი 1505 – იხ. ოროტა

გოგიასხევი 1579 – იხ. მცხეთა

გოგილანი // გოგილარი // გოგილა. შიდა ქართლი

გოგილანი 1392 – იხ. ტფილისი

გოგილანი 1602 – ჩუენ ... ქართლისა კათალიკოზმან პატრიარქმან ... დომენტიმ ... შენ, ჭარმაულსა დაგითს ... მოგიბოძეთ გოგილაში ოთხი კვამლი კაცი ... რისიცა ოდენ მამულისა მქონებელნი იყუნეს... რაც ჩუენი სახასო მიწა იყო, ისი ორი წილი თქუენ გიბოძეთ. კიდეგე გიბოძეთ გოროანს იესეს და ლომისეული მამული ... და მათი ნაყმევი ლობიერაშვილი ... რისაც მქონებელნი იყუნეს... (სს, I, 1899, გვ. 333-334).

გოგილანი 1610 გოგილანში – ... [რაც ყმა-მამული] ქათალიკოზის ბატონის დომენტისგან ნაბოძები ჰქონდა და აწე ჩუენ, ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ... შენ, ჭარმაულს დავითს... (სს, I, 1899, გვ. 334).

გოგილარი 1669 – იხ. წილკანი

გოგისოფელი // გოგის სოფელი. ქვემო ქართლი (?)

გოგისოფელი 1722 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... პატრონმან ვახტანგ ... თქვენ, დავითიშვილს ელიზბარს ... გიბოძეთ თქვენი გასამყრელოთ აღებული ტატიშვილი როსებ ... თავეთის მამულითა და გოგის სოფელი მთლიე თავის შესავლითა და გასავლითა, მთითა და ბარითა... (სს, II, გვ. 333-334).

გოგისოფელი 1783 – დავითისშვილი ელიზბარ ჩიოდა: გოგისოფელი ჩემი და ჩემის სახლისკაცის ზაალის არისო და საკუთრად ზაალს უჭირავსო და მე წილს არ მიდებსო... უნდა ეს გოგისოფელი შუა გაიყოს... უფროსის კაცის შვილი რომ ზაალ არის, უნდა საუფროსო აიღოს, ვენახის ალაგს ვენახი და სახნავს მიწაში მიწა (ქსძ, V, გვ. 217).

გოგისოფელი 1784 – თქვენ, დავითისშვილს ელიზბარს, მე, ოსეფა ყორღანაშვილმა წლევანდელი, რაც გოგისოფლის შენი წილი ღალა ... უნდა მოგცე, და შენი სახლის კაცისთვინ ფასი მიმეცეს, ისე უნდა შეგისრულო... თუ მეტი იყოს, ისე შეგისრულო ... და გოგისოფლის ჩემიც უნდა მომიტანო (სს, II, გვ. 495-496).

გოგისოფელი 1796 – [არზა იოსებ ყორღანაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ჩემი ქალაქის სახლ-კარი მარიამ დედოფლის წყალობა და ცოტა ადგილი მეფის ვახტანგისაგანაც იყო ნაბოძები, რომ ისიც ჩემს სახლში შემოერთებული იყო. და ამის სიგლები თქვენს სიმაღლისაგან მქონდა დამტკიცებუ-

[79] გოკია?

ლი. დავითისშვილის ზაალისა და ელიზბარისაგან ბატონისათვის ნასყიდის სომხეთში გოგისოფლის სიგლები მქონდა თავ-თავის წილისა... მამის ჩემისაგან ნასყიდი სოლაღაშვილის ავთანდილისაგან მოსყიდული ვერის ჭეშზე დრე სოფელი... სოლაღაშვილის უაფარბეგისაგან მამის ჩემის ნასყიდი თავისი წილი კუმისს ყმა და მამული, ამის ნასყიდობის სიგლები სარდალსა ჰქონდა წართმეული.... ნეტარად ხსენებულის თქვენის ძმის უწმიდესის ანტონისაგან კირაკოზაშვილის ბეითალმალის ორთაჭალის ბაღის ნასყიდობის სიგელი მქონდა, თქვენის შვილის კათალიკოზისაგან დამტკიცებული იყო... რაც ქალაქში ან მამის ჩემისაგან და ან ჩემგან ნასყიდობის სიგლები მქონდა, ეს მელიქს ებძანოს, რომ გამიახლოს, დავთარში ეწერება... ქვემო ბოლნისს ზავრაშვილებისაგან მამის ჩემის ნასყიდი ორი ვენახი და ექვსი დღის მიწა მაქვს და ნასყიდობის წიგნი დავჰკარგე.... მეფის ვახტანგისაგან ბოძებული ენაგეთს ერთის ჩემის სახლისკაცის წილი ბეითალმალი ყმა და მამული, რომ იმის ყმები დღესაც მყავს და სიგელი დავჰკარგე... შარშან რომ აღამაჰმად-ხანისაგან ტფილისის ქალაქი წახდა, ჩემი ბარგი ზოგი მცხეთას აქეთ დაიკარგა და ზოგი ქალაქში. და ჩემი წიგნებიც მაშინ ჩემს ბარგთან დაიკარგა... (ქსძ, VIII, გვ. 389-391).

გოგის ფლატე. კახეთი

გოგის ფლატე 1579 – იხ. მცხეთა

გოგიტაური მამული. კახეთი

გოგიტაური მამული 1512 – იხ. კუნელი

გოგნა. იმერეთი

გოგნა 1789-1813 – იხ. ოკრიბა

გოგნანი. კახეთი

გოგნანი 1798 – იხ. შილდა

გოგნის ციხე. იმერეთი

გოგნის ციხე 1187 – იხ. არგვეთი

გოგოეთი. შიდა ქართლი

გოგოეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

გოგოსი. შიდა ქართლი

გოგოსი 1260 – იხ. ხოლე

გოგრიკული (მიწა). გურია

გოგრიკული (მიწა) 1780 – იხ. ბაილეთი

გოდაკაანთ ბაღი. ქვემო ქართლი

გოდაკაანთ ბაღი 1774 – იხ. ვარაზისჯვევი

გოდაკაანთ წისქვილის შარა. ქვემო ქართლი

გოდაკაანთ წისქვილის შარა 1774 – იხ. ვარაზისჯვევი

გოდლისი. კახეთი

გოდლისი 1793 – [არზა ყორჩიბაშის შვილებისა ერეკლე II-ისადმი]: ... მოგეხსენებათ, გოდლისი ჩვენი მამული არის და თქვენი ოქმი და განაჩენი გვიჭირავს. მთელმა ხოდაშნელთ – სამღვდელოთა და საეროთ – იმ მამულს შემოუარეს და რაც დანიშნეს, ჩვენი შეიქნა. წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი და იასაული გვიბოძოთ გოდლის ჩვენს მამულში რაც ჭირნახული იდგა, იმისი ღალა გამოგვირთოს და მოგვცეს (ქსძ, VIII, გვ. 235-236).

გოდოგანი. იმერეთი

გოდოგანი 1548 – იხ. ონჭონა

გოდოგანი 1545 – [წყალობის წიგნი ბაგრატ მეფისა]: ... ივანე ცირღილაძე ... საყდრისშვილად შევქენით და უბოძეთ მამული მისთვის სასახლეთ... [ეუწყალობეთ] მათთვის სასაფლაოდ ოთხი ტანი საფლავი საზაროსა ღმრთისმშობლის ეკლესიაზედა დასავლეთის კედლის ძირსა გარეთ; და გოდოგანს გლეხნი ფუზედ ორი და კვამლი ოთხი... ჩვენც ... დაუმტკიცეთ ... მეღვინეთუხუცესობა გაენათლის სახლისა... ესე არაოდეს მოგეშალოს არა ჩვენგან და არა ... გელათს მჯდომისა ეფისკოპოზთაგან... (სმ, II, 1925, გვ. 134-135).

გოდოგანი 1740-1750 – იხ. გელათი

გოდოგანი XVII ს. I ნახ. – იხ. ნამაშევი

გოდოგანი 1749 – [შეწირულების წიგნი ალექსანდრე V-ისა]: ჩვენს საძვალეს წმინდის ანდრია მოციქულის ეკვდრისათვის შეგვიწირავს ეს გლეხები... გოდოგანს გიორგი ჭარბაძე... ნაბოსლევს ორი გლეხი... ტყირბულს ქასრაშვილი ორი კომლი, ქვემო ქვიტირს იამანიძენი მამუკა და მისი განაყოფი... (დსსს, I, გვ. 125).

გოდოგანი 1787 – იხ. ოკრიბა

გოზალას სოფელი. შიდა ქართლი

გოზალას სოფელი 1766 – იხ. გორი

გოლათუბანი. იმერეთი

გოლათუბანი 1711 – იხ. ქვიშხეთი

გოლათუბანი 1751 – [ვახუშტი აბაშიძეს] მამიცემია ჩემი უმცროსი შვილისათვის დავითისათვის: ... გოლათუბნელი ღვინია ტაბატაძე... ივანიკა რაჭუელი... გუდათუბნელი ორი მუახლე... ნახევარი საყდარი... გაღმა კლდემდის, ნოკალოვარის... ამართულის ქვის სწორა ღელემდის, გამოსაშვების წყლის შესწორებით, ფონის სამძღვრამდის მამიცემია მთა და ბარი სამი დღიური, ხვადაბუნის თავში ქვიშხეთს ბელაშნეური – სამამულეთ მამიცემია (იდ, I, გვ. 87).

გოლათუბანი 1751 – ... გოლათუბნის წმიდავ გიორგი ... [ვახუშტი აბაშიძემ] ვათარხნე და ვააზატე სოფელი ეგე შენი გოლათუბანი ... თავისის საზღვრით საზღვრამდე... (იდის გვ. 87-88).

გოლგოთა. იმერეთი

გოლგოთა XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

გოლგოთა 1781 – იხ. ისროლისხევი

გოლგოთა 1781 – იხ. ქსანი

გოლისი. შიდა ქართლი

გოლისი 1401-1415 – იხ. ულუმა

გომარეთი. ქვემო ქართლი

გომარეთი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

გომარეთი 1633 – იხ. ზემო ოძისი

გომარეთი 1707 – იხ. მელრევი

გომარეთი 1713 – იხ. ციხექვაბი

გომარეთი 1727 – იხ. ეგრისი

გომარეთი 1735 – იხ. ციხექვაბი

გომარეთი 1794 – იხ. არადეთი

გომარეთი. ხეობა

გომარეთი 1766 – იხ. წაღვლი

გომარეთი 1772 – იხ. არადეთი

გომბორი//გონბორი

გომბორი 1548 – იხ. საგარეჯო

გომბორი 1648 – იხ. ქართლი

გომბორი 1678 – იხ. ალავერდი

გომთწყალი – იხ. გომისწყალი

გომი // გომნი. შიდა ქართლი

გომი 1392 – იხ. ტფილისი

გომი 1429 – იხ. კასპი

გომი 1449 – იხ. ნიაბი

გომი 1532-1549 – იხ. ტფილისი

გომი 1559 – იხ. სხალდიდი

გომი 1566 – იხ. ნიაბი

გომი 1619 – ჩვენ, ... ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ქრისტეფორე – წყალობისა წიგნი გიბოძე ... ბაღლაძეს[80] გიორგის... გიბოძე გომნი სამოურავოდ და ერთი კვამლი კაცი ოქროპირის შვილი დათუნა ყმად მიბოძებია... (ქსძ, III, გვ. 395-396).

გომი 1624 – ჩუენ, ... ქართლისა კათოლიკოზმა ... ქრისტეფორემ ესე ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, მაღალაძეთა... მიწობალიძეს ქონდა გომნი საჭელოდ, ისი სამუქაბოდ შევიჯერეთ; და გომნი სამკვიდროდ სამოურავოდ გიბოძეთ (ქსძ, III, გვ. 483).

გომი 1687 – იხ. მცხეთა

გომი 1692 – იხ. ციხედიდი

---

[80] მიწობლიძე (დსსი, I, გვ. 18).

გომი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

გომი 1736-1744 – იხ. მოხისი

გომი 1738 – იხ. მეტეხი

გომი 1739-1744 – დემეტრე მაღალაშვილი და ზაზა გომის მოურაობაზედ ლაპარაკობენ და [ჩვენ, დომენტი კათალიკოსს] თქვენთვის [არჩილ მეფისთვის] გვიახლებია. ამათი სამართალი თქვენ უბძანეთ... (ქსძ, VI, გვ. 636-637).

გომი 1740 – იხ. გომის ციხე

გომი 1749 – ... ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზ-პატრიაქმან ... ანტონიმ ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქვენ, მაისურაძეს კაციას... შენ იმერეთიდამე პატარა ტყევედ ციხის თათარს გადმოეყვანე და კათალიკოზ-პატრიაქს იოანეს დაეხსენ... ჟამთა ვითარებისა ... აყრილიყავ და კახეთს ხიზნათ გასულიყავ. მერე, ჩვენს რომ კახეთიდამ აგყარეთ და მოგიყვანეთ, ... მკვიდრ-გყავით, გომს დაგასახლეთ და გიბოძეთ ამოწყვეტილის პაიკაშვილის მამული თავისის სამართლიანის სამძღვრითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ვენაჯითა, მიწა-წყლითა... არიან ამისი მოწამენი ... ერთობილნი მცხეთელნი (ქსძ, III, გვ. 807-808).

გომი 1764 – ... გომის მოურავი ამოსწყდა და მემკვიდრე აღარავინ ყუანდა... შენი [აზნაურ თაზიშვილის] ბიძაშვილი იოსებ შემოგვეხვეწა [ანტონ კლათალიკოსს] ... და უბოძეთ გომის მოურაობა სამკუიდროდ... მერმე ... შენი ბიძაშვილი იოსებ მომკუდარიყო და ჯანდიერისშვილს იოსებს კათალიკოზს გამოერთმევინა შენი ბიძაშვილის სახელო და აღდგომელასთვის მიეცა. ახლა ჩვენ რომ ... ჩვენს საყდარზე ეეგენითვე, თქვენის ბიძაშვილის იოსების სახელო და ყმა ისევ თქვენვე წყალობა გიყავით... და აწ ჩვენი წყალობა ვენახი თუ მიწა, რომლისაც მჭონებელი ყოფილიყოს გომში თუ საცა, სახლი თუ კარი, ყუელა თქვენთვის ჴელშეუვალად წყალობა გეიქნია (ქსძ, III, გვ. 850-851).

გომი 1770 – [სამეფო სურსათის გამომღებნი ანტონ I-ის ოქმით]: ... გომელებმა პური და ქერი ხარვარი შვიდი და ნახევარი. მეტეხმა ბოჭრამითა პური და ქერი ხარვარი თვრამეტი. აქავე თაზიანთა პური და ქერი ხარვარი ერთი. გორელებმა პური და ქერი ხარვარი ხუთი. უფლისციხელებმა პური და ქერი ხარვარი ერთი და ნახევარი... ზერტელებმა პური და ქერი ხარვარი სამი. ... ტირძნის ტეტუნანთა პური და ქერი ლიტრა ოთხმოცი... დისეველებმა პური და ქერი ხარვარი სამი. ქრცხინვალს ხახანაშვილმა პური და ქერი ლიტრა ორმოცი... მოხელეებმა ბერძენულებითა პური და ქერი ხარვარი სამი... ჴელთუბანს ამირჯანამა პური და ქერი ლიტრა ოცდაათი. რეხს ოდომასშვილმა პური და ქერი ლიტრა ოცდაათი. გორს პატარა ბეჟანამა პური და ქერი ლიტრა ოცდაათი. ალელმა მიქელამა პური და ქერი ლიტრა ოცი. აშენდამა პური და ქერი ხარვარი სამი... (ქსძ, III, გვ. 889-890).

გომი 1771 – იხ. სამცხეთო

გომი 1785 – [არზა ელენე ქვრივისა ერეკლე II-ისადმი]: ოთხი საკუამლო მიწა გომისა ჩემი დახსნილი გახლიათ... [გვევდრებით] ჩემი ნასყიდის მიწის ღალის წყალობა დამმართოთ... (ქსძ, VII, გვ. 667).

გომი 1795 – იხ. ქვახვრელი

გომის ციხე. შიდა ქართლი

გომის ციხე 1740 – საქართველოს პატრიარქის ... დომენტის ... სახლთხუციშვილო მაღალაძე დემეტრე... გომის ციხეზე ბევრს გარჯილხართ და ჭირნახულიცა გაქვთ და გლეხი კაცნიც აყრილი ყოფილა, მოგიყუანიათ და თქვენ დაგისახლებიათ. ახლა ჩვენც სოფელი და ციხე მოგვიბოძებია... რაც ჴელმწიფისა და ჩვენი სამსახური და ბეგარა მოვიდოდეს, ერთობილთ გომელთ გვერდ იახლებდეთ... (ქსძ, III, გვ. 750).

გომისწყალი // გომთწყალი. კახეთი

გომისწყალი 1579 – იხ. მცხეთა

გომისწყალი 1654 – იხ. საგარეჯო

გომისწყალი 1654 – იხ. წინსაგარეჯო

გომიჯვარი// გომიჯუარი. შიდა ქართლი

გომიჯვარი. ქართლი 1703 – ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ ჩვენ, ბატონის-შვილმა პატრონმა ვახტანგ ... თქვენ, ჩვენს ყმას გომიჯურელს ყანდუაშვილს ივანასა... ასე გათარხნეთ, რომ არაფერი საჩვენო სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა... (დსსი, I, გვ. 120).

გომიჯვარი 1793 – იხ. ერედვი

გომიჯვარი 1793 – იხ. თელეთგორი

გომნი იხ. გომი

გონიო. აჭარა

გონიო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

გორა. შიდა ქართლი

გორა 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

გორათი. შიდა ქართლი

გორათი 1749 – ... მე, გიორგი არახჩიასშვილმა ... შენ, ურიაყოფილასშვილს ყობიას ... მოგყიდე ჩემი ალალი ნასყიდი მიწა გორათს საყდართან... (იდსეშ, გვ. 177).

გორაკა. შიდა ქართლი

გორაკა 1652 – იხ. ბადაბეთი

გორამიყარი. კახეთი

გორამიყარი 1584 – იხ. ენისელი

გორანა. კახეთი

გორანა XII ს. მიწ – იხ. რაბუნი

გორანა 1438 – იხ. მცხეთა

გორანა 1447 – იხ. მცხეთა

გორანა 1503 – იხ. მცხეთა

გორანა 1532 – იხ. მცხეთა

გორანა 1579 – იხ. მცხეთა

გორანა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

გორანა 1722 – იხ. თოლეჯი

გორანეთი. არაგვის ხეობა

გორანეთი 1800 – იხ. ბრაჭულთკარი

გორგაითი (მიწა). შიდა ქართლი

გორგაითი (მიწა) 1260 – იხ. ხოვლე

გორი. კახეთი

გორი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

გორი. შიდა ქართლი

გორი 1348 – იხ. ქართლი

გორი 1365 – ჩუენ, მეფეთა-მეფესა დავითს ... [შენთვის] გუიბოძებია ეზოს ჩუხჩერახო პიპო, გორს ქისიყელისეული მამული... (ქსძ, II, 100).

გორი 1392 – იხ. ტფილისი

გორი 1392-1398 – ... ჩუმნ ამირთ ამირამან სუნღულის ძემან ლომმან და ჩემმა ძმისწულმან ლაჩინამან... ჴელ-ვყავ და შემოვაერე საყდარსა [მცხეთას] სპონდიო და შევსწირე გორს ჩემი ნასყიდი აყუბაშვილისაგან აყუბაური ზუარი... (ქრონ, II, გვ. 198, 202).

გორი 1412-1442 – იხ. რკონი

გორი 1414-1419 – ქათალიკოზს ელიოზს მოგაჴსენეთ ჩუმნ იშხანაურმა ამირან და ამირბარმა... შემოგწირეთ გორს ულუმბელაური ვენახი: მეფისგან მესტუმრის გუგუნასთჳს ნაბოძვარი და მისგან მე მქონდა... (ქრონ, II, გვ. 221).

გორი 1419 – ჩუმნ სოღულასძემან ლაჩინამ შემოვწირე (მცხეთის საყდარს) გორს ... ნასყიდი ვენახი გულიაური... (ქრონ, II, გვ. 224).

გორი 1425 – მოვიდეს წინაშე ჩუენსა [ალექსანდრე I-ის] ... ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ... ვისმინეთ აჯა მათი და მიუბოძეთ ქარუმის ძე ქავთარ ... მათითა მამულითა... (ქსძ, II, გვ. 118).

გორი 1429 – იხ. კასპი

გორი 1430 – ... [ალექსანდრე I-მა] მივეცით და მიუბოძეთ [ავთანდილ ზევდგინისძეს] გორის მოურაობა. რათაცა წესითა ძუელითგან გორის მოურავთა გორის ბაჟი ჰქონებია და ანუ გორს და გორისა გარეშემოთა შიგან უსაქმებია, მითაცე წესითა ბაჟი თქუენ გქონდეს და მითაცე წესითა გორს და გორისა გარეშემოთა შიგან თქუენ საქმობდით (ქსძ, II, გვ. 122).

გორი 1447 – იხ. მცხეთა

გორი 1448 – იხ. ბაგა

გორი 1463 – იხ. ავკეთი

გორი 1470 – იხ. კავთისხევი

გორი 1472 – იხ. კავთისხევი

გორი XV ს. ბოლო მეოთხ. – იხ. ახალციხე

გორი 1504-1516 – იხ. მცხეთა

გორი 1524 – იხ. მოხისი

გორი 1559 – იხ. სხალდიდი

გორი 1562 – იხ. ჩოჩეთი

გორი 1570-1575 – ... ჩუენ, დედოფალმან ნესტანდარეჯან ... [თქვენ] სააკაძეს გიორგის ... მოგიბოძეთ გორს ნარინიკასშვილი თოხარიკი აბოვაი [ერთი კვამლი ვაჭარი]... (სკ, IV, გვ. 70-71).

გორი 1594 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან სუიმეონ ... ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, გორელთ ერთობით ტერტერებთა... გათარხნეთ და განთავისუფლეთ ყოველისა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან.... აწე გიბრძანებთ, კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო და გორის ტარუღანო, ამილახორო, ციხისთაო, მამასახლისნო და სხუანო ჴელოსანნო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (ქსის, გვ. 458-459).

გორი 1609 – ... ესე ნასყიდობისა წიგნი ... მოგეცით ჩუენ, ჯავახიშვილმან ... შანშე ... თქუენ, ცალქალამანიძეს გიორგის... მას ჟამსა ოდეს ქალაქსა და გორში ვალის გარდამჴდენი შევიქენით, დიდად დაგვეჭირა და მოგყიდეთ სკრას ჩვენი მკუიდრი გლეხი ბესალაშვილი ... მათის ორის ვენაჯითა და მრთელის მამულითა... (ქსძ, VIII, გვ. 833-834).

გორი 1610 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან ლუარსაბ ... გიბოძეთ თქვენ, ... ბოქაულთ-უხუცესა პატრონსა დავითს ... გორს ერთიერაშვილი სოლაღი და ავრანაშვილი მათის სამართლიანის მამულითა და სამძღვრითა... აწე გიბრძანებთ ... გორის მოურაო და მამასახლისო, თქვენცა ასრე გაუთავეთ... (სს, II, გვ. 158).

გორი 1615-1619 – იხ. ტკოცა

გორი 1631 – ... მეფემან ქართველთა და კახთამან თეიმურაზ ... შემოგწირეთ ... შენ, .. სვეტსა ცხოველსა ... გორს სომეხი იზა აკოფა და სახლი მისი. დავსდევით აღაპი ზროხა ერთი, ცხვარი ოთხი... (ის, IV, გვ. 17).

გორი 1636 – ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ გორელს მეკარვეს ზარაბ გიორგი შუილს ფარღუზათს... ასრე გათარხნე და გათავისუფლეთ, რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს რა ... არა ქალაქს, არა გორს, არა ალს, არა სურამს, არა ახალდაბას, არა კრცხინვალს... (ქსოის, გვ. 14-15).

გორი 1636-1680 – იხ. ქალაქი

გორი 1649 – იხ. ქალაქი

გორი 1652 – იხ. ბადაბეთი

გორი 1653-1658 – იხ. ხელთუბანი

გორი 1656 – იხ. საამილახვრო

გორი 1660 – იხ. ქალაქი

გორი 1662 – იხ. ქალაქი

გორი 1667 – [მზითვის წიგნი, მიცემული შაჰნავაზ მეფის მიერ თავისი ასულისათვის]: გორს ვაჭარი ორი: ამირბაბაშვილი ელიზბარა, მუნდაშაშვილი დავითი (მსსეი, გვ. 34).

გორი 1682 – იხ. ქიძათი

გორი 1690 – ... ჩუენ, ჯავახიშვილმა ზურაბ ... თქუენ, გორელს კიტარაშვილ ხითარასა ... მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი სკრელი ბადურაშვილები... არიან ამის მოწამენი: ... გორელი მამასახლისი ხითარაშვილი ზურაბ... (სს, II, გვ. 155-156).

გორი 1692 – იხ. საამილახვრო

გორი 1697 – გივს [თუმანიშვილს] თავისი ყმა გორელი წატურაშვილი გაპაროდა ... ინდოეთს... განჯას კაჭკაჭაშვილი დახდომოდა, ფასი მიეცა და გორს ორთვალი წისქვილი წატურაშვილისაგან ეყიდა... (დსსი, I, გვ. 101).

გორი 1699 – ... ესე ... სიგელი მოგეცით ჩვენ, ფანასკერტელმა ციციშვილმა ნოდარის შვილებმა ... თქვენ, ერთობილთ გორელთა... თქვენ ჩვენს მთაში შეშას არ განებებდით და თქვენ ჭელმწიფეს შეეხვეწენით. ჭემწიფეს მოკითხული ექნა და არა ალაგიდამ გორსა და ქალაქს შეშა არ დასჭიროდა; და ჭელმწიფესაც თქვენთვის წიგნი ებოძებინა და ჩვენზედაც ფეშქაშათ გაისარჯენით. ჩვენც ეს წიგნი და პირი მოგეცით და ჭელმწიფე ნაზარალი-ხანის ბრძანება და წიგნი ასე დავამტკიცეთ, რომე ნარუალას გარდა ზედაველის მთაშია, სანიაჟორში და ურიულშია და სადაც ჭელი მიგიწვდეს, შეშა და ვერც საჭმარი ხე-ტყე ვერავინ დაგიშალოს... (ქსძ, VIII, გვ. 864-865).

გორი 1700-1710 – [გორის მცხოვრებთა აღწერის დავთარი]: ... როსტევანაშვილი ფირალა ქალაქს... ალელი მანუჩარა... ოლოზელი ხოსიას შვილი... გორს ბატონის დედოფლის ყმა ამირაღაშვილი დოლმაზა... ბოგანო რეხელი დავითა... გორს გარსევანიშვილის იესეს ყმა... ბატონიშვილის ყმა გორს... გორს მუხრანბატონის ყმა... გორს ბატონის კათალიკოზის ყმა... გორს ამილახორის ყმა... გორს ქსნის ერისთვის ყმა... გორს არაგვის ერისთვის ყმა... მთავარეფისკოპოზის ყმა გორს... ბოგანო სველნელი პაპა... გორს ჯვარის მამის ყმა... ყიასა ეეზირის ყმა გორს... გივი მდივნის ყმა გორს... ზემო საყდრის ყმა... (სეიძ, I, გვ. 256-265).

გორი 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

გორი 1705 – ... ნასყიდობის სიგელი ... მოგეცით ჩვენ, გორელმა ოქრომჭედელის სუხინას ძმამ გაბუამა ... თქვენ, ენდრონიკასშვილს მეითარ მანუჩარსა და ძმასა თქვენსა გორის მამასახლის მერაბასა... (დსსი, I, გვ. 379).

გორი 1712 – იხ. ურბნისი

გორი 1719 – იხ. ქალაქი

გორი 1720 – იხ. ზემო ქართლი

გორი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

გორი 1724-1736 – [წერილი გივი ამილახვრისა ასანას, ფარემუზას, როსტომისა და ვაჩასადმი]: წიგნი მოგეწერათ, დაგვიჭირესო, გორს დაგვაბესო, თეთრი წაგვართვესო... (ქეწ, გვ. 76).

გორი 1725 – ... ჩვენ, თავრიზელმა ავეტიკა დალაქმა ... თქვენ, ჩოლაყაშვილს ქაიხოსროსა ... ჩემი თავი ნასყიდად მოგართვით... არიან ამისი მოწამენი ... ზაზა თურქისტანიშვილი, გორის მამასახლისი ზალი... (დსეი, გვ. 33).

გორი 1736-1744 – იხ. მოხისი

გორი 1735-1738 – ბატონის ალავერდი-მირზისა და ვექილის ალიყული-ბეგის ... მდივანო გორჯასპი და ერთობით თუმანიანო! თქვენი მამულის მირი ოცი თუმანია, ონდალუხი ორი თუმანი, ეს თეთრი გარიგეთ. თუ გინდათ, სურსათი ჩამოიტანეთ გორს (სს, III, გვ. 448).

გორი 1737 – ... ესე გარდასაწყვეტისა წიგნი ... მოგეცით ჩვენ, მაღალას-შვილის სარიდანის შვილმან ზურაბ ... თქვენ, გორელს ... ხუდავერდას... ასე რომე, ჩემს ყმას ზერტელს მამულას-შვილს ბეჟუას თავისი ძმა ბერუა ... შენთვის მოეყიდნა... ჩვენც ხელი ავიღევით და დაგანებეთ... არის ამისი ... მოწამე ... გორის მელიქი თაყინას-შვილი ბატონი ფარსადანა... (დსსი, I, გვ. 269).

გორი 1738 – [გირავნობის წიგნი, მიცემული არდაშელ თაქთაქიშვილის მიერ იორამ ფავნელიშვილისადმი]: ... საყენო მირის თეთრი დამედვა. დაჭერილი ვიყავ... გორს თათრებს ვყვანდით... (დსსი, I, გვ. 279).

გორი 1740 – იხ. ყარაღაჯის ციხე

გორი 1746 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს ... გორის მელიქ ფარსადანსა... აღნის ჯარი გებოძებინა ორი უზბაში თავისი თაბუნებითა... მოგეხსენებათ ამათი საყოფი სახლი გორს არ არის... თუ ... სხვაგან არ უბრძანებთ დადგომასა, გორი დიაღ წახდება... ერთი რაყამიც მიბოძეთ, ციხე ყულაები კარები გაამაგრონ და ქეშიკი გასწიონ. [წარწერა მელიქის ბეჭდის ქვემოთ] ქკს ულდ. ბარსილისა ზემო ქართლის სათუმანისშვილოს ყამზი-ბარათი (სს, III, გვ. 460).

გორი 1749 – ჩვენი [თეიმურაზ II-ის] ბძანება არის გორის მოხელეებო! მერმე რაგვარათაც დღეს აქამდის ძველის დასტურით გორს სვეტისცხოვლის ყმები თარხანი ყოფილიყვნენ, ... იმგვარად ნურც ახლა ჩვენ სათხოვარსა და გამოსაღებში გარევთ (დსსი, I, გვ. 339-340).

გორი 1749 – იხ. ზემო ქართლი

გორი 1754 – იხ. დიღომი

გორი 1756 – იხ. ორჭოშანი

გორი 1756 – იხ. ზემო ქართლი

გორი 1757 – გორელი ჩვენი სახასო ყმანი და კათალიკოზის ყმანი თავეთს ... გამოსაღებზედ ერთმანეთს ელაპარაკებოდენ. ამათი გამოსაღების საქმე ასე გვიბძანებია [მეფე თეიმურაზს]... თუ ჩვენს ყმას – სახასოს კაცს გორში კათალიკოზის ყმის მიწა და ვენახი ეყიდნოს, რა ოსმალო ქართლში მოსულიყოს მას აქეთ, ოსმალობას თუ ყიზილბაშობას, დღეს აქამდის იმი-

სი მიწის ღალა და ვენახის კულუხი კათალიკოზს უნდა მისცენ... (ქსძ, VI, გვ. 709-710).

გორი 1757 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი ... თეიმურაზს ფალავანდის-შვილს მოსცეს... მე და ჩემი ძმა ვახტანგ გორს რომ სასახლეზე გვალაპარაკეთ, ელიზბარ თაქთაქიშვილს ... უბძანეთ: ... მროველს როგორც გაერიგებინოს, ისე გასინჯე-თქო... (ქსძ, VII, გვ. 38).

გორი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

გორი XVIII ს. შუაწლ. – იხ. ქვემო ბაგა

გორი 1761 – ... გორელი მენაღარის ესტატეს ჯალაბის მარეხას დანარჩომი ბეითალმალი და თამასუქები, რაც გორის მამასახლის გიორგის ქონოდა და გამოერთმეინა ... დაკარგოდა (მსეი, II, გვ. 43).

გორი 1761 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ... გორელს ამ სარქისაშვილის ქვრივსა... დღეს ჩვენ ... კაცს ანანიასშვილის ადამისათვის უთქვამს: თქვენი ყმა ვარო [და მანაც იყმო]... ჴელმწიფესაც მოეხსენება, რადგან გორი სამთავრო არის, მუდამ გორის ანანიაშვილები ყოფილან მამამთავართა... თავიანთი ყმა თუ იყო, დღევანდლამდინ სად იყვნენ... (ქსძ, VII, გვ. 47-48).

გორი 1764 – ჩვენ ... კათალიკოზ-პატრიარქმა ... ანტონი ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ შენ, ... სვეტიცხოველის ყმასა გორელს ხეჩუასშვილს ელისბარას... კათალიკოზ-პატრიაქის დომეტის დროს გორიდამ აყრილიყავით და ქალაქს ჩამოსულიყავით და ... გარეთუბანში ჩვენის ყმის ამოვარდნილის დილბარს ბეითალმნის სახლ-კარის წყალობა გეთხოვა... წყალობა ექნა ... და ... წიგნიც ებოძებინა.... ჩვენც რომ რუსეთით მოვედით ... დაგიმტკიცეთ... (დთი, I, გვ. 291-292).

გორი 1766 – [უვნებლობის პირობის წიგნი ანტონ I-ისა ზაალ ორბელიანისადმი]: ... მისი სიმაღლე მეფე ... ზეით ბძანდებოდა, გორს ... ახლა ჩამობრძანდა, მოვახსენე. ამაზედ გული მაჯერა: მისწერეო, რომ ჩემგან ზაალს ... არ ეშინოდესო... თუ აქაური სამართალი არ უნდა და არ დასჯერდება, ბაღდადს გავისტუმრებთ და სამართალი იქ უყონო... (ქსძ, III, გვ. 862).

გორი 1766 – ღმერთმა ... ჴელმწიფის ჭირი ... მოსცეს ... გვარამაძე ლომს და ბეჟანასა... ბაადურის შვილისა აზნაურშვილი გახლდით, ობლები ... გამყიდეს... ჩემი საზნაურშვილო ბაადურის შვილსა გლახასა ქალანთრისთვინა მიეცა... არცრა მამული მაქვს, არცრა ალაგი, გორს გახლავარ... სამართალი მაღირსეთ... მე, ზაზა ციცისშვილი, ამისი ასე მოწამე ვარ, რომ ასე დაჰპირდა [ქალანთარი ბაადურიშვილს]: ამ გვარამაძის მამულში გომს ციხეს გაგიკეთებო და ნოქარს დაგიყენებო, ყულსაც მე გადაგიწყვეტო... (ქსძ, VII, გვ. 104-105).

გორი 1766 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი ... რევაზ ამილახვარს მოსცეს... ამას წინათ, რომ ოქმი გებოძებინათ აბელისშვილისა ამ წითლიაშვილს რომ ედაევებოდა, გორს გიახელ, მოკითხული ექნე... თქვენი სახასო

აზნაურშვილია [წითლიაშვილი], არაფერი საქმე აქვს აბელისშვილს (ქსძ, VII, გვ. 114).

გორი 1766 – [განჩინება დემეტრე ამილახვრიშვილისა და მისი სახლისკაცების გაყრის საქმეზე]: ... გორს საკაშვილი მანუჩარა თავისის ძმისწულებით, დღეს რისაც ყმისა და მამულის მქონებელი არის, იმით ბატონისა არის. კასპს ღთისიაშვილი... გერისთავს მებაღისშვილი.... რეხზე ჭელაშვილის გიორგის მამული უკაცო... იჩქითის ობლები საბოგანო – ესეები ერგო ბატონს და უბოძა ბატონმა რევაზ ამილახვარს... ცხვილოს ბიშიასშვილის მამული ხარაბა; ამისი შვილი თელავს არის. გერისთავს მემშვილდისშვილის ... მამული ხარაბა... მიხორელი ხანდოლისშვილის ... მამული ხარაბა... ახმაჯს ... ცეცხლაძის მამული ხარაბა. ყოური ორმოცის წილის ხარაბა არის, რაც ჩვენში აქაური კაცი იყო, გავჰყავით; რაც აქაური სახასო მამული არის – მერვედი ბატონს... ნაწრეტი და აშურიანი დიდიხნის ხარაბა არის; ამისი მერვედი ბატონისაა. ორისავე სობისების ხარაბა და სათემოების მერვედი ბატონისაა. მეჯვრისხევს ძაბილონისშვილი ... თავისის მამულით ბატონისა არის... მახისი სოფელი ხარაბა არის, ნაქალაქევი და ორბოძალი – ამაების მერვედი ბატონისაა. ანდორეთს ორს კომლს ხარაბაში მერვედი ბატონისა არის. კარბს მეტრევლის მამული... ფხვენისს ორის ნაზვრევისა და ორის ხოდაბუნის მერვედი ბატონისაა. სოღანლუღის ... და ... თელეთის მერვედი კაცი და მიწა-წყალი ბატონისა არის. თათოზას ... სვიმონას [და] ... გოზალას სოფლის მერვედი ბატონისა არი. კატავეთის კაცი რაც იყო ქართლში, გაიყო; ხარაბის სოფლის მერვედი ბატონისა არის. თათრები ყოუბათასობა ბატონისაა მერვედი. ქოლაგირის ... აშუღლარის ... არაქაუნი ... ზემო მახარაღაჯის ... ქვემო მახარაღაჯის ... [და] ყოშაქილისის მერვედი ბატონისა არი... ქალაქს ონაშვილი ... ბატონის არის. ახალსოფელი და შაისულანი ნახევარი ბატონისა არი, ნახევარი გოგია მიმბაშისა საუფლისწულო. ცხვილოსს გალავანი მერვედი ბატონისა არი. ცხვილოსის ციხის მერვედი ბატონისა არი... სამლაშე მერვედი ბატონისა არი. თუ ვისმე საამილახროში ცხვარი ჰყავს, ნახევარი საბალახე ბატონისა არი და ნახევარი გოგია მიმბაშისა. კასპის ციხის მერვედი ბატონისა არი. სამთავისს საყდარი და გალავანი მერვედი ბატონისა არი. ღვიმის მერვედი ბატონისა არი. გორიჯვრის ციხე ბატონისა არი და საყდრის მერვედიც. ფხვენისს გალავანი ნახევრის ნახევარი ბატონისა არის გოგიასთან; და ნახევრის გალავნის მერვედი ყველას ამილახვრისშვილებთან ბატონისაა... ნადარბაზეველი კოლოტა ბიჭი სამთავისის ყმა. სამთავისის ღვთაების ყმა ორნასოფლარი უსისტყე და ნადარბაზევი. კასპს ვენახი და ნაზვრევი. რეხზე ზვარი ღვთაებისა, სამთავისს სამი ხოდაბუნი. სამთავისის ღვთაების ვარიანს ერთი ხოდაბუნი რაც ხაზს ქვეით სწერია, მერვედი ბატონისა არის სამთავისის ყმა და მამული. ღვიმეს წმიდის შიოს შეწირული მეშველაშვილი ტეტია ღვინაძის მამულით... ქინძარა, ოკამი, კოდისწყარო, ნასპარსევი, ფურნაგისი. თრიალეთზე ორი სოფელი ჭიტები, ამ სოფლების მერვედი ბატონისა არის. გორიჯვრის ყმა თუთუნაშვილი დავითა მისი მამულით ბატონისა არის. გორიჯვრისა რაც ხარაბა სოფელი არის,

მერვედი ბატონისაა. ქცხილვანს ... ჯანიშინი დათუნა... ფრისს სოფელში საური. თერეგვანს გაბრიელა თერგენისი... ნიქოზს მჭედლიძე... ვარიანს სირბილაძის სიძე... ფხვენისს ესტატე ბედიანასშვილის მამული გაიცა, მახვილაძეს უბოძა... ქაცახაშვილი ავთანდილა ... ახალქალაქს არის... ქაცახასშვილი ივანე ჭალას არის... ახალსოფლელი თათრიშვილი ბერუა... ატენს ზვარი რაც განაჩენში უწერია. ნასოფლარი ხარაბა რენე. ჯავის ხეობაზე ერთი კომლი ოსი წაკულთას სოფელში. ღვერთეთს ნადირაძის მამული... თორმანეულს ერთი საკომლო ... ტატიშვილისაგან სყიდული. ტბეთს შალიკასშვილისაგან მოსყიდული არუჭამიას საკომლო... ბერშოეთს გიგაურიშვილი უმამულო (ქსძ, IV, გვ. 520-524).

გორი 1767 – იხ. ზემო ქართლი

გორი 1768 – მათის მეფობის სიმაღლისათვის ... მთავარეპისკოპოსს ბესარიონს მოეხსენებინა: გორს ჩემი ყმა ალადათაშვილი გოგილა არის. იმას გორელები ყოველის ფერს ... სათხოვარში ურევენო და ეკლესიას კი აღარას ემსახურებაო... [განჩინება]: ჩვენ გორის მამასახლისი და ქეთხუდები მოვაჯვანინეთ ... [საქმე გამოვიძიეთ და განვაჩინეთ] ვინც გორში ეკლესიის ყმანი არიან, გორის სათხოვარსა და გამოსაღებში არ ურევიან. და რადგან – მთავარეპისკოპოსი ბესარიონ გორში მსახლობელთ ქართველთ ეპისკოპოსი არის ... ამის ყმაც ამის ეკლესიას უნდა ემსახუროს... (ქსძ, IV, გვ. 578).

გორი 1770 – იხ. ტფილისი

გორი 1770 – იხ. გომი

გორი 1770 – იხ. გრაკალი

გორი 1770 – იხ. ქალაქი

გორი 1771 – ღმერთმან ... ჯელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს – ამირაღანთ დავითას შვილს თამაზასა... წინა ხანში რუისელი ფანიაშვილის ყმა დედაბრისშვილი გოგია ლეკში დაკარგულიყო, ბორჩალულელები დასხმიყენენ და გაეგდებინებინათ... თქვენის ბძანებითა და ოქმითა ბორჩალულელებისაგან დავიხსენი და თავის ბატონი ფანიაშვილისაგანაც დავიხსენ და წიგნი გამოვართვი, საამილახოროში დგას და გორს ვერ ჩამომიყვანია. ერთის იასაულის წყალობა გვიყავით, რომ ამიყაროს და გორს ჩამომგვაროს..(ქსძ, VII, გვ. 193).

გორი 1771 – იხ. მეჯერისხევი

გორი 1771 – იხ. სამთავრო

გორი 1771 – იხ. სამცხეთო

გორი 1771 – იხ. ტინისხიდი

გორი 1772 – იხ. მუხრანი

გორი 1772 – იხ. ხეობა

გორი 1773 – ღმერთმან ... ჯელმწიფის ჭირი მოსცეს ზაალ გურამისშვილსა. ეს კაცი რომ გორელობას და თქვენს ყმობას მოგახსენებსთ, გეეედრებით, იესე დივანბეგს და აქ მყოფ გორელებს თქვენი მზე აფიცეთ– გიორ-

გი ბაბალაშვილი მოგახსენებ: რაც მე გორს მამასახლისათ გხლებივარ, სიდამონიძე გორელობით არ გამიგონია... (ქსძ, VII, გვ. 233).

გორი 1773 – [წერილი ერეკლე II-ისა რევაზ ამილახვარისადმი]: ჩვენ აქ თელავს ვიყოფებით. ნუცალის ჯარის დამარცხებას გაიგონებდით... თვითან აქ ბელაქანში დგას ... და შერიგების ნდომის წიგნები მოგვდის... ახლა ახალციხიდამ გამცემი კაცი მოვიდა, გორის გალავნის აღებას თურმე აპირებენ ღალატით... რაც თადარიკი გაეწყობოდეს, ის თადარიკი დაიჭირეთ... ციხე გაამაგროს, ივანეს [აბაშიძეს] უთხარით და გალავანი თქვენ გაამაგრეთ (МПТСВГ, I, გვ. 38-39).

გორი 1773 – იხ. ერედვი

გორი 1774 – [არზა ზაალ დავითიშვილისა]: ... შანფურაშვილის მამა და ბიძა გორელს შიხინაშვილს ყვანდა ნასყიდათ... თქვენის ... სამართლით მე დამრჩა ჩემი მკვიდრი ყმა... აგერ შვიდი-რვა წელიწადია ... მაგას ჩემთვის არა უმსახურებია რა. გორი წახდა, ძმა დაეკარგა, იმის დასახსნელათ წავიდა ახალციხეს... (ქსძ, VII, გვ. 265-266).

გორი 1775 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი მოსცეს ზაალ დავითისშვილს... ჩემი მამული ფალვენისშვილს იესეს და თეიმურაზს უჭირავს, ნასყიდი მაქვსო... ეს ჩემი საჩივარი გორს თქვენს სიმაღლეს მოვახსენე... მცხეთას ჩამობძანდით, იმ ღამეს სამთავროში ბძანდებოდით, ჩვენი ლაპარაკი ბძანეთ... მერმე ირანალი რომ გახლდათ და მჭადისჯვარს მიბძანდით, მაშინ მოვახსენე თქვენს სიმაღლეს და ასე მიბძანეთ: ქართლში ავბძანდებიო და ქართველნიც სულ იქ იქნებიან და ეგ მაშინ უნდა გადავწყვიტოთო... სამართალი მაღირსეთ (ქსძ, VII, გვ. 273-274).

გორი 1775 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი მოსცეს თაყინაშვილს მანუჩარს... ერთი პატარა ძმა მიგდია გორს და ერთი ბიჭი გვყავს. ასე გარდაჯიდებია გორის მელიქი ზურაბა იმ ობოლს და ბიჭს, რომ ... ჩვენი ამოფხრა უნდა გორიდამ... იმისგან დაგვიხსენით... (ქსძ, VII, გვ. 304).

გორი 1775 – იხ. ახალციხე

გორი 1775 – იხ. ქართლი

გორი 1776 – იხ. ზემო ქართლი

გორი 1777 – იხ. ანდარია

გორი 1779 – ღმერთმან ... ჭელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს თქვენს სახასოს სარქისს... მოხელეს უბძანოთ: ერთი თქვენი ბეითალმანი სახლის ალაგი მომცეს, რამე ავაშენო ...: რომე ეს შვილები გორიდგან არ დამეფანტნონ... (ქსძ, VII, გვ. 422).

გორი 1780 – [მოხელეთა სარგოს ნუსხა]: ...გორის დაბახანისა მოხელების სარგო. საკლავისა ... თოთხმეტი თუმანი და ცხრა მინალთუნი ... ასატურასშვილებს ეჭირა... გორის იჯარის ... ოთხი თუმანი ... ამ წლის ქართლის შენაწერის საკლავისა ... შვიდი თუმანი, ხუთი მინალთუნი და სამი აბაზი (მსეი, III, გვ. 66).

გორი 1781 — ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მისცეს ერთობ გორელებს. ამას წინათ ამ საქმეზედ კიდეე არზა მოგართუით, რომ ჩვენის საქონლის საძოვარი კარალეთის ბოლოდამ დაჭერილი, რომ ჩვენ და ერისთავიანთ საქვეყნო სამანიც გვიზის, იქიდამ გორის წისქვილებამდინ ალა პაპაშვილს პაპას უჭირავს; ზოგს თითონა ხნავს და ზოგს სხუათ ახუნევინებს. და ღალას თითონ იღებს... ემინობა შეიქნა, თქვენის დოვლათით ოთხ-კუთხი სოფელი აშენდა, და ზოგიც შენდება. და რაც ოთხფეხი საქონელი გვყავს, აღარა კაცმა თავიანთ მამულში აღარ გვაძოებინა. და ჩვენის საქონლის საძოვარი ეს არის. მოგახსენებთ, ყოველი კაცი ოთხ-ფეხის საქონლითა ვცხოვრობთ... მთელი გორი ... გეევედრებით, რომ ჩვენი საძოვარი ჩვენვე დაგვნებდეს. [მეფის ოქმი] ... პაპა მწერალო! ... ეგ მამული თუ ძველთაგან საჴნავი ყოფილა და ან ბეითალმანი ... შენიევე იქნება. და თუ ძველთაგან ... საქვეყნოთ საძოვრათა ჰქონოდესთ ... ჩვენ იმ მამულს ... გორელებს ვერ გამოვართმევთ... (ქსძ, VII, გვ. 513-514).

გორი 1782 — თუმანიშვილი მდივანი სულხან ამირაღაშვილს ფარსადანს უჩიოდა: გორს ჩვენი სასაფლაო ეკლესიას შეწირულს ერთს დუქნის ალაგს რომ ეჭიდები, ის ისევ ეკლესიას უნდა დაანებო. ფარსადან ... ეპასუხებოდა, რომ: შენის გაყრილის სახლის კაცისაგან შეწირული თავისი ერთი წილი დუქნის ალაგი სიგლით ნასყიდი მაქვსო... [განაჩენი] ეკლესიის შეწირულობა და მამული არ გაიყიდება. ის ერთის დუქნის ალაგი ისევ ეკლესიისთვის უნდა დაიდვას... (ქსძ, V, გვ. 180-181).

გორი 1783 — ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობ თუმანიანთ. ამას წინათ გორს ჩუენის სამკუიდრო პატარა ყოვლად წმიდის ეკლესიის საქმეზედ ზაალ თაყინაშვილისაგან საჩივარი მოგახსენეთ... გორს წავიდა და იქ პატარა ტერ-საჰკამ გორელები შემოჰყარა და ასე გამოუცხადა: რადგანც თუმანიანი ამ თავიანთ საყდარზე გველაპარაკებიანო, ჩვენ იმათის შურით სხუა ეკლესია ავაშენოთო... ეკლესიის აშენებასაც იქავ ჩვენის ეკლესიის ახლო აპირებენ. როდესაც იქ ეკლესია აშენდება ... ჩვენს ეკლესიაში გორელები ხომ აღარვინ შემოვა და სოფლებიდამ მლოცავიც აღარავინ მოვა და ის ეკლესია გაუქმებული და გახარაბებული შეიქნება... გორს ორი-სამი ეკლესია არის, რომ საძირკვლები ჩაყრილია და ისე ხარაბათ არის; იმაში რომელიც უნდოდესთ, ის გააკეთონ... (ქსძ, VII, გვ. 597-598).

გორი 1784 — [არზა ქრისტესია ოსინაშვილის] ... ჩემს ყმას მოუხსენებია: რა ტყეობიდამ მოვედიო, არა მიმსახურია რაო... რამდენი მოწამე მე გორს მყვანდეს. ... რომ მაგას ჩემთვის ემსახურნოს... რომ მოგახსენათ, არბოდამ არ მიმსახურნიაო, ძღვენის მოტანას და ვარისასა ის უფრო დიდი სამსახური არ არის ხაბუთი, რომ არბოს შექნილი შვილი მახლდა და მემსახურებოდა, ჩემს სახლში მოკვდა და გორს მარხია... ამას წინათ რომ რევაზ ამილახორმა ასწერა, ის დავთარი გაშინჯეთ, თუ არბოს ჩემს სახელზედ არ დაწერილიყოს... მოგეხსენებათ გორის დავთრისა და ხარჯში ჩემზედ ჩაგდებული ყოფილა და ხარჯი მე მიძღევია... წყალ-კურთხევის ძრევენი .. თავის ამხანაკის ხიდისთაველი კაცის ჴელით გამოეგზავნა... (ქსძ, V, გვ. 260-261).

გორი 1784 – იხ. ზემო ქართლი

გორი 1785 – იხ. თამარაშენი

გორი 1785 წ. ახლო – იხ. ქარელი

გორი 1786 – [მოხელეების რუსუმის ნუსხა]: ... ქორონიკონსს უო, ამ წლის გორის ბაჟიდამ ბაბალასშვილი ავთანდილასი ... თორმეტი თუმანი... (მსეი, III, გვ. 81).

გორი 1787 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს გორელს მათს სახასოს ალადათაშვილებს... მთავარეპისკოპოსს იოასაბს ჩვენთვის ყმობით უჩივლია... ეს სულ მრთელმა გორმა იცის, ჩვენ სახასონი თქვენი ყმანი გახლავართ... [ამას მოწმობენ] გარსევანიშვილები, სამთავნელი ... [და] გორის მამასახლისი ზურაბა... ნეტარად ხსენებულის ჴელმწიფე მამის თქვენის მეფობაში კირილე მთავარეპისკოპოსმა მამაჩვენი დაიჭირა, ჩემნი ყმანი ხართო... ჴელმწიფე ქართლს ბრძანდებოდა და ანახანუმ დედოფალს მოხსენდა... მაშინ გამოუშვა... თქვენ რომ ასპინძას წაბრძანდით, მაშინ ბესარიონ მთავარეპისკოპოსმა ... დაგვიჭირა, მაგრამ ... მერმე გაგვიშვა... რევაზ ამილახორის დროს იოსებ მუშრიბი გორის ასაწერად რომ მისულა, მთავარეპისკოპოსს ... ჩვენი განაყოფი თავის ყმად დაუწერინებია; და ჩვენ ამ ქალაქს გახლდით და ჩვენ გორის დავთარში თავისზედ დავუწერინებივართ... (ქსძ, VII, გვ. 720-722).

გორი 1787 – იხ. ახალციხე

გორი 1787 – იხ. ზემო ქართლი

გორი 1787 – იხ. საამილახერო

გორი 1787 – იხ. ხიდისთავი

გორი 1788 – [ანგარიშის წიგნი მანუჩარ თუმანიშვილისა და ახალციხელი ღუგაზასი]: ... ცხრამეტი მინალთუნი და სამი აბაზი ... გორის ხარების ეკლესიის კრებულს გასაგზავნათ საწირაეებისათვის... (მსეი, II, გვ. 83).

გორი 1788 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი ... ერთობით თუმანისშვილებს მოსცეს. მერე ძველად მეპატრონეთაგან ... გორს ეკლესია და მამულები გექონია და გვაქვს... გორს რომ პატარა ყოვლად წმიდის ეკლესია არის, ის ეკლესია ერთობ ჩვენ თუმანიანთი არის, რომ თუმანიანთ იმ ეკლესიისათვის კაი მამულები შეუწირავს... ახლა პატარა ტერ-საჰკამ ჩვენზედ შური იძია, ის ეკლესია ლოცვიდამ და წირვიდამ დააყენა... ექვსას-შვიდასი წელიწადი მეტია, რომ ის ეკლესია ჩვენია და მოდავე ... არავინ გვყოლია... სამართლის ბოძებას ვითხოვთ. გენებებათ, ორსავე წინამძღვარს – ეჩმიაძინისა და ჰახპატისას ებძანოს, ... ეს ჩვენი საჩივარი გაშინჯონ... [დედოფლის ოქმი] ... ქალაქის წინამძღუარს მარტიროზ ვართაპეტს ... ასე ეუწყოსთ: ... ამათი საქმე თქვენგან გამოსაძიებელი არის (ქსძ, VII, გვ. 765-766).

გორი 1788 – იხ. ახალგორი

გორი 1789 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ვინც ამ სიით დაგვიწერიხართ, ახლა ყარაბაღში ჩვენს შვილისშვილთან გისტუმრებთ ჯარში და ... ამ ორს წელიწადს არც საჩვენო ხარჯში გაგრევთ და არც საქეყნო ხარჯშია...

გორიდამ კაცი თორმეტი; მეღვრეკისიდამ კაცი ხუთი... ცხინვალელი კვანჭახაძე ორი და სხვა ცხინვალელი ორი; დირბიდამ კაცი ოთხი; სურამელი სახასო კაცი სამი... სამროელო აზნაურიშვილი და გლეხი თხუთმეტი; ახალი სახასო საამილახვრო აზნაური და გლეხი თერთმეტი... სამთავრო კაცი ერთი... თირის მონასტრის კაცი ერთი; მთაწმინდის კაცი ერთი; ურბნისიდამ კაცი ხუთი; რუისიდამ სახასო ოთხი... არადელი კაცი ორი (МПТСВГ, II, გვ. 122-124).

გორი 1789 – ... გორელი ამირაღაანთ რამაზას შვილი ზურაბ და ამის ბიძაშვილი აფრასიობ ... ყაბულობით ... გავჰყარეთ. და რისაც მქონებელნი იყვნენ, ძმურად შუაზედ გაუყავით... ერგო აფრასიობს: ... რასაც ეს სახლები გამოიტანს ბაკში ოხპნჯანაანთ შარისკენ რომ ქვითკირის გალავანია... ტინისხიდს თავიანთი სამი თვალი წისქვილის ნახევარი და ... წისქვილის გვერდზედ ... რომე პატარა მიწები უძეს, იმის ნახევარიცა ერთად იმუშაონ... ახალ საღდრისკენ რომ ხუთი დუქნები საერთოდ იყო, იმ ხუთს დუქანში ახალსაღდარის შარისკენ ... ორი დუქანი... რუისში წინაუბანს რაც მამული აქვსთ – ურწყავი თუ სარწყავი, კალო თუ საბძელი, თუ სახლ-კარი – ესენი სრულათა და მელის სორების მიწაც სრულათ... ერგო ზურაბას ...: ტინისხიდს თავიანთი სამი თვალის წისქვილის ნახევარი... პაიჭაურში ექვსის დღის მიწა... დამპალაში რაც მიწები აქვსთ... ტინისხიდს ორდღის ნახევარი ლამის მიწა და სვერნეთს მიწაცა... ამას გარდა უწილოთ მიეცით ზურაბას საუმფროსოთ ახაშენი სოფელი... ამას გარდა, საციციანოში რაც მამული აქვსთ, მტკვარს გაღმა, ის გაუყოფელი არის, ორსავე საერთო არის (ქსძ, V, გვ. 459-462).

გორი 1789 – [არზა გორის მამასახლისისა და გორელებისა]: ... რამთონი მეფენი თქვენს წინ ქართლში ბძანებულიყვნენ, მაგრამ არას დროს ამილახვარიანი გორში არ მდგარიყვნენ და არც სასახლე ჰქონიყოთ... რაც ამას ქვეით მოგვიხსენებია, ეს უდებები, თავიანთ სარგოს გარდა, გორში დგომით დაგვემართა... სასახლის აშენება... ტინისხიდს ჩვენი გუთნის გატანა და ხვნა, ... მკა, კომლზე კაცს გაყვანა, ... ზვრის ბარვა კომლზე... [მეფის ოქმი] ამილახვარო ოთარ! ... ეს მკა და კალო რომ გათავდეს, აიყარე გორიდამ და ჭალას თქვენს სამკვიდროს სასახლეში დადექ. და გორს რაც ამილახვრების სამოურაო სდებიათ, ის ყოველთვინ უკლებლად მოგერთმევათ (ქსძ, VII, გვ. 812-814).

გორი 1789 – [არზა ზაალ დავითიშვილისა]: ... გორს ორი კაცი მყამს ხიზანი... გორის მამასახლისი ართმევს ხარჯსა... წყალობას ვითხომ: ... გორელები და მამასახლისი ჩემს კაცს ხარჯში ნუ გარევენ. გორი თქვენია, იმათი ხომ არა არის... (ქსძ, VII, გვ. 815).

გორი 1789 – [არზა ავთანდილ ბაბალაშვილისა]: ... ჩილდირელი ჰაირაპეტა ... გორს ჩემს ყმათ მოვიდა... ამათ აქ ორი ვაჟიშვილი მეიცათ... ამ ორმოცს წელიწადში ამათი მოდაევე არავინ არ ყოფილა. ახლა სარდლის შვილს იოანეს თქვენთვის არზა მოურთმევია, ... კაცი ამიყარეს. ერთი გოგო ერედვს გაუბარებია და ეს ორი ძმანი იქ დაჭერილნი ჰყავს (ქსძ, VIII, გვ. 29).

გორი 1789 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... მერმე ამ სიით ეს ჯარის სურსათი ვისაც აწერიათ ... ორი წილი ფქვილი და მესამედი ქერი ... გორს ჩამოატანინე. მამასახლის ზალას მიაბაროთ. ამისი დაგვიანება არ იქნება. ქართლში ჯარები რომ გამოვისტუმრეთ, იმათთვის სურსათი შევაწერეთ... საამილახვრომ ხარვარი... გორს სახასომ ხარვარი ... [და] იქავ თაწმინდის ყმამ კოდი... ქრისტეს საფლავის ყმამ... აქავ არაგვის საერისთო კაცმა ხარვარი... აქავ სამთავრომ კოდი... აქავ ეჩმიაძინის ყმამ... აქავ მუხრანბატონის ... იოვანეს ყმამ... აქავ თუმანიშვილის მდივნის სულხანის ყმამ... საამილახვრომ ამილახვარიანთ ნაყმევმა საბატონისშვილო კაცმა... ალელებმა ხარვალი, კოდი... თირის მონასტრის ყმამ ხარვარი, კოდი... (სეიძ, II, გვ. 157-158).

გორი 1789 – იხ. კარალეთი

გორი 1790 – ... რაც ალავერდა მეჯინიბეს მისცემია, ამას ქვეით სწერია... გორს მივეცით სამი აბაზი... ქალაქში მივეცით ხუთი აბაზი... შიოშს რომ კახეთს გაჰყვა, იმის სიდედრს მივეცი ერთი კოდი ფქვილი... (მსეი, I, გვ. 119-120).

გორი 1790 – [არზა პაპუნა მარიამიშვილისა]: ... გორს რომ გიახელ ... ბეითალმანი ... ადგილზედ დიდი ჯაფა გაეწიევ, კლდე გამოვკაფე და ერთი სახლი ავაშენე ჩემის ხარჯით. ახლა მუდამ მე მემუქრებიან და გამოგდებას მიპირობენ (ქსძ, VIII, გვ. 50).

გორი 1790 – [არზა გორელი მეწისქვილეებისა ერეკლე II-ისადმი]: ... რაც გორზე თქვენი ბძანება სამსახური მოდის, უკლებრივ გახლავართ. ხუთი წელიწადია ვენახი და სხვა მამული, რომ ჩვენი აღარ არის, ჯარისაგან წახდება. თითო თვალი წისქვილი დაგვრჩომია, თქვენს სამსახურს ამით ვწევთ... (ქსძ, VIII, გვ. 52).

გორი 1790 – ავიღე მე, თუმანისშვილმა ნიკოლოზმა, შენ, გორელი ტერმოსესაშვილის ზურაბისაგან, ცამეტი თუმანი... ამის გირაოდ მოგეცი ჩემის ბიძაშვილის ზურაბის წილი გორს ბერაძე გიორგის დანდრის სახლები ... თავს დაქცეულის საყდრის შარამდინ, წინ ბაზრის შარამდინ (მსეი, II, გვ. 88).

გორი 1790 – [ანდერძის წიგნი თუმანიანთ ბეჟანის შვილის გიორგისა]: გორს ავად გავხდი... ჩემს მოძღვარს ... ტერ-ყაზარას დაუძახე ... და ეს ანდერძი წიგნათ დავაწერინე... ჩემი ხმალი ბოლნისელი მარიამასთან არის ერთის თუმნის გირაოთ... მე, დეკანოზი ახალსაყდრისა[81] ტერ-ყაზარა ... ამ ანდერძის დამხდური ვარ (ქსძ, VIII, გვ. 917-919).

გორი 1790 – იხ. ქვათახევი

გორი 1791 – ... ამ თერთმეტს დღეში რაც მისს უმაღლესობას გორელებიდამ დაეხარჯა: [მოსდევს სამასპინძლოს და სალეკოს ნუსხა]... ამ წლის მაისის თექვსმეტს ... კათალიკოზი და ბატონისშვილი ალექსანდრე რომ ზემო ქართლს წარმოვიდნენ, მაშინ რაც სამასპინძლო შესწერებია გორს, იმას ისევ გორელების დანახარჯიდამ გამოვედით... ამ წლის მაისის იმ შე-

[81] ახალსაყდარი ნ.ბერძენიშვილის წაკითხვაა (მსეი, III, გვ. 235). ი. დოლიძესთანაა ...დეკანოზი ახალი საყდრისა... (ქსძ, VIII, გვ. 919).

წერილის სამასპინძლოს იასაულებზე გაღმა მხრის სამასპინძლოზე... (სეიძ, II, გვ. 158-159).

გორი 1791 – [არზა მდივან იოსებისა და ბირთველისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩვენი სასახლის ალაგი გორს ... დაუჭერიათ უბრალო მისულ კაცებს და დაუყვიათ, რომ არცრა ვისგან უყიდიათ და არც ნასყიდობის წიგნი აქვსთ. რასაც გორის ციხის კარის გზა ჩამოიტანს ენდრონიკაანთ მიდგმამდის და იქით ჩვენისავე სასახლის მიდგმამდის, ის სასახლის ალაგი სულ ჩვენი არის (ქსძ, VIII, გვ. 94).

გორი 1791 – [არზა თამაზა ამირაღაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ... ბიძის ჩემის ჯალაბს არზი მოურთმევია და უჩივლია. ბიძაჩემი რომ გორს გახლავს და სოფელშია დადის სავაჭროთ, ის რომ სამართალში გაახლოს და თითვან შინ დაჯდეს, ის არა ზჯობს... მთელმა გორმა იცის ... სულ ჩემს ნასყიდობაზე ვდგავარ ყმითა და მამულითა, ერთი მტკაველი მამა-პაპისა არა ვიცი რა, მაგის ქრმისა რა მექნება... (ქსძ, VIII, გვ. 99-100).

გორი 1791 – იხ. ტფილისი

გორი 1792 – [არზა ვექილოხარჯ აბელასი]: ... მოხელეებს ბევრჯერ მოვახსენე და შევტირე, ყურს არავინ არა მიგდებს. წელს გორის იჯარაზედ ბარათი მამცეს, ერთი ფული არა მამეცა, ბარათი უკან მამიტანეს (ქსძ, VIII, გვ. 161).

გორი 1792 – [ქალაქის სახელმწიფო იჯარათა და ბაჟების ნუსხა]: ... ქკს უოგ გორის ბაჟი ხითარიშვილს ... ასოცდა ხუთმეტი თუმანი, მოხელისა ... ცხრა მინალთუნი... (მსეი, III, გვ. 102).

გორი 1792 – ბატონო ამილახვარო ოთარ! ... შენს სასარდლოში ყველგან ასე შეატყობინე [მეფის ბრძანება] თავადთა და აზნაურთაც და გლეხთცა გორსა, ქცხინვალსა, სურამსა და გაღმა საციციანოსაცა, რომ ეს არავინ თქვას: არ შეგვიტყვიაო, ყველამ ასე იცოდეს... (ქსძ, VIII, გვ. 183).

გორი 1794 – იხ. ქალაქი

გორი 1794 – იხ. ქვათახევი

გორი 1795 – [წერილი დარეჯან დედოფლისა სტეფანე ყორღანაშვილისადმი]: ... თუ უნდოდეს ბიძაშენს, ხიზანი გორს მოიყვანოს, თუ არა, საცა ამჯობინოთ, იქ დააყენეთ... ჯერ აქეთ კახეთისაკენ სოფელ-სოფელ ჩავლას ვაპირებთ, თუ ღვთის ნებაც არის, ქისიყს მივალთ და იქიდამ აქეთ მხარესვე დავბრუნდებით... (სს, III, გვ. 245).

გორი 1795 – ამ სიით ამ სოფლებს რუსების მისასყიდი ფქვილი შესწერდა: გორმა... ძევერამ... შერთულმა... მარანამ... ტყვიავმა... ფლავმა... ფლავისმანმა... ქიწნისმა... არცევმა... ჯარიაშენმა... აძვმა... ახალუბანმა... მეჯვრისხევს ამილახვრიანთ ყმამ... აქავ ბატონიშვილის გიორგის ყმამ... აქავ ბატონიშვილის იულონის ყმამ... ახრისმა... კარბმა... მერეთმა... კულბითმა... ქერემ... დისევმა... მახატელმა და ზარდიაშვილის ყმამ... ქსუისმა... სათიხარმა... სათეომ... ქვეშმა... საცხენეთმა... ვანათმა... (მსეი, III, გვ. 106-107).

გორი 1795 – იხ. მარტყოფი

გორი 1795 – იხ. შულავერი

გორი 1795 ახლო – [ანგარიშის წიგნი მანუჩარ მდივნის და მისი სიმამრის აღა-სტეფანასი]: ... გორიდამ მივართვი ბაჯაღლის ოქრო დანა მწ... აქედამ კზ ოქრომ ქალაქს ანგარიში გაიარა... გორიდამ ქალაქს ორასი დანა ალთმიშლული გამეგზავნა უფალი აღასათვის. იმისი ასი დანა ისევ გორს წავაღებინე... თარხან-აღას შვილისათვის დუშეთს გაგეგზავნათ ... სამი თუმანი... ხელთუბნიდამ ფეიქარი გურგენას ხელით მოგართვი (ხუთი თუმანი)... რკინის ბაღდადის და ჰალის ლურსმანი ... ორი საური... (მსეი, III, გვ. 261).

გორი 1796 – [წერილი დიმიტრი ორბელიანისა მილახვარ იოსებისადმი]: ... ქართლში ვიყავ... უცხო ამბავი მოხდა: ... ჩემს ძმას გიორგის ერთი იმერული ბიჭი ახლდა, ჩემი ძმა განჯას გაჰყვა ბატონისშვილს დავითს. ის ბიჭი გორს დარჩომილიყო... მისულიყო ვიღაც ... [და] ეთქვა იმ ბიჭისათვის: ... ოთხი ცხენი მყავს, წავიყვანოთ, ქალაქში გავჰყიდოთ, შენც წილს მოგცემო... ამჟამად ჩემი ძმის ბიჭი ცხინვალს მისულიყო, ერასტი ამილახვარისშვილს დაეჭირა ... და ბატონისშვილის იულონისათვის მიერთმევინა... (სს, III, გვ. 373).

გორი 1796 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... მდივანს მანუჩარს მომცეს. გორს ხითარიშვილი ზაზა, მამასახლისი ბაბუა და ოჰანჯანას შვილი ისაია გახლავსთ ... მოხელეთაც და იქაურის იჯარების აღებნიცა... რაც ჩვენი სახელოს სარგო არის ... იმათზე ... ზოგი მოუციათ და ზოგი მაკლია. წყალობას ვითხოვ, თქვენს შვილს იულონს მიმიწეროთ, რომ ჩემი ანგარიშები მოაცემინოს... (ქსძ, VIII, გვ. 359).

გორი 1796 – ბეგთაბეგიშვილი მდივანი ავთანდილ ... ვსწერ ... წინაშე ... გორის ეკლესიის წმიდის სტეფანეს ... ტერ-გეურქასამებრ ... ანდერძისა. ოდეს უსჯულო აღამამადხან მოადგა ტფილისს და აღაოხრა ... დაიწვა სახლიცა ჩემი... გორის ქალაქს მოვაწიე და მუნ სნეულებას მივეცი. მოუწოდე მოძღვარსა ჩემსა ... ტერ-გიურქას და აღვაწერინე ... ესენი. ზედახედვითა ღვთისათა აღვსწერე ესენი. უწლევს ხერხეულიძებისაგან ნასყიდი ერთი საკომლო... დუმაცხოს ... ხერხეულიძეებისაგან მოსყიდული... ნაბახტევს დავით თარხნის, ზაალის მამისაგან, მოსყიდული ზემო უბანში ვედრების ღვთისმშობლის ჩამოსწერივ ... მამული... კიდევ დავით თარხნის მამის, ზაალისაგან მოსყიდული ... ქვემო უბანს... რამაზიანთაგან მოსყიდული გუგულის ქედზედ საირმე ხოდაბუნი... ვაყას ჩვენის განაყოფის ზაქარიასაგან ... მოსყიდული... მოხისს რამაზას შვილის ლევანისაგან მოსყიდული... მე და ჩემმა ძმამ სულხანმა ქ. ცხინვალს და რუისს მამულები რომ გაეყავით, იმ მამულების საუფროსო უნდა მოეცა... (ქსძ, VIII, გვ. 931-933).

გორი 1797 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... ფავლენის-შვილო ნინიაე! შენ უნდა გაუძღვე ცხენიანსა და ქვეითს რუსის ჯარს და ამ სიით ეს ჯარები ასე უნდა დააყენო: ... გორმა შეინახოს კაცი ქვეითი ორასი. საამილახვარომ კაცი სამასი ქვეითი და ცხენიანი... თირის მონასტრის ყმებმა კაცი შვიდი... დირბმა კაცი ოცდაათი... ურბნისმა კაცი თოთხმეტი... მეღვრეკისმა მონასტრის ყმამ კაცი ათი... (სეიძ, II, გვ. 162).

გორი 1797 – [არზა ტერ-დავითასი ერეკლე II-ისადმი]: ... წმიდის ეჩმიაწინის ყმები გახლანან თოროზას შვილები, რომ გორს ხიზნათ იდგნენ... მოგეხსენებათ გორელების საქმე, აღარ მოასვენეს ... და გორიდამ ავყარეთ, რუისს დავასახლეთ... სარუსო პური რომ შეუწერიათ ... რუისელებთან ჭმაამოუღებლივ მიუციათ. და ახლა გორელებსაც ცალკე შეუწერიათ ... რომ ერთხელ გორში იდექითო (ქსძ, VIII, გვ. 427).

გორი 1797 – იხ. სურამის ციხე

გორი 1797 – იხ. შილდა

გორი 1798 – [განჩინება მანუჩარ მდივნისა და აღაპაპაშვილის საქმეზე]: ქორონიკონს უო ... ჩარჩიშვილს შაქარას და აღაპაპაშვილს პაპას გორის იჯარა საამხანაკოთ სჭეროდათ... შაქარა ხან აქ ყოფილა და ხან ახალციხეს... (დსეი, გვ. 116-117).

გორი 1798 – დედოფალი დარეჯან გიბძანებ, გორის მამასახლისო, ერთობით გორელებო... მეფის გიორგის ბარათს გარდა, გორის სამღებროდამ თუ სხვა ჩვენის შვილისა, ან ჩვენის შვილიშვილის მობარათემ დახარჯვა მოინდომონ ... ის მობარათე თავადი იყოს, თუ გლეხი, დაიჭირეთ ... და ისე გააგდეთ (სს, III, გვ. 277).

გორი 1798 – ქორონიკონს უო ... ჩარჩიშვილს შაქარას და ალაპაპაშვილს პაპას გორის იჯარა საამხანაკოთ სჭეროდეთ. ამ იჯარისათვინ თეთრი დასჭირებოდათ, მანუჩარ მდივანსა ესესხებინა სიით... შაქარა ხან აქ ყოფილა და ხან ახალციხესა (ქსძ, VI, გვ. 62-63).

გორი 1798 – იხ. ბანბაკი

გორი 1799 – ... მისკარბაშის სახლობას ... მეფის სძალი სალომე ... მოგიკითხამ... დედა ჩემისათვის რომ მოკითხვა მოგეწერა, აქ არ არის, გორს არის (სს, III, გვ. 82).

გორი 1799 – ... მეფემ გიორგიმ ჩვენ, თუმანის-შვილი მანუჩარ და ჩემი ძმისწული, გორს ყოფნაში დაგვაჭერინა ... და ... ქალაქს ჩამოგეყვანეს ... (მსეი, II, გვ. 142).

გორი 1799 – [Приказание царя моураву Гедеванову]: Католикос с крестьян своих в г. **Гори** и в окрестных его селениях должен получать по 3 коды хлебной подати с каждаго двора. Хлеб ... привези в **Тифлис**... (ГКГ, გვ. 73).

გორი 1799 – იხ. დირბი

გორი 1800 – [არზა არეშაშვილი პეტროზასი გიორგი XII-ისადმი]: ... გორელი თაყინაშვილისათვის ვალათ თეთრი ავიღე თელავს და ზაალს ვასესხე ორას ოთხმოცი თუმანი. ამის გირაოთ მომცა თავის წისქვილები და დუქნები ორის თვის ვადით... სტამბოლს თქვენის ჭირის სანაცვლო შექნილა. შარშან, მაისშია, ქალაქიდამ წიგნები მიეწერე იმის ცოლ-შვილს ... თავნი და სარგებელი მამაბარონ... (ქსძ, VIII, გვ. 613-614).

გორი 1800 – იხ. დოესი

გორი XVIII ს. მიწ. – გორს ჩვენი პატარა ყოვლადწმინდის ეკლესიისათვის თავიანთ სულის გულისათვის [თუმანიანთ] ან დუქანი შეუწირავთ და ან გაუკეთებიათ რამე, ამას ქვეით სწერია... ახლა ... ჩვენი პატარა ყოვლადწმინდის საყდრის ხის ნაშენობა ტერ-სააკამ დააქცია და შურისძიებით გორელებს იმაზე ახლო სხვა საყდარი ააშენებინა, რომ ის საყდრისა ხუთს ადლამნდინ ჩვენის საყდრის ალაგში დგას... (მსეი, III, გვ. 18-19).

გორი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

გორი XVIII-XIX სს. მიჯნა – ... გოგიამ [ამილახვრისშვილმა] ასე მიუგო [ხერხეულიძეს]: ... მე და ჩემი ძმა ვიახელით გორს [დავის გასარჩევად]... ბატონიშვილი ვანათს წაბძანდა. ჩვენ ... და თქვენც ... იქ ... ვილაპარაკეთ... მე ... ბატონიშვილის ალექსანდრეს ნაბძანებს სამსახურზედ ვიყავ ცხინვალს მისული; შენმა შვილმა იქ დამზვერა, გამობრუნდა ერგნეთს, შინ მოვიდა ... [და] იარაღით და კეტებით ... მომიხდა... (ქსძ, VI, გვ. 256-257).

გორიანი. კახეთი

გორიანი 1778 – იხ. ხაშმი

გორინჯუკი – იხ. გორუნჯუკი

გორისა. იმერეთი

გორისა 1663 – ... ჩვენ, მეფემ პატრონმა დიმიტრიმ, ესე ... სიგელი გიბოძეთ თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს... ქართველს ბატონს ლევან აბაშიძის კერძი გორისას ოთხი გლეხი და ერთი პარტახტი და არგვეთს ხარშილაძე ფალავნისშვილისათვის მიეცა. და მერმე ... იმერეთი ჩვენ დაგურჩა ... და ... გიბოძეთ ლევან აბაშიძის კერძი გორისას ... და ... არგვეთს... (იდ, I, გვ. 34-35).

გორისა 1660-იანი – ... ესე ... წიგნი ... მოგეცი ჩვენ, ჩხეიძემ სახლით-უხუცესმა სეხნიამ, თქვენ წერეთელს ქაიხოსროს და პატას... მას ჟამს, ოდეს ქართველი ბატონი იმერეთს რომ ჩამოვიდა, ლევან აბაშიძის კერძი გორისას ოთხი კვამლი კაცი და ორი პარტახტი და არგვეთს ერთი კვამლი ხარშილაძე ფეშანგის ფალავნისშვილს უბოძა, და მერმე, რადგან ქართველი ბატონი ქართლით წავიდა და ეს იმერეთი ისევ სახვანთქროთ დარჩა, ფალავნისშვილმაც დაგანება და ჩვენც მოგვიცემია ლევან აბაშიძის კერძი გორისას ოთხი კვამლი კაცი და ორი პარტახტი, არგვეთს ერთი გლეხი ხარშილაძე ... მათის ... სახლ-კარითა, ტყითა, ველითა, ვენახითა... (იდ, I, გვ. 36-37).

გორისა 1681 – ... ჩუენ, ... მეფეთ-მეფემ, ჭელმწიფე ბატონმა ბაგრატ ... გიბოძეთ თქვენ, ... წერეთელს ქაიხოსროს ... ლევან აბაშიძის კერძის მამულისაგან ... სამი კვამლი კაცი გორისას შეყრილასშვილები ... და ბეგიასსოული პარტახტი მთითა და ბარითა, არგვეთს – მამუკა ხარშილაძე ... მათის ... სახლ-კარით.... (იდ, I, გვ. 40).

გორისა 1789-1810 – იხ. ჩიხა

გორისა. შიდა ქართლი

გორისა 1633 – ... ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ ... გიბოძეთ თქუენ, ჯომარდიძეს ზაალს ... თქუენიეე სამკვიდრო ... სოფელი გორისა... (ქსის, გვ. 94).

გორისა 1784 — იხ. ხიდისთავი

გორის გზა. შიდა ქართლი

გორის გზა 1651 — იხ. ბიბლიანთ უბანი

გორის სათიბარი // გორის სათიბი. ქვემო ქართლი

გორის სათიბარი 1653 — იხ. ბედენი

გორისუბანი. კახეთი

გორისუბანი 1579 — იხ. მცხეთა

გორის ციხე. შიდა ქართლი

გორის ციხე 1453-1463 — [საჩივრის წიგნი]: ... გულსურაბ ესე წიგნი მოუწერა რუამს, ვითა: ამირეჯიბის მაგიერად ესე წიგნი დაწერე შენა, ვითა: გამრეკელ, ... ძულან შენ განა ასრე დამპირდი, ვითა: გორის ციხესა მოგცემო. აწ ჟამი და დრო ესეა. რაჟამც კაცნი გამოვგზავნნე, ციხე ფიცხლა უმიზეზოდ მათ დააბარე და რასაც მე შენ დაგპირებივარ, ბაგრატ მეფესა შენთვის გაეათაებინებ... (ფუმს, გვ. 48).

გორის ციხე 1466 — ... მეფემან კონსტანტინემან ... ესე წყალობის ... სიგელი ... გიბოძეთ თქუენ ... ჯავახიშვილთა ზაქარიასა... მას ჟამს, ოდის ... უუარყუარე ... მეფესა გიორგის უღალატა და ჩუენსაცა ღალატსა ... აპირებდა ... თქუენ ... გორის ციხეს შემოგუყევით და დაგუამაგრეთ და ისრე დაჭირებულს ქუთათის ციხეს შეგუიდეგით და იქიცა დიდი გუმსახურეთ... მუქაფად გიბოძეთ ცხირეთის გუერდი სრულად და გაერთებით, ხანდაკი და რაცა ცხირეთის შესავალი არის სრულად და უკლებლად. და ამას გარეთ ქალაქის პირთა სოფელი თხილოვნა, მისით შესავლითა. ეს მამულნი გაბაშვილთა მკუიდრი იყო და ... თქუენთვის გუიბოძებია და დაგუიმტკიცებია ცხირეთის გუერდი და ხანდიკი, მისითა შესავლითა ... და თხილოვნა, მისითა მონასტრითა, ეკლესიითა, ციხითა, სასახლითა, ჭურ-მარნითა, გლეხებითა, ველითა, ვენაჯითა... (ქსძ, II, გვ. 134-135).

გორის ციხე XV ს. ბოლო მეოთხ. — იხ. სხვილო

გორის ციხე 1590 — იხ. დიღომი

გორის ციხე 1641 — ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ჯავახიშვილთა როინს... გორის ციხეში რომე ვიყავით და ქართველნი უკუ გუიდგეს და კახს ბატონს მიუვიდეს, მაშინ ... კარგად გუიერდგულეთ, და ... ნამსახურობის სამუქაფოთ შეგიწყალეთ და დაგიმკუიდრეთ საბოლოოთ სამართლიანი თქუენთა მამა-პაპათა და ბიძაშუილებისა სამკუიდრო მამული... (სს, II, გვ. 63).

გორის ციხე 1692 — იხ. ქართლი

გორის ციხე 1785 — ბირჩაღში შვილს მოჰქონდა წერილი სანატრელისავე პაპის ჩვენისა ქორონიკონს ტპბ დაწერილი, რომელშიაც სწერს ესრეთ: „როდესაც ქართლში ომიანობა შეიქმნა, მაშინ შენ, ფარსადანა, ჩვენის ერთგულობისათვის გორის ციხეში შეხველო და ჩვენმა ორგულებმა აღარა შეგარჩინეს რაო... გორის მღრთისმშობლის საყდართან თქვენი სამკეიდრო საკნავი მიწა ... ხან შენს განაყოფს როსტევანაშვილს ეჭირა და ხან ჭელ-

მწიფეთაგან წიგნით გაცემული იყოო. ახლა ამდენის თქვენის ერთგულობისათვის ეს მიწა ... ისევ შენვე გიბოძეთ...“. და ეს სიგელი ჩვენის ბეჭდითაც იყო დამტკიცებული (ქსძ, V, გვ. 287).

გორის ციხე 1787 – იხ. ახალციხე

გორის ციხე 1791 – იხ. ტფილისი

გორის ციხე 1794 – [არზა მინბაშ დიასამიძე დიმიტრისა ერეკლე II-ისადმი]: გორის ციხის დებულება სალბაში და თითო-ოროლა ღერი შეშა არის ურემზედ, რომ მეციხოვნე ცეცხლს აინთებს და იცხოვრებს; აღარც გორელები მაძლევენ შეშას, აღარც სალბაშს ქარელელნი და მეტეხელები მაძლევენ (ქსძ, VIII, გვ. 253).

გორის ციხე 1798 – იხ. თელავი

გორის ციხე. ხევი

გორის ციხე 1439 – იხ. ხევი

გორის ციხე 1779 – იხ. სტეფანწმიდა

გორის ციხე 1781 – იხ. წკერე

გორიჯვარი // გორისჯვარი. შიდა ქართლი

გორიჯვარი 1634-1643 – ... ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ბატონს კათალიკოზს ჩუენ, ხერხეულიძემა ... თეიმურაზ... ჩუენის მემკვიდრის ყმის შვილი შეიხვეწა გორიჯვარს და ... ისრევე გვიბოძეთ... (დსსი, I, გვ. 25).

გორიჯვარი 1712 – იხ. ურბნისი

გორიჯვარი 1736 – იხ. ზედა ძნავი

გორიჯვარი 1766 – იხ. გორი

გორიჯვარი 1774 – იხ. კარბი

გორიჯვარი 1784 – [არზა დავით თუთუნაშვილისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი]: ... ჩვენ ხემწიფის სახასო ყმანი ვყოფილვართ და სვიმონ მეფეს წმინდის გიორგის გორისჯვრისათვის შეუწირივართ... (ქსძ, VII, გვ. 637-638).

გორიჯვარი 1784 – იხ. ხიდისთავი

გორიჯვარი 1789 – ღმერთმან – ჰელმწიფის ჭირი მოსცე გორიჯვრის ყმას ლომაშვილს .. და .. ქიტიაშვილს... გორისჯვრის წმინდის გიორგის კარს გახლავართ და – გეევედრებით ... ეს სურსათი გვაპატიევეთ (ქსძ, VIII, გვ. 28-29).

გორიჯვარი 1790 – ღმერთმან ... ჰელმწიფის ჭირი ... გორიჯვრის დეკანოზს ბართლომეს მოსცეს... თქვენის ბრძანებით მორიგიდამ[82] ორი კაცი გორიჯვრის ციხეში იდგა, ახლა ლაშკარნიისებს სანი უნახავთ, ნაკლებში დაუწერიათ ეს ორი კაცი... [ერეკლე II-ის ოქმი] გორიჯვრის ყმა რაც მორიგეთა სწერია, გორიჯვარში უნდა იდგნენ. ამათ ნაკლებში ნუ დასწერთ (ქსძ, VIII, გვ. 50-51).

გორიჯვრის ციხე. შიდა ქართლი

---

[82] გორიდამ (გუჯრ. 29).

გორიჯვრის ციხე 1766 – იხ. გორი

გორიჯვრის ციხე 1790 – იხ. გორიჯვარი

გორმახვილა. იმერეთი

გორმახვილა 1659 – იხ. რველი

გოროვანი //გოროანი // გორავანი // გოროვანნი. შიდა ქართლი

გოროვანი 1170 – იხ. სხალტბა

გოროვანი 1392 – იხ. ტფილისი

გოროვანი 1401-1404 – ... ჩუნ' ... ქართლისა კათალიკოზმან გობირახისძემან ელიოზ ჩემის ძმის ამირახორის გრიგოლისათჳს ... (შემიწირავს მცხეთისათჳს) გორავანს ქათათაური მამული ნასყიდი შიმშილობისაგან ჩემის ძმისაგან; – აგრეთვე ნასყიდი ვენაკი ახატანს შიმშილობისაგან პირველად პინტიშვილისაგან გასყიდული იყო ოჯრამელას ძესა ზედა, მერმე ოჯრამელას ძემან დათუა შალჯაშვილს მიჰყიდა; მერმე ჩემმა ძმამა ამირახორმა იყიდა... (ქრონ, II, გვ. 206).

გოროვანი 1447 – იხ. მცხეთა

გოროვანი 1504-1516 – იხ. მცხეთა

გოროვანი 1602 – იხ. გოგილანი

გოროვანი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

გოროვანი 1736-1744 – იხ. მოხისი

გოროვანი 1741 – იხ. მცხეთა

გოროვანი 1753 – ჩუენ ... კათალიკოზ-პატრიარქმან ... ანტონი ესე – წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქვენ ... აზნაურშვილს გედეონისძეთ სარდალს გაბრიელს... ჩვენის აზნაურშვილის ჭარმაულთათვის და მათის სახლისათვის ძველადგან თქვენს მამა-პაპათა ... ზითვათ სოფელი გოროვანი გაეტანებინათ; და ჟამთა ვითარებისაგან ჭარმაული ამომწყდარიყუნენ და ... [მათ სახლიკაცს] ქაიხოსროსაც თქვენთვისვე წიგნი მოეცა, თქვენგან გამოტანებული სოფელი გოროვანი თქვენთვისვე მომიცემიაო... ჩვენცა – დაგიმკუიდრეთ საბოლოოდ სოფელი გოროვანი თავეთის მთითა, ბარითა... სოფელი გოროვანი ორთაექ სწორეთ საძმოთ გიბოძეთ ... ნახევარი სარდალს გაბრიელს და მის შვილთ დარჩეს და ნახევარი პეტრესა და ძმასსა მისსა ერასტის... (ქსძ, III, გვ. 833-834).

გოროვანი 1772 – იხ. ახალქალაქი

გოროვანი 1778 – იხ. ახალქალაქი

გოროვანი 1782 – იხ. ახალქალაქი

გოროვანი 1783 – ღმერთმან ... ჰელმწიფის ჭირი მოსცეს – გედეონისშვილს სარდარს იოანეს... ჩვენს მამულში გოროვნის მამულში რუსხმულს აქეთ მერაბ ზედგინიძეს უხნავს და იმის ღალას გეუედრებით, რომ ან ეკლესიას არ დაეკარგოს და ან ჩვენ... ეს მამული ძველადგანვე გამიჯნული ... არის გუჯრით, ძველადგანვე მუხრანის ბატონს კონსტანტინეს იმდენი კაცი ესახლა და ერთსაც ჩვენი მამული ერთის დღის მიწა არ მოუხნავს.

მართალია, ბიძაჩემმა გაბრიელ სარდალმა ზედგენიძე იობს ერთი ჴოდაბუნი ათხოვა, მაგრამ მამაჩემმა პეტრემ ღალის გამოურთმეველობა მაშინაც არ ქნა... [მეფის ოქმი] ეშიკაღათბაშო დიმიტრი! ... რაც სამცხეთოს მამულში მუხრანელთ და ან სხვათ ყანა ან ფეტვი ედგასთ, სამართლიანი ღალა უკლებლად ... მოაბაროს (ქსძ, VII, გვ. 594-595).

გოროვანი 1788 – იხ. ახალქალაქი

გოროვნა. კახეთი

გოროვნა 1392 – იხ. ტფილისი

გორუნჯუკი // გარინჯუკი. ქვემო ქართლი

გორუნჯუკი 1633 – იხ. ზემო ოძისი

გორუნჯუკი 1640-1641 – [როსტომ მეფემ თურქისტანიშვილებს] ... გორუნჯუკს ... და აგრეთვე ახალდაბას ... ხუთი კვამლი კაცი ამას წინათ გამოგართვით და საჩინოსშვილთ მიეცით და მასუკან ისინი გაიყარნეს. თავად სამკვიდროდ ირჩოდით ამ ხუთს კვამლსა გლეხსა და მერმე ჩვენთვის გასამყრელად ამოვიღეთ და ... გიბოძეთ... (ქსოის, გვ. 19).

გორუნჯუკი 1738 – ... ჩვენ, თურქისტანისშვილმა დავით ... თქვენ, ყაფლანისშვილს ზურაბისშვილს ქსნის ერისთავს დემეტრეს ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო გორუნჯუკს ღებრისშვილი დავით, მისი განაყოფი ფასოა თავიანთ მამულითა... (დსსი, I, გვ. 276).

გორუნჯუკი 1738 – ... ჩვენ, თურქისტანისშვილმა ... გოდერძიმ ... თქვენ, ყაფლანისშვილს ... დემეტრესა ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო გორუნჯუკს ჩვენი წილი სამძღვარი: ჩინჩხურის ხევი, ბოლოს ქამარიანის თავი, აქეთ გვერდი მოშვერი ჩამოდის და იქით ბალიჭის წყალი ჩამოდის, ვანის სამძღვრამდინ, ჩემს ხოდაბუნს გარდა და უკანგორის მიწის გარდა, მოგყიდეთ მისი წყლითა და წისქვილითა, ველითა და ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, საწყლისპიროთი, მთითა, ბარითა... (სს, II, გვ. 392).

გორუნჯუკი 1780 – [შეწირულების წიგნი ზაალ ყაფლანიშვილისა]: ერთი მამის ჩვენის ნასყიდი გარინჯუკელი თურმანაშვილი ოჰნეზე თელავს არის. ის გლეხი მეკომური თავისის ცოლითა და შვილებითა წმინდის ნათლისმცემლის უდაბნოსათვის შეგვიწირავს... (ის, V, გვ. 95).

გორხანა. კახეთი

გორხანა 1790-იანი – იხ. დოდოს მონასტერი

გოსტიბე. შიდა ქართლი

გოსტიბე 1720 – ... გიორგაშვილებმა ოთარამ და ესტატემ შენ ... მექანარისშვილს ნასყიდას და ქიტესას ... ძმათ შაგიყარეთ და ჩვენი მამული გაგიერთეთ... ასე რომე დაგვჭირდა და გოსტიბეს ხაროში ვეყარენით ორნი ძმანი. ავიღევით შენი მკვიდრი მამული, სარიდანს მაღალაშვილს მივყიდეთ, ჩვენი თავი დავიხსენით. მოგეცით ჴელმწიფის ნაწყალობევი წისქვილი, დვალისშვილისეული ნაფუძარი ქვევით ბასილისშვილის კარამდი... (ქსძ, VIII, გვ. 876-877).

გოსტიბე 1743 – ... ჩვენ, თარხნის-შვილის ზაალის შვილმა დავით ... თქუენ, მირიმანანთ ავთანდილას შვილს ოსეფას ... მოგყიდეთ ... ჩვენი მემკუიდრე ყმა გოსტიბელი კუირიაშვილი ბერუკა... (დსსი, I, გვ. 315).

გოსტიბე 1744 – იხ. ახალციხე

გოხა. შიდა ქართლი

გოხა 1756 – იხ. ორჭოშანი

გრაკალი // გარკალი // გრაეცლი. შიდა ქართლი

გრაკალი 1260 – იხ. ხოვლე

გრაკალი 1392 – იხ. ტფილისი

გრაკალი 1648 – ... თქუენ ... ელიოზისძეს ბატონს გაბრიელს ... ამას წინათ სულხნის ცოლყოფილის ქეთევანისაგან გრაკალს ამათი კერძი მამული გეყიდა, და თურმან ამაზე ისარჩლა, რომე დედაკაცს მამულის გაყიდვა არა მართებსო და არც სამართალი არისო. ამის გულისათუს თავისი კერძი მამული მივეცით... (ქრონ, II, გვ. 464-465).

გრაკალი 1652 – იხ. ქორდი

გრაკალი 1724 – იხ. ყარაღაჯი

გრაკალი 1738 – ... მე, ალექსიშვილმა ოთარმა ... თქვენ, ციციშვილს ... ფარსადანს ... მოგყიდეთ ... ჩვენი ალალი მამული, დედისჩემის ზითევი გრაკალს შემაზაშვილი მელქუა... არის ამისი მოწამე – ატოცის დეკანოზიშვილი ოტია ... წედისის მამასახლისი ჩიჩიძე, ატენის მამასახლისი ხეჩიკაშვილი... (დსსი, I, გვ. 275).

გრაკალი 1754 – იხ. დიღომი

გრაკალი 1770 – გრაკალი ერგო მინბაშს გოგიას; დავითს საქმე აღარ აქვს... ახალსოფელს ხევსური თავისის მამულით ... კასპს ნახევარი ვენახი ... გორს გოგრიჭიანი თავისის მამულით ... ჭალას გოდერძი უმამულო ერგო გოგიას. ზემო ხვითსა და ქვემო ხვითს რაც მიწები აქვთ ორთავე უნდა გაიყონ. ჭალას დემეტრეს ბაღი, სასახლე და ჩვენი ბაღი ორთავესია, ზვარი და სასახლეცა... ცხინვალს ... ვენახი ... ორთავესი იქნება. ახალსოფლის ... [და] შეისულანს რაც მამული აქთ, ორთავესია. წორბისს ქერეჭაშვილის ობოლი და მამული და ამას გარდა რაც წორბისს ან კუსირეთს და ან სხვაგან საცა ხარაბაში მამული აქვსთ, ორთავესია. ფხვენისს გალავანში რომ საჯინიბოა, დავითს ერგო და აქავ გალავანში სასახლე და გალავანს გარეთ რაც ბაღებია, გოგიას ერგო (ქსძ, IV, გვ. 598-599).

გრაკალი 1771 – [არზა ეფემიასი ერეკლე II-ისადმი]: ... დაგვეჭირა და გრაკალი დაუგირავეთ გედევანიანთა. ახლა თქვენის დოვლათით დახსნას ვაპირებთ ... და გედევანისშვილი არ გვახსნევინებს... (ქსძ, VII, გვ. 168).

გრაკალი 1783 – იხ. ხიდისთავი

გრაკალი 1784 – იხ. ხიდისთავი

გრაკალი 1799 – ... ბარძიმ [ამილახორისშვილი] გრაკალსაც ედავებოდა ივანესა [ამილახორისშვილს] და ეს დავა ... რევაზ ამილახვართან გარდაწ-

ყვეტილა. ბარძიმს საქმე არა აქვს რა გრაკალში და თითონაც ყაბულს გახდა (ქსძ, VI, გვ. 126).

გრაკალი 1799 – იხ. ცხინვალი

გრაკლის რუ. შიდა ქართლი

გრაკლის რუ 1718 – იხ. არაყაჯური

გრანი 1401-1407 – ... კათალიკოზს ელიოზს ... მე, თავხელისძემან ასათა ... მოგაჴსენე გრანსა გლეხნი ჩალჩერაშვილი და კოუნნორი მისითა მამულითა... (ქრონ, II, გვ. 207).

გრდანი – იხ. გლდანი

გრდაში. სვანეთი

გრდაში XV ს. – იხ. ლატალი

გრდნული შარა. კახეთი

გრდნული შარა 1505 – იხ. ოროტა

გრდნული შარა 1579 – იხ. მცხეთა

გრემი. კახეთი

გრემი 1514-1572 – იხ. ბასილის უბანი

გრემი 1532 – იხ. მცხეთა

გრემი 1552 – იხ. მცხეთა

გრემი 1579 – იხ. მცხეთა

გრემი 1585 – იხ. ვეძისხევი

გრემი 1590 – ... თქუენ ... პატიოსანსა მამასა წმიდასა დავითს ... მე, ჭაეჭავაძემან, სახლისუხუცესმან პატრონმან იასონ, შემოგწირე და მოგახსენე გრემს მსახლობელი ჩუენი ნასყიდი ერთი კუამლი ურია ... მათისა სამართლიანისა ნასყიდისა და უსყიდისა მამულითა (ის, III, გვ. 82).

გრემი 1591 – იხ. წაღმაბაზარი

გრემი 1603 – ... ჩუენ, ... ლეონის ასულმან მონაზონმან ... თეკლა ... შუვამთას ჩუენგან აღშენებულსა წმიდათა მთავარანგელოზთა ეგუდარსა ... შემოგწირეთ გრემიდაღმან კუამლი კაცი ერთი ... მისითა ... მამულითა... (ის, IV, გვ. 3-4).

გრემი 1648 – იხ. ქართლი

გრემი 1712 – ჭანდრისხევი

გრემი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

გრემი 1746-1749 – მოურავი მერაბ და სახლთუხუცესი ნოდარ მამულებზე და მიწა-წყალზე და მთასა და ბარზედ შეცილდენ. ბატონს მოახსენეს და შესჩივლეს... გრემზე ფიცი მოურავს დაზდეეს... და გრემის მთა მოურავმა გაიფიცა: მაღლიდამ ტირნისის თავს[83] გაივლის, აბანოს ვეძაში[84] ჩავა, აბა-

[83] ტრნისის თავს (ქსძ, VI, გვ. 240); ტორნის თავს (ქსძ, V, გვ. 589).
[84] აბნოს ვეძში (ქსძ, VI, გვ. 240).

ნოს ვეძიდამ აბანოს ვეძის გორს რომ რიგის ხებს შეეყრების, – ესები გოჯანჭევის[85] სამძღვარია. ამას იქით ღოლოიანი,[86] ამას ზემოთ და ქვემოთ ლოპოტის გალმა-გამოღმა ართანის სამძღვრამდის, ახლა მობრუნებით კლდის მაღლიდამ, წვერი წამოვა, თელიანის გორს შემოეყრების – ესები ასე ფიცა: „როდესაც ჩვენი მამა-პაპანი გაყრილანო, გვერდის ძირი თავისის მთითა და ბარით გაყრის უკან მიშოვნიაო...“ ფიცა და გაიტანა, მოურავს დარჩა... საბური ღორი და ალმატური[87] გრემის მთაში შევიდეს, საბალახე აიღოს. მთა საკუთრივ მოურავს დარჩა. რარიგადაც გრემს და ალმატს[88] ძველათგან რუ ქონოდეს, ვერ მოუშალოს. წმინდის ბარბარის საჯდარი და მისი შეწირულობა მამული საერთოდ დარჩა (ქსძ, IV, გვ. 384; ქსძ, V, გვ. 589-590; ქსძ, VI, გვ. 240-241).

გრემი 1752 – იხ. კახეთი

გრემი 1756 – იხ. ალვანი

გრემი 1761 – იხ. სურამი

გრემი 1762 – იხ. ჩხიკვთა

გრემი 1769 – იხ. გალმა მხარი

გრემი 1776 – იხ. ვაქირი

გრემი 1785 – იხ. გალმა მხარი

გრემი 1793 – იხ. ნაფარეული

გრემი 1794 – [არზა იოანე ბებურიშვილის ქერიევის მარიამისა იულონ ბატონიშვილისადმი] ... ერთი ბიჭი მიეცა საწყალობელის დედის ჩემისათვის თავის ძმას, ... გაეზარდა, ერთი კომლი კაცი შექნილიყო, იყო გრემს... ახლა ის კაცი დაიკარგა, ... ახალქალაქს დგას, ბატონის დისწულმა უთქვენოთ არ დამანება (ქსძ, VIII, გვ. 272).

გრემი 1798 – იხ. ფშავი

გრემი 1799 – [არზა გრემელებისა გიორგი XII-ისადმი]: ... ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... გრემელთ ერთიან სოფლისა... გზას ქვეით ხომ სახასო არის და გზას ზეით მოუცადამდისინ, თავს ციხისჯუარამდინ, ხიდის ყურის ბოგირებს ზეით – ეს ასრე ამ მიჯნებით მამა-პაპასაც ისე სჭერიათ და ჩვენც ამის წყალობას გევედრებით... (ქსძ, VIII, გვ. 516).

გრემი 1799 – იხ. აღდგომის სოფელი

გრემი 1800 – ... ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... გრემის კარის ეკლესიის პავლე მღვდლისა. მე რომ ბ...ლში გახლდი, ჩემი სამწყსოც და მამის ჩემის სამწყსოც გაეცათ. ამას გევედრები, ... ნეკრესელზედ ერთი ოქმი მებოძოს, რომ მამის ჩემის სამწყსო მამეცეს... (ქსძ, VIII, გვ. 698-699).

---

[85] გაჯნიჭევის (ქსძ, IV, 384); გიჯნჭევის (ქსძ, VI, გვ. 240).
[86] ოლნიანი (ქსძ, IV, 384); ოლოიანი (ქსძ, VI, გვ. 241).
[87] და ალმატური აკლია ქსძ, IV, 384.
[88] ლეტს (ქსძ, IV, 384).

გრემი 1800 – [გიორგი XII-ის ბრძანება]: ... გრემს ჩვენი კარის ეკლესია რომ არის, მაგ ეკლესიის წინამძღვარი არის დეკანოზი ხელაშვილი გიორგი ... და მაგ საყდარში ყადიმათ პეტრე მღვდლის შვილი არის, სხვას საქმე არავისა აქვს... (გუჯრ, 95).

გრემის მთა. გრემის მთა

გრემის მთა 1712 – იხ. ჭანდრისხევი

გრემის მთა 1746-1749 – იხ. გრემი

გრემის ციხე. კახეთი

გრემის ციხე 1791 – იხ. ტფილისი

გრემისხევი // გრემისჴევი. შიდა ქართლი

გრემისხევი 1392 – იხ. ტფილისი

გრემისხევი 1428 – მოგეცი [ალექსანდრე მეფეთა-მეფემ] ... კათალიკოზსა თეოდორეს ამა წესითა, რომე არცარა გრემისჴეველთა[89] საქმე ედვას მას გუერდის და ვერცა რა... მოგუიჴსენებია ... დედაქალაქისა საყდრისა ... მცხეთისათუის: ტაირისშვილი რატი მისითა მამულითა, სასხლოთა, მონასტრითა ... გქონდეს სამკუიდროდ ... ვითარ სხუანი მცხეთისა მამულნი... (ის, III, გვ. 13).

გრემისხევი 1628 – ჩუენ, ... ქართლისა კათალიკოზმან პატრონმან ზაქარია ... გიბოძეთ თქუენ, ჭარმაულსა პაატასა ... გრემისხევს ორი კომლი კაცი ... მათის მამულითა, ნასყიდითა და უსყიდითა... (ქსძ, III, გვ. 488).

გრემისხევი 1669 – იხ. წილკანი

გრემისხევი XVIII ს. II ნახ. – ყასიდამან ორი ოქრო უჩივლა გრემისხეველს კაცს (სამდ, გვ. 56).

გრემისხევი 1781 – ღმერთმან მეფის ძის ვახტანგის ჭირი ტერიშვილს ზაალს მოსცეს. მერე თქვენის დოვლათით გრემისხევს ვაკეთებ. ერთი ოქმისა და იასაულის წყალობა მიყოთ, რომ რაც გრემისჴეველი კაცნი არიან, იქ დავასახლო... (ქსძ, VII, გვ. 525-526).

გრემისხევი 1782 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი გრემისჴეველს ციგურაშვილს გოდერძის მოსცეს. ჯიმშერ ერისთავმა გრემისჴევის აშენება მოინდომა. როდესაც იქაური კაცი ერთად შეჰყარა, ცალ-ცალკე კი ვერ დააყენა, რომ მტრისა ეშინოდა, მიიყვანა და იმთენი კაცნი სულ ჩემს მამულზე დააყენა. და მე სითარხნე მომცა, რადგან შენს მამულზედ ეს სოფელი დავაყენე, შენ აღარა გეთხოებოდეს რაო. იმ ხანებში ის გრემისჴევი ისევ დაიცალა. ახლა კიდევ თქვენის დოვლათით ისევ აშენდა. მოვიდნენ და ისევ იმ ჩემს მამულზედ დადგნენ. მე აღარც სითარხნე მაქვს და მამულიც მერთმევა... (ქსძ, VII, გვ. 555-556).

გრემისხევი 1799 – გრემისხევის მოურავმა ტერისშვილმა ზაალ უჩიელა თავის სახელოს ლომიტაშვილს გოძიას და იმის ძმას ქიტესას: ჩემის ყმის საურმაგიძის ერთი დღის მიწა უჭირავსო და ვენახად აშენებსო... და ჩვენც [ვახტანგ ბატონიშვილმა] ვიცით, რომ ზაალს ეს თავისი ყმა და მამული

[89] თ. ჟორდანია საბუთის ზოგ ხელნაწერში კითხულობს გრემის (ქრონ, II, 235).

ოცდათორმეტი წელიწადია, რომ ებოძა. მაგრამ ასეთი დრო და ჟამი იყო, რომ იმ მამულს ვერ მიუდგებოდა და ის სოფელი სულ ხარაბა იყო. და ამას წინათ რომ ჯიმშერს ის სოფელი აუშენებია, მაშინ ზაალის მამასა და ბიძებს ყმები ჩამორთმეული ჰქონიათ. და მერე რომ აყრილა, ოცი წელიწადი ხარაბა იყო; და ჩვიდმეტი წელიწადი იქნება, რომ ჩვენ დავასახლეთ ის სოფელი თავის ადგილსა (ქსძ, VI, გვ. 110).

გრიგალათი. იმერეთი

გრიგალათი 1744 – იხ. ვერტყვილა

გრიგოლეთი. გურია

გრიგოლეთი XVIII-XIX სს. მიჯნა – [თავართქილაძე] სეხნიამ უჩივლა [თავართქილაძე საყვარელას]: შენმა ძმამ გრიგოლეთს თათარი მოიყვანა და ორიე ძმას გეკვლიდა... (ქსძ, VI, გვ. 266).

გრკონი იხ. რკონი

გრძელა // გარძელი. ქვემო ქართლი

გრძელა 1636-1703 – იხ. ზემო ნასკირალა

გრძელა 1690 – ... უჯარმისშვილს სეფიას და პაპუნას მიუყიდია გრძელში მიწა დაკარგულის მახარას შვილებისათვის... (სს, I, გვ. 75).

გრძელა 1690 – ... მოგყიდე ... მე, ყანდიაშვილმან ... დათუნა ... ერთისა დღისა მიწა გარძელში ... თქვენ, დაკარგულსა შვილებს მახარაშვილებს... (სს, I, 1920, გვ. 77).

გრძელა. შიდა ქართლი

გრძელა 1717 – იხ. ვარდოვანა

გრძელამიწები // გრძელი მიწა. ქვემო ქართლი

გრძელამიწები 1635 – იხ. ენაგეთი

გრძელამიწები 1736 – იხ. აბრამეთი

გრძელი ტბა. კახეთი

გრძელი ტბა 1579 – იხ. მცხეთა

გრძელი ღელე. კახეთი

გრძელი ღელე 1579 – იხ. მცხეთა

გრძელი ხოდაბუნი. კახეთი

გრძელი ხოდაბუნი 1781 – იხ. ჭივჭურის მიწა

გრწანისი – იხ. კრწანისი

გუარეთი. ქვემო ქართლი

გუარეთი 1523 – იხ. მძოვრეთი

გუაზაური – იხ. გვაზაური

გუაჯაბაური პარტახტი. იმერეთი

გუაჯაბაური პარტახტი 1259-1293 – იხ. მაღლაკი

გუბა. იმერეთი

გუბა 1578 – იხ. ქუთაისი

გუბას მიწა. შიდა ქართლი (?)

გუბას მიწა 1498 – ...ესე მონასყიდობისა წიგნი... მოგეცით თქუენ ჭერმეულს იესეს... ჩუენ გაბრიელასშვილთა... ასე რომე მოგყიდეთ გუბას მიწა ... ჩუენი სამკუდრო, მოუდეგარი... (ქრონ, II, გვ. 312).

გუბისწყალი. იმერეთი

გუბისწყალი 1647 – იხ. გუშტიბი

გუგუთი – იხ. მუგუთი

გუგუჲსჯვარი. კახეთი

გუგუჲსჯვარი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი

გუგულაური ზუარი. შიდა ქართლი

გუგულაური ზუარი 1665 – იხ. კასპი

გუგულის ქედი. შიდა ქართლი

გუგულის ქედი 1796 – იხ. გორი

გუგულის ქედი 1799 – იხ. ურბნისი

გუგუნაყარი. იმერეთი

გუგუნაყარი 1787 – იხ. სვერი

გუდა წაგომეიდა მიწა. ქვემო ქართლი

გუდა წაგომეიდა მიწა 1751 – იხ. ახალშენი

გუდათუბანი. იმერეთი

გუდათუბანი 1711 – იხ. ქვიშხეთი

გუდათუბანი 1751 – იხ. გოლათუბანი

გუდალეთი. შიდა ქართლი

გუდალეთი 1392 – იხ. ტფილისი

გუდალეთი 1718 – ავიღე მე, ზალ თარხნის-შვილმა, თქვენ სახლთ-უხუცესის ამილბარისაგან, თერთმეტი თუმანი თეთრი... მომიცია ამის გირაოთ: გუდალეთს ნიკოდიმე თავის მამულითა, წინარეჯს ლეკიშვილები თავისის მამულითა, ახალაქალაქს ყანდურალაშვილი თავის მამულითა (ქსძ, VIII, გვ. 875).

გუდალეთი 1780 – იხ. ჯავახეთი

გუდალისი – იხ. გუდელისი

გუდამაყარი. ქართლი

გუდამაყარი 1071-1080 – იხ. ზნაკვა

გუდამაყარი 1732 – იხ. თრუსო

გუდამაყარი 1746 – იხ. ანანური

გუდამაყარი 1774 – იხ. ქსანი

გუდამაყარი 1779 – იხ. სტეფანწმინდა

გუდამაყარი 1781 – იხ. პაელეური

გუდამაყარი 1781 — იხ. ქსანი

გუდამაყარი 1781 — იხ. წკერე

გუდარეხი // გუდარეჯი. ქვემო ქართლი

გუდარეხი 1537-1538 — იხ. დმანისის ციხე

გუდარეხი 1543 — იხ. სხალნარი

გუდარეხი 1653 — იხ. ბედენი

გუდარეხი 1660 — იხ. ღორისთავი

გუდარეხი 1699 — იხ. მანგლისი

გუდარეხი 1712-1714 — ამას წინათ ერთობაში გერმანოზიშვილს გუგუნას და იასეს თავის ძმის დომენტისათვინ თავის მამულიდამვე, სანამდინ [დომენტი] ცოცხალი იყოს, ეს მამული სამუდამოთ დაენებებინათ: გუდარეხს შოშიტა, კომლი ერთი... ვარხვნალას მამასახლისი ერთი... (სს, I, 1899, გვ. 352).

გუდარეხი 1768 — იხ. ღორისთავი

გუდარეხი 1789 — ... საქართველოს უფლისწული მეფის ძე გიორგი, ვამტკიცებ. რომ დღეის იქით არას ზარიძეებს ამ გოგოჭურებთან ამ გუდარეხზე სადაო არაფერი არა აქვსთ რა. დარჩათ ეს გუდარეხი გოგოჭურებს თავისის მთითა და ბარით; თავს ტბასთან რომ გორა არის, იქამდინ, ქვემო ბოლო ალმანიას მიჯნამდის, ერთი გვერდი დულუზაურთ ნასახლარამდის, მეორე გვერდი ბეშახევამდის... (ქსძ, V, გვ. 452).

გუდარეხის მონასტერი. ქვემო ქართლი

გუდარეხის მონასტერი 1586 — იხ. ჩინჩხორი

გუდარეხის მონასტერი 1600 — ჩვენ, მეფეთ მეფემან პატრონმა ლუარსაბ, მიევედით მონასტერსა შინა გუდარეჯსასა... პატრონის დედოფალთ დედოფლის რუსუდანის აღშენებული იყო, თავისდა სასაფლაოდ ნდომოდა... რადგან მათი საფლავი ვიხილეთ, ჩვენც ... შემოგწირეთ წმინდას და დედასა მღთისმშობლისასა გუდარეჯსასა ხუთი თუმანი თეთრი... მისდა გარდა სოფელი ბედნის პირსა ვერხუნალა სამართლიანის სამძღრითა, ... და მათდა გარეთა ალგეთის პირს ზედა სამი კომლი კაცი ხოფის, თავისის მამულითა... წყარო რომ დის, რასაც ის ჩაიტანს, ჭევამდისინ, რასაც ჭევი ჩაიტანს, ალგეთამდისინ, ცორვეთის ჭევამდისინ, მის გარდას წყარ-წყარო რომ გადიტანს, მანამდისინ მოგვიცემია სათარხნე, არა ფერი სათხოვარი ჩვენგანი არა გეთხოებოდეს-რა ... ლაშქარ-ნადირობის მეტი... (სს, I, 1899, გვ. 372-373).

გუდარეხის მონასტერი 1612-1659 — [შეწირულობის წიგნი თეიმურაზ I-ისა]: ... მონასტერსა ამას წმიდასა ღთისმშობელსა გუდარეჯისასა ... შემოგწირეთ ამოვარდნილის უნდილაძის არსენისა და აბელის წილი, აბელის სოფლის მონაჭარი ბოლო საკვამლო, ხოფის წყარო რომა დის, რასაც რომე წყარო ჩაიტანს, მდაბლა ჭევამდის, რასაც ჭევი ჩაიტანს ქვედა ალგეთამდის, აქეთ ცოვრეთის ჭევამდის, მისის სამართლიანის სამზღურითა, რაც მათ შუა მიწა-წყალი არის, სამი საკვამლო მისის მოსახლით... (სს, I, 1899, გვ. 373-375).

გუდარეხის მონასტერი 1612-1659 – იხ. ხოფისი

გუდარეხის მონასტერი 1630 – იხ. ვერხვნალა

გუდარეხის მონასტერი 1643 – იხ. საბარათაშვილო

გუდარეხის მონასტერი 1662-1663 – იხ. ვერხვნალა

გუდელისი // გუდალისი. ქვემო ქართლი

გუდელისი 1581 – იხ. ქალაქის პირი

გუდელისი 1712 – იხ. ანდრია

გუდელისი 1746 – იხ. მარტყოფი

გუდელისი 1774 – იხ. ქსანი

გუდელისი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

გუდელისი 1793-1795 – იხ. საყაფლანისშვილო

გუელდესი – იხ. გველდესი

გულაური ჭალა. ჯავახეთი

გულაური ჭალა XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

გულაშარშნი. ჯავახეთი

გულაშარშნი XIII ს. – იხ. ვანისქვაბები

გულგულა. კახეთი

გულგულა 1716 – ჩვენ, მეფეთ-მეფემან იმამყულინ მოკითხული ექენით და გულგულას ხახულისა მღთისმშობლის ყმათ ძველათაც ქორი არა სდებოდათ, ... და ... ამ გულგულელთ საჩვენო ქორი აღარ ეთხოებოდეს ჩვენგან ... და ... არც არტოზნელთ (დსსი, I, გვ. 387-388).

გულგულა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

გულგულა 1746 – იხ. მარტყოფი

გულგულა 1774-1798 – [მორიგეში გამსვლელთა სიები]: გულგულიდამ ნაცვალი კოლელიშვილი გიორგი... დასკლის ყმა გიორგი... ბერძნის ყმა ბეჟანა... ხიზანი ჭილუტელი შერმაზანი... არტოზნიდამ ღვთისმშობლის ყმა ხუციშვილი თამაზა... მდივნის ყმა მჩითავიშვილი პაპა... მდივანი დავით. არტოზნიდამ ამისივე მსახური კონდოლიდამ რუსიშვილი მათე ... სომხითის მელიქის ყმა ბახუტა... ფეიქარი ბასილა მელიქ ავეტიქას ყმა... მდივნიშვილი ნინია... ამისივ ხიზანი კისისჭეიდამ მებაღე ზაქარია... ოთარ მდივნის ყმა კონდოლელი პაელიაური... ღვთისმშობლის ყმა იყალთოელი იენოქაშვილი გოგია... (სეიძ, II, გვ. 131-136).

გულგულა 1775 – [არზა მამაჯანა სულხანაშვილისა] ჯერ ოსმალობა არ ყოფილა, რომ მამაჩემი კახეთს ჩამოსულა, აქ-იქ სოფლებში ყოფილა. მეც აქა ვარ დაბადებული. და ეს ოცი წელიწადია, რაც გულგულაში ვდგევარ. და ახლა მელიქის შვილები აყრას მიპირებენ... მე, ... დავით კანდელაკმა ეს ასე ვიცი: ... ამ არზის პატრონი ... ბერთუბანი რომ წახდა, აიყარა და კახეთს წამოვიდა... (ქსძ, VII, გვ. 317-318).

გულგულა 1775 – ბაქრაძე თამაზას თავისი მეზობლები მერელნი საჭნავს მიწაზედ ედაებოდნენ: გულგულას იქიდამ, დიდ ღელეს გაღმა, ნასაძროხლის თავს, ამ მიწას თავს საახატლო შარა გაუვლის, ბოლოს – საალავერდო. ამ მიწაზე დაობდენ მერელები... ბაქრაძე ამას უპასუხებდა: ეს მიწა ბატონის ჩოლაყაშვილის დიდის ნიკოლაოზ ალავერდლისაგან მაქვს ნაბოძები... ამ მიწასთან აღარც მერელთ აქვს სიტყვა და აღარც მერის წინამძღვარს, რომ მკვიდრი ბაქრაძისა შეიქნა... (ქსძ, IV, გვ. 680).

გულგულა 1779 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ... მოძღვართ-მოძღვარს ნიკოლოზოს და ერთობით გულგულელთა. მერე ბატონი ჩვენი მოძღვართ-მოძღვარი იმერეთს რომ გახლდათ, იმ წელიწადს მგალობლის შვილებს ჩვენს მამულში ფაცერი ჩაედგათ თქუენი... მდივანბეგთან ვიჩივლეთ. ალავერდელს გუჯარი და აზნაურშვილები სთხოვეს – ამათი გუჯარი და თქვენი შევაყაროთო და ისრე გავარჩიოთო... წელს მოვიდნენ და თითქმის გულგულის ბოლო გასაშუალეს და ჩადგეს... ფაცრის შემოსწერიე მამულსაც გვართმევენ... [განჩინება] ... სადამდისინაც სამძღვარს ან ხახულის ღმრთისმშობლის გუჯარმა და ან წმიდის გიორგის გუჯარმა გარჩევით და სამძღვრის დანიშენით აღმოაჩინონ თავ-თავიანთი მამულები, სამართალი მაგ სახით მიეცემათ... (ქსძ, VII, გვ. 457-458).

გულგულა 1780 – ... [ზაალ გურამიშვილის] კაცი პეტრე, გულგულას გახლდათ, იქიდამ ავჭყარე, აქ ავჭალას მოვიყუანე ცოლ-შვილით... თურმე იმ ჩემმა კაცმა თავის მოყუარე გააძრახა, გამოგზავნა ავჭალას, იმ ჩემი კაცის ცოლ-შვილი ავჭალიდამ დაიპარა და კახეთს წაასხა. შევიტყე, გამოუდექ, მანამ გულგულას მივიდოდი, აყრილიყო და ნაფარაულში გასულიყო... (ქსძ, VII, გვ. 461-462).

გულგულა 1788 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს ... მოძღვართ-მოძღვარს ნიკოლოზს და სულ ერთობით გულგულელთა. ქორონიკონს უდე ... ჩვენს ჴელმწიფეს მგალობლისშვილებისათვის ოქმი ებოძა: საცა ამჯობინოთ, ფაცერი ჩადგითო. იმ ჟამად მოძღვართმოძღვარი იმერეთს გახლდათ. მოიტანეს ფაცერი მგალობლის შვილებმა და ეკლესიის მამულში ჩადგეს ჩვენშია... განა თუ თეზის სანადიროზედ არის ეს დავა, იმას შემოსწერიე მამულს გვართმევენ და კიდეც წაგვართვეს, რომ ტახტის სოფელს ნადგომს თათრებს, ახლა რომ ახატელში დგანან, იმათ საღალეთ მისცეს, რომ პურის მაგიერათ თეთრს ართმევენ... ჩვენ ფაცერს არ ვდაობთ ... ოღონდ მამულს ნუ წაგვართმევთ. გულგულის ფაცერი მიირთვით გამართულ სამართლამდინ... ახატელელთ ესეც ეყოფათ, რაც მღვთისმშობლის მამული არტეაზნის ბოლოს რომ სჭამენ, რომ წაერთმევიათ... [დარეჯან დედოფლის ოქმი]: უნდა ... [ალავერდის] წმინდის გიორგის გუჯარიც დაიბაროთ და ... მოძღუართ-მოძღუარს ნიკოლოზსაც ხახულისა მღთისმშობლის გუჯარი და ... [რომელი გუჯარიც] აცხადებსო გარჩევით ... მამულები სამართლით იმ სახით მიეცით (ქსძ, VII, გვ. 782-784).

გულგულა 1789 – მოძღვართ-მოძღვარს ნიკოლოზს და ერთობით გულგულელთ [მგალობლიშვილებზე] ეჩიველათ მის სიმაღლეს მეფესთან... მათი

უმაღლესობას ... კახეთის მოსამართლეთათვის ებრძანებინა ოქმით: ერთობით საყდრიელნი დაეპარეთ, წმინდის გიორგის გუჯარი მოატანინეთო; მოძღვართ-მოძღვარს ხახულისა ღმრთისმშობლის გუჯარი მიატანინეთო და, როგორც იმ გუჯრებმა გასამძღროსო, ისე გააშველეთო... (ქსძ, V, გვ. 483-484).

გულგულა 1793 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს გულგულაში მსახლობელს მაისურაძეს... თქვენგან ვართ შეწირულნი და აზატს კაცისაგან ორის დღის მიწა მიყიდნია... ეს სავენახე და სასახლე მიყიდნია... და თუ ძმათაშვილის მამული ან სასხლავი ან სახნავი ... მოგვეცემა, იმით თქვენს სამსახურსაც შევიძლებ და ეკლესიის სამსახურსაცა... თელავს ... ეს არზა მამირთმევია, უპასუხოთ ნუ გამიშვებთ... [დარეჯან დედოფლის ბრძანება] ერთობლივ გუგლგულელნო ღმრთისმშობლის ყმანო და მოჯანო! ... დაეხსენით, სანამ მამულს მისცემენ ამას... (ქსძ, VIII, გვ. 230-231).

გულგულა 1794 – ღმერთმან ... საქართველოს პატრიარხის ჭირი მოსცეთ ერთობით გულგულელთა. ნიადაგ მგალობლისშვილებისაგან შფოთისაგან ილაჯი არა გვაქვს ფაცრის თაობაზედა. ზენონ ალავერდელი გახლდათ, ... შემდგომ იმისსა ხარჭაშნელი გახლდათ, ... ნიკოლოზ ალავერდელი იყო ... და არც ... იკადრეს სამართალში მოსულიყვნენ... და ქვეყანასა ჩვენს სამკვიდროს მამულებსა და მიჯნას გარდახდომით გვედავებიან ხახულისა ღმრთისმშობლის მამულსა და საფაცრესა... [კათალიკოზის ბრძანება] სახლთხუცესო გლახავ და მდივანო დავით! ... სამართალში თქვენც ჩამოდით, ახატლის გუჯარიც ჩამოიოტანეთ (ქსძ, VIII, გვ. 311).

გულგულა 1797 – [არზა ბიქტორ ბერისა დარეჯან დედოფლისადმი] ... სამი მსახური გახლავს ეკლესიას გულგულიდამ... სოფელი ძალათ აღებინებენ ხარჯს... [დარეჯან დედოფლის ბრძანება] გულგულის ნაცვალო და ერთობლივ გულგულელნო! ... რადგან ... მაგ სოფლიდამ ხახულის მღვთისმშობლის ... ეკლესიას განწესებული ... არიან, ამათ სასოფლოს ხარჯში ვერ გარევეთ (ქსძ, VIII, გვ. 405-406).

გულგულა 1800 – იხ. ვარდისუბანი

გულეული. ქვემო ქართლი

გულეული 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

გულეული XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

გულველისკარი // გულერისკარი. სამეგრელო

გულვერისკარი 1616-1639 – იხ. ხაუქელი

გულერის კარი 1628 – იხ. ღალიძგა

გულიასეული სასახლე. შიდა ქართლი

გულიასეული სასახლე 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

გულიაური ვენახი. შიდა ქართლი

გულიაური ვენახი 1419 – იხ. გორი

გულიაური ვენახი 1447 – იხ. მცხეთა

გულიდა. სვანეთი

გულიდა XV ს. — ... მთავარანგელოზისა გულიდასა და ახალშენისა ღმრთისმშობლისა თაუზდებობითა ... მე, კუჭასიძემან მიქაელ ... შევწირეთ უფნაშის მონასტერი სეტისა მთავარმოწამესა მისითა შესაელითა ყოველით ... რაიცა მთავარმოწამისათვის შემომიწირაუს, თქუენ ჭეუსა დაგრჩომოდეს ბალს ზემოცა და ატკვერს ქვემოთაცა... (სწძ, I, გვ. 119-120.).

გულიდა XV ს. — იხ. ლალვარი

გულისთავი. ლეჩხუმი

გულისთავი 1758-1765 — იხ. საირმე

გულუხეთი. სამეგრელო

გულუხეთი 1753 — ... მარტვირის ღმრთისმშობელო... მე, ... დადიანის ბეჟანის ძემან ... ჭყონდიდელ მიტროპოლიტმან გაბრიელ ... ეგე შესაწირავი ძღვნად მოგიძღვენ ასე რომ: გულუხეთს[90] ... სანთლის ბეგარა ... დავადეითო... ურმოული ღომი გარდავიღეთ და ... სანთელი და ... საკმეველი დავადევით ... და ... ღორის ბეგარა დავადევით. ამას გარეთ კიდევ რობას სამი გლეხი ... ესახლენ, მაგრამ მიქელაძებმან არ დააყენეს და წამოვიყვანეთ და გამოღმა კოდორს დავასახლეთ ... და მარჩილის სანთელი თქვენის საყდრისათვინ დავადევით და თითო რუბის სანთელი სუჯუნის საყდრისათვინ. ამ რობელი კაცების დავთარი სუჯუნასაც დაგვიძს (ქსძ, III, გვ. 836-837).

გუნანეთი. ქვემო ქართლი

გუნანეთი 1711-1714 — იხ. წერაქვი

გუნანეთი 1713 — [ბარათაშვილების გაყრის წიგნი]: ერთ წილათ გუნანეთს მახვილაძე დათუნა გუნანეთის მესამედის საუფროსოთ ამოიღო ამილღაბარმა... [ერგო ამილღაბარს]: მოლავს ერთ წილათ აზნაურშვილი ოთარი ბერძნიშვილი, თავისის ყმითა და მამულით... ერთ წილად ვარხუნას ალუა, ამაზედ აძეს ვაკეს მიქელას მამული... ერთ წილათ მარიამს მჭედლისშვილი მაზია... ერთ წილათ ერტის ფერუმაშვილი ბერუა... ერთ წილათ აკურის ამბალაშვილი ზურაბა... ერთ წილათ ტბისს ჯოშვილი ნასყიდა ბერიას მამულითა... ერთ წილათ აზიკვს პეტრიაშვილი გიორგი... ერთ წილათ ამლივს დათუაშვილი ოსიყმე. ამაზედ აძეს ფარსიღაშვილის ნაფუძვარი... ერთ წილათ ანდრიას ხეჩატურაშვილი პაპუა... ერთ წილათ ღოლოენას გიორგი ხარაზისშვილი... ერთ წილათ ელფიას ხატია მოლოდინაშვილი... ერთ წილათ დვალთას ჩანთაძე ხოსია... ერთ წილათ ვანქს აღბაბა... ერთ წილათ ქოთიშს სუთიაშვილი აბრამა... ერთ წილათ ერდოთს თორელა... ერთ წილათ ერწოს პაპუასშვილი თამაზა... ამოიღო საუფროსოთ ამილღაბარმა დიდებას რევანდაშვილი სეხნია... ბეთენიას ოთარიშვილი ჯვარისა... წერაქვს სეხუაშვილი ევანეზე...(სს, I, 1899, გვ. 363-367).

გუნანეთი 1713 — იხ. ღოლოენა

გუნდეთი. იმერეთი

---

[90] გულუხეეთს (დსსს, II, გვ. 2).

გუნდეთი 1763 – [საუდეო წიგნი სვიმონ წერეთლისა მღვდელ სვიმონ წერეთლისადმი] ... ჩვენ და თქვენ ... სამოსახლოსა და მამულზედ ... ვდეობდით. და მოურავს აბდუშელისშვილთან გიორგისთან და ჩვენის ხელმწიფის სვერის მეციხუანთან ვილაპარაკეთ, და გაგვარიგეს, და დაგანებეთ გუნდეთს სამოსახლო ნახევარი მთითა და ბარით... უსახელოს გამსახურდი პაპიძისოული ... მათის მთითა და ბარით... არის ამისი მოწამე და გამრიგე: სვერის მოურავი აბდუშელიშვილი გიორგი, ... მეციხუანი სვერის აბესაძე მამუკელა... (იდის გვ. 107).

გურგალჭალა. კახეთი

გურგალჭალა 1701 – იხ. ნაპანკისევი

გურია.

გურია 1503 – იხ. რაჭა

გურია 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

გურია 1569 – იხ. ხოფი

გურია 1572 – იხ. შემოქმედი

გურია XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

გურია 1616-1639 – იხ. ხაუქელი

გურია 1650-1658 – [წერილი მართა მონაზვნისა აფხაზეთის კათალიკოზს გრიგოლისადმი] ... ვინც ბატონები იყოს ან გურიას, ან ოდიშ, ან იმერეთ და ქართლით, პირობა დასდევით, და ამგვარად კრება და ვეზირობა ქნით [სტანბოლს], თუ იერუსოლიმი დაგეკარგვიან, რასღა სჯული ... გექნებათ... (სს, I, 1920, გვ. 39).

გურია 1657-1660 – იხ. აკეთი

გურია 1658-1660 – იხ. ოდიში

გურია 1660 – იხ. აჭი

გურია 1660-1662 – იხ. ძიმითი

გურია 1664 – [შეწირულების განახლების წიგნი გიორგი გურიელისა] – დადიანსა ვამეყს ... გურიას ჩვენი საყდარი კვირიკე წმიდა შემოეწირა ბიჭვინტისა ღმრთისმშობლისათვის ... გლეხებითა და მამულითა. და აწ ჩვენ გაგვიახლებია და ... შემოგვიწირავს ბიჭვინტისა ღმრთისმშობელო წმიდის კვირიკეს საყდარი ძიმითისა... (ქსძ, VI, გვ. 675).

გურია XVII ს. – იხ. სენაკი

გურია 1696-1742 – იხ. იმერეთი

გურია 1708 – იხ. ბოლნისი

გურია 1733 – იხ. ბარისთავი

გურია 1739 – იხ. მამათი

გურია XVIII ს. I ნახ. – იხ. ჩოჩხათი

გურია 1760 – ... საფიცარი დაგიწერეთ ... აფხაზეთის კათალიკოზსა უფალსა ბესარიონს ჩუენ, გურიელმან ბატონმა მამია... მეფე სოლომონმან

შემოკრიბნა ... ყოველნივე ლიხთ-ამერისა ... კრებული... [და] ჩვენც ... მოგვირთმევია ესე ... პირობა: რაც ჩუენს ქუეყანაშიდ გურიას საკათალიკოზო ბიჭვინტისა ღმრთისმშობლის შეწირული ყმა ჩუენს საბრძანებელშიდ შენის ხატის ყმა იყოს ... ძალით ჩვენ შენის ხატის ყმას არაფერის უსამართლობა არ უყოთ (ქსძ, VI, გვ. 716-717).

გურია 1767 – ... ვეზირი ასან-ფაშა ... გიბძანება შენა, გურიის ერისთავს ზაალს... რაც მამიას მამიშენისთვის მამული უბოძებია, ვანის ქედი, ოქროს ქედი, ხარული, ჯუმათის შემავალი შუხუფი, ყველა ... გვიბოძებია... (სს, II, გვ. 520-521).

გურია 1770 – იხ. ბიჭვინტა

გურია 1777 – ... ესე ... წიგნი მოგართვი მე, თავდგირიძემ მამუკამ, თქვენ ... კათალიკოზს მაქსიმეს, გენათელ მიტროპოლიტს ეფთვიმის, შემოქმედელს იოსებს, ჯუმათელს სიმონს, ხინოწმინდელს იოანეს... გურიის ქვეყანას ეპისკოპოსი არვინ იჯდა... გურიელის გიორგისთან მობძანდით თქვენის კრებულით... მორჩილ ექმნა ბძანებასა თქვენსა და ეპისკოპოსები – შემოქმედელი და ჯუმათელი ორივ დაადგინა და ეკლესიებს თვისი მამულიც უკლებლად დაანება... ჩვენც გვიბძანეთ და დაგველაპარაკეთ ხინოწმიდლის მამულზედ, მარა იმ ჟამად ჩვენი მამულიც და სახინოწმიდლოც თათრისაგან დამძლავრებულიყო... არ შეიძლებოდა, რომ ხინოწმინდელს თავისი ეკლესია და მამული დაეპყრა... აწ თუ ღმერთმან წყალობა ჰყოს და ... თათრის მონებისაგან ჩვენი ქვეყანა გამოიხსნას ... რომელიც ხინოწმიდლის მამული ან სამწყსო იყოს, სრულებით ყოველივე უცილოდ დავანებო... კაცთაგან ამისი მოწამე სრულებით გურიის დიდებულნი... (დსსს, II, გვ. 62).

გურია 1789 – იხ. ახალციხე

გურიანთა. გურია

გურია ნთა 1689-1717 – იხ. მაკვანეთი

გურიული მამული 1500-1516 – იხ. აწყური

გურნა. იმერეთი

გურნა 1659 – იხ. რველი

გურნა 1660 ახლო – იხ. ნოღა

გურნა 1787 – იხ. სვერი

გურჯაანი // გურჯანი. კახეთი

გურჯაანი 1722 – იხ. მარტყოფი

გურჯაანი 1737 – ... ჩვენ ... მეფემ თეიმურაზ ... შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ, გურჯაანელს თამაზის ყმას ცისკარასშვილს გოგიას ... აზატობის წყალობა... (სს, III, გვ. 449).

გურჯაანი 1757 – იხ. კონდოლი

გურჯაანი 1779 – იხ. კაკაბეთი

გურჯაანი 1779 – იხ. ნავთლუღი

გურჯაანი 1780 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ელისედ მოურავიანთ და ნოდარიშვილებს... თქვენი და სამცხეთო კაცნი კახისუბნელები

ჩვენს სამკვიდროს მამულს შემოგუცილებოდენ გურჯაანში... ლევან მეფეს აქეთისა მეფეთაგან ბოძებული სიგლები გაახელით, და იმათგან მოწყალება მთითა და ბარითა ამ მამულისა ამათით მოგხსენდათ... ჭანდრიხევიც ჩვენი გახლიათ თავიანთის მთითა და ბარითა და გურჯაანში სასაფლაოცა, რომ არა კაცს საქმე არა აქუს (ქსძ, VII, გვ. 476-477).

გურჯაანი 1780 – იხ. კახეთი

გურჯაანი 1786 – იხ. კახეთი

გურჯაანი 1790 – იხ. ახალშენი

გურჯაანი 1792 – [არზა დავით ენდრონიკაშვილისა ერეკლე II-ისადმი] ... გურჯაანში ზანდრისშვილის საკომლო ... [სახლიკაცებმა] წაგვართვეს... თათარი რაც ყმა გვყავს, არც საუფროსო მოგვცეს და ... არც ნახევარი... ზიარს რაფიასშვილის საკომლო ნახევარი ... და არც ის მომცეს... რაც კაჭრეთში საკომლო არის, არც ნახევარი მომცემს და არც საუფროსო (ქსძ, VIII, გვ. 150).

გურჯაანი 1794 – იხ. გვერდისძირი

გურჯაანი 1800 – ... ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... გურჯანელს ენისელთ მოურავის ყმის კახაბრისშვილი დავითისა. კაკაბეთს ობლობით გავიზარდე. ერთ წელიწადსაც ბიძაჩემთან ნიახურას გახლდი, ყანდიაურის მოურავს ოქმი აელო დავითიშვილს დიმიტრიზე, მოვიდა გურჯაანში, უნდა აიყაროთო, ხარი წამართო. მკვიდრი გურჯანელი გახლავარ, სამართალს გეევედრები... (ქსძ, VIII, გვ. 682-683).

გურჯაანი XVIII ს. II ნახ. – ... გუზლის მამული რომ ქონდათ გასაყოფი, ის მამულიც სამად უნდა გაიყონ პაპუნა მოურავმა, ქაიხოსრომ და დათუამ... სასახლოთ გასაყოფი ბეითალმანი: გურჯაანში ზვერიასშვილს ბეითალმანი... ვეჯინს მთავარშვილის ბეითალმანი... ეს ... საკომლო რისიც მქონებელი იყოს ვენახით, სასახლით, მიწებით – სამთავე საძმოა, სწორედ უნდა გაიყონ... ჩვენ კახეთის მოსამართლებმა ... ამ მოურავიანთ დავა და საჩივარი ასე გავაჩინეთ... (ქსძ, VI, გვ. 245-247).

გურჯაანი XVIII ს. მიწ. – [ქონების ნუსხა ერეკლე II-ისა] ... გურჯაანის ნაცვლის შვილის მორთმეული ხანჯალი, თავ-მოჭედილი... (მსეი, III, გვ. 338).

გურჯი ბოღაზი. ტაო

გურჯი ბოღაზი XVI ს. დასწაყისი – იხ. ყვიბისი

გუფთა // გუბთა. შიდა ქართლი

გუფთა 1725 – იხ. წაკულთა

გუფთა 1736 – ... ჩვენ ... ქართლისა და კახეთის ... მეფემ ალექსანდრემ ... გიბოძეთ ... თქვენ ... მაჩაბელს ... ბორტის ... თქვენი მკვიდრი და ყოელის კაცისაგან უცილებელი მთის ალაგის ოსები გუფთა და ჯავას ხეობა, კოდა და კოშკის ჭალა, რაც თქვენი სამკვიდრო მამული გქონებოდათ და გქონდათ და ზემოთხეისს რაზმაძეები... (დსსი, I, გვ. 255).

გუფთა 1789 – [ბარათი ერეკლე II-ისა] მამასახლისო ზურაბ, გუფთელებს – თორმეტს ოსს – დღეისათეის სამი თუნგი ღვინო, სამი ლიტრა ხორცი ძროხისა და ოთხი ლიტრა ქერი მოეც (МПТСВГ, II, გვ. 128).

გუფთა 1796 – იხ. დირბი
გუშტიბი. იმერეთი
გუშტიბი 1647 – [წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა ეზია იოსელიანისადმი] ... დიდთა ჩვენთა თავადებთაგან ჩვენი ქვეყანა იმერეთი შეწუხებული იყო და დადიანი და გურიელი ბანძას შემომებენ, ურუმის ჯარი თან ახლდათ... შენ ჩვენს წინ ხელი გამოიღე... გიბოძე ჩემი სამკვიდრო მამული და სოფელი გუშტიბი და ... იმ სოფლის მიწა-წყალი გუბის წყალის გამოღმა გუბის ფონს ზეით ყენის წყალის ჩასართავამდის ჩუნეშისა სასაზღურის დაბლა – ამა ზღურების შვა შენთვის გვიბოძებია მიწითა, წყლითა... (დსსი, I, გვ. 473).
გუშტიბი 1660-1690 – ... მე ... წულუკიძემან შემოგწირე შენ ... ბიჭვინტის ღთისმშობელსა ... გუშტიბი ორის კვამლის კაცითა... ეზიას ჭელი არა აქვს რა... ამას გარეთ სამი პარტახი სხვა არის ხატისა, ჩვენ მამუკა ჩხეიძისაგან გვიყიდია... შემიწირავს გუშტიბის სასახლე გლეხებით, მიწა-მამულითა ... რაც გუშტიბის შემავალია მისის ყოვლის ფერის სამართლიანის საქმით და არც არა იოსელიანსა აქვს ამაშიდ ჭელი (დსსს, I, გვ. 82-83).
გუჯაბაური. შიდა ქართლი
გუჯაბაური XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი
გუჯარა. იმერეთი
გუჯარა 1401-1415 – იხ. ულუმბა
გუჯარეთი. ხეობა
გუჯარეთი 1712 – იხ. ურბნისი
გუჯარეთი 1736-1742 – ესე წიგნი მოგეც მე, რევაზაშვილმა პაატამ ... თქვენ, ბატონს ჩვენს მილახვარბაში მერალიბეგს; – ასე რომ, გუჯარეთს თქვენს მამულში ვესახლე და ავიყარე, ჯავახეთს გადავედ. ახლა ისევ თქვენს მამულში ჩამოველ, ცხვარი ჩამოვასხი, თქვენს მამულში დავაყენე. ცოლ-შვილი ისევ ჯავახეთს მყავს. რამ წამს გზა გაიხსნას და მთა გატყდეს, მაშინვე გადმოვიდე (დსსი, I, გვ. 262).
გუჯარეთი 1739 – იხ. ხეობა
გუჯარეთი 1747-1749 – იხ. ძამის ციხე
გუჯარეთი 1770 – იხ. ტფილისი
გუჯარეთი 1780 – იხ. დოესი
გუჯარეთის რუისი – იხ. რუისი
გუჯარეთის სარბიელი – იხ. სარბიელი
გ̃ლეკარი.[91] სამეგრელო
გ̃ლეკარი 1720-1742 – იხ. საჭილაო
გცხინვალი – იხ. ცხინვალი
გძელმინდორი. კახეთი
გძელმინდორი 1779 – იხ. კაკაბეთი

[91] გულველისკარი?

დაბაკნეთი. შიდა ქართლი
დაბაკნეთი XV ს. I ნახევარი – იხ. სამთავისი
დაბაკნეთი 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)
დაბაკნეთი 1781 – იხ. ისროლისხევი
დაბაკნეთი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)
დაბალი საერისთო. არაგვის ხეობა
დაბალი საერისთო 1669 – იხ. წილკანი
დაბახანის ხევი. თბილისი
დაბახანის ხევი 1756 – იხ. მტკვარი
დაბლა საჭყონდიდლო. სამეგრელო
დაბლა საჭყონდიდლო 1760 – იხ. მარტვილი
დაბლა ჭალა. ლეჩხუმი
დაბლა ჭალა 1669 ახლო – იხ. საცაგერლო
დაგერისი – იხ. დგერისი
დადანეთი // დადიანეთი. შიდა ქართლი
დადანეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი
დადანეთი 1774 – იხ. ქსანი
დადანეთი 1781 – იხ. ქსანი
დადაშნელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი
დადვალეთი – იხ. ნადვალევი
დავალთისი. კახეთი
დავალთისი 1579 – იხ. მცხეთა
დავანი – იხ. დვანი
დავითგარეჯა // დავითგარესჯა // დავითგარეჯის უდაბნო// წმინდა დავითი // დავითის უდაბნო // დავითის საფლავი // დავითის მონასტერი. კახეთი
დავითგარეჯა 1479 – იხ. გარეჯა
დავითგარეჯა 1513 – იხ. ხოდაშენი
დავითგარეჯა 1552 – იხ. ვეძისხევი
დავითგარეჯა 1632 – ... [ოყლაყსიშვილ შიოს გიბოძეთ[92]] გამზიასეული მამული საკნავითა, უკნავითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა... გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა და წმიდის დავითის უდაბნოს ერთგულად სამსახურსა ქუეშე... (ქკმეის, გვ. 1).
დავითგარეჯა 1638– იხ. საგარეჯო

[92] საბუთის გამცემის ვინაობა არ ჩანს.

დავითგარეჯა 1648 – იხ. ძმათშვილისეული მამული

დავითგარეჯა 1689 – ჩვენ, ქართლისა ქათალიკოზმან ... იოვანემ გაუჩინეთ გარესჯას წმიდისა დავითის საფლავის მონასტერსა ... პურსა და ღვინოს საგარეჯოდამ მისცემდეთ და სანთელსა და ზეთსა და შულოს ქალაქიდამ (ქსძ, III, გვ. 596).

დავითგარეჯა 1690 – [ბრძანება ნაზარალიხანისა]: ... საგარეჯოს მოურავს ასე მოახსენეთ და მოჴელეებს უამბეთ, რომე წმიდის დავითის ყმები ახლაც ყალათათ წამოგისხამთ. ხანმაც წიგნი უბოძა – ლაშქარობა ამოუკვეთა. წმიდის დავითის საფლავს ხან ლეკი ანჯღლევს და ხან თათარი... დაეხსენით... (ქკმეის, გვ. 12).

დავითგარეჯა 1690 – ჩვენ ... კათოლიკოზმან ... იოვანემ, ამბა ალავერდელმან ნიკოლოზ, ნინოწმიდელ ეფისკოპოზმან არსენ და სრულ ერთობით მიტროპოლიტ-ეფისკოპოზთა, გავარიგეთ უდაბნო დავითგარეჯისა... ჟამთა ვითარებისაგან მოოჴრებულიყო და შენობა აღარ იყო... კახთა მეფედ დადგინებულმან არჩილ კვალად შენობა ჩააგდო, მღდელ-მონოზნები და წინამძღვარი დაუდგინა, წლითიწლად გამოსაზრდელი საზრდო განუჩინა... აწ, ჩვენ ... ბრძანებითა ქართველთ მეფეთ-მეფის ერეკლესითა ... დავადგინეთ ... წინამძღვრად მაჭუტაძე ონოფრე... (ქსძ, III, გვ. 597).

დავითგარეჯა 1692 – [თარხნობის წიგნი ერეკლე მეფისა დავითგარეჯისადმი]: ... ოდეს მოიწინეს უღმთონი ლეკნი საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა, წმიდანი მღვდელმონაზონნი ... მოსრნეს... [და ამის გამო ათარხნებს ყველა გარესჯის მამულებს] (ქრონ, II, გვ. 512).

დავითგარეჯა 1698 – ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარალიხან, შევწირეთ წმიდა დავითის საფლავსა და მონასტერსა ყოველს წელიწადში ჰამასალად თუმანი ოცი... (ქსოის, გვ. 34).

დავითგარეჯა 1700 – [შეწირულების წიგნი ერეკლე I-ისა დავით გარეჯისადმი]: ბედნიერმან ჴელმწიფემ შაჰსულიმან ყაენმან ქართლი რომ გვიბოძა, დავითგარეჯის გარეშემოსა და იათაღებსა ქართუელნი და კახნი ცილობდენ და ჩუენ ერთმანერთის შერიგებისა და ქუეყნის დამშვიდებისათვის იმისი გარეშემო და რაც იათაღები იყო, ცხვრისა თუ ძროხისა, თქუენ, წმიდას დავითს და თქუენს მონასტერს შემოგწირეთ (დწკსსშ, გვ. 99-100).

დავითგარეჯა XVIII ს. დას. – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1704 – იხ. საგარეჯო

დავითგარეჯა 1708 – იხ. მცხეთა

დავითგარეჯა 1711 – ... ჩვენ ... ბატონისშვილმან პატრონმან სვიმონ, შემოგწირეთ ... თქვენ, უდაბნოსა გარეჯისასა, საფლავსა წმიდისა დავითისასა თხუთმეტი თუმანი თეთრი... იმათ [ბერებმა] იმ თეთრით ვენახი იყიდეს და თქვენთვის სამამულოდ დადგეს... (დსეი, გვ. 27).

დავითგარეჯა 1711 ახლო – ... ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, დავითგარესჯის წინამძღვარმა მამა ონოფრემ თქვენ, წმინდის დოდოს წინამძღვარს მამა ზაქარიას... ერთი ძველითგანი გუჯარი–თქვენი და ჩვენის მონასტრის სა-

ერთო, ვიპოვნეთ მეფის ალექსანდრესაგან გაახლებული ჩვენის ჟატისა და თქვენის ტაძრებისა და კიდემ სხვისა... (ქკმეის, გვ. 46).

დავითგარეჯა 1711 ახლო [ბრძანება კონსტანტინე მეფისა]: ... კარის ჩვენის მოჭელებს, სახლთუხუცეს მდივნებს, საგარეჯოს მოურავს, ნაცვალს, ასე უამბეთ, რომე ... წმიდის დავითის ... ყმა ჩვენის ჴელით, დიაღ, ყოველისფრით გათავისუფლებული და აზატნიც ყოფილან. და ახლა ... სარჯელი დაგიწყიათ; და დღეის იქით ნურასფერში ამათზე ჴელი ნუ გაქვსთ.. (ქკმეის, 1903, გვ. 47).

დავითგარეჯა 1722 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1722 – [ბრძანება იმამყული-ხანისა მოხელისადმი]: ... დავითგარეჯის წინამძღვარს ონოფრეს ასე უამბე... ამ ჭერემელის დომენტისათვის ყორჩიბაშისშვილის ყმას, ყულაშვილებს, მამული რომ მიუყიდნია, ეგ მამული შენთვინ მოგვიბარებია.... რადგან ესეც მანდ შენს უდაბნოშია, ეს მამულიც შენ გებარებოდეს... (ქკმეის, გვ. 78).

დავითგარეჯა 1723 – კახეთის მპყრობელმან... კოსტანტინემ... დაგიმტკიცეთ მონასტერსა და საფლავსა წმინდის დავითისასა, რაგვარად ძველიდგანაც... შემოწირულობის გუჯარი ქონდათ... (წმსი, I, გვ. 9-10).

დავითგარეჯა 1725 – [ბრძანება მეფე თეიმურაზისა]: ... საგარეჯოს მოურავს ირემას ასე უანბევით, ამ წმინდის დავითის ყმასთვინ ნოქარი არც ჩვენ შაგვიწერია...ნურც თქვენ გაურევთ ნოქარში... (ქკმეის, 1903, გვ. 89).

დავითგარეჯა 1733 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1751 – ... დავითგარეჯის სასახლე იყო ქალაქში და იმაში ისახბეგ ბატონიშვილი ნაიბი იდგა. ის ვეღარ გამოიყვანეს სასახლიდამე და იმის სამუქმოდ ბატონმა სტამბაში სასახლე გიბოძა [იოვანე ნეკრესელს]. იქ მე [ზურაბ ნახუცრისშვილს] სახლი ამეშენებინა და ხარჯი მექნა. იმ სახლების ხარჯზე გელაპარაკე ... [და] გავრიგდით... (დთი, I, გვ. 230).

დავითგარეჯა 1746 – ... ესე წიგნი მოგართვით ... ნეკრესელ მიტროპოლიტს და დავით გარეჯის მამას იოვანეს, ჩვენ ლომიაშვილებმა... უწინ ჩვენი მამანი ბატონს ჩვენს წინამძღვარს ონოფრეს დაეხსნა, წმინდისა დავითისათვის შეეწირა... ახლა თქვენ დაგვიხსენით და ჩვენი ვალი თქვენ გარდასწყვიტეთ მეორედთ... არის ამისი მოწამე ... ალავერდელი ნიკოლოზ, ქიზიყის მოურავი თამაზ, ენისელთ მოურავი დავით, ნინოწმინდელი საბა, სამებელი იოვანე... (დსეი, გვ. 43-44).

დავითგარეჯა 1751 – იხ. ბოდბე

დავითგარეჯა 1753 – იხ. ქარახპური

დავითგარეჯა 1753 – [წყალობის წიგნი ერეკლე II-ისა და ანტონ I-ისა]: ... ბოდბელ მიტროპოლიტს იოანეს ... გებოძა ჩვენ მიერ ბოდბლობაზედ მრავალმთის გარესჯის წმიდის დავითის მონასტერი საწინამძღვრო... შემდგომნი თქვენი არევთმთავარნი დავით გარესჯისანი მიტრითურთ არქიმანდრიტად ჴელდასმულ იქმნებოდენ... (ქსძ, III, გვ. 835).

დავითგარეჯა 1760 – იხ. ნათლისმცემლის უდაბნო

დავითგარეჯა 1761 – იხ. თვალი

დავითგარეჯა 1771 – იხ. ბერთუბანი

დავითგარეჯა 1771 ახლო – იხ. აკურა

დავითგარეჯა 1772 – იხ. საგარეჯო

დავითგარეჯა 1773 – იხ. ჩობახური

დავითგარეჯა 1773 – [წიგნი ერეკლე II-ისა]: ... დავითგარეჯის არქიმანდრიტ გერმანეს ხელს მთხვევნა მოხსენდეს. მერმე, შენი წიგნი მოგვივიდა და ... მაგ მონასტრის საქმეზე ნინოწმინდელიც აქ გახლავს და საგარეჯოს მოურავიც დავიბარეთ. ღმერთით, რაც ამ ზამთრობით გაეწყობა ან გაკეთდება, ... მუშას ... გავაკეთებინებთ.... მე მაგ მონასტერს არ დავსცლი და არც უკაცოთ გაუშვეფ... (ქკმეის, გვ. 119).

დავითგარეჯა 1778 – იხ. ბალბიანი

დავითგარეჯა 1778 – იხ. დოდოს მონასტერი

დავითგარეჯა 1779 – იხ. დოდოს მონასტერი

დავითგარეჯა 1780 ახლო – ... მე, იესემ და ძმამა ჩემმან ბერმან, ... თავისშემოწირულობის წიგნი მოგართვით თქვენ, წმიდის დავითგარესჯის მონასტრის არხიმანდრიტს გერმანეს... მამა-პაპა ჩვენი კახეთში წასულიყვნენ, აქა-იქ ცხოვრებდენ და ჩვენ ობლები დაგრჩით და წმიდის დავითის საფარველს ქეშ მოვედით ჩვენი თავი შევსწირეთ... აქ აკურის მამულის წყალობა მიყავით და ჩვენც, რომელიც სამსახური იყოს, ისე ვემსახურნეთ... (ქკმეის, გვ. 127).

დავითგარეჯა 1781 – [არზა დავითგარეჯის წინამძღვრისა იოანე აბაშიძის ოქმით] ... დავითგარეჯის პური რომ არის ქოდალს ათი კოდი, ის მოართვი (ქსძ, VII, გვ. 521).

დავითგარეჯა 1781 მისის სიმაღლისათვის მოეკსენებინა მრავალმთის გარესჯის წმიდის დავითის მონასტრის წინამძღვარს თომას: ნაკლულაშვილს მღვდელს ვასილს მონასტრის ნასყიდი მამული უჭირვსო... ნაკლულაშვილს ... წიგნები ქონდა ... ელენე დედოფლის – ... ერთი დღე აღაპი დაედგა, ... დავითგარესჯის უდაბნოს უნდა აღსრულებულიყო... მერმე სხვა წიგნი წარმოადგინა ამ ბასილი მღვდელმან, ასე ეწერა: ესე წიგნი მოგეც მე ბოდბელ მიტროპოლიტმა დავითგარესჯის მამამ იოანე ნაკლულაშვილს, ასე რომ: შენის მამის მამული რომ ჩვენ მოგვყიდე, ლასურაულს უკან რომ მიწა არის, ახლა ვაზი ჩაგეყარა, ... შენი არისო... ქორონიკონს ულთ. სამართლით ეს ნასყიდი მამული წმიდის დავითის მონასტერს დარჩა ნასყიდათ და ლასურაულს უკან რომ მიწა ყოფილა, მიწა მონასტრის მამულია და ნამუშევარი ნაკლულაშვილისა... [ერეკლე II-ის ბრძანება]: წინამძღვარმაც ასე გამოაცხადა ჩვენს წინაშე, რომ: საგარეჯოში ჩვენს სახასო ყმას და უდაბნოს ყმას ერთმანერთში მამულის ყიდვა არ დაეშლებოდესთ. და ჩვენც ამისთვის ვიყაბულეთ... (ქსძ, V, გვ. 164-166).

დავითგარეჯა 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

დავითგარეჯა 1781-1782 – იხ. ქალაქი

დავითგარეჯა 1782 – იხ. კონდოლი

დავითგარეჯა 1782 – მე, არხიმანდრიტს თეოდოსის მისმა სიმაღლემა და მისმა უწმიდესობამა დავითგარესჯის და დოდოს მონასტრის წინამძღვრობა რომ მიბოძეს, მოველ და დოდოს მონასტრის სახასო მიწა ... დავაწერინე. მონასტრის მიწა ბერო ნაზერევში... მონასტრის ხობადუნი აკრიანში; ხოდაბუნი გაუგონარი; ქვიანის ბოლოს მონასტრის მიწა; კიდე მონასტრის მიწა ქვიანში... – მონასტრის მიწა ზერის ბოლოს... (ქკმეის, გვ. 146).

დავითგარეჯა 1786 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1787 – იხ. აკურა

დავითგარეჯა 1789 – იხ. ჩობახური

დავითგარეჯა 1791 – ღმერთმან ... მეფის ჭირი მოსცეს ... დავითგარეჯის მონასტრის ... წინამძღვარს იოაკიმს... მონასტრის ახლო რომ მივა კაცი, ერთი გზა ქვემოთ გველეშაპის ჴევისაკენ შავა მონასტერში და ერთი ზევიდან გადაუვლის. იქ რომ მოსულიყვნენ [ლეკნი], ორათ გაყოფილიყვნენ მისაპარავათ... ამ დროს მე ქისიყს გახლდი ... პურის საღვაწად... (ქსძ, VIII, გვ. 119-120).

დავითგარეჯა 1791 – იხ. საგარეჯო

დავითგარეჯა 1793 – იხ. დოდოს მონასტერი

დავითგარეჯა 1794 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1795 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1797 – იხ. ახურის ბოლო

დავითგარეჯა 1797 – იხ. ვანთა

დავითგარეჯა 1798 – იხ. აკურა

დავითგარეჯა 1799 – იხ. გარეჯა

დავითგარეჯა 1799 – იხ. ჩობახური

დავითგარეჯა 1800 – იხ. საგარეჯო

დავლთას სოფელი[93]. ქვემო ქართლი

დავლთას სოფელი 1780 – ... მე, ზაზუნაშვილმა ბარათამ შენ, გოსტაშაბიშვილს ... ერასტის ... მოგყიდე ჩემს ბარათში ნარგები დავლთას სოფელს კოზმანაშვილის ბერუას მამული, რომელიც მამა-პაპათ ჰქონიათ... (სს, I, 1920, გვ. 149).

დავლიანაული მამული. იმერეთი (?)

დავლიანაული მამული XVII ს. – იხ. იფლენა

დათეფა. კახეთი

დათეფა 1789 – იხ. მარიამჯვარი

დათვის ბოლო. იმერეთი

დათვისბოლო 1684 – იხ. კაცხი

---

[93] დვალთა?

დათვის გველეთი. ხევი

დათვის გველეთი 1794 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის გიორგის ჭირი მოსცეს ერთობლივ გიგაურებს... ყმაც თქვენი ვარ და მამულიც თქვენია, მაგრამ იმ თავითვე დათვის გველეთი და წინაკარი ჩვენი არის, მაგრამ ზურაბ ერისთავმა ჩვენ რომ აგვყარა, ის მამულიც იქავ გაოხრდა. ერთი ობოლი დაგვრჩა, ფშავში გაიზარდა... იმ თავით ამ თავამდინ ამ ობოლთან გაუყრელნი გახლავართ, მამულიც, ხატიც—ყველა საერთო გვაქვს... (ქსძ, VIII, გვ. 292-293).

დაკიდებულა. იმერეთი

დაკიდებულა 1691 – [წყალობის წიგნი პაატა აბაშიძისა მამუკა ორჯონიკიძისადმი] .. საწყლისპიროს წყალობას შემოგვეხვეწნით, და ... გიბოძეთ ჭალისთავს წყალი, საოჩხე და საფიჩხულე, თავს სავანლის მიდგმამდი, ბოლოს შარა რომ ჩამოვა, იმის სწორათ დაკიდებულამდი (სს, II, გვ. 160).

დაკონი. შიდა ქართლი (?)

დაკონი 1392 – იხ. ტფილისი

დალანი იხ. დოლანი

დალეკარა. სვანეთი

დალეკარა XIV ს. II ნახ. – იხ. ლაჰილი

დალი (?). ქვემო ქართლი

დალი 1707 – იხ. მეღრევი

დალიყულიჯანი – იხ. დელუყულიჯანის სოფელი

დამბლუტი. ქვემო ქართლი

დამბლუტი 1776 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს დამბლუტელს ყაფლანისშვილს მზეჭაბუკის ყმას ავაქასშვილს გიორგის... მე კახეთში ხიზნად გახლავარ, ბატონი ჩემი კი არა მყრის, რომ მანდიდამ მემსახურეო. ახლა მელიქის შვილი ავთანდილ მყრის... ბიძა მაგისი ერთი გათათრებული ყოფილა ახალციხეს მყოფი, მოსულა და [ჩემი ოჯახი] ახალციხეს წაუყვანიეართ.... [ფაშას] დაუხსნიეართ და გამოუშვიეართ... გარდმოსულა მამაჩემი ავაქა და პაპუნა ყაფლანისშვილთან მოსულა ყმათა. მას დღეს აქეთ იმისნი ვყოფილვართ და იმათ ნასყიდს სოფელში ვმდგარვართ დამბლუტსა... (ქსძ, VII, გვ. 339).

დამპალა. კახეთი

დამპალა 1579 – იხ. მცხეთა

დამპალა. შიდა ქართლი

დამპალა 1547 – ... ჩუენ, სანასარამან ... თქუენ, ეეციკასა ... მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული მიწა დამპალათ, ფშნის პირსა, ბოლო შარამდისინ, თავი ამირას გოზალბეგათ მიწის ბოლოს... (ქსძ, VIII, გვ. 825).

დამპალა 1565 – იხ. კავთისხევი

დამპალა 1669 – იხ. წილკანი

დამპალა 1711 – იხ. ოქუანთეული მიწა

დამპალა 1745 – იხ. მუხრანი

დამპალა XVIII ს. შუაწლ. – იხ. ქვემო ბაგა

დამპალა 1768 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... მუხრანის ბატონიშვილის იოანეს... თქვენ იასაულად ამირინდო [მუხრანბატონი] გვიბოძეთ, დამპალაში მიწები გაგვიცვალა. ცამეტი წელიწადია, რომ მე მიჭირავს. ახლა მუხრანის ბატონს წაურთმევია და თქვენი ბრძანებაც იყო, მიწები გაყვეს... არც წლეულანდელი ღალა, არც რომ თქვენი ბძანება და ოქმი იყო, არა მამეცა რა... [გთხოვთ] ერთი ოქმი ათა მამულაშვილზე, კვარხელზე არუთინაზე, სულ მუხრანაზე, ყულ პაპაზე, სარკინელს ალექსაზე მიბოძოთ; რაც რომ თქვენგან წყალობა წილი მამცემოდეს ის ამათ მაძლიონ... (ქსძ, VII, გვ. 142-143).

დამპალა 1789 – იხ. ოხპნჯანაანთ შარა

დამპალა 1796 – [ოქმი ერეკლე II-ისა გიორგი ნაზარბეგისშვილის არზაზე]: ... როჭიკაშვილო ნაზირო გლახავ! ... ამის მეურმეს რომ ქალაქის აყრის დროს, ერთის დამპალელის მეურმისათვის ამის საქონელი მიუბარებია და ეხლა ის დამპალელი კაცი აღარ აძლევს სადმე, შენ უნდა ახლავ ამის მეურმე დამპალას წაიყვანო... (ქსძ, VIII, გვ. 367).

დამპალეთი. შიდა ქართლი

დამპალეთი 1712 – იხ. ურბნისი

დამპალისწყალი. კახეთი

დამპალისწყალი 1579 – იხ. მცხეთა

დამპალწყარო. ქვემო ქართლი

დამპალწყარო 1669 – იხ. მაწევნური ხევი

დამჩხერელა. შიდა ქართლი

დამჩხერელა 1730 – ... ჩვენ, ბუნიათისშვილმა ნიკოლოოზ ... თქვენ, ბატონს აბაშიძეს ვახუშტის ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო და ნასისხლი დამჩხერელა: ქვეით ბრბონის სამძღვრის მიდგმამდის, ზეით ბორჯომის მიდგმამდინ, ზეით ზეწნარას წვერამდინ... არის ამისი მოწამე: ... ბრბონელი მცხვედაძე სეხნია... ახალციხელი მღვდელი თევდორე, ახალციხელი ბეზირგანი პაპა, თქვენი აზნაურიშვილი სალთხუცესი სავანელი ზაქარია... (იდ, I, გვ. 58).

დამღალუს წყალი. ქვემო ქართლი

დამღალუს წყალი 1717 – იხ. ოფრეთი

დამცვივანა. იმერეთი

დამცვივანა 1644 – იხ. ქუთაისი

დამწვარკოშკი. შიდა ქართლი

დამწვარკოშკი 1774 – იხ. ღართისკარი

დანათაფა. ქვემო ქართლი (?)

დანათაფა 1787 – [წერილი გიორგი ბატონიშვილისა მიშკარბაშ იოსებთან] ... ეგ ელი აყარე, დანათაფასთან ჩამოიყვანე და დააყენე; ვერცავინ წინ დაგხვდება და ვერცა ვინ უკან მოგეწევა. ნუ გეშინიან, ჩვენ აქ ვდგავართ ჯარით, და გუშინ ქალაქის მოურავი და ამილახვარი მოვიდნენ ჩვენთან ხუთასის ცხენიანის კაცით და დღეს კიდევ ქიზიყის მოურავი არის ორი ათასის კაცით მოსასელელი... (სს, III, გვ. 31).

დანდალო. აჭარა

დანდალო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

დაოთი. კახეთი

დაოთი 1170 – იხ. სხალტბა

დაოთი XII ს. მიწ. – იხ. რაბუნი

დაოთი 1189-1200 – ... ესე დაწერილი ... დაგიწერეთ ... ჩუენ, მღუმისა ლავრისა ყოველმან კრებულმან ... თქუენ, ტოხაჲსძეთა... სამწირეველოჲ გბოძებოდა სიგლითა მკუიდრად კურიკე კახთა მეფისაგან და ჩუენცა მოგეცით ... სამამულოდ და მკუდრად, ამად, რომე თქუენისა გუარისა მოძღუარი ყოფილ-იყო კურიკე კახთა მეფისაჲ, ბასილი ტოხაჲსძე და მას მისითა მოძღურობითა შემოეწირვინა წმიდისა შიოჲსთჳს, რჩეეთ, მთათა შინა დაოთი და ბართა შინა რუეთი. და გაეჩინა მისისა სულისა სამლოცავად ერთი შუძე გლეხი დაოთს – ვაჭშამაჲსძე და რუეთს – უშიშარაჲსძეს ებოძა სამამულოდ მიწა... და გქონდეს ჩუენგანცა შეუვალად.. (ქისკ, I, გვ. 83).

დაოთი XV-XVI სს. – იხ. ახატანი

დაოთი 1781 – იხ. პავლეური

დარბაზი // დარბასი. ქვემო ქართლი

დარბაზი 1392 – იხ. ტფილისი

დარბაზი 1632-1658 – იხ. ფიტარეთი

დარბაზი 1645 – იხ. სომხითი

დარბაზი 1646-1658 – იხ. ჭრეში

დარბაზი 1651-1652 – იხ. ქალაქი

დარბაზი XVII ს-ის II ნახ. – იხ. წრაუთი.

დარბაზი 1687 – იხ. მცხეთა

დარბაზი 1707 – იხ. მეღრევი

დარბაზი 1720 წ. ახლო – იხ. თრიალეთი

დარბაზი 1721 – იხ. ბოლნისის ხევი

დარბაზი 1738 – იხ. აბელია

დარბაზი 1785 – [არზა პაპა ელიარაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ...ღმერთმან დედოფლის ჭირი ელიარაშვილ პაპას მოსცეს.. არზა მოგართვით ჩემი ნავენახარის ბარობაზედ... სომხეთში მრავალ კაცს წიგნები არა აქვსთ, ზოგი ოსმალოსაგან წამხდარა და ზოგი ლეკისაგან და წიგნები დაკარგულა... ის მამული სახასო არ ყოფილა, დარბაზის მამული ყოფილა,

დარბაზელებისაგან ნასყიდი... [მოწმეთა მინაწერებიდან]: „...მოწამე ვარ, ელიარაშვილს იასეს ბოლნის ჭული დარბაზის მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ჰქონდა ვენახი...მოწამე ვარ, შვა ბოლნისის მამული არ არის და დარბაზის არის, თუმანიანთ ყმისაგან ნასყიდი არის ... მოწამე ვარ: ელიარაშვილის იასეს ბოლნის ჭული დარბაზის მამულში თუმანიშვილის ყმისაგან ვენახი ჰქონდა... (ქსძ, III, გვ. 662-663).

დარბაზი // დარბასი. შიდა ქართლი

დარბაზი 1626 – [წყალობის წიგნი სვიმონ II-ისა თაყა თუმანიშვილისადმი] ... მას უამსა, როდის ქართველთ ... ყეენს უორგულეს, ... ჩუენ ქალაქს ციხეშიგ გვიახლენით და ... მისად ჯილდოდ ... გიბოძეთ დარბაზი სამკუიდროთდ ... მისის შესავალ-გასავლითა, მთითა და ბარითა და წყალითა და წისქუილითა და ველითა და ვენაჯითა, საჴნავითა და სათიბითა... (ქსის, გვ. 53)[94].

დარბაზი 1653-1658 – იხ. ხელთუბანი

დარბაზი 1719 – ... ესე წიგნი მოგეც მე ... შატბერაშვილმან გასპარამა ... შენ, თუმანიშვილს ზაალსა. ასე რომე, დარბაზელი თქვენი ყმის, გოგიაშვილი დათოასაგან ჭალის პირს ცოტაოდენი მიწა ვიყიდე, ჩვენს ვენახს შეერთევ. ჩემის ნება-წადილობით კულუხი დავიდევ, რომე წელიწადში ერთი ბატონის ტკბილი კულუხი მოგაბარო ყოველს სთველზე... (დსსი, I, გვ. 182).

დარბაზი 1750 – იხ. თორმანეული

დარბაზი 1780 – ... საქართველოს კათალიკოზ-პატრიარხმან ... ანტონი ... წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენის ეკლესიის აზნაურშვილთ თაზიშვილებს... რადგან მისმა სიმაღლემ ჩვენმა ძმამ ინება სვიმონის [თაზისვილის] სამცხეთოში შემოყვანა და საჴელოს ბოძება, ჩვენცა ... გიბოძეთ ჩვენის სოფლის დარბაზის მოურაობა, რადგან ის სოფელი ვერანა არის, უნდა გაისარჯოთ და ააშენოთ... (ქსძ, III, გვ. 934-935).

დარბაზი 1798 ახლო – იხ. მარაბდა

დარბასჭალა. ქვემო ქართლი

დარბასჭალა 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

დარიელას ციხე. ხევი

დარიელას ციხე 1780 – [წერილი ერეკლე II-ისა მოზდოკის კომენდატისადმი]: ... რომელიც ოსეთის გზის საქმეზე თადარიგი გებძანათ ... ჩვენც მოგვეწონა... დარიელას ციხე, რომელიც ჩვენის ქვეყნისა და ოსეთის საზღვარი არის, რომ ამ ადგილიდამ ჩიმი რვა ვერსი თუ იქნება. ჩვენ ამ ხსენებულს ციხეში რამდენსამე ჯარს დავაყენებთ. როცა მანდედამ ქარავანი წამოვიდეს, რომ თქვენ იმას ჯარი გამოატანოთ. ისინი ჩიმს აქეთ ოთხს ვერსზე მოჰყვნენ, ამ დარიელას ციხეში მდგომნი ჩვენი ჯარისკაცები, ოთხს ვერსზე ესენი მოეგებებიან და იქ იმ ჩვენს კაცთ მოაბარონ ხოლმე; და აგრეევე აქედამ, როცა ქარავანი წამომსვლელი შეიქმნება, ხევს რომ გი-

[94] ... სომხითს დამოკიდებული სოფელი პატარა დარბაზი... (ქსის, გვ. 55).

ახლებიან, თქვენ კაცს გაახლებენ. მანდედამ თქვენ რომ ჯარი უბოძოთ, ისინი ჩიმს აქეთ ოთხს ვერსზე მოვიდნენ ხოლმე. აქედამ ზემოხსენებულს ციხეში მდგომნი ჩვენი ჯარისკაცნი გამოჰყვებიან და თქვენს ჯარს მოაბარებენ... ჩიმს თქვენი გარნიზონი მუდმათ რომ იდგეს, დიდად გვემჯობინება... ცარევიჩის ბაქარის შვილი ალექსანდრე ... იმერეთში მოვიდა და იქ ბევრს რუსეთის უკადრისს სიტყვებს ლაპარაკობს სადმე... (МПГСВГ, I, გვ. 48).

დარუბანდი. ქვემო ქართლი

დარუბანდი 1792 – იხ. ირაგა

დარჩელი. სამეგრელო. ოდიში

დარჩელი 1616-1621 – იხ. საგენათლო

დარჩელი 1616-1621 – იხ. ცაიში

დარჩიას წყარო. იმერეთი

დარჩიას წყარო 1797 – იხ. საზანო

დარჩიეთი. კახეთი

დარჩიეთი 1757 – იხ. კონდოლი

დარჩიეთი 1775 – იხ. ფხოველი

დარჩიელი – იხ. დარჩელი

დასტუბანდი. ქვემო ქართლი

დასტუბანდი 1623 – იხ. ვარაპეტის სოფელი

დასწყარო. შიდა ქართლი

დასწყარო XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

დაქცეული საყდრის შარა. შიდა ქართლი

დაქცეული საყდრის შარა 1790 – იხ. გორი

დაფაქუთა. იმერეთი (?)

დაფაქუთა 1455-1510 – იხ. ველეფა

დაღა // დაღეთი. ქვემო ქართლი

დაღა 1704 – ...ჩვენ, ქვემო ციცისშვილმან მანუჩარ ... მოგეცით თქვენ, თუმანისშვილს გიეს ... ჩვენი ყმა დაღელი ხურო ოსია წატურასშვილი თავისის ცოლ-შვილითა... (დსსი, I, გვ. 126).

დაღა 1713 – ... მე, დეესპაზ, თქვენ, მდივანბეგის ქალსა ბატონსა გუქასა ... მოგყიდე დაღაზედ ჩემის ყმისა თამაზაშვილის კერძი მიწა ალგეთის პირამდის... (სს, I, 1920, გვ. 79-80).

დაღარულა. შიდა ქართლი

დაღარულა 1701-1703 – იხ. მძოერეთი

დაღისტნის მთა 1783 – იხ. ბელაქანი

დახაპალა. ქვემო ქართლი

დახაპალა 1751 – იხ. ახალშენი

დახატულა. შავშეთი

დახატულა XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

დბაგი. ქვემო ქართლი (?)

დბაგი 1724 – ხუნასშვილს ერტიშვილს პეტრეს მიუყიდია გოსტაშაბისშვილის ამილღაბარისთვის ... დბაგს ადგილი... (სს, I, 1899, გვ. 89).

დბონა. შიდა ქართლი

დბონა 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

დგვრისი // დაგვრისი. შიდა ქართლი

დგვრისი 1712 – იხ. ურბნისი

დგვრისი 1772 – იხ. ხეობა

დგვრისი 1777 – იხ. კუსირეთი

დგვრისი 1781 – იხ. ცხინვალი

დგვრისი 1784 – პეტრე და ივანე ჩიოდნენ: დაგვრისელი მეკარვისშვილები ვართ და გოგნიაშვილები ... ყმობით ... გვეჭიდებიან. ჩვენ ... ვართ ... ფავლენისშვილის ბერისა ... ყმანიო... [განჩინება]: ამ პეტრესა და ივანეს მამას ძველთაგანვე უვლია, ხან ამილახორის მამულში კარბს მდგარა, ხან კათალიკოსის ყმობა უთქვამს... გოგნიაშვილს ... ლაჩინას ჩვენგან ოქმი აუღია, აუყრია ... და საღალურში დაუსახლებია... გოგნიაშვილებიც ... ამას ამბობდნენ: როდესაც მამაჩვენი მეფის ვახტანგის დროს ... კახეთიდამ აყრილა და ქართლს გადასულა, ამათი მამა ... მსახურათ თან ხლებიაო... (ქსძ, V, გვ. 259-260).

დგვრისი 1785 – იხ. ქემერტი

დგვრისი 1795 ახლო – იხ. ერედვი

დგვრისი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

დგიმი. შიდა ქართლი

დგიმიXV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

დეგოთი // დეგოთისთავი. შიდა ქართლი

დეგოთი 1796 – იხ. რუისი

დედაჯანი. კახეთი

დედაჯანი 1758 – იხ. საბუე

დედისფერული. კახეთი

დედისფერული 1785 – იხ. მარილისი

დედოფლის რუ. შიდა ქართლი (?)

დედოფლის რუ 1692 – ... მე, ფიფინაშვილებმა ზაქარიემა ... თქვენ, ბერძნიშვილს არდაშელს ... მოგყიდეთ ჩვენი ... ნასყიდი მიწა დედოფლის რუზე, მიწა შლაპიშვილისეული... არის ამისი მოწამე ... შინდისის მოურავი ... და სულ ერთობით შინდელნი... ესე მიწა ზეით თაეს ნერგითა, რუთა ბოლომდი გვერდი კახიშვილის მიწის მიდგამდი (დსსი, I, გვ. 90-91).

დედოფლის წისქვილნი. კახეთი

დედოფლის წისქვილნი 1579 – იხ. მცხეთა
დედოფლისწყარო // დედოფლისწყარი. კახეთი
დედოფლისწყარო 1740 – იხ. ყარაღაჯის ციხე
დედოფლისწყარო 1785 – იხ. ბელაქანი
დევბოინუ. ბასიანი
დევბოინუ XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი
დევდარაული. კახეთი
დევდარაული XVIII ს. დას. – იხ. ვანთა
დევდარაული 1710 – იხ. ვანთა
დევდარაული 1795 – იხ. ვანთა
დევთნასახლარი. კახეთი
დევთნასახლარი 1579 – იხ. მცხეთა
დევთნასახლარი 1654 – იხ. საგარეჯო
დევთნასახლარი 1654 – იხ. წინსაგარეჯო
დევიაჭედი. შიდა ქართლი
დევიაჭედი 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე
დევნაანთკარი. კახეთი
დევნაანთკარი 1722 – იხ. მარტყოფი
დელცნუტი // დელიცნუტი. ქვემო ქართლი
დელცნუტი 1768 – მდივანბეგმა იოვანემ იჩიელა: ჩემი ყმა დელიცნუტელი აბაზა ... ქსნის ერისთვის დავითის მამულში ხიზნათ დგანან და ერისთავი დავით აღარ მანებებსო... მოწმეებმა ასე იმოწმეს: მღებარი ავაქა დელიცნუტში მოსახლეთ გვინახავს და ხარჯსაც იმ სოფელზე აძლევდაო. და ზაალა მამასახლისმა ბოლნისისამა ესეც იმოწმა: მეჯვრისხევს რომ იდგა, მდივანბეგის კაცმა მალიც გამოართვაო. ჩვენ ბახუტა არღუთაშვილი სამართალში მოვაყვანინეთ, იმან ასე თქვა: ჯერ მეფე ვახტანგ ისპაანს არ წაბძანებულიყო, მღებარი ავაქა ჩემის მამულიდამ აიყარა და ლუარსაბ სარდალს დელიცნუტს დაუსახლდაო. მამაჩემმა ... ლუარსაბ სარდალს დაანებაო... ყიზილბაზობაში ავაქა მღებარი ქალაქს ჩამოსულიყოო, დელიცნუტის მალუჯაათს იმასა სთხოვდნენ... (ქსძ, IV, გვ. 571-572)
დელცნუტი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი
დელუყულიჯანის სოფელი // დალიყულიჯანი. ქვემო ქართლი
დელუყულიჯანის სოფელი 1657 – იხ. ტაშირი
დელუყულიჯანის სოფელი 1707 – იხ. წრაუტი
დემეტრაული მამული. შიდა ქართლი
დემეტრაული მამული 1653-1658 – იხ. ხელთუბანი
დემურაანი. კახეთი
დემურაანი 1645 – იხ. ქოდელაანი

დემურაანი 1662 – იხ. სუხნანი

დემურჩასალი. კახეთი

დემურჩასალი 1681 – იხ. კაკაბეთი

დენთა 1789-1810 – იხ. ჩიხა

დერუცული პარტახტი. იმერეთი

დერუცული პარტახტი 1259-1293 – იხ. მაღლაკი

დერჩი. ლეჩხუმი

დერჩი1207-1208 – იხ. ბანჯა

დეუბანი. კახეთი

დეუბანი 1691 – იხ. თორღა

დეღარალა // დეღარა // დეღრალა სოფელი[95]. ქვემო ქართლი

დეღარალა 1766 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს როჭიკაშვილის ქვრივსა... თქვენის მამის ნაწყალობევი დეღრალა სოფელი რომ თქვენც გვიბოძეთ, ერთი ჩემი კაცი ტერტერასთან მისულა, მე ყაზახელი ვარო, ყაზახელებთან დამწერეო, ამ მიზეზით ის კაცი თავისთავს მართმევს... [განჩინება]: ყაზახელმა ყულიხანმან ... აღიარა ... რომ მეფის ვახტანგის ბატონობაში მოსლან და დეღარას სახლებულა... [ყიზილბაშობის შემდეგ] აყრილა, ცოტას ხანს ყაზახში ყოფილა... სამართლით გლახას დარჩა... დეღარარელ თავის მეზობლებთან უნდა იყოს... (ქსძ, VII, გვ. 111-112).

დვალაური მამაული. შიდა ქართლი

დვალაური მამაული 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე

დვალეთი

დვალეთი 1503 – იხ. რაჭა

დვალეთი 1659 – იხ. რველი

დვალეთი 1660-1662 – იხ. ძიმითი

დვალეთის მთა 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

დვალთა // დუალთა. ქვემო ქართლი

დვალთა 1523 – იხ. მძოვრეთი

დვალთა 1591 – იხ. ამლივი

დვალთა 1629 – იხ. ახალშენი

დვალთა 1633 – იხ. ზემო ოძისი

დვალთა 1636 – ... ჩუენ, მეფემან ... როსტომ, შენ დვალთელს სანოძეს ხუციასა ... ამოგიკუეთეთ საბოლოოდ კოდის პური... (ქსის, გვ. 125).

დვალთა 1713 – იხ. გუნანეთი

დვალთა 1713 – იხ. ღოლოვნა

დვალთა XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

---

[95] დაღარი?

დვალთა 1780 – ... მე, ზაზუნაშვილმა ბარათამ, შენ, გოსტაშაბიშვილს უსბაშს ... მოგყიდე ჩემს ბარათში ნარგები დვალთას სოფელს კოზმანაშვილის ბერუას მამული... რომელიც ძველოაგან საბარათაშვილოს ერთ გლეხ კაცს მამული ჰქონიათ, იმტელის მამულით მომიცია... (სს, I, 1920, გვ. 148-149).

დვალიეთი. შიდა ქართლი

დვალიეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

დვალილა. შიდა ქართლი

დვალილა 1771 – იხ. ახალგორი

დვალიშვილისეული ნაფუძარი. შიდა ქართლი

დვალიშვილისეული ნაფუძარი 1720 – იხ. გოსტიბე

დვალური. შიდა ქართლი

დვალური XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

დვანი // დავანი. შიდა ქართლი

დვანი 1630-1661 – ... დიასამიძე კაცია იორამს დვანს ჩაკიდულაში ხოდაბუნსა და ნათლისმცემელისა ტყესა და საბუდარსა ეცილებოდა. და მოკითხული ვქენით და ... დიასამიძეს ხელი არა ჰქონდა... (ქსძ, IV, გვ. 120)

დვანი 1632-1658 ერთი დვანელი მემკვიდრე კაცი დვანიდამ აყრილიყო ბელაშვილი ბადუჩა, ამილახორის ყმას მახანაშვილს მისულოდა და ცოტა რამ ხანი იქ დაეყო. და ამ ბელაშვილის ბადუჩას მამული ოქრომჭედელს იორამს ჰქონდა. მახანაშვილი და იორამ იმ კაცზედ შესარჩლდენ... [ყმა-მამული] სამართალმაც იორამს დაანარჩომა... (ქსძ, IV, გვ. 113-114)

დვანი 1646-1655 – იხ. რხვითი

დვანი 1736-1744 – იხ. მოხისი

დვანი 1763 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... დეკანოზს ნიკოლოზს მოსცეს. ხერხეულიძემ და ფალავანდიშვილმა დვანს ჩემი კაცი დაიჭირეს და დავით ფალავანდიშვილს მიყიდეს... მოკითხული ქენით და ... სამართალი გეაღირსეთ... (ქსძ, VII, გვ. 70).

დვანი 1772 – ღმერთმან ... ხემწიფის ... ჭირი მოსცეს ... დვანელს ოქრომჭედლისშვილს შერმაზანს... ჩვენი თავი ჩვენის მამულით პაპუნა ფაველენისშვილისათვინ გებოძებინათ. გორს გიახელით შარშან, გვალაპარაკეთ, ... და ჩვენი თავი ისევ წაართვით, მაგრამ ჩვენი მამულები ისევ იმათ უჭირამთ ხუთი საკომლო... ჩვენი ზვარი და ხოდაბუნი შობას დღეს დაგვიჭირეს... სულ მთელს ცხინვალელთ იციან, ნეტარხსენებულის ხემწიფების ნაბოძები იყო... შარშან რაც პური მოვიდა, ისიც იმან წამართვა... სამართალი მაღირსეთ, რომ ჩვენი მამული დამნებდეს და იმას ჩვენთან ხელი აღარა ქონდეს. [ერეკლე II-ის ოქმი] ბატონო ამილახვარო! ეს ოქრომჭედლისშვილები ... ძველათაც სადედოფლო სახასო იყო და ისევ სახასოთ დაედევით... რაც ამათი ყმა და მამული იყოს, რაც ფაველენიშვილებს ეჭიროთ, ახლავ ... მოაბარე (ქსძ, VII, გვ. 211).

დვანი 1779 – იხ. ქვემო ხვითი

დვანი 1781 – ღმერთმან ... დედოფალთ-დედოფლის ჭირი მოსცეს ფალვანიშვილს თეიმურაზსა და იორამსა. ურიათყოფილის შვილს აბიათარს თქვენთვის ... დვანს დულურის საკვამლო უთხოვნია ბეითალმობითა... დულური ჩვენი მკვიდრი ყმა არის, ვახტანგ მეფე კუდაროს რომ აკეთებდა, თავდებზე კვამლობით კაცნი მოეკრიფათ, ჩვენი მამა-პაპათ ის დულური მისცეს. მამული ისევ ჩვენვე გვეჭირა, როდესაც კუდაროს შენობა მოიშალა, ის დულური ისავ ჩვენს ყმათ დადგა... ამ წყალობას ვითხომთ ... ის ჩემი მამული მევე დამანებოს... (ქსძ, VII, გვ. 498-499).

დვანი 1781 – ღმერთმან ბატონის ამილახვარ-მდივანბეგის ჭირი დვანელის ოქრომჭედლიშვილის ქვრივსა ... მოსცეს. ქართლის სარდალი ბძანებდით, ჩვენის ყმისა და მამულის ამბავი სიყრმითაგან თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. შარშან მერგებოდა ორმოცი კოდი ბარა და თათუზამ წამართვა... იმას იმ ქვეყანას ერთი კვამლი ... ნოზაძე ... [და] ერთი წეკია ყვანდა. ახლა შალიკასშვილის მამული უშოვია... ნახევარი დვანი ჩემია; და თავისი მძლავრობით შიგ აღარ მაროვინებს... ერთი ოქმის წყალობა ცხილვანის მამასახლისსა და ერთს თქვენს აზნაურშვილზე გვიბოძეთ, რომ შარშანდელი და წრევანდელი ბარაც გამომირთვან და ჩემი მამულიც მოსწრებულს კაცს გაარჩევინონ (ქსძ, VII, გვ. 511-512).

დვანი 1784 – [ოქმი დარეჯან დედოფლისა]: ... ეშიკაღადბაშო ... ახლავ ერთი იასაული გაატანე [ოქრომჭედლიშვილს], რომ ის მღვდელიც დაისწრას, რაც ამის მამულები იყოს დვანს, ყველა გარჩევით დაატაროს და უჩვენოს (ქსძ, VII, გვ. 616).

დვანი 1786 – ღმერთმან ... დედოფალთ-დედოფლის ჭირი მოსცეს ფაველვანისშვილს იასეს... მოგეხსენებათ დვანი რამდენი ხანია ვერანაც იყო... ერისთვის ყმამა ტრანკაშვილმა ჩვენი ნაზვრევიც დაიჭირა და სხვა მიწებიცა... რომელსაც [მიწებზე] ჭეშმარიტი შესაწყნარებელი ნასყიდობის წიგნი ჰქონდეს, ის ღმერთმან მოახმაროს. და რომელიც ჩვენი მამული ნაპარავითა და ძალით ეჭიროს ... ის ... დაგვანებოს (ქსძ, VII, გვ. 689-690).

დვანი1787 – იხ. ავნევი

დვანი 1792 – [არზა დავით ოქრომჭედლიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... აბიათარის შვილს მოუხსენებია, დვანს მამული მაქვს ნასყიდიო და არ მანებებსო, თუ ნასყიდი აქვს, ნასყიდობის წიგნი წამოაყენოს... (ქსძ, VIII, გვ. 164).

დვანი 1794 – იხ. დირბი

დვანი 1796 – იხ. დირბი

დვანი 1799 – [არზა რევაზ ფაველვანიშვილისა გიორგი XII-ისადმი]: ... ოქრომჭედლიშვილი დვანს მიწას მედავება, იმას აქ მემკვიდრე კაცი უსახლობს და მე კი არა. ოქმი მიბოძეთ ერისთვისშვილს შანშეზედ, რომ ჩემი მამული მე დამნებდეს (ქსძ, VIII, გვ. 554).

დვანის გზა 1796 – იხ. დირბი

დიაკონის ქუა. ქვემო ქართლი

დიაკონის ქუა 1657 – იხ. ტაშირი

დიაკონნი. ქვემო ქართლი

დიაკონნი 1591 — იხ. ამლივი

დიაღარა. ქვემო ქართლი

დიაღარა 1784 — იხ. ზემო წერაქვი

დიბი. შიდა ქართლი

დიბი 1754 — იხ. დიღომი

დიდ გორა // დიდი გორა. კახეთი

დიდ გორა 1447 — იხ. მცხეთა

დიდ გორა 1579 — იხ. მცხეთა

დიდგორი. ქვემო ქართლი

დიდგორი 1392 — იხ. ტფილისი

დიდგორი 1551 — ... მეფისა დავითისა ძემან ... რამაზ ... თქუენ ... ქალაქს სიონთა ღმრთისმშობელსა ... გკადრეთ ... მცირე ესე შემოსაწირავი დიდგორზედ სოფელი ფიცხისი მათის მთითა, ბარითა... ჴელშეუალად თქუენთვის მოგვიხსენებია. ასრე რომე, მოუჴდეს ყაზახნი და ააოჴრეს. და მოკითხული ექნით და თქუენს სოფელზედ სამჴრად იყო და თქუენთვის შემოგუიწირაეს (ის, III, გვ. 62).

დიდგორი 1559 — იხ. სხალდიდი

დიდგორი 1634 — იხ. ზემო შაენი

დიდგორი 1634 — ... ჩუენ, მეფემან ... როსტომ ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშვილს გოსტაშაბს... მკუიდრად და მამულად დიდგორის ძირს სოფელი აგუდანეთი თქუენი ყოფილიყო. ჩუენც ... შეგიწყალეთ... (ქსის, გვ. 108).

დიდგორი 1635 — იხ. ენაგეთი

დიდგორის შარა. ქვემო ქართლი

დიდგორის შარა 1635 — იხ. ენაგეთი

დიდება. ქვემო ქართლი

დიდება 1558 — იხ. მუხანი

დიდება 1591 — იხ. ამლივი

დიდება 1713 — იხ. გუნანეთი

დიდება 1713 — იხ. ღოლოვნა

დიდება 1749 — ... ესე წიგნი ... მოგეც ჩვენ, ქსნის ერისთვის ... შანშეს მეუღლემ, ბატონმა ანახანუმ, თქვენ, ჩემს ძმას პაპუნას... ასე რომე დიდებას და ღოლოვნას თქვენგან გასყიდული მამული იყო, რომ სხვას ეყიდა, ზოგი სხვა ვიყიდე. ეს მამული, რაც ჩემი ნასყიდი იყო, სულ თქვენთვის უკლებლივ მომიცემია... (სს, I, 1899, გვ. 98).

დიდება XVIII ს. I ნახ. — იხ. ბეთანია

დიდებანთკარი. არაგვის ხეობა

დიდებანთკარი 1800 – იხ. ბრაჭულთკარი

დიდველი. შიდა ქართლი

დიდველი 1195-1196 – იხ. სხალტბა

დიდი ბაბია. ქვემო ქართლი

დიდი ბაბია 1543 – იხ. სხალნარი

დიდი გარეჯვარი. შიდა ქართლი

დიდი გარეჯვარი 1772 – იხ. ხეობა

დიდი გარეჯვარი 1795 – იხ. აღაიანი

დიდი გარეჯვარი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

დიდი გომარეთი. ქვემო ქართლი

დიდი გომარეთი 1763 – იხ. დიდი ეგრისი

დიდი გორა. შიდა ქართლი

დიდი გორა 1527-1558 – იხ. მუხრანი

დიდი დმანისი. ქვემო ქართლი

დიდი დმანისი 1586 – იხ. ჩინჩხორი

დიდი ეგრისი. ქვემო ქართლი

დიდი ეგრისი 1763 – ... დიდი ეგრისის სამზღვარი არის აღმოსავლეთით რევაშნის თავს გაყოლებით ქვები ჩაყრილი ვიდრე პატარა გომარეთის და ეგრისის მიჯნა ქვებ-ჩაყრილიადმდე; დასავლეთისაკენ ციხე-ქვაბიდამ საქალაქო გზა რომ წამოვა, გაღმითკენ იოსების ხევი რომ არის, ის არის; ჩრდილოს მხარეს დიდი გომარეთისაკენ ქვა-კაცნი ჩაყრილნი რომ არიან; სამხრეთ მდინარე ზვირთაკეტა. ეს სამზღვრები მეფის როსტომის ბრძანებით ლარაძეებს ფიცით გაუტანიათ და მას აქეთ ასე სჭერიათ... (სს, I, 1899, გვ. 289-290).

დიდი ეგრისი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

დიდი ეგრისი 1792 – იხ. ირაგა

დიდი ვანათი. შიდა ქართლი

დიდი ვანათი 1772 – იხ. მუხრანი

დიდი ვარდოვანა // დიდი ვარდუანა. შიდა ქართლი

დიდი ვარდოვანა 1751 – [მდივან ედიშერის წერილი თავის ძმისწულ კაცი-ასადმი]: ... დიდი ვარდუანას ნახევარი მეფემ პატრონმა თეიმურაზ ბეჟანს უბოძა, ჩადით, ღვთის წინაშე, შუაზედ გაიყავით... ნახევარი ბეჟანს დაანებეთ და ნახევარი ჩვენთვინ და მიშკარბაშისთვინ დადევით. მასუკან შენ და ელიკაშვილმან შუაზედ გაიყავით. თუმანიშვილები დაისწარ და ღთის წინაშე სწორედ გაყავით. ერთი ესეც: ზეთანზედ ჩივის ბეჟან, და ბატონის ოქმიც აიღო. ჩვენი და ოთარ მდივნის წილი ჯიმშიტათვინ ხუთის დღისა უნდა იყოს, იმდონი ჩვენთვინ და ოთარ მდივნისთვინს მოზომეთ და, სხვა თუ მეტი იყოს, მაგისი იქნება... (ქეწ, გვ. 93).

დიდი ვარდოვანა 1755 – მდივანს ოთარს ბიძის ამისის ზაქარიას შვილები ... ზოგის ... მამულის წილის დაუდებლობაზე ელაპარაკებოდენ... შატბერაშვილის მოსყიდულს დიდს ვარდოვანას ხოდაბუნზედაც ილაპარაკეს. ზაქარიას შვილებმა თავისი მამის ნუსხა წამოაყენეს, ნუსხაში ეწერა: ვარდოვანა პაპის ჩვენის მამის ბირთველისა და მდივნის გიორგის ნასყიდი იყო და ამის ძმის ბეჟანისაო. ბეჟან და პაპაჩვენი გიორგი მდივანი რომ გაყრილა, ეს ხოდაბუნი გასაყოფი დარჩაო... შატბერასშვილისაგან მოსყიდულის დიდი ვარდოვანას ხოდაბუნის ნახევარი ბეჟან თავილდარს დავანებეთ, სამართლით ეს ხოდაბუნი შუა უნდა გაუყონ (ქსძ, IV, გვ. 444-445).

დიდი კლდე. ქვემო ქართლი

დიდი კლდე 1653 – იხ. ბედენი

დიდი ლიახვი, მდინარე

დიდი ლიახვი 1716-1724 – იხ. ხევთუბანი

დიდი ლიახვი 1772 – იხ. მუხრანი

დიდი ლილო. კახეთი

დიდი ლილო 1714 – იხ. კოდა

დიდი ოდიში

დიდი ოდიში 1660-1662 – იხ. ძიმითი

დიდი ოდიში 1748 – იხ. გარეჯა

დიდი ოროტანი. კოლა

დიდი ოროტანი 1031-1033 – იხ. მცხეთა

დიდი რუ. ქვემო ქართლი

დიდი რუ 1703 – იხ. თელისწყარო

დიდა სათიბე ჭალა. სამცხე (?)

დიდა სათიბე ჭალა XV ს. II ნახ. – იხ. საწავე

დიდი სხლობანი. შავშეთი

დიდი სხლობანი 1031-1033 – იხ. მცხეთა

დიდი ტყემლიანა. კახეთი

დიდი ტყემლიანა 1786 – იხ. ახალდაბა

დიდი ურცევანი. ქვემო ქართლი

დიდი ურცევანი 1627 – ... ჯაჰან-ბანუ ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშვილს ავთანდილს ... თქვენთ მამა-პაპათა ... საბარათაშვილოგა ნასოფლარი დიდი ურცევანი მისის სამართლიანის სამძღვრითა... (ქსის, გვ. 73).

დიდი ფონი. იმერეთი

დიდი ფონი 1779 – იხ. მჟოლის წყარო

დიდი ქარელი. შიდა ქართლი

დიდი ქარელი 1748 – [პაპუნას შვილი] დემეტრე ელაპარაკებოდა [ედიშერის შვილს] ქალანთარს დიდ ქარელში ლალიმასშვილს მიწა-წყალსა. ლა-

ლიმას შვილის მიწა ან ნაფუზვარი ან ნასყიდი ან უსყიდი ... სულ დემეტრეს ... მივაბარეთ... ქალანთარი ამას ჩივოდა, რომ: ... ერთი კი მიჰირამსო ძოვრეთსაო, ექვსი კომლი კი არ მიჰირამსო... ამას გარდა ... შუა უნდა გავიყოთო დღესს და ხვედურეთს... (ქსძ, IV, გვ. 372-373)

დიდი შარა. იმერეთი

დიდი შარა 1727 – იხ. ჯოყოეთი

დიდი წერაქვი. ქვემო ქართლი

დიდი წერაქვი 1642 – იხ. ცოვრეთი

დიდი წლეპი. ქვემო ქართლი

დიდი წლეპი 1441 – იხ. ნაქურდევი

დიდი ჯიხაიში. იმერეთი

დიდი ჯიხაიში 1782 – ... აფხაზ-იმერთა მეფეთ-მეფემან ... სოლომონ ... განვიხილე გუჯარი მონასტრისა თქვენისა [ხონის საყდრის] და ... ამოვიყვანეთ [ერისკაცთაგან მიტაცებული ყმა-მამული] და ისევ თქვენს წმიდას მონასტერს ... მიუძღვანეთ... პირველად გლეხი დიდ ჯიხაიშს სანაძე მახარებელი ნახიდა... კონტოეთს მოსახლე კიკალიშვილი ძღინკიელა... კუხს მოსახლე ვაჭარაძე მახარებელა... ივანდიდს მოსახლე გარდავაძე კოტინელა... ჯიხაიშს მახარებელი ხუცესი ყუფარაძე... ხონს ერთი მოსახლე სანაძე კოჩობელა... ფრიდონიანს ჯიხაიშს მოსახლე სანაძე დავითელა და დედულია; ჯიქთუბანს მოსახლე შაქარა მამფორიას შვილები... ერთი მოსახლე ბაკისუბანს ბახუტელა სალდაძე... კუალად შემოგწირეთ პარტახი ერთი ხონს ყლატიგისშვილისსეული ადგილი... მეორე პარტახი წაწულიკიძეოშიდ, ჩიტი ღულაშვილისსეული ეზო... ესენიც ხელშეულად მოგვიძღვნია... [არშიაზე]: ამ სიგელშიდ რომ ვაჭარაძეები სწერია, ლევან ღოღაბერიძე და მისი ძმები დაედევენ ეკლესიას და მთავარეფისკოპოსს და ის გლეხები იმათ დაიკავეს და მერთ ... თავისის ნებით ... ეკლესიას დაანებეს... მათხოჯი თქვენის მღვდელთმთავრის სამწყსო ყოფილიყო... პირველ აღწერილისა მსგავსად თქვენის ეკლესიის მღვდელთმთავრის მესჯულით და ჯვარით იმწყსებოდეს ქვეყანა იგი მათხოჯისა... (დსსს, II, გვ. 74-75).

დიდკარი. იმერეთი

დიდკარი 1513 – იხ. ქუთაისი

დიდკარი. შიდა ქართლი

დიდკარი 1516-1535 – ... ჩუენ ... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან ბასილი ესე წყალობის ... სიგელი მოგიბოძეთ თქუენ ... მცხეთის საყდრისაშვილთა ... თევდოსის, ძეთა თათარასა... მას ჟამსა, როდეს ... კათალიკოზს დოროთეოზს თქუენთუის დიდკართა ორი დღის მიწა წაელო ... და საბაღჩაევდ და სანაცლოსა ისიცა დაგპირებოდა. აწე ჩუენ ... ამოგიკუითეთ ღალა, რასაცა ანუ მუხრანს ჰვნევდე, და ანუ ნაქულბაქევთა, მისი ღალა არ გეთხოვებოდეს... (ქსძ, III, გვ. 256-257).

დიდკლდე. ჯავახეთი

დიდკლდე XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

დიდსახადი. კახეთი

დიდსახადი 1786 – იხ. ახალდაბა

დიდუბე. შიდა ქართლი

დიდუბე 1682 – [სააღაპო წიგნი გიორგი XI-ისა]: ... დავდეეით აღაპი იმავ მამის ჩვენის აშენებულს სოფელს დიდუბეს რუ გამოიღო ავჭალიდამ და აღაშენა სოფელი და უნაყოფო მიწა ნაყოფიერ ყო... ჩვენცა ესე ... აღაპი განუწესეთ ... ერთობილნი დიდუბელნი ყოველს სვეტის-ცხოველობა დღეს ... მიიტანდეს მცხეთას პურს [და სხვა შესაწირავს]... აღაპს ... მცხეთას მღრდელთა და მონაზონთ და გლახაკთ სახლთუხუცესი გაურიგებდეს... (დსსი, I, გვ. 72).

დიდუბე 1740 – იხ. ყარაღაჯის ციხე

დიდუბე 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

დიდუბის ხერთვისი. კლარჯეთი

დიდუბის ხერთვისი 1054-1072 – იხ. ქუთაისი

დიდუნალი. კახეთი

დიდუნალი 1505 – იხ. ოროტა

დიის ველი – იხ. დისველი

დილამაშენი // დილმაშენი. ქვემო ქართლი

დილამაშენი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

დილამაშენი1707 – იხ. წრაუთი

დილდარის ტახტი. ქვემო ქართლი

დილდარის ტახტი 1706 – იხ. ყუდრო

დილენჯაური. შიდა ქართლი

დილენჯაური 1711 – იხ. ჭალისუბანი

დილიკაული. იმერეთი

დილიკაული1789 – იხ. ბოსლევი

დიმი. იმერეთი

დიმი 1583 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ლევან ... გიბოძეთ შენ ... ღაღანიძეს გიორგის ... დიმს კაკაბაძე სვიმონ ... და საბურაული ორი პარტახტი... (იდ, I, გვ. 19-20).

დირბი. შიდა ქართლი

დირბი 1635 – ... მეფემან როსტომ ... გიბოძეთ თქვენ ... დავითიშვილს დავითსა ... დირბის მოურაობა... (სს, II, გვ. 232-233).

დირბი 1650 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ... იელუსარიმის შეწირულობის ძუელნი სიგელნი გავსინჯეთ, ვითაც ძუელთაგან ... მეფეთაგან ... დირბის ქუეყანა გათარხნებულიყო... და ჩუენცა ვათარხნეთ სოფელი დირბი... ყოველისაგანვე გვიაზატებია ქვეყანა დირბი, ასრე რომე ექუსი ათასი თეთრი საელუსარემოდ გამოიღონ... (დსსი, I, გვ. 34-35).

დირბი 1689– იხ. ხუტუნაური მამული

დირბი 1756 – იხ. ზემო ქართლი

დირბი 1756 – გორელმან გასპარამ და აბრამამ დირბელს გეგასშვილს [...] თოთხმეტი კოდი პური უჩიელა... (სამდ, გვ. 36).

დირბი 1764 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი ... დეკანოზს ნიკოლოზს მოსცეს. ქრისტეს საფლავისათვის რომ დირბი შეუწირავსთ თქვენს მამა-პაპათა, მეც მიუბარებივარ ჯვარისმამისთვინ. რადგან აზნაურშვილი ვიყავ და ყმის პატრონი, ჯვარისმამის სახლხუცობა ხელმწიფეთ უბოძებია... ორი თუ სამი გლეხი მყავს, თქვენს დავთარში ცალკე სწერია... (ქსძ, VII, გვ. 81-82).

დირბი 1767 – იხ. მეღვრეკისი

დირბი 1772 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ზურაბ ციმაკურიძეს. მოგეხსენებათ დირბს არას გლეხს კაცს პურის ღალა არა სძევს... ჩემის ვენახიდამ ათისთაეს მივართმევ. თქვენი წყალობა ორი კომლი კაცი მყავს და რაც იმ ჩემის კაცებისაგან ღვინო მერგება, ნახევარს მივართმევ... (ქსძ, VII, გვ. 226).

დირბი 1772 – იხ. ხეობა

დირბი 1773 – ... ყოვლად სამღვდელო მროველი გერმანე უჩიოდა ნიქოზელს დირბის საქმეზე. ჩვენ ასე გავარჩიეთ: რომელიც საეფისკოპოზო საქმე არის ან მოხსენება ან დრამა ან სახუცო და ან საკანონო და ან ვისაც საწირავი აძევს, ამაშინ ნიქოზელს საქმე არა აქვს რა, მროველისა არის. და ნიქოზელი რადგანაც ჯვარის მამა არის, რომელიც ჭორციელი და საბატონყმო საქმე არის, ეს ნიქოზლისა არის. ამაში მროველს საქმე არა აქვს რა... (ქსძ, IV, გვ. 659).

დირბი 1780 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ყავარდლის ქვრივს... შარშან გორს რომ ბრძანდებოდით, ჩემის სიგლახაკისა და უსარჩოობის გზის მიცემა გეეედრე ჩემის საქმროს მამულიდამ და ყმიდამ. თქვენ ... ოქმით კაცი მიბოძეთ, რომ იმას უნდა შევენახე, რადგან თქვენი განწესებული სარჩოს მოცემა კი ვერ შეიძლო ფავლენისშვილმა... არც ამ კაცისაგან იქმნა ჩემი შენახვა, ამიტომ რო იქავ გახლავსთ და იმის სამსახურს ვერ გადარჩომია, და არ შეიძლება იმისაგან, რომ ორთაV, გემსახუროს... [ერეკლეს ბრძანება მდივანბეგ იასესადმი]: ეს კაცი ახლავ აუყრევინე და ამ ყავარდლის ცოლს მოაბარე, დირბს დააყენოს და იქიდამ ამას ემსახუროს... (ქსძ, VII, გვ. 462-463).

დირბი 1784 – იხ. ზემო ქართლი

დირბი 1787 – იხ. ზემო ქართლი

დირბი 1787 – იხ. საამილახვრო

დირბი 1787 ახლო – იხ. მეღვრეკისი

დირბი 1788 – ღმერთმან ... მეფის ძის გიორგის ჭირი ცხინვალელ ტერ-მელიქსადეგს ტერ-მელიქსადეგს მოსცეს. ჯვრისმამამ ანტონმა წელიწად-შიდ თორმეტ თუმნად დირბის გამოსავალი მომცა... არც შარშან მოვიდა ტკბილის მოსავალი და არც წრეულ... თქვენს სიმაღლეს პურის მოღალო-

ბა კიდევ ჯვრის მამას კაცისათვის გებოძებინა. რადგან სოფელი მე იჯარით მეჭირა, მეღალე სხვისა რათ უნდა ყოფილიყო, მეღალე მე გახლავარ... (ქსძ, VII, გვ. 785).

დირბი 1789 – იხ. ატოცი

დირბი 1789 – იხ. კახეთი

დირბი 1789 – იხ. გორი

დირბი 1790 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს დირბელი ქრისტეს საფლავის ყმას ზაქარიასა... თქვენს უმაღლესობასაც მოეხსენება, რომ ქრისტეს საფლავის ყმასა ბაჟი არსად არ გამოერთმევა ... მაგრამ იმერეთში ბაჟს ყოვლის ალაგს იღებენ და გზაზედ გაგვრჯიან... (ქსძ, VIII, გვ. 58).

დირბი 1794 – ღმერთმან ... პატრიარხის ჭირი ფარეშთხუცეს თეიმურაზს მოსცეს... ხელმწიფე მამის თქვენის ოქმი მაქვს: ... გიორგი აბაშიძე, ერეკლე ფალავანდისშვილი, დირბის მოურავი მაქსიმე, თუმანიშვილი ნიკოლოზ – ამათ დირბიდამ, ძვიმლეთიდამ და ავნევიდამ მცოდნე კაცნი უნდა მოიყვანონ, ერთი ეფისკოპოზიცა ... და დვანში ვისიც მამულია ... გაარჩიონ... (ქსძ, VIII, გვ. 291).

დირბი 1795 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... ჯვარის მამას ათანასის... დირბს ვაპირებ წასვლას და იქიდამ ... იმერეთს გადასვლას. და ამაზედ თქვენს ბრძანებას ველით... ერთი ოქმიც უნდა გვიწყალობოთ – საცა გავიაროთ სასმელ-საჭმლით დაგვიხვდნენ... (ქსძ, VIII, გვ. 322).

დირბი 1796 – ...დირბელებსა და ფალვენისშვილს თეიმურაზს, ფარუშთუხუცესსა, ჩხუბი მოსლოდათ, ყანაზედ ცილობდნენ დირბელები და დვანელები... იასაული იყო, ავალისშვილიც თან წავიყვანეთ, მივედით და ფარეშთხუცესმა, რომელიც სირონი გვაჩვენა, ამას ქვეით დირბულიაო და ამას ზეით დვანურიაო, ის სირონი ვნახეთ, მაგრამ ვერ იყო სოფლურს რიგზე მიჯნები. ჩვენ აგვატარა თეიმურაზმა ნაქალაქევსა და ასრე ვნახეთ: რამდენიმე სამოსახლო დირბელებისა დვანისაკენ დარჩომილიყო, ამაზე დირბელები ყელქცეულის გვერდიდან წამოგვიძღვნენ თავიანთ სირონზედა... გაგვიძღვა ეს სირონი, რომელიც სერი წადგება ღომელსა და გუფთას შუა. სერზედა ერთი მიჯნა იქ იჯდა; ამის პირდაპირ რომ ეძახიან ტახტსა, ერთი მიჯნა კიდევ იქ იჯდა... ამ მიჯნის პირდაპირ რომ წავედით, ერთი მიჯნაც შუა ჭალაში იჯდა; კიდევ ფრონეს რომ გავედით, პირდაპირ ერთი მიჯნაც კიდევ იქ იჯდა; გაღმა ბეგზედა გაგვიძღვნენ. ამას ზევითა, რომელიც დვანის გზა არის, ერთი დიდი კლდე იქ იჯდა; იქიდამ კიდევ გაგვიძღვნენ ამ გზას ზეითა; რომელიც გზა ძველეთის ტყის თავში გადასავალია, ერთი დიდი კლდე კიდევ იქ იჯდა... დირბელები, რომელიცა არიან მოსახლენი, დღეს ცოცხალნი გახლავან, ასე მოგახსენებენ: ჩვენ დავიფიცამთო, რომ ეს ეს მიწა არც დვანური იყოსო და ჩვენც აქ ვსახლებურვათო.... დვანში ერთი იკორთის წინამძღვრის კაცმა ერთი ნასყიდობის წიგნი წამოაყენა, რომ გუფთაში რამდენიმე დღის მიზა მიეყიდნა დირბელს კაცსა, რომ დირბელი სირონ-ქვეით გაეყიდნა; და იმ ნასყიდობის წიგნში დირბული მემკვიდრე კაცი არ ეწერა მოწმათა; და ამ პასუხს აძლევდნენ, რომ

ქურდულად არის გასყიდული ეს მიწაო, თორემ ელუსარემისა მიწა არ გაიყიდებაო. თუ სწორე იყოს, თავისი მეზობლები რატომ მოწმათ არ გიწერიათო... (ქსძ, V, გვ. 674-675).

დირბი 1797 ღმერთმან ბატონისშვილის იულონის ჭირი მოსცეს ჯვარის მამას ათანასეს, დირბი წმინდა საფლავის შეწირული არის და ყოელის სათხოვარისაგან აზატი გახლავან ძველითგანვე... ახლა ორი თუმანი შეშის ფასათ წაურთმევიათ ... და ალის სამუშაოთ კიდევ სხვა ურმები დაუწერიათ... (ქსძ, VIII, გვ. 456).

დირბი 1797 – იხ. გორი

დირბი 1798 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი დირბიდამ ქრისტეს საფლავის ყმის ნახუცრიშვილის იოსებისა... მამის თქვენის ბძანებით მთელი დირბის მოხუცებულთ კაცებში ნიქოზელს მოწმობა ფიცით უკითხავთ და ყოველს სულს დაუმტკიცებიათ, რომ ჩვენ ქრისტეს საფლავის ყმანი ვყოფილვართ... (ქსძ, VIII, გვ. 496).

დირბი 1798 – იხ. ღოღეთი

დირბი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

დირბი 1799 – ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ბენედიქტისაგან: თქვენის ბძანებით დირბს მეჩითეები გახლიან, იმათი საბეჭდავიც გორს იაჯარადარს ეძლევა; და ცხინვალის იჯარადარიც ემუქრება – მეც წაგართმევო, ორის მიცემა ხომ არ იქნება. გევედრებით, ოქმი გვიბოძოთ, იმ ცხინვალის იჯარადარს საქმე არ ჰქონდეს (ქსძ, VIII, გვ. 553).

დირბი XVIII ს. – [დირბში პურისა და ქერის მოსავლის ანგარიშის ბარათი]: არის დირბული მოსავალი პურისა კოდი ექვსას სამოცდარვა... მონასტრისთვის დარჩა პური კოდი ასსამოცდათურამეტი... ჯვრის მამას ერგო კოდი ასი... ჯვრის მონასტრისათვის მივაბარეთ კოდი ასსამოცდარვა.. (სეიძ, II, გვ. 173).

დირბის ქვეყანა. შიდა ქართლი

დირბის ქვეყანა 1650 – იხ. დირბი

დირბის წყალი. შიდა ქართლი

დირბის წყალი 1772 – იხ. მუხრანი

დირისჭალა. თბილისი

დირისჭალა 1784-1790 – იხ. ქალაქი

დირსი. ქვემო ქართლი (?)

დირსი 1425 – იხ. ლორე

დისარღი. ქვემო ქართლი

დისარღი 1392 – იხ. ტფილისი

დისევი. შიდა ქართლი

დისევი 1392 – იხ. ტფილისი

დისევი 1516 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან დავით ... შემოგწირეთ სოფელი დისევი თქუენ, სუეტსა ცხოველსა და ქათალიკოსს დიროთეოსს (ქრონ, II, გვ. 334).

დისევი 1559– იხ. სხალდიდი

დისევი 1698 – იხ. არაშენდა

დისევი 1736-1744 – იხ. მოხისი

დისევი 1747 – ... კათალიკოზ-პატრიარქმან ... ანტონი, ესე ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქვენ ... გედევანისშვილს პეტრეს... მაღალაშვილს ფირანს თავის ბიძაშვილი მოეკლა და ნიკოლოზს კათალიკოზს იმისათვის ყმა და მამული წაერთმივა საუკუნოდ... [ჩვენ] ვისმინეთ აჯა ... თქვენი და მოგიბოძეთ დისევის მოურაობა... (ქსძ, III, გვ. 794-795).

დისევი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

დისევი 1770 – იხ. გომი

დისევი 1787 – იხ. წინარეხი

დისევი 1789 – საქართველოს კათალიკოს-პატრიარხმან ... ანტონი – წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ – გედეონისშვილს სარდალს იოანეს– ნეტარხსენებულის ბიძის ჩუენის კათალიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გქონდათ ამ დისევის მოურაობისა. და ჩუენც – დაგიმტკიცეთ ... დისევის მოურაობა– (ქსძ, III, 980-981).

დისევი 1795 – იხ. გორი

დისველი // დისუელი. ქართლი

დისველი 1447-1459 – იხ. ყორანთა

დისველი 1527-1558 – იხ. ყორანთა

დისველი 1662 – იხ. აკაურთა.

დისველი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

დისველი 1736 – იხ. სატრედო

დიღმაშენი. ქვემო ქართლი

დიღმაშენი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

დიღმელაური მამული. შიდა ქართლი

დიღმელაური მამული 1524 – იხ. მოხისი

დიღმის კარი. თბილისი

დიღმის კარი 1784-1790 – იხ. ქალაქი

დიღმის კარი 1794 – .. ვარისი [დიმიტრი ხიმშიაშვილი] ჩიოდა: დიღმის კართან სახასო ლელუკაშვილს დუქნები ჰქონებოდა... ახლა ქერივსობოლს ბეჟან ძალით ართმევს[დუქნებს]... (ქსძ, V, გვ. 644).

დიღმის შარა. თბილისი

დიღმის შარა 1758 – იხ. ვერე

დიღმის წყალი. შიდა ქართლი

დიღმის წყალი 1391 – იხ. ქვათახევი

დიღომი // დიღუამი // დიღვამი. შიდა ქართლი

დიღომი 1392 – იხ. ტფილისი

დიღომი 1447 – იხ. მცხეთა

დიღომი 1466 – ... მე ... მეფეთ-მეფემან ბაგრატ ... ვიწყე ძიებად, რათამცა ... მემსახურა ჩუენისა საპატრიარქოსა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა და ... შევსწირეთ ... ძუელითგან მკუიდრნი დიღუამს გლეხნი ესაბერი მზეოსძე და გაგელისშვილი რასაცა მქონებელნი ყოფილან, მით ყუელათა ... ჴელ-შეუვალად შემოგუიწირავს... (გბმ, გვ. 3).

დიღომი 1493 თქუენ, ქათალიკოზს აბრაჰამს, ჩუენ, ბარათაშვილთა ... საუ-პატიოდ დაგიდევით ქალაქს იაგანაშვილი დავითა დიღუამს ნასყიდითა ეე-ნახითა... (ქრონ, II, გვ. 310).

დიღომი 1505-1525 – ... [წმიდაო გიორგი] დაიცევ ქვეყანა ესე დიღომი... მე, ... მღდელმან ფილიპე, ესე წიგნი დავდევ მას ჟამსა შინა, როდესაც ჴელ-მწიფემა მეფემა ბატონმა დავით მომიყვანა და დამასახლა ქვეყანასა ამას, მომცა წმიდის გიორგის დეკანოზობა... აწე, რაც ჩემის კოდაკითა საორმო-ცეთა მამული ამიღია, პირველათ ყაფყური, ნასყიდი ქორქელთა... ის ხუცური მახარებელმა მომცა ცოლის საორმოცეთა და თავის საორმოცე-თა, ნებერილი – თეთრაძემა, ოდეს მეზერე მოკლა, მაშინ საორმოცეთ მომ-ცა... შიმშილობა იყო ისეთი, დედამა შვილი შეჭამა, ერთი ლიტრა ფეტვი ოცდაათ თანგათ იყო. ბერს საფურცლეს ფეტვი ედვა, იქიდაღმა ისრე იყი-და, მერმე საორმოცეც ჩვენა მოგვცა... (სს, II, გვ. 45).

დიღომი 1525 – ... მეფისა დავითის სახლისუხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სოლაღასშვილმან ივანე ... დიღუამს ლომისშვილისაგან ვენაკი ვიყიდე მისითა წყლითა და წყაროთა და საგუბრითა. იმავე ლომისშვილის ვენაკსა ზედმოკიდებით ერთსა მჴარსა წმიდის გიორგის ვენაკი უც და იგი ვენაკი მღუიმისათუის შემომიწირავს... (ის, III, გვ. 57-58).

დიღომი 1527 – ბაინდურ ერისთავი მცხეთის საყდარს სწირავს დიღუამში მისგან ნასყიდ თავაქალასეულ ვენახს (ქრონ, II, გვ. 371).

დიღომი 1542 – იხ. მცხეთა

დიღომი 1559 – იხ. მცხეთა

დიღომი 1559 – იხ. სხალდიდი

დიღომი 1582 – ჩუენ ... მეფეთ-მეფემან სვიმონ ... გიბოძეთ თქუენ, დიღმელს ერემასძესა – წმიდის გიორგის დეკანოზს – ნათანელს ... ჟეშთელს [თარ-ხნობა]... აწე, გიბძანებთ დიღმის ტარუღნო, მელიქნო და სხუანნო კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო... თქვენცა ასრე გაუთავეთ (ქსის, გვ. 15).

დიღომი 1590 – ჩუენ, მეფეთ-მეფემან სუიმეონ ... გიბძანებთ, ერთობილნო დიღომსა ზედათნო, მტკუარ-გამოღმართნო ვიდრე ჭევამდე... მერმე, თქუენ-და მეკობრისმძებნელად ჯავახიშვილი გოშფარ და ლარასძე ყარაიგთ გა-

მოუგზვნია... ვისცა გორის ციხის აღებას წინათ რომ მოეპაროს, ის სამეუ-ლად აზღვევინონ... (ქსძ, II, გვ. 204)[96].

დიღომი 1637 – [თარხნობის ბოძების წიგნი როსტომ მეფისა დეკანოზ ათა-ნალისადმი]: „...აწე გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, დიღმისა მოურავნო და მოჴელენო... თქუენცა ასრე გაუთავეთ (სს, II, გვ. 32).

დიღომი 1641 – იხ. ცხორებაული სასახლე

დიღომი 1683 – იხ. წოდორეთი

დიღომი 1696 – იხ. მცხეთა

დიღომი 1697 – ... თქუენ ... ქართლისა კათალიკოზს ... იოვანეს, ჩვენ, ფა-ნასკერტელმან-ციციშვილმან ... ფარსადან ... მოგყიდეთ ზანდარაშვილი მღდელი დავით... არიან ამისნი მოწამენი ... მცხეთის დეკანოზი, ზაქარია კანდელაკი... ჩვენ, მოურავი დიღმისა, ბატონისშვილი იასე მოწამე ვართ (ის, IV, გვ. 71-72).

დიღომი 1720 წ. ახლო – იხ. თრიალეთი

დიღომი 1725 – ... ყოელისა საქართველოსა თუთმპყრობელმან ... პატრონმან ვახტანგ ... ლასურისშვილს გიორგის ... გიბოძეთ დიღვამს შენის ბიძაშვი-ლების მელქიზასდა შაერდის ნაქონი მამული სახლით-კარით... ამასდა გარდა გვიბოძებია თრელში გიორგობულა მიწა... (დსსი, I, გვ. 218).

დიღომი 1742 – ესე გადაწყვეტილების წიგნი მოგეცით ჩვენ, დიღმელებმა, შენ, პატარძეველს უსუფაშვილს, ჩვენ შენი ნათესავი კაცი ფოთოლაშვი-ლი, ივანე შემოგვედავა და სისხლი დაგვედვა... პასუხი გაგვეც ჩვენი და სისხლი გარდაგიწყვიტე... სადაო არ გქონდეს... (ქკმეის, გვ. 94).

დიღომი 1746 – ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, დავით ნაზირმა, თქვენ, ბატონს ნინოწმინდელს საბას... ბატონის ბძანებით იასაულათ ვიყავით დიღმელის კაცების ასაყრელათ. სხვა კაცები სრულ ავყარეთ, რაც თქუენს სამწყსოში იყო და ერთი კაცი დარჩა, რომ ვახტანგ მეფის დროს გამოსული იყო... ვერ-ცავის სხვას აეყარა, სხვა ნინოწმინდელებისათვის ვერავის გამოერთმია... ჩვენც ამიტომ ვერ ავყარეთ, თქვენვე დაგრჩათ... (ის, V, გვ. 65).

დიღომი 1753 – [ერეკლე II-ის წერილი ანტონ I-ისადმი]: თქვენი ძმა ირაკ-ლი ჴელს გაკოცებ. მარტის I, ჩლნგ, დიღომს, სამეუფოსა (ქეწ, გვ. 97).

დიღომი 1754 – ამილახორი ამირინდო და ამისი ბიძაშვილები ... მამულზედ ელაპარაკებოდნენ... ჩვენ ... ასე გავარიგეთ [ყმა-მამული] ... დიღვამს ... რეხ-ზედ ... მეჯვრისხევს ... კასპს ... კარბს ... [და] თელეთს... სვიმონას სოფელი, შაისულანი, ზევდულეთი დემეტრეს საუფლისწულო იყო და საერთოთ და-იდვა. ამილახორს ამირინდოს უწინ საუფლისწულოთ მახარაღაჯი იმის მა-გიერ ახრისი–ეს ორივ საერთოთ დაიდვა. რევაზს საუფლისწულოთ ეჭირა

---

[96] საბუთის სპარსულ ვერსიაშია: „... ჩავაბარეთ [ჯავახიშვილს და ლარაძეს] ... დიღმის ზემოდან, ვიდრე ახალდაბის თავამდე მტკვრის აქეთა მხარეს... (ქსის, გვ. 40).

ორჭაშენი, ავაზანი, ვენახი ედვა კასპს,–ესები საერთოდ დაიდვა. თეიმურაზს საუფლისწულოთ ეჭირა ბეშოეთი და ნუგზარას სოფელი, ესენიც საერთოდ დაიდვა... გორს [ყმა-მაული] საერთო არის. ძევერას [მამულებ], ერთი ახალშენი ბაგა რაც საბარამისშვილის სახნავი მამული იყოს, ერთი საწისქვილო, სამი ქვევრი, ორი ხოდაბუნი–ეს მამულები და კაცები გივისა და იმის ძმების ნასყიდი არის. რაც ძევერას მოსახლე კაცნი არიან, ეს მამულები ... საერთოთ უნდა დაიდვას... დიბას ნასყიდი მამული და ვენახი საერთო არის... ქვემო სობისს თათრისშვილის მამულის წიგნი ნასყიდობისა მოიტანოს; ვისგანაც ეყიდნოს, თუ იმ კაცს თვალთ უჩნდეს, ფასი იმანვე უნდა მისცეს... ბეშოეთს გიგაური დემეტრესი არის და ამის მამული საერთო არის. ფხვენისს გალავანი ბატონისაგანც ასე ბძანება იყო, რომ ნახევარი დემეტრესი და დათუასი არის და ნახევარი სულ ყველა ამილახორის შვილებისა არის... თლენავი საერთო არის... პაპუას შვილი რუისს არის; რაც იმან წილი გაიტანოს, ვისთანაც სახლის კაცათ არის, თითონაც და მამულიც საერთო არის... ცინცილაშვილი და ნონიაშვილი იესეს ყავს ავნევს, საერთო არის, თავის მამულზედ უნდა მივიდნენ... ატენს ... ბეშოეთს ... ზემოსობისს სობისს [ყმა-მამული] საერთო არის. გრაკალს ან დოესს ან ქვახვრელს რაც საამილახორო კაცი იყოს ან ქართველი ან სომეხი, ყველა უნდა აყაროს და თავთავის მამულზედ მივიდნენ ... ფასკუნჯს რაც ხატის მამული ეჭიროს, ისევ ხატისა არის და კაცი თეიმურაზისა არის ... (ქსძ, IV, გვ. 432-436).

დიღომი 1755 – იხ. ზერტი

დიღომი 1757 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... ბეთანიის დეკანოზს დავითს... დიღომს ერთი ნაზვრევი და ერთი მარინადაშვილის შეწირული მიწა არის, ბეთანიის შეწირულია. იმისი ღალა აქამდინ სულ უძლეველია თავრობასაც და ქართველობასაც. შარშან და წელს არ მოუციათ... ბატონო, ბეთანიის შეწირული ზვარი იყო, ახლა ნაზვრევია (ქსძ, VII, გვ. 36).

დიღომი 1764 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... დიღმის მამასახლისო დავითავ და ერთობით დიღმელებო! მერმე, დიღმელი თქვენი მეზობელი გეგელის-შვილი გიორგი ლეკისაგან დატყვევებულა, ერთს ჩვენს შერიგებულს ლეკს დაუხსნია, ქალაქში მოუყვანია ... [და] სხვას დაუხსნია ... და გაუშვია... არას დიღმის მოხელეს და არას დიღმელს კაცს ამასთან ხელი არავისა გაქვსთ. აქ ქალაქში არის, ჩემის შვილის, ლევანის ხელდებულია... (სს, III, გვ. 363-364).

დიღომი 1765 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... დიღმელს მათ ყმას, ზაზიასშვილს კალატოზას პაპუნასა. მუსხელისშვილი დათუნა მედავება, ჩემი ყმა ხარო... თქუენი წყალობა იყოს–დიღმის მამასახლისსა და სულ დიღმელები აქ გახლიან და მოკითხული ქნათ... (ქსძ, VII, გვ. 98).

დიღომი 1774 – იხ. ვარაზისჯვარი

დიღომი 1778 – მისის უწმიდესობის დიკასტრია გიბრძანებს შენ, იასაულო დავით: ... ვინცავინ არიან, რომ დიღმის წმიდის გიორგის ეკლესიის მამუ-

ლები უჭირავს, ამათ ყველაყას უნდა რომ ღალა გამოართვა და ამ პაელე მღვდელს მოსცეთ. (ქსძ, III, გვ. 922).

დიღომი 1778 – იხ. საბეგაანო

დიღომი 1779 – ღმერთმან ყოვლისა საქართველოს პატრიარქის ჭირი დიღმელს აბრამ მღვდელს მომცეს... ხუცათ ვეკურთხე და ... თელავს ღმრთაების საყდარში გახლდი; და ჩემთვის კარგათ ვცხოვრობდი... მე ეს შეძლება არა მაქვს, რომ ერისკაცულათ კიდეც ვხნა და ვთესო და კიდეც ვიხუცო და სოფელს მოუარო... [ანტონ I-ის ოქმი]: დიღმის მამასახლისო გაბრიელ და ერთობით დიღმელებო... თქვენ ერთი დღე უნდა უხნათ და ერთი დღე უმკოთ [აბრამ მღვდელს]... თითონ თქვენმა მახლობელმა სოფელმა აეჭალამაც და თქვენც ამ საქმთ უნდა გააძლებინოთ... (ქსძ, VII, გვ. 443-444).

დიღომი 1780 – თრიალეთელი კოხაჯელი ზეიგიძე ხუცისშვილი ბასილა ჩიოდა: ექვსის წლისა დავიკარგე, ყირიმში გამყიდეს... [იქიდან] საქართველოსაკენ წამოველი ... [და] დიღომს მოველო და ბატონის ყმათ დავდეგ და იოანე [დოლენჯაშვილი] აღარ მეშვება, ჩემი ყმა ხარო (ქსძ, V, გვ. 106-107).

დიღომი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

დიღვამი 1784 – იხ. გაეაზი

დიღომი 1787 – ღმერთმან ... პატრიაქის ... ჭირი მოსცეს თქვენს ... ზანდარასშვილს აბრამას, დიღმელს... შარშან რომე დიღომი აიყარა, იმ ხანაში თეთრაძის მამასახლისის დავითის შვილი, სოსება მამულს ყიდდა, სხუაზე ყიდდა, არც მეზობელი იყო, არც იმ ქვეყნისა იყო... ავდექ და მე ვიყიდეახლა ის ჩემი ნასყიდი მამული ბატონისშვილს სხვისთვის უბოძებია... (ქსძ, VII, გვ. 724-725).

დიღომი 1788 – ღმერთმან ... ხელმწიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს იასე მდივნის ობლებს... ბატონმა დიღომს ოციოდ დღის მიწა გვიბოძა. მანამდისინ ბატონი დიღომს გიბოძებდათ, ვინცავინ იმ ჩვენს მიწებს მოხნამდნენ, ღალას ვართმევდით და ახლა რომ თქვენ გაქვსთ, უთქვენოთ ვერავისთვის გამოგვირთმევია. ერთი ოქმი გვიბოძეთ, რომ ვინცავინ ეს მიწები მოხნან, ღალა მოგვცენ... (ქსძ, VII, გვ. 754).

დიღომი 1788 – ღმერთმან მათის უწმინდესობის დიკასტერიის ჭირი მოსცეს დიღმელთ ხუცებს–აბრამს და პაელეს... ამას წინათ მისმა უწმინდესობამ პატრიარხმა და დიკასტერიამ დიღმელებზე წიგნები გვიბოძეს, რომ როგორც სხვა სოფლებშია მღვდლის პატიჟი და სამლოცველო – თითო კოდი პური კომლზე, ეგრეთ განგვაწესა... (ქსძ, V, გვ. 426-427).

დიღომი 1790 – [არზა პეტრე მღვდლისა ალექსანდრე ბატონიშვილისადმი]: ... ეხლა რომ კალოს უკან ღალის პური შესწერდა დიღომს, მეც მთხოვდენ. მარტყოფს თქვენს ძმასთან მიველ, ოქმი მიბოძა, მაგრამ არ შეიწყნარეს... ჩემი ორმო აუგლეჯიათ და სამი კოდი პური ამოუღიათ... (ქსძ, VIII, გვ. 79-80).

დიღომი 1791 – [ქერის მოსაელისა და ბზის ნასყიდობის ნუსხა უცნობი პირისა]: ... ამ წელს რაც ქერი მოვიდა: დიღმიდან ... წალასწურიდამ ... ნავ-

თლუღიდამ ... სონღალუხიდამ... მარაბდის ღალისა კოდი ქერი... ამბარდრიდამ ... გარეთუბნიდამ ... კუკიიდამ ... ავლაბრიდამ ... ოქროყანიდამ ... ირაკლის ციხიდამ (მსეი, III, გვ. 241-242).

დიღომი 1792 – [არზა მეღვინე წესიარას ქვრივისა ერეკლე II-ისადმი]: ... დიღომში თქვენი წყალობა მამული მაქვს. იმ ჩემის მამულის ღალა მუდამ მე მამცემია, ახლაც იმას გეეედრები ... ოქმი მიბოძოთ, ის ჩემი მამული არავინ მოხნას... (ქსძ, VIII, გვ. 162).

დიღომი 1797 [ბრძანება გიორგი XII-ისა სარდალ იოანე ორბელიანისადმი]: ... არაგვიდამ და ქსნიდამ ჯარი მოვა ამ ქალაქში–ათასი კაცი. შვიდასი კაცი მოქალაქეთ და გარეშე კაცთ უნდა შეინახონ და ულუფა აძლიონ და სამასი კაცის ერთის თვის სურსათი, დიღმიდან მოკიდებული, რაც ახლოს სომხითის სოფლები იყოს ერეკლეს ციხით, ამათ უნდა შეაწეროთ და გაარიგოთ... გოსტაშაბისშვილო დათუაე და დავითელავ! მერე როგორც ერეკლეს ციხიდამ მოკიდებული ამ ქალაქის პირის სოფლებს რით სარდალ სახლხუცისაგან შეწერილი არის ჯარის სურსათი, ახლავე ასრე უნდა გაარიგოთ და მოიტანოთ და ჯარს მისცეთ... (სს, I, 1920, გვ. 164).

დიღომი 1798 – მეფის გიორგის ჭირი მოსცეს აზნაურ ხიმშიაშვილს დიმიტრისა... ჩემო ხელმწიფევ, გვიბოძეთ ჩვენი სამკვიდრო სოფელი დიღომი... ჩვენს დღეში, რაც საქართველო დაარსებულა, ერდგულების მეტი არაფერი დანაშაულობა არა გვაქვს რა თქვენზედა. [გიორგი XII-ის ოქმი]: რადგან ამდენს ხანს ჩვენს ხელთ ყოფილა უმიზეზოთ თქვენი სამკვიდრო ყმა და მამული დიღომი, ახლაც მე უნდა დამითმოთ, ამისთვის რომ ამის ფარდი სამაგიეროთ სხვას უმეტესსა და უკეთეს სოფელს გიბოძებ და გიწყალობებ ქართლშია ... და ან აქავ, ქალაქში, თათრის მეიდანზედ ახალი დუქნებისას გიბოძებთ (ქსძ, VIII, გვ. 506-507).

დიღომი 1799 – [არზა გენებაშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ... რაღაც მამული გვებადა დიღომს, ერთი ჩვენი განაყარი კაცი გახლამს იქავ დიღომს, იმ ჩემს მამულს ის სჯამს... ერთის ოქმის წყალობა დაგვმართოს დიღმის მამასახლის გაბრიელზედ ... რომ სამართლიანის გზით მოიკითხოს... (ქსძ, VIII, გვ. 571).

დიყვი. შიდა ქართლი

დიყვი 1720 წ. ახლო – იხ. თრიალეთი

დიყვი 1760 – იხ. ალაიანი

დიცი // დიცა. შიდა ქართლი

დიცი 1725 – იხ. წაკულთა

დიცი 1771 – იხ. მეჯვრიხევი

დიცი1772 – იხ. მუხრანი

დიცი 1772 – იხ. ხეობა

დიცი1774 – იხ. ერგნეთი

დიცი1786 – იხ. ქვათახევი

დიცი 1789 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს ფალვანდიშვილს ზურაბს. ღრაფი რომ გადმოვიდა პირველათ, ერთი ფალავანდიშვილის გიორგის გაყიდული კაცი იმათ გადმოყვა, დიცს დადგა; თქვენ რომ ქართლი ააწერინეთ, პირველ მორიგობაში არცარა შემიტყვია... ძაღინას რომ მიველ, იქ მოვიდა ის კაცი... ეხლა ბატონი რომ წაბძანდა ასანურზე, მე იქ დავიბარე, თან უნდა წამოყოლოდა... (ქსძ, VII, გვ. 807-808).

დიცი1795 – იხ. სეერი

დიცი1795 ახლო– იხ. ერედვი

დიციXVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

დიცური რუ. შიდა ქართლი

დიცური რუ 1652– იხ. ქორდი

დლანი. ქვემო ქართლი

დლანი 1447 – იხ. მცხეთა

დმანისი. ქვემო ქართლი

დმანისი 1241 – იხ. ორომაშენი

დმანისი 1543 – იხ. სხალნარი

დმანისი 1586 – იხ. ჩინჩხორი

დმანისი 1636 – იხ. საბარათაშვილო

დმანისი 1689 – იხ. სარკინეთი

დმანისი 1698 – ... ჩვენ, ყარჩიხაშვილმა ზურაბ ... დმანისისა მღთისმშობელსა და ბატონს დმანელს ელისეს ... ჩვენი მემკვიდრე ყმა გალუსტაშვილი ნაზარა ... მათის ... მამულითა მოგართვით ... ვალში... ფიტარეთისა ღვთისმშობლის წინამძღვარს იობს, დამიწერია და მოწამეცა ვარ... (დსეი, გვ. 25-26).

დმანისი 1730 – ... ესე წიგნი მოგართვით მე, ორბელიანმა გორჯასპიშვილმა ბატონმა ქაიხოსრომ, თქვენ ... სალთხუცესს ელისბარს და ვახტანგს. ასე რომე, დმანისს სასახლე ნარიყალა და ნაციხვარი ... პაპათქვენს ორბელს ძმებისაგან წილში რგებოდა და სახლიც აეშენებინა... მასუკან, ერეკლე მეფის ჟამში, ბიძაჩემს პაპუას იქ ცოტა რამ შენობა ექნა. მერმე ბიძათქვენმა, მდივანბეგ ერასტიმ, ლაპარაკი დაგვიწყო და გვთხოვა... ადგილი მისი იყო, მივართვით, და ... ჩვენის შენობის ფასს დაგვპირდა... ახლა თქვენ ... იმ შენობის ფასი უკლებლად მოგვეცით... არიან ამის მოწამენი ... ტფილელი მიტროპოლიტი ბატონი იოსებ, დმანელი ელისე, ფიტარეთის წინამძღვარი იობ, სიონის დეკანოზი გაბრიელ და მე, ანჩისხატის დეკანოზს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი... (სს, II, გვ. 356).

დმანისი 1732 – იხ. ფიტარეთი

დმანისი 1736 – იხ. შუა ბოლნისი

დმანისი 1736 – იხ. სატრედო

დმანისი 1746 – იხ. ზემო ვარდისუბანი

დმანისი 1746 – იხ. ქვემო ვარდისუბანი

დმანისი 1756 – ... ჩვენ, ყარაბუდახისშვილმა შიოშ ... თქუენ ... ტუსის-შვილს შიოშს ... მოგყიდე ჩემი მკვიდრი და ბარათში გამოყოლილი ყმა, დმანისელი ბადრიაშვილი გიორგი... დაიწერა სიგელი ესე ტფილურთა მო-ქალაქე-ქმნილის, ჴელოანი მხატვრის, გრიგოლი მღუდელის ძისა, ანჩისხა-ტის დეკანოსის ალექსისათა... (ის, V, გვ. 74-75).

დმანისი 1779 – იხ. ტამალა

დმანისი 1793-1795 – იხ. საყაფლანისშვილო

დმანისი XVIII ს. – გაყიდა დათუნამან და პაატამან დმანისს ერთი საკომ-ლო თუთხმეტ თუმნად, ახალშენს გაყიდა ორი საკომლო თორმეტ თუმნათ, ტბისს ერთი საკომლო სამ თუმნათ, ენაგეთს ერთი საკომლო სამ თუმნათ, მარაბდას ორმოცდაათ თუმნათ (მსეი, III, გვ. 346).

დმანისის საეპისკოპოსო. ქვემო ქართლი

დმანისის საეპისკოპოსო 1770 – იხ. ქიზიყი

დმანისის ციხე // დმანის ციხე // დმნის ციხე. ქვემო ქართლი

დმანისის ციხე 1537-1538 – [ბარათაშვილების გაყრის წიგნი]: ... მიხუდა იო-თამს: დმანისის ციხეში სასაფლაოდ დმანისთა ღმრთისმშობლის ნახევარი და კარისბჭე ... [მოსდევს დმანისში მცხოვრებ ყმათა ერცელი ჩამონათვა-ლი]; დმანისის ნახევარი და სახუცესო; საბაჟოს ნახევარი და სახუცესო. მოხუდა იოთამს მანაკერტს სახუცესოდ სასახლე [და ყმა-მამული]... მოხუ-და იოთამს საუხუცესო აკურთას [ყმა-მამული]; მოხუდა იოთამს საუხუცე-სო ფიტარეთს [ყმა-მამული]... თავსაყდრის ნახევარი ზეითი მხარი, გარეთ –ორმოცთ ეკლესია; მოხუდა იოთამს გომარეთს [ყმა-მამული]... ლიპარიტი-სამა მისის მთითა და ჭალითა. მიხუდა იოთამს საქიშხანს [ყმათა ჩამო-ნათვალი]... მიხუდა იოთამს ანგრევანს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს ჩიჩ-ხაურს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს დიღმაშენს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს მუტავისს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს საუხუცესოდ კარშაგარს [ყმათა ჩამონათვალი]; კარშაგირს ნახევარი და საუხუცესომიხუდა იოთამს ქვაბევანს საუხუცესოდ [ყმა-მამული]... ქვაბევანის ნახევარი და საუხუცესო დღეს რისაც მამულის მქონებელი არის. მიხუდა იოთამს ვანთას [ყმა-მამუ-ლი]... მიხუდა იოთამს შაქთგოზს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს მარაბდას [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს უკანაგორს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს ქუემო თაგუთი [ყმა-მამული]... ხული მისის მთითა და ველითა; ლორაშენი მისის მთითა და ველითა; ყაესკეტი მისის მთითა და ველითა. ფარაჯქის ნახევარი, მალამხსუდის ნახევარი; გელდიგილანის ნახევარი; აღუმარე მი-სის ციხითა, მისის მთითა და ველითა; ყარაშის ნახევარი; ქედის ეკლესი-ის ნახევარი; იაღლუზი მისის მთითა და ველითა; სულგედიანის ნახევარი; გელას სოფლის ნახევარი; ქეთილაშენის ნახევარი; ხანბოძოაორის ნახევა-რი; ჩირგმეშენის ნახევარი; ქერანდენის ნახევარი. კოტჩაწეგღეცის ნახევა-რი; ქერანდენის ნახევარი მისის მთითა და ველითა; ყამიშის სოფლის ნა-ხევარი; სულად ლოქის მთის ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს

მიჯას [ყმა-მამული]... ყადრუყელის ნახევარი; ავანხევი მისის მთითა და ველითა; ყარაქილისას ნახევარი; გოგაღჩელის ნახევარი; ქვემო ოროზმნის ნახევარი; ზემო ოროზმნის ნახევარი; უზემაფირამადის სოფელი მისის მთითა და ველითა; შავსაყდარი მისის მთითა და ველითა; ტანძია მისის მთითა და ველითა; წითელი ეკლესია მისის მთითა და ველითა; ბოსლების ნახევარი; ანდრულალი ლუკენის საყდრამდის, იქიდამ სამაგარისა კოხ საყდრამდის; სამაგარა მისის მთითა და ველითა; ქვემო შინდლარა მისის მთითა და ველითა; თევრის ნახევარი; ხატის სოფლის ნახევარი; ტნუსის ნახევარი; ტამალა მისის მთითა და ველითა; საკარისის ნახევარი; მიხუდა იოთამს გულეულს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს ჯანაზიანში [ყმა-მამული]... ჯანაზიანის ნახევარი და საუხუცესო; მიხუდა იოთამს რატევანს [ყმა-მამული]... რატევანი მისის მთითა და ველითა და ყოველთა შესავლითა; მიხუდა იოთამს იფნობს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს მირტაშენს [ყმა-მამული]... მიტიჩაური მამული, საბაჟო და მისი შესავალი. მიხუდა იოთამს ბალახურს [ყმა-მამული]... ბალახაურის ნახევარი და სახუცესო. მიხუდა იოთამს მუგუთს [ყმა-მამული]... მიხუდა იოთამს გუდარეხის ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს ცოვრეთს საუხუცესოდ [ყმა-მამული]... ცხოვრეთის ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს კრეფას [ყმა-მამული]... კრეფა მისის მთითა და ველითა, ჩალის ციხითა და ჭაობითა. მიხუდა იოთამს ავაზანს საუხუცესოდ [ყმა-მამული]... კაჟინაური მამული, ფაცრის ნახევარი, ავაზნის ნახევარი და საუხუცესო. მიხუდა იოთამს დარბასჭალას [ყმა-მამული]... დარბასჭალა, ნახევარი და საუხუცესო. ჩანასჭალის ნახევარი; სულუტის ნახევარი; ლევისუბნის ნახევარი. ყაზანარასშვილის სოფლის ნახევარი; წნორის ნახევარი; მიხუდა იოთამს საკირის სოფლის ნახევარი და საუხუცესო კრცხილას ნახევარი. წარუთის ნახევარი და საუხუცესო... მუგუთს [ყმა-მამული]... მირტაშენს [ყმა-მამული]... მიხუდა მამაცას ნასოფლარი ირდასუბანი მისი ველითა, ჭალითა და ყოველითა შესავლითა; მიხუდა ჯანიაშვილს როსტევანს ქვემო აბანოს [ყმა-მამული]... ქვემო აბანო, მისის მთითა და ჭალითა წმიდის მარინეს საყდრამდისინ და მისითა ყოველითა შესავლითა. მიხუდა ჯანიაშვილსა როსტევანს გულეულთ დღეს რისაც მამულის მქონებელი არის [ყმა-მამული]... სომხითს ბოძორას სოფელი, დღეს რისაც მამულის მქონებელი იყოს, მიხუდა იოთამს... (ქსძ, IV, გვ. 14-33).

დმანისის ციხე 1746 — იხ. წრაუთი

დმანისის ციხე 1749 — იხ. საორბელიშვილო

დმანისის ციხე 1793-1795 — იხ. საყაფლანისშვილო

დმანისის // დმანის ხევი // ჰევი // ხეობა. ქვემო ქართლი

დმანისისხევი 1586 — იხ. ჩინჩხორი

დმანისისხევი 1620 — [ორბელიანთა შემოსავლის ნუსხა]: ... ამ წელიწადს ბარის სათვიმო სოსცდა. მოვიდა მათის სათემოში პური კოდი ორასორმოცდაათი... ამას გარდა, ბარის ქვეყანას ბარდის, ტაშირსა და ლაქს[97]

[97] ლოქს?

გარდაის, მარტო დმანის ჭევში გუთანზე მოკრიფა პური და ქერი თორმეტი ათასი; ტაშირის და ბარისა სახლთხუცესს კითხეთ, რა მოვიდა ჩვენი მოსავალი ტაშირისა... (ქრონ, II, გვ. 444).

დმანისისხევი 1633 – იხ. ზემო ოძისი

დმანისისხევი 1749 – იხ. საორბელიშვილო

დმანისისხევი 1793-1795 – იხ. საყაფლანისშვილო

დოდოს მონასტერი // დოდო // დოდოსრქა. კახეთი

დოდოს მონასტერი 1392 – იხ. ტფილისი

დოდოს მონასტერი 1443 – იხ. თოლეჯი

დოდოს მონასტერი 1479 – იხ. გარეჯა

დოდოს მონასტერი 1704-1714 – იხ. კაკაბეთი

დოდოს მონასტერი 1708 – იხ. მცხეთა

დოდოს მონასტერი 1709 – იხ. საგარეჯო

დოდოს მონასტერი 1711 – იხ. საგარეჯო

დოდოს მონასტერი 1711 ახლო – იხ. დავითგარეჯა

დოდოს მონასტერი 1747 – დოდოს მონასტრის მამული – სახნავი მიწა: ბერა ნაცხვრევში[98]... დოდოს მონასტრის ხოდაბუნი ლაპრიანში... კიდევ ხოდაბუნი გაუგონარი... ქვიანის ბოლოს მიწა... დოდოს ზვრის ბოლოს სახნავი მიწა, თავს ზვრის ბოლოს რომ გზა გარდაივლის, იქიდამ ... ზევით და ქვევით ორივ მონასტრისა არის... მონასტრის მიწა: პანველაშვილის[99] ვენაჯის ბოლოს რომ გზა გაივლის... (ქსძ, III, გვ. 795-796).

დოდოს მონასტერი 1749 – იხ. ლაკრა

დოდოს მონასტერი 1750 – ... ჩვენ, ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ-მქონებელმან პატრონმან თეიმურაზ ... თქვენ ... საქართველოს მრავალმთის გარეჯის დოდოს მონასტერს ეკლესიასა ... შემოგწირეთ სასახლის ადგილი სიონს აქათ, ნათლიმცემლიან დავითგარეჯელთ სასახლემდის და აქათ, წყლის ჩასავლის გზამდის, ზემო შარის ქუჩის მიდგამდის და ქუემო ბაღის წყლამდისინ, დავითგარეჯელთ გზა ამ თქუენს სახლში გაივლის. ამ გზას ვერ დაუჭერთ და გზა ზევით და ქუევით დოდოს წინამძღვარმა, როგორც უნდა, სასახლე ააშენოს, რომ როიცა ქალაქს ჩამოვიდოდნენ, სადგომი საძებრათ არ ექნებოდესთ (დთი, I, გვ. 219-220).

დოდოს მონასტერი 1750 – ... [მჭედლიძემ ნასყიდა] ... ქალაქს ჩამოვედით ... [და] ჩვენის ნება-წადილითა ეს თავშეწირულობის წიგნი მოგეცით თქვენ, წმინდის დოდოს წინამძღვარს სვიმონს... სახლის ალაგი თქვენ მოგვეცით – ბატონს რომ მონასტრისათვის სახლის ალაგი შეეწირა მტკვრის პირსა, დავითგარეჯიანთ სასახლესთანა... (ქკმეის, გვ. 102).

---

[98] ბერანაცხვრევში (სეიძ, II, გვ. 91).

[99] პანკელაშვილის (სეიძ, II, გვ. 92).

დოდოს მონასტერი 1752 – იხ. მაშრანი

დოდოს მონასტერი 1759 – იხ. ზიარი

დოდოს მონასტერი 1760 – იხ. ნათლისმცემლის მონასტერი

დოდოს მონასტერი 1763 – იხ. ზიარი

დოდოს მონასტერი 1777 – იხ. ზიარი

დოდოს მონასტერი 1778 – ჩვენ ... ნინოწმინდელ მიტროპოლიტმან საბა ესე ... წიგნი მოგეცით თქვენ ... არხიმანდრიტსა ... დავით-გარესჯის მონასტრის ... გერმანეს... დოდოს მონასტერი ... აღოჳრდა და უმკვიდრო იქმნა და წინამძღუარი მისი სვიმეონ და კრებულნიცა მისნი მისითა სამკაულითა და მამულითა და ყმათა დავითგარეჯის მონასტერში შეხუედით. ზენონის შემდგომად ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღურობა სვიმეონს მიეცა. და მოინდომა იმან, რათა დოდოს მონასტრის სამკაული, მამული და ყმა თან შეეტანა ნათლისმცემლის მონასტერში. ესე ჩუენ წინააღმდგომად აღგვიჩნდა და არ შეევატანიეთ... ვინაჲთგან მწყემსად ვარ დადგინებულ ნინოწმინდისა ეკლესიასა ზედა და ათორმეტთა მათ უდაბნოთა მონასტერთა ზედა ... ჩუენ დავიჭირეთ დოდოს მონასტრის დაშთომილი სამკაული, ყმა და მამული და მაშინვე დავითგარესჯის მონასტრის წინამძღუარს მივაბარეთ... ნათლისმცემლის მონასტერს ამის მაგიერ ჩუჳნის ეკლესიის საკუთარი ყმა და მამული მივართვით... აწ, ვინაითგან ღირსება შენი თჳით მას მონასტერსა შინა დოდოსსა არს აღზრდილ და ... მისრულ იყავ წინაშე მისისა უწმიდესობისა ... და შუამდგომელად აღგეძრათ წინაშე ... ყოველისა საქართუჳლოჲსა მეფისა ირაკლი მეორისად, რათა თქუენვე მოგაბარებდათ დოდოს მონასტრის სამკაული, ყმა და მამული, და მათ ბრძანეს ჩემდა მომართ ამისი აღსრულება – მეცა [აღვასრულე] (ქკმეის, გვ. 122-125).

დოდოს მონასტერი 1779 – ჩვენ, მეფემან ... ირაკლი მეორემან ... დავსწერეთ ბრძანება ესე შენდა მიმართ ... ნინოწმინდელ მიტროპოლიტო უფალო საბა: ვინათგან ძუელთა გუჯრებთა შინა ეკლესიისა შენისათა მეფეთა წინაპართა ჩვენთა მიერ ბოძებულთა ესრეთ წერილ იყო, ვითარმედ, დოდოსრქის მონასტერი ყოვლად სამღვდელოს ნინოწმინდელისათჳს მიგვიბარებიაო, სხვას ჴელი არავისა აქვსო... ოდეს ... უმკვიდრო იქმნა და დაიცალა მონასტერი დოდოსი, მისი მამული და ყმა და სამკაული ყოველივე თქვენ მოგებარათ... [შემდეგ] მივაბარეთ დავითგარეჯის მონასტრის არქიმანდრიტს გერმანეს ... დოდოს მონასტრის ყმა და მამული. გარნა ბრძანებითა და განწესებით ამით, ოდეს კუალად აღემართოს და აღშენდეს მონასტერი დოდოსი... (ქსძ, II, გვ. 448-449).

დოდოს მონასტერი 1782 – იხ. დავითგარეჯა

დოდოს მონასტერი 1789 ახლო – ... მიგვიბარებია ჩვენ, ნეკრესელს, დოდოს საქონელი წინამძღვრის ნიკოლოზისათჳს... (ქკმეის, გვ. 156).

დოდოს მონასტერი 1790-იანი წწ. – [ყანების ნუსხა]: დალბაშვილის უდგა დოდოს მიწაში ზვრის ბოლოს ყანა ორის დღისა, კიდევ ნასამარხოვალში ერთის დღისა, კიდევ ხრამის თავში ხოდაბუნში ორის დღისა. ომანას ნა-

სამარხოვალში ორის დღისა. ბეციას ქვიანის ბოლოში ორის დღისა, კიდევ გორხანისაკენ ერთის დღისა. იმ ხოდაბუნში ერთის დღისა აბრამ მღუდელს. ვართანას ხოდაბუნში ერთის დღისა. პეტრე მჭედლიშვილს გაუგონარში ორის დღისა. ქაიხოსროს-შვილს ხრამის თავს ხოდაბუნში ერთის დღისა. ლეჭყამპიაშვილს გორხანისაკენ ხოდაბუნში ორის დღისა... (სეიძ, II, გვ. 158).

დოდოს მონასტერი 1793 – [არზა წინამძღვარ თეოდოსისა ერეკლე II-ისადმი]: ... თუ არ იქნება [დოდოსრქის] აშენება, გევედრებით, დავითგარესჯას არ ჩამოერთოს ეს დოდოს მამული; დია საქმე გაჭირვებული აქვს დღეს მონასტერს... [ოქმი]: დავით გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის ასე უამბეთ. მერე, როგორც ამ არზით გითხოვია, წმინდის დოდოს შემოსავალი არ ჩამომირთმევია, სრულებით შენ უნდა მიიღო (ქსძ, VIII, გვ. 246).

დოესი // დუესი // დოეზი // დუეზი. შიდა ქართლი

დოესი 1664-1673 – იხ. წყნეთი

დოესი 1688 – იხ. გარეჯვარი

დოესი 1690 – ... ჩუენ, ციცისშვილმან ... ფარსადან ... თქუენ მაღალაძეთ – მოგეცით ჩუენი მემკვიდრე დოელი ხუდუაშვილი როსტომა... (დსეი, გვ. 18-19).

დოესი 1695 – ... მე, ტერტერასშვილმა პაპუამა ... თქვენ, ჯავახისშვილს ფარემუზს ... მოგყიდე ჩემი ალალი ... მიწა დოესის თავს ნამგალა, ქვეით ციციშვილის მიწის ნამგალამდი და ზეით გზამდი... (სს, II, გვ. 113).

დოესი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

დოესი 1720 – იხ. ჭვირო

დოესი 1744 – ... მე, თუმანიანთ ელიზბარის შვილმა პაპუამა, თქვენ, დუეზის მამასახლის ტატისშვილს რევაზს ... მოგყიდე ჩვენი ... მამა-პაპაჲათაგან ნასყიდი ონანაანთ ბერუას შვილი გიორგი... (დსსი, I, გვ. 319).

დოესი 1748 – იხ. დიდი ქარელი

დოესი 1754 – იხ. დიღომი

დოესი 1771 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... ციცისშვილს პაატას. დოესი რომ გაყიდეს ჩემმა სახლისკაცებმა, არ უკითხავთ ... ჩემთვინა. თქვენი წყალობა მოვიდა ... და ჩვენი მამული დოესი ისევ ... დაგვასხნევინეთ. ალექსანდრე სარდალმა რომ დაიხსნა დოესი, მე რაც შემამხედებოდა ჩემი წილი – მეოთხედის ნახევარი დავიხსენ... რაც რამ მოსავალი მოვა დოესში, მერვედს მაძლევს ყოველთვინ... ამას ვევედრები მათს სიმაღლეს ... მერვედი ციხე და მამული გამიყოს, ჩემი წილი მამცეს (ქსძ, VII, გვ. 173).

დოესი 1771 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს სარდალს ალექსანდრეს... წინაზედ რომ ჩემი სახლისკაცები დოესზედ მიჩიოდენ – დოესი ჩვენი წილი დაგვახსნევინოსო, თქვენი განაჩენი აქვთ – დაახსნევინეთ. ახლა ამ წყალობას ვითხოვ: ერთის ოქმის წყალობა მიყავით ერთ-ერთს ჯავახისშვილზედა, დოესს რომ თქვენი ნასყიდი სახასო კაცნი არიან თათანასშვილი და ტურაშვილები, ის მამული გაგვირჩიონ... (ქსძ, VII, გვ. 189).

ვაკე 1627 – ... ჩუენ, მეფემან ... სჯიმონ ... თქუენ ... ბარათაშვილს ... ყაფარბეგს ... გიბოძეთ [სამკვიდროდ] რაც ვაკეს საჩინოს ჰქონებია მთითა, ბარითა... (ქსის, გვ. 60).

ვაკე 1628 – იხ. ამლიევი

ვაკე 1633 – იხ. ზემო ოძისი

ვაკე 1699 – იხ. მანგლისი

ვაკე XVIII ს. დამდ. – იხ. ტბისი

ვაკე 1703 – ... ჩვენ, უსუბეგის შვილმან პატამ ... თქვენ, გოსტაშაბისშვილს პაპუნას ... მოგყიდე ჩვენი მამა-პაპათ ნასყიდი სამკვიდრო და უსყიდი ვენახი... არის ამის მოწამე ... ჩემი ყმა ვაკელი ხუცესი, თაკველი მამაგულაშვილი ებალა... (სს, I, 1899, გვ. 132-133).

ვაკე 1711-1719 – [ბრძანება ვახტანგ VI-ისა]: ... იასაულო! მერმე, ვაკეს ამოვარდნილის უსუფაშვილის პაატას ნაქონს ხუციშვილზე, თაკვს ებალას და

იმედაზე, იქივ, ვაკეს, პატარას თაყას ნაქონს ანისშვილის ერთს საკვამლოს, ანისშვილის მამულზე ხელი უმართე, გოსტაშაბისშვილს ამილღაბარს მოაბარე... (სს, I, 1899, გვ. 446)

ვაკე 1713 – იხ. გუნანეთი

ვაკე 1713 – იხ. ღოლოვნა

ვაკე 1740 – ბატონის მეფის ვახტანგისა, ბაქარისა და აბდულაბეგის წიგნებით ჰქონდა დავით გოსტაშაბისშვილსა, თვითონ უსუფბეგის შვილის წიგნიცა ჰქონდა, ასლამაზ-ხანმაც რაყამი უბოძა. ვაკე და თაკვი დავითსვე მისცეს– უსუფბეგისშვილს ამ სოფლებში საქმე არა აქვს რა (ქსძ, IV, გვ. 351-352).

ვაკე 1749 – იხ. ვანქი

ვაკე XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ვაკე 1768 – იხ. ღორისთავი

ვაკე. შიდა ქართლი

ვაკე 1771 – იხ. ახალგორი

ვაკე 1772 – იხ. მუხრანი

ვაკე 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

ვაკე 1778 – იხ. წიფორის მთა

ვაკე 1781 – იხ. ისროლისხევი

ვაკე 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

ვაკისუბანი. იმერეთი

ვაკისუბანი 1773 – იხ. ქუთაისი

ვაკისუბანი 1776 – იხ. ბარი

ვაკურა. კახეთი

ვაკურა 1428 – იხ. საგარეჯო

ვალაშკერტელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ვალაშკერტი. ბასიანი (?)

ვალაშკერტი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ვალე // ვალე ნაოჭრებნი // ვალე ნაუჭრებოლი. სამცხე

ვალე XIII ს. II ნახ. – ამა ქუეყანათა ვალე ნაოჭრები უფრო იყო, და ამისთოის შუიდი აღაპი შევაგდე... ამა უპიზისა მიწასა ოპიზისაი გამოვიდოდა და ამად არაი შევაგდე კაბალაი და ამა შოიდსა მიწასა, ნაოჭრებს ოხოდაბონოდ, თოითო მიწასა ურ-ორი გრიეი იფქლი შევაგდე... და წალკოტისა თივაი, რაიც მოვიდოდეს, ტრაპეზისათოის წაიგებოდეს და მესამედი მონასტერს მოიღებოდეს და ორ ნაწილსა მე მომცემდეთ... ესე, მომიხსენებია მე, ბოცოს, ჰალისა მთავარმოწამეო... (სსიმ, II, გვ. 30-31).

ვალე XIII ს. II ნახ. – ... შენ, ალისა მთავარმოწამესა გიორგის მე, ბოცო ... ვალე ნაოჭრებნი ... შემოგწირენ და თეთრიცა მათი მე დაგითვალე... აღაპი გაუკუეთე მუნ და ნაოჭარები თით ქედასძესა ალისა მთოვარმოწამი-

სათუისა და ვალე ბექასა კი მიეცა. ხუთი მიწაჲ იყო ვალური და ერთი მიწა – გაბლუცური... (სსიმ, II, გვ. 33).

ვალე XIII ს. II ნახ. – იხ. ალი

ვალე XIII ს. II ნახ. – იხ. ქვემო ტიკაანი

ვალის ზადების სასაფლაო. თბილისი

ვალის ზადების სასაფლაო 1786 – იხ. მეითრიანთ აბანო

ვალური მიწა. სამცხე

ვალური მიწა XIII ს. II ნახ. – იხ. ვალე

ვანათი. შიდა ქართლი

ვანათი 1392 – იხ. ტფილისი

ვანათი 1688 – იხ. ტინისხიდი

ვანათი 1771 – იხ. იმერეთი

ვანათი 1781 – იხ. პავლეური

ვანათი 1795 ახლო – იხ. გორი

ვანათი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ვანათი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. გორი

ვანანი. შიდა ქართლი

ვანანი 1289 – იხ. ვერე

ვანანი 1635 – იხ. ენაგეთი

ვანეთი. ქვემო ქართლი

ვანეთი 1700 – რევაზ ზურაბის შვილი თავისი ძმისწულებით, სულხან ყაფლანის შვილი ვანეთისა ხალდამას[104] სამძღვრებზედ ცილობდენ... ამათი სამძღვრები ... ასე გაურიგეთ რომ: ნასახლარი სერი რომ დასდევს, ის სერი შუა გავყავით, რომ ნახევარი რევაზს დავანებეთ და ნახევარი სულხანს დავანებეთ. და კიდევ ამებს გარდა წყალს გაღმა ღორისთული და ვანური სამძღურები ენახეთ და კიდევ სამართლიანის საქმით ესეც ასე გაუსამძღვრეთ: სერ-სერი ჩამოიტანს სახნავამდინ ძუძუნური, იმას ჩამოსწორ წყლის პირამდინ და საწყლის პირ დარჩა სულხანს. და სერს იქიდამ და სახნავით წყლის პირამდინ დარჩა რევაზს (ქსძ, IV, გვ. 180-181).

ვანეთი 1792 – იხ. ბალიჭი

ვანთა. კახეთი

ვანთა 1392 – იხ. ტფილისი

ვანთა 1428 – იხ. საგარეჯო

ვანთა 1438 – იხ. მცხეთა

ვანთა 1654 – იხ. საგარეჯო

---

[104] ... კიანეთისა ჯალდამას სამძღვრებზედ ცილობდენ (ქრონ, III, გვ. 4); ... კახეთისა ჯალდამას სამძღვრებზედ ცილობდნენ (სს, I, 1899, გვ. 429).

ვანთა. XVIII ს. დას. — ... ვანთას დავით-გარეჯის მამულები იყო. ჯანდიერისშვილი მდივანბეგი ... ედავებოდა. მოურაობით საქმე არა ქონდა. აკურა რომ ჯანდიერის შვილს გაეყო, ის ვანთის მამულებიც მაშინ დაეყოთ, შეიტყობდა. როგორც აკურა დავით-გარეჯისა იყო, ისე რომელიც ვანთას მამულები დაეჭირათ, ისიც დავით-გარეჯისა იყო. ბატონსაც უწინვე მოხსენებული და გასინჯული ქონდა თუთაშხისშვილისა და ქოქიაური, ჭონიაური ზვარი სამეზვრეოთ. დევდარაული ეს მამულები აკურასთან ბატონმა ოხიაყორჩიანთ გამოართო და დავით-გარეჯისათვის დაიდვა და აწ წინამძღვარს მიეცა... (ქსძ, IV, გვ. 190)[105].

ვანთა 1712 — იხ. პატარძეული

ვანთა 1722 [იმამყული-ხანის ბრძანება თარხან ასლანისადმი]: ... მერმე ვანთას მიდი და რაც სახლხუცის ედიშერის და სამებლის განაჩენში ეწეროს, ის მამულები გაარჩიე. ყველა დავით გარეჯის წინამძღვარს დაანებეთ... (ქმეის, გვ. 78).

ვანთა XVIII ს. I მეოთხ. — იხ. თვალი

ვანთა 1733 — [შეტყობინება მდივანბეგისა]: ... რაც წმინდის დავითის მამულები იყო, იმის სასამართლოდ მოვედი ვანთას, სახლთუხუცესის ედიშერისა და სამებელი ნიკოლოზის განაჩენის სამართლის წიგნიც იყო, რომ დავით გარეჯის წინამძღვრისათვის დაენებებინათ ის მამულები... ასლან მდივანბეგის სახლისკაცებმა ლაპარაკი შექმნეს, გოგია ნაცვალს ბატონის ბრძანებით ფიცი მოუდევით ... და ვერ შეიძლო... სულ აკურელნი მოვიდნენ და ისე დააფიცა... (ქმეის, გვ. 93).

ვანთა 1786 — ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს დავითგარეჯის წინამძღვარს თეოდოსის. ვანთას რაც მონასტრის შეწირულობა გახლავსთ, ან ძველ მეფეთაგან და ან ახალი განაჩენები არის ... ისინი დამნებდეს, რომ კაცნი ... იქ დავასახლო... (ქსძ, VII, გვ. 679).

ვანთა 1786 — ყოვლისა საქართველოს პატრიარხი ... ანტონი ... მოგიკითხავ თარხანს ლუარსაბს... მეფესაც ოქმი უბოძებია ... დავით გარესჯის წინამძღვრისათვის და ჩვენც ამა გწერთ, რომ, რომელიც ვანთას იმ მონასტრის შეწირულობა იყოს, სამართლიანის საქმის გაურჩიეთ და მიაბარეთ წინამძღვარს თეოდოსის. და აკურის ქევხამ და ჩეკურმა, რადგან მახსოვარნი არიან და იციან, ისინი მიიყვანეთ; და რაც სამართლიანის საქმით იმახსოვრონ, დაანებეთ და სვეტიცხოველის მამული არ შეგაცილდნესთ (ქმეის, გვ. 153-154).

ვანთა 1786 — იხ. ქართლი

ვანთა 1794 — ღმერთმან ხელწმიფის ჭირი მომცეს ... დავით გარეჯის არქიმანდრიტს თეოდოსის. ვანთის საქმეზედ წინაზედაც ოქმი გვებოძა... ერთი მაგარი ოქმი მიბოძეთ მდივანბეგებზედ ... რომ რაც მონასტრის მამული იყოს, გაგვირჩიონ და მოგვაბარონ... (ქსძ, VIII, გვ. 308-309).

---

[105] ამავეს იმეორებს 1710 წლის საბუთიც (ქსძ, IV, გვ. 231).

ვანთა 1795 – ... დავითგარესჯის წინამძღვარს მოეხსენებინა ... მეფისათვის და კათოლიკოზისათვის: ... ვანთას წმიდის დავითის მამული არის ... და მამული კი არ მიჭირავსო... ჩვენ [მოსამართლენი] ... მოვედით ვანთას, წინამძღუარიც მობრძანდა, განაჩენები მოიტანა ... ბატონის თეიმურაზისა და დედოფლის ანნასი. ამ განაჩენში სწერია: ბატონიშვილი კათალიკოზი დომენტი თავისის მამულების გასამძღვრავად წაბრძანდა და ... ვანთას წმიდის დავითის მამული ქოქიაური, ჭონიაური, დევდარაული, თუთახშისშვილის მამული, ნაზვრევი და სამეზვრეო ენახათ და ... დავით გარესჯის მონასტრისათვის დააენებებინათ... ახურელნი უფროსნი კაცნი გაგვიძღვნენ [მოსამართლეებს], აბანოს ქვემოთ შარა რომ გარდაივლის გარდიგარდმო ბუშატის ჭევამდის ... ამაში არის ეს მამულები... თუთახშისშვილის მამული გზას ქვემოთ დანიშნეს... (ქსძ, V, გვ. 663-664).

ვანთა 1795 – ღმერთმან მეფის ძის ანტონის ჭირი მოსცეს ... დავით გარესჯის წინამძღვარს თეოდოსის... [მეფეს] არზი მიეართვი, ვანთას რაც მამული არის, იმისი გარჩევისა; და იმისმა სიმაღლემ ოქმი მიბოძა კახეთის მდივანბეგებზე, კალაურისა და შაშიანის მოურავზე... (ქსძ, VIII, გვ. 335).

ვანთა 1797 – [ბებურიშვილი აიდემურ] ვანთას უნდა მივსულიყავ, წმინდის დავითის მამულები უნდა გაგვერჩია... მოვიდნენ ორი ... ახურელნი კაცნი ... და ასე დაიფიცეს: „... ამ აბანოს დასწვრივ ვანთის ხევამდინ და გარდასწვრივ ბუშატამდისინ ... ამას ზევით წმინდის დავითის არისო". ჩვენ გაუარეთ, ერთი მიჯნა აბანოსთან ჩავსვით, აბანო ქვევით დარჩა; ამის გასწვრივ ბუშატის ხევამდინ შვიდი მიჯნა ჩავსვით. ერთი მიჯნა ბუშატის ხეიდამ რომ გზა ამოვა, ამ გზას ქვემოდამ ჩავსვით, რომ შეიქმნა რვა მიჯნა. ამ მიჯნებს ზემოდამ სამართლით მონასტერს დარჩა. კიდე გზას ქვეით თუთახჩიასშვილის მამულიც წმინდას დავითს დარჩა. მაგრამ ის მამული გამიჯნული იყო. ჯაფარიძე ედავებოდა... ჭინამძღვარს თეოდოსის ახლდა ... ახურის მოურავი თარხანი ლუარსაბ (ქსძ, VI, გვ. 22-23).

ვანთა 1798 – ღმერთმან საქართველოს ხელმწიფის ჭირი მომცეს ვანთას მყოფ მახარებელს. იმერეთიდამ გადმოვარდი, შვიდი წელიწადი ფხოველში გახლდი და შვიდი წელიწადია რომ აქ ვანთას გახლავარ... (ქსძ, VIII, გვ. 479).

ვანთა 1798 – ... მეფის ოქმი გვებოძა ჩვენ, ვანთის მოურავს ფრიდონს. ასე რომ, წინამძღვარს მოეხსენებინა: მინდორში სახნავს არ გვანებებენ და არ გვიშვებენ და არც საბალახეს გვაძლევენ არც მთისასა და არც ბარისასა... ჩვენ ბრძანებისაებრ მოვიკითხეთ და ახურის ქევხა ბეცია და ხატიაშვილი გაბრიელ მოვიდნენ. და საცა იმათ თქვეს ეს მიწები მონასტრისაა და ეს სახასოო, რაც მონასტრისა თქვეს, მონასტრისათვის დავდევით... (ქსძ, VI, გვ. 75-76).

ვანთა. ქვემო ქართლი

ვანთა 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ვანთის ხევი. კახეთი

ვანთის ხევი 1797 – იხ. ვანთა

ვანთაური. ქართლი

ვანთაური 1790 – ... უმეკაშვილი გივი ... ასე ჩიოდა: მამაჩემს ხმალაძისაგან ვანთაურში ვენაკი ჰქონდა ნასყიდი და ეჭირა. მამა მომიკვდა, დავრჩი ობოლი. ამ ლუარსაბის [ლოლაძის] მამამ ბებიაჩემს გამოართო ის ვენახი და ერთი უბრალო მიწა მოგვცა... იქაე ვანთაურში ჟურულისაგან ერთი ვენაკი გექონდა ნასყიდი ... [და] იარალაშვილისაგან ... ნასყიდი ვენაკი მქონდა, ისიც ამ ლუარსაბს უჭირავსო... (ქსძ, V, გვ. 501-502).

ვანი. იმერეთი

ვანი XV-XVI სს. – ... წმიდისა გიორგის ვანისა თავსდებობითა ... მე, ქველმა ცოტნიამა ... მოგყიდე ვენაკი ერთისა საპალნისა თქვენ, ჩემსა განაყოფს... (სმ, II, 1924, გვ. 256).

ვანი XV-XVI სს. – იხ. ზედვაკე

ვანი 1762 – ... ჩვენ, მეფემან სრულიად იმერეთისამან სოლომონ, ესე თავისუფლების წიგნი გიბოძეთ თქვენ ... ვანს მცხოვრებელს გლუნჩაძეს... (იდ, I, გვ. 104).

ვანი. ქვემო ქართლი

ვანი 1738 – იხ. გორუნჯუკი

ვანი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

ვანი. შიდა ქართლი

ვანი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ვანი XVI ს. მიწ. – იხ. სურამი

ვანის ქედი. გურია

ვანის ქედი 1764 – იხ. ერკეთი

ვანის ქედი 1767 – იხ. გურია

ვანისქვაბები. ჯავახეთი

ვანისქვაბები XIII ს. – ... ვანის ქუაბთა ბატონმა როსტევან, და ჩემთა ძმათა, თაყაე და შანშე ... შევსწირეთ ... წმიდის გიორგის გულაშარშინისა ქუეშეთ აბჯარეული ზუარი და რაიცა პარტახი არის მას შინა... (ისშმმ, გვ. 45).

ვანისქვაბები XIII-XIV სს. – ... ვანის ქუაბთასა შემოგწირე ... ჩეუნგან აღშენებულდი ჴევის ბოლოსა ახალშენი მისითა ვენაკითა ჩუენ, რჩეულასძეთან როსტემან... (ისშმმ, გვ. 48).

ვანისქვაბები 1393 – ... მე, მურვან ღარიბასძე – [შემოგწირე] ვანის ქუაბთა – ჩემითა ... საფასითა ნასყიდი ერთი მამული ორხოფიას – როტაშაული მისითა მთითა... ერთი ვენაკი ტოლოშს ახალშენი; მაღნარს – იგიცა ნასყიდი და მოუდევარი, ორნი ყანანი ფიურნი, იგიცა ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 45).

ვანისქვაბები XIV ს. – ... ოგიძღუანე ... [ვანის ქუაბთა] ჩემი მკუდრი მამული ნასყიდი ხარაკია, მისითა მზღვრითა... შევსწირე და მოვაკსენე მე, მურვან ღარიბაჲსძემან ტოლოშს ორნი ვენაკნი, მაღმარაშიგან ჩემი ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 44).

ვანისქვაბები 1391-1444 – ... გკადრე და მოგაჴსენე მე, ათაბაგ-ამირსპასალარმან პატრონმან ივანე, ვანის ქუაბთა მაცხოვარს ხატსა ... საუფლო ჭაჭკრული სათათრო მალი (ისშმმ, გვ. 48).

ვანისქვაბები XIV-XV სს. – ... ჩუენისა ხატისა მაცხოვრისასა ვანის ქუაბთა ... მოგიძღუანე და მოვაჴსენე, მე, ღარიბასძემან მურვან ჩემისა ნასყიდისაგან მესამედი კუნელეთით, მესამედი დიდკლდით, მესამედი ციხეკნელით, მესამედი კუარბით... (ისშმმ, გვ. 45).

ვანისქვაბები XIV-XV სს. – ... თქუენ ... ხატსა მაცხოვრისა ვანის ქუაბთა ... მე, თმოგუელისა ჩაისარისა ასულმან გულშარ [შემოგწირე] ... ზედა ვარძიას მესამედი ჩემი ნასყიდი მისითა სამართლიანითა მზღვარითა... ერთი ვენაჴი მილახს გუარამათ მიწისა... ლუკაური ვენაჴი, იგიცა ჩემი ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 47).

ვანისქვაბები XIV-XV სს. – ... შემოგწირე შენ, ჩემსა მონასტერსა [ვანის ქუაბთა] და სამკვიდრებელსა ჩუენსა ეკუდერსა ფიას მე, თმოგველთა ასულმან გულშარ... ამისნი მოწამენი სრულად ფიელნი მამასახლისნი არიან... საგუბარი, მირაშხანს ნაწალკოტევი ყანაჲ... ჭალა გულაური. სამივე მამისა და დედისა ჩემისაგან ნასყიდი... (ისშმმ, გვ. 48).

ვანისქვაბები XV ს. – ... მე, პატრონმან ივანე, ... შემოგწირე ... ვანის ქუაბთა წინაშე ხატსა ღთაებისასა ჩემისა სულისათჳს ათას ხუთასი თეთრი... თმოგუს მეტამღენი მოახსენებდნენ თქუენ, წინამდგომთა მნათეთა... (ისშმმ, გვ. 46).

ვანისქვაბები XV ს. – ... შევსწირეთ ... წმიდასა მონასტერსა ვანის ქუაბთა ... ჩუენ, მირძამან და ზაზამან, მკიდრი ჩუენი მამული... ერკუატას ორნივე კვირიკასძენი... აგარას რკალოსძისა მამული, სამი გრივი პური... შევსწირეთ თხუთმეტი ლიტრა ზეთი – არდაჴით მოხდებოდეს მნათესა... (ისშმმ, გვ. 46).

ვანისქვაბები XV ს. – ... მოგაჴსენეთ თქუენ, მონასტერსა ... ვანის ქუაბთა ... ჩუენ ... ღარიბასძისა სძალთა, მამადედამა და დუნიაჲ და მჭედლის უბანს ერთი ყანაჲ და ტოლოშს ვენაჴი... (ისშმმ, გვ. 44).

ვანისქვაბები XV ს. – ... ხატსა მაცხოვრისასა ვანის ქუაბთა გკადრეთ და მოგაჴსენეთ ... მე, პატრონმან ყუარყუარე... ჭაჭკრული ვენაჴის სათაე და კალოს კაბიწი, პატრონს ყუარყუარეს გაეშუა და შემოეწირა... ჩუენცა მოგჳჴსენებია... (ისშმმ, გვ. 49).

ვანისქვაბები XV ს. – ... გკადრე და მოგაჴსენეთ მე, პატრონმან ყუარყუარე [ვანის ქუაბებს და ხატსა ღმრთაებისასა]... როგორაცა ძუელთა სიგელთა შინა სწერია, ჭაჭკრული მალი, ჩუენცა ისრე მოგჳიხსენებია... (ისშმმ, გვ. 48).

ვანის ქუაბები XV ს. – იხ. განძასჴევი

ვანისქვაბები XVI ს. – [ვანის ქუაბების] ხატო ღმრთაებისაო, შეიწირე მცირე ესე ძღუენი მე, ათაბაგისა ყუარყუარესათჳს და მანუჩარისათჳს... სადღეგრძელოდ... ჭაჭკრური ვენაჴის თავი და მალი... (ისშმმ, გვ. 48).

ვანკოდა – იხ. მანკოდა

ვანქი. ქვემო ქართლი

ვანქი 1543 – იხ. სხალნარი

ვანქი 1633 – იხ. ზემო ოძისი

ვანქი 1638 – იხ. ცოვრეთი

ვანქი 1641 – იხ. აკანათერი

ვანქი 1653 – იხ. აბელია

ვანქი 1676 – [წყალობის სიგელი გიორგი XI-ისა ბარათაშვილისადმი]: – გიბოძეთ მკუდრად და მოუშლელად ვანქს შაყულაშვილს რაც შენი სამკუდრო ჰქონდეს, ძუელითგან შენის მამა-პაპათა სამკუდრო და ნაქონი იყო... ახალქალაქი და პატარა ტამალია საჭელოდ გეიბოძებია... (სს, I, 1899, გვ. 123).

ვანქი 1698-1699 – იხ. ბუჟღულეთი

ვანქი 1713 – იხ. გუნანეთი

ვანქი 1713 – იხ. ღოლოვნა

ვანქი 1721 – იხ. ბოლნისის ხევი

ვანქი 1723 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... ბაქარ ... თქვენ – გოსტაშაბიშვილს ამილღამბარს ... გიბოძეთ ვანქს ალიხანაშვილის ზალიას წილი მამული... თრიალეთზედ ზეულისტანი ავთანდილ კორკოტის კერძი და ასურეთს რაც სოლაღაშვილის იესეს და ელიზბარის კერძი მამული იყოს... (სს, I, 1920, გვ. 83)[106].

ვანქი 1723 – იხ. ზეულისტანი

ვანქი 1743 – იხ. გარეთუბანი

ვანქი 1749 – ესე წიგნი მოგეც მე, ვახუშტიმ გოშტაშაბისშვილმა შენ, ჩემს ძმას პაპუნასა... ვანქსა და ვაკეს რაც ჩვენი წილი მამული იყო გაუყოფარი ქვონდა. ვანქი გავყიდეთ და, რაც ვანქის ფასი ავიღეთით, თქვენი წილიც მე, ვახუშტიმ, დავხარჯე და შენ, პაპუნას ... ამის სანაცელოდ ვაკეს მახარასშვილები ... მოგეც... (სს, I, 1920, გვ. 141).

ვანქი 1750 – იხ. გარეთუბანი

ვანქი 1781-1782 – იხ. ქალაქი

ვანქი 1782 – ... ავის დროს მიზეზით ეს ვანქის მამული დიდხანს გახარაბებული იყო, ერთიმეორის [გიორგი შანშიაშვილის და ზაალ იაგულაშვილის] მამული არ გაირჩეოდა... ამისთვის ჩვენ, შუაკაცებმა, ასე ურჩიეთ და თითონაც ასე ამჯობინეს ... რაც ვანქში მამული იყოს [შუაში გაიყონ]... (ქსძ, V, გვ. 174-175).

ვანქი 1787 – იხ. გარეთუბანი

ვანქი 1796 – ... პენტელანთ გიორგის შვილებს ... ვანქის ტერ-პეტრუზასი ორმოცდა ექვსი თუმანი გემართებს. ის ტერ-პეტრუზა თავის ცოლშვილით

---

[106] ვახტანგ VI-ის შუამდგომლობა აღნიშნული მამულების წყალობის შესახებ იხ. სს, I, 1920, გვ. 83.

დაიკარგა... იმ ტერტერას ხუთას თუმნამდინ რუსეთში აქვს, აქ კარგი სახლები აქვს დაუწეავი, კარგი ქარვასლა აქვს... (მსეი, II, გვ. 118).

ვაჟთაჭევი. ქვემო ქართლი

ვაჟთაჭევი 1692-1703 – იხ. მარაბდა

ვარაზისჭევი. შიდა ქართლი

ვარაზისჭევი 1774 – ... ბატონისშვილს გიორგის ოქმი ებოძა ... მდივანბეგის თეიმურაზისათვის – იესა მდივანს რაც ნასყიდი მიწა აქვს, გაბაშვილის რევაზისაგან მოსყიდული თავისი წილი, რაც სიგელში უწერია, გაუყავ... ჩვენ მოვაყვანინეთ გაბაანი, იმათისაც გამორჩევით გავგზავნეთ ქაშოეთის დეკანოზი ფილიპე, წვერის წმიდის გიორგის დეკანოზი თეოდორე, დიღმის მამასახლისი დავითა, გილაური გიორგი, დიღმელი აბრამა და ამ მამულედის ბელადი და მჭვნელ-მთესველი თანდილაშვილი შერმაზანა... გაზომეს რასაც ჭკუა მიუწვდებოდათ, დათვალეს. სულ, ვარაზის ჭევს აქათ, ასორმოცდასამ დღედ გაზომეს, სააგურის მიწას გარდა... მონასტრის წყაროზედ რომ ბილიკი გაიელის, გვერდა მიწა ერთის დღისა გუთნით საჭნავი იქ მივეცით... მონასტერს გაღმა გოდაკაანთ ბაღს ამოსწერივა, გოდაკაანთ წისქვილის შარიდამ მოკიდებული, წისქვილის სერამდინ, იქით ლელეებამდი.. იესეს მდივანს მივეცით. კიდევ ვერის შარა რომ გაიელის და ზეით წყნეთის შარა რომ გაიელი... იესე მდივანი დასჯერდა... სააგურის მიწა რომ არის ორის დღისა... საერთო არის. და ამავ ქაშოეთის [მღვდელს] ფილიპეს დამიწერია, მოწამეცა ვარ... (სმ, II, 1924, გვ. 187-188).

ვარაპეტის სოფელი. ქვემო ქართლი

ვარაპეტის სოფელი 1623 – არღუთაშვილი ბაინდურბეგ ედაეებოდა ... რევაზბეგს ვარაპეტის სოფელსა და ახპატის ბაღების ნახევარსა... ბორჩალოს მეპატრონემ თამაზყული-ხანმა გამოაცხადა ჩვენთან: როდისაც იმათგან ჩამორთმევიათ, რევაზბეგს და მის მამისათვის მიუციათ, ახპატის მამულად ყოფილა, და აწ რევაზბეგის ხელში არის. და ესეც გვიანბო და უმოწმა, რომ არას დროს არღუთაშვილებისა არ ყოფილიყოს ის მამული... რადგანაც ამისთვის ლორეს მეპატრონემ ასე იმოწმა ... დასტუბანს ქვეით არღუთაშვილებს საქმე არა აქვსთ რა... (სს, I, 1899, გვ. 334).

ვარბაგარა – იხ. ვარძაგარა

ვარდანას ჭალა. ქვემო ქართლი

ვარდანას ჭალა 1756 – იხ. კრწანისი

ვარდანი. კახეთი

ვარდანი 1579 – იხ. მცხეთა

ვარდანი. შიდა ქართლი

ვარდანი 1574 – იხ. ყურისუბანი

ვარდანი 1782 – იხ. ავნევი

ვარდისგორა. რაჭა

ვარდისგორა 1696-1742 – იხ. ბარისთავი

ვარდისგორა 1732 ახლო — იხ. ბარისთავი

ვარდისგორა 1733 — იხ. ბარისთავი

ვარდისგორა. შიდა ქართლი

ვარდისგორა 1639 — იხ. ზერტი

ვარდისუბანი. კახეთი

ვარდისუბანი XVIII ს. I მეოთხ. — იხ. თვალი

ვარდისუბანი 1796 — ... რომელსაც სოფელში ბატონის ყმა ხიზანათა დგანან, სახელდობრიე ამას ქვეით დაიწერა: ... ვარდისუბანს ესტატესშვილი... თელავს, კურდღელაურში, ამბარდნისშვილი ზურაბა... რუისპირს ყარდაშა... იყალთოს ჯაბადრისშვილი გლახა... თაღლაურს პატარძეულელი გოგია... ხოდაშენს ბღინძი ნინია... აწყურს შალვასშვილი, ახშანს გოგია... ხორხელს დალაქი მიკირტუმა.. ოჟიოს ფუჩულაშვილი ნინია... კოღოთოდამ გიორგი ხიზანი, ჯანანიდამ პატარა არუთინა... ობოლიძის ნალეკარი გიორგი... ქისტაურს ოჰანა მჭედელი... გლახა ფეიქარი თელავს... [ერეკლე II-ის ოქმი]: ამ სიით სადაც სოფლებში ჩვენი ყმანი იდგნენ ... გალმა სანადიროში უნდა დაეასახლოთ... (დსსი, II, გვ. 180).

ვარდისუბანი 1798 — იხ. ველისციხე

ვარდისუბანი 1800 — სრულიად საქართველოჲსა კათალიკოზ-პატრიარხის და ამბა-ალავერდელ მიტროპოლიტის ანტონის წინაშე ეჩივლათ ვარდისუბნელთ მერელებისაგან თავიანთ მამულების მიმძლავრებაზედ... მგალობლიანნი და მერელნი ვარდისუბნელებს ეუბნებოდნენ: დიდი ხანია გეიჭირავს და არავინ გუდავებიაო... [მოსამართლეებმა] მოვატანინეთ მერის გუჯარი, რომელშიაც ჰსწერს და შეუწირავს სანატრელს მეფეს ალექსანდრეს ალავერდის წმიდის დიდის მთავარმოწამის გიორგისათჳს მერის სოფელი საწინამძღვრო და სამი კომლი ბაქრაძე აზნაურიშვილები რაჭიდან ეულნი, ქორონიკონს სი; და აგრეთვე დიდს მეფეს ირაკლის შეუწირავს სოფელი ვარდისუბანი კახაბრისავე ნებით და მოჰხსენებით, ქორონიკონს ტჲგ... თუმცა ახლა ორიე წმიდის ... გიორგის ყმანი არიან, მაგრამ ამათი მამულები კი გარჩეული ყოფილა ... ამისთჳს რომ მერე სახასო საწინამძღურო ყოფილა და ვარდისუბანი სათავადისშჳლო კახაბრისა... მგალობლიანთ უნდა იშოვნონ [მოწმედ] საყდრიონიდამ ორი აზნაურშვილნი... და აგრეთვე მერელებმა უნდა იშოვნონ [მოწმენი] ამ ოთხის სოფლიდამ: არტოზნიდამ, რუისპირიდამ, გულგულიდამ და თელავს კურდღელაურიდამ... (ქსძ, VI, გვ. 204-206).

ვარდისუბანი. ქვემო ქართლი

ვარდისუბანი 1392 — იხ. ტფილისი

ვარდისუბანი 1586 — იხ. ჩინჩხორი

ვარდისუბანი 1619 — იხ. ნახიდური

ვარდისუბანი XVII ს. II ნახ. — იხ. წრაუთი

ვარდისუბანი 1707 — იხ. წრაუთი

ვარდისუბანი 1727 – იხ. ეგრისი

ვარდისუბანი. შიდა ქართლი

ვარდისუბანი 1660 – იხ. ქალაქი

ვარდისუბანი 1691 – [თარხნიშვილებს და მაღალაძეებს] მთასა და მთის საძოვარზედ ლაპარაკი შეჰქმნოდათ. მოკითხული ვქენით და სამძღვრით ასრე გავარიგეთ: ობოლს კლდეს აქათ სასთლოს ღელემდინ გაბრიელის სადგომი, ისეები მაღალაანთ დანებდა. ამას და გარდაისად სხვა სულ მოურავის შვილისა არის... ნასოფლარს ვარდისუბანს და მუბათზედ ლაპარაკობდნენ, მაღალაშვილებს დარჩა. ოჩლაურზედ ლაპარაკი შეექნათ, მაღალაშვილებს დარჩა... ორბეთს ქვემოთ წინამძღვარი და მაღალაძენი საწისქვილოზედ ცილობდენ. თუ კავთაშვილმან თავკაცად იფიცოს, რომე საქვათაჯეო იყოს, დარჩეს წინამძღვარს; და ნაშენის ფასი კი მაღალაანთ მიეცეს... ქვაბაკევს სასაფლაო, ბაღი, ბოსტანი როგორც გიორგი მეფის სიტყვით თბილელის გარიგებულს წიგნში ეწეროს, ისრევ უნდა იქნას. მაღალაძეებისა და თარხნის აზნაურშვილებს ცალქალმანიძეებსა და გოგიბეშვილს ზერბში, კიდევ სხვებში ჩხუბი მომჭდარიყო... (ქსძ, IV, გვ. 155-156).

ვარდისუბანი 1698 – იხ. ძალისი

ვარდისუბანი 1720 – იხ. მუხრანი

ვარდისწყარო. ქვემო ქართლი

ვარდისწყარო 1792 – იხ. ბალიჭი

ვარდოვანა. კახეთი

ვარდოვანა 1420 – იხ. ბიწმენი

ვარდოვანა 1505 – იხ. ოროტა

ვარდოვანა // ვარდუანი. შიდა ქართლი

ვარდოვანა 1717 – ... ესე წიგნი ... მოგეც მე, შენმა ბიძაშვილმა ქაიხოსრომ, შენ, ჩემს ბიძაშვილს ალხაზსა, შენი ვარდოვანას მიწა მე გამიცვალე და მოგეც პირდაპირ ზომით ჩემი წილი გრძელა. რაც იმაში დამაკლდა, სობისის გზაზე შემითავებია და ორი მხარი ნამეტნავიც მამიცია... (ქსძ, VIII, გვ. 874).

ვარდოვანა 1758 – [წერილი ედიშერ თუმანიშვილისა თავის ძმისწულისადმი]: ... მერმე-მერმე ბეჟანს, ვარდუანს, რაც თავისი წილი იყოს, ღალა მიეც, რას ალაპარაკებ? (სს, III, გვ. 427-428).

ვარზმარი. ქვემო ქართლი

ვარზმარი 1707 – იხ. წრაუთი

ვართაშენი. ჭარ-ბელაქანი (აღმოსავლეთი კახეთი)

ვართაშენი 1785 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ვართაშენში მყოფს იოსებ მღუდლის ძმას აბრამს მომცეს. ამას წინათ მოვალეებმა შემაწუხეს... ამ მოწყალებას ვითხოვ ... [გადახდა] დამაცალონ... (ქსძ, VII, გვ. 675).

ვარიანი. შიდა ქართლი

ვარიანი 1656 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემა ... როსტომ ... თქუენ ... მაჩაბელს სეხნიაშვილს თამაზს ... გიბოძეთ თქუენივ სამკუიდრო მამული, რაც ეაშა-

ყაშვილის პაპუნას ჰქონდა: ამოწყვეტილის მაჩაბლის კერძი ვარიანთ, ძარწემს და ძარს და ზემთხუისს... (ქსოის, გვ. 25)

ვარიანი 1701-1703 — [განჩინება ერეკლე I-ისა]: ... მიეცით [ნასისხლად ბიძინასა და დუშიას] ვარიანს უჯარმელაშვილი ხუცესი მისის ძმებით ... [და] ძარს ტრამაკიძე მამუკა მისის ძმებითა; და ამას გარდა ოცი დღის მიწა ვარიანს ამილღამბარის წილიდამ... (ქსძ, IV, გვ. 208)

ვარიანი 1712 — იხ. ურბნისი

ვარიანი 1754 — მაჩაბელი იესე ... ასე მოგვახსენებდა: ამოწყვეტილი ქობულიშვილის ... მამული რომ ჩვენ გვიბოძეთ ვარიანს, ბარძიმ და ზაზა არ გვანებებსო ... (ქსძ, IV, გვ. 430)

ვარიანი 1766 — იხ. გორი

ვარიანი 1767 — იხ. ზემო ქართლი

ვარიანი 1772 — პეტრე ღდელი დიმიტრის [გარსევანისშვილს] ვარიანში ერთს კომლს კაცს ვანიასშვილს და ქალაქის სასახლეს უჩიოდა... ასე გაშველდნენ: ვანიასშვილი დიმიტრის დარჩა ... და ორის დღის მიწა რუისში პეტრე ღდელს დარჩა... და კიდევ გორში ორი თვალი წისქვილის წყალი პეტრეს მამას და ბიძას საკუთრივ გაეყიდნათ, რომ არც დიმიტრი და არც იმისი ძმები რეულიყვნენ, რომ ორთავესი ყოფილიყო... (ქსძ, IV, გვ. 636).

ვარიანი 1772 — იხ. ხეობა

ვარიანი 1774 — ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბაადურის შვილს ზაზა მაჩაბელს. ვარიანს ურჯომელასშვილის მამული რომ ჩემს ბარათში ნარგებია, აღაბაბას უჭირავს უსამართლობით... ვარიანში თქვენი ყმაც ბევრია და სხვისაცა; მოკითხეთ და სამართალი მაღირსეთ... (ქსძ, VII, გვ. 250).

ვარიანი 1774-1783 — [თუმანიშვილების პურისა და ქერის ხარჯის ანგარიში]: ... ვარიანიდამ ზაზა მაჩაბლის გაცემული პური... რუისიდამ ნაშოვნი პური... ვარიანიდამ ამილახვრის მარიფათით პური... ცხინვალიდამ შოშია საყვარელიძისა ქერი... ქალაქს ურმებით პურები წამოვიღე სურსათისა და სამასპინძლოსი მაშინ ურმების შესასრულებლად გამოვართვი პური კოდი... ამ ზამთარ ჩერქეზული იაბო ხელთუბანს ება... მე, მანუჩარსა ჩემს ქართლს ყოფნაში დამიხარჯამს ქერი ... [და] პური კოდი... ხელთუბანს, რეხას, გარეჯვარს და ახალდაბას ჩვენის მამულიდამ ჩვენს წილათ ღალა გვერგო პური კოდი... დირბიდამ მიჰბარებია პური... გოგია ბერდიკელმა მოიტანა პური... (სეიძ, II, გვ. 115-118).

ვარიანი 1776 — ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ფალავანდიშვილს ერეკლეს... ერთი ჩემი მემკვიდრე კაცი მყვანდა ვარიანს. წელს თებერვალში აყრილა და ფხვენისს დამდგარა სხვის მამულზედ... ერთის იასაულის წყალობა მიყოთ, რომ იქიდამ აიყაროს და ქცხინვალს თქვენს სახასოში მამასახლის მიაბაროს... (ქსძ, VII, გვ. 338).

ვარიანი 1781 — [განჩინება]: რასაც ვარიანში მაჩაბელი ბარძიმ და ზაზა როსტომ ერისთვისშვილს ურჯუმელასშვილის მამულს ეცილებიან, სრულად მაჩაბელის ბარძიმს და ზაზას დარჩებათ (ქსძ, V, გვ. 167-168).

ვარიანი 1785 – იხ. მეჯვრისხევი

ვარიანი 1788 – [მანუჩარ ლაშქარნივისის არზა ერეკლე II-ისადმი]: ... ამას წინათ ზემო ქართლიდამ არზის მორთმევით ... ჩვენის სამკვიდროს ვარიანის მამულისა ბოძება მოგახსენე... ამა უამამდინ სხვათაგან ჭერა და მოხმარება საკმარებელია... (სს, III, გვ. 526).

ვარიანი 1789 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს მეთოდი მდივანბეგს... ერთი წელიწადი არის, რომ თქვენი წყალობა ხოდაბუნი წამართვა ვარიანს მაჩაბელმა ფარსადან... ერთი კომლი კაცი ჩემი სართისჭალას ჩავიდა და გივმა ფარეშთხუცესმა არ დამანება... [ერეკლე II-ის ოქმი]: ამილახვარო ოთარ, სოლომონ მგალობელს რომ ვარიანში დემეტრე ამილახვარიშვილის წილი მამული ეჭირა, ჩვენ ის ხოდაბუნიცა და კაცნიც მეთოდის მიეცით... (ქსძ, VII, გვ. 818-819).

ვარიანი 1789 – ... ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ერთობით ვარიანელებს... მეტად სიღარიბემ შეგვაწუხა, თორემ თავს კი არ გაწყენდით... დავით ბატონიშვილი ... ცხინვალს რომ ბძანდებოდა, ორი ხარვალი პური იქ გამოგვართვა და ორი ძროხა... ამაზე შებრალება გვაღირსეთ... (ქსძ, VIII, გვ. 24).

ვარიანი 1795 – იხ. ერედვი

ვარიანი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ვარიანი 1798 – ... ჩვენ ... მეფემან გიორგიმ ... თქვენ ... მაჩაბელს ელიზბარს ... გიბოძეთ ვარიანს ჩვენი სახასო ყმა და მამული, დემეტრეს ნაქონი, რომელიც მდივანბეგს მეთოდის ეჭირა... (სს, III, გვ. 210).

ვარსიმაშვილის ვენაჯი. ქვემო ქართლი

ვარსიმაშვილის ვენაჯი 1705 – ... შემოგწირეთ ჩვენ, აბაშიშვილმა სუფრაჯმა დავით ... პატიოსანს ხატსა მაცხოვრისასა ქვემო ვარსიმაშვილის ვენაჯი, ესიტაშვილს რომ უჭირვს... არის ამისი მოწამე სვეტისცხოველის წინამძღვარი გაბაშვილი იოსებ, ჩვენი აზნაურშვილი ბლორძელი... კიდევ ჩვენი მსახური დურნუკელი რევაზაშვილი გიორგი... ანდრიელი ჩვენი მსახური დონდარაშვილი პაპუა... მე მცხეთის კანდელაკიშვილს ათანასეს დამიწერია და მოწამეცა ვარ ამისი (სს, I, 1920, გვ. 126-127).

ვარცა. კახეთი

ვარცა 1438 – იხ. მცხეთა

ვარცა 1579 – იხ. მცხეთა

ვარცანის მონასტერი. კახეთი

ვარცანის მონასტერი 1464 – იხ. ვეძისხევი

ვარცანის მონასტერი 1504 – იხ. ვეძისხევი

ვარცანის მონასტერი 1585 – იხ. ვეძისხევი

ვარცლასთავი. ქვემო ქართლი

ვარცლასთავი 1714 – იხ. კოდა

ვარძაგარა. ქვემო ქართლი

ვარძაგარა XVII II ნახ. – იხ. წრაუთი

ვარძაგარა XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

ვარძია. იმერეთი

ვარძია XIII ს. II ნახ.* – [ვარძიის მონასტრის დეკანოზის წერილი]: უფალო ჩემო ქორდა... ამა ვარძიისა ღმრთისმშობლისა მსასუებელნი ხართ. ვარძელი მძღოარი და ძმანი ... გამომიგზავნია და ვარძიისა ღმრთისმშობლისა ნამთხოვევი დასათალელი მიკადრებია. ვითა ამა ჟამსა ასათობო ... აღარაისით მოსრულა... (ქწ, IX, გვ. 85).

ვარძია 1325* – [ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა მეფეთ-მეფემ გიორგიმ] მიქაბაძეთა ... დაუმტკიცეთ სრული სისხლი ასი ათასი ძუელი თეთრი... ახლა კიდე მიბოებია ვარძიას რაბიძისოული წყალობათ (სმ, II, 1924, გვ. 7-8).

ვარძია XVIII I ნახ. – იხ. კვალითი

ვარძია // ვარძიის მონასტერი. ჯავახეთი

ვარძია 1260 – იხ. ხოელე

ვარძია 1414-1426 – იხ. აწყური

ვარძია 1453 – იხ. საფარა

ვარძია XVI ს. დას. – სამცხე

ვარძია 1500-1503 – იხ. კუმურდო

ვარძია 1518 – იხ. სამცხე

ვარძია 1561 ახლო – ჩვენ, მეფეთ-მეფის ლეონის ძემან პატრონმან იესე ვიყიდე ოთხთაკი ესე თათართაგან, ოდეს ყეენმან ... ჯავახეთი აღაოხრა და ვარძიის საყდარი დალეწა, მას ჟამსა დავიხსენით და შევსწირეთ ვარძიის ღეთისმშობელსა... (ქრონ, II, გვ. 402).

ვარძია 1792 – იხ. მჭადისჯვარი

ვარხვნალა // ვარხუნალა // ვარხუნა // ვარხონა – იხ. ვერხვნალა

ვასაკას სოფელი. ქვემო ქართლი

ვასაკას სოფელი 1641 – იხ. აკანათერი

ვაქირი. კახეთი

ვაქირი 1710 – იხ. კარდანეხი

ვაქირი 1761 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... საგინასშვილს როსტომს მისცეს... ჩემი ყმანი არიან ვაქირს ვარდიაშვილი ერთი; საყდრიონში არის ორი; საგარეჯოს არის ერთი; თელავს არის ხელაშვილი. ერთი წყალობა მიყავით ... ჩემი კაცნი დამანებონ, ერთიც წინანდალს (ქსძ, VII, გვ. 49).

ვაქირი 1763 – იხ. ზიარი

ვაქირი 1776 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი მოსცეს ვაქირელთ ქვეხას და მამაიაშვილს და ... ჭარელს მეკოდეს და ... სულ ვაქირელთ... ერთი კაცი გახლავთ გრემს ხელაშვილი... ენისელთ მოურავი ეჭიდება. მერე თქვენს მზეს ვფიცავთ, რომ სწორეთ აქ ვაქირული იყოს და აქ ქონდეს მამული და აქაური იყოს... (ქსძ, VII, გვ. 335).

ვაქირი 1779 – იხ. კაკაბეთი

ვაქირი 1784 – იხ. ზიარი

ვაქირი 1787 – იხ. კარდანეხი

ვაღავერი. ქვემო ქართლი

ვაღავერი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ვაყა. შიდა ქართლი

ვაყა 1796 – იხ. გორი

ვაყა 1797 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ბეგთაბეგისშვილს სოლომონს... ჩემმა ბიძაშვილმა მდივანმა სულხან ... ჩვენის ორის განაყოფის სახლისკაცის მამულები ვაყასა და ხვითში ასე იყიდა, რომ არც მე დამიდვა წილი და არც თავის ძმას (ქსძ, VIII, გვ. 413).

ვაყა 1799 – ... ესავ [ბეგთაბეგისშვილი] ამბობდა: ავთანდილ მდივანმა მამაჩემს საუფროსო დაუდო და ქალაქში სასახლე აიღოო. ვაყას გარდა სხვას სოფელში ყმაზედ საუფროსოს არ მოქცემთო... ქალაქში რომ ოთხს ადგილის სასახლე აქვსთ, რადგან საზოგადოდ მტერმა მოაოხრა ... უნდა დაფასდეს და ისე მორიგდენ... რაც ქრცხინვალს და რუისს რომ მამულები გაუყვიათ, იმ ჯამის მიხედვით, ის მამულებიც უნდა დააფასონ და ისე მორიგდენ... (ქსძ, VI, გვ. 131).

ვაშლარა. იმერეთი

ვაშლარა 1787 – იხ. სვერი

ვაშლარა 1781 – იხ. საწირე

ვაშლოანი – იხ. ვაშლოვანი. ქვემო ქართლი

ვაშლოვანი. კახეთი

ვაშლოვანი 1764 – იხ. გაურახი

ვაშლოვანი 1786 – იხ. ახალდაბა

ვაშლოვანი // ვაშლოანი. ქვემო ქართლი

ვაშლოვანი 1636 – იხ. საბარათაშვილო

ვაშლოვანი 1672 – იხ. კოდასთავი

ვაშლოვანი 1755 – ბორჩალუ ნავროზ-აღამ უჩივლა ვაშლოვნელთა და გუანდუქასა და მაჰმად ხალილას ხარი ბ (2) ქურდეულათ (სამდ. გვ. 25).

ვაშლოვანი 1761 – იხ. ტაგნაგეთი

ვაშლოვანი 1777 – იხ. საყაფლანისშვილო

ვაშლოვანი 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

ვაშლოვანი 1784 – იხ. კურწიკამი

ვაშლოვანი 1788 – იხ. ქვათახევი

ვაშლოვანი 1791 – იხ. შინდისი

ვაშლოვანი 1799 – თურქისტანიშვილები ... ეშიკაღასბაშს ორბელიანს თამაზს ერტისის მამულების მიმძლავრებას უჩივიან... საფარაშვილმა ადიბე-

გამ ჩვენს მამულში ყიზილბაშობას გალავანი ააშენა და ისე დასწურივ მამულები მას აქეთ ვაშლოვანელთ დაიჭირეს... ეშიკაღასბაშმა თამაზმა მიუგო: საფარასშვილის ადიბეგას ციხის ადგილი მკვიდრობით ვაშლოვანელთი არის, დასავლეთისაკენ რომ ხევი უძეს, ერტისისა და ვაშლოვანის მიჯნა ის არის და რასაც ის ხევი დაიტანს, მუხათის მიჯნამდინ, ვაშლოვნის მამულის არისო... [განჩინება]: ადიბეგას გალავანს ქვევით წმიდის მარინას ნასაყდრალის დასწურივ დასავლეთის მჭარეს ხევის პირზედ თავად მიჯნა ჩავსვით; მეორე მიჯნა ხოდაბუნად რომ ამბობდენ, იმაში ჩავსვით; ამის დასწურივ მესამე მიჯნა შარის პირზედ ჩავსვით; ერთი მიჯნა ნარგიზის წყაროსთან ხევში ჩავსვით; ერთს მიჯნად საბას ნიგოზს რომ ამბობდენ, ის ნიგოზი არის; და იმ ნიგუზის დასწურივ, მუხათის მიჯნამდინ, ასე გავსაზღვრეთ: დასავლეთისაკენ ერტისის მამული არის და აღმოსავლეთისაკენ ვაშლოვანელთი (ქსძ, VI, გვ. 132-133).

ვაცისწვერი. შიდა ქართლი

ვაცისწვერი 1644-1645 — იხ. სურამი

ვაძა. ქვემო ქართლი

ვაძა 1652 — ... ჩუენ ... ქართლისა და კახეთისა ორსავე მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, არეშიშვილს პაპუნასა... ამოვარდნილის ბარათაშვილის გერმანოზიანთ ნაქონს ნაოხარს ვაძას დაგუეაჯენით. შეგიწყალეთ ... მისის ... მთითა, ბარითა... სამძღვარი ბედნის ნათლისმცემლის სწორად ღელე, ბოლოს დიდი გორა ჭივჭივს ერთვის, და ზედათ ყუინჩილის ხევის სწორად, რაც ბედენი დახედავს... (ქსის, გვ. 231).

ვაჭევი. იმერეთი

ვაჭევი 1515-1535 — იხ. კაცხი

ვაჭევი 1615— იხ. კაცხი

ვაჭევი 1775 — იხ. კაცხი

ვაჭევი XVIII-XIX სს. მიჯნა — იხ. კაცხი

ვახანი. იმერეთი

ვახანი 1762 — იხ. ჩხერის ციხე

ვახანი 1771 — იხ. იმერეთი

ვახანი 1779 — ... ღმერთმან ... ხელწმიფის ძის იულონის ჭირი მოსცეს საყვარელიძე შიოშს. მე შინ არ გახლდი, ვახანის ციხეში გახლდი, ჩემი ძმისათვის ჩემი მამულის მიწის ღალა წაერთმიათ ტბეთიდამ—ურემნახევარი ძნა დათუა ფავლენიშვილს წაეღო, ექვსი დღის ღალა ავთანდილ ბეღელაშვილს წაეღო, ხუთი-ექვსი დღის ღალა ნამორაძე ბეჟიას და გოგის წაეღო... ამას გევედრებით ... მე ჩემი მამბარდეს (ქსძ, VII, გვ. 452-453).

ვახანი 1785 — იხ. სურამი

ვახანი 1788 — ღმერთმან ... ამილახვარ ოთარის ჭირი მოსცეს ატოცის წმინდის გიორგის ყმის ქვრივსა და ობოლს მარიამს... უფროსი შვილი ვა-

ხანს გახლდათ თავათ და სხვას ვალით და ვახჩით. ვახანი რომ წახდა, ჩემი დამარჩენი შვილი იქ ციხეში [დაიღუპა]. ორი წერილი თავს გადუვალი ობლები დამრჩნენ და ცხინვალელები და ცხინვალის მოხელეები ამ საცოდავს ობლებს ხარჯსა და მდევარში მირევს... (ქსძ, VII, გვ. 738).

ვახანის ციხე. იმერეთი

ვახანის ციხე 1659 – იხ. რველი

ვახანის ციხე 1768 – იხ. ზემო ქართლი

ვახანის ციხე 1769 – ... აბაშიძეთ ... გავიყარენით და ... დაგვშთა განუკერძობელად ციხეი ვახანისა ... და საერთოდ და საზოგადოდ დავჰსდევით და კუალადვე ეგრეთ გავაწესეთ, ვითარცა პირუმლ ყოფილა, რომელ რაოდენიცა საციხონი გამოსაღებნი მამულთა ჩუმნთა თანამდებად აქუნდენ, თავისის განწესებით მიეცემოდეს... (იდ, I, გვ. 119-120).

ვაჭლა. სამცხე

ვაჭლა XIII ს. II ნახ. – იხ. ქვემო ტიკაანნი

ველა. რაჭა (?)

ველა XVI – იხ. ნატარალევი სასახლე

ველათი. ქვემო ქართლი

ველათი 1769 – სომხითის ველათელი დალალას შვილის ქაიხოსროს შვილი სტეფანა ულუხანას შვილს არუთინას მკვიდრს ყმობაზე უჩიოდა... ულუხანას შვილი არუთინა ამას უპასუხებდა: მამაჩემი ყარსიდამ გარდმოსულა... ყაი ყული დალალაშვილი იენოქა იქ მოურავათ ყოფილა და იმას ველათს მოუყვანივართ. რამთონიმე წელიწადი იქ იმის სამოურაოში ვყოფილვართ. მერმე მტრის მძლავრობით ქვეყანა აირიაო და აქა-იქ სოფელში დავდიოდიო. ბოლოს ჟამს ხელთუბანს თუმანისშვილის გიორგის კედლათ ვიყავო და იქ ხელთუბანს ეს ქაიხოსროს შვილი სტეფანა მოვიდაო და მკვიდრს ყმობაზე დამედავაო... ქაიხოსროს შვილი სტეფანა ... ამას უპასუხებდა: ... ქალაქს რომ სახლობდი და მე გორს ვიყავ, შენ ქალაქიდამ მემსახურებოდი... (ქსძ, IV, გვ. 585)

ველეფა. იმერეთი

ველეფა 1455-1510 – ... მოგეც მე, ლეჟერამა ჩიკვილაძემა, შენა, შერზადაშვილსა შალვასა ... სისხლათა ველეფასა საყდარი მისითა შესავლითა და მისითა სასაფლაოთა, ხატითა... და [მოგეც] გაღმა, წინა მჭარსა, ოქროძე დაფაქუეთასა თაჭავაძე... მამიცემია ვიანასა ერთი საგლეხო და კორატანასა ჩიკვილაური ყანა... (სმ, II, 1924, გვ. 44-45).

ველთა. ქვემო ქართლი

ველთა 1392 – იხ. ტფილისი

ველიეთი. იმერეთი

ველიეთი 1800 – ... ჩვენ ... სრულიად საიმერეთოს ... დედუფალმან ... შემოგწირე ... თამაზ ხიდიშელი მისის ცოლშილით. შეიწირე წმიდაო გიორგი ველიეთისაო... (დსსს, II, გვ. 118-119).

ველიეთის მინდორი. იმერეთი

ველიეთის მინდორი 1775 – იხ. ქვაყუნტა

ველიეთის მინდორი 1795 – იხ. კაციეთი

ველისციხე. კახეთი

ველისციხე 1757 – იხ. კონდოლი

ველისციხე 1760 – იხ. ხორხელი

ველისციხე 1761 – იხ. კახეთი

ველისციხე 1762 – იხ. ჯიმითი

ველისციხე 1764 – იხ. კახეთი

ველისციხე 1773 – იხ. სკრა

ველისციხე 1773 – იხ. ჩუმლაყი

ველისციხე 1774 – იხ. ჩუმლაყი

ველისციხე 1774 – იხ. ცხინვალი

ველისციხე 1775 – იხ. ძეგამი

ველისციხე 1775 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს დარჩიაშვილს გიორგის ქვრივსა. ეს ორი წელიწადია, რაც დაგვისხნა [დედოფალმა] და ველიცხიხეს დაგვასახლა, მამულიც გვიბოძა... ერთი ოქმის წყალობა გვიჟავით, რომ სანამ მამული გავაკეთოთ ... გამოსაღებსა და ბეგარაში არ გაეერიოთ... (ქსძ, VII, გვ. 281-282).

ველისციხე 1776 – იხ. ნინოწმინდა

ველისციხე 1784 – იხ. სანავარდო

ველისციხე 1786 – ... დედოფალი დარეჯან გიბრძანებ, ველისციხის მოურაო სვიმონ! მერე, ვისაც ველისციხეში ნამეტნაობით მამული უჭირავსთ, იმაზედ ჩვენ თავადიშვილები განგვიწესებია, რომ ხელს ამართავენ; და იმ მამულებიდან ამ არზის პატრონს ერთი საკვამლო სახნავი მიწა მოეც მამულათ (ქსძ, VII, გვ. 693-694).

ველისციხე 1787 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... იასაულო ავალიშვილო გიო! მერე, ამ სიით ჯარისათვის როგორც მაჭარი შეგვეწეროს, ახლავ ყველას თავთავის შენაწერი ურემზე უნდა დაადებინო და ჩამოატანინო ქიზიყსა და ჩვენ სარქარში მეღვინეს მიაბარო. [ჩამოთვლილია სოფლები: ველისციხე, ახაშენი, ურიათუბანი, შაშიანი, კალაური, სავაჩნაძო, ქვემოხოდაშენი, წინანდალი, კონდალი, კისისხევი, თელავი] (სეიძ, II, 147-148).

ველისციხე 1789 – [დარეჯან დედოფლის წერილი სახლთუხუცეს გიორგი ნადარაშვილს]: ... დიდოები რომ მოგიყვანია და ველისციხის ჩვენის ზვრის ყორეს აკეთებენ, დიაღ, კარგად გიქნია... და იმათი ჭელფასი თუ სრულებით ველისციხის მოურავმა ვერ უშოვნოს, გავაზის საკომლოს თეთრიდამ შენ შეუსრულე და მიეც (МПТСВГ, II, გვ. 129).

ველისციხე 1789 – [არზა ნიკოლოზ მღვდლიშვილისა დარეჯან დედოფლისადმი]: ... ველისციხეს პირველად ჩვენ დაესახლებულვართ და ოჯახ

ვყოფილვართ თქვენის წყალობითა. მაგრამ ახლა სიღარიბემ ასე შემაწუხა, რომ დარჩენაც გამჭირვებია და ორი წლის კულუხი და კოდისპური ვერ მომიცია... (ქსძ, VIII, გვ. 34).

ველისციხე 1790 – იხ. ახალშენი

ველისციხე 1791 – [არზა დარჩიაშვილის ქერივისა დედოფლისადმი]: ... ეს თექვსმეტ-ჩვიდმეტი წელიწადია, თაქთაქისშვილის იოანესაგან დაგვიხსენით და ველისციხეში თქვენს ყმათ დაგვასახლეთ... (ქსძ, VIII, გვ. 91).

ველისციხე 1794 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი გიორგი აბაშიძის კაცს სავანელს დავითას მომცეს... ჩემი კაცი ველისციხის მოურავთან გახლავსთ... [მისი] ცოლ-შვილი ჭიკაანში გადაიყვანეს... ოქმი მიბოძეთ სვიმონ მოურავზედ, რომ ჩემი კაცი თავის ცოლ-შვილით მამაბაროს... (ქსძ, VIII, გვ. 282-283).

ველისციხე 1797 – [წერილი ფარნაოზი ბატონიშვილისა ყორღანაშვილისადმი]: ... ჯარში რომ ვაპირობთ წასვლას, კარგი ღვინო არა მაქვს, თუ მისს სიმაღლეს არ ეწყინებოდეს და შენგან შეიძლებოდეს, ველისციხიდამ ცოტა ზვრის ღვინო გამირიგე და გამომიგზავნე (სს, III, გვ. 339).

ველისციხე 1797 ახლო – იხ. მარტყოფი

ველისციხე 1797 – იხ. შილდა

ველისციხე 1798 – [ხარჯის ნუსხა გიორგი XII-ისა(?)]: ... ველისციხის მოურავის სიმონის ხლებით ... ბატონის ოქრო მომბარდა... ამავ თვეს იოანე მღვდელი ხირსელა მომბარდა ქისიყის ნაცელისა... ამავ დეკანოზის ხელით სალობუცეს საგარეჯოს მოურავის შემოწეული მომბარდა თეთრად... ქრისტესია მღვდლის ხელით მარტყოფელთ შემოწეული თეთრი ... მომბარდა... ყაზახიდამ მოსული თეთრიდამ ... ზურაბას ხელით მომბარდა... თოთხმეტი თუმანი... ა ბარათით ბატონის-შვილი იულონისა და ქართველთ ქერის თადარიკათ მიეცა... ა ბარათით არაგველებს ქერის ფასათ მიეცა... ბარათით დოხტურისათვის ვარდისუბანს ერთი ცხვარი ... სყიდულა... (მსეი, III, გვ. 112-119).

ველისციხე 1798 – ღმერთმან ხელმწიფის ჭირი მოგვცეს სავანელს გოგიას და რამაზს... ერთი ჩვენი მემკვიდრე კაცი გამოგვექცა და აქ, კახეთში, ველისციხეს მივიდა... ახლა კიდევ დედოფლისაგან ოქმი ავიღე სვიმონ მდივანზედ და ის კაცი აიყარა და კუჭატანში გასულიყო... ახლა ის ჩემი კაცი მუკუზანში გახლავთ... (ქსძ, VIII, გვ. 474).

ველისციხე 1798 – იხ. წინანდალი

ველისციხე 1799 – დედოფლის დარეჯანის ჭირი გოსტაშაბისშვილს დავითს მოსცეს. ერთი პატარა ბიჭი ... გაპარულა, და ველისციხეს ბიძები ყავს და იქ მისულა... დედოფალი დარეჯან გიბრძანებ, ველისციხის მოურავო სვიმონ! ამ არზის პატრონს ... ამისი ბიჭი ... ახლავს მოუყვანინე და მოაბარე... (ქსძ, VIII, გვ. 572).

ველიშეული. რაჭა

ველიშეული 1071-1080 – იხ. ზნაკეა

ველკეთილი // ვერკეთილი. ქვემო ქართლი

ველკეთილი 1392 — იხ. ტფილისი

ველკეთილი 1447-1459 — იხ. ყორანთა

ველკეთილი 1587 — ... ჩუენ, ბარათაშვილთა ... მას ჟამსა, როდეს ძმა ჩუენი ... ნიკოლოზ კათალიკოზად იჯდა ... ავიღეთ სუეტის ცხოველის საქონელი და ბევრი თეთრი დავხარჯეთ... შენის თეთრის ფასად შემოგწირეთ ნასოფლარი ველკეთილი. სამზღუარი მისი ყორანთის სამზღუარამდისი, სამშვილდის სამზღუარამდისი და სატრედოს სამზღუარამდისი... (ის, II, გვ. 56).

ველკეთილი 1720 ახლო — იხ. თრიალეთი

ველკეთილის ჯევი. ქვემო ქართლი

ველკეთილის ჯევი 1447-1459 — იხ. ყორანთა

ველტყიანი. კახეთი

ველტყიანი 1579 — იხ. მცხეთა

ველური. არაგვის ხეობა

ველური 1529-1530 — იხ. ვეძისი

ველური 1559 — იხ. სხალდიდი

ვეჟინი — იხ. ვეჯინი

ვერე // ვერა. შიდა ქართლი

ვერე 1289 — ... ჩუენ, მეფეთა-მეფემან დიმიტრი ... როდეს საქართველოს ჴსნისათუის ვიწამე, მოძღურისა ჩემისა ბრძანებითა ... გავაჩინე სიონისა ღრთისამშობელს. ვერაზედან [ქარვასლანი?] აღვაშენინე და შევწირე ვერის ჰევსა ვანანი სოფელი, ლილოსა ... მისითა შესავლითა... (ქრონ, II, გვ. 167).

ვერე 1620 — იხ. ნოსტე

ვერე 1664-1673 — იხ. წყნეთი

ვერე 1701-1703 — იხ. მძოვრეთი

ვერე 1706 — ... მე, გიოშვილმა ქუბამა ... მოგყიდე ჩემი ... კერძი ვერეზედ წისქვილი თავისის შესავლითა და გასავლით და ჭალითა შენ, ჩემს ბიძაშვილს შიოსა... (სს, I, 1920 გვ. 78).

ვერე 1707 — [ვახტანგ VI-ის ბრძანება]: ... ბოქაულთხუცებისა და რასაც ვერის საიასეულოს მოსვლისა თავილდრად თუმანიშვილი ფირანა დაგვიყენებია, უამისოდ განაჩენს ნურავინ დამალავს. ის გაგზავნიდეს და, რომელიც სარგო მოვიდოდეს, მართებულად თავთავის კერძს ნურავის დააკლებს (სს, III, გვ. 407).

ვერე 1732 — ... ჩვენ, ნოდარისშვილმა ფარსადან ... მოგყიდეთ [მეფურნიშვილს ბერუასა] ჩვენის ყმის როსტევანასშვილის ბეჟუასა და არაქელას მამულიდამ ვერაზე ერთი საწისქვილო სათავე, გაბასშვილის ბეჟანის წისქვილი რომ არის, იმის ბოლოში ... და ბოლო, წყნეთურის ბაგების ბოლოს წყალი რომ ჩამოდის, იქამდინ... არის ამისი მოწამე ... წყნეთელი მამასახლისი გიო... ზეით სათავესა და ბოლოს ბაგების წყალი რომ გიწერია, ამაებს შუა შენს სნორებს შუა, რაც გინდა გააკეთე... [1750-80-იანი წლების მინაწერები]: მე, ციხის დიდის ეკლესიის დეკანოზი ... ტერ-არაქელ ამ სიგ

ლის ასლი ვნახე და მის მგზავსად ეს სავადი გადმოვწერე... ამ სიგლის ასლი ვნახე და ეს სავადი დავბეჭდე ნორაშნის წმიდა ეკლესიის დეკანოზი ტერ-აკოფ... ამ სიგლის ასლი ვნახე და სავადი დავბეჭდე, ფეთხაინის ეკლესიის დეკანოზი ტერ-მხითარ... (სს, II, გვ. 304-305).

ვერე 1756 – ... ჩვენ, თქვენმა ძმისწულმა დავით მირზამა ... თქვენ, ბატონისშვილს ბიძაჩვენს ალექსანდრეს ... მოგყიდეთ ყაბახის ქვეშ, ვერისკენ, ჩვენი წილი ერთი ჩარექი ბაღი, ბარათში ნარგები თავისი წყლითა და კარითა და გზითა... (დთი, I, გვ. 271-272).

ვერე 1758 – ... ჩვენ, მანგოანთ ოჰანას შვილებმა ... თქვენ, ხოჯა ბეჰბუდანთ მელიქი აშხარბეგას შვილსა მირიშქარბაშს აღას ... მოგყიდეთ ჩვენი მამათა და ბიძათაგან გაბაანთ პაპუნასაგან ... ნასყიდი და ჩვენი ძმა პოღოსასაგან წილად გამოტანილი, ვერაზე ხოჯა ბეჰბუდას გაკეთებული, ხიდის ქვეით, წისქვილი ორი დოლაბი და ბაღი... არის ამ წისქვილის და ბაღის ნიშანი და სამძღვარი: ქვემო ნაოხარი ნაწისქვილარის ალაგი, იმის მოკიდებული თავის სერითა თავმგრგვალად; ზემო ბაღის და გარეთ მიწის ნიშანი: დიღმის შარა აღმართის თავამდინ და ბაღის გვერდის თავამდინ, ქვემო ვერის წყლის პირამდინ... (დთი, I, გვ. 278).

ვერე 1777 – ... ვერაზედ, ყველაზედ თავში, ერთი გაპარტახებული ბაღი იყო. ჭირიანობის წელიწადს ეს გაპარტახებული ბაღი [იოანე პენტელაშვილმა] თორმეტ თუმნად ვიყიდე და ნათლისმცემლის უდაბნოს შევსწირე და ... ამის მოსაყალი უდაბნოში მიდის... (ქსძ, VII, გვ. 368-369).

ვერე 1784-1790 – იხ. ქალაქი

ვერენა. კახეთი

ვერენა 1428 – იხ. საგარეჯო

ვერენა 1579 – იხ. მცხეთა

ვერის შარა. შიდა ქართლი

ვერის შარა 1774 – იხ. ვარაზის ჴევი

ვერის წყალი. შიდა ქართლი

ვერის წყალი 1661 – იხ. მშავნი

ვერის წყალი 1758 – იხ. ვერე

ვერის წყალი 1774 – იხ. ვარაზის ჴევი

ვერის ხევი // ვერის ჴევი

ვერის ხევი 1289 – იხ. ვერე

ვერის ხევი 1581 – იხ. ზირბი

ვერის ხევი 1581 – იხ. ქალაქის პირი

ვერის ხევი 1513 – იხ. საქართველო

ვერის ხევი 1633 – იხ. ნახშირის გორი

ვერის ხევი 1635 – იხ. ენაგეთი

ვერის ხევი 1796 – იხ. გოგისოფელი

ვერკეთილი — იხ. ველკეთილი

ვერტყვილა. იმერეთი

ვერტყვილა 1744 — ... ესე წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ამირახორმა გივმან, თქვენ, ვერტყვილელთა და ვერტყვილის ჭალელთა, ბჟინეველთა, გესამანიელთა, გრიგალათელთა, ჰევის ჯვრელთა, წაქველთა, ნადაბურელთა და ციცქიურელთა და სულ ერთობით ხეფინისჴეველთა. ასე რომე, ძველითგანვე ქართველის ბატონის სახასო და მკვიდრი ყმანი ყოფილიყავით და ჩვენი სახელო და სასარდლო იყავით. ცოტას ხანს ქართველმა ბატონმა თქვენი თავი აბაშიძეს უბოძა. ახლა მეფემ თქვენი თავი ისევ ჩვენ გვიბოძა (იდ, I, გვ. 73).

ვერტყლის ჭალა. იმერეთი

ვერტყლის ჭალა 1744 — იხ. ვერტყვილა

ვერხვნალა // ვერხნალა // ვერხვნალი // ვარხვნალა // ვარხუნალი // ვარხუნა // ვარხონა. ქვემო ქართლი

ვერხვნალა 1600 — იხ. გუდარეხი

ვერხვნალა 1630 — ... გუდარეჴს მონასტერსა, სასაფლაოსა ჩუენსა, შემოგწირეთ [იესე ბარათაშვილმა] ... სოფელი ვერხვნალი ... ყოვლის მისის სამართლიანითა სამძღვრითა, რაცა მცორვეთისა და ღორისთავის ძველი და სამკუიდრო მამული, ან სახნავი და სათიბი ყოფილიყოს; ამას გარდაის, ყოვლითურთ თქვენთვის შემოგვიწირავს ... რაცა გუდარეჴს ტაძრისა თქვენისა გვერდით კაცნი ესახლნეს, და ანუ რაც ვენაჴი და სავენაჴე იყო... (სს, I, 1899, გვ. 378).

ვერხვნალა 1633 — იხ. ზემო ოძისი

ვერხვნალა 1661 — ... ბარათაშვილი გიორგი ... და ვარხუნიდამე არეშიანი ცილობდენ სამძღუარსა და მიწაზედა... ძველი განაჩენი წიგნები უნახეთ იოთამის შვილთა და ... მას დღეს უკან ამათ ჰქონებია და სამკვიდროც ამათი ყოფილა ელიას ქუას აქათი. ახლაც ასრე სამკვიდროდ დანებდა, რომ ვერა ვარხონის მეპატრონე კაცი, ვერც ბარათაშვილი და ვერც სხვა კაცი ვერ შემოეცილოს და არცა ეის ჴელი ჰქონდეს კრეფელს კაცთანა (ქსძ, IV, გვ. 119-120).

ვერხვნალა 1661 — იხ. მშავნი

ვერხვნალა 1662 — ... მეფეს როსტომს სოფელი ვერხუნელა თქუენთუის [მესტუმრე დონდარასათვის] ებოძებინა. [მეფე შაჰნავაზმა] ის გამოგართვით და მისდა სამუქმოდ გიბოძეთ საჴუნდარიდამე სარუხანა... (სს, II, გვ. 253).

ვერხვნალა 1662-1663 — ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... შაჰნავაზ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ბარათაშუილს ოთარს... თქუენის სასაფლაოსა და შეწირულის გუდარეჴის ღუთისმშობლის მამულს სოფელს ვერხუნალას დაგუიაჯენით... ძუელი შეწირულობის გუჯრები გინახეთ და რარიგადაც ... ჴელმწიფეთ ძუელითაგან შესწიროდეს სოფელი ვერხუნალა ... და რარიგადაც ... მეფეს როსტომს ... გაეთარხნებინოს, ჩუენცა ამავე წესით გუიბოძებია (ქსის, გვ. 298).

ვერხვნალა 1688-1703 — იხ. მარაბდა

ვერხვნალა 1689 – იხ. კრეფა

ვერხვნალა 1699 – იხ. მანგლისი

ვერხვნალა 1706 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... შჰანავაზ ... თქვენ ... არეშის-ძვილს ალავერდის ... გიბოძეთ იქავ, ვარხუნას, ამოვარდნილის შენის გა-ნაყოფის ლუარსაბას მურადასშვილის ... ერთი საკვამლო ნურალაშვილი თავისის მამულითა... (დსსი, I, გვ. 131).

ვერხვნალა 1712-1714 – იხ. გუდარეხი

ვერხვნალა 1713 – იხ. გუნანეთი

ვერხვნალა 1713 – იხ. ღოლოვნა

ვერხვნალა 1725-1735 – [ბრძანება ახალციხის ფაშისა]: ... ეს მაჰმად [რომ ბეჟან ერქვა], ზურაბის შვილი ბარათიანი, რადგან მუსულმანი შაიქნა, რაც მამით-პაპით მამული და ყმა სჭერიათ, ეგრეევე უნდა დაიჭიროს ... ოთ-ხი კვამლი გლეხი ერთი საკესცეს, ერთი ნიაზარს და ერთი სხნარს და ერთი ბისს ალექსანდრე გურიელს უჭირავს ... ერთი ნიზარს და ერთი სხნარს და ერთი ცხოვრესს და ერთი ახალშენს,–ესები თაყაშვილს უჭი-რავ და ესები ვახტანგ ძალად წაგვართვა და ამათ მისცა. და, ამას გარდა, ორი კვამი აზნაური თავისი ყმებით ვარხუნას ვახტანგს თავისთვის გასამ-ყრელოდ აიღო და ახლა საბატონოდ დაჭერილა... ახლა, ჩვენო მ'უბაშირო, ამ ათის კვამლიდამ ექუსი კვამლი–ოთხი თაყაშვილი ქაიხოსროსი და ორი საბატონო ვარხუნა ამ მაჰმადის ყმებს ხელი ამართე და ამას მიაბარე... (იდ, I, გვ. 142-143)[107].

ვერხნალა XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

ვერხნალა 1756 – იხ. ცხეკვი

ვეფხის ციხე // ვეფხვის ციხე. კახეთი

ვეფხის ციხე 1780 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ვეფხისციხელს ხუზა-ურს გიორგის მოსცეს. ამასწინათ ბატონიშვილი ლეონი რომ იქ კახეთს ბძანდებოდა, ჩვენის უმამულობა მოვახსენეთ... ერთი ცოტა რამ ბეითალმა-ნი იყო ჯავახი შიოსი თავი დღის მიწა და ერთის სახლის ალაგა... ნუ ღარც მაგ მამულს ჩვენ გამოგვართმევთ... (ქსძ, VII, გვ. 490-491).

ვეფხის ციხე 1785 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი თიანეთის მოურავს ქა-იხოსროს მოსცეს. ვეფხის ციხეში თქვენის ბძანებით ხიზანი მივასხი და დავაყენე ... [და] წისქვილი დავაბრუნე... ახლა მისულა თარხანი, ჩემი წის-ქვილი მოუშლია და თვითონ დაუბრუნებია ჩემს გატანილს რუზედ. თუ ქუდურის ზევით ამეტანოს, სიტყვა არა მექნება რა, მარამ თუ ქუდურს ქვემოდამ იყოს, რათ უნდა წამერთოს... თუ ფაშანისა იყოს, რა სიტყვა მაქვს; და ვეფხის ციხისა იყოს, ნუ წამერთმევა. მე თქვენს სამსახურზედ ფშავს გახდი... (ქსძ, VII, გვ. 647).

---

[107] თურქულ ყაიდაზე დამახინჯებული ქართული სახელები უნდა იყოს: საკეცე ნიაწარი, ცხნარი, ცხერისი, ახალშენი, ვარხუნა // ვერხვნალა.

ვეფხის ციხე 1793 – [ერეკლეს ოქმი]: ... ერასტი [ჩოლაყაშვილი] რომ გაყრას უჩივა ... როდესაც ჩვენ კახეთს გამოვალთ, მაშინ გავყრით. ერასტის რაც თავისი წილი ან პური ერგოს და ან ღვინო, ვეფხის ციხეს უნდა ჩაუტანონ თავეთმა კაცებმა (ქსძ, VIII, გვ. 238-239).

ვეფხის ციხე 1793 – იხ. თელავი

ვეფხის ციხე 1793 – იხ. თიანეთი

ვეფხის ციხე 1794 – იხ. თიანეთი

ვეფხის ციხე 1795 – იხ. მატანი

ვეფხის ციხე 1798 – [გიორგი XII-ის ბრძანება]: ჩვენი ბრძანება არის, ვეფხისციხელნო! მერმე თქვენი ... სამოცი კოდი პური, თავისი წილი წინამძღვარს ეფთვიმეს უნდა მიაბაროთ... საბუის ნაცვალო დავით, შენ უნდა გამოუტანო აქ, თელავს, წინამძღვარს მოაბაროთ (ქკმეის, გვ. 170).

ვეძისი. შიდა ქართლი

ვეძი 1683 – იხ. წოდორეთი

ვეძისი. არაგვის ხეობა

ვეძისი 1529-1530 – [მცხეთის დაკარგული მამულები]: ვეძისი, უპიტი, სანეხვედურეთს ქუაბნი... ქუემო ერისთავსა ოდიშელისძენი აქვს, ბატონს ბაგრატს–მისაქციელი... აღაიანი სრულად ჭდობილთა დადვა და აგარულს სამზღუარსა წამოგვეჭიდა და დაიჭირა. გარდმოეგდო ქსანი და რაც ქსანს გაღმა ჭალა და მამული დარჩა, დაიჭირა... აქუს რატიშვილს წირი... კორინთელს ველური... ამილახორს თაჯუაშვილები... ზემო ერისთავსა ქვეში და სათიხარი და ქორდი... აქუს ვაჩნაძესა წოლდი, ფავნელიშვილსა ზაკვი და ერედუს გლეხები... კიდევ კუნელთ სამზღუარშიგა ბატონმა ბაგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქუა... ქართლს მცხეთის ჯუარი კუართისა, ცხინვალს ურია ელიოზიძე, სოფელი ქუეში ქუენიფნეველსა აქუს... რუისს მრულაშვილი... ქალაქს ურდულაშვილისეული სასახლე... მისაქციელი, საეკუდრო, კოდმანისა და სავანეთის მთა... წაგუართვეს გოსტასამიანთა– (ქრონ, II, გვ. 373).

ვეძისხევი // ვეძისჴევი. კახეთი

ვეძისხევი 1104-1118 – სახელითა ღმრთისაითა დავითისაგან... ვისმინეთ მოჴსენება და ჰაჯაი არიშიანისაი და გაუშვით ნიანია ნიანიასძე, გრიგოლ მაოჴრებლისა შვილი, მისითა მამულითა ... ზითვად ნაქონები ვეძისჴევითა, გაგუითავისუფლებია ყოელისა გამოსვლისა და შესავლისა სახელმწიფისა და სათხოვრისაგან... (ქისკ, I, გვ. 50-51).

ვეძისხევი 1392 – იხ. ტფილისი

ვეძისხევი 1428 – იხ. საგარეჯო

ვეძისხევი 1464 – [წყალობის წიგნი ალექსანდრე მეფისა]: მოვიდეს წინაშე ჩუენსა იათორისშვილნი შოთასძენი... გარეჯის წინამძღუარი და კარისა ჩუენისა მდივანი ვარსიძე... ძუმლითგან მათი მკუდრი სოფელი ვეძისჴევი

მათითა სასაფლაოჲთა, მონასტრითა, ბარცავისა[108] ეკლესიითა... მზღურითა, საჩალისპირსა მათითავე ძუშელითა სასახლითა... (მთხოვესო ... სამუქფოდ და)... რაგუარაც თქუშნთა გუართა გარესჯისა უდაბნოთათჳს შეუწირავს, აგრეთვე იმაჲ მამულითა ჩუშნ შეგჳწირავხართ... (ქრონ, II, გვ. 283).

ვეძისხევი 1504 – ჩუენ ბაგრატიონმა (მეფემან) ალექსანდრე ... გიბოძეთ თქუენ მაღალაშვილს გედევანს ქადაგსა და შვილსა შენსა მამუკასა, ასრე რომე შენი სამკვიდრო და საბოლოო მოუდევარი მამული იყო ვეძისხევი და მონასტერი ვარცანისა, ქორათუბანი, გიორგი წმიდა და იელის უბანი... თქუენ გიბოძეთ სახელო ვეძისხევი ... ფაშაანი და ენისელები ... რაც სუეტის-ცხოველის ყოფილა და არს... (ქრონ, II, გვ. 323).

ვეძისხევი 1537 – იხ. ხანდაკი

ვეძისხევი 1571 – ... ჩუენ ყულმან ჯიმშიტ, თქუენ ქართლისა განმანათლებელსა, კათოლიკე ეკლესიისა საყდარსა ... შეძოგწირეთ ყეძისჯევით ჩუენითა ალალითა საქოხლითა ნასყიდი სასახლე, მისითა კარის ეკლესიითა და ჭურ-მარანითა... (ის, III, გვ. 69).

ვეძისხევი 1579 – იხ. მცხეთა

ვეძისხევი 1585 – ჩუენ, მეფეთ-მეფემან ალექსანდრე ... ესე შეწირულობის წიგნი ... მოგახსენეთ დედა-ქალაქსა მცხეთას სვეტსა ცხოველსა... რომელ პირველად სოფელი ვეძისჯევი და ფაშაანი სრულად მისის შენობით, კალთუბანი და გიორგნი ორივე ჯევი მაღლა მთიდამ დაბლა თეთრს კლდემდინ რაც სავეძო არის ჩელტს გამოღმართ გრემის კერძად, ასე რომე თქუენი სამკვიდრო ეს მამულები ცოტას ხანს ხიზნობის კვალად ყარაასლანს მიევცათ ორსაოდენ წელიწადსა... [ახლა] მამული მკვიდრი საქონებელი თქუენვე დაგიდევით და მოგახსენეთ, ასე რომე როგორც თქუენი მოურავი და ქადაგი ყოფილ იყოს ვეძისხევს და ფაშაანს ისევ დააყენეთ, საბალახე და აბრეშუმები და დიდი სათათრო საური ... თქუენ აიღებდეთ... ლაშქარნადირობა და მონასტერი ვარცანის, სახასნი და ციხე კი უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშაობდენ და როგორც დავით გარეჯას იქიდამ სარგო რგებოდეს, ნუ დააკლებთ... არც გრემელთ ჰქონდეს საცილობელი ჭელი, არც შილდელთ და არც ნეკრესელთა (ქრონ, II, გვ. 423-424)[109].

ვეძისხევი 1664 – [შეწირულობის წიგნი მოლარეთხუცეს რუსიშვილისა]: ... ოდეს კურთხეული ბატონი მამა ჩემი მიიცვალა, მის საწირავად ვეძისჯევს გეჯაშვილის მამული, ქისტი რომ სახლობს, იმითი სახლ-კარითა, მიწითა, ვენაჯითა ... სვეტს ცხოველს შევსწირეთ... (დსსი, I, გვ. 41).

ვეძისხევი 1700 – ... ჩვენ ... ყოელისა საქართველოს ... კათალიკოზმან ... იოვანემ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ შენ ... მაღალაძეს ხუციას... [კათალიკოზს] მამის თქვენის ბეჟანისათვის აშენდის მოურაობა მიეცა; ახლა

---

[108] „ვარცისა?" (ქრონ, II, გვ. 283).

[109] ანალოგიური შინაარსისაა 1552 წლით დათარიღებული ორი შეწირულობის წიგნი; თუმცა შეინიშნება სხვაობა. 1552 წლის საბუთებში „კალთუბნის" ნაცვლად გვაქვს „ხევთუბანი", ნაცვლად „გიორგნი"-სა „გიორგანი" (ქრონ, II, გვ. 392-394).

იმისი მოურაობა შენს განაყოფს იასეს ქონდა; იმისთვის თავის წილში ნარგები ვეძისჴევის მოურაობა მოგვიცემია და თქვენთვის ისრეე თქვენი სამკვიდრო აშენდის მოურაობა გვიბოძებია... (ქსძ, III, გვ. 626).

ვეძისხევი 1722 – იხ. მარტყოფი

ვეძისხევი 1722 – იხ. სარუსთველო

ვეძისხევი 1765 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... სულ ერთპირ ვეძისხეველთ მოსცეს... ძველთაგან რა ჩვენ ვეძისხევს გახლავართ, მოურავი ყოფილა შილდისა და ჩვენც ამისთვის გვიმსახურია... ახლა ... ორის მოურავის სამსახური არ შეგვიძლია, ერთს მოურავს მიგვაბარეთ... [ერეკლე II-ის ოქმი]: მოსამართლეები და ნეკრესელი დაუსხდნენ, შილდელნი უფროსნი კაცნი მოასხან, ძველთაგან გამოიკითხონ... გრიგოლ ... არი მოურავი, სხვას ამისი სახლიკაცს საქმე ნუ აქვს... (ქსძ, VII, გვ. 97-98).

ვეძისხევი XVIII ს. შუაწლ. – იხ. ფაშაანი

ვეძისხევი 1785 – იხ. შილდა

ვეძისხევი 1788 – [წიგნი ანტონ კათალიკოსისა დოსითეოს ნეკრესელისადმი]: ... მე დიდად მიკვირს შუნის მეცნიერებისაგან, რომ საქართველოს მამათმთავარს სამწყსოს შემოსცილებიხარ, და ჩვენის ყმისა და სამწყსოს ვეძისხეველის ასაბაშვილის დიაკონის დავითის თავის მღვდელად ხელი დაგისხამს... (გუჯრ. 85).

ვეძისხევი 1799 – იხ. შილდა

ვეჭნელა. კახეთი

ვეჭნელა 1722 – იხ. მარტყოფი

ვეჯინ-გურჯაანი. კახეთი

ვეჯინ-გურჯაანი 1724-1734 – ... ესე მუჩალგის წიგნი მოგეცით ჩვენ, მოურავისშვილებმა ... სულ ფხოელელთ და ვეჯინ-გურჯაანთ და მელაანთ ქემხითურთ თქვენ, ბატონს ავთანდილბეგს და მანუჩარბეგს... ასრე რომ, ფადიშაის რაყამი მოიტანეთ ქართლელის კაცის აყრისა. რაც ჩვენი კაცი იყო, სულ მოგაბარეთ, გაქცეულს გარდა (დსსი, I, გვ. 207).

ვეჯინი. კახეთი

ვეჯინი 1455 – ... [მეფეთ-მეფე გიორგიმ] მიუბოძეთ [ასათ ვაჩნაძეს] ვეჯინს და ვეჯინის პირთა სოფელი კარდანეხი, კარდანუცი, ბაკურციხე, ჩალამოტი, კოლაგი, კეჭა, კალაურნი... და განგიჩინეთ თქუენისა გვარისა კაცსა სისხლად რვაასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი... დაიწერა მტკიცე სიგელი ესე... ჴელითა წარქვალელისა ძისა რატისათა (სმ, II, 1924, გვ. 40-43).

ვეჯინი 1479 – ...ჩუენ, მეფემან ალექსანდრე ... მოგაჴსენეთ [მცხეთას] ვეჯინისა პირთა სოფელი ახალშენი... კათალიკოზო დავით... ჩუმნი სიმაგრე პანკისის ციხე არ გაგაჴცემია... ჩუმნთჳს, სათავისთავოდ და საავჯანდედ მოცემული მოგჴსენებია (ქრონ, II, გვ. 301).

ვეჯინი 1757 – იხ. კონდოლი

ვეჯინი 1761 – იხ. სურამი

ვეჯინი 1766 – იხ. კოლაგი

ვეჯინი 1775 – იხ. ბაკურციხე

ვეჯინი 1779 – იხ. ნავთლუღი

ვეჯინი 1786 – იხ. კახეთი

ვეჯინი 1788 – ენდრონიკაანი და ვაჩნაძიანი კოლაკსა და ვეჯინს შუა მიჯნებზე ჩიოდნენ... ვაჩნაძიანი ამბობდნენ: მახოშვილები რომ სახლობენ, იმას ზემოდან წვერზე რომ მოციქულთ საყდარი არისო, და იმის სისწვრივე კოდის თავში რომ დიდი ქვა ზისო, და იმის დასწორ ჯანიანის მინდვრის ბოლოს ქუიტკირის ნასაყდრალი არის, ალაზნამდის, ამის ქვემოთ ჩვენ ვაჩნაძიანთი არისო, და ზემოთის მხრისაკენ საენდრონიკო არისო... (ქსძ, V, გვ. 410).

ვეჯინი 1792 – [არზა რევაზ ანდრონიკაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... მერე ქაიხოსრო მდივანბეგის ყმამ ჭანყოსშვილმა ივანემ, წნორიაშვილმა მუსამა და გიორგიმ მამულები გაცვალეს. ის დრო იყო რომა, საღალუღის ციხესა რომ შენობის ბინა დაზდევით, ამას წნორიაშვილმა მუსამა სასახლე მისცა და ჭანყოსშვილმა ვეჯინს სოფლის ბოლოს ორის დღის მიწა მოსცა... (ქსძ, VIII, გვ. 145).

ვეჯინი 1795 – ... ჩემი [თამაზ ეშიკაღადბაშის] ერთი კომლი მკვიდრი კაცი, ვაშლოვნელი არუთინა ვეჯინს ერასტის შვილის დავითისათვის მამაჩემს მიუბარებია... (ქსძ, VIII, გვ. 323).

ვეჯინი XVIII II ნახ. – იხ. გურჯაანი

ვეჯინის პირნი. კახეთი

ვეჯინის პირნი 1455 – იხ. ვეჯინი

ვირშა. შიდა ქართლი

ვირშა 1392 – იხ. ტფილისი

ვირშა 1431 – ... ჩვენ, მეფეთა-მეფემ ალექსანდრემ ... დედაქალაქსა მცხეთასა ... შევსწირეთ ... ძველითგან მეფეთაგან შემკობილი, აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა[110] მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი... ერთობ უნაკლულოდ მოგუიჴსენებია ... მცხეთისა საყდრისათუის... ამა ვირშისა სახლისა ულუფა ძუელითგანვე ჩუენთა მომავალთა მეფეთაგან ამოკუეთილი და გაშუებული არის; და მას აქათ, როგორაცა სხუანი მცხეთისა მამულნი შეუვალნი არიან, აგრევე ესე შეუვალად და თარხნად მოგუიხსენებია... (გდამ, გვ. 20-24).

ვირშა 1441 – იხ. მცხეთა

ვირშა 1447 – იხ. მცხეთა

ვირშა 1559 – იხ. სხალდიდი

ვირშა 1574 – იხ. ყურისუბანი

ვირშელაური. შიდა ქართლი

---

[110] ვარძიისა (ქრონ, II, 238).

ვირშელაური 1467 – იხ. შავშეთი

ვირშისთავი. შიდა ქართლი

ვირშისთავი 1459 – ... ესე წიგნი ... დაგიწერეთ ... თქუენ ვირშისა წმიდათა მთავარანგელოზთა, მიქაელ და გაბრიელს, და ქართლისა პატრიარქსა დავითს ... მე, უჯარმელმან ფავნელმან... მას ჟამსა ოდეს, დაგიცვალეთ ოჯიკასძესა ოქროთა ნასყიდსა მიქაურსა მამულსა ზედა და მოგაჴსენეთ ქუბეშური მამული; ჩარეხელსაშვილთა გერასიმისძისეული მამული და ტალაკაური, ამალბარასშილი მამაგულა, სადენურნი ნასახლევნი მისითა ჭურითა; და ნაევნაჴევი მუკნეველათა – ზემოთ ხუცესა, ქუემოთ – ფოლოცასა... ბროწლეს – ქობეშორი მამული... აგრეეე–გერასიმისძისეული მამული მისითა მიმდგომითა... აგრეეე–სადუნურნი ნასახლევნი მისითა მძღვრითა და ნაევნაჴევითა; აგრეეე ბროწლეს – თექუსმეტისა დღისა მიწა. მოგვიჴსენებია ჩუენ, უჯარმელსა ფავნელსა ... თქუენ ვირშისთავს, წმიდათა მთავარანგელოზთათუის... (ის, II, გვ. 13-14).

ვირშის მონასტერი. კახეთი (?)

ვირშის მონასტერი 1527-1532 – იხ. გარეჯა

ვირშის წყალი. შიდა ქართლი

ვირშის წყალი 1678 – ჩვენ ... ქართლისა კათალიკოზმან ... ნიკოლოზ ... თქუენ ... ელიოზიძეთ გედევანიშვილს გიორგის ... გიბოძეთ ვირშის წყალი, მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადანი ... ყოელის მისის სამართლიანის მზღვრითა (სს, I, 1899, გვ. 339).

ვიწრონი. კახეთი

ვიწრონი 1597 – იხ. ორკოშინი

ვოდიშ-ლეჩხუმი – იხ. ოდიშ-ლეჩხუმი

ვურევი. იმერეთი

ვურევი 1519 – იხ. გელათი

ვუშქული – იხ. უშქული

ზა. ქვემო ქართლი

ზა 1543 – იხ. სხალნარი

ზა 1657 – იხ. ცხვრისი

ზა 1679 – ... მე, ბარათაშვილმა იასემ ... თქვენ ბარათაშვილს ... პაატას ... მოგყიდეთ ზას კახაბრისშვილის გიორგის ნაქონი მამული ერთი საკომლო... (სს, I, 1899, გვ. 387).

ზა 1756 – იხ. ცხეკვი

ზაალიანთ წისქვილის რუ. ქვემო ქართლი

ზაალიანთ წისქვილის რუ 1723 – იხ. ბუჟღულეთი

ზაალის ბაგა. შიდა ქართლი

ზაალის ბაგა 1779 – იხ. ქვემო ხვითი

ზაგამი. ქვემო ქართლი

ზაგამი 1788 – [ვახტანგ ბატონიშვილის წერილი იოსებ მიშკარბაშისადმი]: ... აქ, ზაგამზედ ... ვიმყოფებით და ამ ორ დღეზედ ... შამქორს ვაპირებთ მისვლასა და იქ მოვლით ფათალი-ხანისა და მაჰმად ასან-ხანის კაცსა და იმათს ჯარით გამოსვლასა... შულავრის მამასახლისი აღასი გამოგვიგზავნია... უსურსათოდ არის ჯარი და თვალი სურსათისაკენ უჭირამსთ... (სს, III, გვ. 47).

ზაგარი. სვანეთი

ზაგარი XV-XVI სს. – იხ. იფარი

ზაგალეთი. ლეჩხუმი

ზაგალეთი 1604-1637 – იხ. უსახელო

ზადკარეკი. ტაო

ზადკარეკი 1031-1033 – იხ. მცხეთა

ზავეთი[111]. ჯავახეთი

ზავეთი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ზაკვი // ზაქვი // ზაკუი // ზაკუ. შიდა ქართლი

ზაკვი 1447 – იხ. მცხეთა

ზაკვი 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე

ზაკვი 1529-1530 – იხ. ვეძისი

ზაკვი 1559 – იხ. სხალდიდი

ზაკვი 1574 – იხ. ყურისუბანი

ზაკვი 1595 – იხ. რკონი

ზაკვი 1595 – იხ. ყურისუბანი

---

[111] ხავეთი

ზაკვი 1624 — იხ. თავა

ზაკვი 1675-1682 — იხ. ზესი

ზაკვი 1702 — ესე წიგნი მოგეც მე, მანგლელ-ეპისკოპოსმან ... ნიკოლოზ, თქვენ ... ჯავახიშვილს ... ფარემოზს... ამას წინათ ერეკლე მეფეს თქვენთვის უბრალოდ თქვენი მემკვიდრე ყმა ზაკვს ხარაზისშვილი ... წაერთმიენა და მანგლისის ღმრთისმშობლისთვინ შეეწირა. მერმე ... ჩვენც, საქართველოს გამგებლის ვახტანგის ბრძანებით ... თქვენი მემკვიდრე ყმა ხარაზისშვილი ისევ თქვენვე დაგიდევით. თქვენც იმისად სამუქფოდ აბანოურში გაგელაშვილის ნაქონი ნავენაჯობი, ჭევჭმელასაკენ, ჩვენის ზვრის გვერდზე, მანგლისისა ღმრთისმშობელს შემოსწირეთ და სიგლით დაუმტკიცეთ... (ქსძ, III, გვ. 636).

ზაკვი 1711 — იხ. საჯავახიანო

ზაკვი 1715 — იხ. საჯავახიანო

ზაკვი 1721 — იხ. საჯავახიანო

ზალის უბანი. შიდა ქართლი

ზალის უბანი 1772 — იხ. ხეობა

ზანავი. ხეობა

ზანავი 1739 — იხ. ხეობა

ზანგარის არხი. ქვემო ქართლი

ზანგარის არხი 1800 — იხ. ახილო

ზარაბთა ქუჩა. თბილისი

ზარაბთა ქუჩა 1759 — ავიღე მე, ნარიმანთ არუთინას შვილი არუთინამა შენ, გასპარასშვილი ისაია უზბაშისაგან სამოცდახუთი თუმანი ახალი თეთრი... მოგეცი ამის გირაო ჩემი ნადგომი სახლი–დარბაზი თავის ოთახებითა; რომ ერთი კარი აქვს ზარაბთა ქუჩაში და მეორე კარი აქს თერგებთა ქუჩაში... (დთი, I, გვ. 282)

ზარათი. იმერეთი

ზარათი 1764 — ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან სოლომონ ... შენ ... მესხს ამირანს და დავით მესხისშვილს პაატელას ... ამოგიკვეთეთ საური, რომლისაც ყმის მქონებელი იყოთ და ან ზარათს და ან რიონს გყავდესთ... დაიწერა წიგნი ესე ... ჭელითა ჩხარის დეკანოზის შვილის მღვდლის სვიმონისითა... (იდ, I, გვ. 107-108).

ზარათი 1781 — ... ოდეს ... მეფემ სოლომონ აგარიანთაგან იმერეთი დაიხსნა და ქუთაისის ციხე აიღო, მაშინდელი ... ქუთაისიდგან გამოყვანილი კაცი–სვიმონ ბახტურიძე–მყავდა ნაყიდი [ხოსია ვალიანს] და იმ კაცის სყიდვა თქვენ [დოსითეოს ქუთათელმა] ინებეთ და ... ზარათის ეკლესიაზე მდგომლის ღირსის მღვდელმონაზონის დანიელ ბერის შუამდგომლობით მოგყიდეთ... (დსსს, II, გვ. 73).

ზარაფის ნაბაღვარი. თბილისი

ზარაფის ნაბაღვარი 1708 — იხ. გარეთუბანი

ზარგრის ობა. კახეთი

ზარგრის ობა 1700 – იხ. კაკაბეთი

ზარდიანთკარი. შიდა ქართლი

ზარდიანთკარი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ზარზმა. სამცხე

ზარზმა 1500-1516 – ... მე ... პატრონმან მზეჭაბუკ .... შემოვსწირეთ ... სუიმონ მაწყუერელსა ... მონასტერი ზარზმა, სრულად მისითა შესავლითა, აგარაკ სოფლიანითა და გლეხებითა, რასცა მამულის მქონებელი ყოფილა ზარზმა და დღესცა არის; ანუ ქალაქად სადმე სახლობს მონასტრისა ყმა, ანუ სოფლოანშიან... მომიჴსენებია აჭარულითა და გურიულითა მამულითა და საღუინითა... (ის, II, გვ. 28).

ზარზმა 1572 ახლო – იხ. შემოქმედი

ზარათი. იმერეთი

ზარათი 1259-1293 – იხ. მაღლაკი

ზარიშტიანი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

ზაქათკარი. მთიულეთი

ზაქათკარი 1781 – იხ. წკერე

ზაქარა // ზაქარიანი. კახეთი

ზაქარა 1579 – იხ. მცხეთა

ზაქარა 1722 – იხ. მარტყოფი

ზაქარა. შიდა ქართლი

ზაქარა 1759 – იხ. თავხელიძის კალო

ზაქარული მამული. ქვემო ქართლი

ზაქარული მამული 1692-1703 – იხ. მარაბდა

ზახლეული. რაჭა

ზახლეული 1071-1080 – იხ. ზნაკვა

ზახორი. შიდა ქართლი

ზახორი 1797 – ღმერთმან მეფის ძის იულონის ჭირი მოსცეს ზახორელ ბერუას... მტრის მიზეზით ჩემი მამა-პაპა ზახორიდამ აიყარა და ჩემს მამულს ვეღარ მიუდექ. მე ახლა ხელთუბანს გახლავარ... მაგრამ ჩემის მამულიდამ შემოსავალი კი არა მაქვს რა; მთის კაცნი ჩამოდიან, ხენენ და ღალას ამილახვრიანი იღებენ... (ქსძ, VIII, გვ. 439).

ზებეყური. შიდა ქართლი

ზებეყური 1787 – იხ. ხადა

ზეგამი. კახეთი

ზეგამი 1787 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ზეგამში მოსახლეს კაცია სხირტლაძეს... მე რომ იმერეთიდამ გიახელ ... ერთი საკომლის მეტი

არ მებოძა და ის ერთი საკომლოც შუა გამეყო და სირბილაძეს მიეცა. ახლა გეედრები იმ სოფლის ნაცვლობა მაინც მებოძოს (ქსძ, VII, გვ. 744-745).

ზეგამი 1790 – იხ. ახალშენი

ზეგანთა. შიდა ქართლი

ზეგანთა 1031-1033 – იხ. მცხეთა

ზეგანთა 1073 – იხ. თრიალეთი

ზეგანი. იმერეთი

ზეგანი 1773 – იხ. ქუთაისი

ზეგანი. კახეთი

ზეგანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ზეგანი 1757 – იხ. კონდოლი

ზეგანი 1776 – იხ. ნინოწმინდა

ზეგანი. ოდიში

ზეგანი 1628 – იხ. ღალიძგა

ზეგარდი. იმერეთი

ზეგარდი 1762 – იხ. ძულუხი

ზეგენა // ზეგენი. სვანეთი

ზეგენა XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

ზეგლევი. რაჭა

ზეგლევი 1665 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემ ... ბაგრატ ... ლომკაცისა ჯაფარიძეს თქვენი [ხოსია ჯაფარიძის] სამკვიდრო მამული ... გამოვართვით, იმისგან ზეგლევს ხუთი კვამლი კაცი ... შენეე გიბოძეთ... (იდ, I, გვ. 36).

ზედა აგარა. რაჭა

ზედა აგარა 1071-1080 – იხ. ზნაკვა

ზედვაკე. იმერეთი

ზედვაკე XV-XVI სს. – ... წმიდის გიორგის ვანის თავსდებობითა, ბატონის ჩვენის იაშვილის ბეჟანის ... თავდებობითა მოგყიდეთ ჩვენა სამსონიშვილმან მამისთვალამან ... ზედვაკეს ყანა ერთისა ურმის, თქვენა, შერაზადაშვილს ვახტაგას... (სმ, II, 1924, გვ. 257).

ზედა ვარძია. ჯავახეთი

ზედა ვარძია XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

ზედაველა. შიდა ქართლი

ზედაველა 1800 – იხ. ქარელის ციხე

ზედაველის მთა. შიდა ქართლი

ზედაველის მთა 1699 – იხ. გორი

ზედაზენი // ზედაზადენი // ზედაძენი // ზეზადენი. კახეთი

ზედაზენი 1195-1196 – იხ. სხალტბა

ზედაზენი 1710 – იხ. რუსთავი

ზედაზენი 1722 – იხ. მარტყოფი

ზედაზენი 1722 – იხ. სარუსთველო

ზედაზნის ციხე. კახეთი

ზედაზნის ციხე 1123 – იხ. ტფილისი

ზედა მაღლაკი. იმერეთი

ზედა მაღლაკი 1766 – იხ. მაღლაკი

ზედა რუ. შიდა ქართლი

ზედა რუ 1712 – იხ. ურბნისი

ზედა რუ 1738 – იხ. ლომაშვილისეული მიწა

ზედა ძნავი. შიდა ქართლი

ზედა ძნავი 1736 – ... მე, თავყნელისშვილმა გივმა ... თქვენ ... წმინდის გიორგის გორის ჯვარის დეკანოზს რევაზს ... მოგყიდე ზედა ძნავის მილის წყაროსთან მიწა ჩვენის განაყოფებისაგან ნარგებო, მანა-პაპაო, ნაქონი სამკვიდრო ალალი მიწა... (სს, III, გვ. 420).

ზედა ხონი. იმერეთი

ზედა ხონი 1790-1803 – იხ. ხონი

ზედა ჯვარი. შიდა ქართლი (?)

ზედა ჯვარი 1689 – იხ. ხუტუნაური მამული

ზედიქურნა. კახეთი

ზედიქურნა XII ს. ბოლო – იხ. რაბჟინი

ზედუბანი. იმერეთი

ზედუბანი 1711 – იხ. ქვიშხეთი

ზედუბანი. კახეთი

ზედუბანი XII ს. ბოლო – იხ. რაბჟინი

ზედქალაქი. სვანეთი

ზედქალაქი 1503 – იხ. რაჭა

ზევდულეთი – იხ. ზეღდულეთი

ზევით უტო. კახეთი

ზევით უტო 1787 – იხ. კახეთი

ზეთანი.[112] შიდა ქართლი

ზეთანი 1751 – იხ. დიდი ვარდოვანა

ზეიანი. შიდა ქართლი

ზეიანი 1700-1719 – იხ. ხევთუბანი

ზეით ბაგა. შიდა ქართლი

---

[112] ზეიანი?

ზეით ბაგა XVIII ს. შუახ. — იხ. ქვემო ბაგა

ზეით მხარე. თბილისი

ზეით მხარე 1712 — იხ. ქალაქი

ზეით შარა. იმერეთი

ზეით შარა 1776-1784 — იხ. საბანელას ხიდი

ზეით ხვითი. შიდა ქართლი

ზეით ხვითი 1799 — იხ. ყელქცეული

ზელოვანი. შიდა ქართლი

ზელოვანი XV ს. I ნახ. — იხ. სამთავისი

ზემთხვისი // ზემთხუისი // ზემთხვისები // ზემათხავი. შიდა ქართლი

ზემთხვისი 1656 — იხ. ვარიანი

ზემთხვისი 1712 — იხ. ურბნისი

ზემთხვისი 1754 — მაჩაბელი ბარძიმ, ძაღლუა და ზაზა ჩიოდნენ: ... ზემათხავის რაზძაძე, 'ხურაბი'ძვილი რაძაზ და კაცია თავის მამულით ჩვენი სამკვიდრო ყმა იყო და მაჩაბელმან იესემ წაგვართვაო... (ქსძ, IV, გვ. 429).

ზემო ავჭალა. კახეთი

ზემო ავჭალა 1797 — იხ. ავჭალა

ზემო ანტრაპი. ქვემო ქართლი

ზემო ანტრაპი 1392 — იხ. ტფილისი

ზემოაშენდა. შიდა ქართლი

ზემოაშენდა 1660 — იხ. ქალაქი

ზემო ახალდაბა. შიდა ქართლი

ზემო ახალდაბა 1634 — ... მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ... დავითისშვილს დავითს... ზემო ახალდაბის მოურაობას დაგვეჯენით ... [და] სიგელითა ამით გაგიახლეთ და გიბოძეთ ახალდაბის მოურაობა... (სს, II, გვ. 230).

ზემო ახალდაბა 1559 — იხ. სხალდიდი

ზემო ბეგი. შიდა ქართლი

ზემო ბეგი 1637 — იხ. ციხისძირი

ზემო ბეშქენაშენი // ზემო ბეშქენისი

ზემო ბეშქენაშენი 1654 — იხ. ბეშქენაშენი

ზემო ბეშქენაშენი 1720 ახლო — იხ. თრიალეთი

ზემო ბიწმენი. კახეთი

ზემო ბიწმენი 1392 — იხ. ტფილისი

ზემო ბოლნისი. ქვემო ქრთლი

ზემო ბოლნისი 1620 — იხ. შუა ბოლნისი

ზემო ბოლნისი 1641 — იხ. აკანათერი

ზემო ბოლნისი 1670 – [გაცვლილობის წიგნი იოსებ ბოლნელისა დოლმაზა შანშიაშვილისადმი]: ... **ზემო ბოლნისს** სავენახე მიწა მოინდომე, ჩუენ .. მაგიერი მიწა გამოგართუით და აღაჯანასშვილის და მხითარიშვილის მიწა მაგიერათ მოგეცით. ზეით თავს სამძღუარი შუა ბოლნურის რუმდინ, ქუემო ბოლოს ქუემო ბოლნურის რუმდინ, ქუდით გუერდით ასლუასშვილის მიწის სამძღურამდინ, ზემო გუერდით საურმე ხიდი მისის ჩატანებით ქუემო ბოლნისის რუმდინ... არის ამისი მოწამე **ზემო ბლონისს** შავერდაშვილი მოურავი დავითა... სულ ერთობით **ზემო ბოლნელნი** და შუა ბოლნისს მამასახლისი ევანეზა, სამებისასშვილი ბერუა; სამწევრისს მამაგულაშვილი ბერუა... (სს, I, 1899, გვ. 298-299).

ზემო ბოლნისი 1677 – ... ჩვენ ... ალიყულისშვილმან ზაქუმ ... თქვენ მდივანბეგს ვახტანგს ... მოგყიდეთ **ზემო ბოლნური** ჩვენი მკვიდრი ... მამაპაპათაგან აშენებული ზვარი... ზეით ტერ-სტეფანას წისქვილამდის და ფოლადაურისაკენ რჩეულასშვილის ვენახის სამძღურამდის, და ბოვაძურისაკენ ძველი რუ რომ არის, იქამდინ, და ქვემო შუა ბოლნისისაკენ ჰეჯუბაშვილის მიწებამდინ... (სს, II, გვ. 138).

ზემო ბოლნისი 1678 – იხ. ქვეშის ხევი

ზემო ბოლნისი 1693 – [სურაბაშვილისა და შანშიაშვილის ნასყიდობის წიგნის მოწმენი]: ... **ზემო ბოლნელი** მოურავი დუშია ... და სულ ამ ჴეობის კაცნი... (მსეი, II, გვ. 10).

ზემო ბოლნისი 1716 – ... ჩვენ ჯიმშურელმა ელიარაშვილმა ჯორგიმ ... თქუენ დოლმაზაშვილებს დავითს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო ვენახი **ზემო ბოლნის**... არიან ამისი ... მოწმენი ... ფირფიჯანელი ზინდარი პაპუა ... სამწერისიდამ მამაგულაშვილი ავთანდილ ... სულ ამ ჴეობის კაცნი... (სს, I, 1899, გვ. 304-305).

ზემო ბოლნისი XVIII ს. შუახ. – ... **ზემო ბოლნისის** მინდვრის ღალა შანშიასშვილს ებარა, რომ რაც ამ სიაში სწერია ამისი ფასი მოუციათ... სახუნდრელი ავთანდილას ქერი კოდი ა... ნახიდურისა ქერი კოდი კვ... წარახპურის მინდვრის ღალის ანგარიში ... მოვიდა პური კოდი ყ... მარაბდელი ეუასშვილი ფარემუზასი პური კოდი ა... (მსეი, III, გვ. 167-169).

ზემო ბრეძა. შიდა ქართლი

ზემო ბრეძა 1401-1415 – იხ. ულუმბა

ზემო გარისი. ქვემო ქართლი

ზემო გარისი 1656 – იხ. გარისი

ზემო გომი. ჯავახეთი

ზემო გომი 1392 – იხ. ტფილისი

ზემო ცხირეთი. შიდა ქართლი

ზემო ცხირეთი 1590 – ... ჩვენ, ჯავახიშვილთა როინის შვილთა ... თქვენ სახლისუხუცესსა ... ზურაბს ... მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული, რაც ძმათაგან მოხდომია მამაჩვენსა როინს... **ზემო** და **ქვემო ცხირეთი** და მისი

გარშემო, და ცუცუბანი და ოძისის ხევს გამოღმა, და ზემო ნასოფლარები: ცხავერი, მეტათ უბანი, სამებანი, ჯვარნი და მადლნი... (სს, II, გვ. 48).

ზემო დიღმის კარი. თბილისი

ზემო დიღმის კარი 1740 – ... ჩვენ, ლელუკაანთ თამაზაშვილმა პაპუამ ... თქვენ, ხოჯაბეგან ამირას შვილს ზურაბას ... მოგყიდე ზემო დიღმის კართან ოთხი დუქანი... მოწმენი; სურფნიშნის დეკანოზი ტერ-ნიკოლოზა, ჯიგრაშენის დეკანოზი ტერ-ფრსელა... (დთი, I, გვ. 182).

ზემო ეღდისი. შიდა ქართლი

ზემო ეღდისი 1454 – იხ. ცხირეთის გვერდი

ზემო ვარდისუბანი. ქვემო ქართლი

ზემო ვარდისუბანი 1746 – ... ჩვენ, ერთობით ორბელისშვილებმა ... რაც ძველთაგან საერთო მამული გვქონდა ... ამ რიგით გაგიყავით... ერგო მდივანბეგის შვილებს: სოფელი ზემო ვარდისუბანი ავთანდილაშვილებით; სოფელი ტაშირზედ წითელეკლესია აღზიბეუქით; სოფელი ქარტაკი, იქავ სამეხრალო; ჯის სოფელი კიპრუჯი; სოფელი წყნეთა; სოფელი ქრცხილა, იქავ სამეხრალო; თაფანს ბადუჩაშვილი; დმანისს – ციხისა, დუქნებისა, ბაღისა, წისქვილისა, მიწისა, მსახლობელის კაცისა, ყოვლისფერის მეოთხედი: ფიტარეთს: ციხისა ... [და] ყოვლისფერის მეოთხედი; ტანძიას – სოფლისა – [და] ყოვლისფერის მეოთხედი; აღბაბლოს: მსახლობელის თათრისა სოფლისა, მიწისა, ყოვლისფერის მეოთხედი... ნასყიდი შუა ბოლნის ზერისა აქელაშვილებისა, ქვემო ბოლნისს ზერის მეოთხედი... (მსკი, 33, გვ. 121-122).

ზემო თელავნი. კახეთი

ზემო თელავნი 1722 – იხ. მარტყოფი

ზემო თელავნი 1722 – იხ. სარუსთველო

ზემო თლუღი. რაჭა

ზემო თლუღი 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

ზემოთხვისი. შიდა ქართლი

ზემოთხვისი 1736 – იხ. გუფთა

ზემოთ შარა. თბილისი

ზემოთ შარა 1645 – იხ. ქართლი

ზემო კახეთი

ზემო კახეთი 1722 – იხ. მარტყოფი

ზემო კახეთი 1788-1811 – იხ. საქართველო

ზემო მაბლაღი 1792 – ავიღე მე, ტერ-შმოვანანთ ... აღამ, შენ ... ყორღანასშვილი ... ოსაფესაგან ორასოთხმოცი თუმანი... როცა შენი ზემო მაბლაღი მოინდომო, თავისის გავლილის სარგებლითა ბეჰუზურათ მოგართო... (მსეი, II, გვ. 97).

ზემო მახარაღაჯი. შიდა ქართლი

ზემო მახარაღაჯი 1766 – იხ. გორი

ზემო მეღვრეკისი. შიდა ქართლი

ზემო მეღვრეკისი 1559 – იხ. სხალდიდი

ზემო მიჯა. ქვემო ქართლი

ზემო მიჯა 1707 – იხ. წრაუთი

ზემო მონასტრის რუ. კახეთი

ზემო მონასტრის რუ 1777 – იხ. ნათლისმცემელი

ზემო მშავნი // ზემო შავნი. ქვემო ქართლი

ზემო მშავნი 1634 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... სითარხნის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ყორღანაშვილთა... ნაოხარი გატყეებული ზემო შავნი ბარათაშვილის გოსტაშაბისაგან გეყიდა... მეფეს ... სვიმონსაც წყალობა ექნა და შაუთა, ფიცხისისა და მოქრისის წიგნი და სიგელი, რარიგდაც არდაზიანდის ჰქონებოდა, თქუენთჳისაც იმრიგად, მთით ბარამდი, ებოძებინათ. და ჩუენცა ... სიგლითა ამითა დაგიმტკიცეთ... რაზდენი ერთიცა კაცი გლეხი ზემო შავთ მერაბ ყორღანაშვილმან დაასახლოს, არაფერისთანა საჩვენო სათხოვარი ... არა ეთხოებოდეს რა, თუინიერ ერთის ლაშქარ-ნადირობისა და წელიწადში ერთხელ დიდგორზე სამასპინძლოს მორთმეისაგან კიდე... (ქსძ, II, გვ. 213-215).

ზემო მშავნი 1635 – იხ. ენაგეთი

ზემო მშავნი 1661 – იხ. მშავნი

ზემო მძვიმლეთი // ზემო მძუივლეთი. შიდა ქართლი

ზემო მძვიმლეთი XVII II ნახ. – იხ. სატიეე

ზემო მძვიმლეთი 1674 – [ტატიშვილების გაყრის წიგნი]: ... ერგო პაპუას ... ზემო მძუივლეთს ჩაჩანიძე პაპუნა, ზურაბის გამონაყარის სასახლითა, ჭურითა... ქვემო მძვიმლეთს ელია ძაგნიძე... სახასო მიწები რაც იყო, მძვიმლეთებმა გავიყავით... თამაზასა და ხოსიას [ერგო] ღვერთეთს – ჭიჭინაძე, რისაც მქონებელი იყო, სახასო ზერის მესამედი... თორმანეულს გეიმრაძისეული ვენახი სამ წილად უნდა გაიყონ... (სს, II, გვ. 240-241).

ზემო მხარი. იმერეთი

ზემო მხარი 1723 – ... ჩვენ ... მეფედ-მეფემან ... ვახტანგ ... თქვენ ... იმერეთის ზემო მხარის სარდალს, წერეთელს პაპუნასა ... გიბოძეთ სურამის ახალ-სოფელი თავის შიგ მსახლობელის კაცითა... (იდ, I, გვ. 56).[113]

ზემო მხარი1765 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... სოლომონ ... შენ, წერეთელს, ზემო მხრის სარდალს ქაიხოსროს ... [უშვილოთ ამოვარდნილი პაპუნას] საკერძო მამული ... გიბოძეთ... (იდ, I, გვ. 108).

ზემო მხარი 1794-1795 – იხ. რაჭა

ზემო ნასკირალა. ქვემო ქართლი

ზემო ნასკირალა 1638-1703 – ... მე, გოსტაშაბისშვილმა ... პაპუნმა ... თქვენ, ფალავანხოსროსშვილსა დურმიშხანსა ... მოძღერისშვილის წისქვილთან

[113] იხ., აგრეთვე, იდ, I, გვ. 57.

ჩემი ნასყიდი ბაღი და წისქვილი ზემო ნასკირალამდინ რუს თავით, ბაღი საწყლისპიროთი, წისქვილი და ბაღი მისის მეწისქვილითა – გაგიცვალე– და არცა უმისდათა ამლიველთა ვერა დაფქონ დურმიშხანის წისქვილზე– და. ამისდა სანაცვლოდ მამიცია მე, დურმიშხანს, ტბისს პაპუნა და სიყმია ტუხიაშვილი მისის მამულითა... სართად ზედ კიდევ გიორგიძის ხოდაბუნი გრძელაში, ანდრიას საფიჩხულე ერთს წელიწადსა თაყამა ფალანხოსროშ– ვილმა უნდა ჩადგას, ერთს წელიწადს პაპუნამ... (სს, I, 1920, გვ. 122-123).

ზემო ნიქოზი. შიდა ქართლი

ზემო ნიქოზი 1565 – იხ. ნიქოზი

ნიქოზი 1573 – [შეწირულების წიგნი უცნობი პირისა ნიქოზის ეკლესიისა– დმი]: ...შეუწირავს ზემო ნიქოზს მირზაული მამული მისითა სამართლიანი– თა... კვალად შეუწირავს რხვითს მარტუილოზას-შვილის მამული... (დსსი, I, გვ. 8).

ზემო ნიქოზი 1688 – ... ზემო ნიქოზის საყდრისა ყმანი ჟამთა ვითარებისა– თა სხვათა მეფეთაგანცა მოკვეთილიყო და გარდაცულილიყო. და ახლა – შევწირეთ [მეფე გიორგიმ] ზემო ნიქოს ოთხი საკომლო კოდისა პური. მღთაების საყდარში მართმევდნენ კოდის პურს... (ის, IV, გვ. 68).

ზემო ნიქოზი 1772 – იხ. ხეობა

ზემო ნიქოზი 1775 – ... საყვარელიძე შოშიას ... ზემო ნიქოზს რომ მამული მიჭირავს, იმ მამულის პატრონის ორი დღის მიწა ამირინდო ამილახვარს ეჭირა... [შემდეგ] დამილოცა და მამცა. მას აქეთ ცხრა წელიწადია, მე მიჭი– რავს. ახლა მუჩიძე ფირან წამამედავა და წამართვა... (ქსძ, VII, გვ. 299-300).

ზემო ნიქოზი 1777 – იხ. ნიქოზი

ზემო ნიქოზი 1789 – იხ. უფლისციხე

ზემო ნიქოზი 1795 – იხ. ერედვი

ზემო ნიქოზი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ზემო ორთნუ. ქვემო ქართლი

ზემო ორთნუ 1692 – იხ. ყაიყული

ზემო ოროზანი. ქვემო ქართლი

ზემო ოროზანი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ზემო ოძისი. ქვემო ქართლი

ზემო ოძისი 1633 – ... ჩუნ, მეფემან როსტომ ... თქუენ, ჰასანბეგს და ძმათა შენთა ... გიბოძეთ ... სოფელი ზემო ოძისი, კუელთა; დეალთას – თქვენი საკერძო გლეხები და მამული, თაკუს – თქუენი საკერძო მამული, აბრა– მეთს–აბრამიძეები, ვაკეს–თქუენი საკერძო მამული, ტბისს [და] ენაგეთს – რისაც მქონებელი ყოფილიყოთ, ერტისს – მაკარაშვილები, ახალდაბას [და] აკურისს და ლისს–რისაც მქონებელი ყოფილიყოთ, ვარხონას – თქუ– ენი საკერძო არეშიშვილები მათის მამულითა; ნასოფლარი ავაზანი, ნაო– ხარი გომარეთი; დმანისის ხევში, გორინჯუკს და უკანგორს–რისაც მქონე–

ბელი ყოფილიყოთ, და ვანქს – რაც თქუენი სამკვიდრო ყოფილიყოს (ქსის, გვ. 90).

ზემო რეხა // ზემო რეჯა. შიდა ქართლი

ზემო რეჯა 1382 – იხ. ოქონა

ზემო რეხა 1769 – იხ. ხელთუბანი

ზემო რეხა 1795 ახლო – იხ. აღაიანი

ზემო რეჯა 1796 – იხ. რეხა

ზემო რუისპირი. ქართლი

ზემო რუისპირი 1681 – ... ჩვენ, ყაზუასშვილმა პაპუნამა ... შენ, გურგენიძეს მამუკასა ... მოგყიდეთ ზემო-რუისპირსა, სასთაულას მიწის ნახევარს ზედათი, ბოლოს ჩემს მიწამდი, ქვეით კვეზერელის სამძღვრამდი... ვითაცა შენისავე მამულისაგან მოსყიდული იყო, ახლა ისევ შენვე მოგყიდეთ... (სს, I, 1899, გვ. 325).

ზემო სათელაო შარა. კახეთი

ზემო სათელაო შარა 1773 – იხ. ჩობახური

ზემო საქართველო // ზემო საქართუმლო

ზემო საქართველო 1638 – იხ. მცხეთა

ზემო საქართველო 1740 – იხ. ყარაღაჯის ციხე

ზემო საყდარი. შიდა ქართლი

ზემო საყდარი 1700-1710 – იხ. გორი

ზემო საწერეთლო. იმერეთი

ზემო საწერეთლო 1796 – იხ. ქუთაისი

ზემო საწირე. იმერეთი

ზემო საწირე 1712 – იხ. ხორგა

ზემო სახუნდარი. ქვემო ქართლი

ზემო სახუნდარი 1693 – ჩუენ, მეფეთ-ეფემან ნაზარალი-ხან ... გიბოძეთ შენ, მუსტოფს მამად ბაღირ-ბეგს სადუღს ... [ბაინდურა შანშიაშვილის და რატიშვილების] ნაქონი ზემო სახუნდარი... (ქსის, გვ. 358).

ზემო სახუნდარი 1721 – ... ჩვენ, რატიშვილმა ოთარ ... თქვენ, შანშიაშვილს ბეჟანსა ... მოგყიდეთ ჩვენი ბარათში ნარგები ზემო სახუნდარს ამოვარდნილი იელიგარაშვილის ნაქონი მამული... (დსსი, I, გვ. 191).

ზემო სახუნდარი 1774 – იხ. ქსანი

ზემო სობისი. შიდა ქართლი

ზემო სობისი 1754 – იხ. დიღომი

ზემო სოლაღაანთი. ქვემო ქართლი

ზემო სოლაღაანთი 1778 – იხ. ახპატი

ზემო უბანი. თბილისი

ზემო უბანი 1759 — ... ჩვენ, ჯანბოან ზურაბას შვილმა მელქოამ ... თქვენ, შერგელანთ მელიქი საჰაკას შვილ შაქარასა ... მოგყიდეთ ზემო უბანში ჩვენი მამული კვიდრი ერთი დუქანი... (დთი, I, გვ. 283).

ზემო უბანი. შიდა ქართლი

ზემო უბანი 1796 — იხ. გორი

ზემო ქაისხევი. არაგვის ხეობა

ზემო ქაისხევი 1800 — იხ. ბრაჭულთკარი

ზემო ქართლი

ზემო ქართლი 1581 — ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან სვიმონ ... შემოგწირეთ თქუენ ... სამოციქულოსა საყდარსა სუეტს ... [და] ქართლისა კათალიკოზსა პატრიარქსა ნიკოლაოზს ... ზემო ქართლს – სოფელი მოხისი მისითა შენითა და ოხერითა ... რამაზის შვილის კონსტანტინეს გლეხებს გარეთ... (ქსის, გვ. 11).

ზემო ქართლი 1595 — იხ. ყურისუბანი

ზემო ქართლი 1629 — იხ. ოსიაური

ზემო ქართლი 1648 — ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... თქუენ, წერეთელს ზაალს ... ზემო ქართლს თქუენისავე ნათესავის სამკუიდრო მამული თიღვა ... გიბოძეთ... ამ წესითა, რომე, რაც დათუნას საგოგატიშვილო მამული ჰქონდეს, ის არ მოეშალოს... სხუა აზნაურშვილი და გლეხი, ყოველივე სურნისს გარდაისად, რისიც მქონებელი წერეთელი გიორგი ყოფილიყოს, ყოელითურთ მთით ბარამდის, თქუენთუის გუიბოძებია... (ქსის, გვ. 202).

ზემო ქართლი 1656 — იხ. საამილახვრო

ზემო ქართლი 1720 — ... ჩვენ ... ხელმწიფემან ... ვახტანგ ... ლაშქრობის ... სიგელი ... განვაწესეთ და მოგართვით თქვენ ... სვეტსა ცხოველსა... რასაც ალაგს სვეტის ცხოველის ყმა არის: ზემო ქართლს, თუ ქვემო ქართლს, გაღმა გინა გამოღმა, მუხრანს, სომხითს, თუ საბარათიანოს, გინა თრიალეთს, ქალაქს, გორს, ქრცხინვალს ... არას სარდალს ხელი არა აქვს... თუ ვინც იცის, ბატონი კათალიკოზი ლაშქარ-ნადირობას ჩვენთან არ ბრძანდებოდეს, იმის სარდალსა და მსახურ-აზნაურშვილთა სამცხეთაო ჯვარი ჩვენს დროშაზედ იქნებოდეს... (ქსძ, II, გვ. 333-334).

ზემო ქართლი 1720 ახლო — იხ. თრიალეთი

ზემო ქართლი 1726 — [წერილი დიმიტრი ორბელიანისა დარეჯან დედოფლისადმი]: ... ზემო ქართლში გახლდი... გეევედრები, ერთი წიგნი უბოძოთ თქვენს რძალ იულონის ცოლს, რომ ... დედა ჩემს ... ნება მისცეს ცოტას ხანს გორს ყოფნისა, მანამდის ქალაქში სახლს ავაშენებდე... (სს, III, გვ. 375).

ზემო ქართლი 1735-1744 — იხ. ატენი

ზემო ქართლი 1736 — მოიტანა თუმანიშვილმა ბეჟანამ ზემო ქართლის სურსათი, კოდზე ორი შაურისა, ათი თუმანი... (სს, III, გვ. 443).

ზემო ქართლი 1737 — სეფიხან სარდალი ვიკადრებ, ჩვენ მაგიერად კათალიკოზის სახლხუცეს გიორგის და მდივანს სოლომონს ასრე უამბეთ:

მერმე, სამცხეთო სოფლები ყოველს ალაგს: ზემო ქართლს, ქვემო ქართლს, სომხითს, საბარათიანოს, თლიარეთზედ, თქვენთვის მოგვიბარებია... (ქსის, გვ. 445).

ზემო ქართლი 1742 – ჩვენი ბძანება არის, სულ ერთობით საამილახვრო აზნაურო, გლეხო და რაიათო! ამირინდო ამილახვრიშვილი ჴელმწიფის სამსახურის ბეჯითი არის და ... ვითაც სხვას ამილახვრის მორჩილნი იყავით, ზემო ქართლის ამილახვრობა ამას წყალობა უყავით... (სს, III, გვ. 458).

ზემო ქართლი 1749 – ... ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან ... თეიმურაზ ... ესე ... ლაშქრობისა და ნადირობის ... სიგელი განგიწესეთ ... კათოლიკოზ-პატრიარქს ანტონის... ზემო ქართლს თუ ქვემო ქართლს, საციციანოს მხარეს, მუხრანს, სომხითს, საბარათიანოს, თრიალეთს, ქალაქს, თუ გორს, ქრცხინვალს, მთას თუ ბარს, რასაც ალაგს სვეტის ცხოველის ყმა იყოს და ესახლოს, არა სხვას სარდრებს ჴელი არა აქვს... ლაშქრობასა და ნადირობაში ... სამცხეთო ჯარი ჩვენს დროშაზე იქნებოდნენ (ქსძ, II, გვ. 397-398).

ზემო ქართლი 1756 – [ბრძანება თეიმურაზ II-ისა]: ... ზემო ქართლს რომ მუდამ ბატონის: სახლებლათ გაუყრელათ ჯარის კაცი აწერია–მორიგე კაცი, რომ ორღლსა და ორღლს თვეზედ უნდა გამოიცვლებოდეს... სურამიდამ აზნაურიშვილებით ცხენოსანი ე, ქვეითი დ. ოსიაურიდამ ცხენოსანი ა. ატოცის დეკანოზის შვილები საყდრის ყმით ცხენოსანი ა, ქვეითი ბ. ალიდამ ცხენოსანი ა, ქვეითი ბ... დირბიდამ ცხენოსანი ბ, ქვეითი ბ, ამირეჯიბის თაბუნი არის ეს დირბი, კალატოზის-შვილები ცხენოსანი ა... ქცილავიდამ სახასო კაცი გ, ქვეითი ბ... სამროელო: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა... ნიქოზელის ყმა: ქვეითი ა... სამთავარეფისკოპოზოდამ: ცხენოსანი ბ, ქვეითი ა, სამილახოროდამ: ცხენოსანი ია, ქვეითი თ... გორიდამ ერთობით ცხენოსანი დ, ქვეითი ბ, ქ. სველნეთიდამ შატბერას-შვილი ცხენოსანი ა, ტინისხიდს სახასოდამ ქვეითი ა, ერკნეთიდამ ცხენოსანი ა, გარსევანას-შვილებისა ქვეითი კაცი ა, ქ. რუის ფანიას-შვილებმა, შედანის-შვილმა საბატონისშვილო სახასოთი ცხენოსანი ა... (ქსძ, II, გვ. 404-407).

ზემო ქართლი 1767 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... იასაულო ამილახვარო რევაზ და ყორიასაულბაშო ზაზავ! მერმე ამ სით ვისაც ეს კაცი კლებოდეს ... უნდა ... გამოერთვას ეს თეთრი... ახლა ზემო ქართლს ... ამილახორიანთ აკლიათ კაცი სიდ... თუმანიანთ აკლიათ კაცი პ... სამთავროს აკლია კაცი იდ... გორიდამ აკლია კაცი პ... გარსევანანთ კაცი აკლია ბ... ტინისხიდიდამ აკლია თ... დიასამიძეს მორდალის დავითს აკლია კაცი იდ... ურბნისიდამ აკლია კაცი ბ... რუის სამროელო და სახასო აკლია კაცი ივ... ვარიანს მდგომი ხიზანი კაცი აკლია გ... (სეიძ, II, გვ. 104-105)

ზემო ქართლი 1768 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... ზემო ქართლს ჯარი ვთხოეთ... ავალისშვილების აკლია კაცი ნბ... არადეთიდამ აკლიათ კაცი გ... თაქთაქისშვილის ... აკლია კაცი ივ... ქვემო ნიქოზს მსახლობელი ხიზანი ჯავახი აკლია კაცი ბ... ცხინვალიდამ აკლია კაცი მ... ყარამ მდივნის კაცი აკლია ბ... ბეგთაბეგისშვილისა აკლია კაცი ბ... სინის მონასტრის ყმა

აკლია კაცი ა... მელვრეველი ხიზანი აკლია ბ... ხერხეულიძეს ... [და] დავითისშვილების კაცი აკლიაო... ზალის ვახანის ციხეში რამდენი კაციც ყვანდეს, ის უნდა ვანგარიშოს. მაჩაბელს ... [და] ფავლენისშვილებს აკლიათ კაცი... ერედვს მსახლობელი ხიზანი აკლია ც... ალელი კაცი ე... ფალავანდისშვილებს ... [და] ამირეჯიბს ... აკლიათ კაცი... ატოცელი კაცი აკლია იგ... აბისელი კაცი აკლია ე... (სეიძ, II, გვ. 105-107).

ზემო ქართლი 1771 — ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი დავითაშვილის ზაალს ... მოსცეს. მოგეხსენებათ, ამ ზემო ქართლში ჩვენი ჯარიც ყოფილა, თქვენის წყალობით, ყმითა და მამულით... ყოველმა საქართველოს კაცმა თქუენი მოწყალება მიიღო... ფავლენიშვილს პაპუნას ბროწლეთი უჭირამს ნასყდობით... ამას მოვახსენებთ თქვენს მოწყალებას, რომ ... დაგვახსნევინოთ... (ქსძ, VII, გვ. 180-181).

ზემო ქართლი 1776 — ... რვას წელიწადს უწინ, ზემო ქართლში ბატონი ბრძანდებოდა და მეც [სარდალ-სახლთუხუცესი დავით ორბელიანი] თან ვახლდიო... [ამ დროს სისაურების] ერთი კომლი გორს იდგა ... და ერთი კომლი ქსნის ერისთვის სახლთუხუცესს უთნელისშვილს ესახლა... დღეს აქამდის ეს ორი კომლი სისვაურები ზემო ქართლს იდგენ და იქიდამ ვიმსახურებდიო. ახლა კოდაზედ რომ შენობას ჴელი მიეჰყავო, ვინცაენ ზემო ქართლში გლეხნი მყვანდნენ, ყველანი ავჰყარე და წამოვიყვანე და ეს სისვაურებიც ავჰყარეო... ამილახორ-მდივანბეგი იესე ამას ეპასუხებოდა: სისვაური დავითი და თევდორე ჩემი მემკვიდრე ყმანი არიანო, ნაწრეტს ნასახლებნიო... (ქსძ, V, გვ. 10-11).

ზემო ქართლი 1783 — ამ სიით ზემო ქართლს საქვეყნო შესწერდა: სურამს სახასო კაცთ თეთრი ექვსი თუმანი... აქავ [ჩხეიძის, მურვანისშვილის, ხიდირბეგისშვილის და აბაზაძის] ყმამ... ოსიაურელთ გოგიას ყმამ... აქავ ახალდაბელთ დედოფლის ყმათ... აბის მახვილაძის ყმამ... ამირეჯიბის ყმამ... ფცას ზაალ დავითიშვილის ყმამ... ფალავანდიშვილის ... [და] ავალიშვილის ყმამ... არადეთს მსახლობელთ თეთრი ექვსი მინალთუნი... (მსეი, III, გვ. 70-71).

ზემო ქართლი 1784 — [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ამ სიით ზემო ქართლს ამილახვარის სასარდლოს სარუსო სურსათი შესწერდა: საამილახვრომ ხარეალი საოცდათუთხმეტი, გორს რაც ყმა ჰყავთ, იმით; გორს სახასომ თავეთის ყმითვე... აქავ თაწმინდის ყმამ... აქავ ქრისტეს საფლავის ყმამ... აქავ როსტომ ერისთვისშვილის ყმამ... არაგვის საერისთაოს კაცებმა... აქავ სამთავრომ... აქავ ეჩმიაძინის ყმამ... აქავ მუხრან-ბატონის ყმამ... ატოცის ყმამ... აქავ თუმანისშვილის ყმამ... აქავ ურბნელის ყმამ... ახალმა სახასომ საბატონისშვილომ... ძევერას პეტრე მღვდელმა... მაჩაბლის ყმამ... თირის მონასტრის ყმამ... [აბაშიძის, ფავლენისშვილის, თარხნისშვილის და დავითისშვილის] ყმამ... დირბმა... ურბნისმა... მახვილაძეს ყმამ... მელვრიკის მონასტრის ყმამ... [ხერხეულიძის და ამირეჯიბის] ყმამ... არადეთმა... ატოცს წმინდა გიორგის ყმამ... ავალისსვილის ყმამ... რუისს სახასომ... ნიქოზლის ყმამ... სამთავრომ... სურამის სახასომ... [მურვანისშვილის, ხეროდინაშვი-

ლის, აბაზაძის, ხიდირბეგიშვილის, ჩხეიძის, მიზეიბრეიმაშვილის] ყმამ... ახალდაბელმა სახასო კაცმა... აქავ სახასო ურიამ... სვენეთს საქვათახეომ... ცხინვალს თარხნებმა ... [და] მოყალნემ... აქავ ურიებმა... კეხველებმა... აჩაბეთლებმა... ცხინვალს საბატონისშვილო კაცმა... [ფალავანდიშვილის, ფეშანგისშვილის, ვახტანგიშვილის, ვარდანისშვილის, უზბაშიშვილის] ყმამ... წვერს კალატოზისშვილის ყმამ... (სეიძ, II, გვ. 145-147).

ზემო ქართლი 1787 – ამ სიით ზემო ქართლს ამილახვრის სასარდლოს ჯარი შესწერდა: ... გორიდამ კაცი თხუთმეტი... დირბიდამ აზნაურშვილი სამი, გლეხი ოთხი; ურბნელის კაცი ორი... მელვრიკისიდამ მონასტრის ყმა: აზნაური ერთი, გლეხი ერთი... არადეთიდან სახასო კაცი ერთი; ატოციდამ კაცი ოთხი... სამროვლო აზნაურშვილი ოთხი, გლეხი ხუთი... რუისიდამ სახასო აზნაური ორი, გლეხიც ორი... ნიქოზლის კაცი ერთი... სამთავრო აზნაური სამი, ამათი გლეხი სამი; სურამიდან სახასო გლეხი ოთხი... ახალდაბიდამ კაცი ერთი; სადედოფლო ალელებმა კაცი სამი; სვენეთიდამ აზნაური ორი, გლეხიც ორი; ქცხინვალიდამ თარხნებმა კაცი ოთხი... კეხვიდამ კაცი ერთი... ქცხინვალიდამ საბატონიშვილო კაცი ერთი... (სეიძ, II, გვ. 150-152).

ზემო ქართლი 1792 – [ბრძანება ერეკლე II-ისა]: ... ამილახერიშვილო იოანე ... თქვენ უნდა წახვიდეთ ზემო ქართლში, რაც ამილახვრის სასარდლო არის... კომლის კაცი უნდა გამოიყვანოთ თორმეტის დღის ნუზლით და ამ სამს დღეზე ლილოზედ უნდა შემოგვეყარნეთ... დაღესტნიდამ ... ოთხი ათასამდინ კაცი ჩამოსასვლელი არის... ჩვენ ამ საქმეზედ ერევნის ხანსაც ... [და] იმერელ მეფესაც მივწერეთ და ჯარით დავიბარეთ... თქვენ ეს არ გეგონოსთ, ამ ჯარს ივრის არხის სამუშაოდ ვიბარებდეთ... ივრის არხის წყალი მინდორში გამოსული არის... (ქსძ, II, გვ. 529).

ზემო ქართლი 1792 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ... ზემო ქართლის სამღუდელოთ. ამას წინათ ახპატის გორძაკლობა გორის პატარა ტერ-საყას ეჭირა. თუ რაგვარ უსამართლობით და მძლავრობით გვეკიდებოდა ჩვენა და ჩვენს ძმათ, წერილით მოხსენება გაგვიჭირდება... (ქსძ, VIII, გვ. 155).

ზემო ქართლი 1797 – ღმერთმან ... ჴელმწიფის ჭირი გოსტაშაბისშვილს ნიკოლოზს და ჩემს ძმებს მოგვცეს... ჩვენი ადგილი რომ წამხდარა მტრისაგან, მამა ჩვენი ზემო ქართლში წასულა... აქ ჩვენს ბიძაშვილს და იმის მამას ჩვენი საერთო მამული გაუყიდიათ და ჩემი წილიც თან გაუტანებიათ (სს, I, 1899, გვ. 467-468).

ზემო ქართლი 1797 – ... იოსებს, დარჩიას და არსენს ... ოთარ მდივნის მამული რომ გვიჭირავს ზემო ქართლში, ზოგიერთი მამული გაურჩეველია და ღალა გვეკარგება. წყალობას ვითხოვ [მეფისგან] ... რაც ქართლში ჩვენი მამული არის თქვენი წყალობა, ნასყიდი თუ სამკვიდრო, ღმრთის წინაშე თუმანიშვილებს ... ფიცითა ჰკითხონ და ... ჩვენი მამული გვირჩიონ და მოგვაბარონ... (ქსძ, VIII, გვ. 449).

ზემო ქვეყანა. იმერეთი

ზემო ქვეყანა 1680 – ... სამკვიდრო ფიცი ... გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ-მეფემ – გიორგიმ ... თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს... თუ თქვენ ჩვენი ერდგული იყოთ ... არც ზემო ქვეყნის სარდლობა მოგიშალოთ... (იდ, I, გვ. 28).

ზემო ქვეყანა 1691 – იხ. ხეფინის ხევი

ზემო ქუტირი. იმერეთი

ზემო ქუტირი 1545 – იხ. გაენათი

ზემო ქუტირი 1773 – იხ. ქუთაისი

ზემო ღანუხი. კახეთი

ზემო ღანუხი 1563 – იხ. ფაშაანი

ზემო ღანუჯი 1569 – იხ. ჯიმითი

ზემო ყაუსი. შიდა ქართლი

ზემო ყაუსი 1790 – იხ. ხურვალეთი

ზემო შაენი – იხ. ზემო მშაენი

ზემო შავქედი. კახეთი

ზემო შავქედი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ზემო ციხისკარი. თბილისი

ზემო ციხისკარი 1798 ახლო – იხ. დუშეთი

ზემო ცოცხალაანთ უბანი. თბილისი

ზემო ცოცხალაანთ უბანი 1767 – ... მე, ციკო გოგინანთ ნასყიდას შვილმა გაფრიელმა ... შენ დალაქ იასეს ... მოგყიდე ზემო ცოცხალაანთ უბანში ბურჯის ძირში მამაპაპათ ნაქონი ერთი შირვანის სახლი და მისი სათორნე... და არის ამ სახლის ერთი ნიშანი: ერთი გვერდი გარეთუბნისაკენ გრგვალი ბურჯი და მეორე გვერდი ბაშბეუქანთ სიმონას სახლის კედელი... (დთი, I, გვ. 305).

ზემო ცხირეთი. შიდა ქართლი

ზემო ცხირეთი 1454 – იხ. ცხირეთის გვერდი

ზემო წერაქვი. ქვემო ქართლი

ზემო წერაქვი 1689 – იხ. სომხითი

ზემო წერაქვი 1783 – [ედიშერ ქავთრიშვილი, სვიმონ ზურაბიშვილი, დავით ნამანგლელიშვილი, ბარათა ზაზუნაშვილი, ლუარსაბ იოთამაშვილი, გიორგი გერმანოზიშვილი მოწმობენ, რომ ვახტანგ მეფის დროიდან მოყოლებული, ზემო წერაქვი გოსტაშაბიშვილებისა ყოფილა, ასე გაუგონიათ მამა-პაპათაგან] (სს, I, 1920, გვ. 153).

ზემო წერაქვი 1784 – ... გოსტაშაბიანი ამას ჩივოდნენ: ზემო წერაქვი ჩვენი სამკვიდრო მამული არისო... და ნადირ-შაჰის დროს ... ციცისშვილმა ქაიხოსრომ ერთი ბატონის სახასო თეთრი სოფელი, ერთი ეს ჩვენი სოფელი წერაქვი და ერთი როჭიკაშვილის სოფელი დიაღარა, მაშინ ... იშოვნაო; მერე თეთრს სოფელზედაც ხელი აიღოო, როჭიკაშვილებმაც თავისი სოფელი გამოართეაო... [მეფე თეიმურაზმა] გვიბოძაო სამართლითაო, მაგრამ

წერაქვის გლეხები დაეყიდნაო, სოფელზე კი ხელი აიღოო და გასყიდული გლეხები სადაოთ დარჩაო... ავის დროს მიზეზით ის წერაქვის სოფელი ხარაბა იყოო და ეს საქმეც ასე დარჩაო... მეფის ერეკლეს ... ბოძებულს წიგნში ასე სწერია: „თქვენი სამკვიდრო ზემო წერაქვი, გოსტაშაბისშვილებო, ამ წიგნით გაგვიახლებიაო". მეორე საბუთი მოიტანეს, სვიმო ბატონიშვილის ჯანიშინობაში ერთი რიგობა სახლის კაცები რომ გაჰყროდნენ იმათი ბარათები, დავთრები ხელთ ეჭირათ, რომ წერაქველი გლეხები გაეყოთ. მერმე განაჩენი მოიტანეს მეფის ვახტანგის დროს, იესე მეფის მდივანბეგობაში, ეს გოსტაშაბისშვილები კიდევ ერთი მეორეს რომ გაჰყრიან, მაშინ წერაქვიც გაუყვიათ, ბარათებიც ხელთ ჰქონდათ... და სრულად ბარათიანთაგანაც მუჯალამაც მოიტანეს, რომ ზემო წერაქვი გოსტაშაბისშვილების არისო და სხვისა არავისაო... სამართლით გოსტაშაბიანთ დარჩა ზემო წერაქვი მისის გლეხებით... (ქსძ, V, გვ. 243-244).

ზემო წყლისკარი. თბილისი

ზემო წყლისკარი 1769 – ... მე, აბოვანთ საჰაკას ჯალაბმა, ელისაპეტმა ... შენ, ფადარანთ ავთანდილასშვილს შაქარასა ... ზემო წყლისკართან ჩემი მეუღლის წილში ნარგები სახლ-კარი ... მოგყიდე... (დთი, I, გვ. 323).

ზემო ჭინჭარი. არტაანი

ზემო ჭინჭარი 1392 – იხ. ტფილისი

ზემო ხანახნი. არტაანი

ზემო ხანახნი XIII ს. I ნახ. – ... ბოცოს ძემან, დიდმან ბოცო ... ალისა მთავარმოწამეს წმიდასა გიორგის შემოგწირეთ ზემო ხანახნი და ქუემო ხანახნი და ალის ვანი... პირველ მეფეთაგანც გქონებოდათ და მერმე მეც შემოგწირე... თხუთმეტი გრივი პური ალის ვანიდაღმან შემოვიდოდეს, მოხელეთათუის ათი გრივი ხანახთიდაღმა შემოვიდოდეს ტრაპეზს... ესე ხარჯი კაელდაღმან შემოვიდოდეს... (სსიმ, გვ. 34).

ზემო ხანდაკი. შიდა ქართლი

ზემო ხანდაკი 1795 ახლო – იხ. ქვახვრელი

ზემო ხაშმი. კახეთი

ზემო ხაშმი 1778 – იხ. ხაშმი

ზემო ხვითი // ზემო ხვიდა. შიდა ქართლი

ზემო ხვითი1770 – იხ. გრაკალი

ზემო ხვითი 1772 – იხ. ხეობა

ზემო ხვითი 1781 – ... ავიღე მე, ხარგრძელი შიოს-შვილმა ბეროამ, თქვენ, თუმანისშვილის სულხან მდივნისაგან რვა თუმანი... ამისი გირაო მოგეცი ზემო ხვიდას ჩემი აშენებული ვენახი... (მსეი, II, გვ. 54).

ზემო ხვითი 1789 ახლო – იხ. უფლისციხე

ზემო ხვითი1795 – იხ. ერედვი

ზემო ხვითი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ზემო ხობი. ოდიში

ზემო ხობი 1689-1701 — იხ. ხორგა

ზემო ხოდაშენი. კახეთი

ზემო ხოდაშენი 1701 — იხ. ნაპანკისევი

ზემო ხოდაშენი 1759 — [არზა მთაწმინდის ბერებისა ერეკლე II-ისადმი]: ... რადგან ზემო ხოდაშენი ჩვენი მონასტრის შეწირული ყოფილიყო, ახლაც გვიბოძეთ... ახმეტასაც გეყავს ყმა-მამული... [ოქმი]: რაც მამულები გქონდესთ კახეთში, მოუშლელად გქონდესთ (ქსძ, VII, გვ. 40-41).

ზემო ხოდაშენი 1774 — იხ. ბარალეთი

ზემო ხოდაშენი XVIII-XIX სს. მიჯნა — იხ. თელათგორი

ზემო ჯევი. სვანეთი

ზემო ჯევი XIII-XIV სს. მიჯნა — იხ. ლატალი

ზემო ჯევი XIII-XIV სს. მიჯნა — იხ. უშგული

ზემო ჯავა. შიდა ქართლი

ზემო ჯავა 1621-1650 — ... ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოსთაგან– ასე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარა იყო-რა. მოგყიდე [ივანემ და ზაქარამ ქუაბულ მაჩაბელს] ზემო ჯავას ძიგანიძის მამული მისითა შესაჯლითა და გამოსავლითა... (დსსი, I, გვ. 364).

ზემო ჯახობი. ქვემო ქართლი

ზემო ჯახობი 1679 — ... ზაქუმას შვილები და შალიკას შვილები ზემო ჯახობს მიწებზე და ტყეს შეცილებულიყვნენ... ჭელმწიფის ნეფის გიორგის ბრძანებით თუქრისტანშვილი ყაფიჩიბაში ბერუკა გავგზავნეთ [გასამიჯნად]... არის სამძღვარი: წყალი გაღმა ელის შარა წყალს რომ ეცემა, გამოღმა კლდე; იმას ზეითა ბულდანგეთურის მიწის ნახევარი, იმის გამოსწორ შაღლყოცის სერის თავს ქვები რომ არის, ქვიტკირის ორმო რომ არის; სერს იქით ზაქუმის შვილებისა და სერს აქეთ შალიკას შვილებისა არის. აზარიას ახო რომ არის, ნახევარი მიწა იმის პირდაპირ წითელი კლდე იმაზე დათგორულის სამძღვარ მაღლა დიდი თელა რომე არის, რაც ბეჟანის კერძი ათაბეგის შვილის ქონდეს, იმანც უნდა დაუდვას ამ სამძღვრებს აქათ (ქსძ, IV, გვ. 145-146).

ზენადრისი // ზენა დრისი // ზენდარისი // ზენა დირსი // ზენადირი // ზენადარი. შიდა ქართლი

ზენადრისი 1718 — ... ჩვენ, ჯავახისშვილმან ათთანდილ ... თქუენ ... მაღალაძეს ამილბარს ... მოგყიდეთ ჩემი წილი ზენდარისი... სიონს ამირეზასშვილი, დღეს რისაც მქონებელი იყოს სარწყავის მიწითა და ურწყავის მიწა, ხანდაკურის გზა რომ ჩამოვა, იქამდი, და რაც კალობანში წილი ჰქონდეს ... ტბას ჩასწვრივე, ნერბუთს ჩასწვრივე, ჩაჩუბეთის კოშკამდი, მელისის გზას ქუეით; ქვეით, ლორულამდი, ქუაბი მისის საჯალჯითა და მთითა, რასაც საგუბარადამ კლდე ჩაიტანს, ხარებათ უკანამდი; აქათ ნაციხვრამდი, ზაალის ნასყიდი... და ხახიტასშვილის მამული კურდღელაური წმიდის მარინის საყდრამდი, და ირემაული ციხემდი მოგყიდეთ... არის ამისი მოწამე ... ხანდაკს გოგიბედასშვილი ზაალ, ხოულეს ნინიაშვილი

მღდელი იესე, ახალქალაქს მამასახლისი ელიზბარა... ახალქალაქის მოურავი ოთარ. გვირგვინში, ტბას ქვეშეთ, ლაგრაძისა არის, ტბას ზეითი მახვილაძეებისა არი; თეძმიდამ სუხიტასშვილის მიწაზედ ნაშარავები რომ შაბრუნდება, ჭევგაღმა, ნაშარავებს იქით, მახვილაძეებს არა აქვს ჭელი... წითელი წყლის ქედი რასაც შიატანს, პირაქეთ მახვილაძეებისა არის; ხოდაბუნი და უსერი რაც არის, მახვილაძეებისა არის; შანშესშვილის ხოდაბუნი უსერში მახვილაძეების ნასყიდი არის (დსსი, I, გვ. 178-179).

ზენადრისი 1722 – ... ესე წიგნი მოგეც მე, ჯავახიშვილმა ავთანდილ, თქვენ, თარხნიშვილს ომანს. შენი თეთრი მემართა და ... ზენა დრისს ამირაზაშვილი და ლულს იმერლიშვილი – ესენი შენი გირაოები იყო. დამეჭირა და ზენადრისს ის ამირზანაშვილი შენათ შეუკითხავათ სახლთხუცესს ამილბარს მივყიდე. ახლა იმის სამუქბოთ ყარაღაჯს დემეტრაშვილი თევდორა შენთვის დამიდებია მისის მამულითა და სახლისკაცებითა... (ქსძ, VIII, გვ. 881-882).

ზენადრისი 1765 – იხ. საჯავახიანო

ზენადრისი 1793 – იხ. საჯავახიანო

ზენა სკანდე. იმერეთი

ზენა სკანდე 1259-1293 – იხ. მაღლაკი

ზენდუშეთი. არაგვის ხეობა

ზენდუშეთი 1781 – იხ. პავლეური

ზენდუშეთი XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

ზერბი. შიდა ქართლი

ზერბი 1691 – იხ. ვარდისუბანი

ზერტი // ზერტები. შიდა ქართლი

ზერტი 1392 – იხ. ტფილისი

ზერტი 1472 – ჩუენ ... მეფეთა-მეფემან კოსტანტინე ... თქუენ ... მღლანიძე იოთამსა, გიბოძეთ ზერტი სოფელი... და უწინაცა თქვენი ყოფილიყო.- [მინაწერი]: მაღლანიძეთ ჩვენც ასრე დაუმტკიცეთ, გედოვანს თეძამზე ღორი ყავდა... (სკ, III, გვ. 116-117).

ზერტი 1472 – იხ. მცხეთა

ზერტი 1540 – ... საპატრიაქოსა საყდარსა მცხეთას ... [მეფემ გიორგიმ] შეწოგწირეთ სოფლები ზერტები და ნასოფლარი სათიბი... სოფლები ზერტები მისითა მზღვრითა: აღმოსავლეთით სობურის სამნამდი, ჩრდილოეთით კილბრის სამზღურამდი, დასავლეთით მეჯუდის ჭევისა სამზღურამდი, და სამხრით კუარხეთის ლაგამის ჭევი რასაც გამოიტანს, ყოველითურთ უჯლებლად... (ის, II, გვ. 38).

ზერტი 1559 – იხ. სხალდიდი

ზერტი 1618 – ... ქართლის კათალიკოზმან ... ქრისტეფორემ ... შენ, გაბრიელის შვილს იესეს ... გიბოძეთ ზერტი სამოურაოდ; პირველად თქვენი იყო სამკვიდრო და აწცა დაგიმტკიცეთ... (ქსძ, III, გვ. 395).

ზერტი 1639 – ... ბატონი კათალიკოზი და ამილახორი ბეჟან და ზერტელნი და კუარხელნი მიწის სამძღუარებსა და ალაგებზედ ცილობდენ. ბატონმან ფიცი ზერტელთ დაადვა... მოვედით კვარხითსა ... მოვასხით გარეშემოს მახსოვარი კაცი... ყუალანი ზერტელთ ამართლებდენ... გაიარეს ლაგამას ჭევს გამოსწორ და სოფელში ხუცის სახლზედ შედგენ. ერთი სამანი ამ სახლში ატანიაო და კიდეც იყო სამანი... და სოფელს ზეით გამოვედით და სოფელს ზეით ჩავსვით სამანი. ერთის სამანი ქსნის ერისთვის ხვადაბუნის ბოლოს ჩავსვით ვარდის გორასთანა ჩასწორ ლაგამას ჭევისაკენ. გავსამძღურეთ და გავარიგეთ ლაგამის ჭევამდი. ამ სამნებს ქვემოთ ბატონს კათალიკოზსა და ზერტელთ ჭელი აღარა აქუს და ამ სამნებს ზემოთ ამილახორსა და კუარხელთ ერთმანერთთან ჭელი აღარა აქუს. და სოფელში რომ სამანი ჩნდა, ჩუენ გავაცუდეთ (ქსძ, IV, გვ. 73-74).

ზერტი 1649 – ... ქართლის კათალიკოზმა ... ქრისტეფორე ... თქუენ, მაღალასშვილსა ... პაპუასა ... ამოგიკუეთეთ საბალახე თქუენის კერძის მამულის ნიაბური და ჩოჩური, ზერტს კაცებს საბალახეს გარდაის რისაც მქონებელი იყოთ... (ქსძ, III, გვ. 514).

ზერტი 1678 – ... ჩუენ, კათალიკოზმან ... ნიკოლაოზ ... თქვენ ... მაღალაძეს ... გიბოძეთ ზერტს [ძველად თქვენი ყმანი] მიქელაშვილი ხეჩუა, მირქაშვილი მამულა დღეს რისაც მქონებელნი იყვნენ... (ქსძ, III, გვ. 579).

ზერტი 1692 – ჩუენ, დიასამიძე კათალიკოზი ბატონი იოვანე და ამილახორი ბატონი გივი ზერტულასა და სობისის რუებზედ შელაპარაკდით. მოკითხული ექნით და ძველთაგანაც ასრე ყოფილიყო. ზემო სათემო რუ ხუთად უნდა გაიყოს: სამი წილი ამილახორსა და სობელთა და ორი წილი კათალიკოზსა და ზერტელთა. ქვემო რუ ნახევარი კათალიკოზსა და ზერტელთა და ნახევარი ამილახორსა და სობელთა... (ქსძ, IV, გვ. 161).

ზერტი 1696 – ... ჩუენ, დიასამიძემ კათალიკოსმა ... იოვანემ, თქუენ ... მაღალაძეს სახლთუხუცეს რევაზს ... [თქვენი სამკვიდრო] ზერტის მოურაობა – ისევ სამკუიდროდ და საბოლოოდ თქვენვე გიბოძეთ... (ქსძ, III, გვ. 605).

ზერტი XVII ს. – იხ. ციხედიდი

ზერტი 1705 – იხ. ახოტა

ზერტი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

ზერტი 1736-1744 – იხ. მოხისი

ზერტი 1755 – [განჩინება ანტონ I-ისა მაღალაძეთა გაყრის საქმეზე]: ... მიეცით ნიკოლაოზსა და იმის ძმებს წილითა და ბარათითა ყმა და მამული: ზერტს... ციხებდავს... დიღომს... თრიალელი ახაშნელი ბოგველი გიუა თაეის სახლისკაცებითა ახაშენს რაც მამული ჰქონებოდეს და ჩოჩეთს ქოპიტის ნაქონის მამულითა... [ყმა-მამული] მცხეთას... წინარეხს... ძეგვს... თრიალელი ძმასარას'შვილის მამული... იქავ ლეული მამუკას მამული ... და იქავ სახლკარისა და საჭდელისა ნახევარი ქვემოუბანს. ტფილისს ქალაქს გარეთუბანს ქაშოეთთან ქარვასლის ალაგი, რაც წილი უძეს... და რაც სალთხუცესს გიორგის და მდივანს ნიკოლაოზს და იმის ძმებს წილი ხოდაბუ-

ნები არის ზერტსა, ნიაბ-ჩოჩეთსა და ციხედიდს და ან ძველი ნაზერეი აქვთ, ისეც ორთავ შუა უნდა გაიყონ (ქსძ, IV, გვ. 440-441)

ზერტი 1789 – იხ. სამცხეთო

ზერტი 1789 – იხ. უფლისციხე

ზერტი 1795 ახლო – იხ. აღაიანი

ზერტი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ზერტი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

ზესი. შიდა ქართლი

ზესი 1595 – იხ. რკონი

ზესი 1607 – ჩუენ, ფიყნიაშვილმან აბულვარდი ... თქუენ, ჯავახისშვილთა ... მოგყიდე ზესის ბოლოსა ჩემი ხოდაბუნი მიწა ზედათ ტყემლამდი, ქუეშეთ ჭეჭელამდი, იქით ხოდაბუნამდი და აქათ ჭევამდი... (სს, II, გვ. 26).

ზესი 1609 ახლო – ... ჯავახიშვილმა შანშე ... შენ, გებან მამუკასა ... [გიბოძეთ] ზესს სავენახე ფლიმანაური, საყავრეს ჭიღინა მიწა კოშაური... (დსსი, I, გვ. 15-16).

ზესი 1624 – იხ. თავა

ზესი 1675-1682 – [წყალობის წიგნი მარიამ დედოფლისა თაყა ბარათაშვილისადმი]: ... ერთი კუმლი გლეხი, მემკვიდრე ზეელი იოვანე და მისი ძმები ... მეფის სიმონის ჟამში ზისიდაღმა აყრილიყვნენ და თქუენს ალაგში ხრამს, ანდრიას, მოსულიყვნენ და იქ დაგსახლებოდნენ და თქუენი ყმანი შექმნილიყუნენ... (დსსი, I, გვ. 51).

ზესი 1675-1682 – ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ნაზარალი-ხან ... ჯავახიშვილსა ფარსადანსა ... გიბოძეთ თქვენი განაყოფის ზურაბის ჯავახიშვილისა და შერმაზანისა მამული... ზესს აბულვარდასშვილი რისაც მქონებელნი იყვნენ... იქივე ზესს - თეიმურაზის კერძი ლაგრაძეები... იქივე ზესა - ზურაბის კერძი გელიაშვილები, ჭვიროსს – ბეჟანისშვილები... ხანდაკს კიდევ მჭედლიშვილები... ქვენა დრისისა რისაცა მქონებელი იყოს - ფიცეს... ზაქვს... საყავრეს... ჭვარებს.. წოდორეთს... ხოვლეს... ფიცევს... რისაც მქონებელი იყო... ეს საყავრის გლეხები რომ ამოგიშალეთ ამ წიგნში, ან ამასვე გიბოძებთ და ან სხვას სამუქაფოს წყალობას გიზამთ... (სს, II, გვ. 111-112).

ზესი 1711 – იხ. საჯავახიანო

ზესი 1726 – [ნასყიდობის მოწმენი] ... ზესს ლაგრაძე დემეტრა, ხანდაკს სალუყაზანას-შვილი ბერუა... (დსსი, I, გვ. 220).

ზესტაფონი. იმერეთი

ზესტაფონი 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი

ზესურამი. შიდა ქართლი

ზესურამი XVI ს. მიწ. – იხ. სურამი

ზეულისტანი // მზეულისტანი. ქვემო ქართლი

ზეულისტანი 1723 – ... ჩვენ ... მეფემა ... ვახტანგ ... თქვენ ... გოსტაშაბის-შვილს ამილღამბარს ... გიბოძეთ ... ავთანდილ კორკოტის მამული ზეულისტანი, ვანქს ალიხანასშვილის ზაალის წილი მამული... (სს, I, 1899, გვ. 446-447).

ზეულისტანი 1723 – იხ. ვანქი

ზეულისტანი 1727 – იხ. ეგრისი

ზეულისტანი 1735 – იხ. ციხექვაბი

ზეღდულეთი // ზეღრდულეთი // ზევდულეთი. შიდა ქართლი

ზეღდულეთი 1518 – [ამილახვარი ბარძიმ და ძე მისი ფარემუზ სოფელ ზეღრდულეთს სწირავენ საყვირეთის ღვთისმშობლის ხატს] (ქრონ, II, გვ. 334).

ზეღდულეთი 1754 – იხ. დიღომი

ზეღდულეთი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

ზეღდულეთის რუ. შიდა ქართლი

ზეღდულეთის რუ 1782 – იხ. ახალსოფელი

ზეღვარდია. რაჭა

ზეღვარდია 1591 – იხ. ნიკორწმინდა

ზეწნარას წვერი. შიდა ქართლი

ზეწნარას წვერი 1730 – იხ. დაჩხერელა

ზვარე. იმერეთი

ზვარე 1712-1744 – მამისთვალის ყიფიანისა და პატას ... ჩვენ, მისმა ბატონმა აბაშიძე ზურაბ, უბოძეთ ზვარე და ბაბი. ამიტომ მივეცით: ერთგულობისა და სამსახურისათვინ. და სვერის ციხე და სხვა მისი შემავალი ჩვენი მამული მოვაბარეთ. და ყველა დამიკარგეს... ჩემი სამკვიდრო მამული ისევე მე გამომირთმევია. შვიდს სათავადოში ზვარისა და ბაბის მეტი აღარა შემრჩენია რა მაგათი საქმით (იდ, I, გვ. 74-75).

ზვარეთი. ჯავახეთი

ზვარეთი 1392 – იხ. ტფილისი

ზვარეთი – იხ. მზვარეთი

ზვართკარი. შიდა ქართლი

ზვართკარი 1796 – იხ. კავთისხევი

ზვირთაკეტა, მდინარე. ქვემო ქართლი

ზვირთაკეტა 1763 – იხ. დიდი ეგრისი

ზიარი. კახეთი

ზიარი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ზიარი 1738-1739 – ესე გარდაწყვეტილების წიგნი მოგეცით ჩვენ, ენისელთ მოურავმან დათუნამ, თქვენ, ენდრონიკაშვილს დავითს. ასე რომე, ზიარელთ და ჩემს ბიძაშვილს მერაბს, ცოტა რამ ჩხუბი გამორეოდათ. და ბატონს თეიმურაზთან ვალაპარაკეთ და კაის გზით შეგვარიგა. თქვენთან და

ზიარელთან ჴელი აღარა გვაქვს რა... არის ამისი მოწამე მარტყოფის მოურავი ჩერქეზი ქაიხოსრო... (სს, III, გვ. 451-452).

ზიარი 1753 – [თეიმურაზ II-ის ოქმი]: ჩვენი ბძანება არის ტარიელა სოლოღაშვილო! მერმე გოგილაშვილი ზიარელი მიჩბისს სადმე დგას, აყარე და აქ ჩამოიყვანე, თავის ადგილს უნდა წავიდეს ყმა. ზიარელი სვიმონიც ცხენს უჩივის. თუ სიტყვა არ ქონდეს, თავისი მიაცემინე... (ქსძ, VII, გვ. 31-32).

ზიარი1757 – იხ. კონდოლი

ზიარი 1759 – ... ჩუენ, ენდრონიკასძენი, ნაზირი რამაზ და ძმა ჩემი ვასილი, შემოგწირეთ დოდოს ... ზიარს საკომლო ერთი, სეფიაშვილის ნაქონი მამული... (ქკმეის, გვ. 106).

ზიარი 1763 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ფარემუზაშვილს როსტომს. ზიარში ალხაზიშვილს ივანეს ჩემი ყმის ქვრივი შეურთავს და ჩემი ყმის შვილიც იმას ყავს. არც საქვრივოს მაძლევს, არც ბიჭს მანებებს. და ერთი ჩემი ნასყიდი კაცი ვაქირს არის ვარდიაშვილთან... (ქსძ, VII, გვ. 70-71).

ზიარი 1763 – ... ესე წიგნი მოგართვი მე, მარკოზ მღვდელმა თქვენ, უფალს ბოდბელს იოანეს, ასე რომე ... თქვენი და უდაბნოს ყმობა მოვინდომე: ზიარს წმინდის დოდოს მამული მიბოძეთ და დამასახლეთ და წმინდის დოდოს მაყმევით ჩემის ნებაყოფლობით... (ქკმეის, გვ. 111).

ზიარი 1768 – ... თქვენ, დიდებულს მრავალმთის უდაბნოს ნათლისმცემლის მონასტერს ... შემოგწირეთ ჩვენ, ანდრონიკასშვილმა ზურაბისშვილმა დავით ... ზიარში, ნანიანში, ერთი კომლი კაცი მინდიაშვილი ... თავისის მამულითა სრულითა... კიდევ ერთი ხოდაბუნი ჴიდს გაღმა ბეჟანისშვილის ნაქონი (ის, V, გვ. 79).

ზიარი 1775 – იხ. ფხოველი

ზიარი 1777 – ... ზიარს ერასტიშვილს რამაზ მდივანბეგს წმინდის დოდოს მონასტრისთვინ ერთი საკომლო იოანე დულარიძისა შეეწირა... (ქკმეის, გვ. 132).

იონაში XV – ... მთავარმოწამისა სეტისა და ივონე ლატალისა თავსდებობითა ... დაგიწერეთ და მოგეციით ჩვენ, იანაშელთა თქვენ, სეტიელსა მიქელსა, მას ჟამსა, ოდეს შენი ჴარი შირუანმან წაგგვარა... მერმე შენ მაღელდიანსა ჴარი წამოგვარე იმისდა სამუქფოდ... (სწძ, I, გვ. 186).

იონაში XVII-XVIII სს. – ... იანეს კლიტე მოგეციით, ვიდრე ცოცხალი იყოს, ჩუენ, ერთობილმან ენეშელმან, შენსა ფურთუხს – ბეჩისა მაცხოვრისა კარისა წინამდგომელსა (სწძ, I, გვ. 145).

იორთა გამოღმართი. კახეთი

იორთა გამოღმართი 1722 – იხ. მარტყოფი

იორი. არაგვის ხეობა

იორი 1669 – იხ. წილკანი

იორი 1781 – იხ. პავლეური

იორი XVIII ს. II ნახ. – იხ. კისისხევი

იორი, მდინარე. კახეთი

იორი 1392 – იხ. ტფილისი

იორი 1447 – იხ. მცხეთა

იორი 1579 – იხ. მცხეთა

იორი 1719 – ... მე, მჭედლისშვილმა ესიამა ... თქვენ ... წმიდის დავითის წინამძღვარს ონოფრეს ... მოგყიდე იორზე, ჩემი ნასყიდი და აშენებული და ჭირნახული, ორთვალი დოლაბი... (დსსი, I, გვ. 389).

იორი 1722 – ... მე [კაციასშვილი გიორგი] იორზედ ლეკებმან დამიჭირეს და ყორელში მამიყვანეს, და ... [შენ, პაპა ხოტოაშვილმა] დამიხსენ. მშვი-

დობით ქალაქს ჩავიდეთ, გაურჯელად ოთხი თუმანი მოგაბარო... არის ამისი მოწამე ... ახალქალაქელი გიორგი... (დსსი, I, გვ. 203).

იორი 1736 — ჩვენ ... დედოფალმან ... თამარ ... თქვენ ... მოურავს ბატონს აბელს ... იორზედ ჩვენი სადედოფლო ელი არუხლუ ... სამკვიდროთ [გიბოძეთ]... (სს, III, გვ. 444).

იორი 1771 — [არზა პაპუა მოურავისა ერეკლე II-ისადმი]: ... რაც თქვენი წყალობა თათარი გეყავდა, სამასამდინ კომლი კაცი გეესახლა იორზე, ისინი მაშინდელმა უსამართლობამ ისე დაკარგა და ჩვენს მტრებთან მიიყვანა, ახლაც იმათგან ვიყიდებით ყმითა და მამულით. ახლა რა გავიყარენით, თქვენის წყალობით ცოტა რამ თათარი კიდევ მოვაგროვეთ — ზოგი ლეკიდამ, ზოგი ყარაბაღიდამ. ზოგნი თქვენის საბძანებლის ალაგიდამ; ახლა იმისი გაყოფა გვინდა... (ქსძ, VII, გვ. 195).

იორი 1785 — Я, царь Ираклий, занял у ... ага ... Саркиса 300 р. на покупку провианта для русских. Деньги эти он может ... получить ... серебром из Эриванских доходовб или-же ... может взять у Эмина железо на р. Иори... (ГКГ, გვ. 44).

იორი 1792 — [იოანე ყინულაშვილი] იორზედ თქვენს [ფარსადან ესიტაშვილის] მამულზედ მოვედით და დავდექით. რაერთი მიწა შევიძლოთ, ვენაჯათ შევღობოთ, ავაშენოთ... წისქვილი მზათ გაკეთებული და აშენებული ... მოგვეცა (სს, I, 1920, გვ. 161).

იორი 1793 — [არზა ფალავანდიშვილებისა ერეკლე II-ისადმი]: ... თქვენ რომ იორზედ გაიმარჯვეთ, მამაჩემი მაშინ თქვენის ჭირის სანაცვლო შეიქნა... არ წაგვართოთ [ჩვენი აზნაურშვილები]... (ქსძ, VIII, გვ. 206).

იორისპირი. კახეთი

იორისპირი 1447 — იხ. მცხეთა

იორისპირი XVI ს. დას. — იხ. სამცხე

იორისპირი 1579 — იხ. მცხეთა

იოსების ხევი. ქვემო ქართლი

იოსების ხევი 1763 — იხ. დიდი ეგრისი

იოსების ხევი 1792 — იხ. ირაგა

იპტისი. ქართლი (?)

იპტისი 1579 — იხ. მცხეთა

ირაგა // ირგი. ქვემო ქართლი

ირაგა 1640 — იხ. ირგის ხევი

ირაგა 1646-1658 — იხ. ჭრეში

ირაგა 1717 — ... ჩვენ, ზურაბიშვილმა რევაზის შვილმა პაპუნამა, თქვენ, ყორბუდახისშვილს შიოშბეგისშვილს გიორგისა ... მოგყიდე ... ირაგას ჩემი კერძი ბარათით ნარგები მოსეშვილის ბერუკას კერძი და ხიზანიშვილის კერძი... (სს, I, 1920, გვ. 85).

ირაგა 1792 — [ანდერძის წერილი გიორგი ლარაძისა]: ... შვილნო ჩემნო, თქვენ მამულნი თქვენნი არცა გინახავსთ და არცა იცით, და რომელი მი-

ნახავს და მოვსწრებივარ შენობასა მათსა, ვსწერ და არის სხვაცა სოფლები: ირაგა, თხილნარი და ჯიგრაშენი, მეფისა და მოწამის ლუარსაბისაგან ჩვენს მამა-პაპათ ჯილდოთ გამოუტანიათ და კიდეე მეფეთაგან სოფელი დარუბანდი და იარაზიზასშვილი ყარაგოზა თავის მამულით... და სხვანიცა, რომელნიც მეფეთაგან წყალობად გვჭირვებია, მაგრამ მე იმათი შენობა არ მახსოვს. დიდის ეგრისის შენობას მოვესწარ, რომეშიც მსახურებდა მამისა ჩემისა ასი კომლი კაცი და უფრო მეტიც, და ეს დიდი ეგრისი საკუთრად ჩვენი არის, სხვას ჴელი არავისა აქვს... საკუთრად ჩვენია და ჩვენი სასახლე და სასაფლაოც იქ არის: ჭალაზედ ზვარი და ორი დოლაბი, მინდორში ჩვენი სამეხრეო, რასაც იმუშავებს, ხოდაბუნი სამი, ორი რევაშნის თავს და ერთიც ციხე-ქვაბიდამ საქალაქო გზა რომ წამოვა, გაღმითკენ იოსების-ხევი რომ არის, ერთი იქ არის, რომ შეიქნა სამი. კიდეე წინ-ვენახის შენობას მოვესწარ და ეს წინ-ვენახი მეფეთაგან წყალობადაც გვაქვს... მე წინ-ვენახი საკუთრად ჩვენი მგონია და თუ ერთი საკომლო საამიანთ აქვსთ, იმასაც წიგნი გამოაჩენს... მე ობლობით აღვიზარდე და იმ ჟამად შემოხდა, რომ ზანიშნობა სარდალს ქაიხოსროს ერწმუნა და რადგან იმ ჟამად ჩვენს მეპატრონეს მეფესთან ვეღარ მივაწვედი, მიველ და მივანდევ ჩემი თავიცა, ყმაცა და მამულიცა სარდალს ქაიხოსროს... და აბდულაბეგმან რომ სომხით-საბარათაშვილო რომ გაიერთგულა, მე იმ ჟამად ქვეშის ციხეს დავრჩი ოთხმოცის კაცით, მოურავიც ვიყავ ქვეშისა... შემდგომად რაოდენსამე ჟამისა ქალაქს ჩემოველ, და ჩემი ამბავი სანატრელს მეფეს მოხსენებოდა, რევაზ სარდალს აღარ დამანება, ასე უბრძანა, ჩემი ყმა ჩემთვის მინდაო, სარდლიდამ გამომიყვანა და თავის პალატში მიმსახურებდა... მას აქეთ ვცხოვრობ აქ... ორი კომლი კაცი მიყიდია, სასახლე ვიყიდე სუფნიშანთან, ელფია ვიყიდე ნამგლელავის შვილის ვახტანგისაგან... ვენახი ერთი ბოგვის თავს არის, ერთი სოფელში არის. რაც მამისა და პაპის მამული გვაქვს შემიმატებია და არა დამიკლია რა... (სს, I, 1899, გვ. 293-296).

ირაგა 1792 – იხ. ბალიჭი

ირგის ხევი. ქვემო ქართლი

ირგის ხევი 1640 – ... ჩვენ, დედოფალმან ... მარიამ, ესე წყალობის წიგნი .. გიბოძეთ თქვენ, ლარაძის ... ზენბადის ცოლს ... მარიხს... მეფის ... ლუარსაბისაგან თქვენს გვართა ჯილდოდ ირგის ხევზედ სოფელი ირგი ებოძებინა. ჟამთა ვითარებისაგან ის სოფელი აოხრებული ყოფილიყო... რაც კაცი იქ მოიყვანო და დაასახლო ... ჩვენგან იმათ შვიდ წლამდის არა ეთხოვებოდეს-რა... (დსსი, I, გვ. 26).

ირდასუბანი. ქვემო ქართლი

ირდასუბანი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ირდასუბანი 1714 – იხ. ჩხიკვთა

ირემაული ციხე. შიდა ქართლი

ირემაული ციხე 1718 – იხ. ზენდარისი

ირემეთი. მურღული

ირემეთი XII ს. — ... ესე დაწერილი მე, თიხჩე, დაგიწერე შენ, იოვანე და გიორგის — ირემეთისა ჩემისა კერძისა ნახევარი, ღმერთმან გიბედნიერენ... დაიწერა გამგებლობასა იოვანე ფაჩუშთისასა, ტანუტრობასა კორიდეთელისასა. ამისი მოწამენი არიან: დურჩელი იოვანე... თაგოგიძე პეტრე და სრულიად კორიდეთი... (კს, გვ. 34).

ირი. რაჭა

ირი 1287-1288 — იხ. შორაპანი

ირისკოპოზის სოფელი. ქვემო ქართლი

ირისკოპოზის სოფელი 1661 — იხ. სომხითი

ირტოზა. შიდა ქართლი

ირტოზა 1669 — იხ. წილკანი

ისლამაური. კახეთი

ისლამაური 1662 — იხ. სუხნანი

ისპიანი. კახეთი

ისპიანი 1579 — იხ. მცხეთა

ისპიანი. ქვემო ქართლი

ისპიანი 1690 — ... ჩვენ, ვახუშტისშვილმა ... მანუჩარ ... თქვენ, ბატონს ზურაბს ... მოგყიდეთ ჩვენ ორ ძმათ წილი ისპიანი მისის სამართლანის სამძღვრითა... არიან ამისი ... მოწამენი ... ჭრეშელი დონდარაშვილი ზურაბა, დარბაზელი პოღოზაშვილი გიგოლა ... [და] ლიყოურელი დეკანოზი საბა... (სს, I, 1899, გვ. 429).

ისპიანი 1725 — ... მე ... ფარემუზისშვილმა თეიმურაზ ... თქვენ ... ზურაბისშვილს ზურაბასა ... მოგყიდეთ ჩემი კერძი ისპიანი... დაიწერა ეს წიგნი მირელი პატა მდივნისშვილის გიორგის ჴელით... (სს, I, 1899, გვ. 430).

ისპიანი 1741 — ... მე, იარალისშვილმა ... იარალიმ ... თქვენ, ზურაბისშვილს ზურაბს ... მოგყიდე ... რაც ისპიანში წილი მქონდა თავისის ბოლნისის კენჭიყარია რომ გარდავა, იმ ძღვრამდი და კაზრეთისაკენ რომ გზა წავა და ხევი ჩამოვარდება, იქამდი, ღორისთავისაკენ საბადური რომ ჩამოვარდება და ღელე, იქამდე, დიდა ზეით კარმეჯახელთან რომ წისქვილის ადგილი არის ჩემი იქამდი... (სს, I, 1899, გვ. 430).

ისპირ-ტრაპიზონის მთა XVI ს. დას. — იხ. ყვიბისი

ისპოას მიწა. ქვემო ქართლი

ისპოას მიწა 1751 — იხ. ახალშენი

ისროლი. შიდა ქართლი

ისროლი XV ს. I ნახ. — იხ. სამთავისი

ისროლისხევი. შიდა ქართლი

ისროლისხევი 1781 — [ქსნის ხეობის მცხოვრებთა აღწერა]: ... ისროლისხევიდამ ფიცხელაურის გიორგის სახელო, ატენიდამ სალუქას შვილი ხოს-

რო და ივანე... ჯავახთას ციცაგი ნატყვევარი მახარა... ჭურთისხევს დორეულის ბერის სახელო, ილურთკარს შათირის შვილი პატარა... ჭურთისხევს ჭურთას ბუჯიას შვილი ივანე, თამაზა, მახარებელი... ჭურთას დორეთ კარს დორეული ოსებას შვილი ბერი... გარეშემოს გავაზიდამ რუსიტაშვილის ოთარის სახელო, ბუთხუზი ქოროღლის შვილი ნადირა... გარეშემოს მოჭალიეთს შალვას შვილი ქიტუა და ბეცია... გარეშემოს საქორეთიდამ ბერიას შვილი ქიტა... არაგვის ხადელი ხიზანი ბერი, გარეშემოს ხარბალიდამ გოგის შვილი ბერი... გარეშემოს შველიეთიდამ რუსიტას შვილი მოურავი ოთარ... ხიზანი ციხისთავის სახელო სეთურთკარელი მეშვლაიძე დათუნა... ქარჩოხს ბალას შვილის აბრამის სახელო, ჭორჭოხიდამ ფოცხვერას შვილი ბერუკა... ახალდაბიდამ ბალხამის შვილი თამაზა... შატაკთ კარიდამ შატაკის შვილი თანდილა... პოვლეთ კარიდამ გოგიას შვილი დათუნა... თინიკანთ კარს ლოთეს შვილი ბასილა... ვაკედამ გამიხარდის შვილი ზურაბა... კვერიეთიდამ ბერის შვილი ივანე... მიდელანთ კარს ხიზანას შვილი დათუნა... ხოზოეთიდამ ოგბაძე კურდღელა... ქენქანთ კარიდამ ივანეს შვილი ბერი... გოლგოლეთიდამ ოთარას შვილი ბერი... კორინთას ავთანდილის შვილი მახარებელი... ცხრაზმას სიხაურის სამოურავო ბაშარეულისა, დადიანეთიდამ ბერიანიძე ბასილის შვილი გარსევან... ზოდეხიდამ შერმადინი ხიზანა... აბუთ კარი ღთისიას შვილი ბერი... თოხთას ყველას შვილი გამახარე... თოხთას გუდამაყრელი ბუქური დათუნა, ხიზანი ხანდოელი მარტია, პეტრესთან, მახიარეთს თამარას შვილი ივანე... დაბაკნეთი თეზელას შვილი გივი... უკან უბანიდამ ბატიტას შვილი კაცია, ხახა... ხადელი ბერი... უკან მხარიდამ ღაღლიას შვილი სიხარული... ჩიტიანთ კარიდამ ბასილას შვილი კაცია... ძეგანანთ კარიდამ ბერიას შვილი კაცია... ყველდაბიდამ ახლოური დათუნას შვილი სიხარული... წინ უბნიდამ ღონენას შვილი ღონენა... უფეკეთს ლაზუტას შვილი მესტუმრე ქიტესა... მონასტერს აზნაურშვილი ჟურული პეტრე... ცხაოტს ჰეროთეს სახელო, ბუნტური ოქროპირის შვილი იეროთე... საძეგურიდამ ამისივე სახელო შუღლიაშვილი მგელია... ალევს სამხარაულის ჯამრის შვილის მახარებლის სახელო... ალევისა თანდილას შვილი ივანე... ქურთას ჟურულის როსტომის სახელო ჟამურელი გიორგი... ნახიდ ამისივე სახელო, ფსურის შვილი ივანე... წირქოლიდამ ბოქაულთხუცის სახელო... იკოთიდამ გვრიტის შვილი ბერი... კაიშაური ხადელი ბეჟუას შვილი ბერი... ლამისყანას აზნაურშვილი გარაყანიძე დემეტრე... ქორჩოხელი თინიკას შვილი ივანე... ნახიდიდამ ფსუტურის შვილი პეტრე... ხიზანი მუხრანელი თეზელი პეტრე... ჯავახი კომლი ავჭალელი... ახალგორს ფირყულას შვილი აკოფა... მზარეულის შვილი უფლისციხელი სიმონა როსტომის ყმა... ავლაბრელი ხარაზი ივანე... მეჯვრისხეველი ტერტერას შვილი სტეფანა, როსტომის ყმა... ძეგველი კომლი კათალიკოზისა გოგია... დოღრიელას შვილი კომლი ერედველი ივანე... ოძისს ბოჭორმის შვილი ივანე... (სეიძ, I, გვ. 227-246).

ისროლისხევი 1781 – ღმერთმან მეფის ძის იოანეს ჭირი მომცეს ... ჟურულს როსტომს... ისროლის ხევზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობა, მამა-პაპის მემკვიდრე. და ის ჩემი კაცი კი აიყარა და წავიდა და

იმისის მამულის წყალობა დამემართა თქუენგანა; და ოსი გუსი რომ გახლავს ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული და უბძანეთ ... ჟურულს როსტომს ემსახურეო. სამი წელიწადი არის რომ ... ის კაცი სჭამს და ჩემთვის ერთის ფულისა არა მოუციაო-რა... (ქსძ, VIII, გვ. 430).

ისროლისხევი 1781 — იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

იტრია // ნიტრია. შიდა ქართლი

იტრია 1584 — ... ჩვენ, მეფეთ-მეფისა ... სუმონის ძემან ... გიორგი ესე ... წიგნი ... მოგაჴსენეთ იტრიის სიონისა ღუთისმშობელსა... მოვიდა წინაშე ჩუენსა ... ქართლის კათალიკოზ-პატრიარხი დოროთეოს ... [და] მოგუართუა — მარგალიტითა შემკობილი ომოფორი; ჩუენ ლორის ღმთისმშობელსა შეეწირეთ... შემოგწირეთ [იტრიის ღუთისმშობელს] ... ლუბრმა ჩუენის სახასოს მამულისაგან ... [და] შინდარას მარგეელაშვილი... (ქრონ, II, გვ. 422-423).

იტრია XVI ს. მიწ. — იხ. სურამი

იტრია 1629 — იხ. ოსიაური

იტრია 1645 — იხ. ჩუმათელეთი

იტრია 1700 — იხ. ნატბეევი

იტრია 1737 — [ბრძანება სეფი-ხანისა]: ... ზაზა-ბეგს მიეცით სეხნია ჩხეიძის სოფლები: იტრია, გვერდის უბანი, ფონა, წიფა, ლუბარმა, ღორისთავი, ჩუმათელეთი, ზაზას უბოძეთ ამისი რაიათი. რაც მოსავალი არის ამ მამულში. ის სულ მალუჯათისა არის... (ქსის, გვ. 442-443).

იტრია XVIII ს. მიწ. — იხ. სურამი

იტყვლიანი. შიდა ქართლი

იტყვლიანი 1669 — იხ. წილკანი

იულთა // იულთანი. კახეთი

იულთა 1718 — იხ. ართანა

იულთა 1722 — იხ. სარუსთველო

იულთა XVIII ს. I მეოთხ. — იხ. თვალი

იულთა 1753 — იხ. ახალშენი

იულთა 1756 — იხ. ალვანი

იუხო. არაგვიოს ხეობა

იუხო 1781 — იხ. წკერე

იფარი. სვანეთი

იფარი XV ს. — იხ. ლატალი

იფარი XV-XVI სს. ... მთავარმოწამე იფარისა ... და ... მთავარანგელოზისა ზაგარისა თასდებობითა ... დაუდევით დაწერილი ... ერთობილმან მეფო-ზეგენელმან და ყიფიანმან ესტატემან... (სწძ, I, გვ. 214).

იფლენა. იმერეთი (?)

იფლენა XVII ს.[123] – ... მე, ტურაბერაძემან დედისმამამან ... მოგყიდე მამული იფლენასა[124] დაველიანაული ნახევარი შენ, მოძღვარსა იობს ფადლაძესა... (სს, I, 1899, გვ. 56).

იფნი. არაგვის ხეობა (?)

იფნი 1697 – ... ჩვენ, კობიაშვილის გიორგის ჯალაბმა ქეთიამა თქვენ, შაბურიშვილს ოთიასა ... მოგყიდე წულუკიძისა ნასყიდას ნაქონი მამული იფნი და ყორეს აქათი მისის საწნახელითა, შესავლითა, გასავლითა... (სს, II, გვ. 437-438).

იფნიანი. კახეთი

იფნიანი 1582 – ... შენ ... სუეტსა ცხოველსა ... და ... წმიდასა მამასა დავითს გარესჯისასა ... ჩვენ ... ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან ნიკოლაოზ ... შემოგწირეთ ჩუენი მკუიდრი ყმა ვაშაყმაშვილი ხარება... ჟამთა ვითარებისაგან თავისი მკუიდრი მამული დააგდო და წინას საგარეჯოს, ხოდაშენთ ბოლოს, იფნიანში დასახლდა. მოვიდეს ჩემნი ძმანი, აჰყარეს და წაიყუანეს... ახლად მეორედ დავიჴსენ ჩემთა ძმათაგან და კიდევე მასვე ადგილს, ხოდაშენთ ბოლოს, იფნიანში დავასახლეთ და შემოგწირეთ... (ქსძ, III, გვ. 344-346).

იფნობი. ქვემო ქართლი

იფნობი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

იფნობი XVII ს. II ნახ.– იხ. წრაუთი

იფნობი 1707 – იხ. წრაუთი

იქეთი (?). შიდა ქართლი

იქეთი 1746-1751 – ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ჩვენ, პატრონმან ერისთავთ-ერისთავმან შანშემა ... შენ, იქეთეს ბეროშვილებს... თაობით იქეთს, მამული თქვენ გეჭირათ და ნარშამ ქრთამი მოგვართვა და ნარშას უბოძეთ. მერმე ხატის მამული ყოფილა, მოვიკითხეთ და ხატის ყმანი ყოფილხართ. ახლა ... ისრევე თქვენ თავს წყალობა გვიქნია; და მოგეც თქვენი უწინდელი აქეთის გაღმა მამული ახოები... (გუჯრ, 170).

იქით გარეჯვარი. შიდა ქართლი

იქით გარეჯვარი XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

იქითი (წყარო?). შიდა ქართლი

იქითი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

იქით ოკამი. შიდა ქართლი

იქით ოკამი XVII ს. – იხ. ციხისძირი

იყალთო. კახეთი

იყალთო 1594 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე ... შემოგწირეთ დიდებულსა ტაძარსა თქუენსა, ხახულისა ღმრთისმშობელსა ...

---

[123] XVI ს. I მეოთხ. (პალ, IV, გვ. 251).

[124] იფღენა (პალ, IV, გვ. 251).

იყალთოს ბარძიმისშვილი გუგუნა მისითა სასახლითა, საყდრითა... კიდევ რუისპირს წილად გაყოფილი და ნარგები ზვარი მისით მეზურითა... არატუაზნით კიდეე კუამლი კაცი ცხრა... კიდეე ბოტკოს კუამლი კაცი ერთი... კიდეე ჩაღმათ ყანდახს კუამლი კაცი ოთხი... ასრე რომე, არა ეთხოვებოდეს-რა სამეფო და სადედოფლო სათხოვარი... (ის, II, გვ. 58-59).

იყალთო 1597 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... ალექსანდრე ... გიბოძეთ ... მაყაშვილს მაყასა ... ორი კუამლი კაცი იყალთოთ ... მათით მამულითა და ქონებით... (დსსი, I, გვ. 362).

იყალთო XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

იყალთო 1722 – იხ. მარტყოფი

იყალთო 1762 – ამილახვარისშვილს ნიკოლოზს [დავით სუხიტასშვილის ცოლი] ლუარსაბის ყმის ჩიგილასშვილისათვის მოეყიდა... ენის წელიწადში იყალთო და რუისპირი რომ დიდმა ჯარმა დაარბიეა, ის ნასყიდობის წიგნი მაშინ დაკარგოდა. ამ ხანს რომ ასე გაევლო, იმ დედაკაცს ქმარი მოკდომოდა ... აყრილიყო [და] ქართლში ქმარი შეერთო... იქიდამაც ... თავის ძმასთან შიოსთან ამოსულიყო ახმეტას... (ქსძ, IV, გვ. 482-483).

იყალთო 1774 – იხ. გულგულა

იყალთო 1784 – იხ. ზიარი

იყალთო 1800 – იხ. ახალდაბა

იყალთო XVIII-XIX სს. მიჯნა– იხ. თელათგორი

იშხნელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

იცქითი. იმერეთი

იცქითი 1789-1810 – იხ. ჩიხა

იწა. რაჭა

იწა 1451 – [მეფე გიორგიმ ვირშელ წულუკიძეს] მოგიბოძეთ თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მამული ... სოფელი იწა, მისითა ... მზღურითა (ქსძ, II, გვ. 130).

იწა 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

იწრისი. არაგვის ხეობა

იწრისი 1781 – იხ. პავლეური

იწრისი XVIII ს. II ნახ.– იხ. კისისხევი

იხტილათი. ქართლი

იხტილათი. ქართლი 1784 – მის ბრწყინვალებას მიშკარბაშს სარდალ-სალთხუცესი მუხრანისბატონი იოანე მრავალს მოკითხვას ... მოგახსენებ... იხტილათში გახლავართ, უმი ხორცი და ღვინო, დიაღ, ბევრი გვაქვს. მთის ალაგს ვართ და, დიაღ, კარგი მოსავალი სცოდნია. ასეთი ფუტკვებია, რომ ქართლში უკეთესი არ გვინახავს (სს, III, გვ. 41-42).[125]

[125] შესაძლოა, აქ ჯაეახეთის ღრტილა ეიგულისხმოთ.

კაბენი. შიდა ქართლი

კაბენი XV-XVI სს. – ... შუამდგომლობითა გეთსიმანიის ღმრთისმშობელისათა ... თქვენ ... კრებულთა კაბენისა ... მე, ბილქან ათრას ძემა ... მოგყიდე ვენახი ოგომურისა თავსა... (ყს, გვ. 63).

კაბენი XVI ს. – ... შემოგწირეთ ჩუენ, ძემან ქუჱნიფნეველისამან, ერისთავთა-ერისთავმან ... იასე ... ჩვენთა პაპათაგან სასოებითა აღშენებულსა კაბენს გეთსიმანიისა ღმრთისმშობელსა, კაბენს ჯირღინაულის მამული, კუამლი ერთი... (ყს, გვ. 65).

კაბენი 1669 – იხ. წილკანი

კაბენი 1698 – ესე გულანი დამეკარგა. არაგვის ერისათვის შვილმან გრიგოლ იშოვნა. კაბენს გეთსამანიის ღვთისმშობლის შეწირული იყო. მე ... მთავარეპისკოპოზმან ევდემოს ფეშკაში მივართვი და ისრევ ... შევსწირე საძვალესა ჩემსა კაბენს მონასტერსა გესამანიისა ღვთისმშობელსა... (ქრონ, II, გვ. 517).

კაბენი 1703 – [ერეკლე მუხრანბატონი] მოვედით ქსორისს რატიშვილების გასაყრელად ჩვენ და ჩვენი მამა მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე... ჩვენთვის ავიღეთ ამათი გასამყრელო ახალგორს ოთხი კვამლი კაცი... ერთი კვამლი კაცი ... თავისის მამულითა ... შემოგწირეთ თქვენ ... კაბენს გესმანისა ღვთისმშობელსა... (ქრონ, III, გვ. 10-11).

კაბერის მონასტერი. შიდა ქართლი

კაბერის მონასტერი 1580 – იხ. ღოლოვნა

კაბერეთის მონასტერი. ქვემო ქართლი

კაბერეთის მონასტერი 1637 – იხ. საბარათაშვილო

კაგიყოსო. ქართლი

კაგიყოსო 1345 – იხ. სარიჯნა

კაპადსარი. ქართლი (?)

კადაპარი 1711 – იხ. ლისი

კაელი (?). არტაანი (?)

კაელი XIII ს. I ნახ. – იხ. ზემო ხანახნი

კაველათი. შიდა ქართლი (?)

კაველათი 1686 – იხ. მოხისი

კავთა. შიდა ქართლი

კავთა 1247-1260 – იხ. ნაესძის მიწა

კავთა 1260 – იხ. ხოვლე

კავთა 1519 – იხ. კავთისხევი

კავთა XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თეალი

კავთისხევი // კავთისჴევი // კავთიხევი // კავთისხეობა. შიდა ქართლი

კავთისხევი 1391 — ჩუენ, მეფემან ალექსანდრემ ესე წიგნი ... გიბოძეთ ... თქუენ ჩუენის საყდრის შვილთა ქადაგს მახარებელთა და თქუენთა შვილთა... რაცა კავთისხევს და მცხეთისა საყდარს საქადაგო მამული, შესავალი და სახელი იყო ... აწ ჩუნცა ... დაგიმტკიცეთ. გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ... კავთისხეობა ივანის ძეთა ნაქონები... (ქრონ, II, გვ. 192-193).

კავთისხევი 1447 — იხ. მცხეთა

კავთისხევი 1412 (1482) ... ჩუენ, დედოფალმან გულშარა თქუენა, სააკაძეთა კავთისჴევისა მოურავსა ივანეს ... გაგიცვალეთ ნოსტესა რომალისშვილისა გულიასეული სასახლე მისითა მიდამოთა, რასაცა ბერიას კალო გაიტანსა ბენდიანურის სახლამდისა... არა გზა დეგეჴიროს ბედნიერის კარშიგან საურმო, არა მოხანსა კალოზედა, არა აბარაში კალოზედა... ჩემსა მეზერესა კავთისჴევსა სანაცლო სახლკარი მიეცა. მისი სანაცლო მიწაც დაგაგდებინე ჭანაჭახშიგან ერთისა დღისა ბეცლელაური... (სკ, IV, გვ. 69).

კავთისხევი 1452 — იხ. ქვათახევი

კავთისხევი 1470 — მცხეთა

კავთისხევი 1472 — იხ. მცხეთა

კავთისხევი 1504-1516 — იხ. მცხეთა

კავთისხევი 1519 — ... მე ... სოლაღასშვილისა შალვას ძემან ივანე ... შემოვსწირე ... მონასტერსა ქვათა ჴევისასა ... კავთისჴევს ორი გლეხი... საკას ძემან ტურიაული ვენაჴი მომყიდა და ... ვენაჴი შუა გავყავ ... და მასზედა დავასახლე [გლეხები] ... რომე დიდსა ხუთშაბათსა მიიღებდეს ქვათაჴევს მრავალსა პურსა, ღუინოსა და სამარხოსა... კიდე კულა შემოვსწირე იქვე კავთის ჴევს ერთი ვენაჴი, ყაყიაშვილისაგან ვიყიდე, მისგანცა ნასყიდი იყო და იმა ვენაჴისა გამოსავლად დავსდევ ცუილი და საკმელი... მეექ, სოლაღაშვილმან ... ივანე, ესე ყაყიაური ვენაჴი მეექ დავიჴირე და ამისდა სანაცვლოდ ოთხისა დღისა მიწა ქურციკაული ნაფუძარი დავსდევ და მიეცა მოსეშვილსა კავთის მთავარ მოწამისა დეკანოზსა ლონგინოზს... ამა ბეგარსა ოთხსა ლიტრასა ცუილსა ტფილის ქალაქურითა ლიტრითა ... ქვათაჴევის მონასტერსა ... ვერაოდეს დააკლებდეს ყოველთა წელიწადთა... (ის, III, გვ. 47-50).

კავთისხევი 1520 — მე ... ძემან დიდისა ფანასკერტელისა ციცის შვილისა, პატრონისა ზაზას ძემან ... მერაბ ... შემოვსწირე ... მონასტერსა ქვათაჴევისასა ... კავთისჴევს ერთი კუამლი გლეხი ცხადიასშვილი გიორგი... მეფეთ-მეფისა პატრონისა დავითისა ... ბრძანებითა, ჩარგაზაშვილისაგან ვენაჴი და სახლ-კარი ვიყიდე და აგრეეე ათისა დღისა მიწა და მიეექ ... ამა ცხადიაშვილსა... მიიღებდეს ქვათაჴევს ოთხასსა პურსა ... [და] თორმეტსა კოკასა ღუინოსა... (ის, II, გვ. 29-31).

კავთისხევი 1524 — იხ. მოხისი

კავთისხევი 1559 — იხ. სხალდიდი

კავთისხევი 1565 – ... მე, ელიზბარ სოლაღაშვილმან შენ ... პაპუნას მაღალაძესა ... მოგყიდე კავთისხევს გლეხი დემეტრე თავისის მამულითა ... და ჩემი ზვარი და ორი ხვადაბუნი, ერთი დამპალაში, ერთი თვალათუბნის ბოლოს... და ქოთახევს რაც ჩემი წილი იყოს... (ქსძ, VIII, გვ. 829-830).

კავთისხევი 1568 – იხ. სურამი

კავთისხევი 1581 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან სუიმეონ, ესე ... სათარხნო წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... კავთისხეველთა ჯილავის მეთოფეთა ბერაძეს დავითს... (ქსის, გვ. 13).

კავთისხევი 1588 – იხ. ერთაწმინდა

კავთისხევი 1618 – ... ჩუენ, მეფემან ... ბაგრატ, ესე წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, კავთისჴეველს იმნაძეს ციხოველსა... გათარხნეთ და განგათავისუფლეთ... კავთისჴევის მოურაო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (დსსი, I, გვ. 17).

კავთისხევი 1620 – იხ. ნოსტე

კავთისხევი 1630 – ... ჩუენ, მეფემან ... სუიმონ ... გიბოძეთ თქუენ, კავთისჴეველს შეშაბერიძეს ... კავთისჴევს ფოციაური დიასახლისის ნაოჴარი მამული... კავთისჴევის მოურავნო, თქუენცა ... ნურას მოუშლით ... (დსსი, I, გვ. 21-22).

კავთისხევი 1633 – ... ჩუნ, მეფემან ... როსტომ, ესე წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუნ, კავთისჴეველს ჩუენს მეჯინიბეს ინაძეს იმედასა... პეტრაული მიწა თქუენი სამკვიდრო ყოფილიყო და მოგშლოდა. ახლა ... გიბოძეთ მისის შესავლითა და გამოსავლითა... (ქსის, გვ. 99).

კავთისხევი 1695 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... გიორგიმ ... თქვენ ... ჩიჟაძე ბეჟანს ... მამული შემოგიმატეთ და გიბოძეთ კავთისჴევს თელათუბანს ჯავახი მექანარიშვილი და დათუნაშვილები ... და კურთხეულის მამის ჩვენისაგან ნაწყალობევი ღვარის ხოდაბუნი... (დსსი, I, გვ. 95).

კავთისხევი 1710 – ... საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან ... ვახტანგ ესე ... წიგნი ... გიბოძეთ თქვენ ... მოურავს ავთანდილს... მეფემან ... გიორგიმ ქალაქის მოურაობა გიბოძა და გქონდა. მოჴდა საქმე და არაგვის ერისთავისათვინ მისაცემლად მოვინდომეთ... [სანაცვლოდ] გიბოძეთ კავთისხევს სასახლე რომ მდგარა, ის ადგილი, ზვარი და ხოდაბუნები, გლეხნი ... დღეს რასაც მამულის მქონებელნი იყუნენ... აგრევე კავთისხევში რომელნიც აზნაურიშვილი და მსახური ჩვენთვის სახასო დარჩა, იმისი მოურაობა როგორც გქონებიათ, ისევ მოურავი იყვენით და თუ რამე სამოურაო სდებოდეს ისევ იმსახურებდეთ... (ქსძ, II, გვ. 328-330).

კავთისხევი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

კავთისხევი 1722 – ... ჩვენ, თარხნისშვილმა ზაალ ... თქვენ, მაღალაძეს ... ამილბარს ... მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე და ბარათში გამოყოლილი ყმა – კავთისჴევს თვალაზედ ნაცვლიშვილი ქურციკა... არიან ამისნი მოწამენი ... კავთისჴევს მამასახლისი... (დსსი, I, გვ. 198).

კავთისხევი 1722 – ... ჩვენ, თარხნისშვილმა ზაალ ... თქვენ ... მაღალაძეს ... ამილბარს ... მოგყიდეთ ჩვენი მემკვიდრე ... ყმა კავთისჴევს თვალაზედ ნაცვლიშვილი ქურციკა ... მათის მამულებითა... არიან ამისნი მოწამენი – კავთისჴევის მამასახლისი... (დსსი, I, გვ. 198).

კავთისხევი 1736-1744 – იხ. მოხისი

კავთისისხევი 1749 – [ბრძანება თეიმურაზ II-ისა]: ... კავთისხევის მოღალეე და მოხელებო! ეს იმნაძე ბერი აქ ჩვენს სამსახურში ზინდრათ არის. ჩვენი სითარხნის წიგნიც აქვს და ამას ღალა-კულუხს ნუ სთხოვთ– (დსსი, I, გვ. 342).

კავთისხევი 1756 – [არზა ტერ-მელიქსეთასი თეიმურაზ II-ისადმი]: – კავთისხეველი ჭანასშვილი ბეროასაგან ურუმობას დროს ერთი გოგო ვიყიდე ოთხის წლისა... ახლა გამაპარეს და წაიღეს კავთისხევს. არ მანებებენ– (ქსძ, VII, გვ. 33).

კავთისხევი 1779 – ღმერთმან ... დედოფლის ჭირი მოსცეს კავთისხეველს შაყულაშვილს თევდორეს... ცალქალამნიძე კიკოლა და საბა ... მეჭიდებიან... ოქმი მიბოძეთ, ჩემთან ჴელი არა ჰქონდესთ. თქვენს ყმად გახლდე ახალდაბას (ქსძ, VII, გვ. 453-454).

კავთისხევი 1780 – [არზა ზურაბ ნახუცრიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... კავთისხევს ამოწყვეტილი მიქელაძის მამული ძველათგანაც ჩვენი იყო. მასუკან ნეტარხსენებულმა მეფე ბაქარ ბიძა თქვენმა მე მიბოძა... თქვენს დროშიაც მე მეჭირა... ერთი წელიწადი არის ... ბეცია თარხნისშვილმა არ დამანება. შარშადელი ღალა იმან აიღო... წრეულაც იმან აიღო... (ქსძ, VII, გვ. 488).

კავთისხევი 1784 – იხ. ხიდისთავი

კავთისხევი 1785 – იხ. ბახტრიონი

კავთისხევი 1786 – იხ. თიანეთი

კავთისხევი 1786 – იხ. ქვათახევი

კავთისხევი 1793 – [ოქმი ანტონ კათალიკოსისა]: ... ეს სვიმონ მაღალაშვილი და ამის ძმები ასე გარიგდნენ: რაც კავთისხევში ან წითელ საყდართან მამულები აქვსთ საერთო, სვიმონს მისცეს, ამან უნდა იხმაროს; და რაც ბიძინაშვილის სამაგიეროს მისცემენ, შუა უნდა გაიყონ (ქსძ, VIII, გვ. 238).

კავთისხევი 1793 – იხ. ოძისი

კავთისხევი 1795 ახლო – იხ. ქვახვრელი

კავთისხევი 1796 – თარხნიშვილი სოლომონ მეითრის ყმა კავთისჴეველი დავალიძე ჩიოდა: მემკვიდრე კავთისჴეველი ვარო და ჩემთვის მეფეს კოსტანტინეს კავთისჴევში თავისის ხოდაბუნებიდამ ასის დღის მიწა უბოძებიათ. და ახლა თარხნიშვილს ბეციას ბატონმა რომ თავისი სახასო კავთისჴევი უბოძაო, ეს ჩემი მამულებიც იმან მიიმძლავრაო... დავალიძემ წიგნი წამოაყენა მეფის კოსტანტინესი, რომელიც ქორონიკონს რნბ ამდენს დაწერილი იყო. დავალიძისათვის უბძანებია: შენ ჩემს სახასოს გლეხად დაგასახლეთო და მოგეცით ახაშემში ჩვენის ზერის ნახევარიო, საბათგორში

ჩვენის ხოდაბუნის ნახევარ, ღვართწყაროს ბოლოს ჩვენის ხოდაბუნის ნახევარიო და ღვანძის ხოდაბუნის ნახევარიო და ზვართკარს ნაფუზრის ნახევარიო. ასე რომ ასი დღის მიწა შეგისრულეთო... (ქსძ, V, გვ. 676).

კავთისხევი 1796 – იხ. ჭალი

კავთისხევი 1799 – იხ. გამოღმა მხარი

კავთისხევი 1800 – [წყალობის წიგნი გიორგი XII-ისა თეოდორე კოტეტიშვილისადმი]: ... პაპის ჩვენის მეფის თეიმურაზისაგან წყალობათ გქონდათ ნაბოძები კავთისჴევს სადეკანოზო მამული... როდესაც მოვიდა უსჯულო აღამაჰმად-ხან და ქალაქი წაახდინა და დაწო, ის წყალობის წიგნი იქ დაგკარგოდათ... წყალობის წიგნითა ამით გაგვიახლებია [სამამულო მფლობელობა]... ჩვენ ქვათახევის არხიმანდრიტი თარხნისშვილი ანტონი ... ვამტკიცებ... (სს, III, გვ. 183-184).

კავთისხევი 1800 – იხ. სათარხნო

კავთისხევი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

კაკანი. კახეთი

კაკანი 1792 – ვაჩნაძიანი უჩიოდენ დავით აფხაზს, კაკანში სამი საკომლო მამული გვაქვსო და შენ გაქვს მიმძლავრებულიო. აფხაზი უპასუხებდა: კაკანი ფიცით გამიტანიაო, თქვენ იქ თოთხმეტის დღის მიწის მეტი არა გაქვსთ რაო და ოცდაერთის დღის მიწა ედიშასშვილის არისო (ქსძ, V, გვ. 568).

კაკასიის მთა // კავკაზის მთა

კაკასიის მთა 1784 – იხ. ნარა

კაკასიის მთა 1769 – იხ. ხევის გზა

კაკასიის მთა 1783 იხ. თუშეთი

კაზრეთი. ქვემო ქართლი

კაზრეთი 1741 – იხ. ისპიანი

კაზრეთი 1792 – იხ. ბალიჭი

კაიშაური // კაიშაურთკარი. არაგვის ხეობა

კაიშაური 1781 – იხ. ისროლისხევი

კაიშაური 1781 – იხ. წკერე

კაიშაური 1784 – იხ. ტფილისი

კაიშაური 1793 – იხ. სტეფანწმინდა

კაკაბეთი. კახეთი

კაკაბეთი 1678 – იხ. ალავერდი

კაკაბეთი 1681 – [წყალობის წიგნი ერეკლე ბატონიშვილისა ლევან ავალიშვილისადმი]: ... გიბოძეთ კაკაბეთი მისის სამართლიანის საქმითა... კიდევე ... გიბოძეთ საბალახე დემურჩასალისა ამასალად... (სს, III, გვ. 566-567).

კაკაბეთი 1693 – ჩვენ, კახეთის ბატონმან, ყარაბახის ბეგლარბეგმან პატრონმან აბაზყული-ხან გიბოძეთ თქვენ ... ჩოლოყაშვილს მამუკას ... კაკაბე-

თი, რამაზიანი, ალვანი... რაგვარათ გორჯასპისა და ერისთვისშვილს დათუნას ჰქონდა... (ქრონ, II, გვ. 513).

კაკაბეთი 1700 — ... კაკაბელი და შიბლიანელნი მიწა-წყალზედ შუღლობდნენ... მთა და ბარი გაუსინჯეთ და ისე გაუყავით და შეგარიგეთ: იორზედ სახლთხუცის ობა რომ არის, ყოჯას პირდაპირ გზა რომ გამოვა, ის ჭალა შიბლიანელთ საწისქვილოთ დავანებეთ და წისქვილებს გარდა ჭალა სამჭმოთ კაკაბელთ დავანებეთ; იმას ქვემოთ ზარგრის ობას პირდაპირ პატარა თუთა არის, ერთი სამძღვარი ის არის; იმის სწორათ პირდაპირ დიდი გორა არის, იმაში ერთი პატარა თუთა არის, ერთი სამძღვარი ის არის; იმის სწორათ სამზირლის წვერის სწორათ რომ შავის ტყის მაღალი წვერი რომ წარმოადგება, ერთი სამძღვარი ის არის; ყანდაურიანი წყლითვე კაკაბელთ დარჩა. თუ შიბლიანელთ ბოლოს საძოვარი ბალახი კაკაბელთ არ დაუშალონ, კაკაბელთ შიბლიანელთ წყალი არ დაუჭირონ ... არის ამისი მოწამე ... კაცთაგან ... კაკაბეთის მოურავი ... შიბლიანში კიდევ ქემხა მგელიტა ... და ... კიდემ ალაკას ჯანგირა და ეშმაკურა... (ქსძ, IV, გვ. 181-182).

კაკაბეთი 1704-1714 ჩვენ, ალავერდელმა ნიკოლოზ ... გაგიჩინეთ თქვენ, დოდოს წინამძღვარს ზაქარიას, ერთობილთ კრებული: კაკაბეთიდამ კოდი პური ათი და კონდოლიდამ უწინ ხუთი საპალნე ღვინო გაგიჩინეთ და ახლა იქიდამ შვიდი საპალნე უნდა მოგვცეთ... (ქსძ, III, გვ. 696).

კაკაბეთი 1724 — ... ჩუენ ... ქართლისა და კახეთის მპყრობელმან, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმან, შამშადილუსა და ყაზახის ხანმა, მეფეთ-მეფემან — კონსტანტინე ... თქუენ ... ჩოლოყაშვილს, კახეთის სახლთხუცესს და თუშთ მოურავს საზვერელს ... კაკაბეთის მოურაობა დაგიმტკიცეთ, ასე რომე ... პატრონს მამა ჩუენს კაკაბეთის მოურაობა ასე გაერიგებინა... ძველთაგან კაკაბეთი შაჰ-აბას ყენის დროს მოოხრებულ, უდაბ და უშენ ყოფილიყო. მეფეს არჩილს და მამიდაჩუენს, დედოფალს ქეთევანს კახაბრისშვილის გორჯასპისთუის ებოძა, ძველად მოოხრებული იმას ეშენებინა... მამა ჩუენის ისპაანს ყოფნაში გორჯასპის ეს თავისაგან აშენებული კაკაბეთი ჩუენის სასაფლაოს წმინდის გიორგისათუის... მამის ჩუენის ყენთან ყოფნაში კახეთი აბაზ-ყული-ხანს მისცემოდა და გორჯასპის ისევე გამოეწირა... მასუკან ერისთავისშვილს დათუნას მისცემოდა ... [მაგრამ] მასცა ანაზდი სიკვდილი სწეოდა და აბაზ-ყული-ხანს მამის თქუენის დურმიშხან სახლთხუცისათუს ებოძა; მამა ჩუენი რომ საქართუელოში მობრძანებულიყო საბატონოთ და სიგლით თქუენთუს დაემტკიცებინა საყმოდ... ჩუენც სიგლითა ამით ხელახლა დაგიმტკიცეთ ... კაკაბეთის მოურაობა ... თავისის სამძღურით ... აქეთ ჩალაურის სამძღურამდის, იქით შიბლიანის სამძღურამდის, ბოლო რისაც მქონებელი არის კაკაბეთი, ქართუელი, თათარი თუ სომეხი... ვითაც საგარეჯოს მოურავს აქვ სამოურაო ... ჯურუმისა ორი წილი ალავერდელს მიერთმეოდეს და მესამედი თქუენ მოგეცემოდეს... (ქსძ, II, გვ. 389-391).

კაკაბეთი XVIII ს. I მეოთხ. — იხ. თვალი

კაკაბეთი 1740-1742 – ჩვენ მეფეთ-მეფემან ... თეიმურაზ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ შენ, ჩერქეზიშვილს მარტყოფის მოურავს ქაიხოსროს... კაკაბეთი ძველთაგან შენი სამკვიდრო მამული ყოფილიყო და ორიანობასა და ჟამთა შლილობაშიგ ბევრი ჩხუბი გარდაგხდომოდა თქვენ და ჩოლოყაშვილს ამ კაკაბეთის გულისათვინ... ახლა ამდგარიყვნენ ჩვენის სახლის მებატონები, კაკაბეთი წმიდის გიორგისათვინ შეეწირათ... თქვენ და ჩოლოყაშვილი გივი ერთმანეთს შეგარიგეთ ... [და] რადგან რომ კაკაბეთში შიგ მომკვდარიყვეს, ძველთაგან შენი სამკვიდრო მამული ყოფილიყო სამოურაოდ კაკაბეთი შენ გიბოძეთ... შევიტყევით, რომე კაკაბეთი არც იყო ჭიზიყისა მაჰასალი, არც საგარეჯოსი, საჩერქეზო ყოფილიყო... (ქსის, გვ. 447).

კაკაბეთი 1779 – კაკაბელი კაცი ასაყრელი მოვიდა გორაშვილი, იქაე ამისი სახლის კაცი ლალისყურას. ოთხთავალში კაკაბელი ბერო. რუისპირს ქემხიშვილი ზურაბა. მერეს ახალკაციშვილი. ახატელში ქემხიშვილი. თელავს მენაბდიშვილი... კონდოლს მეჭრიშვილი. შილდას მენოგნე დავითა... ყვარელში ციქურაძე... კუჭატანში ფერდელაშვილი კაკაბეთელთაგან ფიცით გამოტანილი. ჭიკანში ოქრომჭედლიშვილი. გძელმანდორს ტაბლის ჭირი. გურჯანში იაღანაშვილი. ვაქირში პერიძიშვილი ოთარა. მირზანში ალუღიშვილი. საგარეჯოს იოსებ. ქალაქს სტეფანე მჭედელი... [ბრძანება]: გიო ავალიშვილო! მერმე ამ კაკაბეთის კაცების ასაყრელად შენ დაგვიყენებიხარ იასაულად. ახლავე უნდა წახვიდე ამ სიო, რომელსაც სოფელში ამ სის კაცნი კახეთში ესახლოს ახლავე უნდა აყარო და კაკაბეთს უნდა მოიყვანო... ალავერდლის ყმანი არიან და კაკაბელნი არიან, უნდა აიყარნენ ახლავ და კაკაბეთს თავისავ მეზობლებთან მოვიდნენ (სს, III, გვ. 504-506).

კაკაბეთი 1797 – ბატონს მილახვარბაშს იოსებს მეფის ძე გიორგი მრავალს მოკითხვას მოვახსენებ. მერე, მაგათს უმაღლესობას კაკაბეთიდამ მოკიდებული მარტყოფამდის აყრა და ქალაქში მოსვლა ებძანებინა... საგარეჯოელთ მაგათის უმაღლესობისათვის არზა მოურთმევიათ, რომ ჩვენ ქალაქში ვერ ჩავალთო და თუ გვიბძანებთ ან თელავში, ან ქიზიყში გვახლებითო... ასე ამბობენ თურმე, რომ ავიყრებითო და სულ რუსებთან ვლაგირში საფურცლეში ავალთო... ახლავ ... ოთხი, ან ხუთი კარგი ბეჯითნი თავადისშვილები გამოისტუმრონ და როგორც პირველი ბძანება არის, ისე კაკაბეთიდამ მოკიდებული აყარონ და ქალაქში ჩამოიყვანონ, რომ არავინ დააკლონ, და ისინი რომ ქალაქს ჩამოვლენ, მაშინ ქალაქიც კარგა დადგება... (სს, III, გვ. 304).

კაკაბეთი 1800 – იხ. გურჯაანი

კაკას ხიდი. იმერეთი

კაკას ხიდი 1648 – იხ. ქართლი

კაკელათი. ქვემო ქართლი (?)

კაკელათი 1732 – იხ. პატივანი

კაკი. ქვემო ქართლი (?)

კაკი 1732 – იხ. პატივანი

კაკი. პერეთი

კაკი 1031-1033 — იხ. მცხეთა

კალა // კალისა ჴევი. სვანეთი

კალა XIII ს. II ნახ. — იხ. სვანეთი

კალა XIV II ნახ. — იხ. სვანეთის ჴევი

კალა XIV–XV სს. — წმიდისა კვირიკეს პირობითა, კალა გაურისხდეს, რომელმანცა კაცმან სამართალი დაუჭიროს... ამისნი მოწმენი არიან — წმიდაი კვირიკე კალისა (სწძ, I, გვ. 222).

კალა XIV-XV სს. — იხ. ჭალდე

კალა XV ს. — წმიდისა კვირიკეს კალისა თაუსდებობითა ... დავდეეით დაწერილი ... ამა პირსა ზედა: რაც ჩუენისა მთისა საქმესა მოყვეს ... პირი და პასუხის გამცემი წმინდა კვირიკე კალისა და კალისა ჴევი ერთობილი ვართ (სწძ, I, გვ. 220).

კალა XV ს. — იხ. ლატალი

კალამა // კალამთა. არტაანი

კალამა XIII ს. II ნახ. — იხ. ქვემო ტიკაანი

კალაური // კალაურნი. კახეთი

კალაური 1392 — იხ. ტფილისი

კალაური 1428 — იხ. საგარეჯო

კალაური 1455 — იხ. ვეჯინი

კალაური 1642 — [ბრძანება თეიმურაზ I-ისა]: ... კალაურში ზალდასტინისეული მამული, შენი და უშენი, მთითა და ბარით, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, ყუელა უკლებლად ზაქარიასა და ავალისათვის ... გუიბოძებია... (სს, III, გვ. 546).

კალაური 1711 — ... ჩუენ, ვაჩნაძეს რამაზის შვილმან ქაიხოსროვ ... თქუენ, ჯანდიერისშვილს მდივანბეგს პაატას ... მოგყიდეთ ჩუენი მკუიდრი მამული კალაურში... ამ ბიკიკისშვილებს გავაზს რაც მამული აქუს, ის არ მამიყიდია... მოწამე ამისი ... ქისიყის მოურავი რევაზ... ჩოლაყაშვილი თიანეთის მოურავი გარსევან... (დსსი, I, გვ. 381-382).

კალაური 1720 — [იმამყული-ხანის წერილი უსეინყული-ხანისადმი]: ... ჩვენ თქვენის ჯარის დასახედავად ... წამოვედით, ორშაბათს რომ კალაურში მოვედით, ჩვენმა ყარაულმა ამბავი მოიტანა: ალაზანს ლეკის ჯარი გამოვიდაო... დილას იმათთან ჩაშველება გვინდოდა. ქარხანა რომ დააყვირეს, იმ დროს კიდევ სხვა ყარაული მოვიდა: — ლეკის ჯარი იორზე მოვიდაო და რადგან იორზე მოვიდაო, ლაშქარს და მის გარეშემო ალაგებს ეეღარ მოხვდებაო... ყველამ ეს მოგვახსენა: ეს ჯარი ან საგარეჯოს, ან მარტყოფს და ან უჯარმას და უფრო საგარეჯოს მიუჴდებაო. ჩვენ შეესხედით ... გიორგწმინდას მიეედით, ჯარს აქ მოველით და ეგების მარტყოფს ან უჯარმას მოვიდეს ... ჯერ არ შემოგვყრიან ... პირველ რომ ლეკის ჯარის ამბავი მოგვივიდა, მაშინვე საგარეჯოს ნაცვალი გაახლეეით და ჯერ არ

მოსულა. ახლა თქვენი ამბავი აქ, საგარეჯოს გვიბძანეთ ... აქ საგარეჯოს მოლოდინი გვქონდა ... (ქეწ, გვ. 45-46).

კალაური 1722 – იხ. მარტყოფი

კალაური 1722 – იხ. სარუსთველო

კალაური XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

კალაური 1749 – ... [ბეჟანამ მარცვალაშვილი] სვეტიცხოველს რომე მოვედით და ... გეყმევით ... თქვენს მამულზე, ზვარზე დაგვაყენეთ კალაურში-მე, კალაურის მღდელს პაელეს დამიწერია ეს წიგნი... (დსსი, I, გვ. 337-338).

კალაური 1757 – იხ. კონდოლი

კალაური 1772 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს ... კალაურის მოურავს ქვრივსა... მოგეხსენებათ, საგარეჯოს თავისი მემკვიდრე და გამბეგრავი მოურავი არა ყოლია და ჩვენი ამ სახელოს მოცემის მახსოვარი არავინ კია... [ოქმი]: ჩვენი ბძანება არის კალაურელნო. მერე კალაურის მოურავს ... სამი მსახური უნდა მისცეთ... აგრევე წინსაგარეჯოს მოურავს, რაც განწესება ქონდეს ჯარიმიდან, აგრევე უკანა საგარეჯო ეს არის, აქედამ უნდა მიეცეს ამ მოურავს ჯარიმის წილი... (ქსძ, VII, გვ. 223-224).

კალაური 1773 – იხ. სკრა

კალაური 1785 – იხ. ფაშაანი

კალაური 1786 – იხ. ქართლი

კალაური 178? – იხ. ველისციხე

კალაური 1792 – იხ. აკურის ბოლო

კალაური 1793 – იხ. ახალქალაქი

კალაური 1798 – კალაურის მოურავის ომანისა და ამათის ძმებისა და ამათის სახლისკაცისა – შაშიანის მოურავისა და ამისის ძმების სარჩელის მისაცემად თუმანიშვილი მდივანი სულხან, ჯიმითის მოურავი იოსებ და მდივანი თუმანიშვილი დიმიტრი ... წარივლინენ... ბეჟანაურის ვენახი ფრიდონისა და ამისის ძმების ბარათში წილად ნარგები არის; ეს ვენახი ომანის მამას გაუკაფია და სასახლეთ აუშენებია, რომ დღესაც შიგ დგანან და მას აქეთ იმ ვენახის გამოსავალი ფრიდონსა და ამის ძმებს აკლიათ. და ამ ბეჟანაურის ვენახის საფარდოთ ზემოხსენებულთ მოსამართლეთ, ორსავ მხრის ნებით, ბრატიაულის ვენახი მოუზომიათ და ფრიდონისა და ამისის ძმებისათვის მიუციათ... (ქსძ, VI, გვ. 78-79).

კალაური 1799 – ... ბატონიშვილს ბაგრატს ებძანა ... კალაურის მოურავს ომანისთვის, თარხნის ლუარსაბისათვის და შაშიანის მოურავის ფრიდონისათვის: ფარსადან რომ დავითას უჩივის, ამათი საქმე თქვენ გაურჩიეთო. ჩვენ ასე გავარჩიეთ: დავით და ფარსადან რომ დაობდნენ, ახმეტას ორი კომბლი კაცი ყვანდათ დავითას, პეპინას და ფარსადანს გაუყოფელი... დავითს წიგნი მიეცა: აქ ეს ორი კაცი მე დამანებე და კალაურში რომ ჯამასპიშვილის ნაევნახობი გვაქვს ... ის მამული მომიცია... (ქსძ, VI, გვ. 102-103).

კალაური 1799 – ... ბატონიშვილს ბაგრატს ებძანა: კალაურის მოურაო ომან, თარხანო ლუარსაბ და შაშიანის მოურავო ფრიდონ! ბარამიშვილს ფარსადანს და ამის სახლის კაცებს რაც სადაო მამულები გქონდეს, თქვენ გაურჩიეთ და გაუყავითო. ამ იოვანეს, ფარსადანს და პეპინაშვილს ზაალს ასე გაუყავით: ზევით სასახლები რომ პეპინას გრდანელისათვის რომ გარდიგარდმო მიწა მიეყიდნა, ის გავზომეთ და ორი იმისი ტოლი იოვანეს და ფარსადანს მიეცით და პეპინაშვილი იმ სასახლიდამ უწილო გამოვიდა. სილოვანეს მიჯნას აქათ იოვანეს და ფარსადანს მიეცით. ამ ორთ შუა უნდა გაიყონ... და სილუანეს რო კვირაცხოველის მიწებში რომ გარდიგარდმო არის, ის მიწა აიღო და ქვევით მუნიას მიწა მისცა იოვანეს ... აფხაზიანთეული ხოდაბუნი შუა უნდა გაიყონ... (ქსძ, VI, გვ. 104-105).

კალაური 1800 – ... ხელმწიფის წინაშე მოსახსენებელი ... ერთობლივ ჯანდიერიანთა... კალაურნი შეყრილან ჩვენზედ, აღარც მინდორში გაგვატარეს, აღარც ტყეში, ჩვენს სამკვიდრო მამულში... [გიორგი მეფის ოქმი]: ის მამული ორთავა ხნან, მადამდის ჩვენ კახეთში მოვიდოდეთ და ... მოვარიგებთ... (სს, III, გვ. 182-183).

კალაში. სვანეთი

კალაში XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

კალერი. ქვემო ქართლი

კალერი 1751 – იხ. ახალშენი

კალთუბანი. კახეთი

კალთუბანი 1585 – იხ. ვეძისხევი

კალობანი. თბილისი

კალობანი 1560 – იხ. ტფილისი

კალობანი 1562 – იხ. ჩოჩეთი

კალობანი 1718 – იხ. ზენადრისი

კალოთხევი // კალოთხევნი. ქვემო ქართლი (?)

კალოთხევი 1619 – ... ჩუენ, ბაბუჩამა ... სოლოღაშვილსა ... შიოსა ... მოგყიდეთა ჩუენი მკუიდრი მამული კალოთა ხევანი საქუდაში – შუიდისა დღისა მიწა, ერთი მხარი ღელე, ერთი მხარი ალიყულას მიწამდინა... არიან ამისნი მოწამენი: მამასახლისი ჰმაზა, ხუცესი ტერ-სარქისა ... სრულად კუმელნი ... (სს, II, გვ. 405-406).

კალოთხევი 1697 – იხ. კლდის თავი

კალუათა. იმერეთი

კალუათა 1727 ახლო – ... ჩვენ, აბაშიძემ ლუარსაბ თქვენ, ბატონს წერეთელს პაპუნას ... მოგყიდე კალუათას გიგია მგელაშვილი მისის ... მამულით (დსსი, I, გვ. 458).

კალუათა 1727 ახლო – ... ჩვენ, წერეთელმან გოშაძემ ... თქვენ, წერეთელს ბატონს ქველს ... მოგყიდეთ კალუათას იაკობიძე შოშიტა... (დსსი, I, გვ. 459-460).

კამარეთი. ქვემო ქართლი

კამარეთი 1792 – იხ. ბალიჭი

კამკამაების წყალი. შიდა ქართლი

კამკამაების წყალი 1799 – იხ. ურბნისი

კანჭიყარა. ქვემო ქართლი

კანჭიყარა 1733 – იხ. ჩხიკვეთა

კაჟის სამანი. იმერეთი

კაჟის სამანი 1515-1535 – იხ. კაცხი

კაჟის სამანი 1615 – იხ. კაცხი

კაჟის სამანი 1680-1696 – ჯაფარიძე ხოსია და თაყა იძლევიან წიგნს კაჟის სამანსა და რკინის ჯვარს იქით რგანისკენ საცილობელ მიწის კაცხის მაცხოვრის სასარგებლოდ დარჩენის შესახებ (სკ, III, გვ. 61).

კარალეთი. შიდა ქართლი

კარალეთი 1467 – იხ. შავშეთი

კარალეთი 1651 – იხ. ბიბლიანთუბანი

კარალეთი 1703-1711 – ქსნის ერისთავი, თუმანიშვილები და გორელები კარალეთის ჭალის საქმეზედ ლაპარაკობდნენ... ნაკოშკარსა და წყაროს ზევით კარალეთისა ყოფილიყო და ერისთავს დავანებეთ... და ამავე ნაკოშკარსა და ნეფის წყაროს ქვევით, როგორათაც უწინ თუმანიშვილებსა და გორელებს ჰქონდათ, იმათთვის დაგვინებებია... (ქსძ, IV, გვ. 270).

კარალეთი 1716-1724 – იხ. ხევთუბანი

კარალეთი 1717 – ... ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... შაჰნავაზ ... თქვენ ... ციციშვილს ქაიხოსროს ... გიბოძეთ თქვენი სამკვიდრო სოფელი კარალეთი ყოველის მისის ... სამძღვრითა, მთითა, ბარითა... (ქსის, გვ. 426-427).

კარალეთი 1746 – ჩვენ, ერისთავმა დავით ესე წიგნი მოგეცით შენ, ესიტაშვილს პაატას, ასე რომ კარალელი ჩვენი ყმა შავშიშვილი მამადყულიხანის დროს ცარიელი კაცი ყმათ მოგსლოდა, მერე ისევ თავის მამულზედ წამოსვლა მოინდომეს... თუ როდისმე ამით ვისმე კახეთს ისევ წამოსვლა მოუხდესთ, თქვენს მეტს საქმე არავისა ჰქონდეს... (სს, I, 1920, გვ. 91).

კარალეთი 1754 – იხ. ჭალა

კარალეთი 1756 – ერისთვის ნაზირს, კარალეთის მოურავს, თავქალაშვილს გიორგის, მიუცია აზატობა გერმანოზისშვილის ომანის ყმის ენაგეღლის უსატაშვილის ბეჟანისთვის... (სს, I, 1920, გვ. 95).

კარალეთი 1762 – იხ. ენაგეთი

კარალეთი 1771 – იხ. ახალგორი

კარალეთი 1774 – იხ. ქსანი

კარალეთი 1781 – იხ. გორი

კარალეთი 1789 – ღმერთმან ... ხემწიფის ჭირი მოსცეს ... ერთობლივ კარალელთ... ბატონისაგან შემოწერილი პური გამოგვერთვა კალაურის მოურა-

ეის ხელით... ერთი ძროხაც გორს ბატონიშვილისათვინ გამოგვართვეს. კიდევ ოცდასამი კოდი პური აქ გორს მივაბარეთ... (ქსძ, VIII, გვ. 22-23).

კარალეთი 1795 ახლო – იხ. აღაიანი

კარალეთი 1797 – ... მისკარბაშის ჯალაბს, ჩემს საყვარელს დას, მეფის ასული ქეთევან მრავალს მოკითხვას მოგახსენებ... პური გეთხოვნათ და მომირთმევია, დიაღ, ბევრი ხარჯი მომივიდა წელს და აღარც მქონდა, თორემ ასე ცოტას კი არ მოგართმევდი... ეს ბარათი კარალეთს გაგზავნეთ მამასახლისთან და იქიდამ მოატანინეთ... (სს, III, გვ. 70-71).

კარალეთი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

კარანეხი – იხ. კარდანეხი

კარასპუორი. ქვემო ქართლი

კარასპუორი 1661 – იხ. სომხითი

კარაქაები. ქვემო ქართლი

კარაქაები 1636 – იხ. საბარათაშვილო

კარბი // კარბაი. შიდა ქართლი

კარბი 1348 – იხ. ქართლი

კარბი 1433 – იხ. ქვეში

კარბი 1646 – ... ჩუენ მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან პატრონმან როსტომ ... თქუენ ... ზევდგინიძეს გივსა ... გიბოძეთ კარბს, რისაც მქონებელი [თქვენი ბიძაშვილი] თამაზ ყოფილიყოს ... ვიდრე მთით ბარამდე უნაკლოდ... (ქსის, გვ. 198).

კარბი 1754 – იხ. დიღომი

კარბი 1766 – იხ. გორი

კარბი 1771 – იხ. ტინისხიდი

კარბი 1771 – იხ. ქვემო ქართლი

კარბი 1774 – [მორიგეთა სია კარბიდან]: ... უნდა იყოს მორიგედ: კარბიდამ გორიჯვრის ყმა მახარაშვილი... ზაალ დავითიშვილის ყმა კოკოლაშვილი... ახპატის მონასტრის ყმა ასლანიშვილი... ბეშოელი ტარშაიჭაშვილი დათუა... ანანიაშვილის სახელო გოგნიაშვილი... ამილახორიანთა ყმა გულისადებაშვილი... იოანე მდივანბეგის ყმა ზანზალაშვილი... იულონ ბატონიშვილის ყმა კოშორიძე... სარდლის დავითის ყმა ავაზა... მდივანბეგის იესეს ყმა დავითიშვილი... სამცხეთო კველიაშვილი... ფალავანდიშვილის ერეკლეს ყმა რიკაძე... შერმაზან გნოლის-ძის ნასყიდი ივანე რაჭველი... ბუჭყიაშვილის ყმა შანაზარაშვილი... ნიკოლაოზ აბაშიძის ყმა კაკიაშვილი... პეტრე ავალიშვილის ყმა მამულაშვილი... მთავარეპისკოპოზის ყმა ანანიაშვილი... ბასილაშვილის ყმა ხატიაშვილი... ჩელიტას ყმა ბიზინაშვილი... უთნელიშვილის ყმა დვალიშვილი (სეიძ, II, გვ. 126-128).

კარბი 1776 – იხ. აწყური

კარბი 1777 – ... ამილახორის ნაზირს ბასილისშვილს შერმაზანს ... ორი კვამლი კაცი მყავს ... კარბს... ბეჟან ამილახორისშვილი მოსულა და იმ ჩე-

მის კაცებისათვის სახლები თავს დაექცია ... და ჩემი ცოლ-შვილიც გამოეყარა. ჩემი ერთი კაცი ნადირაძე აყრილა, კახეთს ჩასულა; და ერთი საერისთოს გასულა... (ქსძ, VII, გვ. 369-370).

კარბი 1778 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს პარტელს დავითისშვილის ჩელტია იასეს ხიზანს ვარძელაშვილს თევდორეს. კარბს ჩელტიას ... ხიზნად გახლავარ. ჩელტიას ძმისწულს გოგიას ხომ ოსების ტყვის დასყიდვა შააჩნდა. იმ ოსების პატრონები მომიხდნენ, ამიკლეს... ამ ჩელტიას ძმისწულს ცოლ-შვილი იმერეთში ჰყავს, თითონაც იმერეთს იპარება... (ქსძ, VII, გვ. 397).

კარბი 1784 – იხ. დგვრისი

კარბი 1795 – იხ. გორი

კარბი 1785 ახლო – იხ. ქარელი

კარბი XVIII ს. მიწ. – იხ. ნიქოზი

კარბი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

კარგარეთი. შიდა ქართლი

კარგარეთი 1795 – იხ. ერთაწმინდა

კარდანეხი // კარდანეჯი // კარდანახი // კარანეხი. კახეთი

კარდანეხი 1455 – იხ. ვეჯინი

კარდანეხი 1696 – ... ჩვენ ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმან, კახეთის აქიმმან სარდალმან ქალბალი-ხან ... გიბოძეთ შენ ... მილახვარს გურგენს და დემეტრეს ბეგს ათი კვამლი კაცი კარდანეხს, აფხაზისშვილის ნაქონი მამული ზურაბისა, დანაშაულზედ და ძმის დაჭრაზედ ჩვენგან წართმეული... (ქსის, გვ. 379).

კარდანეხი 1710 – ვაჩნაძე ბებურიშვილები ზურაბ და დურმიშხან და დათუნა აფხაზიშვილი კარდანეჯის ბოლოს საჯნავს მიწაზე შეცილებულიყვნენ... ჩვენ ქიზიჯის მოურავიშვილი ეშიკაღასბაში პაატა ამ საქმეზე კარდანეჯს მოვედით და ორნივ ვალაპარაკეთ... ზურაბსა და დურმიშხანსა და მის ძმებს ეს მიწა ხოდაბუნათ დარჩა... არის ამისი დამხუდომი ... ანაგის ქევხა შერმაზან... ვაქირით: ნანობაშვილი ბერო... მაჩხაანით: მანთეშაშვილები ჴელმიწიფის იასაულები... (ქსძ, IV, გვ. 230).

კარდანეხი 1716 – [წყალობის წიგნი იმამყული-ხანისა დემეტრესა და მდივან გურგენისადმი]: ... ქაიხოსრო ვაჩნაძე ... ლეკში წავიდა ... და ქუეყნის სისხლშიც გაერივა... [მისი] მამულის წყალობა თქუნთვის გვიქნია: კარდანეჯს, ბაკურციხეს, გავაზს... (ქსოის, გვ. 42).

კარდანეხი 1737 – ... ესე წიგნი მოგართვით ჩვენ, ვაჩნაძემ ბებურიშვილებმა ... თქვენ, ვაჩნაძეს ასლანს... კარდანეხს ჩვენი სახლი ვამჯობინეთ საციხედ, ჩვენც ყაბული ვქენით, დავდეეით საგვარეულოთ, არას ჩვენის სახლისკაცს საქმე არ ჰქონდეს... (სს, III, გვ. 447).

კარდანეხი 1737 – ... ჩვენ, მეფეთ-მეფემან ... თეიმურაზ ... ესე ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ ... ერთობლივ კარდანეჯელთ... ჩვენი სახასო ყოფილიყვე-

ნით და უამთა ვითარებისაგან თავადიშვილებს მისცემოდა... ახლა ჩვენც ... სახასოდ დაგდევით... ჯიზიყზედ დაგვიდვია... (დსსი, I, გვ. 398-399).

კარდანეხი 1764 — იხ. გავაზი

კარდანეხი 1768 — იხ. ალაზანი

კარდანეხი 1772 — ჩვენ ორთაეე საქართველოს მეფემ ირაკლიმ ... გიბოძეთ [პაპა ვაჩნაძეს] საჯილდაოთ კარდანეხს სამი კომლი კაცი ვაჟებდაშვილი ... თავისის მამულითა (სს, III, გვ. 16).

კარდანეხი 1773 — იხ. სავაჩნაძო

კარდანეხი 1778 — ... [ყმა-მამულს] რომ დაობს ზაქარია მოურავის შვილი, ის კარდანეჯში მოიკითხონ. თუ ის ასეთი სამოსახლოა, რომ კოშკი არის და სახლის ადგილი და ბოსლისა და სამი ოთახის სახლის ადგილი, ისიც უნდა შუა გაიყონ. და თუ მარტო ბოსელია და ვენახის სახლი, რადგანაც ის ვენახი გაფარდებულია, იმ ვენახისა იქნება და არ გაიყოფა... (ქსძ, V, გვ. 47).

კარდანეხი 1779 — იხ. გავაზი

კარდანეხი 1780 — [ოქმი ერეკლე II-ისა]: უფალნო კახეთის მსაჯულნო... ჩადით კარდანახს, ამ ბებურიანთ ... სადაო მამულები ყველა გაშინჯეთ... და რაც თქვენ ვერ გადასწყვიტოთ, ის ჩვენზედ მოაგდევით. ქალაქს ჩამოვიდნენ და იმის სამართალს ჩვენ უსჯით. (ქსძ, VIII, გვ. 69).

კარდანეხი 1784 — ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ლუარსაბ ონანაშვილის დედას შირინას... კარდანეხს რომ თქვენი წყალობა მამული გვაქვს, ის ცოტას ხანს მეფემ მამადყული-ხანმა ჩამოგვართვა... მერე ადგა ჩემი მამამთილი, და ერთი საყბეური ... და ერთი კარგათ გაწყობილი ხმალი ... ბატონს მიართო ... და ეს მამული ისევ გვებოძა. დღეს ამ მამულს ჩემი შვილი და ჩემი მაზლის წული იყოფენ (ქსძ, VII, გვ. 625).

კარდანეხი 1785 — კარდანეჯის გლეხები ... გაიყვეს ონანაშვილმა ლუარსაბ და ზაქარიამ... (ქსძ, V, გვ. 306).

კარდანეხი 1787 — ბებურიშვილი ომანის შვილი ზურაბ თავის ყმას, სესიას, ბატონყმობაზედ უჩიოდა. ასე რომე: ... აიყარა კარდანეხიდამ და ვაჭრში დადგაო (ქსძ, V, გვ. 356).

კარდანეხი 1787 — მოურავმა და თოფჩიბაშმან იჩივლეს კარდანეხს ხოლოშვილის სასახლეზე. ამ ხოლოშვილს სამი სასახლე ჰქონია და ეს სასახლეები მოურავისა და თოფჩიბაშისა შუა გასაყოფი ყოფილა... (ქსძ, V, გვ. 385).

კარდანეხი 1788 — ზაქარია ქიზიყის მოურავი და ამის სახლისკაცნი დავით აფხაზს მამულზე ... ედავებოდენ... წამოაყენეს ენდრონიკაანთ ... წყალობის წიგნები: ერთი, მეფის შაჰნავაზისაგან ბოძებული ... [და] მეორე, ბიძის ჩვენის კონსტანტინესი, რომლითაც დათუნა აფხაზის კერძ მამულს უწერს და სახელდობით კაცებს, კარდანეჯს სასახლეს და ბაკურციხეს რაც წილი ჰქონდესო, აძლევს... მესამე წიგნი ისევ მეფის კონსტანტინესი, რომელშიც

სწერს: გიბოძეთ ნახევარი დათუნა აფხაზის წილი, რაც გამოეტანოს მამული სავაჩნაძოს... (ქსძ, V, გვ. 421).

კარდანეხი 1790 – ... ჩვენ [მდივანბეგები] კარდანეხს გიახელით ბებურისა და ომანის შვილის მამულის გასარჩევლათ. თქვენის [მეფის] ბძანებით ვაჩნაძიანი სულ ერთად შემოვკრიბეთ... არ იქნა ჩვენგან ამათი გარიგება... (ქსძ, VIII, გვ. 78).

კარდანეხი 1798 – ბებურიშვილები ეშიკაღასბაში აიდემურ და იმის ძმისწული ზაქარია თავეთის ყმისა და მამულის გაყოფას ითხოვდნენ... ზაქარიას თავისგან გამორჩეული საუფროსოთ მიეცა ორი გლეხი – ერთი კარდანახს ... და მეორე ბაკურციხეს ... დღესაც რისაც მამულის მქონებელნი არიან. და საუარესოთ აიდემურმა მისცა კალაურს ... და კარდანახს [ყმამამული]... და კარდანახს რომ სასახლე აქვსთ, ის სასახლე საუმცროსოთ სრულად ერგო აიდემურს... (ქსძ, VI, გვ. 49-50).

კარდანუცი. კახეთი

კარდანუცი 1455 – იხ. ვეჯინი

კარელის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

კართუბანი. კახეთი

კართუბანი 1786 – იხ. კახეთი

კარი (ყარსის ქვეყანა)

კარი XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

კარი 1638 – იხ. მცხეთა

კარიანი. შიდა ქართლი

კარიანი 1796 – იხ. სამთავისი

კარიჭაული ვენაჭი. შიდა ქართლი (?)

კარიჭაული ვენაჭი 1719 – იხ. უმეკაური ვენაჭი

კარკუჩა. ხევი

კარკუჩა 1781 – იხ წკერე

კარმეჯახელი. ქვემო ქართლი

კარმეჯახელი 1741 – იხ. ისპიანი

კარპეტისხევი. ქვემო ქართლი

კარპეტისხევი 1792 – იხ. ბალიჭი

კარსანი. შიდა ქართლი

კარსანი 1392 – იხ. ტფილისი

კარსანი 1442 – იხ. მცხეთა

კარსანი 1447 – იხ. მცხეთა

კარსანი 1504-1511 – იხ. მცხეთა

კარსანი 1559 – იხ. სხალდიდი

კარსანი 1675 – ჩვენ ... ქართლის კათალიკოზი ... დომენტი და ერთობილნი მცხეთელნი ... დავსხედით და ჭარმაული იასეს შვილები და ზაქარია გავყარეთ... ზაქარიას თავის წილად ერგო და ჩვენც უბოძეთ: მცხეთის სასახლის ნახევარი; სამკვიდრო კარსანს სოლომონ შვილი რისაც მამულის დღეს მქონებელი იყუნეს; ფონთხელაზედ რაც მიწები აქვსთ, იმისი ნახევარი; თელის მიწის სანაცვლოდ პაატასა და ონანას კერძსა ორის დღის მიწა იქიე ფონთხელაზედ ზაქარიას მივეცით; ვენახის სანაცვლოდ ერთის დღის მიწა ფონთხელაზედ ზაქარიას მივეცით; ზაქარიას ნაშოვნი ძველი სვეტისცხოვლის ზვარი, ზერის ბოლოს ხოდაბუნი, ნიგოზათ მიწა ჭაობში... ბროწლეთს ქათიაშვილები ზაქარიას ნაშოვნი ივანა და გიორგი, რისაც მამულის მქონებელნი იყუნენ იმითა; აღაიანის მოურაობა... (ქსძ, IV, გვ. 136).

კარსანი 1692 – იხ. ციხედიდი

კარსანი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

კარსანი 1774 – იხ. აკნვალი

კარსანი 1781 – იხ. პავლეური

კარსანი 1782 – იხ. მცხეთა

კარუკულმართი. ქვემო ქართლი

კარუკულმართი 1707 – იხ. უზნარიანი

კარუკულმართი 1708 – იხ. უზნარიანი

კარუკულმართი 1719 – იხ. კარწახი

კარუშეთი. შიდა ქართლი

კარუშეთი 1783 – იხ. ბობნავი

კარშაგარი // კარშაგირი. ქვემო ქართლი

კარშაგარი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

კარწახი. ქვემო ქართლი

კარწახი 1719 – ... უდაბნოს ნათლისმცემელო, ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... ბაქარ ... შემოგწირეთ თრიალეთზედ ჩვენი სახასო სოფელი კარწახი. მას ჟამს, ოდეს მამას ჩვენს, მეფეს პატრონს ვახტანგს თავის გამეფებაში პირველად უზნარიანი და კარუკულმართი აეშენებინა ... შენ, გარესჯის უდაბნოს მრავალმთის მონასტრის[თვის] შემოეწირა; და კარწახი, ჩვენი სახასო, ძველად აშენებული იყო და მათში მრავალი შფოთი და ცილება იყო სამძღვრებზედა... აწ ის სოფელი კარწახიც ჩვენ შემოგწირეთ ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა და ის სამი სოფელი გავაერთეთ და ეს შფოთებაც დავაწყნარეთ... რარიგადაც ძველს მამის ჩვენის სიგელში უზნარიანის სითარხნე გიწერიათ, ესეც ისე გვითარხნებია.. (ის, V, გვ. 30-32).

კარჭაული. კახეთი

კარჭაული 1749 – იხ. შილდა

კასპი. შიდა ქართლი

კასპი 1392 – იხ. ტფილისი

კასპი 1429 – [წყალობის წიგნი ალექსანდრე I-ისა]: ... ქონდეს თქუენ, ზევდგინისძეთა: ეზოს ჩუხჩარეხსა და გორის მოურავსა ავთანდილს ... კასპი და იგოეთი ... ნასისხლად, ციხითა, მონასტრითა, აზნაურითა, გლეხებითა... გიბოძეთ ნადარბაზევი სასახლითა, გლეხებითა... და თუ ვის რა ამა ნასისხლისა კასპ-იგოეთისა და ანუ ჩუენგან წყალობად ბოძებულისა გომთა და ნადარბაზევისა სიგელი ჰქონდეს, იგი ყუალა ... გაგვიცუდებია... ვინცა ნახოთ ... სიგელი ესე ჩუენი ... გორისა და ატენის მოურავთა და ციხოანთა ... ნუცა-ვინ რას დააკლებთ... (ქსძ, II, გვ. 120-121).

კასპი 1508 – ... მე ... დამან მეფისა ბაგრატისმან გაიანე ... ვიყიდე კასპს ვენაჳი სამიასშვილის დეკანოზისეული წარწარიკაშვილის გოგნიასაგან. შემოჳჭირე ... უდაბნოსა წმიდის შიოსსა... (ის, II, გვ. 25).

ლელის თავი 1791 – იხ. რუისი

ლელის თავი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

ლელოვანი. შიდა ქართლი

ლელოვანი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ლელუბანი. კახეთი

ლელუბანი 1722 – იხ. მარტყოფი

ლელუბნის თავი. კახეთი

ლელუბნის თავი 1722 – იხ. მარტყოფი

ლელუბნის მთა. კახეთი

ლელუბნის მთა 1722 – იხ. მარტყოფი

ლელჯგრაგი. სვანეთი

ლელჯგრაგი XVII ს. – ... დაეჰწერეთ, ჩუენ ვიტყვით, ლელჯგრაგი, ერთმანერთის ერდგულობასა ზედა... რომელნი ლელჯგრისა მიწისათჳს მოკუდეს, შენდობისა მეტი იმას არაფერი ეშველებჲს... (სწძ, I, გვ. 160).

ლემოშხა. სვანეთი

ლემოშხა XIV ს. შუაწლ. – ... მე, ჯაფარისძემან კახაბერმან ... შენ სეტიელსა... მას უამსა ოდეს, ლემოშხაში ყანაი მოგყიდე... ამის ... თავსდებად მთავარმოწამე სეტისა... (სწძ, I, გვ. 175).

ლენჯერი. სვანეთი

ლენჯერი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

ლენჯერი XIV ს. I ნახ – ... ლენჯერის მონადირენი და ჩვენ, სეტელნი წაჲკიდენით სანადიროსა ზედა. მერმე, მოუყარეთ მოურაუნი საჯერონი... (სწძ, I, გვ. 163).

ლერწამა. ქვემო ქართლი

ლერწამა 1705 – იხ. ახოტა

ლერწამი. არაგვის ხეობა (?)

ლერწამი 1627 – ... ჩვენ, მეფემან ... თეიმურაზ ... თქუენ ... გურამიშვილს გივსა ... გიბოძეთ სოფელი ლერწამი, თემურყუთუნის ნაქონი, მათითა ყოველითავე მთითა, ბარითა... (სს, III, გვ. 537).

ლერწანი. ჰერეთი

ლერწანი 1579 – იხ. მცხეთა

ლესა. გურია

ლესა 1616-1621 – იხ. საგენათლო

ლეტი. კახეთი

ლეტი 1746-1749 – იხ. გრემი

ლეუი. შიდა ქართლი

ლეუი 1755 – იხ. ზერტი

ლელვთყელი. კახეთი

ლელვთყელი 1722 – იხ. მარტყოფი

ლელოვანი. იმერეთი

ლელოვანი 1709-1744 – ... მე ... აბაშიძემ ზურაბ ... შენ, გოგინა ქიოტიშვილს ... მოგეც ლელოვანს ხახლასსოული გადმოღმა ზორი გველდი მამულითა და ალაგით, წყლითა... (დსსი, I, გვ. 443).

ლეყერეთი. იმერეთი

ლეყერეთი 1630 – ჩვენ ... მეფეთ-მეფემან გიორგიმ ... ჩვენს ეკვდერს და სასაფლავოს ... მოგახსენეთ ლეყერეთს ქელბაქიანისსეული ორი გლეხი შალიკიანები... (დსსს, I, გვ. 48-49).

ლეყერეთი 1776 – ჩვენ ... აფხაზ-იმერთა მეფემან ... სოლომონ ... შემოგწირეთ ... ჩვენს ეკვდერს და სასაფლაოს მაცხოვარს ... ლეყერეთს შვიდი კვამლი კაცი შალიკიანები... ჟამთა ვითარებისაგან წაგრთმეოდათ, მერმეთ ამოვიყვანეთ და ისევ შემოგწირეთ მათი ბეგრით.... (დსსს, II, გვ. 53-54).

ლეყერეთი 1800 – ... მეფემან ... სოლომონ მეორემან .. ძველთა და ახალთა მამა-პაპათა ჩვენთა შეწირულნი გლეხნი და აგარაკნი ... ყოველთა მაჭირვებელთა და მოხელეთაგან განვათავისუფლე... ლეყერეთს შვიდი კუამლი კაცი შალიკიანები... (დსსს, II, გვ. 118).

ლეშკაში. ლეჩხუმი

ლეშკაში 1766 – იხ. ჟოშხა

ლეჩხუმი // ლეჩხუმის მხარე

ლეჩხუმი 1503 – იხ. რაჭა

ლეჩხუმი 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

ლეჩხუმი 1669 ახლო – იხ. საცაგერლო

ლეჩხუმი 1701 – იხ. ცაგერი

ლეჩხუმი 1748 – იხ. გარეჯა

ლეჩხუმი 1758-1765 – იხ. საირმე

ლეჩხუმი 1765-1767 – ... მე ... მპყრობელმან ოდიშ-ლეჩხუმისამან ... დადიანმან მეორემან კაციამ ... ჩვენს უდაბნოს ლეჩხუმისას ... უდაბნოს მამად დაგადგინეთ არხიმანდრიტი ღოღაბერიძე სილვისტრო და ეს მოსართმევი გაუჩინეთ... სხვა მამული და სომხები და მეთევზენი რაც შევსწირეთ იმას გარდა.. (დსსს, II, გვ. 35).

ლეჩხუმი 1766 – იხ. საირმე

ლეჩხუმი 1771 – ... ჩვენ ... დადიანის ოტიას ძემან უფლისწულმან ვოდიშ-ლეჩხუმისამან ნიკოლაოზ ... შემოგწირეთ .. რაც სათავისთავო მამული ლეჩხუმს მაქუს ახლა და ან ამას იქით ვიშოვო ... საირმის უდაბნოს... არის ამისი მოწამე ... ცაგერელ მიტროპოლიტი ანტონი... (დსსს, II, გვ. 44).

ლეჩხუმი 1778 – ... [ანტონი ცაგერელს] მერწმუნა ეკლესია შენი ქვეყანასა ლეჩხუმთასა ცაგერს და ძველთაგან შეწირულნი სოფელ-დაბანი და სამწყსონიცა მისნი... მცირედი რაიმე ვმატე ეკლესიასა შენსა... უსახელოს: სასახლე ერთი გიორგი ჩიქოანის ნაქონი, ძმისა ჩემის ბატონის დადიანის კაციასაგან ნაბოძები ჩემდა თავისის განსაზღვრული მიწითა, წყლითა, ჭურმარნითა და ოთხის მოსახლის კაცითა; ზუბისციხე საკუთრად თავის ეკლესიისათვის ხუთის კომლის კაცითა; ოჯოლას: ბატონის მეფის სოლომონის წყალობითა და შეწევნითა მოვიგე სასახლე ერთი თავისის მიწით...

ათი კომლი კაცი ყოველსავე მათი ქონებულით და სხვა ოჯოლაცა მისივე მეფისაგან ამოღებით განვაახლე... (ქსძ, III, გვ. 919-921).

ლეჩხუმი 1789-1810 – სახლთხუცესმა წერეთელმა ზურაბ უჩიელა [როსტომ ნიუარაძეს]: ... ბატონს შეწყალებული ეყავდი და პირველსავით სანდო ყმათ ლეჩხუმს მაგზავნიდა და ბააკა ჩიქუანთან ლეჩხუმს აძლევდენ ბატონს. შენ მოახსენე ბატონს: სახლთხუცესს ასრე რატომ მიენდვე, რომ იქ აგზავნი ბააკას, იქ ლეჩხუმშიდ ისევ გელოვანათ გაიკეთებს, იმერეთშიდ ეს იქნება პირველად და როდესაც უნდა, როგორც მოინდომებენ, ისე გიღალატებენო... (ქსძ, VI, გვ. 434-436).

ლეჩხუმი 1798 – [წერილი სოლომონ II-ისა დარეჯან დედოფლისადმი]: ... დადიანის ოჯახს არავის დავამდაბლებინებო, გებძანა... და ნაკლებობა თუ აქვსთ რამე მაშინ გამიწყერით... მამული ჩემი სამკვიდროც უჭრიავსთ ლეჩხუმის მხარეს ერთი სოფელი, რომ ჯმა არ გამიცია და არ მითხოვია და არც ვთხოვ, თორემ თავისას ვინ რას მოიკლებს... (სს, III, გვ. 236).

ლეჩხუმი 1798 – იხ. თორტიზა

ლეჩხუმი XVIII ს. – ... ესე... წყალობის წიგნი ... გიბოძე მე, ლეჩხუმის სარდალ-მოურავმან გელოვანმა ქაიხოსრომ ... თქვენ, ჩემს სასურველს შვილს ხვახვას... (მსსეი, გვ. 113).

ლეჩხუმის საირმე – იხ. საირმე

ლეჩხუმ-სვანეთი

ლეჩხუმ-სვანეთი 1761 – იხ. თაკვერი

ლეჩხუმ-სვანეთი 1768-1772 [კაცია დადიანის ბეჭდის წარწერა]: ვინ მომცა შავ ზღვას აქეთი ... მაქვს ლეჩხუმ-სვანეთი, კაცია“ (იდ, I, გვ. 158).

ლეწერის ყანა. სვანეთი

ლეწერის ყანა XIV ს. I ნახ. – ... ჩვენ, ერთობილმან სეტისა ჯეუმან ... თქვენ, მუტულიანსა თეუდორეს ... შენისა ლეწერისა ყანისა მუქფად, შენისა ძმისა რაფაელისა სასახლეს ქვემოდ, აღმა სასახლე გიცვალეთ მკვიდრად... (სწძ, I, გვ. 164-165).

ლეხანი. ლეჩხუმი

ლეხანი 1669 ახლო – იხ. საცაგერლო

ლეხანის ჯალა. ლეჩხუმი

ლეხანის ჯალა 1669 ახლო – იხ. საცაგერლო

ლეხთაგი. სვანეთი

ლეხთაგი XVII ს. – დავიწერეთ წიგნი ესე წმიდაჲ გიორგის სეტისა თავისდობლობითა ... ლეხთაგს ქართნილს შუა... თუ აზნაური ვინი გასცელიდეს, თუ გლეხს უღალატოს ... ყოველმან სეტელმან ერთობილიმან, ლეხთაგს ქართნილს შუა ერთობ მიეტანოს იგი, მისი სახლი დააწუს. ვინ ჩხუბ ქნას კახჲრას ფშყურს შუა, სახლი დააწუს მისი... (სწძ, I, გვ. 157).

ლეხთიმერი – იხ. ლიხთიმერი

ლეჯის ტყე – იხ. ღეჯის ტყე

ლია. შიდა ქართლი

ლია 1527-1558 – იხ. მუხრანი

ლიახვი // ლიახუი // ლიეხუი, მდინარე, ხეობა. შიდა ქართლი

ლიახვი 1633 – .... ჩუენ, მეფემან ... როსტომ, ესე წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... ამილახორს პატრონს ბეჟანსა, ოდეს ლიეხუს ზედათ და ლიეხუს ქუეშეთ ქართლის ქუეყანა თქუენის სახლის კაცის სასარდალო ყოფილა... იმავე რიგითა და წესითა სარდრობა თქვენთვის გვიბოძებია... (ქსძ, VI, გვ. 663-664).

ლიახვი 1652 – იხ. ბადაბეთი

ლიახვი 1678 – იხ. მარანა

ლიახვი 1771 – იხ. ახალგორი

ლიახვი 1778 – იხ. ჭურთა

ლიახვი 1779 – იხ. ფოტორი

ლიახვი 1786 – [არზა ოთარ ამილახვრიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... თქვენი ბძანება არის, კვამლის კაცი აზნაურშვილი, გლეხი და საბატიოს კაციშვილი ლიახვის გამოღმართი უნდა შეგვეყარა და ბრეთსა და არადეთში ვიდგეთ. ახლა, ჩემო ხელმწიფევ, დაეიარეთ, ვინც შემოგვეყარნენ, აქ ბრეთს გახლავართ, მუდამ გავდივართ, სატიეს ქვით ეჩხრეკთ, ფონებზე ყარაულები გვიყენია. წინაზე ცოტა რამ კაცის კვალი ენახათ ფცის წყალზედა, წაევედით, ისევ წასულიყვნენ, გადაევლოთ.... (ქსძ, VII, გვ. 700).

ლიახვი 1791 – იხ. ტფილისი

ლიახვი 1799 – იხ. მუხრანი

ლიახვი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

ლიგლიგი. კახეთი

ლიგლიგი 1733 – ... ჩვენ, ქურხულმან დემეტრემ ... თქვენ, მონაზონს ანასტასიას ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მამული სადგომზე ბაგა, თავს გილიაშვილის საზღვრამდე, აქაჲ გვერდით ლიგლიგის მიჯნამდი... არიან ამისი ... მოწამენი ... სულა გარეჯელნი...(ქკმეის, გვ. 90).

ლიეხუი – იხ. ლიახვი

ლიეანა – იხ. ნიგალის ხევი

ლიკორწმინდა – იხ. ნიკორწმინდა

ლილო // ლილონი. კახეთი

ლილო 1289 – იხ. ვერე

ლილო 1722 – იხ. კახეთი

ლილო 1722 ახლო – [იმამყული-ხანის წერილი ვახტანგ VI-ისადმი]: ... თქუენი ლილოზედ გამოსელა გებძანათ... მაგრამე თქუენც მოგეხსენებათ: ლილო ჩვენზედ და აქეთ, კახეთზედ, შორს არის, თორემ თქუენის ჯარით გამობძანების უკეთესი რა იქნების... ასეთი ალაგებიც არის ლილოს გარდა, ჯარის სადგომი, სხვაგან, რომე ქართლზედ მიმავალ ჯარსაც წინ გა-

დუდგება იქიდამე და კახეთსაც არგებს – უმაგრესი ლილოსაგან... ლეკის აღსაყალებს ჩემთვის წიგნი რამ მოეწერათ ... „ვინც შენი ყმა გახლავს, ეგენიც წამოასხიო და ყარაღაჯში დაჯექო. ჩვენც კახეთის რბევაზედ ჭელს ავიღებთო და ჩვენც ქომაგნი ვიქნებითო. ქვეყანა დასწყნარდესო“... [უარყოფითი] პასუხი რომ შეუთვალეთ, შეიყარნენ და თელავს მოუჯდნენ. სოფელი დაწვეს და ძროხა და ცხვარი წაიღეს. ტყვის წასაყვანად კი ვერ შეუვიდნენ, ვინც გვახლდენ მივაშველეთ... ჩვენს ჯარს გამარჯვებოდა... ამის მეორე დღეს თუშნი მოვიდენ, შილდას მოუჯდნენ, დაწვეს და ბევრი ავი უყუეს. ტყუე, საქონელი წამოიღეს. რაც იმ სოფლებში ლეკის ჯარი დგას, ისინი თუშს ვერ შემოებნენ. თუშნი წავიდნენ, ახლა კიდეც აგრილდა... ვიცით, რომე ახლა დიდი ლეკის ჯარი მოვა, ამ სოფლებში დადგება, კახეთს ცემას დაუწყებს... (ქეწ, გვ. 64-66).

ლილო 1722 – იხ. მარტყოფი

ლილო XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ლილო 1735-1738 – ღმერთმან ... ვექილის ჭირი ... თბილელის ლილოელებს დავითასა და ბეჟანას მოსცეს... რაც ჩვენი გამოსაღები ყოფილა, თბილელისათვის მიგვიციია. ახლა ქალაქის მალში და სატარუღოში დაუწერივართ... (ქსძ, VII, გვ. 16-17).

ლილო XVIII ს. შუაწლ. – იხ. გარეჯვარი

ლილო 1786 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი მოსცეს ლილოზე მსახლობელს მოსეს და ხოსროს. ოსეთში ჩვენ ბიძაშვილები გვყავს და ჭაჭიშვილმა ელიზბარმა ამოგვიწყვიტა – შვიდი მოკლა და ოთხი დაატყვევა; და ჩვენი ციხეც ხელთ უჭირავს. ამ დავაზე ჩვენ და ჩემი სახლისკაცნი მოუხდით იმათ, ერთი კაცი მოუკალით და ერთი სხვა ციხე წავართვით. და ის იმათი ციხე ჩვენ გვიჭირავს და ჩვენი ოთხმოცი კაცი დღეს შიგ არიან... ჩვენი მოხსენება ეს არის: ბორტიშვილი იმისი ბატონია, იმან სამართალი გვიყოს და გადაგვიწყვიტოს, ჩვენ ყაბული გვაქვს... მოუხსენებია, ქცხილვანში გემტრობსო. ჩვენ კეხვს ქვეით არცარა გვიმტერებია და არცარას უმტერებთ. ახლა თუ სამართალი არა მოგვცა-რა, კეხვს ზეით კიდეც უმტერებთ და არც მოვეშვებითო... (ქსძ, VII, გვ. 686-687).

ლილო 1787 [ვალების ნუსხა ეგნატე თუმანიშვილისა]: ... შვიდი მინალთუნი ... გორელს იობანთ მოახლეს უნდა მივცე... ლილოზე მსახლობელს ოსს პურის ფასი უნდა მივცე... (მსეი, II, გვ. 75).

ლილო 1789 – [წერილი ერეკლე II-ისა]: ჩვენო ... შვილო ბატონო იულონ! მერე შენ ლილოზედ უნდა ახვიდე და იქ დასდგე. რომელიც ჩვენ აქ კაცი გვინდა, იმას აქ ჩვენ დავიჭერთ და ყაბზსაც მივსცემთ. და სხვანი სულ შენ უნდა გიახლნენ უკლებლად... (სს, III, გვ. 52).

ლილო 1792 – იხ. ზემო ქართლი

ლილოსგვერდი. კახეთი

ლილოსგვერდი 1579 – იხ. მცხეთა

ლილოს მთა. კახეთი

ლილოს მთა 1800 – იხ. ნორიო

ლიპი // ლიპნი // ლიპები. ქვემო ქართლი

ლიპი 1523 – იხ. მძოვრეთი

ლიპი 1699 – იხ. მანგლისი

ლიპი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

ლიპი 1774 – ... თქვენ, სარდალს სახლთუხუცეს დავითს ... მე, დედოფლის ეშიკაღათბაშმამ იარალიმ ... მოგყიდე ჩემი სამკვიდრო მამული ლიპი ... თავის სამძღვრამდინ; ნაპალატევი თავის ... სამძღვრამდინ; ჰორმესშენი[132] სოფელი თავის მთითა და სათიბითა... (სს, I, 1899, გვ. 101).

ლისი. შიდა ქართლი

ლისი 1392 – იხ. ტფილისი

ლისი 1523 – იხ. მძოვრეთი

ლისი 1559 – იხ. მცხეთა

ლისი 1594 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან სუიმონ ... გიბოძეთ ... სააკაძეს გიორგის ... ესე სოფელი ლისი... ძველი წიგნები წაიკითხეთ, შეიტყვენით, რომ შენის გვარის კაცის ყოფილა და ჩუენც იმ წესით და იმ საქმით გუიბძანებია... (სკ, IV, გვ. 73).

ლისი 1633 – იხ. ზემო ოძისი

ლისი 1635 – იხ. ენაგეთი

ლისი 1635 – იხ. ფიცხისი

ლისი 1683 – იხ. წოდორეთი

ლისი 1711 – ... მოგეცით ჩვენ, ბეჟან და ლევარსაბმა, შენ, ბიძის ჩემის შვილს ზაალს ... ვალის გირავოთ ... ჩვენი წილი ლისის მამული თავის გლეხებითა ... [და] წინარეხს ჩვენი წილი გლეხი თავის მამულითა. ახლა ამა ვალებისათვინ ჩივაძე პატა გავგზავნეთ კადაპარს ჩვენს ძმას დემეტრესთანა... (მსეი, II გვ. 11-12).

ლისი 1785 – [არზა თარხანა ყორღანაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ლისის მინდორში ორი ჩემი მეცხვარენი დაიკარგნენ, ლეკებმა წაასხეს; და ახლა ერთი მეცხვარე ბიჭი კი დაუხსნიათ, ოც თუმანს მთხოვენ... (ქსძ, VII, გვ. 671).

ლისი 1793 – იხ. ოძისი

ლიქოკი. ხევსურეთი

ლიქოკი 1750 – იხ. ფშავი

ლიყურეთი // ლიყოური. ქვემო ქართლი

ლიყურეთი 1632-1658 – იხ. ფიტარეთი

ლიყურეთი 1646-1658 – იხ. ჭრეში

ლიყურეთი 1661 – იხ. მშავნი

---

132 ორომაშენი

ლიყურეთი 1690 – იხ. ისპიანი

ლიყურეთი 1792 – იხ. ბალიჭი

ლიშო. კახეთი

ლიშო XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

ლიჩი. იმერეთი

ლიჩი 1401-1415 – იხ. ულუმბა

ლიჩი 1691 ახლო – ჩვენ ... მეფეთ-მეფემა ალექსანდრემ ... შენ, წერეთელს ქაიხოსროს ... მოგეცით ლიჩი სამოურაოთ... (იდ, I, გვ. 26).

ლიჩი 1691 – იხ. ხეფინისხევი

ლიჩი 1746 – იხ. სვერის ციხე

ლიჩი 1760 – დაბძანდა ... ბატონისშვილი ... არჩილი, თან იახლა ... მოსამართლენი. დავით ამირეჯიბი შეხვეწნოდა ბატონს მეფეს: ლიჩელებმა ხვთისშმობელს ბეგარა არ მამცესო. მეფეს თავისი ძმისთვის ებძანებინა, კარგათ გამოიძიეთო... დიახ, ხვთისმშობლის შეწირული ყოფილა ლიჩი, ღოდორა, გოლისი ფიცრის ხიდსა და ხეფინის ხევს შუა. მაგრამ მტრისათვის რომ შემოგვივლიანო მტრისაგანო, ისევ ჩვენი ხელი დაუდევსთ... (ქსძ, IV, გვ. 476)

ლიხთამერი // ლიხთამერეთი // ლიხთამერეთი

ლიხთამერი 1325 – იხ. ვარძია

ლიხთამერი 1447 – იხ. მცხეთა

ლიხთამერი 1627 – იხ. ნავარძეთი

ლიხთამერი 1777 – იხ. ქუტირი

ლიხთიმერი // ლიხთიმერეთი // ლიხთიმერეთი

ლიხთიმერი IX ს. მიწ – იხ. ცხევერეთი

ლიხთიმერი XIII ს. II ნახ. – იხ. ბნავისი

ლიხთიმერი 1325 – იხ. ვარძია

ლიხთიმერი 1463 – იხ. იმერეთი

ლიხთიმერი 1633 – იხ. აბისი

ლიხთიმერი და ამერი 1731-1743 – იხ. ღები

ლიხთიმერეთის სამეფო 1740-1750 – იხ. გელათი

ლიხის მთა

ლიხის მთა 1661 ახლო – იხ. ბუჯისწყალი

ლოგობეთი. შიდა ქართლი

ლოგობეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

ლოგრიე. სვანეთი

ლოგრიე XIII-XIV სს. – იხ. კურხილის ყანა

ლოზგორუა. იმერეთი

ლოზგორუა 1570 – იხ. ხონი

ლომაშვილისეული მიწა. შიდა ქართლი

ლომაშვილისეული მიწა 1738 მოგყიდეთ [საამ მაღალაძემ გიორგი მაღალაძეს] ჩვენი სამკვიდრო ... ევენაზაშვილი მარტია და ... ამასდა გარდა ლომაშვილისეული ზედა რუზე სამის დღის მიწა ზედა დაგვიდვია. არიან ამისი მოწამე ... მეტეხის ნაცვალი ივანე ... და სულ ერთობილნი მეტეხელნი, გომის ნაცვალი ივანე ... და სულ ერთობილნი გომელნი, ნიაბის მამასახლისი ... ბეჟანა, ... ნაბახტეველი სულხანა (დსსი, I, გვ. 280).

ლომისა. შიდა ქართლი

ლომისა XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

ლომისეული ვენაჯი. შიდა ქართლი

ლომისეული ვენაჯი 1260 – იხ. ხოვლე

ლომისციხე. კახეთი

ლომისციხე 1767 – ესე წიგნი მოგართვი მე, მკითხავ მარიამამ თქვენ, ბატონს ნეკრესელს... ამას იქით თუ ჩემი მკითხაობა კიდევ მოგხსენდეს, ცეცხლში დამწვით. არის ამისი მოწამე სულ ერთობლივ ლომისციხელნი... (გუჯრ, გვ. 80).

ლომისციხე 1776 – [არზა ბებურისშვილებისა ერეკლე II-ისადმი]: ... ორი სომეხი კაცი გეყვანდა ყაზახელი, არბობას უწინ ჩამოსული... ლომისციხე რომ ააშენეთ, ერთი ძმა აჰყარეთ და იქ დაასახლეთ და მეორეს ძმისა ჩვენ წყალობა დაგვემართება. ახლა კუჭატანს რომ აშენებდით, იქ აპირობენ დასახლებას. ყვარელს ბძანდებოდით. ჩვენ იქ გახლდით, მოგახსენეთ. ლუარსაბ ონანაშვილი იასაულად გვიბოძეთ. დაჭერილი მოგვაბარა ის კაცნი. ახლა ეს მორიგობა და სიღნაღის მუშაობა და ხარჯი რომ გაჩნდა, საქონელი სულ დაეყიდათ და ღამით გამოპარულიყვნენ. ის ერთი ძმა ყაზახში ჩასულიყო, ერთი აქ, ქალაქს, დამდგარიყო... (ქსძ, VII, გვ. 323).

ლომსათუბანი. შიდა ქართლი

ლომსათუბანი 1712 – იხ. ურბნისი

ლომსაურთ რუ. შიდა ქართლი

ლომსაურთ რუ 1580-იანი – იხ. ავჭალა

ლოპოტა. კახეთი

ლოპოტა 1718 – იხ. ართანა

ლოპოტა 1746-1749 – იხ. გრემი

ლოპოტა 1756 – იხ. ალვანი

ლოპოტის მდინარე. კახეთი

ლოპოტის მდინარე 1797 – იხ. ნაფარეული

ლოპოტის ჭევნი. კახეთი

ლოპოტის ჭევნი 1722 – იხ. მარტყოფი

ლორაშენი. ქვემო ქართლი

ლორაშენი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ლორაშენი 1746 – იხ. ქვემო ვარდისუბანი

ლორე // ლორი. ქვემო ქართლი

ლორე 1392 – იხ. ტფილისი

ლორე 1425 – ... მეფემან [ალექსანდრე] ... მოძღუარსა კათალიკოზს თეოდორეს მოგახსენეთ ლორეს სოფელი ამუჯი (წინეთ შეწირული და აგრეთვე სოფელი დირსი, ძველად შეწირული, წყარომრავალი მარმაშენს ახლო, ასფარავანი და ფოკა ფარავნის ტბათან)... თარხნად... (ქრონ, II, გვ. 229).

ლორე 1433 – ... მიტაცებული აგარიანთაგან ჩუენი - - - ლორე და მისი შესავალნი... და გავიგონეთ, რომე ამა ლორისა ციხისა შოვნასა შიგან და მისთა შესავალთს შოვნასა შიგან დიდად და უსაზომოდ მოიჭირვეს ... ესრეთ ვითარმედ ამა უშჯულოთა აგარის ნათესავთა ანდრონიკეს შვილი ალასტანელი გიორგი მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან... და მოგუიცემია [მეფე ალექსანდრეს] თქუენ ... მცხეთისა დედაქალაქისა საყდრისა მპყრობელისა ... კათალიკოზისა თეოდორესთუის ამუჯი სოფელი ... ვენაჯითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა... (წშ, გვ. 13-14).

ლორე 1435 – ... ლორეს ციხე მიტაცებული აგარიანთაგან ... და მისი შესავალნი[133] ერთობილნი ჩუენ [მეფე ალექსანდრემ] ვიშოენით და დავიჭირენით და როგორცა – ვის ქართველთა დარბაზისერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა ... ჰქონებოდა ... ეგრეთ განუყავით და უბოძეთ... და მოგუიცემია ... და კათალიკოზს თეოდორეს ამუჯი სოფელი ეკლესიითა, სასახლითა, გლეხებითა, ყანითა... (ქსძ, II, გვ. 123-124).

ლორე 1623 – იხ. ვარაპეტის სოფელი

ლორე 1646-1658 – იხ. ჭრეში

ლორე 1651 – იხ. სომხითი

ლორე 1654 – იხ. ჯავახეთი

ლორე 1657 – იხ. ტაშირი

ლორე 1691 – უდიდებულესის ჴელმწიფის ... ფარვნისამებრ ლორის ახპატის სოფელი თავისის საძღვრებითა და ასევე ეკკლესიითა, რომელიც არის იმ სოფელში, ბოძებია თავადს პაპუნა-ბეგს. ახპატის ეკკლესიის წინამძღვარს თავისი რაც სახელმწიფო სათხოვარი და მალი იქნებოდეს, უნდა ყოველწლივ პაპუნა-ბეგს მოსცეს და ყაბზს გამოართმევდეს. და ლორეს მებატონეს ახპატთან საქმე არა აქუს... (სს, I, 1899, გვ. 433-434).

ლორე 1693 – იხ. ვარაპეტის სოფელი

ლორე XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

ლორე 1739 – იხ. აღაიანი

---

[133] ლორის ციხე მიტაცებული აგარიანთაგან ჩუენი... ლორე და მისი შესავალნი... (წშ, გვ. 16).

ლორე 1769 – ... ეს კაცი ოსმალობას გივს გურამისვილს მისვლია. სამართლით ეს ლორელი ტერნაკაშვილი ავეტიქა ზაალ გურამიშვილს დარჩა (სს, III, გვ. 473).

ლორე 1781 – ლორელები ბარათაშვილს სესიას უჩიოდნენ, რომ სარქისასშვილი ნიაზა და ამისი შვილები, სარქისა და ზაქარა, ლორელები არიანო, ჩვენი მეზობლები არიანო... სესიამ სამი მოწმე წამოაყენა სამართალში... ამათ ... ასე იმოწმეს: ამ ნიაზის მამა სარქისა ... მეფის ვახტანგის დროს მოვიდაო, გილაქისშვილს ეყმო და ორთაშუას ესახლაო. ოსმალოს დროს აყარესო და ლორეს წაიყვანესო. ცოტა ხანს იქ იყვნენ. მერმე ყიზილბაშობაში იმამყული-ხანის დროს ისევ მოვიდნენ, აქათ ორთაშუას დასახლდნენო. მას აქეთაც გილაქისშვილის ყმანი იყვნენო და მას აქეთ ჩვენთან ხარჯი და ბეგარა უღიათო და არც ლორელები იმამყული-ხანის დროს აქეთ ამ ნიაზას ჩვენ გვედავებიან... (ქსძ, V, გვ. 147-148).

ლორე 1788 – [ერეკლე II-ის ბრძანება]: ვინცა-ვინ ერევანში ჩვენი მოქალაქენი ქარავნის კაცნი იმყოფებით, მერე, ჩვენი ნასახჩიბაშის ნაიბი გოგია გამოგვიგზავნია და ყაჰრამან-სულთნისათვისაც მოგვიწერია, რომ თავისის ჯარით გამოგიძღვესთ და ლორემდისინ მშვიდობით მოგიყვანოსთ... საპალნეზედ ხუთი აბაზი უნდა მისცეთ სულთანსა და იმის კაცთა. და ლორეს აქეთ ლორელებისათვის გვიბძანებია, რომ წამოგიყვანონ (МПТСВГ, II, გვ. 114).

ლორე 1798 – იხ. ბანბაკი

ლორეთი. ქვემო ქართლი

ლორეთი 1543 – იხ. სხალნარი

ლორე-ფამბაკი // ლორე-ფანბაკი

ლორე-ფამბაკი 1781 – იხ. ავლაბარი

ლორე-ფამბაკი 1790 – იხ. ახალგორი

ლორეს ციხე // ლორის ციხე. ქვემო ქართლი

ლორეს ციხე 1433 – იხ. ლორე

ლორეს ციხე 1435 – იხ. ლორე

ლორეს ციხე 1739 – იხ. აღაიანი

ლორის ციხე 1747 – [თეიმურაზ II-ის მიწერილობა ყაფლანისადმი]: რაც ლორის ციხიდამ ან ზარბაზანი, ან ტყვია-წამალი გამოგეტანოს, ყველა უკლებლათ იქივ მიიტანე და ციხეში დასდევი და, ჩვენ რომ მანდეთ მოვალთ, ვინც ბორჩალოს ციხეში მდგარა, ისევ დავაყენებთ (ქეწ, გვ. 85).

ლორული. შიდა ქართლი

ლორული 1718 – იხ. ზენადრისი

ლოქი // ლაქი. ქვემო ქართლი

ლოქი 1620 – იხ. დმანისისხევი

ლოქის მთა. ქვემო ქართლი

ლოქის მთა 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ლოჭინი. კახეთი

ლოჭინი 1738 ესე ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, თულაშვილმა იოსებ თქვენ, ბატონს სალთხუცეს ... გივს, თქვენს ძმას თიანეთის მოურავს ბატონს გრიგოლს... თქვენგნითა ხუთი თუმანი თეთრი ავიღე და წაველ ქალაქს სავაჭროთა. დამხდენ ლოჭინზედა, დამიჭირეს, თეთრიც ლეკებმა წაიღეს და მეც ... წამიყვანეს ... ბელაქანში... ორი კვირა ბელაქანში ვყვანდი, მასუკან დაღისტანში წამიყვანეს, იალაღიდამ გამოვეპარე... (დსსი, I, გვ. 401).

ლუცლაშის ქედი. სვანეთი

ლუცლაშის ქედი XVII ს. I მეს. – იხ. მულახი

ლუბრმა // ლუბარმა // ლუბრუმი. შიდა ქართლი

ლუბრმა 1584 – იხ. იტრია

ლუბრმა 1700 – იხ. ნატბევი

ლუბრმა 1737 – იხ. იტრია

ლუკაური ვენახი. ჯავახეთი

ლუკაური ვენახი XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

ლუკენის საყდარი. ქვემო ქართლი

ლუკენის საყდარი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

ლუკუფხანა. რაჭა (?)

ლუკუფხანა XVI – იხ. ნატარალევი სასახლე

ლულაური მამული. შიდა ქართლი

ლულაური მამული 1527-1558 – იხ. ქვეშელის ციხე

ლული 1722 – იხ. ზენადრისი

ლული 1771 – ნინიაშვილს თავის ბატონის ჯავახიშვილისაგან ლულს მამული ეყიდნა. იმ ნასყიდობის წიგნში ასე ეწერა: ლულს მამული მოგყიდე ზაქარაშვილითაო. ნინიაშვილმა მღვდელმა ოტიამ ... ზაქარაშვილს ივანეს ... სამართალში ელაპარაკნენ. ჩვენ, მოსამართლეებმა ... მოწმებისაგან მოვიკითხეთ და ასე გვარწმუნეს: როცა ჯავახიშვილს ის მამული გაუყიდნია, მაშინ ეს გლეხი კაცი [ზაქარაშვილი] აყრილი ყოფილა და ჯავახეთს სახლებულა, კარგა ხანი გამოსულა, რომ ეს გლეხი კაცი მასუკან ჯავახეთიდამ გარდმოსულა, ლულს აღარც შენობა ყოფილა და აღარც მისულა, ჯავახიშვილის მამულში მდგარა და ჯავახიშვილს მსახურად ხლებია... (ქსძ, IV, გვ. 614-615).

ლურჯვანქი. ქვემო ქართლი

ლურჯვანქი 1697 – იხ. სომხითი

ლურჯი კლდე. თბილისი

ლურჯი კლდე 1751 – იხ. გარეთუბანი

ლურჯი კლდე // ლურჯი ფლატო. კახეთი

ლურჯი კლდე 1447 – იხ. მცხეთა

ლურჯი კლდე 1579 – იხ. მცხეთა

ლყოიში. იმერეთი
ლყოიში 1578 –იხ. ქუთაისი
ლჰა. სვანეთი
ლჰა XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

-მ-

მადანი // მადნები. ქვემო ქართლი

მადანი 1788 [წერილი ერეკლე II-ისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... რაც ანბები მოგეწერა ახალციხური, თუ ქვემოური, ყველა ვცანით... ერთიც ეს, მადნებში ასი კაცი რომ ამას წინათ გავგზავნთ, ისინი წამოსულან და მადნები უკაცოთ დაუგდიათ... ასი კაცი ახლა სხვა უნდა გაურიგო ოცის დღის ნუზლით... ეგ ელები გამოიყვანე, თავ-თავის ალაგს დაყენე, სოფლებს წახდენენ. ეგ ელები ხრამის თავისაკენ და დურნუკისაკენ ამოსწიეე, ბედნისაკენ და იმ მხრისაკენ ყარაულები დაყენე (სს, III, გვ. 44-45).

მადანი 1788 [წიგნი ერეკლე II-ისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ... მადანში ასი კაცის გაგზავნა მოგწერეთ და ახლაც ამას გწერთ, რომ ან ორი უზბაში და ან ორი მაგვარი კაცი უთაო და ასი კაცი გაგზავნაო. ოცის დღის სურსათიც უნდა გაატანო... და ფაშის ამბავი ასე შევიტყევით, რომ ხერთვისს მოსულიყოს და ახალქალაქს მოსვლა ეთქვას, და ჩვენს სიძეს მოურავს დავითს შერიგებასა და ჩვენს ერთობას ელაპარაკება... შენ ხომ იცი, რომ ჩემი ჴელის გამმართავი ეგ მადნები არის და ბერძნების სარჩოც ეგ არის... (სს, III, გვ. 45-46).

მადანი 1799 [სპილენძის ხარჯის ნუსხა] ... ამას წინა თვეებში ლეკის ჯარების მისაცემათ მადნიდამ ჩქ თილანი ბათმანი სპილენძი ქალაქს მოუტანიათ... ბატონის ოქმით მადნის ათი ყარაულისათვის ე ყარაული მომატებია. ამ იე ყარაულს მისცემია ნახევარი ჯამაგირი მადანჯი ბერძნებიდან და ნახევარი სარქარიდან... ნისახჩიბაშ ჯიმითის მოურავ როსებს ბოძებია სპილენძი ბათმანი ი; ღვინობის ე. მისხანის მადნის მენახშირეებისათვის ბერძენ მადანჯებს სპილენძი გამოურთმევიათ და სარქარში გამოუგზავნიათ... ჰახთალის მადნის საბერველისათვის მისცემია სპილენძი ბათმანი ა.; კგ. დაღბაშ იმერელ ივანეს სახსრათ ბოძებია სპილენძი ბათმანი ი.... ქრისტეშობის ზ. ბახჩალო მადანჯ ქრისტეფორეს ბოძებია ძველ ვალში სპილენძი ბათმანი ჲბ... (მსეი, III, გვ. 130-131).

მადნის გზა. ქვემო ქართლი

მადნის გზა 1800 – ... ზარიძე იმერელი ივანე ტყვეობიდამ მოსულა, მადნის გზაზე ქართველ იოსებთან რომ დაიკარგა, იმას ბოძებია ბათმანი... თეთრ წყალზე მსახლობელი ბიდარა ოსისა, ახლა რომ ... ჴელმწიფის ჯარი გად-

მოვიდა, ასოცი ძირი თივა დაეჭმიათ ... [და] სამაგიეროთ ბოძებიათ ... ბათმანი (მსეი, III, გვ. 133).

მავდისთავი. შიდა ქართლი

მავდისთავი 1783 – ... ესე ნასისხლობის წიგნი და სიგელი მოგეცით ჩვენ, ჩიბირასშვილმა ჩობამ ... თქვენ, ფალავანდისშვილს უზბაშს გოგიას... ასე რომ, ჩვენ ქართველების სამტეროდ ყაზახად დავდიოდით. პირველად მავდისთავს შენს ცხილვანს გაგზავნილს კაცს პეტრეს დაეხვდით და თოფიც დავაცდინეთ; მეორეთ შენს კაცს აბრამიშვილს ბიძინასა და ატოცელს პაატას დავხვდით მავდის წყალზე და დავიჭირეთ, ბიძინა აბრამიშვილი კი მოეკალ. მესამედ არკნეთისა და ღვერთეთის ხევს შუაზედ ვისხედით და დაგვიხვდით; შენ კი სიკვდილს მოგვირჩი და ერთი ქეციო კაცი გახლდა, ის მოეკალით და შენ თოფები დაგაცდინეთ. გამოხდა ამაში მცირე ჟამი და ჭელში დაგვინარჩუნე. შენ სისხლი გვთხოვე, ... ჩვენ ამდენის შენის სისხლის გარდახდა არ შეგვეძლო და ჩვენი თავი გაყმევით... [თავმდებთა ვალდებულება]: თუ ეს ჩიბირისშვილები ... წაგიყიდეს სადმე, ჩვენ მოგგეაროთ, სამაჩაბლოსა და რუსთავს იქით, თუ ან ოსებში და ან სხვას ადგილს თქვენს უდასტუროდ ხიზნად წავიდნენ, ჩვენ მოგაბაროთ (МПТСВГ, I, გვ. 105).

მავდისწყალი. შიდა ქართლი

მავდისწყალი – იხ. მავდისთავი 1783

მაზიტას ჭევი. შიდა ქართლი

მაზიტას ჭევი 1695 – იხ. ჭვირო

მათხოჯი // მანთხოჯი. იმერეთი

მათხოჯი 1525-1550 – იხ. ბიჭვინტა

მათხოჯი 1570 – იხ. ხონი

მათხოჯი 1616-1639 – იხ. ხაუჟელი

მათხოჯი 1673-1696 – იხ. გელათი

მათხოჯი 1696-1742 – იხ. ბარისთავი

მათხოჯი XVII ს. – [მათხოჯის დავთარი]: ... არის მათხოჯს მეზროხე კაცი... მესეფე კაცი... მეურმულე... [არის] მათხოჯს ჩვენ ხელშესავალი კაცი. არის მეთევზე... (დსსი, I, გვ. 437-439).

მათხოჯი 1706 – იხ. ხორგა

მათხოჯი 1712 – იხ. ხორგა

მათხოჯი 1776 – იხ. ბარი

მათხოჯი 1782 – ... ესე წიგნი და პირობა მოგართვი თქვენ ... მთავარეპისკოპოსს იოანეს, ჩვენ, მათხონჯის წმიდის ბასილის ეკლესიის მათხოჯელმა თემის კაცმა ... ასე რომე, ძველათაც შენის ეკლესიის სამწყსო ყოფილიყო ჩვენი ქვეყანა და ახლა ბატონმა მეფე სოლომონ დავთრით ისევე თქვენს ეკლესიას მიართვა სამწყსოთ... და რომელიც თქვენის ეკლესიის მახლობელს სოფელებს საწულუკიძოს, ნახახულევერს და კონტოეთს

ემართა ... ისე იმ გვარათ ჩამომწყსას შემოგეხვეწეთ და ... რომელიც შეგვეძლოს შენის ეკლესიის სამსახური ... არ ვიუაროთ რამე... არის ამისი მოწამე და ... ერთობით ხონის თემის კაცი... (დსსს, II, გვ. 77).

მათხოჯი 1782 – იხ. დიდი ჯიხაიში

მათხოჯი 1792 – იხ. სადადიანო

მაი // მაის ხევი. სვანეთი

მაი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

მაი XIV ს. – ... ვინე ... მაისი მტრი... მაილელთა სუფისა მთავარმოწამისა და ყოველთა... (სწძ, I, გვ. 237).

მაი XIV-XV სს. – ... რომელმანცა ესე ... პირი გავუტეხოთ ერთმანერთსა, წმიდისა მთავარმოწამისა სუფისა და ერთობილის მაის ხევისაგან გამოსრული ვიყოთ (სწძ, I, გვ. 236).

მაი XIV-XV სს. – ... მთავარმოწამე გორისა ... ამისა გათავებისა თავსდებად მოგვიხსენებია მაისა... (სწძ, I, გვ. 237).

მაკვანეთი. გურია

მაკვანეთი 1660 – იხ. აჭი

მაკვანეთი 1689-1717 – ... გიორგი მამულაიშვილმა უთხრა ბიძაჩემს გიორგის: ... ლევანს [ნაკაშიძეს] ახლავხარ, წაუძღვეთ წინ და მაკვანეთს მიუხდეთ, მამუკაი [ნაკაშიძე] ... ან მოვკლათ, ან დავიჭიროთ და მამული მოუთხაროთ. თვითან მაკვანეთსაც დაიკავებ, რაღა იმას ხელს მოიკიდებ, თვარა გურიანთას რაც ყავს, ყველა შეგრჩება... მამულაიშვილი ციხის თავიც იყო და გურიანთა მისი სახელო იყო. უმისოთ გურიანთას ბატონი მისი ვერაფერს იქმოდა... (დსსი, I, გვ. 474-475).

მაკუა. ქვემო ქართლი

მაკუა 1718 – იხ. საორბელისშვილო

მაკუჭაძეთკარი. კახეთი

მაკუჭაძეთკარი 1722 – იხ. მარტყოფი

მალამხსუდი. ქვემო ქართლი

მალამხსუდი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მალეთა საკონე. შიდა ქართლი

მალეთა საკონე 1531[134] – ... ესე ... წიგნი ... მოგიბოძეთ ჩუენ ... ქართლისა კათალიკოზმან ბასილ ... თქუნენ ჭალრმაულსა გიორგის ... მას ჟამსა, ოდეს... ჩუენითა კითხვითა მამულები იყიდე გეშაშვილისა ქერობინისგან, მალეთა საკონე და ფონთხელაზედა თქუენის მიწისა ბოლოსა ჭალა და საგუდეს მიწა... კიდევ იყიდეთ კახეთას დედაბრიანთაგან მიწა სავენაჯე, კიდევე იყიდეთ ვარდიაშვილისაგან აღაიანთა ვენაჯი... და ჩუენსავე კათალიკოზობაშიგან მეჟამეობით წამოგეჭედა გარეყანისძე და სოფელი ხატისწობენი წაგართუა. გაიბრჭვენით და ღმრთისა სამართალმან შენი მკუიდრი

[134] გამოცემაში შეცდომით 1537 წელია მითითებული.

მამული თქუენვე მოგცა. და ჩუენცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და მოგეცით სოფელი ხატისწობენი მისითა შესაელითა, და რიგადცა პატრონმან მეუმან ლეონ დაგიმტკიცა და გიბოძა. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან კათოლიკე საყდრისა მცხეთისა და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა სოფელი ხატისწობენა და რაცა ამაშიგან თქუენგან ნასყიდი მამულები სწერია... (ქსძ, III, გვ. 252-253).

მალემწის მონასტერი. შიდა ქართლი (?)

მალემწის მონასტერი 1392 – იხ. ტფილისი

მამადის გორა – იხ. მაჰმადის გორა

მამათი. გურია

მამათი 1739 – ... ჩვენ ... გურიელმა ბატონმა მამია, ესე ... წიგნი ... მოგართუით თქვენ, ბატონს იერუსალიმის მონასტრის ... ჯვარის მამას პატრონს გერასიმეს... სადაც გურიას საჯვარისმამო მამულები სადმე არის – მამათს, თუ ბაილეთს, ჩოჩხათს და ჩაიხედნას და ან კონჭკათს, ან ჩაქვის თაეს ... რაც საჩვენო მართებული სამსახური რა სძენს, იმის მეტი არა ესთხოეოთ რა... (იდ, I, გვ. 143).

მამათი XVIII ს. I ნახ. – ... გურიელთა ქრისტეს საფლავისათვის სოფელი და ადგილი და გლეხნი შეეწირათ გურიას: მამათი და ბაილეთს, და ჩიხედნას, ჩოხჩათი და ჯვარის მამების საყმოდ და საბეგროდ გაერიგებინათ... ჩვენცა [მამია გურიელმა] ... შეწირულობა ახლად განვაახლეთ... (იდ, I, გვ. 145).

მამისდაბა. ქვემო ქართლი

მამისდაბა 1740 – ... ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ ყაფლანის შვილის დიმტრის შვილმან უზბაშმა ყაფლან... შენ სიონის დეკანოზის შვილს ოსეს... ასე რომე მამისდაბა ჩვენი ნასყიდი იყო... ახლა დაგვეჭირა და შენ მოგყიდეთ... ერთი მიდგმა ღოლოვნამდის, ბოლოს მიდგმა გარულოას[135] და ზეით მიდგმა წვერულას სამზღერამდის... (სმ, II, 1924, გვ. 177).

მამისდაბა. შიდა ქართლი (?)

მამისდაბა 1581 – იხ. ქალაქის პირი

მამხუტი. ქვემო ქართლი

მამხუტი 1636 – იხ. საბარათაშვილო

მამხუტი 1643 – ... ჩუენ მეფეთ-მეფემან როსტომ ... წყალობის წიგნი ... გიბოძეთ თქუენ, ხმალაძეს მოლარეთუხუცეს შიოშს... მუხრანისბატონისა და ბატონიშვილის გიორგის სოფელი ამას წინათ თქუენ წყალობად გიბოძეთ და ვითაც იმათი სამკუიდრო იყო, მამხუტი გამოგართვით და იმათ უბოძეთ და, კიდეე ამის გარდაისად, ქალაქს თქუენი აშენებული სასახლე ჩუენთვის დაგიჭირეთ და ბატონიშვილს ლუარსაბს მიეცით და ამისად სამუქფოდ მოგუიდეგით კარსა და სამშვილდეს აგანაშვილის ჰამზასა და თევ-

---

135 უნდა იყოს გარულოპი, იგივე გარულუპი // ღარღლუპი (ვახუშტი ბატონიშვილი, იოანე ბაგრატიონი).

დორესა და ქუემო ბოლნისს ყუზანა ბანდურაშვილს და ამირანასა და მის სახლს გუეაჯენით. ჩუენც ვისმინეთ აჯა და ... გიბოძეთ... (ქსის, გვ. 180).

მამხუტი 1651 – იხ. სომხითი

მამხუტი 1782 – იხ. ქალაქი

მანავერი. ქვემო ქართლი

მანაველი XVII ს. II ნახ.– იხ. წრაუთი

მანავი. კახეთი

მანავი 1707 – ... ესე [ყმობის] წიგნი მოგართვით მე, ქადისგულმა დათუნამა თქვენ, გამდლიშვილს ქაიხოსროს... ასე რომე ქურდობა შემაჩნდა და ხევისთავებმა დამიჭირეს... მანავს ჩამიყვანეს, მოურავის სახლუთუხუცესს მავაჭრებდნენ... და შენ დამიხსენ... (ქსძ, VIII, გვ. 869).

მანავი XVIII ს-ის I მეოთხ. – იხ. თვალი

მანავი 1776 – [არზა ეფთვიმი წინამძღვრისაა გიორგი ბატონიშვილისადმი]: ... ვალი მაქუს, რომ ამ მონასტრისათვის თქუენის წყალობით უნდა ვიზრუნო. მანავს თქვენი წყალობა ზვარი რომ აქვს ამ მონასტერსა, იქა, ზვარს გარდა, რამთეენიმე კომლი კაციც ჰბოძებია ამ მონასტერსა... ხაჩიურის მიწა არის ... და იმაზე ერთის დღის მიწას გვიჭრიან მოურავი და თანგუაშვილი... ნათლისმცემლის მტერმა თანგუაშვილმან ამოყარა [მიწის] მიჯნები და თვითონ მოჴნა და თვითონ დათესა... (ქსძ, VII, გვ. 334).

მანავი 1783 – ჩერქეზისშვილებს მანველნი მამულს ედავებოდნენ ამ სიტყვით, რომ ეს მამული ჩვენი შავქედის ბოლო არისო, ჩერქეზიანი ამათ გვეცილება და ჩვენ საბუთებით გვაქვს, რომ რომელსაც ვედავებით ამ მამულს, ჩვენს მამულად და მანავის ბოლოთ აცხადებსო... ჩერქეზიშვილებმა ასე დაიფიცონ, რომ მეფის იმამყული-ხანის დავთარში გოცირიძე და მედინგიშვილი შავქედს ჩერქეზიანთ ყმათ რომ უწერიათ, ეს კაცნი მეფის იმამყული-ხანის დროსაც ამ სადაო მამულში სახლობდეს, შავქედის ბოლოც იყოს და არც გამორთმეოდესთ. თუ ასე იფიცეს, ეს მამული დარჩებათ ჩერქეზიანთ. თუ ვერ დაიფიცეს, ის სახასოდ დაიდება... (ქსძ, V, გვ. 198-200).

მანავი 1796 – იხ. საგარეჯო

მანაკერტი. ქვემო ქართლი

მანაკერტი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მანაკერტი 1707 – იხ. წრაუთი

მანაკერტი 1746 – იხ. წრაუთი

მანაკერტი 1749 – იხ. საორბელიშვილო

მანგელელაურის ჴევი. შიდა ქართლი (?)

მანგელელაურის ჴევი 1453 – იხ. ჴევწურილი

მანგლისი. ქვემო ქართლი

მანგლისი 1047 – დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი მანგლისს, ბრძანებითა ჩემითა [ლიპარიტ ბაღვაშისა], საყოფელსა ძლევაშემოსილისა ძელისა ცხოვრებისა-

სა, მღდელთმოძღურობასა ანტონი ეპისკოპოზისა თულაისა ძისასა, და შეიმოსა ჴელითა ნიკოლაოზისითა, მცხეთელისა დიაკონისაჲთა (ბაღვ., გვ. 265).

მანგლისი 1595 — იხ. რკონი

მანგლისი 1653 — იხ. ბედენი

მანგლისი 1678-1682 — იხ. თრიალეთი

მანგლისი 1689 — ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ... ნაზარალიხან ... თქვენ, წმინდის მონასტრის მანგლისის გამგედ დადგინებულს ჯავახიშვილს მანგლელს — გაბრიელს ... გითარხნეთ სოფელი მანგლისი და თრიალეთზედ სოფელი მეთრევანა და, საჯავახიანოში, რაც შემოწირული მამულები გაქვთ, ისიც ასრე გითარხნეთ... (დსსი, I, გვ. 83).

მანგლისი 1699 — ... ჩვენ ... ქართლისა კათალიკოზმან ... იოანე ... თქვენ ... მანგლისისა ღმრთისმშობელსა და ... მანგლელ ეფისკოპოზს ... გაბრიელს ... მოგეცით სამწყსოდ, რაც პატრონის აბაშისა და დავითის კერძი მამული არის... კიდევე მას ზედა მოგიმატეთ ალგეთს გაღმართი, გაგისამძღვრეთ ეაკე, ღორისთავი, გუდარეხი, ცოვრეთი, გარისი, ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უბუდეთი, გოგასგვერდი და ახალდაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით მანგლისს გარშემო ორი ოძისი და კეელთა... (ქსძ, III, გვ. 620).

მანგლისი 1702 — იხ. ზაკვი

მანგლისი 1713 — ... ჩვენ ... მანგლელ მთავარეპისკოპოზმა დოლენჯიშვილმა ბატონმა არსენ ... სითარხნის წიგნი გიბოძე თქვენ, მანგლისელებს მოყალნეებს... ეს ღალა ამ მანგლისის გარშემო ამოგვიკეეთია, თვინიერ არათუ ნასოფლარში ვინც ჴნევდენ, აქაური კაცი იმის ღალასა მოსცემდეთ... (ქსძ, III, გვ. 693-694).

მანგლისი 1718 — იხ. აბანო

მანგლისი 1736 — ... ესე წიგნი ... გიბოძეთ ჩვენ ... მეფეთ-მეფემან ქართლკახეთისა ხელმწიფემ, მეფე ალექსანდრემ თქვენ, მუხრანის ბატონიშვილს ქრისტეფორესსა, ასე რომე, მოხველ კარსა დარბაზისა ჩვენისა, გვეაჯენით მანგლისის[136] მაგლელობასა. ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება, შეგიწყალეთ და გიბოძეთ... (ქკმეის, გვ. 263).

მანგლისი 1794 — მანგლელი ასე ჩიოდა: ჟამთა ვითარებისაგან მანგლისის ეკლესიის ყმა ფიცხისელი მამისხარაშვილი ამ აბრამის მამას აქა-იქ უვლია. ბოლო ჟამს ამ გაბრიელის [მაღალაშვილის] მამას მოჰკედლებია. აბრამს მამა რომ მოჰკდომია, ეს ობოლი და უპატრონო ყოფილა. ამ გაბრიელს თავის ყმად დაუსახლებია და არ გეანებებს... (ქსძ, V, გვ. 633-635).

მანგლისი 1799 — იხ. გამოღმა მხარი

მანგლისის საეპისკოპოსო. ქვემო ქართლი

მანგლისის საეპისკოპოსო 1770 — იხ. ქიზიყი

მანგლისის ჴევი // მანგლის ჴევი. ქვემო ქართლი

---

[136] მაგალისის (გუჯრ, გვ. 67-68).

მანგლისის ჯვეი 1057-1058 – იხ. შიომღვიმე

მანგლისის ჯვეი 1073 – იხ. თრიალეთი

მანგლისის ჯვეი 1170 – იხ. სხალტბა

მანდენაანთ უბანი. თბილისი

მანდენაანთ უბანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

მანდიკორი. იმერეთი

მანდიკორი 1650 ახლო – ...ებისა პარტახტები გეენათის. მანდიკორს ჩუჩხუნაძისა და კახიძის პარტახტები გვაკლია. ჯონიას ოთხი გლეხი... დიდებულსა აქვს. ჭოლევს ტყის ქათამაძისეული სამი პარტახტები გოშქოთელიანის კაცებს ... აქვან. სამი პარტახტი ქუთათის ... ჭაშლეთს ხურციძე ერთი კუამლი კაცი დათუასა ასათიანსა აქვს. საჩხეურისა ერთი პარტახტი ლეონტი ინასარიძესა აქვს. ერთი სასახლე ადგილი გელათს საყდრის გვერდზედან ... ბაკურაძისეული არა გვაქვს. საჩხეური ლეონტამან ინასარიძემ დაგვიჭირა ... ოფჩას ორი კვამლის კაცისეული პარტახტები ნეფსაძისეული გვაკლია. წუგნას ერთი კვამლი კაცი კენჭაძე გოგნიასა ინასარიძესა ჰყავს. გეგუთს ერთი კვამლი კაცი ხმელიძენი ხოსიასა წულუკიძესა ჰყავს. ერთი კვამლი კაცი ბატონმა ყურიაშიდან დაასახლა ბიბაძე. ნასყიდაი ხმელიძე გეგუთს ბატონსა მოსახლეთ უსახლობს ... ერთი კვამლი კაცი ბრეგაძე აჯამეთს პაპუნა ბარამისშვილსა ჰყავს ... ხოშტიბელა ხატის შეწირულია, მაგრა სრულად დაკარგულ ... რომელიც ოდიშს არის, ჩუენ მოვიკითხავთ და მოვიყვან... (დსსს, I, გვ. 53-55).

მანდიკორი 1673-1696 – იხ. გელათი

მანდიკორი 1781 – ... მეფე იმერთა სოლომონ ... ვიგულსმოდგან, მცირედისა მსახურებისა მოძღვანებად ... გელათს მაცხოვრის ეკვდერს ესრეთ... რომ პირველად პაპასა ჩემსა მეფეს გიორგის ... შეეწირა მაცხოვრის კარის შემოსავალს გვერდზედ ერთი ქვიტკირის სახლი... კუალად გელათს შადრევანზედ მოსახლე ერთი კუპულაშვილი გიორგი... მანდიკორს ასანბეგ კაკუშაძის სეული სასახლეთ და ოთხის სხვა ამის კაკუშაძის სეული... სხვანი გლეხნი და მამულნი. რომელიც ვინმეს მძლავრებით შეეკრიბნეს და ამ ეკვდრისათვის გამოეხვნეს, ამოვიღეთ ... და თავთავისის სიგელი ისევ ამ ეკვდერს შეესწირეთ... ჩვენ ყოვლისა საიმერეთოისა მეფე დავით დავითიანი ესრეთვე ვამტკიცებთ (დსსს, II, გვ. 72-73).

მანდიკორი 1797 – [სოლომონ II-ის შეწირულობის წიგნი გელათისადმი]: - პირველათ თქვენს შეწირულს ადგილზედ მანდივარს დათუა მხეიძე დასახლებულიყო... და ახლა იმ მხეიძიანთ შამოგვიწირავს ... და თქვენს ეკლესიაზედ მდგომს გაენათელს გმსახურობდენ (გუჯრ, 109-110).

მანვაზეთი. შიდა ქართლი

მანვაზეთი 1446 – იხ. იკორთა

მანთხოჯი – იხ. მათხოჯი

მანკოდა // ვანკოდა. კახეთი

მანკოდა 1722 – იხ. მარტყოფი

მანძილის ციხე. ქვემო ქართლი

მანძილის ციხე 1737 – ამებარა მე სეითა უსინას თუმანისშვილი ყარდაშას და გიორგისგანა ფეშაქშას მანძილის ციხის მუშის თეთრი მინალთუნი თხუთმეტი... (სს, III, გვ. 445).

მანხუტი. ქვემო ქართლი

მანხუტი 1800 – იხ. ბოლნისი

მაჲ – იხ. მაი // მაის ხევი

მარაბდა. ქვემო ქართლი

მარაბდა 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მარაბდა 1543 – იხ. სხალნარი

მარაბდა 1558 – იხ. მუხანი

მარაბდა 1688-1703 – ... [გერმანოზიშვილები] მარაბდას გაუყოფარს მინდორსა და ხოდაბუნებზედ ირჩოდეს... ხოდაბუნი, რომელიც სახასოდ ყოფილიყოს, ორი წილი პაპუასა და გურგენასა და ერთი წილი ვარაზასა... რომ ნათხოვები ყოფილა ქალაქს სასახლე, ვარაზამ ერთი მსახური ასრე შაფიცოს პაპუასა, რომ საერთოს ფასით ვიყიდეთო... ტბის მანგლელის ზვარზე სარჩლობდეს... მარაბდას ერთი წყლით სამი საწისქვილო ილაპარაკეს, ორი პაპუასა და ერთი ვარაზასა... გლინიას ერთი გოგო რომ ფიტარეთს შეხვეწილა, ვარაზასი ყოფილა, და პაპუამ და გუგუნამ დაუხსნას... ვერხვნალას პაპუნას ახოების ფარდი მესამედი ტყე ვარაზამ გააყენოს... რევაშენს ზაქარული მამული თუ ბარათში არ ეწეროს, სამათ გაიყონ... სხალნარს გოგიტაშვილის საკვამლო დარბაისელმა ვარაზას ცოდვა თუ ასრე აიკიდოს, რომ გაყრაში მამუკაშვილს გაჰყვაო, თუ ასრე იფიცოს, ვარაზას ჭელი არა აქვს და თუ ვერ აიკიდოს, სამათ გაიყონ. აკურის თამაზას საკვამლო სამათ გაიყონ. კოხტას ფაზაშვილების საკვამლო სამათ გაიყონ... ანდრიას ადგილ-მამული სამათ გაიყონ... მარაბდას, ვაჟთა-ჭევსა და ქატაბანს გარდა გაეყავით სარწყავითა. წისქვილის მესამედი უნდა მისცეს (ქსძ, IV, გვ. 204).

მარაბდა 1727 – ... მამებარა მე, შერმაზანს, ოთარისგან ათის მარჩილის თამასუქი, ექვსი კოდი და ნახევარი პური. მარაბდული პურიც მამცა, რომ გლეხებზედ იყო. ოთარმა თამასუქი მამცა. ამ ათის მარჩილის პური და მარაბდული პური ტბისს უნდა მომიტანონ... (მსეი, II, გვ. 22).

მარაბდა 1737 – ... მე, გერმანოზისშვილმან პაატამ ... შენ, იბრეიმ ბეგს ... მოგყიდე, ჩემის ბიძაშვილის ოთარისაგან რომ მე და ყარაბუდაღისშვილმა გიორგიმ მარაბდას თავისი წილი მამული ვიყიდეთ საერთოთ, ჩემი წილი ეს მარაბდის მამულისა ოთარისაგან ნასყიდი... (სს, II, გვ. 390).

მარაბდა 1738 – იხ. აბრამეთი

მარაბდა 1741 – ... ჩვენ, ყარაბუდახისშვილმა გიორგიმ ... თქვენ, ბატონისშვილს უსეინბეგს ... ჩვენ და პაატამ ოთარისგან რომ მარაბდას თავისი წილი ვიყიდეთ, იმისგან ჩემი წილი ნასყიდი თქვენთვის მამიყიდნია... ყარაბუდაღისშვილის გიორგის რომ გერმანოზისშვილი ოთარისაგან მარაბდას

მამული ეყიდა და ჩვენ, ბატონისშვილმა ჰუსეინ-ბეგმა ვიყიდე, რაც გვეყიდა გერმანოზისშვილს გუგუნასა და ძმასა შენსა პაპუას მოგყიდე... (დსსი, I, გვ. 301).

მარაბდა 1752 – ... ამას წინად ოთარ გერმანოზიშვილს თავისი წილი მამული მარაბდას პაატა გერმანოზისშვილისათვის და ყარაბუდახისშვილისათვის მიეყიდნა, მერმე ოსმალობას მამული წაერთმიათ. და პაატა მისულიყო, ოთარისათვის ისევ თავისი თეთრის თხოვნა დაეწყო. ოთარს იმ ხელათ თეთრი ვერ უშოვნია და თამასუქით გაუცია პაატასათვის, და ნასყიდობის სიგელიც ისევ პაატას ქონდა... ოთარ სხვაგან წასულიყო, პაატას ის მამული უსეინბეგისათვის მიეყიდნა, მერმე უსეინბეგს გუგუნასათვის მიეყიდნა, მერმე მოვიდა ოთარ და ... მეფეთ-მეფეს პატრონს თეიმურაზს მოგვახსენა, რომ ჩემი მამული პაატას უსამართლობით სხვაზედ გაუყიდნიაო, ჩვენ გავშინჯეთ... ოთარს თეთრი გამოვართვით, პაპუასა და გუგუნას მივეცით და ის მამული ოთარს დარჩა (სს, I, 1899, გვ. 394).

მარაბდა 1756 – იხ. ცხეკვი

მარაბდა 1770 – [არზა გიორგი გერმანოზიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩემს გამდელს ორი საკომლო მამული მარაბდიდამ თუშმალ იბრეიმისათვის მიუყიდია... კახეთს წასულა. მე ორის-სამის წლისა ვყოფილვარ... ქართლში არ მომხდარა, რომ მოახლეს მამული გაეყიდოს (ქსძ, VII, გვ. 160-161).

მარაბდა 1778-1787 – იხ. სამშვილდე

მარაბდა 1781 – იხ. ერეკლეს ციხე

მარაბდა 1784 – ... მარაბდას ერთი კომლი კაცი გახლავთ ცხადიასშვილი, ის კაცი ჩემი [ერასტი გოსტაშაბიშვილის] ყმა არის. ის ცხადიაშვილები ორნი ძმანი არიან. ახლა ის ძმები გაყრილან; ახლა ჩემს ბიძაშვილს წამოუღია ზაზას, გასამყრელოთ ერთი ხარი გამოურთმევია, თქვენ ჩემი ყმანი ხართო, ერასტის თქვენთან ხელი არა აქვსო... (ქსძ, VII, გვ. 640).

მარაბდა 1791 – იხ. დიღომი

მარაბდა 1791 – იხ. შინდისი

მარაბდა 1798 ახლო – [სესხის ნუსხა მანუჩარ და სულხან თუმანიშვილებისა]: ... ოცდახუთმეტი თუმანი ... ქსნის ერისთვის-შვილის გიორგი ყულარ-აღასის შვილის ელისბარისაგან მინდა... ერთი თუმანი ... გერმანოზისშვილი სულხან მოსაცემს არის ... [და] მარაბდას წისქვილი გირაოთ მიწერია... მთავარეპისკოპოზის ბესარიონის თეთრიდამ ახალციხელი ღუგაზას თამასუქიდამ მიბოძა (ოცდაათი თუმანი)... ავჭალელი ვარდანანთ ზურაბაშვილი ივანე თამასუქით მოსაცემს არის... არაგველი ბაბანას შვილი მილახვარი გლახა ... მოსაცემს არის [ვალს]... [მესანთლე ასლანას] თამასუქი ქალაქის წახდენაში დუშეთს რომ ბარგი აიკლეს ჩვენი, იქ დაიკარგა... სამცხეთო დარბაზელმა ასატურას შვილმა ხალათამ თამასუქის თავნის დანარჩომი უნდა მამცეს... თარხან-აღას შვილმა მინასამ უნდა მამცეს, რომ თავიანთ ორთაჭალის ბაღი გირაოთ მიწერია... სიონის ყმა დურგალმა პაპამ უნდა მამცეს თამასუქით, რომ სახლის სიგელი გირაოთ მაქვს... გო-

რელმა ხითარიშვილმა გოგიმ უნდა თამასუქით მამცეს თუმანი თევში... თიანეთის მოურავმა დიმიტრიმ უნდა მამცეს თამასუქით ერთის წლის ვადით... (მსეი, II, გვ. 124-133).

მარაბდული შარა. ქვემო ქართლი

მარაბდული შარა 1751 – იხ. ახალშენი

მარანა. შიდა ქართლი

მარანა 1678 – ... ჩუენ, ქსნის ერისთავმან დავით წიგნი და ნიშანი მოგეცით თქვენ, თუმანიშვილს გიორგის... მას ჟამსა, ოდეს ამასწინათ კურთხეულის ბატონის ბიძის ჩუენის იასეს ერისთავის ჟამში, პატარა ლიახვის რუვის სათავე და წყალი მოგენდომებინათ და კიდეც მოეცა და დაენებებინა და რუ გამოგეღოთ... ელიზბარ ერისთავის ჟამშია წყალობა ექნათ მარანის გვერდზედ ლიახვისაკენ რუჳი დაენებებინა. და თქვენც იმის სამუქბოდ ჩვენი სოფელი გაგეთარხნებინათ, მარანა, ხელმწიფისაგან. აწე მარანას ქვეით სოფლები გაჯავრებდეს და წყალს გიხეთქდეს. მოხვედით და შემოგვეხვეწნეთ, ქიწნისისაკენ მოინდომეთ და იქივ მარანის თავს რუს სათავე აგართვით, ჩვენი სათემოს თავი გაგაჭრევინეთ და ქიწნური ზოგ-ზოგი მიწები და იმაზედ გაგატარებინეთ... სამი მერუე მარანიდაღმა გვიჩენია გარეჯურის თავამდინ უნდა რომ წყალს გიდენდნენ, და რომელიც ჯამაგირი თქვენგან მერუეთ ჰქონებოდეს, ნუ მოუშლით... (ქსძ, VIII, გვ. 853-854).

მარანა 1795 – იხ. გორი

მარანა XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

მარე. შიდა ქართლი (?)

მარე 1771 – ... მე, ფალავანდიშვილმა ერეკლემა ... შენ, მამისთვალიშვილის ძაგიასა ... მოგყიდე ჩემი მემკვიდრე ყმის შვილი მასელაძე მარელი გოგია (იდსეშ, გვ. 181).

მარიამი // მარიამნი. ქვემო ქართლი

მარიამი 1591 – იხ. ამლივი

მარიამი 1693 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან გიორგიმ ... თქუმნ, ბარათაშვილს პაპუნას ... თრიალეთს მარიამ ნასოფლარი გითარხნეთ, ამ წესით რომე, რაც კაცი იქ დაასახლოთ არა ეთხოვებოდეს რა... (სს, I, 1899, გვ. 431-432).

მარიამი 1713 – იხ. გუნანეთი

მარიამი 1719 – გოსტაშაბიშვილის ამალღაბარისა და მისს სახლისკაცთ სოფელი მარიამელნი და იქით ოთარ მდივნის ყმანი, და ბეგაშვილის ყმანი ლომკაცისა ჩრდილის უბნელნი მიწებსა და სათიბზედ ცილობდნენ, და ჩრდილის უბნელთ ესარჩლებოდნენ ჩვენი არის, უბრალოდ გიჭირავსთო... (სს, I, 1920, გვ. 81).

მარიამი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

მარიამჯვარი. კახეთი

მარიამჯვარი 1579 – იხ. მცხეთა

მარიამჯვარი XVIII საუკუნე I მეოთხ. – იხ. თვალი

მარიამჯვარი 1766 ღმერთმან ... ჴემწიფის ჭირი მოსცეს ... გარეჯელს მკერვალისშვილს სამნას... ჩემი და მაყასშვილის ლუარსაბის დავა არ გარდასწყდა... ერთი ბიძა ქართლში მყავს მამის ჩემის განაყარი და სხვა კი არავინ მეგულება ამ დავაში მოწმედ რომ გამომყვეს... [განჩინება]: ეს სამანას შვილი სამანა ძველთაგან მარიამჯვრელი მაყასშვილის ყმა ყოფილიყო. და მერე ჟამთა ვითარებისაგან საბარათაშვილოში გამოსულიყო. მას უკან იქიდამ აყრილიყო და კახეთს გასულიყო, მაყაშვილი ლუარსაბისათვის ეთქვა: მე შენი მემკვიდრე ყმა მარიამჯვრელი ვარო... სამართლით მაყაშვილს ლუარსაბს დარჩა... (ქსძ, IV, გვ. 693-694).[137]

მარიამჯვარი 1789 – ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... ერთობლივ მაყაშვილებს მომცეს. თქვენი წყალობა მამული გვაქვს მარიამჯვარი, იმისი მიჯნები და სამძღვრები ჩვენმა მამათ და პაპათ იცოდნენ და ჩერქეზიანთაც სცოდნიათ... ახლა ჩვენი მამები დაიხოცნენ და ჩვენ თქვენს წყალობას მამულს გვართმევენ ჩერქეზიანი... არიან მცოდნე კაცნი საგარეჯოში და გიორგიწმინდაში... [ოქმი]: ჩვენ მაგიერათ საგარეჯოს მოურავს ჯამასპის ასე უამბეთ. მერმე ამ არზის პატრონები რომ ასე ჩივიან, შენ უნდა მოიკითხო თვალზედ და გიორგიწმინდელთაში ფიცით სარწმუნოს კაცთაგან... ამათ ასე იმოწმეს: ქალბის წისქვილს ქვემოთ და გაწყვეტილის ჩიხის თავამდინ, დათეფას ზემოთ, ამ მაყაანთ უღიათ ღალა და იმას ქვემოთ – ჩერქეზიანთ... (ქსძ, VII, გვ. 822-824).

მარიამჯვარი 1790 – [არზა მაყაშვილებისა]: ... თქვენი წყალობა ... მარიამჯვარი გვიჭირავს და რა თქვენგანა გვბოძებია, სულ შემოფარგელით გვიჭირას და ღალასაც ნიადაგ ვიღებთ. და შარშან გხლებიან გიორგიწმინდელები და მოუხსენებიათ: აქამდის მაყაანთი არ არისო; და ჩვენგან აღებული ღალა აუღიათ და სულ წაუღიათ თორმეტი ხარვარი... (ქსძ, VIII, გვ. 56).

მარიამჯვარი 1791 – იხ. გიორგიწმინდა

მარილისი. კახეთი

მარილისი 1724 – ... ჩვენ ... ქართლისა და კახეთის მეფემან, განჯისა და ყარაბაღის ბეგლარბეგმან და მჭირავმან შამშადილოს და ყაზახის მქონებელმა ... კოსტანტინე ესე ... შესაწირავი მოგართვით ... თქვენ ... მოძმესა ჩვენსა წმიდა გიორგის ლაშარის ჯვარსა ... და სრულიად ფშაველთა... მეფის ერეკლესათჳს მრავალი სამსახური დაგედვათ და ჭირნახულობა მოძმისა ჩვენისა ლაშქართა ფშვალელთ ქართლის დაჭერაში და მრავალჯერ ომი გექნათ... ხოლო ოდეს მოვიწიენით ... საქართველოში, ჩვენ და შანაოზ მეფის შვილები ერთმანეთზედ ვლაშქრობდით, თქვენ თან გვახლდით მუდამ გაუყრელად... კუალად ოდეს მოვიდნენ ურუმნი საქართველოში ... დროშა სრულ ფშვაველნი თან გვახლდით... ხოლო ოდეს არღა იყო დგომა ჩვენი საქართველოში, არცა ერისთავების ალაგებში (იქნებოდა) ჩვენი დგომა, რამეთუ ურუმთა დაიჭირეს იგი ალაგები ... მოგვიძღით ... ფშავს... შევსწირეთ ლაშარის ჯვარსა ... და გიბოძეთ თქვენცა მისთა მოყმეთა

[137] იხ., აგრეთვე, ქსძ, VII, გვ. 101.

სრულად ფშაველთა ნახევარი მარილისი ოთარის კერძი, გარდა გარსევან მოურავისა და ალავერდის კერძისა... რადგან გარსევან მოურავის ყმად იყო ის ალაგი და გამოვართვით და თქვენ მოგეცით, მოურავად ისევ გარსევან მოურავი იყოს იმ ქვეყნის წილის ალაგისა... (ქრონ, III, 94-95).

მარილისი XVIII საუკუნის I მეოთხ. – იხ. თვალი

მარილისი 1735 – [გივი სახლთუხუცესის მიწერილობა გრიგოლისადმი]: მარილელნი მოვიდნენ აქა და ბატონს წყალობის წიგნი მოართვეს მამულისა. მანდ უტოს შენ უნდა გახვიდე. უტოს გილდაშვილის ნაზრევი თავის მეზრით ოთარს რომ ბატონის წყალობა გასამყრელო ზვარი ეჭირა, მეზრე ბულალა თავისის მიჯნებით მიაბარე... (ქეწ, გვ. 77).

მარილისი 1741 – იხ. ლაშარი

მარილისი 1773 – იხ. ლაშარი

მარილისი 1785 – მისს უმაღლესობას ჴემწიფესთან სახლთუხუცესს ქაიხოსროს [ეჩიელა]: ჩემის დაყენებულის მეღორის ღორის საბალახე აუღიათო პანკისის მამულობის ბარობაზედაო... ამ სამართლის განსასჯელად მატანს მივედით. მატანიდან მარილისის მამული დავიარეთ. აქ კობიაშვილები ომან და ტეტია ჩვენთან იყვნენ. პირველად სასახლე ვნახეთ და ციხე კარგი შენობა ქვითკირის მარნითა და აგრეთვე საჯინიბოთი. ამ ციხის გვერდზედ აღმოსავლეთის მხრისაკენ ჩამოუდის მდინარე კურტანაძეული, აქედამ შეყვება ვიწრო ხეობა, აღმოსავლეთის მხრიდამ ჰყვება სიგძეზედ პანკისის მხარეს მაღალი მთა, აგრეთვე დასავლეთის მხრიდან ასდევს მატნის ციხიდამ მოკიდებული მაღლამდის რომ ამ მთებს მაღლა თავი ერთად აქვს შეკრული, ამის საშუალო მარილისის მიწა-წყალი ძეს, რომელსაცა აქვს ჩრდილო ამ მთებს კალთები მარილისში შიგ ჩამოტანილი. ამ ქვემო სასახლეს ზემო ერთი საათის სავალი არის, იქ ერთი მომაღლო გორა არის. ამ გორაზედ ციხე ავლია, ერთი კარგად ნაგები საყდარი დგას ნახატი ციხეში და ამ ციხის გარეშემო სოფელსა და ამ ციხეს ქაჩალაური სოფელი ქვიან. რომ ამ ციხისა ეკითხეთ კობიაშვილებსა ვისი არისო. და ამათა თქვეს: ჩოლაყაანთი არისო, ქაჩალაური სოფელი ქვიანო და მახსოვართაგანაც წერილიც ასე აცხადებს: ეს მარილისის მიწა-წყალი მთა და თავისაეე ჩრდილო ნეტარად ხსენებულთ მეფეთ ნახევარი ამ მარილისის მამული ლაშარის ჯვრისათვის შეუწირავთ და ნახევარი ჩოლოყაშვილის გრიგოლის წილობისათვის უბოძებიათ... მარილისი ძველადგანაც ბატონიშვილის გიორგისგანაც ნაბოძები ქონიათ, რომე პირველ მარილისი საბატონიშვილო ყოფილა და უმაღლესობას მეფეთა სიგლით უბოძებიათ ჩოლოყაშვილის გრიგოლისათვის, ზოსიმე ხარჭაშნელისათვის... ამ სიგლებისა და წიგნების გასინჯვის გარდა ჩვენ აქ მატანს ამ მარილისის მამულის მახსოვარნი მოვიკითხეთ. და წარმოდგა სამართალში სახასო ჯუგაშვილის იობ მღუდლის ძმა ნაცვალი იესე, რომელიც ეწერს მოწმობს ესრეთ: სამარილო მთა ასე გაუფიცნიათ პაპაჩემს ჯუგაშვილს ჯუგასა, სუმბიაშვილს აზნაურშვილს ონანასა და ბათურიშვილს ბათურასა. ამ სამთა ეს უფიცავთ: ხატები აუღიათ და სოფელი თან მიყოლიან, დროშებაღებული სატ-

რედო გორაზედ შემხდარან, იქიდამ კუწახტის თავი გადუვლიათ, იქიდამ დედისფერულის თავი გაუვლიათ, იქიდამ გაბმულს გასულან, გაბმულიდამ გამოუვლიათ და მთაწმინდაზედ ჩამოუვლიათ, და მთაწმინდიდამ საჭვრეთელაზედ გადმოუვლიათ. და ილის ქედის წყაროზედ მოსულან. ეს სამძღვრები ესრეთ შემოუფიცავთ, რომ ამ მიჯნებს საშუალ ჩრდილო და ვაკე მარილისისა არის. ქაჩალაური ნასოფლარიც ამ მთებს შუა შერთული არისო. ეს გაფიცული მამული ნახევარი ბატონისა არის და ნახევარი ჩოლოყაშვილისა. ამისი საბალახე ნახევარი უწინაც ბატონის სარქარში მისულა და ახლაც ბატონიშვილის გიორგისათვის მოგვირთმევიაო. მეორე მოხსენება გარშაულიშვილის სახასო პეტრესი, მოხუცებული კაცია: მე პანკისის შენობას მოვსწრებივარ, ალაზანს გაღმა და გამოღმა შენობა იყო. მაშინ ჩოლოყაშვილები ოთარ, ქაიხოსრო, გუნა, შარმაზან, ფილიპე ხარჭაშნელი და სხვანი მარილისს თავის სასახლეში ესახლნენ. იმ ჟამში ჩოლოყაანთ იქ საბალახე აიღეს ქაჩალაურშია და ხევის ჭალაშია... ბახტრიონს მახსოვარნი და მოწამენი მოვიკითხეთ... გუჯარი ამ მიჯნებს ასე აცხადებს: მარილისის სასახლე ზემოთ საზაფხულედ წმინდის მარინის კარი და ქვემოდ ილის ქედის ეკლესია ომანის წყარომდის და ქვემოდ ფშამდის ზვარი და მარანი და საყარაულო ქვიანი და სათევზე ზემოთ მთა თუშთ ნასადგომრამდის სახასო მარილისი კურტანაძეული... დღეს რომ კობიაშვილებს პანკისის მამულობის მიზეზად რომ ღორები აუღიათ ქაჩალაურს გარშემო ნასოფლარში, ეს მარილისის მიწა-წყალი არის, რაც ღორი ამაში აუღიათ კობიანთ, სრულებით სალთხუცესს ქაიხოსროს უნდა მიეცეს... (ქსძ, V, გვ. 288-292).

მარილისი 1792 – იხ. მატანი

არის, რომ ჩემი მოხელეები წამოაყენონ თქვენმა მოხელეებმა ... და ვისაც ხარჯის მიცემა შეეძლოს ... სამ-სამი კოდი გამოართვათ; როგორც სხვას ზემო ქართლელს კაცს ერთმევა, ისე იმათ გამოერთვათ... მე სხუას თავდებთან არ უნდა გამომართვათ, ამისთვის რომ მე და ჩემს ბიძაშვილს დღეში შვიდი კოდი პური გვინდება, ყოველწლივ პურსა ვყიდულობთ; და წელს რა თქვენ გორიდამ წამობძანდით არმითა, მასუკან ოცდაათის თუმნის პური მიყიდნია. მე სხვა სამსახური უფრო შემიძლიან პურისა და ღვინის მორთმევისაგან... [ოქმი]: ბატონო სახლთუხუცესო დავით და მდივნებო! მერე ქსნის ერისთვის მთის კაცთ, რომელთაც პური წინაპართ ჩვენის პაპების დროს არ ზდებიათ, უდებს არც ახლა ჩვენა ვთხოვთ. და რომელთაც ვაკის კაცთ კოდისპური ზდებიათ, იმათ უნდა მოგვცენ. მთის კაცს გარდა რაც დღეს ყმა ჰყავთ, რომელსაც ალაგს კოდისპური ზდებია, ეს გლეხი კაცი აღრიცხეთ და კომლზე კოდისპური, როგორც ქართლში სხვას შეაწერეთ, ისე ამათ ყმას შეაწერეთ (ქსძ, VII, გვ. 191-193).

მეჯვრისხევი 1771 — იხ. ტინისხიდი

მეჯვრისხევი 1772 — ავიღე... ციცისშვილმა ზაზამ ... მკერვალი ლაზარეს შვილის ქიტესასაგან ორმოცი ოსმალოს საღი ყურუში... ღვთით ახალციხიდამ ჩამოხვიდე, ჩემი ძმა ... ჩამოიყვანო, ეს თეთრი ულაპარაკოთ მაშინვე მოგაბარო, ამის გირაოდ მოგეცი მეჯვრისხევს ტერტერასშვილი გოგია ჩვენი ყმა... (დსეი, გვ. 65).

მეჯვრისხევი 1772 — იხ. მუხრანი

მეჯვირსხევი 1778 — [არზა ზაალ დავითაშვილისა ერეკლე II-ისადმი]: ერთი ჩემი კაცი ჭავჭავაძე გლახა მეჯვრისხევს ახალუბანს გახლდა, ის დაიკარგა, ქვრივი და ობლები გახლავან. რამდენჯერ მივალ, ხან დამემალნენ, ხან საერისთოულის მძლავრობით ვერ ჩავიგდე... (ქსძ, VII, გვ. 391).

მეჯვირსხევი 1781 — იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

მეჯვირსხევი 1784 — მეფის ძის ვახტანგისათვის მოეხსენებინა ზაბულონს... მეჯვრისხევს სამის დღის მიწა მქონდაო, ბერო ხომასურიძე დამევაჭრაო, ნახევარი მიეჰყიდეო იმ მიწისაო, ამაში მთლივ სამის დღისა ჩაუწერიაო მწერალსაო... ბერო უპასუხებდა: შენ წახველ, ქსნისჯეველს კაცს მეტი ფასი გამოართვი, ბატონიშვილს მოახსენე, ოქმი მოიტანე, ისევ დაახსნევინეო.

მეჯვირსხევი 1785 — [არზა კობახიძე ვასილისა ერეკლე II-ისადმი]: ... მთელი მეჯვრისხევის სიღნაღი და გალავანი ჩემს ვენახებში დგას, ორი ძველი კოშკი ჩემი არის, ჩემის მამის გარემოშიგ დაჰყვა, რომე აღარა მომრჩომია რა, ორასის კოკის ვენახი წამიხდა, რომე სიღნაღი არის... სისხლდაღვრილი კაცის შვილი ვიყავ და მეც ამათთან სისხლი დამიღვრია. ამისის სამაგიეროთ ჯერ ვარიანს ორი კომლი კაცი მებოძა... (ქსძ, V, გვ. 309-310).

მეჯვრისხევი 1786 — ტუსისშვილი ქაიხოსრო და ლოლაძე ლუარსაბ ერთს კომლს მეჯვრისხეველს ციხელაშვილს ნინიასა და თომაზედ სამართალში ლაპარაკობდნენ... ლოლაძე ლუარსაბ ამას ეპასუხებოდა: ციხელაშვილი ნინია და თომა ჩემი მკვიდრი ყმანი არიანო და შანშე ერისთავს რომ ბატონმა ოქმი უბოძა, და რომელიც გლეხი კახეთის მამულში ქსნისხეველი

ესახლა, აჰყარა, ეს ციხელაშვილი მაშინ აჰყარა და წამოიყვანა... ოცდაათს წელიწადზე მეტი არის, მეჯვრისხევს მისახლობს და ამის მეტად არ გიდავნიაო.. (ქსძ, V, გვ. 344-345).

მეჯვრისხევი 1787 – იხ. ავნევი

მეჯვრისხევი 1791 – [არზა მღებრიშვილებისა იულონ ბატონიშვილისადმი]: ჩვენი მამა-პაპა რომ მეჯვრისხევს მოსულა, თვისის თეთრით მამულები უყიდია და იმაზედა დასახლებულა. შანშე ერისთავს რომ ციხის გაკეთება მოუნდომებია, ჩვენს მამულში გაუკეთებია. ამ ჩვენი მამულის მაგიერად სხვა მამული მოუცია. როგორც ჩვენს ნასყიდს მამულს ღალა და კულუხი არ სდებია, ისე იმის ნაბოძებს მამულს ღალა და კულუხი არ დაუდვია და ისე უბოძებია. ახლა თქვენი მოხელეები კულუხს გვთხოვენ... (ქსძ, VIII, გვ. 127).

მეჯვრისხევი 1793 – [არზა კობახიძეებისა ერეკლე II-ისადმი]: ... ჩუენი მკუდრი წართმეული მამული გვებოძა მეჯვრისხევს ქედისუბანს ამოწყვეტილის აზნაურის – მოლოზნისშვილის ბეითალმანი მამული... (ქსძ, VIII, გვ. 249).

მეჯვრისხევი 1795 – იხ. გორი

მეჯვრისხევი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

მეჯუდა // მეჯუდის წყალი // მეჯუდის ჯევი. შიდა ქართლი

მეჯუდა 1470 – იხ. ლარგვისი

მეჯუდა 1540 – იხ. ზერტი

მეჯუდა 1716-1724 – იხ. ხევთუბანი

მეჯუდა 1796 – ესე წიგნი მოგეც მე, მამუკელაშვილმა გრიქოლამ შენ, თუმანისშვილს ნიკოლოზს... ჩემი წისქვილის სათავე წამხდარიყო მეჯუდისგან... მეწისქვილეს მუშები მიეცც, შენი მარანი გაეჭრათ... ერთი საქცევი იყო გაჭრილი, მთელმა რეხელებმა ნახეს შენი მოხსენებული სწორე იყო... (დსსი, II, გვ. 183).

მეხაშეების რიგი. თბილისი

მეხაშეების რიგი 1767 – ... ჩვენ, ნარიმანაანთ არუთინას ჯალაბმა დედებომა ... თქვენ შანშიან-მარტიროზის შვილს მდივანს ყარანსა ... მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი ნაქონი მეხაშეების რიგზე ორი დუქანი... კიდევ ამ დუქნების გარდა მოგყიდეთ როტინანთ ქუჩის რიგზე ორი დუქანი... (დთი, I, გვ. 309).

მზანათი. სამეგრელო

მზანათი 1628 – იხ. ღალიძგა

მზეულისტანი – იხ. ზეულისტანი

მზვარე. იმერეთი

მზვარე 1711 – იხ. ქვიშხეთი

მზვარეთი // ზვარეთი. ქვემო ქართლი

მზვარეთი 1591 – იხ. ამლიეი

მზვარეთი 1706 – იხ. თრიალეთი

მზვარეთი 1709 – იხ. თრიალეთი

მზიურა. იმერეთი

მზიურა 1519 – იხ. გელათი

მზოვრეთი იხ. მძოვრეთი

მთაბორის ციხე. შიდა ქართლი

მთაბორის ციხე 1729 – იხ. აწერისხევი

მთავარანგელოზთუბანი. შიდა ქართლი

მთავარანგელოზთუბანი 1392 – იხ. ტფილისი

მთავარანგელოზი. ქვემო ქართლი

მთავარანგელოზი 1392 – იხ. ტფილისი

მთავარანგელოზი // მთავარანგელოზნი // მთავარანგელოზის მონასტერი. კახეთი

მთავარანგელოზი 1392 – იხ. ტფილისი

მთავარანგელოზი 1579 – იხ. მცხეთა

მთავარანგელოზი 1654 – იხ. საგარეჯო

მთავარანგელოზი 1654 – იხ. წინსაგარეჯო

მთავარანგელოზი 1756 – იხ. ალვანი

მთავარანგელოზის მონასტერი. შიდა ქართლი

მთავარანგელოზი 1392 – იხ. ტფილისი

მთავარანგელოზის მონასტერი 1678 – იხ. ვირშის წყალი

მთავარანგელოზის ტყე. გურია

მთავარანგელოზის ტყე 1764-1770 – ... ესე ... პირობის წიგნი დაგიწერეთ ... ბატონს ერისთავს ზაალს ... თქვენმა ყმებმა... მთავარანგელოზის ტყე შემოწირული ქვაბრგვალიდან, ნახევარს ნადირს ვახმარდით და სანთელს არა, ძველადგან დიდ-ჯუმათელს ედავებია... რადგან ხატის ტყისაგან სხვაც ბევრი გამოსავალი გექონდა ... ათის თავის წილი ხატის ტყისაგან მთავარანგელოზს მოვართვათ... ის ქვაბბრგვალის ღელე რომ არის, მისი ტყიანათ დაგვიცს... არის ამის ... მოწამე საჯუმათლო ყმა... (სს, II, გვ. 521-522).

მთაწმიდა. კახეთი

მთაწმიდა 1654 – იხ. საგარეჯო

მთაწმინდა 1785 – იხ. მარილისი

მთაწმიდა // მთაწმინდა. ქართლი

მთაწმინდა 1542 – ... ჩუენ, ორთა მონაზონთა ... ქართლისა ქათალიკოზისა ნიკოლოზისა და ტფილელის იოანესა ნებადართვითა, აღვაშენეთ უდაბნო, რომელსა ეწოდების მთაწმინდა ... სახელსა ზედა ყოელად წმიდისა ღეთისმშობელისა და შევწირეთ ორსა ხრამსა შუა უდაბნოსა ბაღი, ვიდრე შარამდის... (სს, II, გვ. 125).

მთაწმინდა 1720 ... ჩვენ ... პართენ ... პამფილიის მიტროპოლიტი ვიყავით და მივედით საქართველოში.... თქვენს [პავლე ტფილელის] სამწყსოში მაღლა, მთაწმიდას, თქვენის ნება დართვით ... დავდექით... (ქკმეის, გვ. 225).

მთაწმიდა // თაწმიდა. ქვემო ქართლი

მთაწმიდა 1632-1658 – იხ. ფიტარეთი

მთაწმიდა 1646-1658 – იხ. ჭრეში

მთაწმიდა // მთაწმინდა // თაწმინდა. შიდა ქართლი

მთაწმიდა XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

მთაწმინდა 1789 – იხ. გორი

მთაწმიდის ბოსელთა. შიდა ქართლი

მთაწმიდის ბოსელთა XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

მთაჭალა. იმერეთი

მთაჭალა 1680 – იხ. საფალავანდიშვილო

მთის წმიონდა გიორგი. რაჭა

მთის წმინდა გიორგი 1492 – იხ. სახადი

მთის წმინდა გიორგი 1548 – იხ. ნიკორწმინდა

მთის წმინდა გიორგი 1591 – იხ. ხონჭიორი

მთის წმინდა გიორგი 1661 – იხ. შაერა

მთის წმინდა გიორგი 1680-1685 – იხ. შავრა

მთის წმინდა გიორგი 1795 – იხ. კაციეთი

მთიულეთი // მთიული. არაგვის ხეობა

მთიულეთი 1669 – იხ. წილკანი

მთიულეთი 1746 – იხ. ანანური

მთიულეთი 1747 – ჩვენ, ფოცხვერამა ... ესე წიგნი მოგართვით თქვენ, ჩვენს ბატონს არაგვის ერისთავს ჯიმშერს, რომ ... მეფის ერეკლესაგან ბრძანება გქონდათ და ჩვენი მაკურთხეველი წირკნელი ქრისტეფორე შემოიყვანეთ; რაც მთიულში[142] სახუცო იყოს, სამ წელიწადში ერთი ზროხა მიეართოთ... (ქკმეის, გვ. 265-266).

მთიულეთი 1752 – ნადირშას იმამყულიხანის ბატონობაში გივი ამილახორი და ბეჟან არაგვის ერისთავი უკუდგნენ, ორნივ ხიზნათ მთიულეთს იდგნენ. ბეჟან ერისთავი თავისმა ყმებმა მოკლეს. ამილახორს საქონელი, ბარგი რაც მთიულეთსა ქონდა, აუკლეს; წიგნები რაც იყო ან ბატონის ნაბოძები ... სულ დაეკარგა. ამისგან ზოგიერთი ჩვენ [თეიმურაზ II-ს] მოგვიტანეს და დიმიტრი ამილახორიშვილს უბოძეთ. ჩვენ რომ ერანში ნადირშასთან წავედით, ჩვენი შვილი მეფე ერეკლე ჩვენ მაგიერად თიფლიზს ბძანდებოდა. მაშინ ამირინდო ამილახორმა, რევაზ, იესემ, თეიმურაზ და ნიკოლოზ თურმე იჩიველეს – ქალაქს სასახლე საერთოაო; დიმიტრისათვის

[142] მთიულეთში (გუჯრ, გვ. 68).

ეთქვათ, უნდა ამილახორი იდგესო. წიგნი აეღოთ, ვინც ამილახორი იყოს, ის დადგებოდესო... დიმიტრი ამილახორი ქალაქიდამ ცხვილოს წასულიყო, წიგნები რომ ჩამოეტანა ნასყიდობისა და ბატონების ნაბოძები ან ამ სახლისა, მამულისა, სახელოსი – ესეები და სხვა ბარგი თან წაეღო. ღართის კარში ლეკი დახვდომოდა, კაცნი დაეხოცათ, აზნაურშვილები დაეჭირათ, წიგნები და ბარგი, ჯორები დაკარგოდა... (ქსძ, IV, გვ. 406-407)

მთიულეთი 1775 – [არზა ადამ ყარაგოზიშვილისა ერეკლე II-ისადმი]: მთიულეთში ერთი კომლი კაცი თქვენი მტერი ამოგვიწყდა და იმისი მამული ივანე ბურდულს მივაბარე... წელიწადში ნახევარი ჩემთვის უნდა მოეცა... მეუბნება ბატონმა მე მიბოძაო... სამართალი მაღირსეთ... (ქსძ, VII, გვ. 287).

მთიულეთი 1795 – იხ. როროთ

მთიულეთი 1796 – იხ. არაგვის სამოურავო

მთიულეთი 1797-1800 – იხ. ბაკურციხე

მთიულეთი 1799 – კობიაშვილს ბოქაულთუხუცესს ავთანდილს მოეხსენებინა მეფის ძის ვახტანგისათვის: როსებ სახლთხუცისგან მიწა მაქვს ნასყიდი, იმ ნასყიდ მიწაში ჩემს ყმას კუდურიშვილს სახლი გავათხრევინე და მთიულეთის მოვრავიანი არ აგებინებენ... ბატონიშვილი ვახტანგ გიბრძანებს სალთხუცესო ოთარ და მღვდელო შიო, მერე ახლავ უნდა მოხვიდეთო კობიანთ კარსა და მთიულეთის მოურავიანი და ბოქაულთხუციანი სახლის ალაგზედ რომ დაობენ ... გაუსამართლეთ... სადაგდიაშვილმა დათუნამ ასე იმოწმა: ეს ბატონი ჩემი დუშეთს იყოს ბატონთანა და იქიდამ გამოიარა, იმ ბაღთან რომ მივიდა და გაიკრა ხმალს ჭელი და რაც ხეხილი ჩაეყარა, გარდაკაფაო... სრულიად არაგვის მპყრობელი ბატონისშვილი ვახტანგ, ვამტკიცებთ განჩინებასა ამას (ქსძ, VI, გვ. 115-121).

მთიულეთი // მთიულეთის თემი. სვანეთი

მთიულეთი 1503 – იხ. რაჭა

მთიულეთი. შიდა ქართლი

მთიულეთი 1460 – იხ. ცხრაზმა

მთიულთკარი. არაგვის ხეობა

მთიულთკარი 1781 – იხ. პავლეური

მთიული. კახეთი

მთიული XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

მთრეხი. ხევი

მთრეხი 1439 – იხ. ხევი

მთხლარა. იმერეთი.

მთხლარა. იმერეთი 1505-1519 – ... ესე ... წიგნი ... მოგაჴსენეთ თქვენ, გელათსა ჴახვილისა ... ღმრთისმშობელსა ... მე, ბანცაძემან ნასყიდმან... მთხლარაში დასთვეაძისაგან მამული ვიყიდე მისითა ბეგრითა ასრე ვითა ... მისი ბეგარა ხატსა არა მოეშალოს... (დსსს, I, გვ. 5-6).

მიდელაანთ კარი 1774 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

მიდელაანთ კარი 1781 – იხ. ისროლისხევი

მიდელაანთ კარი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთაო)

მილახი. ჯავახეთი

მილახი XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

მილისი // მილის სოფელი. ქვემო ქართლი

მილისი 1392 – იხ. ტფილისი

მილის სოფელი 1706 – იხ. თრიალეთი

მინათური // მინათაური. შიდა ქართლი (?)

მინათური 1665 – [ბრძანება შაჰნავაზ მეფისა]: რომელიც მინათურში სასახლე ბერუკა თურქისტანიშვილს ზურაბისათვის დენებებინოს და სამძღურები ჩაესახას, იმასთან ქაიხოსროს და მის აზნაურიშვილს ლიპარიტს ჴელი არ აქუს, დარჩა ზურაბს... (სს, II, გვ. 265).

მინათური 1723 – ... ჩვენ, ანდერმანისშვილმა რევაზ ... თქვენ, ჯავახისშვილს სვიმონს ... მოგყიდე მინათაურში შენის სასახლის წინ, ზეითი პირი ერთი დღის საკვეთელს ზომა მიწა... (სს, II, გვ. 317).

მინგული. ქვემო ქართლი

მინგული 1653 – იხ. ბედენი

მინდაქარი. ქვემო ქართლი

მინდაქარი 1657 – იხ. ტაშირი

მინდიაშვილები. შიდა ქართლი

მინდიაშვილები 1772 – იხ. ხეობა

მირაშხანი. ჯავახეთი

მირაშხანა XIV-XV სს. – იხ. ვანისქვაბები

მირზაანი // მირზანი. კახეთი

მირზაანი 1774 – [არზა ნაბიჭვრისშვილ ფარსადანის ქვრივისა ერეკლე II-ისადმი]: ... მწარეს სიღარიბით მირზაანში სხვათა კარებს გახლავართ. ერთი ჩემის დედამთილის ნასყიდი ყმა გვყავდა... იმ კაცს ოთხი ვაჟი დარჩა. ის ბიჭები აღარ გვეპუებიან, აღარც თავს გვიდებენ. ქოდალის ციხეში გახლავან, ზაალ ზურაბიშვილის კედლად არიან... (ქსძ, VII, გვ. 253).

მირზაანი 1748 – იხ. ცლოკანი

მირზაანი 1779 – იხ. კაკაბეთი

მირზა-ტაში. ქვემო ქართლი

მირზა-ტაში 1792 – იხ. ბალიჭი

მირიანისძის მამული. შიდა ქართლი

მირიანისძის მამული 1487 – იხ. შოროს ციხე

მირი. ქვემო ქართლი

მირი 1725 – იხ. ისპიანი

მირი 1741 – ესე წიგნი მოგეც მე, მელიქი აშხარბეგის შვილმა მირშიქარბაშმა აღამ თქვენ, გოშტაშაბიშვილს თამაზაშვილს ვახუშტის... არეშიანთ ზალისშვილი სოლაღა თაეიანთ სოფლის მირისათენ დაეჭირათ თათრებს და ჰყიდდნენ, არავინ პატრონ არ გამოუჩნდა. თვითან თავისი თავი მე მომყიდა, ფასი თავიანთ მირში მისცა, მასუკან მე ქალაქს არ ვიყავ, ცუდათ მიგეცათ ალიყულიბეგისათვინ, მიეელ და ალიყულიბეგისგანაც დავიხსენ... ამის მამულთან და ყმასთან მე ჴელი არა მაქვს... (სს, I, 1920, გვ. 141).

მირტაშენი. ქვემო ქართლი

მირტაშენი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მისაქციელი // მოსაქციელი. არაგვის ხეობა

მისაქციელი 1392 – იხ. ტფილისი

მისაქციელი 1441 – ჩუენ მეფეთა-მეფემან ალექსანდრე ... ესე წიგნი გიბოძეთ თქუენ მაკუჭასძეთა ივანესა... მოსაქციელი ეკუდერსა შევსწირეთ და მწირეელნი მეკუდრენი გავიჩინენით და თქუენ მაკუჭასძეთა აქათი მოსაქციელს, რაცა გლეხთა, ანუ ზურისაგან გამოეა, მათუის საღაპედ და კანდლისა სანთებლად გაუჩინე და თქუენ, თქუენითა მამულითა ... მცხეთისშვილად დაგსხენ... მოსაქციელისა მოურავი შენ, ივანე ხარ... ჩუენგან ბოძებულითა ერწოულითა მამულითა და სოფლითა შემიწირვიხართ... და ყოველთა წელიწადთა ერთსა ცალსა პურსა, და ერთსა ცალსა ღუინოსა და ოთხსა ზურგიელსა მცხეთას მიღებდით... თქუენ მაკუჭასძეთა და მოსაქციელურსა გლეხთა არასთანა სათხოვარი არა გეთხოებოდეს; ერწოს კურნძისეულსა და ახალი სოფელი აშენე, ყუარელნი და მაღაროელნი დასახლენ, კალოს კაბიწი არცა ამასწინათ სთხოეია და არცა ამას უკანით ეთხოებოდეს... (ის, III, გვ. 22-24).

მისაქციელი 1447 – იხ. მცხეთა

მისაქციელი 1516-1535 – იხ. კუნელი

მისაქციელი 1529-1536 – იხ. ვეძისი

მისაქციელი 1532 – იხ. მცხეთა

მისაქციელი 1559 – იხ. სხალდიდი

მისაქციელი 1618 – იხ. საფურცლე

მისაქციელი 1637 – ... ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ ... [სითარხნის წიგნი] გიბოძეთ თქუენ ... ბატონიშვილს ვახტანგს... მოგუიდეგით კარსა და მისაქციელისა და თეკანს სითარხნის წყალობას გუეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხული ექენით და დიდის ხნის ნაოხარი ყოფილიყო და ასაშენებლად მოინდომეთ. აწე ასრე ვითარხნეთ და გითავისუფლეთ... მუხრანის თასილდარნო – თქუენცა ასრეთ გაუთავეთ... (ქსის, გვ. 136).

მისაქციელი 1669 – იხ. წილკანი

მისაქციელი 1793 – იხ. ნიაბი

მისაქციელი 1799 – მეფის ძეს იოანეს დანდურაშვილი აბელისგან ეს მოხსენდეს. ორი დღისი მიწის მაგიერი მისაქციელში როგორც დაფასდეს, ან თეთრით უნდა ჩემი გული შეიჯეროს და ან იმის ფარდის მიწის მოცემით მამაცაშვილმა ელისბარმა ან თარხნისშვილმა ზურაბამა და რევაზმა; და საკაფს ჭალა რომ სამართალმა მე მამცა (ქსძ, VIII, გვ. 518-519).

მისხანა 1756 – [მდივანბეგებისადმი წარდგენილი საჩივრების ნუსხის თანახმად]: მისხნელმან კაცმან ხუთი რუზიგორის (!) კინის მიბარება უჩივლა. (სამდ, გვ. 28).

მისხანა. ქვემო ქართლი

მისხანა 1799 – იხ. მადანი

მისხანა XVIII ს. II ნახ. – მისხნელმან ხუცისშვილმან მისხნელთა უჩივლა რკანა რუზიგ... (სამდ, გვ. 58).

მიტიჩაური. ქვემო ქართლი

მიტიჩაური 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მიფარი. შიდა ქართლი

მიფარი 1793 – იხ. კოშკა

მიქაური მამული. შიდა ქართლი

მიქაური მამული 1459 – იხ. ვირშისთავი

მიღურე. არაგვის ხეობა

მიღურე 1781 – იხ. წკერე

მიშტარაშენი // მაშტარაშენი// მუშტარაშენი. ქვემო ქართლი

მიშტარაშენი 1630 – იხ. სომხითი

მიშტარაშენი 1651-1652 – იხ. ტალავერი

მიჩბისი – იხ. ნიჩბისი

მიწის ჯიდი. კახეთი

მიწის ჯიდი 1711 – იხ. აკური

მიწობი. შიდა ქართლი

მიწობი 1664-1673 – იხ. წყნეთი

მიწობი 1701-1703 – იხ. მძოვრეთი

მიწობი 1747-1749 – იხ. ძამის ციხე

მიჭიხია – იხ. მაჭიხელი

მიხორი 1766 – იხ. გორი

მიჯა. ქვემო ქართლი

მიჯა 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მიჯა 1707 – იხ. წრაუთი

მიჯნაძორორი. კლარჯეთი

მიჯნაძორორი 1054-1072 – იხ. ქუთაისი

მკუთრუ. შიდა ქართლი (?)

მკუთრუ 1776 – იხ. თიელას მიწა

მლაშე. არაგვის ხეობა

მლაშე 1723 – ... ჩვე, არაგვის ერისთავმან ოთარ ... შენ, კობიაშვილს საამს ... გიბოძეთ მლაშეს სამი კომლი... (დსსი, I, გვ. 200).

მლაშე. იმერეთი

მლაშე 1550-1570 – იხ. რომანაული პარტახტი

მლაშე 1644 – იხ. ქუთაისი

მლაშეთ ხევი. ქვემო ქართლი

მლაშეთ ხევი 1710 – იხ. დურნუკი

მლაშის ღელე. იმერეთი

მლაშის ღელე 1578 – იხ. ქუთაისი

მლაშობი. ქვემო ქართლი

მლაშობი 1751 – იხ. ახალშენი

მლშე. ქართლი

მლშე 1728 – ... საგინაშვილები ... აძლევენ ნასყიდობის წიგნს გოსტაშაბის-შვილს ამილღაბარს მლშეში შაევრდაშვილის მიწის შესახებ. მოწმენი: ჩხიკვთის მამასახლისი ზაქარია... (სს, I, 1920, გვ. 86).

მნა. ხევი

მნა 1439 – იხ. ხევი

მოაში. ლეჩხუმი

მოაში 1758 – იხ. ყუდრეში

მოგლეჯილი ფლატე. თბილისი

მოგლეჯილი ფლატე 1751 – იხ. გარეთუბანი

მოდამნახე. ქვემო ქართლი

მოდამნახე 1543 – იხ. სხალნარი

მოდამნახე. შიდა ქართლი

მოდამნახე – იხ. წვერწვერა

მოდამნახის ციხე. კახეთი

მოდამნახის ციხე 1579 – იხ. მცხეთა

მოდამნახის ციხე 1654 – იხ. საგარეჯო

მოდამნახის ციხე 1654 – იხ. წინსაგარეჯო

მოდინახე. იმერეთი

მოდინახე 1793 – ... მე, წერეთელმა გელიამა ... სარდალს წერეთელს ქაიხოსროსა ... ხუცია იაკობიძის პარტახტი მოგყიდე... არის ამისი მოწამე ... მოდინახის მოურავი... საზარელი გომართელი გამრიგეცა და მოწამეცა ვარ. ახალციხელი ჯიმშერათ ბატონ ჯანაშვილს პოლოსას დამიწერია და მოწამეცა ვარ... დაიწერა [წიგნი] რაჭას ონის ქალაქში... (მსკი, 31, გვ. 186).

მოედანი – იხ. მეიდანი

მოედნის წყლის კარი. თბილისი

მოედნის წყლის კარი 1751 – ... იოთამისშვილმა ერასტიმ ... თქვენ თაქთაქიძესა ელისბარს ... მოგყიდეთ ჩვენი ალალი ნასყიდი ქალაქს სასახლე, მოედნის წყლის კარი რომ შეივლის: ცალი გვერდი დიდი ქუჩა რომ ჩაივლის იქამდი, მეორე გვერდი აქეთ გალავნისკენ ქუჩა რომ შეივლის კედლამდის... (დთი, I, გვ. 233).

მოზუერაული მამული. შიდა ქართლი

მოზუერაული მამული 1638 – იხ. ქორდი

მოიდანახე ციხე. იმერეთი

მოიდანახე ციხე XVIII ს. I ნახ. – ... ესე ნასყიდობის წიგნი ... მოგეცი მე, წულუკიძემ მერაბ ... თქვენ, წერეთელს ქაიხოსროს ... ასე და ამა პირსა ზედან, რომე ზალ ფალავანდიშვილსოული მოიდანახე ციხე. იმან მეფესთან დამასმინა, მეფემ სასიკვდილოდ, ასაოხრებლად გამომეტა. ის ქართლით წავიდა და ის ციხე მე დავიჭირე სისხლშიდ. და აწ, თქვენ ... მოგეცით ის ციხე... (იდ, I, გვ. 44).

მოკარგული რუ. შიდა ქართლი

მოკარგული რუ 1652 – იხ. ქორდი

მოკლე მიწა. ქვემო ქართლი

მოკლე მიწა 1701 – იხ. ენაგეთი

მოლავი. ქვემო ქართლი

მოლავი 1583 – ჩუენ ... მეფეთა-მეფემან სვიმეონ ... თქუენ, ბარათაშვილს იოვანეს ... გიბოძეთ მოლავს სამართლიანი თქუენი კერძი მამული, შენი და ოხერი, მისისა მთითა, ბარითა... აწე გიბძანებთ ალგეთის პირის ტარუღანო, მელიქნო და სხვანო მოსაქმენო, კარისა ჩუენისაგან წარვლენილნო ... თქუენცა ასრე გაუთავეთ... (ქსის, გვ. 19).

მოლავი 1688 – იხ. ერწო

მოლავი 1713 – იხ. გუნანეთი

მოლავი 1713 – იხ. ღოლოვნა

მოლავი 1743 – ... ესე წიგნი მოგეც მე, შენმა მემკვიდრემ ყმამ მოლაველმა ფარაღათასშვილმა ბერმა, შენ, ჩემს ბატონს გოშტაშაბიშვილ დავითს... (სს, I, 1920, გვ. 139).

მოლავი XVIII ს. I ნახ. – იხ. ბეთანია

მოლამურნი. კახეთი

მოლამურნი 1505 – იხ. ოროტა

მოლამურნი 1579 – იხ. მცხეთა

მოლი. სვანეთი

მოლი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

მოლი XIV ს. II ნახ. – იხ. ლაჰილი

მოლითი. იმერეთი

მოლითი 1659 – იხ. რეელი

მონასტერი. ქვემო ქართლი

მონასტერი 1651 – ... ჩუენ ... მეფეთ-მეფემან ... როსტომ ... წყალობისა წიგნი ... გიბოძეთ თქუენ ... სოლაღაშვილთა... დაუმკვიდრეთ მონასტერს თქუენს სასაფლაოსა ... ყოველად წმიდასა ღვთისმშობელსა, რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა... (სს, II, გვ. 415).

მონასტერი 1707 – იხ. მელრეევი

მონასტერი 1723 – [ბრძანება ვახტანგ VI-ისა იასაულისადმი]: ... რაც მონასტერს ისე სოლაღაშვილის წილი მამული და გლეხი იყოს, ხელი აუმართე და ქაიხოსრო გოსტაშაბისშვილს მოაბარე, მისთვის ... გვიბოძებია (სს, I, 1899, გვ. 448).

მონასტერი 1792 – იხ. ბალიჭი

მონასტერი. შიდა ქართლი

მონასტერი 1711 – იხ. ქვიშხეთი

მონასტერი 1712 – იხ. ურბნისი

მონასტერი 1781 – იხ. ისროლის ხევი

მონასტერი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

მონასტრის წყარო. შიდა ქართლი

მონასტრის წყარო 1774 –იხ. ვარაზის ჭევი

მორატაშენი. შიდა ქართლი

მორატაშენი 1713 – იხ. ჭვარები

მორბოდაოლი მიწა. სამცხე

მორბოდაოლი მიწა XIV ს. – ... მე, ბოცო, გავაჩინე ესე საწირავი ... ჰალს მოსაღებად... მორბოდაოლი მიწა სატანისამოსეთ მიმიცემია სალაროსა რომ მიცემს, ოცი [თეთრი] რეველისა ციხისა დეკანოზისა თავგარათორნისათოის... ბოცოს დამიწერია ჩემითა ჴელითა... (სსიმ, II, გვ. 39).

მორკულა. ოდიში

მორკვილა 1661-1680 – იხ. ოდიში

მორღუანი. შიდა ქართლი

მორღუანი XV ს-ის I ნახ. – იხ. სამთავისი

მორძგვეთი. იმერეთი

მორძგვეთი 1730-1740 – ბიძინა ჭაუჭიძე და მისი ძმის ხახუტას ნასყიდობის წიგნი როსტომ წერეთლის სახელზე. ორმოცი მარჩილი ემართა მისი და ამისი სამაგეიროდ მისცა თავისი სამკვიდრო მამული და ალაგი მორძგვეთს რაც ჰქონდა, სახლით და კარით ... საწყლისპიროთი და სამცუვარით... (სკ, III, გვ. 62).

მორძგვეთი 1730-1740 – წერეთელი როსტომ და ძმა მისი დავით ყიდიან კაცხის წინამძღვარ დიდის გიორგის აბაშიძის შვილ სამებელ ნეკტარიოსზე მორგვეთს ბიძინა და ხახუტა ჭაუჭიძისსეულს პარტახტს (სკ, III, გვ. 62).

მორძგვეთი 1730-1740 – იხ. კაცხი

მორძგვეთი 1742-1743 – ... მაცხოარო კაცხისაო, მე ... აბაშიძის გიორგის ძემან ... მონაზონ-სამებელმან ნეკტარიოს ... შემოგწირე ჩემი ნასყიდი გლეხები ... ნასყიდს პარტახზედ დამისახლებია მორძგვეთს ორივე ეს გლეხები... ეს ნასყიდა კაპანაძე და მისი ძმები ბატონმა მამაჩემაა შორაპანს დაასახლა. ახლა გამოხდა ხანი... ბატონმა აბაშიძემ აჰყარა, ცოლი გაუყიდეს რაც მორჩნენ, ჩვენთან მოვიდნენ კაცხის ციხეში... მის უკან კიდევ აყარეს შოშიტა კაპანაძე, თვით შოშიტა და მისი შვილი და რძალი და ერთი შვილისშვილი დაყიდეს... მას აქეთ შორაპანს მეფე და სულ იმერეთი შემოადგენ, და ქუეყანა აიყარა და ამათ ვერ გამოასწრეს, ბოსლევს იაშვილის კოშკში შეიხიზნენ... გაუსიეს იასაული, აიკლეს და სულ ერთობით წამოიყუანეს. შევიტყვე ეს და ჩავედი შორაპანს. მეფეს შევეხვეწე, ლევანს ეწყინა ჩემათ რომ შეიტყო, ამომგუარა ყველა და უკლისად მომცა. წამოვიყვანეთ და კაცხს მოვიყვანე... (სკ, III, გვ. 57-58).

მორძგვეთი 1752 მეფე სოლომონ I და ცოლი მისი დადიანის ასული მარიამ სწირავენ კაცხს მორძგვეთს 5 კომლ კაცს... (სკ, III, გვ. 63).

მორძგვეთი 1776 – Царь Соломон по ходатайству настоятеля **Кацхской** церкви, особой грамотой укрепил за него селение **Мордзгвети** и **Партахеви** и пожертвовал восемь дворов крестьян (ГЦГ, გვ. 124).

მოსაქციელი – იხ. მისაქციელი

მოუგონელნი. შიდა ქართლი

მოუგონელნი 1073 – იხ. თრიალეთი

მოუგონელნი 1170 – იხ. სხალტბა

მოუცადი გორა. კახეთი

მოუცადი გორა 1756 – იხ. ალვანი 1756

მოქრისი. ქვემო ქართლი

მოქრისი 1634 – იხ. ზემო მშავნი

მოქრისი 1635 – იხ. ენაგეთი

მოქრისი 1654 – იხ. სთონეთი

მოქრისი 1661 – იხ. მშავნი

მოღნინი – იხ. მოღნისი

მოღნისი // მოღნინი. თბილისი

მოღნისი 1781-1782 – იხ. ქალაქი

მოღნისი 1783 – ჩუჱნ, მანდენაანთ ოსეფას შვილი ავთანდილას ჯალაბმა შუშანამ ... თქვენ, მირიმანაანთ ოსეფას შვილს ავთანდილას ... მოგყიდეთ ჩვენი მამაპაპეული ჩვენი სახლის წინ ქოხების ადგილი. ქვემო ბოლო მოღნინის სასაფლაოს შარის პირამდის... ძავარაანთ ქუჩის ოდენა ჩემის სახლისათვის გზა უნდა გაუშვათ... არის ამისი მოწამე ქალაქის მელიქ მამასახლისი ავეტიქა... სუფრნიშნის დეკანოზი... მე მოღნინის წმინდის გიორგის უღირსი მონა... (დსეი, გვ. 81-82).

მოღნისი 1784 – ... მე მოღნინის მაჰტისი ტერ-აბრაჰამ ... ნორაშნის წმინ[დ]ა ეკლესის მცირე მონა ტერ-აკოფ ... [და] ჯიგრაშნის დეკანოზი ტერ-ოჰანამ ასე მინახავს ... რომ რაც ხელმწიფეები ყოფილან საქართველოში, ერთი მოურავი და მელიქ-მამასახლისი და ნაცვალი ყოფილან [ქალაქში]... (სს, III, გვ. 15-16).

მოღნინის უბანი. თბილისი

მოღნინის უბანი XVIII ს. I ნახ. – იხ. ქვემო უბანი

მოშვერი – იხ. მაშავერა

მოწამეთა // მოწამენის სამარხო. იმერეთი

მოწამეთა 1750 – იხ. არგვეთი

მოწამეთა 1755 – იხ. გელათი

მოჭალიეთი. შიდა ქართლი

მოჭალიათი 1774 იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

მოჭალიეთი 1781 – იხ. ისროლისხევი

მოჭალიეთი 1781 – იხ. ქსანი (ქსნის საერისთავო)

მოხანის კალო. შიდა ქართლი

მოხანის კალო 1412 (1482) – იხ. კავთისხევი

მოხერი. სვანეთი

მოხერი XIII-XIV სს. – ესე ნიშანი ... მოგაჴსენე მე, მიქელაისძემან ... თქუენ ... მთავარანგელოზსა მოხერისასა. ოდეს ჰავისა ჟამისა შემოსლვამა ქუეყანა დააშავა, მოგანდეე ჩემი თავი და შვილნი... (სწძ, I, გვ. 138).

მოხერი XIII-XIV სს. – ესე ნიშანი დაგიწერე და მოგაჴსენე მე, მიქელაისძემან ... თქუენ, წმიდასა მთავარანგელოზსა მოხერისასა. ოდეს ჰავისა ჟამისა შემოსლვამა ქუეყანა დააშავა, მოგანდეე ჩემი თავი და შვილნი. ვითაც გმსახურებდეთ, ჰაგრეც გუწყალობდით... (სწძ, I, გვ. 138).

მოხერი XIII-XIV სს. – იხ. ლაჰილის სოფელი

მოხერი XIV ს. II ნახ. – იხ. ლაჰილი

მოხერი XV ს. I ნახ. – ... მე, გელანმან ცტნე ... შენ, მოძღუარსა ჴეშტინიანსა ... შაო[—]ნისა ყანაი ... მოგყიდეთ... თაუსდებადა მომიცემია მთავარანგელოზი მოხერისა[143]... (სწძ, I, გვ. 148).

მოხისი. შიდა ქართლი

მოხისი 1392 – იხ. ტფილისი

მოხისი 1524 – ... დავით ბაგრატონიანმან ... მეფემან ქართველთამან და აწ მონაზონმან ... შემოგწირე ... წმიდასა კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა მცხეთას ... ჴელითა ჩუენითა აღწენებული, მთას იქით სოფელი მოხისი... ჩუენით ფერჴით გარ შემოგუიელია, ბარათიანი მთის სოფლის კაცები გუერცა გუხლებიან, მისი სამზღუარი ასრე მოუდევრად გაგუიჩენია... როგორცა სხუას

143 მეზერისა (სსძ, II, გვ. 100).

მთის სოფელსა ედვას, ისრე თივის თიბვა, კავთისხევს ზურის მუშაობა... შემოგვიწირავს გორს ჯამბეგაშვილი... მიეცით დიღმელაური მამული და ვენაჯი... იდლეთს ოფლითა ჩუენითა აშენებული ზუარი მისითა სამზღუარითა, და ერთის კუამლის სასახლითა და სამარნითა... (ის, II, გვ. 32-33).

მოხისი 1559 – იხ. სხალდიდი

მოხისი 1581 – იხ. ზემო ქართლი

მოხისი 1660 – იხ. ქალაქი

მოხისი 1686 – ესე სათავდებო წიგნი მოგართვი მე, კაველათელმა შვანდირასშვილმა პაპუნამ თქვენ, ბატონს კათალიკოზს: თუ მოხისიდამ ჯამასპასშვილი პაატა აიყაროს, ამ ერთს წელიწადს ძროხისთვინ ძროხის მომრთმევი ვიყო და ცხვარისთვის ცხვარის, ცხენისათვის ცხენის, კაცისათვის კაცის და დედაკაცისთვის დედაკაცის. თუ ამაში გაგიმტყუენდეთ, გიორგი მეფის შეცოდებათ მკითხო და შენის სვეტის ცხოვლის დაქცევათ... (ის, IV, გვ. 64).

მოხისი 1687 – იხ. მცხეთა

მოხისი XVIII ს. – იხ. ახალციხე

მოხისი 1707 – [ბერი გელდიაშვილის პირობის წიგნი არდაშელ ზუბულიძისადმი]: ... თქვენი განაყოფის ყმა ვიყავ და მოხისს ვესახლე. მომვლელი ... აღარ მყვანდა და სხვანი ხელს მდებდნენ. მე ... ავიყარე და რუის ჩამოველ. კლიმიაშვილს იასეს მეზვრეთ დაუდეგ... რომელიც ბატონყმობის რიგი იყოს, ისე გემსახურო აქედამა... (დსსი, I, გვ. 133-134).

მოხისი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

მოხისი 1736-1744 – [დავთარი ქართლის საკათალიკოსო ყმების აღწერისა]: ... მოხისი, ბერძენაული, აშენდა, დვანი, ერკნეთი, უფლის ციხე, ზერტი, მამულაშვილი გორს არის... დისევი, მელვრევი, რეხა, აქავ ამას მაზრა ნასოფლარი ნიგოზა; მჭვედურეთი, ატენი, მეტეხი, აქავ მეტეხს მაზრა სხერტა, ხარაბა, მაღალაშვილებისა; გომი, წინარეხი, კათისხევი, კიდევ მაღალაშვილების სოფელი ნიაბი, ნაბახტეველი სულხანა, კომლი ა, თავი ბ... ამ ნიაბის მაზრა ჩოჩეთი ხარაბა, ნასოფლარი; სასხორო, ხეკორძი, ძეგვი, ციხედიდი, მცხეთა, კოდმანი, წეროვანი; საგუდელი კუნელაური ... გედევანიშვილის ყმა არის... გოროენული დარჩია ... ჭარმეულის ყმა არის... (ქსძ, III, გვ. 776-788).

მოხისი 1768 – კათალიკოზ-პატრიარხმან ... ანტონი ... თქვენ ... მგალობელს კუალიასშვილს სოლომონს ... თქვენის სამსახურის სამუქფოდ წყალობა გიყავით მოხისსა რევაზიშვილები თავის მამულითა... (ქსძ, III, გვ. 866).

მოხისი 1768 – იხ. ქვენა ტკოცა

მოხისი 1787 – იხ. ბრეთი

მოხისი 1796 – იხ. გორი

მოხისი XVIII ს. მიწ. – იხ. სურამი

მჟალვი – იხ. მუჟალი

მჟოლის წყარო. იმერეთი

მჟოლის წყარო 1779 – მეფემან აფხაზთამან და ყოვლისა იმერიისაგან ... სოლომონ ... ვყავ განჩინებანი სამართლისა ... აგიაშვილს ქაიხოსროს და ნიჟარაძეებზედ... დარჩა აგიაშვილს ... მჟოლის წყაროსა და დიდ ფონს შუა ჭოლაძის ვენახს აქეთ, კიდევ მამისთვალა დედისაძეს მარანსა და ძოძუაშვილებთან რომ გუბაზედ ხიდია აგია, მას აქეთ კაპანაძის სინაომდის... (ქსძ, V, გვ. 81-82).

მრავალწყარო. იმერეთი

მრავალწყარო 1519 – იხ. გელათი

მრგვალი ჭალა. კახეთი

მრგვალი ჭალა 1756 – იხ. ალვანი

მრუდაანი. კახეთი

მრუდაანი 1571 – იხ. ბედიყარი

მსხალტბა იხ. სხალტბა

მსხვილოსი იხ. სხვილო

მსხულები // სხულები. სამეგრელო

მსხულები 1470-1474 – ... [შამადაელა დადიანმა] კათალიკოზი იოვაკიმ ... კათალიკოზად დავაყენეთ და საკათოლიკოზოდ ესე გავაჩინეთ. თავსა წმიდა გიორგი მსხულებისა თვისითა შესვალითა და გამოსავალითა... წუწუნარი მამული და მარანი მისითა ტყითა, წყლითა და ეკლესიის კარითა და სათევზოთა... წყლისპირს ბონია ქრისტეშიაი მისითა მამულითა, წყლის პირსა ჭალადიდს რიონსზედან ნახევარი ბაჟი ხოფისა ღთისმშობელისა არის და ნახევარი კათალიკოზს, ქარიანტას და კემხელს მესამედი წყლის ბაჟი ყოვლად წმიდისა არის, ნოხუდენს ოთხი კუამლი კაცი... აგრევე დადიანის სახლის თავი ნიშანი კათოლიკოზისა არის... მათითა მამულითა... აგრეთვე ცუს გამოღმა და ჭუირიას წყალს შუა ვინცა ნადირი მოკლას, სეფეს ყოვლად წმიდის წინ მოიღებდეს, ნურავინ დააკლებს. აგრევე ჩუენ ბატონმა დადიან-გურიელმან შამანდავლა მოვიკითხეთ იადგარი ძუელთაცა აგრე ეწერა, ვინცა ხოფის საყდარს გარეშემო უპატიობა იკადროს ... ათი გლეხი დაეურვოს საყდარსა... აგრევე ჭუირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა არის და ნურავინ დააკლებთ... (დსსს, I, გვ. 1-2).

მსხულები XVI ს. შუაწლ. – ... მრთებს მსხულებს ხატის ბეგარაჲ... მართებს წყლისძგელთა ხატის ბეგარაი... მართებს ფოთელსაჲ ნავსაჲ მაისობჲსა თჳთოსა ნავსაჲ თავსაჲ მუნის წონაჲ სანთელი, ვინცა არ მოსცეს ... ხოფისა ღვთისმშობლის წინამდეგის ებისკოპოზის მადლისაგან შეჩუენებულმცა არის... (დსსს, I, გვ. 13-14).

მსხულები 1611-1657 – იხ. ხობი

მსხულები 1675 – იხ. ხობი

მტბევარის სამწყსო XVI ს. დას. – იხ. ყვიბისი

მტკვარი

მტკვარი 1445-1469 – ... სოგელი ესე მოგეც მე, მიწობლიძემან ფარემუზ, თქუენ, მონაზონთა ხერხეულიძის ასულსა ეკატერინეს მას ჟამსა, ოდეს მტკურის პირს მიწა მოგყიდეთ... (ისშმმ, გვ. 75).

მტკვარი 1750 – ... [მჭედლიძეები] დიასამიძე ვარამის ყმანი ვიყავით, ქალაქს ჩამოვედით... თავი შევწირეთ ... მონასტერს წმინდას დოდოსა... სახლის ალაგი თქუენ მოგვეცით, ბატონს რომ მონასტრისათვის სახლის ალაგი შეწირა მტკრის პირსა დავით გარეჯიანთ სასახლესთანა... (დსსი, I, გვ. 423)

მტკვარი 1756 – ... [გორჯასპი მდივანმა] ბაღის შენებას ხელი მივყა, ამისი ერთი გვერდი მტკვრის პირამდისინ... თავი, სეითაბათიდამ რომ ხიდქეშ საღვარე ხევი ჩამოზდევს და მტკვარს შეერთვის... ამისი სარწყავი წყალი განჯის კარს ზეიდამ, დაბახანის ხევიდამ წყალ წამოვიყვანე მილით... (მსეი, I, გვ. 25-26).

მტკვარი 1782 – ... ერთი წიგნი სიონის დეკანოზიშვილებს მეფურისშვილებისათვის მიეცათ, რომ სამძღვრები [საბაღე ჭალისა] გარჩევით სწერია: გამოღმა: დიდი ფლატო, იმავ ფლატოს ძირში დიდი მაყვალი დგას ... ამ ფლატოს გასწვრივ გახედვით, მტკვარ გაღმით, პირდაპირ ორ ხევს შუა ტიტველა თეთრი კლდე... (ქსძ, V, გვ. 178).

მტკვრის რიყე. თბილისი

მტკვრის რიყე 1751 – იხ. გარეთუბანი

მუგუთი. ქვემო ქართლი

მუგუთი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე

მუგუთი XVII ს. II ნახ. იხ. წრაუთი

მუგუთი 1704 – იხ. თაფანი

მუგუთი 1707 – იხ. წრაუთი

მუგუთი 1746 – იხ. წრაუთი

მუკნეველათა ნავენაჭევი. შიდა ქართლი

მუკნეველათა ნავენაჭევი 1459 – იხ. ვირშისთავი

მუკტრულა. კახეთი

მუკტრულა 1786 – იხ. აკური

მუკუზანი. კახეთი

მუკუზანი XVIII ს. I მეოთხ. – იხ. თვალი

მუკუზანი 1790 – იხ. ახალშენი

მუკუზანი 1798 – იხ. ველისციხე

მუკუზანი 1798 – იხ. შილდა

მუკუზანი 1798 – იხ. წინანდალი

მულახი // მულახის ჭევი

მულახი XIII ს. II ნახ. – იხ. სვანეთი

მულახი XIV ს. I ნახ. – ... დაწერილი ... გარდაწყვეტილობისა დაგიწერეთ ... ჩუენ, ჴეუმან ერთობილმან მულახისა და მუჟალვისამან (და) სეტისამან, ვინცა სეტიასა სახლობს ყოველმან ... ერთობილმან მოქალაქემან, თქვენ, ფალიანსა ქველისა... თაუსდებად მომიცემია მაცხოვარი მულახისა და მუჟალვისა, მთავარმოწამე სეტისა, მთავარ მოწამე ქალაქისა... (სწძ, I, გვ. 197).

მულახი XIV ს. I ნახ. – ... დაგიწერეთ ... დაწერილი ესე ... გარდაწყვეტილობისა ... ჩვენ, მობეჭვიანთა ... შენ, ჯაფარისძესა... არაი დარჩა ამა საქმისა თანა ჩვენი შენსა სასარჩლოი... თავზდებათ მოგვიცემია ... ჯაფარიძე მელომე, სრულად მულახისა და ხევი და სეტისა თავზდებად მომიცემია... (სწძ, I, გვ. 200).

მულახი XIV ს. II ნახ. – იხ. ჰადიში

მულახი XV – იხ. ლალვერი

მულახი XV-XVI სს. – მაცხოვრისა მჟალვისა თაუსდებობითა, დაგიწერეთ ... დაწერილი ესე ვინც მაცხოვრისა მულახისა საყდრისა შვილნი მულახსა ესახლობთ თქვენ არა გაგეყაროთ ... არც ჩვგეთ თქვენგან უკითხავად მულახისა ჴეუსა (სწძ, I, გვ. 208).

მულახი 1503 – იხ. რაჭა

მულახი XVII ს. I მეს.[144] – ... დაგიწერეთ წიგნი ესე ... ჩუენ, მულახელთა თქუენ სეტიელთა... უსგურისა მთა ლუცლაშისა ქედს აქეთ, ერთმანერთასა შევფიცეთ: მტერისა მტერობაჲ, მიყურისა მოყრობაჲ ამა პირსა ზედა, რომე თუ სისხლი გუმართებდეს, ანუ სხვაჲ უმცრო საქმე, იმისი გარდამწყვეტი მაცხოვარი და მულახი... (სწძ, I, გვ. 209).

მულახ-მუჟალვის ჴევი XV-XVI სს. – ... მულახ-მუჟალვისა ჴეუმან ესე დაწერილი მულახისა საყდრისაშვილთა მოგახსენეთ, რაც ძველთაგან ბეგარი გუდებიან, იგი განღამც საპატიოთ მოაჴსენონ... მჟალვისა მიწისა გამაგრებისათვის თუ დავიფიცოთ, ერთგან დავიჴოცოთ, თუ ავიყაროთ, - ერთსა დღესა ავიყაროთ... (სწძ, I, გვ. 208).

მუმბარაქი. კახეთი

მუმბარაქი 1708 – იხ. ყორნევი

მუმლთურთკარი. შიდა ქარტლი

მუმლთურთკარი 1669 – იხ. წილკანი

მუჟალვი // მჟალვი

მუჟალვი XIVს I ნახ. – იხ. მულახი

მუჟალვი XIVს II ნახ. – იხ. მულახი

მუჟალვი XV ს. – იხ. ლატალი

მუჟალვი XV-XVI სს. – იხ. მულახ-მუჟალვის ჴევი

მუსეფრიანი. ქვემო ქართლი

მუსეფრიანი 1619 – იხ. ნახიდური

---

[144] XV ს. დას. (სსძ, II, გვ. 47).

მუსეფრიანი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი
მუსეფრიანი 1707 – იხ. მელვრევი
მუსეფრიანი 1707 – იხ. წრაუთი
მუსეფრიანი 1727 – იხ. ახალშენი
მუსეფრიანი 1746 – იხ. ფიტარეთი
მუტავისი // მუტაკისი. ქვემო ქართლი
მუტავისი 1537-1538 – იხ. დმანისის ციხე
მუტავისი 1586 – იხ. ჩინჩხური
მუტავისი 1707 – იხ. წრაუთი
მუტავისი 1746 – იხ. წრაუთი
მუფარაქი. კახეთი
მუფარაქი 1699 – იხ. ყორნავი
მუღალი. ქვემო ქართლი (?)
მუღალი 1788 – იხ. ყაზახი
მუღანლო // მუღალნო. კახეთი
მუღანლო 1781 – იხ. ალგეთი
მუღანლო 1797 – იხ. ცივი
მუშელღი. ქვემო ქართლი
მუშელღი XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი
მუშტარაშენი იხ. მიშტარაშენი
მუხაანი – იხ. მუხანი
მუხაანნი. კახეთი
მუხაანნი 1447 – იხ. მცხეთა
მუხათა ყანა. შიდა ქართლი
მუხათა ყანა 1413-1442 – იხ. ძალისა
მუხათგვერდი // მუხათგუერდი. შიდა ქართლი
მუხათგვერდი 1392 – იხ. ტფილისი
მუხათგვერდი 1447 – იხ. მცხეთა
მუხათგვერდი 1504-1511 – იხ. მცხეთა
მუხათგვერდი 1504-1516 – იხ. მცხეთა
მუხათგვერდი 1559 – იხ. სხალდიდი
მუხათგვერდი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი
მუხათგვერდი 1791 – იხ. ქორდი
მუხათი // მუხათ მიწები. ქვემო ქართლი
მუხათი 1656 – იხ. კუმისი
მუხათი 1742 – იხ. მეიდანი

მუხათი 1785 – [მეფის ასულთ თამარის წრილი უცნობი პირისადმი]: ...თქვენი წიგნი მომივიდა და მუხათელი მჩითავის შუამავლობა მოგეწერა... რადგან წმინდას მონასტერს შემოხიზვნია და თქვენც შუამავლობა გიბძანებიათ, მაგის დანაშაულობა მონასტრისა და თქვენთვის გვიპატივებია (ქკმეის, გვ. 151).

მუხათი 1797 – ... სოლომონ [მეითარი] ამასაც ასე ჩიოდა: მუხათის სოფელი ბაბათასშვილისა იყო: და ჩვენს საწილის მამულზედ მოკრული მუხათი იყიდა ბაბათაშვილისაგან [გიორგი თარხანმა], ჩემი სათარხნო მამულიც შეიგდო, ესეც მუხათის არისო... (ქსძ, VI, გვ. 19).[145]

მუხათი 1799 – იხ. ვაშლოვანი

მუხანი. ქვემო ქართლი

მუხანი 1558 – ... ჩუენ, თურქისტან, თქუენ, პატრონსა იესეს ... მოგყიდეთ ჩვენი მკუიდრი მამული მუხანი ხევის პირისაევ... არის სამზღუარი მარბადათაევ[146] ზეით ბეგზედა, ტაგნაგეთის სამზღურამდი... (ქსძ, VIII, გვ. 826).

მუხანი. შიდა ქართლი

მუხანი 1392 – იხ. ტფილისი

მუხანი 1504-1511 – იხ. მცხეთა

მუხანი 1504-1516 – იხ. მცხეთა

მუხანი 1559 – იხ. სხალდიდი

მუხაური. შიდა ქართლი

მუხაური 1751 – ... ღმერთმან ... ხელმწიფის ჭირი ... მუხაურელს მამასახლისის შვილს მარდახას მოსცეს. მერე ამას მოვახსენებ ბედნიერ ხელმწიფეს.. ვთხოვ და ჩემს ახოს არ მაძლევენ... მეფე ერეკლეს სადღეგრძელოდ გამიკითხე და ამისი სამართალი მაღირსეთ... (დსეი, გვ. 56).

მუხაური 1797 – ღმერთმან ხელმწიფის ჭირი მომცეს ფალავანდიშვილს ზურაბს უზბაშს... ერთს სოფელს მუხაური ჰქვიან, ცხრა საკომლოს ბარათი მაქვს წართმეული და ბარათები ხელში მიჭირავს. (ქსძ, VIII, გვ. 416).

მუხაური 1797 – იხ. ხუნდის უბანი

მუხი – იხ. მუხლი

მუხის მიწა. შიდა ქართლი (?)

მუხის მიწა 1716 – ... მე, მაცაბელმა ფარემუზ ... თქვენ, თუმანიშვილს ... გივს ... მოგყიდეთ ჩვენი სამკვიდრო მიწა ორსაე ფშან შუა, მუხის მიწა ოთხი დღისა... (სს, III, გვ. 411).

მუხისწყარო. იმერეთი

მუხისწყარო 1578 – იხ. ქუთაისი

მუხლი // მუხი. რაჭა

---

[145] თარხნიშვილების დავა მუხათზე 1800 წელსაც გრძელდება (ქსძ, VI, გვ. 201).
[146] მარაბდა?

მუხლი 1660-1670 – ... ჩუენ, იაშვილმან ქაიხოსრომ... მას ჟამსა ოდეს [აღვაშენე] სამარხი ეკვდერი წმიდისა ... [შევწირე] მუხლს მჭედლიძე პაატა... სანთის ენუქიძე მინდოდა ... მათის მიწა-წყლით ... მათის ყოვლისფერითა... რაც ბარშიდ ხუცესი იყოს, ყველას მათაც ჟამ გვიწირვინებდეს და საწირავათ ცხვრისა და ჴარის ტყავს გაუყოფდეს. და რაც ბარისსოფელს გლეხი ესახლოს, ყველას თითოს კაცს დაახვედრებდეს, ასმევდეს, აჭმევდეს და შენდობას ათქმევინებდეს.. (დსსს, I, გვ. 73-75).

მუხლი 1776 – იხ. ბარი

მუხნარა. ქვემო ქართლი

მუხნარა 1653 – [პირობის წიგნი ალი აღასი ბატონ ყაფლანისადმი]: ... თქუენი სამკვიდრო მამული ... სოფელი მუხნარა სამის კუამლის გლეხითა გვიბოძეთ და ასაშენებლად ჩუენ მოგვაბარეთ; ჩუენ ეს პირობა დაგიდევით და მოგახსენეთ, რომ ავაშენოთ და თქუენ გამსახუროთ, და, როდისაც თქუენ ჩუენთვინ მოსაბარებლად აღარ გეპრიანება თქუენი სამკუიდრო მამული სოფელი მუხნარა, ისევე თქუენ დაიჭიროთ და ჩუენ ჴელი აღარა გექონდეს... (სს, II, გვ. 416).

მუხნარი – იხ. მუხრანი

მუხნარის მიწა. კახეთი

მუხნარის მიწა 1781 – იხ. ჭივჭურის მიწა

მუხრანი // მუხრანა. ქვემო ქართლი

მუხრანი 1619 – იხ. ნახიდური

მუხრანა XVII ს. II ნახ. – იხ. წრაუთი

მუხრანი 1707 – იხ. წრაუთი

მუხრანი // მუხნარი. შიდა ქართლი

მუხრანი 1123 – იხ. ტფილისი

მუხრანი 1170 – იხ. სხალტბა

მუხრანი 1211-1212 – იხ. აგარა

მუხრანი 1247-1260 – ... ჩუენ, ჩაფქევასძეთა ... თქუენ, ვერხუაისძეთა ... მოგყიდე ნავენაჯობი ზედა, შენისა კალოისა პირსა ნასყიდსავე ზედა მოგეკიდებოდა... რაიც ღალაი ჰმართებდა ამას ადგილსა, მომლამ მოიღო და პატრონი ბეგაი მუხრანს დგა, მუნ გაუგზავნა ოქროი და ავიღეთ სრული ფასი... (ქისკ, გვ. 135).

მუხრანი 1399 – მეფეთ-მეფემან გიორგი ... მოგახსენეთ ... (მცხეთის საყდარს) თქუენი მკუიდრი მამული ციხტლა... ყოველი თქუენი ნაქონები და მუხრანის პირთა, დიდსა გორასა ქუემოთ, ისიცა შუა ბარი ჩაიტანს... ძუელთაგან (ეს სოფლები) მცხეთის მამული ყოფილიყო და აწ ჩუენთა დაგიმტკიცეთ... (ქრონ, II, გვ. 204).

მუხრანი 1408 – ... მე, ცნოდისძემან საწოლის მწიგნობარმან დავით ... შემოგწირეთ თქუენ, სუეტსა ღმრთივ აღმართებულსა ... ჩემგან ნასყიდი ... მუხრანს სოფელი ანღაიანი, მისითა ... მზღერითა... და აწ მეც ღირს ვიქმენ

დამკუიდრებად ... თქუენსა დედაქალაქსა საყდარსა მცხეთას და შემოვიტანე თანა ჩემგან ნასყიდი და დიდად ჭირნახული ქუეყანა ანღაიანნი... (ის, III, გვ. 6-7).

მუხრანი 1447 — იხ. მცხეთა

მუხრანი 1516-1535 — იხ. დიდკარი

მუხრანი 1527-1558 — ... პატრონი კათალიკოზი და მცხეთიონი და საყდრისშვილნი და ბატონი წილკნელი ეპისკოპოსი და წილკნელნი მუხრანის სამძღვარზე ირჩოდეს. მოვიტანეთ მცხეთის დიდი გუჯარი და წავიკითხეთ და გავსინჯეთ. იმაშიგა დიდი გორი, შუა შარა, შარაფხანამდისინ ეწერა. ჩვენ ვსინჯეთ და დღეს შუა შარა რომ არის, ამის მეტი სხუა შუა შარა ვერა ვიპოეთ... ნარეკვავის პირსა დაქცეული საყდარი არის, იმას იტყოდეს შარაფხანად და წილკნელი ლიის პირს შარას აქათ ადგილსა გვიჩვენებდეს, ვითა შარაფხანა ეს არისო. ჩვენ მოკითხული ვქენით მახსოვართაჲ კაცთაგან და განვსინჯეთ ნარეკვავის პირას და დაქცეული ეკლესია რომ არის, შარაფხანა ის ყოფილა და არის... ჩვენ ამისი ესრე გავაჩინეთ და გარდაუწყვიტეთ, რომე: ზემო შარაზედა დიდი გორა რომ არის, იმას აქათ შუა შარა, რასაც შარა-შარა ჩამოიელის ცოტას გორამდისინ, აგრევე ცოტას გორას გატანებით შარაბხანის ეკლესიამდისი, პირმართლად იმას გასწორებით და იმას ქვემოთი დარჩა მცხეთასა, უსარჩელელად და გამოუცელებლად. აგრეთვე შარაბხანის ზედათი ცოტას გორას ზედათი შარას შიგნით დარჩა წილკანსა უსარჩელელად და შემოუცილებლად. და შარაბხანა დასტურად ნარეკვავისკენ დაქცეული ეკლესია რომე არის, ის ყოფილა და დღესაც ის არის... (ქსძ, IV, გვ. 43).

მუხრანი 1585 მეფე სვიმონ გიბრძანებთ ერთობილნო მუხრანის მედამღენო! მერმე მანდაურის დამღის მესამედი სვეტის ცხოველისათვის შეგვიწირავს... (ქრონ, II, გვ. 423).

მუხრანი 1595 — იხ. ყურისუბანი

მუხრანი 1648 — იხ. ქართლი

მუხრანი 1712-1714 — [ბრძანება სვიმონ ბატონიშვილისა]: .... ერთობილნო მუხრანის აზნაურიშვილნო, მსახურნო და გლეხნო! მერმე სახლთხუცესი ლევან ქორწილს აპირებს... საქორწილო მოართვით და ჴელი მოუმართეთ... (დსსი, I, გვ. 153).

მუხრანი 1720 — ჩუენ, მეფე-მეფემან ვახტანგ გვერთ ვიახლეთ დარბაისელნი და მუხრანის ბატონის ლევანისა, ერეკლესი, კოსტანდილეს შვილისა და სვიმონის შვილის სახლიკაცობის რიგი და წესი ასრე გაუჩინეთ... მუხრანში მსახურ-აზნაურიშვილი ქერს ნუ ითხოვს ნურცერთის, რომელიც მუხრანის ბატონიშვილი ქალაქს წამოვიდეს... ღვინო და საკლავი ... რაც მოუვიდოდეს, მოხელეთ მიებარებოდეს, თავილად დაეწერებოდეთ, საერთოს მარნიდამ და სამზარეულოთგან მუხრანის რიგით და შეკითხვით მოხელეები მართებულად მოახმარდნენ... სახელოები — ვარჯანს ისევ სარკინეთის მოურაობა ეჭიროს; წილკანისა დეკანოზს ქონდეს, ნუ მოუშლიან... ეს სამეხრეოები რომ მოშალონ, მუხრანში ნუ ხუნენ, ნურც საკათალიკო-

ზოშია... ჭაპურს გასიტაშვილისა და გეგელასშვილისა მამული ისრევ პატრონებს დაახსნევინონ, ერეკლე ნუ დაიჭერს. ვარდისუბანს რომ წისქვილი უყიდნია, პატრონს ფასი გამოართვას და წისქვილი დაანებონ... ზურისა და ხუდაბუნის მუშას გარდაისად, ერთს კვირას შემოდგომაზედ და ერთს კვირას გაზაფხულზედ მუხრანს მუშას შეაწერდნენ, გაიყოფდნენ – ორი წილი მუხრანის ბატონმან ამუშაოს და თითო ძმათ ამუშაონ... სამეხრეობისა მოშლა რომე ზეით დაგვიწერია, თუ არ მოშალონ, ნურც მუხრანშია და ნურც ქათალიკოზის მამულშია ნუ მოხუნენ (ქსძ, VI, გვ. 689-693).

მუხრანი 1720 ახლო – იხ. თრიალეთი

მუხრანი 1745 – [სურსათის გამომღებთა ნუსხა]: მუხრანმა უნდა მისცეს სურსათი ხარვარი [ასევე]: მჭადისჯვარმა, წირკანიდამ, დამპალიდამ, სხალტბამ ბატონის ყმამ... (მსეი, III, გვ. 59).

მუხრანი 1758 – [განჩინება თეიმურაზ II-ისა]: ... სვიმონ ნასახჩიბაში მუხრანის ნაიბი არის და იყოს. რომელიც მამულის შემოსავლის საქმე იქნებოდეს, სახლიკაცთ დაკითხვედეს და მამულის მოვლას ეცადოს... (ქსძ, VI, გვ. 710).

მუხრანი 1760 – იხ. მეტეხი

მუხრანი 1768 – იხ. დამპალა

მუხრანი 1772 – [ქართლის მდევრობის განწესება ერეკლე II-ისა]: როდესაც რომ მუხრანიდამ ყარაული მოვიდეს, ცხენიანი ჯარი წამოვიდაო, ყველანი გაფრთხილდეს. თუ მჭურვალეთში შევიდეს ლეკის ჯარი, როგორც გაჩენილი არის, მდევარი შეიყაროს, თავი და ბოლო მოუჩხრიკონ, ყარაულები გაგზავნონ, თავს დააყენონ, მდევარს დაუძახონ, მეჯვრისხევს შეიყარნენ... ბელოთიდამ მოკიდებული – საცხენისი, დიდი ვანათი, არბო, ქორდი, დიცი და პატარა ლიახვის გამოღმართი, გვერდისძირი და ვაკე გორით, ბერშოეთამდის – რაც ამათ შუა სოფლებია, ესენი ერთს სამდევროდ უნდა იყვნენ შეპირებულნი... თუ სამაჩაბლოსკენ გაჩნდეს ლეკის ჯარი ან დიდის ლიახვის გაღმა სადმე, ამ დიდის ლიახვს მდევარი და პატარა ლიახვის გაღმართი მდევარი, რომელიც მეორე მდევრად მიგვიჩნევია, საჩქაროდ გაცვივდნენ და როგორც სარქარდებმა ამჯობინონ, ისე შეებნენ. თუ რამ მოუნდესთ მდევარი, და სარქარდებმა დაუძახონ, გამოღმა მხარის მდევარიც წავიდეს და პასუხი გასცენ. თუ ქარელიდამ მდევარი დაიძახონ, მაშინვე ქრცხილვანის ქვეითი კაცი, დიდის ლიახვის, პატარა ლიახვისა საგაღმართო კაცი და დირბის წყლის სოფლები ყველანი შეიყარნენ და გაცვივდნენ... თუ ამილახორი და ერისთავი ზემო ქართლში იყვნენ, იმათ უნდა შეიყარონ მდევარი და ისე იმდევრონ... ეს მდევრობა რეჭულას წყლიდამ მოკიდებული ალის წყლამდის, და გორიდამ სანამდისაც მიჰვებოდენ, და ქარელიდან სანამდისაც მიჰყვებოდნენ, უნდა იმდევრონ. გაღმა მჭრის გარიგებულია, ოქმი გვიბოძებია და კარგადაც მდევრობენ მადრიელიც ვართ და წყალობასაც დაემართებთ... (ქსძ, II, გვ. 426-428).

მუხრანი 1777 – [არზა მუხრანბატონის შვილის იოანესი ერეკლე II-ისადმი]: ... ოცთდაორი წელიწადი არის, რომ სომხითი და ბოლნისი დაიცალა.

მაშინ ერთის დედით და ორის დით ეს ოსეფა მოვიდა მუხრანს და ჩემთან დადგნენ... ერთი ოქმი მიბოძეთ, რომ იმასთან მუხრანის მოხელეებს საქმე არა ქონდეს (ქსძ, VII, გვ. 384).

მუხრანი 1783 — იხ. გოროვანი

მუხრანი 1795 — მუხრანის ბატონის შვილები ... მუხრანის სასახლეზედ ჩიოდნენ. ლევანის შვილი გოგია და ნიკოლოზ ასე ამბობდნენ: ... ბაგრატ რომ ჩვენს სახლში დგას, ამ მიზეზით მომხდარა მაგათი დგომა: ოსმალთ რომ მუხრანისათვის გალავანი შემოუვლიათ, მაშინ ბაგრატის მამა-პაპათ წილი სასახლე გალავანს გარეთ დარჩომილა და ვის დროს და სახლისკაცობის გულისათვის ჩვენს მამებს ბაგრატის მამისათვის უთხოებიათ და დაუყენებიათ (ქსძ, V, გვ. 653-654).

მუხრანი 1796 — იხ. რველი

მუხრანი 1799 — ... მეფის ძის იოვანეს წინაშე მუხრანის ბატონის ... ედიშერის მოსახსენებელი. ის სამი ბიჭი რომ მოგახსენეთ, ერთი სწორეთ ქსნიდამ თქვენი ყმა არის, ერთი ლიახვიდამ გადმოსული კაცის შვილია, რომ თავის მტერს აღარც ქსანზედ დაუყენებია და მამა ამისი მუხრანს მამაჩემთან მოსულა და ეს ბიჭი მე მახლავს... ერთიც არაგვიდამ თავის მტერს გადმოუგდია ქსანზედ, მეტად რომ იქაც შეუწუხებია, მუხრანს ჩამოსულა მამაჩემთან (ქსძ, VIII, გვ. 544-545).

მუხრანი 1800 — იხ. ბრეთი

მუხრანი 1800 — [მოსახსენებელი მუხრანბატონის შვილის ბაგრატისა]: წლევანდელი მუხრანის შემოსავალიდამ რაც რამ იყო შემოსავალი, სრულად გამამართვეს; სამუხრანო შემოსავალი და ჩემი წილი სრულათ იმას მისცეს. მჭადისჯვარში ოთხი საკომლო მამული გამამართვეს და ერთი კომლი კაცი ჩერქეზიანიდამ, მზითევში გამოტანებული, ისიც გამამართვეს. ოცდათხუთმეტის დღის მიწა მუხრანში გამამართვეს...[147] (ქსძ, VIII, გვ. 692-693).

მუხრანის ხიდი 1725 ახლო — [უცნობი პირის წერილი ზალია ყორღანაშვილისადმი]: ... მუხრანის ხიდის ყურში... ფირმამადას თათრები... სახლობენ... მამუკასი არის, ხელი აიღევი... (დსსი, I, გვ. 211).

მუხრაულნი. კახეთი

მუხრაულნი 1579 — იხ. მცხეთა

მუხრაულნი 1505 — იხ. ოროტა

მუხურა. იმერეთი

მუხურა 1071-1080 — იხ. ზნაკვა

მუხურა 1259-1293 — იხ. მაღლაკი

მუხურა 1776 — იხ. გელათი

მუხური. სამეგრელო

მუხური 1525-1550 — იხ. ბიჭვინტა

---

[147] მეორე მხარის ვინაობა საბუთიდან არ ჩანს

მუხური 1616-1621 – იხ. საგენათლო

მუხურის მთა. რაჭა-იმერეთი

მუხურის მთა 1544 – იხ. ნიკორწმინდის მონასტერი

მუხურის მთა 1664 – იხ. მაჭუტოური

მუჯაეთი. შიდა ქართლი

მუჯაეთი XV ს. I ნახ. – იხ. სამთავისი

მუჯირეთი // მუჯირეთობანი. იმერეთი

მუჯირეთი 1578 – იხ. ქუთაისი

მუჯირეთი 1773 – იხ. ქუთაისი

მუჯუხი. შიდა ქართლი

მუჯუხი XVIII-XIX სს. მიჯნა – იხ. ქსანი

მღვიმე // მღჳმე – იხ. შიომღვიმე

მღვიმე // ღვიმე // მღვიმის ეკლესია. იმერეთი

მღვიმე 1464 – ... გელათისა ღუთისმშობელო, ჩუენ, ... მეფეთა მეფემან გიორგი ... შემოგწირე მღუიმისა ეკლესიისა და იქ მსახდომნი გლეხნი ფანჩულიძენი ... მამულითა (ქრონ, II, გვ. 283).

მღვიმე 1774 – ... ჩვენ ... ბატონიშვილმან დავით, შენ ... კაპანაძეს ნიკოლოზ ... დაგდევით ბატონის მამისჩემის, ბატონიშვილის გიოგისათვის ყოველს სულთას წირვა და ცხვარი და თითო ლიტრა სანთელი. მის საფლავს უნდა მიართვა მღვიმეს ყოველს წელიწადს... კაცთაგან მოწამე ... წინამძღვარი მღვიმის დიონისი... (დსსს II, გვ. 48-49).

მღვიმე 1784 – ... ჩვენ, ბატონმა სარდალ წერეთელმა პაპუნამ ... წყალობა გიყავით საუკუნოდ შენ, ჩვენს ერთგულს კაცს, სულ ერთობით ღვიმის შემომავალს ხატის ყმის კაცს. რომელიც იყოს და რომელიც აწი შეიწიროს, ჩვენი სათხოვარი ამოგვიკვეთია... (მსკი, 31, გვ. 181-182).

მღვრივეს ჭევი. კახეთი

მღვრივეს ჭევი 1711 – იხ. აკური

მყრალას წყარო. ქვემო ქართლი

მყრალას წყარო 1710 – იხ. დურნუკი

მყუირალაურის ვენახი. ქვემო ქართლი

მყუირალაურის ვენახი 1638 – იხ. ცოვრეთი

მშაენი. ქვემო ქართლი

მშაენი 1661 ესე ... ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩუენ, ბარათაშვილმან პაპუნამ ... თქუენ, ყორღანაშვილს მერაბს... ნასოფლარი ზემო შავნი მამა ჩუენის გოსტაბაშს თქუენთვის მოეყიდა... ჩუენ ... გვითხრეს, რომე „სრულ არ მიუყიდიაო“ ... და სამდიენოთ გავხადეთ. ხემწიფემ მეფემ ... შაჰნავაზ სამართალი გვიყო და ჩემი სიძე სააკაძე პაპუნა მოფიცრად მომიდვეს, ასრე უნდა შემომეფიცებინა, რომე მშაენის მესამედის მეტი არ მოეყიდა... თქვენ წაგვიძეხით და ლიყურეთს, საფიცრად მოგვიძეხით, ვარხუნას მიეედით...

და მოგყიდეთ მთლივ ზემო მშავნი მისის ... მთითა, ბარითა, საძებრითა, უძებრითა, კილოვლის საყდრითა, რასაც იმისი ხევი შეიტანს ზეით სადიღმოს შარამდის, პირდაპირ საარწივის კლდეს ზეით, საქოლავის ბოლოს რომ დიდი გორა არის, იქიმდის რასაც შარა შეიტანს, მოქრისის სამძღურამდის გზას აქით ნაკარევამდის, ქვეშეთის ზემოთ ფიცხისის მჭრისაკენ რასაც ვერის წყალი შეიტანს, კიდევ სადიღმოს შარამდის, მოგყიდეთ და დაგიმტკიცეთ... არის ამისნი მოწამენი ... თეგასასშვილი ახალშნელი... (ქსძ, VIII, გვ. 842-843).

მშვიდობაური. შიდა ქართლი

მშვიდობაური 1782 – იხ. სანებელი

მშვლის ნახტომი. კახეთი

მშვლის ნახტომი 1756 – იხ. ალვანი

მშრალი ჴევი. ქვემო ქართლი

მშრალი ჴევი 1751 – იხ. ახალშენი

მშხივანა. რაჭა

მშხივანა 1793 – იმერთა მეფემან სოლომონ ... ესე მტკიცე... წყალობის წიგნი, მეფის ირაკლის ბრძანებით, გიბოძეთ შენ, რაჭას, მშხივანას მოსახლეს, ჩემს სახასოს მოსახლის გლეხს, სირაძეს ზაზას... ესევითარად, რომ მათმა უმაღლესობამ შენი რომლისამე მსახურებისა თავის უფლება მიბრძანა და მე წყალობა გიბოძე – ამოგიკვეთე საური, პურის და ღვინის გადასახადი... (ქრონ, III, გვ. 426).

მშხივანა 1793 – ... იმერთა მეფემან ... მეორემან სოლომონ ... თქვენ, ჭელიშის უდაბნოს წმინდის მღვთისმშობლის ეკლესიას ... შამოგწირეთ ... მშხივანის ერთი მოსახლე კაცი სუთიძე ზალიკო... არაოდეს ამ ჩვენს შამოწირულს გლეხს... ჩვენი სათხოვარი არ ეთხოვებოდეს... (დსსს, II, გვ. 102-103).

მჩხიკუმთა – იხ. ჩხიკვთა

მცირე ჯავახეთი 1785 – [არზა ოქრუა ქიტესაშვილისა]: ... Мы пришли сюда из **Малой Джавахетии** и некоторое время жили в **Тифлисе** свободно... (ГКГ, გვ. 45).

მცორვეთი // მცოვრეთი – იხ. მძოვრეთი

მცხეთა. შიდა ქართლი

